რევაზ გაჩეჩილაძე

საქართველო მსოფლიო პოლიტიკურ-გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ კონტექსტში



საქართველო
მსოფლიო პოლიტიკურ-გეოგრაფიულ
და გეოპოლიტიკურ კონტექსტში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რევაზ გაჩეჩილაძე

საქართველო მსოფლიო პოლიტიკურ-გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ კონტექსტში

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

სახელმძღვანელო
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

რედაქტორები: **გიორგი გოგსაძე**
ზურაბ აბაშიძე

ავტორი მადლობას უხდის თამარ ჭიჭინაძეს და დავით სვანაძეს სახელმძღვანელოს კარტოგრაფიული ნაწილის გაფორმებისათვის.

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2025

ISBN 978-9941-36-325-2 (pdf)

შინაარსი

შესავალი 7

ლექცია 1. საქართველოს ცვალებადი პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა და გეოპოლიტიკა 9

ლექცია 2. სამხრეთ კავკასია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში 35

ლექცია 3. სამხრეთ კავკასიის ხალხების ეროვნული მისწრაფებები რუსეთის იმპერიის არსებობის ბოლო ათწლეულებში 54

ლექცია 4. პირველი მსოფლიო ომი და მისი პოლიტიკურ-გეოგრაფიული შედეგები 75

ლექცია 5. სამხრეთ კავკასია 1918-1921 წლებში**:** გეოპოლიტიკური პრობლემები 98

ლექცია 6. სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური გეოგრაფია გასაბჭოების შემდეგ 114

ლექცია 7. საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.....136

ლექცია 8. სამხრეთი კავკასია კრემლის ომისშემდგომ პოლიტიკაში..... 154

ლექცია 9. მრავალეროვანი კავშირის გამოწვევები 170

ლექცია 10. საბჭოთა კავშირის დაშლის პოლიტიკური გეოგრაფია 180

ლექცია 11. სამხრეთ კავკასიის „წარმოსახვითი მეგარეგიონის“ გეოპოლიტიკა 196

ლექცია 12. საქართველოს მეზობელი რუსეთი 209

ლექცია 13. საქართველოს მეზობელი თურქეთი..... 231

ლექცია 14. საქართველოს მეზობელი სომხეთი 248

ლექცია 15. საქართველოს მეზობელი აზერბაიჯანი 264

დამატებით რეკომენდებული ლიტერატურა 281

შესავალი

ქვეყნის, მათ შორის საკუთარი ქვეყნის, სრულყოფილად გაგება შეუძლებელია, თუკი მას ამოვგლეჯთ თავისი **სივრცითი კონტექსტიდან.** საქართველოს ისტორიის, პოლიტიკური გეოგრაფიისა და ისტორიული გეოპოლიტიკის ახსნა შეუძლებელია მის ირგვლივ საუკუნეების განმავლობაში არსებული ქვეყნებისა და ხალხების, განსაკუთრებით, აწინდელი უშუალო მეზობლების, ისტორიის, პოლიტიკური გეოგრაფიისა და ისტორიული გეოპოლიტიკის გაუთვალისწინებლად.

თანამედროვე საქართველოს **სამეზობლოში** იგულისხმება დანარჩენი სამხრეთი კავკასია, ანუ აზერბაიჯანის რესპუბლიკა, თურქეთის რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია და სომხეთის რესპუბლიკა (აქ ისინი ანბანურადაა დალაგებული). გარკვეული თვალსაზრისით სამეზობლოში უნდა მოიაზრებოდეს ირანის ისლამური რესპუბლიკაც, რომელთანაც უშუალო საზღვარი საქართველოს ახლა არა აქვს, თუმცა შუა საუკუნეებში და უფრო ადრე, ისლამური რესპუბლიკის წინამორბედებთან – ჰქონდა. ამ კურსში ირანი არაერთხელ იქნება ნახსენები, მაგრამ ის ცალკე განხილული არაა.

XIX საუკუნის დამდეგიდან საქართველოს გაუძლიერდა არაპირდაპირი კონტაქტები ევროპასთან სანახევროდ ევროპეიზებული რუსეთის გზით.

საქართველოს მჭიდრო, თუნდაც იძულებითი, ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან XIX-XX საუკუნის 187 წლის განმავლობაში, რომლის **პირველ პერიოდში,** 1801-1917 წლებში, ის შედიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ორი გუბერნიის (ტფილისისა და ქუთაისის), ერთი ოლქისა (ბათუმის) და ერთი ოკრუგის (სოხუმის) სახით: იმპერიაში საქართველოს არავითარი ავტონომია არ ჰქონდა. **მეორე პერიოდი** იყო 1921-1991 წლები, როდესაც საქართველო იყო ერთ-ერთი რესპუბლიკა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის (სსრკ) შემადგენლობაში.

სსრკ იყო უნიტარული სახელმწიფო, რომელიც იმართებოდა ერთი ცენტრიდან და ერთი პარტიის მიერ, მაგრამ მოკავშირე რესპუბლიკებს ჰქონდათ სახელმწიფოებრიობის ფორმალური, თუნდაც მკვეთრად შეზღუდული, ელემენტები: რესპუბლიკების განსხვავებული კულტურა და ეთნიკური მენტალობა ვერ მოსპო საბჭოეთში გაბატონებულმა კომუნისტურმა იდეოლოგიამაც კი.

1991 წლის ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად იქცა. თანამედროვე საქართველო არის საყოველთაოდ აღიარებული სუვერენული სახელმწიფო, გაერო-ს წევრი. ის საერთაშორისო სამართლის სუბიექტია. მაგრამ, როგორც ყველა პატარა სახელმწიფოს, საქართველოსაც უხდება თავის საგარეო (და, არც თუ იშვიათად, საშინაო) პოლიტიკაში ახლოს და შორს მდებარე ზესახელმწიფოებისა და სახელმწიფოთა გაერთიანებების პოზიციების გათვალისწინება. ესეც ქმნის ობიექტურ კონტექსტს ქვეყნის სუვერენიტეტისათვის, რომლის ცოდნა და გაცნობიერება სტუდენტებისათვის ზედმეტი არ იქნებოდა.

წინამდებარე სახელმძღვანელო **მიზნად** ისახავს მისცეს სტუდენტებს ცოდნა საქართველოს XX-XXI საუკუნეების განვითარებაზე **ზემოქმედი ისტორიულ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური ფაქტორების შესახებ** (ხანდახან, მოკლე ისტორიული წიაღსვლებით უფრო ადრეულ ხანაში). ასეთი ცოდნის სრულყოფა ხდება, **უპირველესად, საქართველოს სამეზობლოში და, ზოგადად, მსოფლიოში** მომხდარ თუ მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებთან კავშირში, რომლებიც ქმნიდნენ და ქმნიან **სივრცით კონტექსტს საქართველოსთვის.**

* * *

საერთაშორისო დონეზე აღიარებული ყველა სახელმწიფოს გეოგრაფია და ისტორია აქ განიხილება მის თანამედროვე საზღვრებში და **თანამედროვე სახელით.** ეს ნიშნავს რომ, მაგალითად, სომხეთის ან საქართველოს შემთხვევებში არ იგულისხმება „ისტორიული სომხეთი“ ან „ისტორიული საქართველო“.

სახელმწიფოს თვითსახელს დიდი მნიშვნელობა ენიჭება იქ მცხოვრები ადამიანების იდენტობის ჩამოყალიბებისათვის. მაგალითად, ასი წლის წინ არ არსებობდა **საუდის არაბეთი:** მის ამჟამინდელ ტერიტორიაზე იყო რამდენიმე პოლიტიკური წარმონაქმნი, მათ შორის უმთავრესი იყვნენ ნაჯდის სასულტნო და ჰიჯაზის სამეფო. ეს უკანასკნელი 1919 წელს მიიღეს „ერთა ლიგაში“, იმდროინდელ ძირითად საერთაშორისო ორგანიზაციაში და დანარჩენი მსოფლიო, მათ შორის მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო, დიდი ბრიტანეთიც, კი, აღიარებდა ჰიჯაზის დამოუკიდებლობას. მაგრამ 1925 წელს ნაჯდის მმართველმა აბდალაზიზმა, რომელიც საუდიანთა დინასტიას ეკუთვნოდა, დაიპყრო და შეიერთა ჰიჯაზი. 1932 წელს აბდალაზიზმა გამოაცხადა ერთიანი „საუდის არაბეთის სამეფოს“ შექმნა. საერთაშორისო საზოგადოება ძალიან მალე შეეგუა ამ, ძალადობრივად განხორციელებულ, პოლიტიკურ აქტს. ჰიჯაზი გაქრა მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან და ეს სახელი აღნიშნავს თანამედროვე საუდის არაბეთის სამეფოს ნაწილს. ამ სამეფოს მოქალაქეებს კი ჩამოუყალიბდათ ***„საუდიელების“*** თვითშეგნება.

სხვა მაგალითია მეზობელი **აზერბაიჯანი.** 1918 წლამდე ეს სახელი ერქვა მდ. არაქსის სამხრეთით მდებარე ირანის პროვინციას, სადაც მოსახლეობის უმრავლესობის ენა იგივე იყო, რაც მდ. არაქსის ჩრდილოეთით, ყოფილი რუსეთის იმპერიის ბაქოსა და ელისავეტპოლის გუბერნიების ტერიტორიებზე, მცხოვრებთა ენა. 1918 წლის მაისის ბოლოს მდ. არაქსის ჩრდილოეთით ახალშექმნილმა სახელმწიფომ სახელად დაირქვა „აზერბაიჯანი“. ამ სახელით შევიდა ეს პოლიტიკური წარმონაქმნი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში და 1991 წლის ბოლოს იმავე სახელით გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. მის მოქალაქეებს ჩამოუყალიბდათ **აზერბაიჯანული თვითშეგნება.** აზერბაიჯანის რესპუბლიკის გეოგრაფიას და ისტორიას მის ამჟამინდელ საზღვრებში განვიხილავთ.

ლექცია 1

საქართველოს ცვალებადი პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა და გეოპოლიტიკა

პოლიტიკური გეოგრაფიისა და გეოპოლიტიკის შესახებ

ეს კურსი მიზნად ისახავს საქართველოს განხილვას მსოფლიო, და უფრო მეტად, სამხრეთ კავკასიის ისტორიული პოლიტიკური-გეოგრაფიისა და გეოპოლიტიკის კონტექსტში.

საჭიროა თავიდანვე განიმარტოს განსხვავება პოლიტიკურ გეოგრაფიასა და გეოპოლიტიკას შორის.

ტერმინ „პოლიტიკური გეოგრაფიის" გამოყენება ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ევროპელ მეცნიერთა შრომებში გვხდება, მაგრამ ამ დისციპლინის თეორიულ საწყისად სამართლიანადაა მიჩნეული გერმანელი მეცნიერი **ფრიდრიხ რატცელის** 1897 წელს გამოცემული წიგნი „Politische Geographie" („პოლიტიკური გეოგრაფია"). ტერმინი „გეოპოლიტიკა" კი პირველად ჩნდება XX საუკუნის დასაწყისში რატცელის მიმდევრის, შვედი მეცნიერი **რუდოლფ ჩიოლენის,** შრომებში.

ცნებები პოლიტიკური გეოგრაფია და გეოპოლიტიკა საერთო საწყისიდან – გეოგრაფიიდან – მოდის, მაგრამ ეს მეცნიერებები განსხვავებულ საკითხთა კვლევას ემსახურება. მაგალითად, დედამიწის ზედაპირზე ყველანაირი „მდებარეობა" გეოგრაფიის კვლევის საგანია. არსებობს მხოლოდ „გეოგრაფიული მდებარეობა". არ არსებობს „გეოპოლიტიკური მდებარეობა", მაგრამ არსებობს „გეოპოლიტიკური ვითარება", „გეოპოლიტიკური მიზანი" და ა.შ. გეოპოლიტიკა არ სწავლობს ქვეყნის შიდა სივრცეს.

პოლიტიკური გეოგრაფია სწავლობს ნებისმიერი სახის ძალაუფლების სივრცეში განაწილებას, ქვეყნის საზღვრებს, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას, საარჩევნო ოლქების კონფიგურაციას და მათ ცვლილებას, არჩევნების სივრცით შედეგებს და სხვ. პოლიტიკური გეოგრაფია იკვლევს სახელმწიფოს როგორც შიდა სივრცეს, ისე მის გარეთ არსებულ პოლიტიკურ სივრცეს. ისტორიული პოლიტიკური გეოგრაფია ქვეყნის/ქვეყნების სივრცეს ისტორიული კუთხიდან სწავლობს.

გეოპოლიტიკა განეკუთვნება პოლიტიკურ მეცნიერებებს, თუმცა ის ეყრდნობა გეოგრაფიისა და სხვა მეცნიერებების მონაცემებს. როგორც თეორია, გეოპოლიტიკა განგვიმარტავს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას, მის ცვალებად საგარეო-პოლიტიკურ ინტერესებს ფართოდ გაგებულ გეოგრაფიულ, ისტორიულ და ეკონომიკურ ფაქტორებზე დაყრდნობით. ასეთ ფაქტორებად გეოპოლიტიკა განიხილავს სახელმწიფოების გეოგრაფიულ მდებარეობას, განვითარების თავისებურებებს, ბუნებრივ-რესურსულ პოტენცი-

ალს, ეკონომიკის სტრუქტურას, სამხედრო ძალას, მოსახლეობის რიცხოვნობას, დინამიკას, სტრუქტურას, განლაგებას, მოქალაქეების თვალსაზრისს (მათ შორის, სოციალურ სტერეოტიპებს) სხვა ეთნოსებისა და სახელმწიფოების შესახებ და ა.შ. თუ განიხილება სახელმწიფოთა რეგიონული ჯგუფის (მაგალითად, სამხრეთ კავკასიის, დასავლეთ ბალკანეთის და ა.შ.) გეოპოლიტიკა, მაშინ ყურადღება ექცევა შიდარეგიონულ სხვაობებს.

„გეოპოლიტიკა“ ინგლისურად არის „Geopolitics“, მაგრამ როდესაც ამ ენაზე დაწერილ ტექსტში უნდათ ხოლმე აჩვენონ „უპრინციპო გეოპოლიტიკა სათავისო მიზნებით“, მიმართავენ მის გერმანულ გამოთქმასა და დაწერილობას – „Geopolitik“: ამ ტერმინს იყენებდა გერმანული ნაციზმი თავისი დამპყრობლური საგარეო პოლიტიკის გასამართლებლად 1930-იან წლებში და II მსოფლიო ომის დროს და, ამიტომაც, Geopolitik-ს ნეგატიური მნიშვნელობა დაუმკვიდრდა. „პრაგმატული გეოპოლიტიკა“, რომელიც თანამედროვე საგარეო პოლიტიკაშიც შეიმჩნევა, ულმობელია, მოქმედებს დაუწერელი „ჯუნგლის კანონებით“, სადაც „სიმართლე მხოლოდ ძლიერის მხარესაა“: ლიბერალური და ჰუმანიტარული რიტორიკა მისთვის მხოლოდ დეკორაციაა! „გეოპოლიტიკურ ჯუნგლებში“ სუსტს (ანუ პატარა სახელმწიფოს), შეუძლია გადარჩეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ძლიერ ხროვას“ შეეკედლება.

გეოპოლიტიკური ძვრა, რაც ასახავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვექტორის რადიკალურ ცვლილებას, უმტკივნეულოდ არ ხდება ხოლმე. ჩვეულებრივ, ესაა პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა ერთი „მფარველიდან“ სხვა „მფარველზე“, რაც იწვევს „ძველი მფარველის“ მხრიდან უკმაყოფილებას (გამოხატულს, მაგალითად, ეკონომიკურ სანქციებში). კუბამ, სადაც 1959 წლის ბოლოს რევოლუცია მოხდა, მალე შეცვალა პოლიტიკური ორიენტაცია ვაშინგტონიდან მოსკოვზე და დღემდე იმყოფება ამერიკული სანქციების ქვეშ. მაგრამ ეგვიპტემ 1973-74 წლებში, სადაც მთავრობაც კი არ შეცვლილა, გეოპოლიტიკური ძვრა ზუსტად საპირისპიროდ მოახდინა – მოსკოვიდან ვაშინგტონზე. მასაც ჰქონდა გარკვეული სანქციები, რომლებიც მისთვის დასრულდა.

„მფარველი“ ბრჭყალებშია ჩასმული, რადგან დიდი სახელმწიფო არასოდეს არის უანგარო მეგობარი: მისი განწყობა შეიძლება შეიცვალოს გეოპოლიტიკური გათვლების შესაბამისად. სახელმწიფოთა შორის გულწრფელი მეგობრობა არც შეიძლება არსებობდეს: ნებისმიერ გამოცხადებული „მეგობრობის“ უკან ყოველთვის დგას საკუთარი ინტერესები.

პატარა ქვეყნისათვის გეოპოლიტიკური ძვრა ჩვეულებრივ ნიშნავს ხოლმე პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლას ერთი ძლიერი მოკავშირიდან სხვა ძლიერ მოკავშირეზე.

ასე, მაგალითად, ქართლის ადრეულ ისტორიაში გეოპოლიტიკური ძვრა ორჯერ მოხდა: ჯერ ქრისტიანობის მიღებისას (IV ს.) და შემდგომში ქრისტი-

ანობის ქალკედონური (დიოფიზიტური: ამის შესახებ მე-14 ლექციაში ვისაუბრებთ) მიმართულების საბოლოო დამკვიდრებისას (VII ს-ის დამდეგი). ორივეჯერ ეს ფაქტობრივად იყო საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის პრაგმატული შეცვლა დასავლეთზე (ბიზანტიაზე) და უარის თქმა აღმოსავლეთზე (ირანზე). ორივე შემთხვევაში ეს იყო ქართლის დაშორება სასანელთა ირანისაგან (სადაც სახელმწიფო რელიგია იყო მაზდაიზმი, იგივე ზოროასტრიზმი), რომელიც უკეთ ეგუებოდა ქრისტიანობის იმ მიმართულებებს, რომელთაც ებრძოდა მისი ტრადიციული მტერი – ბიზანტია.

მაგრამ არცერთი ზემოხსენებული გეოპოლიტიკური ძვრა არ ნიშნავდა ქართლის „სამარადისო ძმობასა და მეგობრობას“ კონსტანტინოპოლთან: პერიოდული დაპირისპირება ბიზანტიასთან არანაკლებ სისხლიანი იყო, ვიდრე დაპირისპირება ირანთან!

უფრო ახლო პერიოდში ქართლ-კახეთის სამეფოს მიერ განხორციელებული გეოპოლიტიკური ძვრის თვალსაჩინო მაგალითია 1783 წლის „გეორგიევსკის ტრაქტატის“ გაფორმება, რომლის ძალითაც ერეკლე II ცნობდა მფარველად რუსეთის მონარქს და ზურგს აქცევდა ირანს, რომლის შაჰები XVI საუკუნიდან მიიჩნევდნენ თავის ვასალებად ქართლსა და კახეთს. „ტრაქტატის“ საპასუხოდ, ირანის იმდროინდელმა მმართველმა 1795 წელს ააოხრა თბილისი, თუმცა ამ სადამსჯელო აქციით ირანმა ზუსტად საპირისპირო შედეგი მიიღო – პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით გაუადვილა რუსეთის იმპერიას დამკვიდრება კავკასიონის ქედის სამხრეთით.

სახელმწიფოს, ჩვეულებრივ, აქვს ხოლმე დაუწერელი **გეოპოლიტიკური კოდი,** რომელიც ასახავს ხელისუფლებისა და მოსახლეობის კონსენსუსს მათი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ინტერესების, გარე საფრთხეების შესახებ და ამ საფრთხეების აშორებისა ან განეიტრალების მექანიზმების შესახებ. ბუნებრივია, ეს კოდი დროში ცვალებადია.

მსოფლიო ზესახელმწიფოებს აქვთ **გლობალური გეოპოლიტიკური კოდი:** მაგალითად, თანამედროვე აშშ-ს მსოფლიოს ყველა კუთხეში ეგულება თავისთვის „სასიცოცხლო“ გეოპოლიტიკური ინტერესები და, შესაბამისად, ხედავს გარე საფრთხეებს. „ცივი ომის“ დროს (1946-1990) გლობალური გეოპოლიტიკური კოდი ჰქონდა იმ დროს არსებულ საბჭოთა კავშირსაც. ახლო მომავალში ასეთივე კოდი გაუჩნდება (თუ უკვე არ გაუჩნდა) ჩინეთს. ყოფილ მსოფლიო ჰეგემონს, დიდ ბრიტანეთს, კი XX საუკუნის შუა წლებიდან მომხდარი დეკოლონიზაციის კვალდაკვალ გლობალური გეოპოლიტიკური კოდის საჭიროება თითქმის დაეკარგა.

რეგიონული გეოპოლიტიკური კოდი აქვთ რეგიონულ ზესახელმწიფოებს. ასეთებად ამჟამად შეიძლება მივიჩნიოთ რუსეთის ფედერაცია, ინდოეთი, თურქეთი, ირანი, ბრაზილია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და რამდენიმე სხვა.

პატარა ქვეყანას ჩვეულებრივ აქვს **ლოკალური გეოპოლიტიკური კოდი,** თუმცა „მფარველი“ შეიძლება შორს ეგულებოდეს: თვალსაჩინო მაგალითია ერთმანეთისგან ძალიან დაშორებული პატარა ისრაელისა და დიდი აშშ-ის ურთიერთობა (რომლის არსს განვმარტავთ ჩვენს სხვა სალექციო კურსში „ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია და გეოპოლიტიკა“).

საქართველოს სივრცითი კონტექსტი

გარე ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს სივრცით კონტექსტს, საქართველოსათვის ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. შიდა ფაქტორები – ქვეყნის მდებარეობა და ზომა (იგულისხმება მსოფლიოს ბევრ სხვა სახელმწიფოსთან შედარებით მცირე ტერიტორია, მცირე მოსახლეობა, მცირე ეკონომიკური პოტენციალი) ძალიან ზღუდავდა მის შესაძლებლობას ზემოქმედება მოეხდინა ქვეყნის გარეთ მიმდინარე პროცესებზე. პირიქით, გარეთ მიმდინარე პროცესები მეტ გავლენას ახდენდა საქართველოზე.

ასეთია ყველა პატარა ქვეყნის ხვედრი: მის შიდაპოლიტიკურ პროცესებზეც კი, არცთუ იშვიათად, გარე ფაქტორები ახდენს ზეგავლენას. ბუნებრივია, ყველა ზესახელმწიფო პატარა ქვეყანაზე ზეგავლენისათვის ყოველთვის იყენებს მის მიერვე დაფინანსებულ შიდა აგენტურას.

რასაკვირველია, გაგვიხარდებოდა, რომ დამოუკიდებელ საქართველოს საერთოდ არ სჭირდებოდეს თავის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში ვაშინგტონისა და ბრიუსელის, მოსკოვისა და ანკარის აზრის გათვალისწინება. მაგრამ, ეს მიუღწეველი ოცნებაა! ისე, არც ზესახელმწიფოებს აქვთ გარე ფაქტორების სრული უგულვებელყოფის ფუფუნება: მოსკოვსაც არ შეუძლია არ გაითვალისწინოს ვაშინგტონისა თუ პეკინის პოზიცია; ვაშინგტონიც კი იძულებულია ერთგვარი ანგარიში გაუწიოს იერუსალიმის, პეკინისა თუ ბრიუსელის აზრს.

ერთ ადგილას მომხდარმა ლოკალურმა პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა მოვლენამ მალე შეიძლება მოიტანოს მსოფლიო მნიშვნელობის შედეგი. ამის თვალსაჩინო მაგალითია ჩინეთის ერთ პროვინციულ ქალაქ ვუჰანში 2019 წლის ბოლოს გამოვლენილი ადრე უცნობი კორონავირუსი (მის მიერ გამოწვეულ დაავადებას ეწოდა „კოვიდ-19“), რომელმაც სამი თვის შემდეგ გამოიწვია პანდემია და მკვეთრად შეაფერხა მსოფლიო ეკონომიკის განვითარება. პანდემიამ ამერიკის შიდა პოლიტიკაზეც კი იქონია გავლენა: ექსპერტების აზრით, ამერიკის 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი მნიშვნელოვანწილად განაპირობა პანდემიასთან ბრძოლაში წინა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა.

Geopolitik-ის გამოვლინებაა, რომ სერბეთის შემადგენლობაში შემავალი, უმეტესწილად ეთნიკური ალბანელებით დასახლებული კოსოვო, დასავლეთის ქვეყნებმა აშშ-ის მეთაურობით, საერთაშორისო სამართლის უგულვებელყოფითა და სერბეთის თანხმობის გარეშე, 2008 წელს დამოუკიდებლად ცნეს. ამ ფაქტმა, არაპირდაპირი (მაგრამ ძალიან მძიმე!) გავლენა მოახდინა საქართველოზე, რადგან იმავე 2008 წელს მისცა რუსეთს დამატებითი საბაბი (ძირითადი სხვა იყო: იხ. ქვემოთ) აგრესიისათვის ჩვენი ქვეყნის, როგორც „დასავლეთის მოკავშირის", წინააღმდეგ.

ისტორიას ახსოვს შორს მომხდარი სხვა პროცესები და მოვლენები, რომლებმაც საქართველოზე უარყოფითი გავლენა იქონია: ლექციების კურსში ზოგიერთი ასეთი ხდომილება იქნება განხილული.

ზოგიერთმა შორეულმა პოლიტიკურმა ხდომილებამ კი, რომელთაც ზოგადად პოზიტიური შეფასება არ ეკუთვნით, **ირიბად გაუწია პოზიტიური სამსახური საქართველოს.** მოვიყვან რამდენიმე ასეთ მაგალითს:

- 1914 წლის ივნისში სარაევოში სერბი ტერორისტის მიერ ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის მოკვლამ ერთ თვეში მოახდინა სისხლისმღვრელი მსოფლიო ომის დაწყების პროვოცირება. I მსოფლიო ომმა შეიწირა ოთხი იმპერია – რუსეთი, ოსმალეთი, ავსტრია-უნგრეთი და გერმანია. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა (დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება) შესაძლებელი გახდა რუსეთის იმპერიის გაქრობის შემდეგ, რაც მსოფლიო ომის არაპირდაპირი შედეგი იყო;
- 1979 წლის ირანის ისლამურმა რევოლუციამ და მთიანი ყარაბაღის გამო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის 1988 წელს დაწყებულმა კონფლიქტმა განაპირობა ის, რომ XXI საუკუნის დამდეგს კასპიის ზღვის აუზიდან ხმელთაშუა ზღვისაკენ მიმართული ნავთობისა და გაზის საექსპორტო მილსადენები გავიდა საქართველოს გავლით და არა ირანისა ან სომხეთის ტერიტორიაზე (ამ საკითხს ამავე ლექციის ბოლოს მივუბრუნდებით).
- 1991 წლის 8 დეკემბერს სამი სლავური საბჭოთა რესპუბლიკის – რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის – ხელმძღვანელებმა სპონტანურად მიიღეს გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის დაშლის თაობაზე. ამ ხდომილებამ მოუტანა დამოუკიდებლობის ცნობა ყველა საბჭოთა რესპუბლიკას, მათ შორის საქართველოს.
- 1991 წლის 21 დეკემბერს საბჭოთა კავშირი დაიშალა იმ ადმინისტრაციული საზღვრების მიხედვით, რომლებიც საბჭოთა კანონმდებლობის თანახმად ჰქონდათ დამტკიცებული მოკავშირე რესპუბლიკებს. ადმინისტრაციული საზღვრები სახელმწიფო საზღვრებად იქცა და ისინი საერთაშორისო საზოგადოებამ კანონიერად აღიარა.

გეოგრაფიის როლი საქართველოს ისტორიაში

საქართველოს ისტორიულ სვე-ბედს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა მისი გეოგრაფია. ეს ბანალური ჭეშმარიტებაა: ყველა სხვა ქვეყანაზეც იგივე შეიძლება ითქვას!

„გეოგრაფიაში“ უპირველესად გულისხმობენ „მდებარეობას“, თუმცა სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება ტერიტორიის ბუნებრივ რესურსებს და შრომით რესურსებსაც, რომელთა განლაგებასაც გეოგრაფია სწავლობს,

მდებარეობა მრავალი პოზიციიდან შეიძლება შეფასდეს. განსხვავებით საქართველოს პრაქტიკულად უცვლელი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობისაგან („შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე“, „კავკასიონის ქედის სამხრეთით“ და ა. შ.), მისი პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ცვალებადი იყო, დამოკიდებული მრავალ საგარეო-პოლიტიკურ ფაქტორზე.

უცვლელი ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორია ის, რომ კავკასიონის ქედის სახით საქართველოს ჩრდილოეთის მხრიდან აქვს ფიზიკური ბარიერი. მართალია, ადამიანთა კონტაქტებს ის მთლიანად ვერ აფერხებდა და სამხედრო თვალსაზრისითაც, ის გადაულახავ ზღუდეს არ წარმოადგენს, მითუმეტეს, თანამედროვე ტექნოლოგიის პირობებში. სამხრეთის მხრიდან კი საქართველოს სერიოზული ფიზიკური ბარიერი არც არასოდეს ჰქონია და ისტორიულად ის უფრო ადვილად შეღწევადი იყო როგორც მტრული ძალისათვის, ისე, კულტურული გავლენებისთვისაც. „კულტურული დიფუზიის“ მაგალითია ქრისტიანობის სამხრეთიდან შემოსვლა და გავრცელება, რაც, საქართველოსათვის პროგრესულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

რაც შეეხება სატრანსპორტო-გეოგრაფიულ მდებარეობას, საქართველოს ტერიტორია ადრეც გამოიყენებოდა სატრანზიტოდ, მაგრამ – მცირე მასშტაბით. ყოველ შემთხვევაში, ძნელია ბოლო პერიოდში გავრცელებული თვალსაზრისის დადასტურება, თითქოს საქართველო მდებარეობდა „აბრეშუმის გზაზე“: ამ გზის ძირითადი განშტოებები თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ბევრად უფრო სამხრეთით ან ჩრდილოეთით გადიოდა (იხ. ნახ. 1).

მართალია, „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი გვერდითი განშტოება შუა საუკუნეების თბილისს აღწევდა და, შესაძლოა, ჩრდილოეთ კავკასიაშიც გადადიოდა. მაგრამ „დარიალის გზა“ მოუწყობელი და სახიფათო იყო და ასეთ ვაჭრობას შეზღუდული მნიშვნელობა ექნებოდა: კავკასიონის ჩრდილოეთით „აბრეშუმის გზის“ პროდუქციის მომხმარებელი ძალიან მცირერიცხოვანი იყო. მოსაზრებას „აბრეშუმის გზის“ რომელიმე განშტოების შავი ზღვის საქართველოს ნაპირთან მისვლის შესახებ დასაბუთებულად ვერ მივიჩნევთ, რადგან XIX საუკუნემდე ამ ნაპირზე არ არსებობდა რაიმე მნიშვნელოვანი ნავსადგური. პირველი, მეტნაკლებად მოწყობილი, ნავსადგური იყო ყულევი,

იგივე *რედუტ-კალე,* რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში ემსახურებოდა რუსეთის იმპერიის ინტერესებს.


ბალხაშის ტბა
ლონი
შავი ზღვა
ბოსფორი
სამსუნი
ტრაპაზონი
კონსტანტინოპოლი
არალის ზღვა
კასპიის ზღვა
ამუდარია
სირდარია
ისიკ-კულის ტბა
ფერღანი
თარიმის აუზი
ბუხარა
ბალხი
მერვი
ბამიანი
ბოტანი
ბუანე
ჩანგანი
ლიანი
ანტიოქია
ალეპო
დამასკო
სირია
ხმელეთაშუა ზღვა
ალექსანდრია
ნილოსი
ეგვიპტე
ეფრატი
ტიგროსი
ერევანი
ეჩმიაძინი
ირანი
ინდი
ბაღდადი
ბაბილონი
ბაბილონი
ქალაქი
ბაღდადი
ბასრა
ბაბილონი
ბაბილონი
ბაბილონი

(ახალშენი) შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე დიდი ხნის წინ დაკნინდა და გაქრა.

სახმელეთო „აბრეშუმის გზის“ საჭიროებამ შემცირება დაიწყო XV საუკუნის ბოლოდან, როდესაც პორტუგალიელებმა გაკვალეს საზღვაო გზა აფრიკის გარსშემოვლით სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიისაკენ. თითქმის საუკუნით გვიან მათ მიჰყვნენ ჰოლანდიელები, ფრანგები, ინგლისელები.

საქართველოს ისტორიული პოლიტიკური გეოგრაფიის მოკლე მონახაზი

პოლიტიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობას ახასიათებს დინამიზმი: ის იცვლება ქვეყნის ირგვლივ მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად. ამიტომ საჭიროდ მივიჩნევ პირველივე ლექციაში, ასე ვთქვათ, ფართო ისტორიული მონასმებით წარმოვადგინო საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის ცვალებადობა ბოლო ათასი წლის განმავლობაში.

ისტორიულ რეტროსპექტივაში საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ხელსაყრელი იყო ხოლმე იმ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც მის გარშემო შედარებით სუსტი მეზობლები იყვნენ და ის იმდენად მოძლიერდებოდა, რომ თვითონ შეეძლო საგარეო ექსპანსია: ასეთი იყო ერთიანი საქართველოს სამეფოს („ქართველ ბაგრატიონთა იმპერიის“) არსებობის ხანა XII-XIII საუკუნეებში.

საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ხელსაყრელია მაშინაც, როდესაც მისი ტერიტორია გამოიყენება მშვიდობიანი ტრანზიტისათვის: ასეა XX საუკუნის მიწურულიდან, როდესაც მას მეზობლები და შორს მდებარე ქვეყნები (თუნდაც, ერთგვარ) ანგარიშს უწევენ.

სამწუხაროდ, ისტორიულად, საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა უფრო ხშირად არახელსაყრელი იყო, როდესაც ქვეყანა ან პირდაპირი დაპყრობის ობიექტი ხდებოდა, ან მისი ტერიტორია გარეშე ძალისათვის „სამხედრო შარაგზის ან ფორპოსტის“ როლს ასრულებდა. მაგალითად, XIX საუკუნის პირველ ათწლეულებში რუსეთის იმპერიისათვის ის უპირველესად იყო საყრდენი ახლო აღმოსავლეთში შემდგომი ექსპანსიისათვის.

ჩვ. წ. X-XI საუკუნეთა მიჯნაზე ერთი ენის დიალექტებზე და მონათესავე ენებზე მეტყველი და საერთო რელიგიის მქონე მოსახლეობა გაერთიანდა ბაგრატიონთა დინასტიის ხელმწიფეების ხელქვეით და მემატიანეები იწყებენ მთელი ქვეყნის მოხსენიებას „**საქართველოს**“ სახელით (იხ. ჩანართი).

საქართველოს სახელის შესახებ

საქართველოს შემთხვევაში მოცემულობად მიგვაჩნია, რომ ასეთი სახელის მქონე ქვეყანა ათასწლეულების განმავლობაში არსებობდა. სინამდვილეში, **საქართველოს** სახელი გამოჩნდა ათასზე ცოტა მეტი წლის წინ, რაც მოკლე დრო არაა: დღეს არსებული სახელმწიფოებიდან უფრო დიდხანს ერთი და იგივე თვითსახელი აქვთ ჩინეთს (თვითსახელი *„ჟუნგვო“*), ირანს (*„ირან“*), ეგვიპტეს (*„მისრ“*), იაპონიას (*„ნიპპონ“*) და სულ რამდენიმე სხვას.

ამასთან, ფაქტია, რომ ორ ათასზე მეტი ხნის წინ მდ. მტკვრის აუზში უკვე არსებობდა სახელმწიფო, რომლის თვითსახელი იყო **ქართლი,** ხოლო მის მკვიდრებს ქართული წყაროები „ქართველებად“ მოიხსენიებენ. IX საუკუნის ბოლოს ტაოკლარჯეთში ჩნდება ტიტული „მეფე ქართველთა“, რომლის სამფლობელო იყო „საქართველო“ (ერთხანს გამოიყენებოდა ტერმინი „ყოველნი საქართველონი“).

მიუხედავად იმისა, რომ ერთიანმა საქართველოს სამეფომ უკვე XIII საუკუნის შუაწლებში დაიწყო დაშლა (საბოლოოდ ეს XV საუკუნეში გაფორმდა), საქართველოს იდეა არსებობას განაგრძობდა. მაგალითად, XVIII საუკუნეში ბატონიშვილმა ვახუშტმა თავის ძირითად ნაშრომს უწოდა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ვახუშტი წერდა მთელი ისტორიული საქართველოს შესახებ, თუმცა ასეთი სამეფო მის დროს აღარ არსებობდა.

სხვადასხვა ქართველური ტომების ქართველ ერად (ნაციად) კონსოლიდაციას, რაც ხანგრძლივი პროცესი იყო და ნიშნავდა საერთო ეთნო-კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებას, ხელი შეუწყო საერთო რელიგიამ და საერთო სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებამ, რომელიც იყენებდა საკუთარ დამწერლობას.

ის, რომ ქართველებსა და საქართველოს მეზობელი ეთნოსები იცნობდნენ სხვადასხვა სახელებით, მოწმობს იმას, რომ „ქვეყანა ძველია“, განსხვავებით „ახალი ქვეყნებისგან“, რომლებიც ბოლო ორიოდე საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბდნენ და მათ ყველგან იცნობენ ერთი და იმავე სახელით (ამის მაგალითებია ავსტრალია, ბოლივია, კოლუმბია, ბურკინა-ფასო, ინდონეზია, აზერბაიჯანი, პაკისტანი და სხვ.). მათ საპირისპიროდ, მაგალითად, „ძველ ქვეყანა“ გერმანიას (ეს სახელი რომაელებიდან მოდის), რომლის თვითსახელი არის „დოიჩლანდ“ (Deutschland), სხვა ხალხები იცნობენ, როგორც „ალემან“, „ნემცი“, „ტედესკო“ და ა. შ.

ანალოგიურად მოხდა ქართველების/საქართველოს სახელების შემთხვევაში. სომხები ქართველს უწოდებენ „ვრაცი“-ს, ქართლს/საქართველოს კი – „ვრასტან“ (ადრეული გამოთქმით „ვირქ“); ბერძნები ქართლს უწოდებდნენ „იბერია/ივერიას“; ძველ-სპარსულად ქართლის ხალხის (ქართველების) სახელი იყო „ვარუჩან“, ხოლო ახალ-სპარსულში – „გორგი/გორჯი“, რომელთა ქვეყანას უწოდებენ „გორჯესტან“-ს.

უცხო ენებზე ქართველების აღმნიშვნელი ყველა სხვა ფორმა მოდის სპარსული სახელი „გორჯი“-დან: სირიულად ეს გამოდიოდა „გურზი“, არაბულად – „ჯურზი/ჯურჯი/ქურჯი“ (კლასიკურ არაბულში არაა „გ“: მას ენაცვლება „ჯ“ ან „ქ“), რუსულად – „გრუზინ“ (რუსულში არაა „ჯ“, ის „ზ“-თი შეიცვალა)

შუა საუკუნეების იტალიელმა (ალბათ, ვენეციელმა?) ზღვაოსნებმა არაბებისგან გაიგეს ერთი კავკასიელი ხალხის სახელი – „ჯურჯი“, დაუკავშირეს ის იტალიურ „Giorgio“-ს (ანუ „გიორგის“: იტალიურად გამოითქმის „ჯორჯო“) და ევროპულ ენებში მათგან გავრცელდა „Georgia/la Géorgie/Georgien“ და ა.შ.

ამ თემაზე მეტი შეიძლება წაიკითხოთ წიგნში **„საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია**“, თბილისი: მეცნიერება, 1993, 626 გვ.

ჩვ. წ. I და II ათასწლეულების მიჯნაზე, ქართველთა სამეფო გაერთიანდა აფხაზთა სამეფოსთან, რომელიც მოიცავდა დასავლეთ საქართველოს ძირითადად ქართველურენოვანი ეთნიკური ჯგუფებისა და, აგრეთვე, სხვა ენობრივი ოჯახის ენებზე მეტყველი აფსილების/აბაზგების განსახლების არეალს. „აფხაზთა მეფე“ იმ დროს იყო ქართველ ბაგრატიონთა წარმომადგენელი, რომელსაც მემკვიდრეობით ერგო „ქართველთა მეფის“ გვირგვინიც. გაერთიანებული სამეფოს მონარქის ტიტული გახდა „მეფე აფხაზთა და ქართველთა“.

იმდროინდელი საქართველო ემეზობლებოდა დიდ ქრისტიანულ სახელმწიფოს – ქართულად „საბერძნეთს“, რომლის თვითსახელი იყო „**რომაელთა სამეფო**“ [ბერძნულად „ბასილეია ტონ რომაიონ“]. XVI საუკუნეში ერთმა გერმანელმა მეცნიერმა იმ დროისათვის უკვე არარსებულ ქვეყანას (მისი ტერიტორია ოსმალეთმა დაიპყრო) „**ბიზანტია**“ უწოდა და ეს სახელი მას შერჩა. ქართული წყაროები „ბიზანტიას“ არ იცნობენ. თუმცა შუა საუკუნეების ქართველი მემატიანე ლეონტი მროველი ერთგან ახსენებს – „*ბიზინტიაჲ*“, მაგრამ მხოლოდ ქალაქ „*კონსტანტინეპოლეს*“ ძველ სახელად. მეზობელი ქვეყანა ლეონტისთვისაც „**საბერძნეთი**“ იყო.

XI საუკუნეში საქართველო სამხრეთით ემეზობლებოდა ქრისტიანულ (თუმცა კონფესიურად საქართველოსგან განსხვავებულ) **სომხურ** სამეფო--სამთავროებს, რომელთაგან უკანასკნელი 1045 წელს გაუქმდა (ის ბიზანტიამ შეიერთა). სამხრეთ-აღმოსავლეთის მეზობლები იყვნენ იმ დროისათვის მნიშვნელოვანწილად ისლამზე გადასული **რანი** (სომხურად აღვანქ, ბერძნულად – ალბანია, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ბალკანეთის ალბანეთთან) და ისლამიზებული, ირანულენოვანი **შარვანი** (XVI საუკუნიდან ის *შირვანად* იწოდებოდა).

კავკასიონის ქედის გადაღმა საქართველოს მეზობლები იყვნენ *ოსების* (ალანების), *ადიღების* (რომლებსაც *ქაშაკ-ებადაც* ვიცნობდით), *ვაინახების* (ჩეჩნებისა და ინგუშების: მათ *დურძუკ-ებს* ვუწოდებდით), დაღესტნელების (მათ კრებით სახელად გვიან შუა საუკუნეებში „*ლეკებს*“ ვიყენებდით) ტომები, ტომობრივი გაერთიანებები ან პროტო-სახელმწიფოები, რომლებზეც ერთიანი საქართველოს სამეფო კულტურულ გავლენას ახდენდა, მათ შორის ქრისტიანული მისიონერული მოღვაწეობის გზით.

თუმცა ისტორიას ახსოვს მძიმე შედეგის მომტანი მრავალი შემოსევა მეზობელი სახელმწიფოებისა და ხალხების მხრიდან, ურთიერთობა მეზობლებთან ყოველთვის სამხედრო შეხლა არ ყოფილა. მშვიდობიანი ეკონომიკური და კულტურული კონტაქტები აისახა ქართული ენის ლექსიკაში, რომელმაც

შეითვისა მრავალი სიტყვა სპარსულიდან, ბერძნულიდან, არაბულიდან, სომხურიდან, თურქულიდან და ა.შ.

XI საუკუნის მეორე ნახევრიდან სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით საქართველოს მეზობლები გახდნენ ცენტრალური აზიიდან მოსული სელჩუკიანი თიურქები[1], რომლებიც ცოტა ხნით ადრე გადავიდნენ ისლამზე და შეუერთდნენ ისლამურ ცივილიზაციას. საბოლოოდ, სელჩუკიანი თიურქები შეერივნენ სამხრეთ კავკასიაში და ანატოლიაში ადრე მცხოვრებ ხალხებს და მათ შორის გაავრცელეს საკუთარი ენა. კავკასიაში მათ მემკვიდრეებს ახლა აზერბაიჯანელებად ვიცნობთ, ანატოლიაში მცხოვრებთ კი – თურქებად.

თითქოს პარადოქსია, რომ საქართველოსათვის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური ვითარება სწორედ სელჩუკიანი თიურქების შემოსევის ეპოქაში შეიქმნა. თავდაპირველი სამხედრო წარმატების შემდეგ (იმ დროს ხდებოდა საქართველოს ისტორიიდან ცნობილი „დიდი თურქობა“) სელჩუკიანთა ერთიანობა დაირღვა. მათ შექმნეს რამდენიმე, არც თუ დიდი ზომის, სახელმწიფო, რომლებიც ერთმანეთს დაუნდობლად ებრძოდნენ. მათთან მეტოქეობა ერთიან საქართველოს უფრო ადვილად შეეძლო, ვიდრე იქამდე და შემდგომში არსებულ მეზობელ იმპერიებთან. გარდა ამისა, XI საუკუნის ბოლოს ახლო აღმოსავლეთში მივიდა ევროპული ძალა – ჯვაროსნები, რომლებიც თიურქებს დაუპირისპირდნენ.

კათოლიკე ჯვაროსნები სულაც არ იყვნენ მართლმადიდებლების მოკავშირენი. 1099 წელს იერუსალიმის აღების შემდეგ, ჯვაროსნებმა მახვილს მისცეს ადგილობრივი მუსლიმი და მართლმადიდებელი მოსახლეობა; 1204 წელს ჯვაროსნებმა აიღეს და პირწმინდად გაძარცვეს მართლმადიდებლობის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი – კონსტანტინოპოლი. ნახევარი საუკუნის შემდეგ ასე თუ ისე აღორძინებული ბიზანტია ძველი იმპერიის აჩრდილსღა წარმოადგენდა.

XII საუკუნეში ბაგრატიონთა დინასტიამ გააერთიანა ქართული მიწები და გაფართოვდა რანის, სომხეთისა და შარვანის დაპყრობის ხარჯზე, შემოიერთა იქამდე დამოუკიდებელი ქართულენოვანი კახეთი. მონარქის ტიტული გახდა **„მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა**...“ („შა“ არის „შაჰის“ შემოკლება). ასეთ მრავალერო-

[1] სიტყვა „**თიურქები**“ გამოყენებულია „**თიურქულენოვანი**“ ხალხების – აზერბაიჯანელების, ყაზახების, თათრების, უზბეკების, თურქმენების, ყირგიზების, იაკუტების, ყარაჩაელების, ბალყარელების, თურქეთის რესპუბლიკის „თურქების“ და მრავალ სხვათა – კრებით სახელად. ეს კეთდება სხვა ენების ანალოგიით, მაგალითად, **თურქულ** ენას და **თიურქულ** ენებს ასხვავებს ინგლისური (Turkish language – Turkic languages), რუსული (турецкий язык – тюркские языки); გერმანულად ასხვავებენ Turk-ს და Türk-ს და ა.შ.

ასეთი განსხვავების გაკეთების გარეშე ყველა ზემოხსენებული ხალხი „თურქი“ გამოვიდოდა!

ვან სახელმწიფოს შეგვიძლია ვუწოდოთ „ქართველ ბაგრატიონთა იმპერია“ (ისტორიკოსები ანალოგიურად მოიხსენიებენ ხოლმე „პლანტაგენეტთა“, „ბულგარელთა“, „სერბთა“ და სხვა „იმპერიებს“).

XIII საუკუნეში ირანსა და დანარჩენ ახლო აღმოსავლეთში მოსული მონღოლების სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია სელჩუკიანებზე უფრო სრულყოფილი და საქართველოსათვის საშიში იყო. მონღოლთა ბატონობა ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში შედარებით ხანმოკლე აღმოჩნდა. არცთუ მრავალრიცხოვანი ეთნიკური მონღოლები, საბოლოოდ, ისლამზე გადავიდნენ, გათიურქდნენ და მათი იმპერიის ადგილზე გაბატონდნენ სხვა თიურქული დინასტიები.

საქართველოს ერთიანი სამეფოს საბოლოო დაშლა XV საუკუნეში მოხდა, რაც განაპირობა როგორც საგარეო მიზეზებმა, ისე, და უფრო მეტად, ფეოდალურმა ანარქიამ, შიდადინასტიურმა ქიშპმა, ერთიანი ეკონომიკის არარსებობამ.

თუმცა საქართველო დაიშალა სამ სამეფოდ და რამდენიმე სამთავროდ, მაგრამ ერთიანობის იდეა არ მომკვდარა: მის ფაქტორებად რჩებოდა საერთო რელიგია (დიოფიზიტური მართლმადიდებლობა) და საერთო სამწერლობო ენა, რომელსაც იყენებდნენ ღვთისმსახურებისათვის ყველა ქართულ სამეფო-სამთავროში.

XVI საუკუნიდან ქართული სამეფო-სამთავროების მეზობელი სამხრეთ-დასავლეთით გახდა ძლიერების ზენიტში მყოფი **ოსმალეთის იმპერია,** სამხრეთ-აღმოსავლეთით კი – სეფიანთა თიურქული წარმოშობის დინასტიის მიერ გაერთიანებული და მალე ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ ძირითად გეოპოლიტიკურ მოთამაშედ ქცეული **ირანი** (იმდროინდელი უცხოელები მას უწოდებდნენ **Persia**-ს, ხოლო ქართველები – **სპარსეთს),** რომელიც გაბატონდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაშიც.

ეს ორი მუსლიმური იმპერია ერთმანეთს მძაფრად დაუპირისპირდა. გარდა გეოპოლიტიკური ინტერესების შეუთავსებლობისა, ოსმალეთსა და სპარსეთს რელიგიური დაპირისპირებაც ჰქონდათ: ოსმალეთში ისლამის სუნიტური მიმართულება ბატონობდა, ხოლო სპარსეთში – შიიტური: ისინი ერთიმეორეს ჭეშმარიტი ისლამის ღალატსა და მწვალებლობაში სდებდნენ ბრალს.

ეს ქვეყნები ერთმანეთის მოკავშირეები არასოდეს ყოფილან. არასწორია ხანდახან გამოყენებული ფორმულა, თითქოს „გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს საფრთხეს უქმნიდა აგრესია სპარსეთ-ოსმალეთის მხრიდან“: აგრესია შეიძლებოდა ყოფილიყო ან მხოლოდ სპარსეთის, ან მხოლოდ ოსმალეთის მხრიდან. ქართულ სამეფო-სამთავროებს შეეძლოთ „სიტუაციურ მოკავშირედ“ მიეჩნიათ მეორე მხარე, რომელიც მათ იმდროინდელ მოწინააღმდეგეს უპირისპირდებოდა.

ოსმალეთ-სპარსეთის ხანგრძლივი, გამომფიტავი ომების შემდეგ, როდესაც ვერც ერთი ვერ ახერხებდა მეორის მთლიანად განადგურებას, მხარეები თანხმდებოდნენ ხოლმე ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ კავკასიის, მათ შორის საქართველოს, გაყოფაზე: ეს მეორდებოდა 1555, 1639, 1746 წლების სპარსეთ-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებებით.

ამ ზავების შედეგად დასავლეთი საქართველო ოსმალეთის გავლენის სფეროში მოექცა. „ხონთქრის“ (ოსმალეთის სულტნის ერთ-ერთი ტიტული იყო **Hunkâr** – „მბრძანებელი“) ვასალები იყვნენ იმერეთის მეფე, ოდიშის, აფხაზეთის, გურიის მთავრები. მათ დინასტიურ საქმეებში ოსმალეთი მინიმალურად ერეოდა.

ისფაჰანის (ის დიდხანს იყო სპარსეთის დედაქალაქი: უფრო ადრე შაჰის ტახტი იდგა ჯერ თავრიზსა და შემდეგ – ყაზვინში) გავლენა ქართლსა და კახეთზე უფრო დიდი იყო, ვიდრე **სტამბოლის** (ის ოსმალეთის დედაქალაქი იყო) გავლენა დასავლეთ საქართველოს მმართველებზე. 1632-1745 წლებში ქართლისა და კახეთის **ვალი-ს** (მაღალი რანგის მმართველს) სპარსეთის შაჰი ნიშნავდა ბაგრატიონთა დინასტიის წევრებიდან, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა მეფედ მიიჩნევდა. ვალის თანამდებობის დასაკავებლად ამ ბაგრატიონს მოეთხოვებოდა შიიტური მიმართულების ისლამში გადასვლა. მისი ქვეშევრდომების მიერ ქრისტიანობის დათმობას შაჰი არ მოითხოვდა: ის ამტკიცებდა მცხეთის კათოლიკოსსაც კი!

სამხრეთი საქართველო (სამცხე-საათაბაგო), უკვე XIII საუკუნის შუა წლებში ფაქტობრივად გამოეყო საქართველოს ერთიან სამეფოს: ათაბაგმა **ავაგ ივანეს ძე მხარგრძელმა** მონღოლებს შესთავაზა ამ პროვინციის პირდაპირი ვასალიტეტი. სამცხე-საათაბაგო საქართველოს სამეფოსაგან განცალკევებით უხდიდა ხარკს ჯერ მონღოლებს, შემდეგ – მათ მემკვიდრე თურქმანულ სახელმწიფოებსა და სპარსეთს. XVI საუკუნეში ოსმალეთ-სპარსეთის ომების დროს ოსმალეთმა დაიპყრო და შეიერთა სამცხე-საათაბაგო, რომლის მოსახლეობა ეთნო-რელიგიურად შერეული იყო: იქ მართლმადიდებელი ქართველების გარდა ცხოვრობდნენ გრიგორიანი სომხები, ქურთული და თურქმანული მუსლიმი ტომები. სამცხის მართლმადიდებელი მოსახლეობა თანდათან „გათათრდა“: გადავიდა ჯერ ისლამზე, რაც ერთგვარ ეკონომიკურ შეღავათს აძლევდა გლეხს (მას ქრისტიანზე ნაკლები გადასახადი უნდა ეხადა) და მოგვიანებით – თურქულ ენაზე. სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი (შავშეთი, ნიგალი, მაჭახელა, აჭარა), რომელიც ოსმალეთმა ასევე დაიპყრო, თითქმის მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული, შედარებით გვიან გადავიდა ისლამზე და ქართული ენა შეინარჩუნა.

XVI-XVIII საუკუნეებში ქართული სამეფო-სამთავროების პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ძალიან არახელსაყრელი იყო. მაგრამ მუსლიმური იმპერიების ბირთვებთან შედარებით პერიფერიულმა მდებარეობამ ქართუ-

ლი პოლიტიკური წარმონაქმნების უმეტესობისათვის, გარკვეული თვალსაზრისით, დადებითი მნიშვნელობა იქონია: სახელმწიფოებრიობას ქართული სამეფო-სამთავროები ინარჩუნებდნენ, მაშინ როდესაც სამხრეთის მეზობლებმა სახელმწიფოებრიობა ან მთლიანად დაკარგეს (სომხებმა), ან ვერც შეიძინეს (აზერბაიჯანელებმა, ქურთებმა). „სახელმწიფო“ იმ დროს გულისხმობდა მეტ-ნაკლებად დადგენილ ტერიტორიაზე ხელმწიფის არსებობას, რომელსაც სხვა ხელმწიფეები აღიარებდნენ.

რაც შეეხება ქართული სამეფო-სამთავროების პოლიტიკურ კონტაქტს დასავლეთ და ცენტრალურ ევროპასთან, XVI-XVIII საუკუნეებში ის პრაქტიკულად შეუძლებელი იყო იმავე პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო: შუაში მდებარეობდა ოსმალეთის იმპერია, რომელიც შავი ზღვის პერიმეტრს მთლიანად აკონტროლებდა. ოსმალეთის სულტნის ვასალი იყო ყირიმის ხანი, რომელიც ბატონობდა დღევანდელ სამხრეთ უკრაინაზე და ჩრდილოეთ კავკასიის დიდ ნაწილზე. სწორედ ყირიმიდან ვრცელდებოდა სუნიტური ისლამი ჩრდილოკავკასიელ ხალხებში.

გეოპოლიტიკური რეალობა იყო, რომ 1535 წლიდან ოსმალეთი ინარჩუნებდა კეთილგანწყობილ ურთიერთობას იმ დროს კონტინენტური ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს მონარქიასთან – საფრანგეთთან. ოსმალთა სულტანსა და ფრანგთა მეფეს ერთმანეთთან არასოდეს უომიათ: მათ საერთო მტრები ჰყავდათ ვენეციის დიდი დოჟის, ესპანეთის მეფის, ავსტრიის იმპერატორისა და სხვა ევროპელი მონარქების სახით! „ოსმალურ-ფრანგული მეგობრობა“ ურღვევი ჩანდა 1798 წლამდე, სანამ ოსმალეთის კუთვნილ ეგვიპტეში გაილაშქრებდა ფრანგული საექსპედიციო კორპუსი გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტის მეთაურობით.

XVIII საუკუნის დასაწყისში ქართლის თავადის, სულხან-საბა ორბელიანის, „ევროპული მისია“, როდესაც ის საფრანგეთის მეფეს წარუდგა, სამწუხაროდ, თავიდანვე იყო განწირული წარუმატებლობისთვის: საფრანგეთი არ აღმოუჩენდა ქართლს არავითარ სამხედრო-პოლიტიკურ ან ფინანსურ დახმარებას თუნდაც ირანისა და არა ოსმალეთის წინააღმდეგ. რომის პაპის, იტალიის პატარა სამთავროებისა ან ქალაქ-სახელმწიფოების მხრიდან რაიმე „ქმედით დახმარებაზე“ ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო!

კავკასიის მიმართ არავითარი ინტერესი არ ჰქონდა იმ დროს საშუალო დონის ევროპულ სახელმწიფოს – ინგლისს, რომელიც სწრაფად ძლიერდებოდა. 1600 წელს ლონდონში დაარსებული სააქციო საზოგადოება **East India Company** ფეხს იკიდებდა ინდოსტანის ნახევარკუნძულზე და ინდოეთის ოკეანის აუზში. XVII-XVIII საუკუნეებში ინგლისელ ვაჭარ-ზღვაოსნებს აზიაში აინტერესებდათ ინდოეთი, ირანი, ჩინეთი, საიდანაც აფრიკის გარსშემოვლით გაჰქონდათ ძვირფასი თვლები, აბრეშუმი, სანელებლები, ჩაი და სხვა ძვი--

რადღირებული და არამალფუჭადი საქონელი. ღარიბი კავკასია მათი ინტერესების სფეროში არ შედიოდა.

სპარსეთის **ნადირ-შაჰ ავშარმა** (1736-1747) ქართლისა და კახეთის მმართველებად 1745 წელს დაამტკიცა ბაგრატიონთა დინასტიის კახეთის შტოს წარმომადგენლები – მამა-შვილი **თეიმურაზი და ერეკლე,** არ მოსთხოვა მათ ისლამზე გადასვლა და ქრისტიანული წესით მეფედ კურთხევის უფლებაც მისცა, რაც არ მომხდარა XVII საუკუნის პირველი ათწლეულების შემდეგ. ნადირ-შაჰის კეთილგანწყობის მიზეზი იყო ის, რომ ერეკლემ მამაცად იბრძოლა მასთან ერთად ინდოეთსა და დაღესტანში ლაშქრობების დროს.

1750-1780-იან წლებში სპარსეთი დასუსტებული იყო და თბილისში მის საფრთხეს ვერ გრძნობდნენ. 1762 წელს ერეკლე II-მ გააერთიანა ქართლისა და კახეთის სამეფოები და პრაქტიკულად დამოუკიდებელი გახდა: ის აღარ უხდიდა ხარკს სპარსეთს. პირიქით, ერეკლემ თავის მოხარკედ აქცია სპარსეთის შემადგენლობაში მყოფი რამდენიმე მუსლიმური სახანო დღევანდელი აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიაზე.

1780-იან წლებში სპარსეთში მცხოვრები ყაჯართა თიურქული ტომის მემკვიდრეობითმა შეიხმა **აღა მოჰამად ხანმა** ხელახლა გააერთიანა სპარსეთი, თავის სატახტო ქალაქად აქცია **თეირანი** (1784 წ.) და კავკასიის ხელახალი დამორჩილება განიზრახა.

პოლიტიკური გეოგრაფია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში

სპარსეთის საპირწონედ და, განსაკუთრებით, დაღესტნელი მოთარეშეების გამუდმებული თავდასხმების („ლეკიანობის“) მოსაგერიებლად, რაც დიდ საფრთხეს უქმნიდა ქართლ-კახეთის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებას, ერეკლე II-მ გადაწყვიტა გაძლიერებული რუსეთის (1721 წლიდან – იმპერიის) გამოყენება, რომლის რეალური ან პოტენციური მეტოქეები საქართველოსაც მტრობდნენ: ესენი იყვნენ მუსლიმური იმპერიები და დაღესტნის ტომები. იმ დროისათვის რუსეთი უკვე მყარად მკვიდრდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში და შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირზე. 1783 წელს რუსეთმა მოახდინა იქამდე მის მიერვე დამოუკიდებლად აღიარებული ყირიმის სახანოს ანექსირება.

1783 წელსვე ერეკლე II-ის ინიციატივით გაფორმდა **„გეორგიევსკის ტრაქტატი“,** რომლის თანახმადაც ქართლ-კახეთი ხდებოდა რუსეთის იმპერიის პროტექტორატი. ტრაქტატის მე-6 არტიკულით ქართლ-კახეთი სამუდამოდ უნდა დარჩენილიყო ერეკლესა და მისი შთამომავლობის ხელში, ანუ **სამეფო, თუნდაც ვასალური, უნდა შენარჩუნებულიყო კახეთის ბაგრატიონთა ხელში.**

ტრაქტატის მე-4 არტიკულით ერეკლე II უარს აცხადებდა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებაზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ საჭიროების შემთხვევაში რუსეთს შეეძლო აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია გამოეყენებინა სამხედრო პლაცდარმად თავისი საგარეო პოლიტიკური მიზნებისათვის. მაგრამ 1795 წელს რუსეთმა არ აღმოუჩინა დახმარება ერეკლეს, როდესაც აღა მოჰამად ხანი თავს დაესხა მას და ააოხრა თბილისი.

ერეკლე II გარდაიცვალა 1798 წელს. ტახტზე ავიდა მისი უფროსი ვაჟი გიორგი XII, რომლის სიკვდილის შემდეგ, 1800 წლის ბოლოს, გაჩნდა მძაფრი მეტოქეობა ტახტისათვის: მასზე პრეტენზია ჰქონდათ როგორც გიორგის XII-ის ვაჟიშვილ დავითს, ისე ბიძამისს, ერეკლე II-ის ვაჟიშვილს მეორე მეუღლისგან – იულონს. ეს პრობლემა გაჩნდა იმის გამო, რომ 1791 წელს ერეკლემ თავისი მეორე მეუღლის დაჟინებული თხოვნით შეცვალა ტახტის მემკვიდრეობის ტრადიციული წესი და დაადგინა, რომ მეფედ უნდა კურთხეულიყო არა უფროსი უფლისწული, არამედ საგვარეულოს უხუცესი წევრი.

რუსეთის იმპერია ისედაც გეგმავდა სამხრეთ კავკასიაში შესვლას. პეტერბურგმა დამატებით საბაბად გამოიყენა თბილისში გაჩენილი შიდადინასტიური კონფლიქტი, გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და შეიერთა ის „საქართველოს გუბერნიის“ სახელით. 1811 წელს გაუქმდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია. რუსეთმა შეიერთა დასავლეთი საქართველოც და მალე – დანარჩენი სამხრეთი კავკასიაც. იმპერიამ მოსპო სახელმწიფოებრიობის ყველა ნიშანწყალი საქართველოში.

1917 წლამდე საქართველო დიდი იმპერიის ნაწილი იყო და დამოუკიდებელი საგარეო-პოლიტიკური ფუნქცია მას ვერ ექნებოდა.

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ იყო სპორადული აჯანყებები, მაგრამ მათი მოტივი უფრო სოციალური პრობლემები იყო, ვიდრე პოლიტიკური („ბეგარა მძიმეა“, „რუსი მოხელეები თავნებობენ“ და ა.შ.). იმპერია ადვილად გაუმკლავდა აჯანყებებს იმის გამოც, რომ ქართული არისტოკრატიის უმრავლესობა დიდი პრივილეგიების მიღების სანაცვლოდ რუსთ ხელმწიფისადმი ერთგულებას იჩენდა. თავადიშვილების 1832 წლის შეთქმულება ცუდად იყო მომზადებული და იმპერიამ ის ჩანასახშივე ჩაახშო.

პრივილეგიები მიენიჭა მართლმადიდებელ სამღვდელოებასაც: თავადაზნაურობის მსგავსად ისიც არ იხდიდა სახელმწიფო გადასახადებს. ყმა გლეხების მდგომარეობა კი დამძიმდა.

გერონტი ქიქოძე საქართველოს ისტორიის შესახებ

1915 წელს, იმპერიის დაშლამდე ორი წლით ადრე დაწერილ სტატიაში, ცნობილი მწერალი **გერონტი ქიქოძე** წერდა:

„მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენში არაჩვეულებრივად გაძლიერდა ჰუმანისტური და კოსმოპოლიტური იდეები. პოლიტიკურად დასუსტებულნი და ილაჯმიხდილნი ვიყავით და აღარ შეგვეძლო საკუთარ ფეხზე დგომა. ამიტომ ხელი ჩავსჭიდეთ სამართლიანი კაცობრიობის იდეას და ისე დავეყრდენით, როგორც დავრდომილი ყავარჯენს. გვეგონა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს სამართლიანი მსოფლიო მოვიდოდა და მალამოს დაადებდა ჩვენს ძველ ჭრილობებებს. ჩვენი მხრითაც ვცდილობდით, რაც შეიძლება მეტი მოკრძალება, სიყვარული და სტუმართმოყვარეობა გამოგვეჩინა მეზობლების წინაშე.

მაგრამ ყოველთვის ასეთი თავაზიანნი როდი ვყოფილვართ. იყო დრო, როცა ქედმაღალნი ვიყავით მსოფლიოს ბატონებივით. მაშინ გულიც უფრო ცივი და სასტიკი გვქონდა. მწერლებისა და მქადაგებლების პირით ვამტკიცებდით, რომ ღმერთს განსაკუთრებით უყვარს ჩვენი ტომი, მშვიდობის-მოყვარულ მეფეებს კი ხშირად შევსჩივლებდით: „არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა“.

სამხრეთი კავკასია რუსეთის იმპერიისათვის თავიდან ფასობდა მხოლოდ პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო. 1870-იანი წლებიდან ამ რეგიონის მთავარი ფასეულობა გახდა ბაქოს ნავთობი.

საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნის – „სამხრეთის თბილ ზღვებზე“ გასვლის – მისაღწევად რუსეთის იმპერია XIX საუკუნეში რამდენჯერმე შეიჭრა ოსმალეთის კუთვნილ ბალკანეთში, სადაც გადიოდა რუსეთ-ოსმალეთის ომების მთავარი ფრონტი. საქართველოს/კავკასიის ტერიტორიიდან კი რუსეთი დამატებით ფრონტს უხსნიდა ოსმალეთს აღმოსავლეთ ანატოლიაში.

„თბილ ზღვებზე“ გასვლის და, პარალელურად, კონსტანტინოპოლის (სტამბოლის) ხელში ჩაგდების გეოპოლიტიკური მიზანი, რუსეთის იმპერიას და მის ფაქტობრივ სამართალმემკვიდრე საბჭოთა კავშირს XX საუკუნის შუაწლებამდე ჰქონდა (ამის შესახებ მე-8 ლექციის დროს ვისაუბრებთ).

რუსეთის იმპერიის სუბიექტური მიზანი და ობიექტური შედეგები საქართველოში

ეჭვგარეშეა, რომ რუსეთის იმპერიის **სუბიექტური მიზანი** იყო საქართველოს სრული აბსორბცია („შესრუტვა“), მისი ხალხის ასიმილაციის გზით. ეს მიზანი იმპერიას განუხორციელებელი დარჩა: ქართველობა დაუმარცხებელი აღმოჩნდა!

მაგრამ **ობიექტური შედეგი** XIX საუკუნეში იყო საქართველოსათვის პოზიტიური არაერთი სოციალურ-კულტურული და პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცვლილება. მაგალითად,

- აიკრძალა „ტყვის სყიდვა“, აილაგმა „ლეკიანობა“. ამან გავლენა იქონია დემოგრაფიულ სიტუაციაზე. ქართულმა ეთნოსმა რიცხობრივად იმატა და XIX საუკუნის ბოლოს 1,3 მილიონს მიაღწია;

- რუსეთის იმპერიამ თანდათან მოახდინა ისტორიული საქართველოს მიწების შეკრება. რასაკვირველია, ეს კეთდებოდა იმპერიის საკუთარი ინტერესებიდან გამომ-

დინარე, მაგრამ ერთი იმპერიის შემადგენლობაში ყოფნა ხელსაყრელი გამოდგა იქამდე ორი იმპერიის ვასალად გაყოფილი საქართველოსათვის;

- მკვეთრად დაჩქარდა ქართული სუბეთნოსების კონსოლიდაცია და თანამედროვე, ევროპული ტიპის, ქართული ნაციის ფორმირება.

- ქართული ეთნოსის კონსოლიდაციას ხელი შეუწყო ერთმა ძვირადღირებულმა ინფრასტრუქტურულმა პროექტმაც - ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანამ (1872 წ.): მან გააადვილა ქუთაისის გუბერნიის მკვიდრთა მასობრივი მიგრაცია თბილისის გუბერნიაში, სადაც იქამდე ეთნიკური ქართველები მთელი მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებს შეადგენდნენ;

- ქართლ-კახეთის დედაქალაქი თბილისი იქცა მთელი „რუსეთის კავკასიის“ ცენტრად: იქ იჯდა იმპერატორის მეფისნაცვალი ან მთავარმმართებელი. ძირითადად იმ დროს აშენდა ის, რასაც ახლა „ძველ თბილისს“ ვუწოდებთ და რომლითაც ვიზიდავთ უცხოელ ტურისტებს;

- დაიწყო, ჩრდილოეთის გზით შემოსული, თუნდაც ზედაპირული ევროპეიზაცია;

- XIX საუკუნეში განვითარდა ქართული ლიტერატურა: მაშინ წერდნენ და აქვეყნებდნენ ილია, აკაკი, ვაჟა, ალექსანდრე ყაზბეგი, დავით კლდიაშვილი და მრავალი სხვა;

- იაკობ გოგებაშვილმა შეადგინა „დედა ენა“ და მოამზადა სხვა სასწავლო ლიტერატურა, რამაც ხელი შეუწყო განათლებას მშობლიურ ენაზე, თუნდაც დაწყებით დონეზე;

- იმპერიულმა ხელისუფლებამ არ აკრძალა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ ქართული დაწყებითი სკოლების დაარსება, „დედა ენის“, ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა;

- XX საუკუნის დასაწყისში თბილისსა და ქუთაისში დაარსდა ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიები. მასწავლებლები იქ უმეტესწილად ქართველები იყვნენ: ზოგიერთი მათგანი ცნობილი მეცნიერი გახდა.

I მსოფლიო ომის (1914-1918) ბოლო წელს და ამ ომის შემდგომი გეოპოლიტიკური ვითარება საქართველოს ირგვლივ ძალიან ცვალებადი იყო. ამ ომის შესახებ ვისაუბრებთ მე-4 ლექციის დროს, ხოლო საქართველოს ხანმოკლე პირველი დამოუკიდებლობის (1918-1921) დროინდელ პოლიტიკურ-გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ საკითხებს მე-5 ლექციის დროს შევეხებით.

1921-1991 წლებში საბჭოთა საქართველო, რომელიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ერთ-ერთ „დამფუძნებლად“ ითვლებოდა და საბჭოთა კონსტიტუციის თანახმად ფორმალურად „სუვერენულ სახელმწიფოს“ წარმოადგენდა, პოლიტიკურ-გეოგრაფიულად აღმოჩნდა დიდი უნიტარული სახელმწიფოს პერიფერიაზე.

პოლიტიკური გეოგრაფიის პოზიციიდან საბჭოთა საქართველოს მდებარეობა ჩიხური იყო. თავის აკვატორიას ის ვერ აკონტროლებდა: შავი ზღვის ნავსადგურები (ბათუმი, ფოთი) მოსკოვიდან იმართებოდა; მეზობლობა დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან, თურქეთთან, იმ დროს საერთოდ არ იგ-

რძნობოდა, რადგან საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარი 1933 წლიდან მთლიანად ჩაირაზა.

იმდროინდელ საზღვარგარეთელ სოვეტოლოგებს, ანუ იმათ, ვინც საბჭოთა კავშირს სწავლობდა, თავიანთ კვლევებში შეეძლოთ მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს, უგულვებელყოფა და კონცენტრირება მხოლოდ იმაზე, თუ რა ხდებოდა სახელმწიფოს ცენტრში, მოსკოვში.

რეალურად კი, მოკავშირე რესპუბლიკებში მიმდინარეობდა სერიოზული ეთნიკური პროცესები, ყალიბდებოდა ან ძლიერდებოდა ეთნიკური თვითშეგნება, რაც საბოლოოდ, ახალი სახელმწიფოების წარმოქმნის წინაპირობად იქცა: ამ თემას მომდევნო ლექციების დროს მივუბრუნდებით.

* * *

საბჭოთა კავშირის ოფიციალური დაშლის შემდეგ (1991 წლის 21 დეკემბერი) მსოფლიომ აღიარა ყველა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. საქართველო გახდა ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი.

საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა შეიცვალა. ის დაუმეზობლდა ოთხ დამოუკიდებელ სახელმწიფოს (იხ. ნახ. 2).

ევროპისა და აზიის შემაერთებელ კავკასიის ყელზე საქართველოს მდებარეობის გამო საერთაშორისო ორგანიზაციებს დღემდე არა აქვთ ერთსულოვნება იმაში, თუ ქვეყნის რომელ ნაწილს მიაკუთვნონ იგი – ევროპას თუ აზიას: გაეროს „დემოგრაფიულ წელიწდეულში“ საქართველო დასავლეთ აზიაშია შეტანილი, ევროპის საბჭომ კი თავის წევრად მიიღო (იხ. ჩანართი). 2023 წლის ბოლოს ის ევროპული კავშირის წევრობის კანდიდატად გამოცხადდა.

ნახ. 2.

თანამედროვე საქართველო რეგიონულ კონტექსტში
[წყარო: ავტორისეული ნაშრომი]

სად მდებარეობს დღევანდელი საქართველო – ევროპასა თუ აზიაში?

სასკოლო გეოგრაფიის სწავლებას, ჩვეულებრივ, ფიზიკურ-გეოგრაფიული კუთხით იწყებენ და ასწავლიან, რომ სამხრეთი საზღვარი ქვეყნის ნაწილებს (და არა კონტინენტებს!) – ევროპასა და აზიას – შორის კავკასიონის წყალგამყოფ ქედზე გადის. არსებობს სხვა ვარიანტიც: საზღვარი ევროპასა და აზიას შორის გადის ყუმა-მანიჩის ღრმულზე, კავკასიონის ქედზე ბევრად უფრო ჩრდილოეთით. ორივე ვარიანტით გამოდის, რომ საქართველო აზიაში მდებარეობს. ბოლო დროს გაჩნდა იდეა, რომ თითქოს ევროპასა და აზიას შორის საზღვარი მდ. არაქსზე გადიოდა და მთელი სამხრეთი კავკასია ევროპაში იყო!

როგორც ვხედავთ, ფიზიკურ-გეოგრაფიული მიდგომა სუბიექტურია. სინამდვილეში, არსებობს ერთიანი კონტინენტი – ევრაზია. დავხედოთ რუკას: ის, რასაც „დასავლეთ და ცენტრალურ ევროპას“ ვუწოდებთ, ევრაზიის ნახევარკუნძულია და არა ცალკე კონტინენტი. საზღვარი აზიასა და ევროპას შორის თვალნათლივ ჩანს მხოლოდ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებისა და მათ შორის მდებარე მარმარილოს ზღვის ნაპირებზე; დანარჩენი საზღვრის გავლება დამოკიდებულია საზღვრის შემთავაზებელი მეცნიერის არგუმენტაციაზე.

ურალის ქედი და მდ. ურალი ევროპისა და აზიის აღმოსავლეთ საზღვრად 1730 წელს დათქვა გერმანული წარმოშობის შვედმა მეცნიერმა *ფილიპ იოჰან ფონ შტრალენბერგმა* და ეს იდეა ყველამ გაიზიარა.

ქედები და მდინარეები მართლაც თვალსაჩინო მიჯნაა, მაგრამ მხოლოდ ფიზიკურ-გეოგრაფიული მიდგომა საკმარისი არაა ევროპისა თუ აზიისათვის ქვეყნის მიკუთვნებისათვის!

კულტურულ-გეოგრაფიული მიდგომით ევროპად მიიჩნევენ ქრისტიანობის საფუძველზე შექმნილი მეტნაკლებად მსგავსი კულტურული ფასეულობების მატარებელი ეთნოსებით დასახლებულ ევრაზიის დასავლეთ ნაწილს. ასეთი მიდგომა კულტურული ფასეულობების ისტორიულ-გეოგრაფიულ ცვალებადობასაც უნდა ითვალისწინებდეს. მაგრამ არც კულტურულ-გეოგრაფიული მიდგომაა საკმარისი ევროპისა თუ აზიისათვის ქვეყნის მიკუთვნებისათვის!

ბევრად უფრო პრაგმატული პოლიტიკურ-გეოგრაფიული მიდგომა უდევს საფუძვლად საერთაშორისო ორგანიზაციების მოქმედებას. ევროპის საბჭოს წევრად საქართველო 1999 წელს მიიღეს, 2001 წელს კი – აზერბაიჯანი და სომხეთი.

ევროპის საბჭოს გაცხადებული მიზანია „მისი წევრების უფრო მჭიდრო კავშირის განხორციელება იმ იდეალებისა და პრინციპების დასაცავად და წინწასაწევად, რომლებიც მათი საერთო მემკვიდრეობაა...“ გამოდის, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიც იზიარებენ საერთო ევროპული მემკვიდრეობის იდეალებსა და პრინციპებს!

ეჭვგარეშეა, რომ პოლიტიკურ-გეოგრაფიული კუთხიდან დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველო ევროპას განეკუთვნება, ისევე, როგორც დანარჩენი სამხრეთი კავკასია – სომხეთი და აზერბაიჯანი.

საქართველოს, მისი პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო, საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია მიიჩნევს „კავკასიის გასაღებად“. ასე იყო რუსეთის იმპერიის დროიდან მოყოლებული და ასე რჩება ახლაც.

რუსეთის ფედერაცია განიხილავდა და დღემდე განიხილავს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიას და ყოფილ „სოციალისტურ ქვეყნებს“ თავისი „პრივილეგირებული ინტერესების სფეროდ“.

მაგრამ გეოპოლიტიკური ვითარება ცვალებადია. დასავლეთის ქვეყნების მიერ საბჭოთა კავშირის აგრესიული ჰეგემონიზმის წინააღმდეგ 1949 წელს შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება **„ნატო“** (North Atlantic Treaty Organization) 1990-იანი წლებიდან გაფართოვდა აღმოსავლეთით, ყოფილი ე. წ. „სოციალისტური ქვეყნების“ (პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, სლოვენია, ხორვატია, ალბანეთი, ჩრდილოეთი მაკედონია) და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების (ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი) ხარჯზე.

XXI საუკუნის დასაწყისში უკრაინამ და საქართველომ გამოხატეს დაინტერესება **ნატო-ს** წევრობით, რაშიც მათ მხურვალედ დაუჭირა მხარი ამერიკის იმდროინდელმა პრეზიდენტმა **ჯორჯ ბუშმა** (უმცროსმა).

2008 წლის აპრილში **ნატო-ს** სამიტზე, რომელიც ქ. ბუქარესტში ჩატარდა, პრეზიდენტ ბუშის (მისი ვადა იმავე წლის ბოლოს იწურებოდა) ძალისხმევის მიუხედავად, დასავლეთ ევროპის უდიდესი სახელმწიფოების – გერ-

მანიისა და საფრანგეთის – ხელმძღვანელებმა არ დაუჭირეს მხარი საქართველოსა და უკრაინისათვის ნატო-ში „გაწევრიანების გეგმის“ (**MAP**) მინიჭებას, ანუ წევრობის კანდიდატებად მიღებას, რაც ისედაც არ ნიშნავდა უსაფრთხოების სამხედრო გარანტიის მიღებას **ნატო**-საგან, რადგან ასეთი გარანტია ვრცელდება მხოლოდ ორგანიზაციის ნამდვილ წევრ-სახელმწიფოებზე. სანაცვლოდ, საქართველოს და უკრაინას მისცეს ძალიან ბუნდოვანი დაპირება, რომ დაუდგენელ მომავალში ისინი გაერთიანდებოდნენ ამ სამხედრო--პოლიტიკურ ორგანიზაციაში. ეს დაპირება თითქმის ორი ათეული წელია შეუსრულებელი რჩება და, კეთილისმყოფელი შედეგის ნაცვლად, საქართველოს (მოგვიანებით კი, უკრაინასაც) მძიმე უარყოფითი შედეგები მოუტანა.

რუსეთის ფედერაციამ, რომელიც XXI საუკუნის დასაწყისშივე დაადგა დაუფარავი ნეოიმპერიალისტური პოლიტიკის გატარებას ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ, საბაბად გამოიყენა ნატო-ს წევრად მიღების ზემოხსენებული დაპირება და იმავე 2008 წლის აგვისტოში, საქართველოს იმდროინდელი ხელმძღვანელობის ოსტატური პროვოცირების შემდეგ, მოახდინა სამხედრო ინტერვენცია საქართველოს ტერიტორიაზე – ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში. მოსკოვმა ეს გააკეთა იმ მიზნით, რომ ეჩვენებინა ნატო-სათვის, თუ ვინ არის „სამხრეთ კავკასიის ნამდვილი ბატონ-პატრონი“ და, ერთდროულად, დაბრუნებულიყო კავკასიონის ქედის სამხრეთით თავისი სამხედრო ბაზებით, რომლებიც განალაგა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. 1995 წლიდან სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ სომხეთის ქალაქ გიუმრიში, რუსეთს უკვე აქვს მძლავრი სამხედრო ბაზა, რომელიც, ვადაგაგრძელებული ხელშეკრულების თანახმად, 2044 წლამდე უნდა დარჩეს იქ.

2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა აღიარა საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის მიერ გამოცხადებული „დამოუკიდებლობა“. ნატო-ს წევრი ქვეყნები დაკმაყოფილდნენ შეშფოთებით და იმით, რომ არ ცნობენ რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ფაქტობრივ ხელისუფლებებს.

მიუხედავად სერიოზული გეოპოლიტიკური პრობლემებისა, პირველ დამოუკიდებლობასთან (1918-1921) შედარებით, 1992 წლიდან საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა, თუმცა კარგისაგან ის ჯერაც შორსაა.

საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ეკონომიკური პროექტები და საქართველო

თანამედროვე საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობას ძირითადად განაპირობებს მისი გეოგრაფიული მდებარეობა. უპირველესად იგულისხმება მდებარეობის სატრანსპორტო-გეოგრაფიული ასპექტი, რომელთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკურ-გეოგრაფიული ასპექტიც.

საქართველოს ტერიტორია სატრანზიტოა როგორც სომხეთის, ისე აზერბაიჯანისათვის, რომელთაც ზღვაზე გასასვლელი არა აქვთ. სომხეთი თავის ძირითად მოკავშირეს (ჯერჯერობით ასეა!) – რუსეთის ფედერაციას, ხოლო აზერბაიჯანი – თავის უმთავრეს მოკავშირე თურქეთს უკავშირდება საქართველოს სახმელეთო და საჰაერო გზების გამოყენებით. თურქეთისათვის საქართველო არის, უპირველესად, სატრანზიტო ტერიტორია აზერბაიჯანისა და რუსეთის მიმართულებით და, ერთდროულად, გასაღების ბაზარი თავისი სამრეწველო და სასურსათო პროდუქციისათვის. ანკარა დაინტერესებული უნდა იყოს სტაბილური ვითარებით საქართველოში.

დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც აფერხებდა სამხრეთ კავკასიის მეტნაკლებად ერთიან რეგიონად ჩამოყალიბებას, იყო სომხეთისა და აზერბაიჯანის კონფლიქტი „მთიანი ყარაბაღის“ გამო. 1990-1994 ეს ქვეყნები ომობდნენ, 1994-2020 წლებში კი მათ შორის მოქმედებდა დაზავება. 2020 წელს და, საბოლოოდ, 2023 წელს აზერბაიჯანმა სამხედრო გზით შეძლო თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა (ამ თემას მე-10 და მე-15 ლექციებში სხვადასხვა კუთხიდან განვიხილავთ). არსებობს თეორიული პერსპექტივა, რომ სამხრეთ კავკასიაში შეიძლება მოხდეს სახელმწიფო ურთიერთობათა ნორმალიზაცია.

* * *

მოკლედ შევეხებით ორ ეკონომიკურ პროექტს და მათ მნიშვნელობას საქართველოსთვის.

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი“. დასავლეთის ქვეყნები დაინტერესებული იყვნენ და დღემდე არიან, რომ მოხდეს ნახშირწყალბადოვანი ენერგომატარებლებით (ნავთობითა და გაზით) მათი მომარაგების დივერსიფიკაცია, რაც შეამცირებს მათ დამოკიდებულებას ახლო აღმოსავლეთსა და რუსეთზე.

1990-იან წლებში ტრანსნაციონალური კომპანიების კონსორციუმმა გადაწყვიტა მრავალ მილიარდ დოლადად ღირებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და, მის პარალელურად, ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენის აშენება აზერბაიჯანიდან თურქეთამდე საქართველოს გავლით. ეკონომიკურ მოტივაციასთან ერთად ასეთი მარშრუტის არჩევაზე გავლენა მოახდინა დასავლეთის (უმთავრესად, ამერიკის) გეოპოლიტიკურმა გათვლებმა.

1990-იან წლების შუაგულში ამ მარშრუტისათვის შეეძლოთ დაეპირისპირებინათ სამი სხვა მარშრუტი, რომელთაც სერიოზული ნაკლი აღმოაჩნდათ:

- ირანის გავლით სპარსეთის ყურის მიმართულებით ნავთობსადენის გაყვანას ხელი შეუშალა ირანის ისლამური რესპუბლიკის მტრულმა დამოკიდებულებამ ისრაელისა და ამერიკის მიმართ, რის საპასუხო-

დაც ირანს დაუწესდა ამერიკისა და ევროპული კავშირის ეკონომიკური სანქციები;

- სომხეთის გავლით თურქეთის ხმელთაშუაზღვისპირა ტერმინალამდე „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანზე“ უფრო მოკლე მილსადენის გაყვანა შეუძლებელი გახადა იმ დროს აზერბაიჯანის ტერიტორიის მეექვსედის ოკუპაციამ სომხეთის არმიის მიერ;
- რუსეთის ნოვოროსიისკის ნავთობტერმინალამდე ბაქოს ნავთობის გადაზიდვა ყველაზე იაფი ჯდებოდა, რადგან საჭიროებდა უკვე 1970-80-იანი წლებიდან არსებული მილსადენის რევერსირებას (მიმართულების შეცვლას): საბჭოთა კავშირის ბოლო ათწლეულებში ნავთობი მიედინებოდა რუსეთიდან ბაქოს მიმართულებით, რადგან ბაქოში ნავთობის მოპოვება იმ დროისათვის მკვეთრად შემცირდა, მაგრამ იქ დარჩა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების დიდი სიმძლავრეები. რუსეთი ძალიან აქტიურად უჭერდა მხარს ამ მარშრუტს, მაგრამ ის ეკოლოგიურად სახიფათოდ იქნა ცნობილი: კასპიისპირეთის ნავთობი უნდა მიეტანათ შავ ზღვის რუსულ ნავსადგურ ნოვოროსიისკში, იქიდან კი სუპერტანკერებს უნდა წაეღოთ ხმელთაშუა ზღვისკენ ბოსფორის სრუტის გავლით. თურქეთი ვერ დაუშვებდა ბოსფორის ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულ სრუტეში სუპერტანკერების გავლას, რადგან ეს ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხეს უქმნიდა სრუტის ნაპირებზე განლაგებულ 15 მილიონი მცხოვრების მქონე სტამბოლის მეგაპოლისს. ბოსფორის სრუტეში 1994 წლის 13 მარტს უკვე მოხდა შედარებით მცირე სანავთობო ტანკერის ავარია, რის შედეგადაც სრუტის წყლის ზედაპირის 60% ნავთობით დაბინძურდა და რამდენიმე დღით შეწყდა ნავიგაცია. თურქეთმა გამოიყენა ეს პრეცედენტი, რათა მკვეთრად შეეზღუდა სუპერტანკერების გავლა ბოსფორის სრუტეში. ნოვოროსიისკის ნავთობტერმინალის გამოყენებით კასპიური ნავთობის ექსპორტირების საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა.

საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტის, **ედუარდ შევარდნაძის,** დიდი ძალისხმევით მოხერხდა დასავლეთის მთავრობების დარწმუნება, რომ კასპიის ზღვის აუზის ნავთობისა და გაზის დასავლეთის მიმართულებით ტრანსპორტირებისათვის ყველაზე ხელსაყრელი იყო აზერბაიჯანზე, საქართველოსა და თურქეთზე გამავალი სატრანზიტო მარშრუტი. მილსადენები აშენდა და 2006 წელს ამოქმედდა.

2024 წლიდან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს იყენებს კასპიის-ზღვისპირეთის სხვა სახელმწიფო, ყაზახეთიც.

„შუა დერეფანი“. 2022 წელს რუსეთის ფედერაციის თავდასხმამ უკრაინაზე და მისი ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციამ აიძულა დასავლეთის ქვეყნები ეკონომიკური სანქციები დაეწესებინათ აგრესორისათვის. აიკრძალა

რუსეთის ტერიტორიის გამოყენება სატრანზიტოდ, რაც ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა ექსპორტზე ორიენტირებულ ჩინეთს.

ახალი სატრანსპორტო მარშრუტების ძებნამ გააჩინა ე.წ. „შუა დერეფნის“ იდეა: ჩინური საქონლის ექსპორტი ევროპისაკენ რუსეთის ტერიტორიისათვის სამხრეთიდან გვერდის აქცევით (იხ. ნახ. 4).

„შუა დერეფნის“ მარშრუტი გულისხმობს ჩინეთიდან მომდინარე საქონელნაკადების მიერ სამი სატრანზიტო ქვეყნის (ყაზახეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, რომელთაც განსხვავებული სატრანსპორტო ტარიფები აქვთ) გავლას და ორი ზღვის (კასპიის და შავის) გადალახვას, ანუ სატრანსპორტო საშუალებების – რკინიგზა-გემი-რკინიგზა-გემი – მრავალჯერ შეცვლას. ტვირთის მოცულობა, ბუნებრივია, ვერ იქნება იმდენივე, რაც ერთი ქვეყნის გავლით და ერთი სარკინიგზო ქსელის გამოყენებით შეეძლოთ გადაეზიდათ.

ამავე დროს იგივე „შუა დერეფანი“ ძალიან ესაჭიროებათ ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს მნიშვნელობა მსოფლიოსათვის საკმაოდ საგრძნობი გახდა.

ახლა საქართველო უფრო მეტადაა ჩაბმული მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში და ის მსოფლიო კონტექსტში უნდა განვიხილოთ კიდეც.

საქართველო მსოფლიოს მცირე ნაწილია და მის მიმართ მსოფლიო პოლიტიკური ცენტრების ინტერესიც შესაბამისია. მაგრამ, ხანდახან, მცირე ქვეყნებსაც შეუძლიათ თავის ზომაზე უფრო დიდი როლის შესრულება მსოფლიო პოლიტიკაში.

ნახ. 3.
„შუა დერეფანი“ და სხვა მარშრუტები
ჩინეთიდან ევროპაში

კითხვები ლექცია 1-ის თემაზე:

1. რა განსხვავებაა პოლიტიკურ გეოგრაფიასა და გეოპოლიტიკას შორის?
2. რა არის საქართველოს სივრცითი კონტექსტი?
3. რა როლი ჰქონდა გეოგრაფიას საქართველოს ისტორიაში?
4. რა როლს ასრულებს გეოგრაფია თანამედროვე საქართველოს განვითარებაში?
5. როგორი იყო საქართველოს ისტორიული პოლიტიკური გეოგრაფია?
6. რა როლს ასრულებს გეოგრაფია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში?
7. რატომ შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე საქართველო ევროპის ნაწილად?

ლექცია 2

სამხრეთ კავკასია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში

რუსეთის ექსპანსია სამხრეთ კავკასიაში

XVI-XIX საუკუნეების განმავლობაში ტერიტორიულად ყველაზე გაფართოებული სახელმწიფო რუსეთი გამოდგა, რომელიც 1721-1917 წლებში ატარებდა „რუსეთის იმპერიის“ სახელს.

სამხრეთის მიმართულებით რუსეთის ექსპანსიას ზღუდავდნენ ოსმალეთი და სპარსეთი. XVII საუკუნიდან XX საუკუნის მეორე ათწლეულის დასასრულამდე რუსეთმა და ოსმალეთმა სულ ცოტა 12 ომი გადაიხადეს, რომელთა უმრავლესობა რუსეთმა მოიგო, შავი ზღვის ნაპირზეც დამკვიდრდა და კავკასიის ქედის სამხრეთითაც გადავიდა.

კავკასიისათვის ბრძოლაში სპარსეთის წინააღმდეგობა რუსეთმა უფრო ადვილად გატეხა: საკმარისი აღმოჩნდა მხოლოდ ორ ომში (1804-1813 და 1826-1828 წწ.) გამარჯვება, რომ უკუეგდო სპარსეთი მდინარე არაქსის სამხრეთით. XVI-XVIII საუკუნეებში კი სპარსეთი კონტროლს უწევდა სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილსა და სამხრეთ დაღესტნის მიწებს: შაჰებს ეს ტერიტორია „თავისი სამფლობელოს განუყოფელ ნაწილად“ მიაჩნდათ. 1828 წლის შემდეგ რუსეთსა და ირანს აღარ უომიათ.

1828-1829 და 1877-1878 წლების ომებში ოსმალეთის დამარცხების შემდეგ რუსეთის იმპერიამ თავის საკუთრებად აქცია მთელი სამხრეთი კავკასია, რომელსაც 1860 წელს პეტერბურგში გამოცემული ბრძანებულების შესაბამისად ეწოდა „**Закавказье**“, ანუ „**იმიერკავკასია**“: პეტერბურგიდან ეს ტერიტორია „კავკასიონს გადაღმა“ იყო. ქართულში კი დამკვიდრდა ტერმინი „ამიერკავკასია“.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიონის ქედის გადალახვა და იქ დამკვიდრება გეოსტრატეგიულ ინტერესებს უფრო ემსახურებოდა, ვიდრე ეკონომიკურს: ბაქოს ნავთობისა და ჭიათურის მანგანუმის მსოფლიო მნიშვნელობა ბევრად უფრო გვიან გახდა ცნობილი. იმპერია არ მოსულა არც „ქრისტიანი ხალხების, ქართველებისა და სომხების, გადარჩენის მიზნით“, რასაც ამტკიცებდა რუსული და საბჭოთა ისტორიოგრაფია.

ამიერკავკასია რუსეთისათვის წარმოადგენდა უფრო სამხრეთით ექსპანსიის პლაცდარმს და ერთგვარ „ბუფერს“ სამხრეთიდან შესაძლო შეტევის შესაჩერებლად.

რუსეთ-ოსმალეთის XIX საუკუნის ყველა ომში რუსეთის იმპერია ერთდროულად უტევდა მთავარი ფრონტიდან – ბალკანეთიდან და დამხმარე

ფრონტიდან – კავკასიიდან. იმპერიის მიზანს წარმოადგენდა დამკვიდრება „თბილ ზღვებზე“, ანუ ხმელთაშუაზღვისპირეთში. იმავე მიზანს ისახავდა სტალინის დროინდელი საბჭოთა კავშირიც 1945-1953 წლებში (ამ საკითხს მე-8 ლექციაზე განვიხილავთ).

მაგრამ XIX საუკუნეში საკმაოდ დასუსტებული ერთმანეთის ძველი მეტოქეების – ოსმალეთის იმპერიისა და სპარსეთის – უკან იდგა ბევრად სერიოზული ძალა – ბრიტანეთის იმპერია, რომელსაც სულაც არ სჭირდებოდა ახალი მეტოქის შემოშვება „თავის წყლებში“ – ხმელთაშუა ზღვის აუზში და ინდოეთის ოკეანეში.

ტოპონიმური პოლიტიკა და ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა

1860-იან წლებამდე რუსეთის იმპერიაში არსებობდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისთვის ეთნიკური სახელების მინიჭების პრაქტიკა, მაგრამ იმპერიაში შემავალი პოლონეთის 1863 წლის აჯანყების შემდეგ ეს პოლიტიკა რადიკალურად შეიცვალა.

რუსეთის იმპერატორის ერთ-ერთი ტიტული იყო „პოლონეთის მეფე“ (Царь Польский), მაგრამ ასეთი სამეფო არ არსებობდა. რუსეთის იმპერიაში შემავალ პოლონურ ტერიტორიებზე შეიქმნა საგუბერნიო ქალაქის სახელის მქონე რამდენიმე გუბერნია.

ხელმწიფე-იმპერატორის მინისტრები და მრჩევლები, როგორც ჩანს, ერკვეოდნენ პოლიტიკურ გეოგრაფიაში და ესმოდათ როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისათვის ეთნიკური ჯგუფის სახელის მინიჭების, ისე ამ ერთეულების მონოეთნიკურობის საფრთხე იმპერიისათვის

საქართველოს რუსულ სახელს – „Грузия“ – რუსი პოეტები და რიგითი ადამიანები კი ახსენებდნენ, მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ეს სახელი არ გამოიყენებოდა, ისევე, როგორც არ გამოიყენებოდა ადრე ისტორიულად არსებული სხვა სახელები, მაგალითად, „Армения“, „Украина“, „Молдова“. უკრაინას ოფიციალურად ეწოდებოდა „Малороссия“ („მცირე რუსეთი“).

იშვიათ ოფიციალურ ეთნოტერიტორიულ სახელთა შორის იყო „Финляндия“ (ფინეთი).

ფინეთის დიდი სამთავრო რუსეთის იმპერიაში

1809 წელს რუსეთის იმპერიის მიერ ანექსირებული, მანამდე შვედეთის სამეფოში შემავალი ფინეთის დიდი სამთავროს „კონსტიტუციური (!) მონარქი“ იყო რუსეთის თვითმპყრობელი იმპერატორი (საკუთრივ რუსეთის იმპერიას კონსტიტუცია 1906 წლამდე არ ჰქონია). ფინეთს ჰქონდა ფართო ავტონომია: იქ არსებობდა სეიმი (არჩე-

ვითი პარლამენტი), რუსული რუბლისაგან განსხვავებული ფულის ერთეული – ფინური მარკა, საკუთარი, მართალია, მცირე, საჯარისო ფორმირებები. 1912 წლის ოლიმპიურ თამაშებში ფინეთი რუსეთის იმპერიისაგან დამოუკიდებლად გამოვიდა და 6 ოქროს მედალი მოიპოვა (რუსეთმა – ვერც ერთი!). სოციალური განვითარების მხრივ ფინეთი თავის მეტროპოლიაზე წინ იყო წასული. მაგალითად, 1906 წელს ფინეთმა მსოფლიოში პირველმა მიანიჭა ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი სამხრეთ კავკასიის ადმინისტრაციული რუკა მრავალჯერ შეიცვალა.

1840 წლამდე ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს ადგილზე არსებობდა **საქართველოს გუბერნია** (Грузинская губерния), იმერეთის სამეფოსა და გურიის სამთავროს ტერიტორიაზე კი **იმერეთის გუბერნია.** ირანისაგან 1828 წელს ანექსირებული ერევნისა და ნახჭევნის სახანოების ტერიტორიაზე იმპერიამ დააარსა **სომხეთის ოლქი** (Армянская область).

1840-1846 წლებში სამხრეთ კავკასიაში არსებობდა უცნაური კონფიგურაციის მქონე **საქართველო-იმერეთის გუბერნია** (Грузино-имеретинская губерния): მასში შედიოდა დღევანდელი საქართველოს დიდი ნაწილი (სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროების გარეშე, რომელთაც 1857-1864 წლებამდე იმპერიის ვასალური სამთავროების სტატუსი ჰქონდათ: როდესაც ეს სამთავროები გაუქმდა, მათი ტერიტორია ქუთაისის გუბერნიას დაექვემდებარა). იმავე საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შედიოდა სრულებით არაქართული ტერიტორიები – სომხეთის ოლქი და დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჩრდილოეთი ნაწილი, ყოფილი განჯის სახანო. როდესაც „საქართველო-იმერეთის გუბერნია“ გაუქმდა, მის ადგილზე ჩამოყალიბდა ტფილისის, ქუთაისის, ერევნისა და ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნიები: ყველა მათგანს მიენიჭა მთავარი ქალაქის სახელი, ყოველგვარი ეთნიკური ნიშნის გარეშე.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან იმპერიის დასასრულამდე **სამხრეთ კავკასია იყოფოდა ტფილისის, ქუთაისის, ბაქოს (1859 წლამდე – შემახის), ელისავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებად, ბათუმისა და ყარსის ოლქებად, სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგებად** (იხ. ნახ. 4).

დღევანდელი საქართველოს ადგილზე რუსეთის იმპერიის პერიოდში მდებარეობდა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმის ოკრუგი (ისტორიული აფხაზეთის სამთავრო) და ბათუმის ოლქი (ისტორიული აჭარა--ქობულეთი და შავშეთის ნაწილი). თავის მხრივ, ბათუმის ოლქი შედგებოდა ბათუმისა და ართვინის ოკრუგებისაგან.

1903 წლამდე სოხუმის ოკრუგი და ბათუმის ოლქი „სამხედრო-სახალხო მმართველობის ნაწილით“ ქუთაისის გუბერნატორს ექვემდებარებოდა, ხოლო ზაქათალის ოკრუგი – ტფილისის გუბერნატორს, მაგრამ 1903 წლიდან

იმპერიის აღსასრულამდე ორივე – სოხუმის და ზაქათალის – ოკრუგი და ბათუმის ოლქი იმპერიის შემადგენლობაში ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენდა.

1903 წელსვე იმპერატორის ბრძანებულებით ამიერკავკასიის ნაწილად გამოცხადებულ **შავი ზღვის გუბერნიას** (ცენტრით ნოვოროსიისკში) სოხუმის ოკრუგიდან გადაეცა მეფის ნათესავ პრინცი *ალექსანდრ ოლდენბურგის* მიერ დაარსებული გაგრის კლიმატური სადგური და მისი ტერიტორია მდ. ბზიფიდან მდ. ფსოუმდე. 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების თანახმად ეს ტერიტორია შეუერთდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ქ. სოჭი (უფრო სწორი იქნებოდა *სოჩი* ან *სოჩა:* უბიხური *შიაჩა--დან)* და მიმდებარე მხარე იქამდე არ შედიოდა სოხუმის ოკრუგში. ჩვენი წინაპრები ამ მხარეს „ჯიქეთად“ იცნობდნენ, სადაც ავტოქტონური მოსახლეობა იყვნენ ადიღურენოვანი უბიხები (ჯიქები). ეს მხარე რუსეთის იმპერიამ დაიპყრო 1860-იან წლებში და ყველა უბიხი ოსმალეთში განდევნა. ამის შემდეგ მოსახლეობის უმრავლესობა იქ შეადგინეს ახალჩასახლებულმა ეთნიკურმა რუსებმა, სომხებმა და სხვებმა. 1880-იან წლებში მდ. სოჩის ხეობაში მდებარე სოფელ პლასტუნკაში დასახლდა ქართველების რამდენიმე ათეული კომლი.



ნახ. 4.

სამხრეთ კავკასიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული
დაყოფა რუსეთის იმპერიის არსებობის ბოლო ათწლეულებში
[წყარო: ავტორისეული ნაშრომი]

ტფილისის გუბერნიაში შედიოდა ტფილისის, გორის, ბორჩალოს, სიღნაღის, თელავის, თიანეთის, დუშეთის, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები[1]. „სამხრეთ ოსეთს“ რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ რუკაზე არ უარსებია. მართალია, 1842 წელს საქართველო-იმერეთის გუბერნიის შიგნით პეტერბურგმა დააარსა „ოსეთის ოკრუგი“ (Осетинский округ), რომელიც მოიცავდა თანამედროვე ჯავის მუნიციპალიტეტს და, ნაწილობრივ, კავკასიონის ქედის გადაღმაც გადადიოდა (დვალეთში). ეს ოკრუგი არ მოიცავდა საბჭოთა პერიოდის ცხინვალის, ზნაურისა და ახალგორის რაიონებს, რომელთა ტერიტორია საბჭოთა ხელისუფლებამ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს“ 1922 წელს მიაკუთვნა. ზემოხსენებული „ოსეთის ოკრუგი“ 1859 წელს გაუქმდა და კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე მდებარე მისი ტერიტორია დაექვემდებარა გორის მაზრას. 1860-იან წლებში „ოსეთის ოკრუგი“ არსებობდა ჩრდილოეთ კავკასიაში, თერგის ოლქში, სადაც მართლაც ცხოვრობს ოსური მოსახლეობა, მაგრამ 1870 წელს ამ სახელის მქონე ოკრუგი იქაც გაუქმდა.

ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა ქუთაისის, შორაპნის, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრები (უკანასკნელი მოიცავდა ზემო და ქვემო სვანეთსაც): ეს მაზრები ძირითადად ემთხვეოდა ყოფილი იმერეთის სამეფოს ბირთვს. ამავე გუბერნიაში შედიოდა ოზურგეთის მაზრა (ყოფილი გურიის სამთავრო), ზუგდიდისა და სენაკის მაზრები (ყოფილი სამეგრელოს სამთავრო).

დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ადგილზე მდებარეობდა **ბაქოს და ელისავეტპოლის გუბერნიები** და, აგრეთვე, **ზაქათალის ოკრუგი.** ამ უკანასკნელის ისტორიული სახელებია ჭარ-ბელაქნის ჯამაათები და ილისუს სასულტნო. მის ნაწილს, სადაც ქართულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს, საინგილოს ვუწოდებთ.

პატარა ქალაქ ბაქოს (1850 წელს იქ მხოლოდ 7,4 ათასი ადამიანი სახლობდა) ადმინისტრაციულ დაწინაურებას ხელი შეუწყო სხვა ადგილზე მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ. 1859 წელს ძლიერმა მიწისძვრამ ნანგრევებად აქცია შირვანის ისტორიული დედაქალაქი, საგუბერნიო ცენტრი **შემახა.** მისი აღდგენის ნაცვლად კავკასიის მეფისნაცვლის რეკომენდაციით პეტერბურგში გადაწყდა საგუბერნიო ცენტრად ექციათ ქალაქი ბაქო. ამ უკანასკნელის ირგვლივ, აფშერონის ნახევარკუნძულზე, 1872 წლიდან ნავთობის სამრეწველო მოპოვება დაიწყო. სწორედ აფშერონისა და კასპიის ზღვის კონტინენტური შელფის წიაღში არსებულ ბუნებრივ რესურსებს უნდა უმადლოდეს აზერბაიჯანი მსოფლიო მასშტაბის ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას.

---

[1] **მაზრა** (სპარსული **მარზ**-იდან) იყო რუსეთის იმპერიის მეორე დონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის – „**უეზდ**“-ის – ქართული შესატყვისი. თანამედროვე სომხეთის რესპუბლიკაში კი „**მარზ**“-ი აღნიშნავს გუბერნიას.

1868 წლიდან **ელისავეტპოლის** (ისტორიული და ამჟამინდელი ქალაქი **განჯა)** გუბერნიაში, იქამდე კი ჯერ შემახისა, შემდეგ კი მის შემცვლელ ბაქოს გუბერნიაში (სპარსეთის ბატონობის ხანაში კი – ყარაბაღის სახანოში) შედიოდა 7893 კვ. კმ ფართობის მქონე *ზანგეზურის მაზრა,* რომლის დასავლეთი ნაწილი 1920 წლიდან სომხეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია: ახლა მას *სიუნიქის მარზი* ეწოდება. იმავე ელისავეტპოლის გუბერნიაში შედიოდა შუშის მაზრა (5098 კვ. კმ). ამ მაზრის დასავლეთი, მთიანი ნაწილისა და უფრო ჩრდილოეთით მდებარე ჯევანშირის მაზრის ნაწილის ხარჯზე, სადაც სომხური მოსახლეობა ჭარბობდა, 1923 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა „მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი“ საერთო ფართობით 4338 კვ. კმ.

1849 წლიდან რუსეთის იმპერიის აღსასრულამდე არსებობდა **ერევნის გუბერნია,** რომლის ტერიტორიის დიდი ნაწილი დღევანდელ სომხეთის რესპუბლიკაში შედის. ამ გუბერნიას განეკუთვნებოდა ნახჭევნის მაზრაც, რომლის ტერიტორია, ყოფილ შარურ-დარალაგიოზის მაზრის ნაწილთან (შარურთან) ერთად, 1921 წლიდან განეკუთვნება აზერბაიჯანის შემადგენლობაში მყოფ ნახჭევნის ავტონომიას.

სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა იმპერიის პერიოდში

1905 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოვიდა რუსეთის იმპერიაში 1897 წელს ჩატარებული მოსახლეობის პირველი (და, როგორც შემდგომში გაირკვა, უკანასკნელი) საყოველთაო აღწერის მასალების მეორე ტომი, საიდანაც შეიძლება გამოვთვალოთ, რომ სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის ეთნიკურ სტრუქტურაში მკვეთრად გამოირჩეოდა სამი დიდი ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფი – **აზერბაიჯანელები** (1,442 მილიონი), **ქართველები** (1,340 მილიონი) და **სომხები** (1,080 მილიონი).

იმავე აღწერის თანახმად სამხრეთ კავკასიაში **რუსები** (აღმოსავლეთსლავები) მოსახლეობის 6%-ზე ნაკლებს შეადგენდნენ და შედარებით ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი მხოლოდ რეგიონის დიდ ქალაქებში (ტფილისსა და ბაქოში – მოსახლეობის 30-35%, მაგრამ ქუთაისში – სულ 1,5%). რუსების ნაწილი არ ეკუთვნოდა მართლმადიდებელ ეკლესიას: ისინი იყვნენ „სექტანტები“ ან „ერეტიკოსები“, რომლებიც ცენტრალური რუსეთიდან კავკასიაში გადაასახლეს იმისთვის, რომ „მოეშორებინათ რუსული გუბერნიებისათვის მავნე გავლენა“ და ერთდროულად, გაეზარდათ ეთნიკური რუსების რიცხოვნობა კავკასიაში. „სექტანტებად“ მიიჩნევდნენ *მოლოკანებს („მალაკნებს“), დუხობორებს, ხლისტებს, სუბოტნიკებს* და რამდენივე სხვა მცირე ჯგუფს. *სტაროობრიადცებს* (XVII საუკუნეში შეცვლილი „ძველი წესების“

მიმდევრებს) კი ოფიციალური რუსული მართლმადიდებელი ეკლესია „ერეტიკოსებად“ მიიჩნევდა.

თანამედროვე ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რუსმა „სექტანტებმა“ დააარსეს სოფლები ბოგდანოვკა, ორლოვკა, ეფრემოვკა, ტროიცკოე, ხოლო დღევანდელი სომხეთის ჩრდილოეთ ნაწილში – სოფლები ვორონცოვკა, პრივოლნოე, ელენოვკა და რამდენიმე სხვა. XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში რუსები წავიდნენ და ყველა ამ სოფელში სომხები ჩასახლდნენ.

რუსეთის იმპერიის არმიიდან დემობილიზებულ ჯარისკაცებს ნება ჰქონდათ დასახლებულიყვნენ მანგლისში, დედოფლისწყაროში (რომელსაც „ცარსკიე კოლოდცი“ დაარქვეს) და რამდენიმე სხვა სოფელში.

მაგრამ **სამხრეთ კავკასიის რუსიფიკაცია არ მომხდარა.** იმპერიის მცდელობის მიუხედავად, სამხრეთ კავკასიის სასოფლო არეალებში ეთნიკურმა რუსებმა ვერ შექმნეს ერთიანი განსახლების ვერც ერთი დიდი მასივი. სამხრეთი კავკასია ამით მკვეთრად განსხვავდებოდა ჩრდილოეთ კავკასიისგან, საიდანაც 1860-იან წლებში პეტერბურგმა უბიძგა ადგილობრივ მოსახლეობას – ადიღებს (ჩერქეზებს), ნაწილობრივ – ნოღაელებსა და ვაინახებს, მასობრივი გადასახლებისაკენ ოსმალეთში, მათ ადგილზე კი სლავები (რუსები და უკრაინელები) დაასახლა. ამჟამად ჩრდილო კავკასიის ამ ტერიტორიაზე მდებარეობს რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარე (იქ რუსებთან ერთად მრავლად ცხოვრობენ სომხები) და სტავროპოლის მხარე (იხ. ნახ. 2). ჩრდილოკავკასიელ ხალხთა ეთნიკურად შერეულ რესპუბლიკებში კი, სადაც საბჭოთა პერიოდში ბევრი რუსი ცხოვრობდა, ახლა ისევ ადგილობრივი მოსახლეობა ჭარბობს.

მოსახლეობის საყოველთაო მეორე აღწერის ჩატარება იმპერიაში ვეღარ მოესწრო. იმპერიის ბოლო წლებში მოსახლეობის რიცხოვნობის დასადგენად შეგვიძლია გამოვიყენოთ 1915 წლის „Кавказский календарь“-ის („კავკასიის კალენდარი“ – ყოველწლიური ცნობარი) მონაცემები, რომლებიც ეყრდნობოდა მოსახლეობის მიმდინარე აღრიცხვას 1914 წლის 1 იანვრისათვის.

ამ წყაროს თანახმად, იმპერიის ბოლო წლებში, სამხრეთ კავკასიაში აზერბაიჯანელები (უპირატესად შიიტი მუსლიმები) რიცხოვნობით (1,791 მილიონი) უსწრებდნენ ქართველებს (1,742 მილიონი). სომხების რიცხოვნობა 1,685 მილიონ სულად შეფასდა. რუსები 586 ათასი იყვნენ (სამხრეთ კავკასიის რეგიონის მოსახლეობის 7,8 პროცენტი), რომელთა მეექვსედს (86 ათასი) შეადგენდნენ „სექტანტები“.

ამიერკავკასიის სამი დიდი ეთნოსი სიდიდით დაახლოებით თანაბარი იყო, ხოლო მათი განსახლება – შერეული, რაც მალე დიდ პრობლემებს წარმოქმნის მთელ რეგიონში.

* * *

ქართველები. 1897 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, სოხუმის ოკრუგსა და ბათუმის ოლქში, აღირიცხა „ათი ხალხი“, რომელთა საერთო რიცხოვნობის ორ მესამედზე მეტს ქმნიდა ორი „ხალხი“, თითოეული ნახევარ მილიონამდე – *იმერლები* (რაჭველ-ლეჩხუმელებთან ერთად) და *„გრუზინები“* (ქართლელ-კახელები). მათ მოსდევდნენ *მეგრელები* (240 ათასი, ანუ 18%-მდე), *გურულები* (93 ათასი, ანუ 7%-მდე), *აჭარლები* (70 ათასი, ანუ 5%-ზე ცოტა მეტი) და მცირერიცხოვანი *სვანები, ხევსურები, ფშავლები, თუშები, ლაზები* (თითოეული ამ სუბეთნოსის რიცხოვნობა 3-16 ათასით განისაზღვრა). გარდა ამისა, ზაქათალის ოკრუგში, რომელიც ამჟამად აზერბაიჯანის შემადგენლობაშია, აღირიცხა 14 ათასი ქართულენოვანი *ინგილო* („მეთერთმეტე ხალხი“).

აღწერის ანალიტიკოსები აერთიანებდნენ ამ თერთმეტივე „ხალხს“ ერთ *„ქართველურ, ანუ ივერულ ჯგუფში“* (картвельская или иверская группа), რომელიც, მათივე აღიარებით, „ჰომოგენურ მთელს“ ქმნიდა და სტატისტიკაში მათ ერთიანად უწოდებდნენ „картвельцы“-ს. რეალურად, ეს „ხალხები“ უკვე ჩამოყალიბებული ნაციის – ქართველების – სუბეთნოსები იყვნენ.

XIX საუკუნის ბოლოს აღმწერთა მიერ „ივერული ჯგუფის ხალხების“ დაცალკევების მეთოდი საკმაოდ თვითნებური იყო, რადგან 1897 წლის მოსახლეობის აღწერა არ ითვალისწინებდა კითხვას ეთნიკური ან სუბეთნიკური კუთვნილების შესახებ: სააღწერო ფურცელში იყო კითხვები მშობლიური ენისა და რელიგიის შესახებ, მაგრამ ეროვნებას/ტომს არ ეკითხებოდნენ. მშობლიური ენა იმერლის, გურულის, აჭარლის, ხევსურის, ფშავლისთვის და სხვებისთვისაც ქართული იქნებოდა. აღწერისას ნახევარი მილიონი კი არა, არც ერთი არ უპასუხებდა, რომ „იმერულ ენაზე“ ლაპარაკობს და არც 6 ათასმა ახსენა „ფშაური“, როგორც დედა ენა. ნათელია ისიც, რომ ზუგდიდის, სენაკის, ლეჩხუმის მაზრებსა და სოხუმის ოკრუგში მშობლიურ ენად, ქართულის გარდა მეგრულიცა და სვანურიც დასახელდებოდა. აღწერის ანალიტიკოსები მოსახლეობის ეთნიკურობას აზუსტებდნენ ირიბი მეთოდებით, როგორც ჩანს, განსახლების მეშვეობით.

პეტერბურგში, სადაც აღწერის შედეგებს აჯამებდნენ კავკასიის საკითხების ექსპერტად მუშაობდა ეკონომისტ-სტატისტიკოსი სერაფიმ კერობოვიჩ პატკანოვი. მან დაადგინა, თუ რამდენია „გრუზინი“, „იმერელი“, „გურული“, „ფშაველი“, „თუში“ და ა.შ. მანვე „აფხაზებს“ მიათვალა სამურზაყანოში (მომავალ გალის რაიონში) მცხოვრები ყველა მეგრულენოვანი ადამიანი, რომლებიც ქართველი ერის სუბეთნოსს წარმოადგენდნენ. „სამურზაყანელები“ კი რიცხობრივად თითქმის უტოლდებოდნენ ეთნიკურ აფხაზებს (თითოეული 25-26 ათასი). ამიტომაც სოხუმის ოკრუგში აფხაზებმა 1897 წლის აღწე-

რის მიხედვით შეადგინეს მოსახლეობის ნახევარი, რაც მათი რიცხოვნობის ხელოვნურად გაორმაგების შედეგად გამოვიდა. პატკანოვის მიერ „დადგენილი“ აფხაზების რიცხოვნობა შემდგომში პოლიტიკურ დატვირთვას შეიძენს, რადგან აფხაზ ნაციონალისტებს შეეძლებათ იმპერიის დროინდელი სტატისტიკის დამოწმება, რომ XIX საუკუნის ბოლოს მათი ეთნოსი „აფხაზეთის მოსახლეობის ნახევარს შეადგენდა!“.

1897 წლის აღწერის თანახმად, საკუთრივ ქუთაისის გუბერნია (იმ დროს მისდამი დაქვემდებარებული სოხუმის ოკრუგისა და ბათუმის ოლქის გარეშე) ქართველებით იყო დასახლებული (ისინი 95 პროცენტზე მეტს შეადგენდნენ; დანარჩენის უმეტესობა იყვნენ ქართულენოვანი ებრაელები). კავკასიაში ეს ერთადერთი პრაქტიკულად მონოეთნიკური გუბერნია იყო.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე სოხუმის ოკრუგი ეთნიკურად ძალიან ჭრელი იყო. 1866 და 1878 წლებში, მას შემდეგ, რაც აფხაზები ორჯერ წარუმატებლად აუჯანყდნენ რუსეთის იმპერიას, პეტერბურგმა უბიძგა მათ ოსმალეთში გადასახლებისაკენ. მრავალი აფხაზი, რომელიც მუსლიმად მიიჩნევდა თავს, წავიდა (მათ „მახაჯირებად“ მოიხსენიებენ, არაბული „მუჰაჯირ“-დან, რაც „გადასახლებულს/მიგრანტს“ ნიშნავს).

1866 წელს წასულ აფხაზთა ნაწილი იმ დროს ოსმალეთის იმპერიაში შემავალ ბათუმის სანჯაყში დასახლდა და მათი შთამომავლობა ჯერაც ცხოვრობს ამჟამინდელ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. სოხუმის ოკრუგში დარჩენილ აფხაზებს რაოდენობრივად გადააჭარბეს ქართველებმა, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ მეგრულენოვან „სამურზაყანელთა“ სუბეთნოსით და აფხაზეთის დაცარიელებულ ტერიტორიაზე მოსული სხვა ქართველებით. ისინი მოვიდნენ ქუთაისის გუბერნიის სხვა მაზრებიდან: 1903 წლამდე სოხუმის ოკრუგი იმავე ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა და მის შიგნით მიგრაცია არ იზღუდებოდა.

საერთოდ, იმპერია არ ახალისებდა სოხუმის ოკრუგში ქართველების ჩასახლებას, რადგან ელოდა მეტოქეობას ისეთ ეთნიკურ ჯგუფთან, რომელსაც თვითონ ჰქონდა, ან მალე გაუჩნდებოდა, ეროვნული მშენებლობის საკუთარი პროექტი. იმპერია ცდილობდა სოხუმის ოკრუგი დაესახლებინა „ევროპელებით“ და საგანგებოდ იწვევდა იქ რუსებს, ბერძნებს, ბულგარელებს, ესტონელებს, მოლდაველებს, გერმანელებს, თუმცა ყველაზე მეტი სომეხი მოვიდა. სამედიცინო-ეპიდემიური ვითარება იმდროინდელი აფხაზეთის დაბლობ ადგილებში არასახარბიელო იყო: იქ გავრცელებული იყო მალარია, რომელსაც „ევროპელებზე“ უკეთ იტანდნენ დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი. მალარია აღმოიფხვრა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში.

ქართველები (მათი დიდი წილი – მუსლიმი) ჭარბობდნენ ბათუმის ოლქის სასოფლო მოსახლეობაში, ხოლო ქალაქი ბათუმი მრავალეთნიკური და უფრო ქრისტიანული იყო. ართვინის ოკრუგში, რომელიც ბათუმის ოლქში

შედიოდა, იყო მცირერიცხოვანი ქართულენოვანი მოსახლეობაც, მაგრამ მას რიცხობრივად ბევრად აჭარბებდა თურქულენოვანი ხალხი, ხოლო დაბა ართვინში დიდ უმრავლესობას სომხები ქმნიდნენ.

1897 წელს ტფილისის გუბერნიაში ქართველები შეადგენდნენ მხოლოდ ფარდობით უმრავლესობას – 47%-ს. მათ გარდა, იქ ცხოვრობდნენ სომხები (20%, განსაკუთრებით ქალაქებში და, აგრეთვე, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში: იქ ისინი 1829-1830 წლებში გადასახლდნენ ოსმალეთის იმპერიის ერზურუმის ეიალეთიდან), რუსები (9%), აზერბაიჯანელები (8%), ოსები (7%). მოსახლეობის 9%-ს კი შეადგენდნენ „*სხვები*“: ესენი იყვნენ გერმანელები, პოლონელები, ბერძნები, ქისტები, სპარსელები და ა.შ.

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან ქართველთა აბსოლუტური რაოდენობა გუბერნიაში მატულობდა, ძირითადად დასავლეთ საქართველოდან გადმოსახლებული „იმერლების“ ხარჯზე (ამის შესახებ მომდევნო ლექციაზე ვისაუბრებთ). მაგრამ სამხრეთ კავკასიის ყველაზე ხალხმრავალ (1,4 მილიონი მცხოვრები) გუბერნიაში, სადაც მდებარეობდა კავკასიის უმნიშვნელოვანესი ქალაქი – ტფილისი, დიდი იყო მიგრაცია დანარჩენი იმპერიიდან და საზღვარგარეთიდანაც. ამის გამო, ზემოხსენებული „Кавказский календарь“-ის მონაცემებით, ქართველები 1914 წლის დამდეგს ტფილისის გუბერნიის მოსახლეობაში პირველ ადგილზე იყვნენ (580 ათასი), მაგრამ ისინი გუბერნიის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 41%-ს შეადგენდნენ.

საქართველოს ტერიტორიაზე ავტოქტონურ, ძირძველ მოსახლეობას წარმოადგენდნენ ქართველები, აფხაზები და, აგრეთვე, ქართველი ებრაელები. თითქმის ყველა სხვა ეთნიკური ჯგუფის ჩამოსახლებას XIX საუკუნეში რუსეთის იმპერია ახალისებდა.

მართალია, რამდენიმე ეთნიკური ჯგუფი ქართლ-კახეთში უფრო ადრე, XVII-XVIII საუკუნეებში, დამკვიდრდა: ქვემო ქართლსა და გარე კახეთში ესენი იყვნენ ბორჩალოსა და ორიოდე სხვა ტომის თათრები (ახლა მათ აზერბაიჯანელებად ვიცნობთ), ოსები – შიდა ქართლის მთიან ნაწილში (თავიდან, სოფელ ჯავასა და მის ირგვლივ), სომხები – ქალაქებში (თბილისი, გორი, თელავი, სიღნაღი) და ამ ქალაქების გარშემო არსებულ სოფლებში.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ერეკლე II-ის ეპოქაში, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ქართლ-კახეთში ჩასახლება შეგნებული პოლიტიკა იყო: მეფეს ქვეშევრდომები აკლდა. მის დროს მოიწვიეს სომხები – ყარაბაღიდან, ბერძნები – გიუმუშჰანეს სანჯაყიდან (აღმოსავლეთი ანატოლია), მიიღეს ოსები – ჩრდილოეთ კავკასიიდან, ქვემო ქართლის მიწაზე დააბრუნეს ერევნის სახანოში თავისი ნებით გადასახლებული ბორჩალო თათართა ტომი. ყველა ამ ეთნოსს ერეკლეს სამეფოში გარკვეული ეკონომიკური ფუნქცია ეკისრებოდა: სომხები – ვაჭრობა-ხელოსნობას მისდევდნენ, ოსები – მებატონეებს მიწის მუშებად უნდოდათ, ბორჩალოელი თათრები – ცხვარსა და

კარგი ჯიშის ცხენს აშენებდნენ. ბერძნები სამთამადნო მრეწველობის გასავითარებლად იყვნენ საჭირო და ისინი დაასახლეს ლორეში, ალავერდის სპილენძისა და ვერცხლის საბადოებთან (ლორეს ტერიტორია ამჟამად სომხეთის რესპუბლიკას ეკუთვნის).

ერეკლე II-ის „მიგრაციულმა პოლიტიკამ“ მის სამეფოში არც ისე ბევრი არაქართველი დაასახლა. ქართლ-კახეთში რეალური ეთნიკური სიჭრელის შექმნა რუსეთის იმპერიის პოლიტიკის შედეგი იყო.

აზერბაიჯანელები. XIX საუკუნის ბოლო წლებში და XX საუკუნის პირველ ათწლეულებში რუსეთის იმპერიაში აზერბაიჯანელებს უწოდებდნენ „ადერბეიჟანელ თათრებს“ (Адербейжанские татары), რათა განესხვავებინათ ისინი ყირიმელი, ყაზანელი, ასტრახანელი თათრებისაგან. იმდროინდელი ქართველები და სომხები კავკასიის შიიტ მუსლიმებს უბრალოდ „თათრებს“ ეძახდნენ და ისინი ანატოლიელ თურქებში არ ერეოდათ, რადგან იქ, სადაც ახლა თურქეთის რესპუბლიკაა, მაშინ სუნიტი „ოსმალო თათრები“ ცხოვრობდნენ. მრავალი საუკუნის განმავლობაში ჩვენთვის და სომხებისათვის „თათარი“ იყო თიურქულენოვანი მუსლიმის სინონიმი და არ ატარებდა რაიმე ნეგატიურ დატვირთვას.

კავკასიის მუსლიმების თვითიდენტობა ეყრდნობოდა არა ეთნიკურობას, არამედ რელიგიას: რიგითი ადამიანები თვითსახელადაც კი „Müslüman“-ს იყენებდნენ. ასეთი თვითსახელი მათ საბჭოთა პერიოდშიც კი გადაჰყვათ. ზემოხსენებულ „Кавказский календарь“-ში სამხრეთ კავკასიის მუსლიმ მოსახლეობას „თათრები“ ჰქვია.

როგორც შესავალში ითქვა, სამხრეთ კავკასიის თიურქულენოვანი მუსლიმები ამ სახელმძღვანელოში „აზერბაიჯანელებად“ არიან მოხსენიებული.

რუსეთის იმპერიის არსებობის ბოლო წლებში აზერბაიჯანელები (მათი სამი მეოთხედი – შიიტი, დანარჩენი კი სუნიტი) რიცხობრივად მკვეთრად დომინირებდნენ **ბაქოსა და ელისავეტპოლის გუბერნიებში:** შესაბამისად, მოსახლეობის 82% და 60%. ერევნის გუბერნიაში ისინი 36%-ს შეადგენდნენ: ეს გუბერნია მოიცავდა ნახჭევნის მაზრას, სადაც უმრავლესობა შიიტი მუსლიმი იყო.

ტფილისის გუბერნიაში „თათრები“ 141 ათას ადამიანს შეადგენდნენ (მოსახლეობის 10%). „Кавказский календарь“-ს მათ რიცხვში შეჰქონდა როგორც შიიტები (აზერბაიჯანელები), ისე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების სუნიტი მოსახლეობაც, რომელთაც მოგვიანებით „მესხეთელი მუსლიმების“ სახელით მოვიხსენიებთ.

შიიტი აზერბაიჯანელები მოსახლეობის 27%-ს შეადგენდნენ **ზაქათალის ცალკე ოკრუგში,** სადაც მცხოვრებთ 62,6% იყო დაღესტნელი (ავარები და წახურები). ქართულენოვანი ინგილოების რიცხოვნობა ამ ოკრუგში 10%-ზე ნაკლები იყო, დანარჩენი მოსახლეობა კი სხვა ეთნიკურ ჯგუფებს მოიცავდა.

ქართველების მცირეშვილიანობის საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიციის გამო უფრო მრავალშვილიანმა აზერბაიჯანელებმა სამხრეთ კავკასიაში რიცხოვნობით ძალიან გაგვისწრეს. XX საუკუნის განმავლობაში ქართველების რაოდენობა კავკასიაში ორნახევარჯერ გაიზარდა, მაშინ როცა აზერბაიჯანელებისა – თითქმის ხუთჯერ. XXI საუკუნეში სხვაობა ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ კიდევ უფრო იზრდება.

სომხები. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე სომხები რიცხოვნობით სამხრეთ კავკასიაში მესამე ადგილზე იდგნენ. ისინი თითქმის მთელ სამხრეთ კავკასიაში იყვნენ გაფანტული, ფარდობით უმრავლესობას მხოლოდ ერევნის გუბერნიაში ქმნიდნენ.

XX საუკუნის პირველ ათწლეულებში სომხების საგრძნობი მატება სამხრეთ კავკასიაში მექანიკური მოძრაობის შედეგი იყო – ოსმალეთიდან ლტოლვილ თანატომელთა ხარჯზე. ოსმალეთის სულტნის საშიშად ქცეულ ქვეშევრდომობას სომხების მზარდი ნაწილი რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომობას ამჯობინებდა და კავკასიის საგუბერნიო ცენტრებში, უპირველეს ყოვლისა – ტფილისსა და ბაქოში, აგრეთვე სოხუმის ოკრუგში სახლდებოდა.

ეთნოსების რიცხოვნობის შედარებისათვის

საბჭოთა კავშირის უკანასკნელი, 1989 წლის, მოსახლეობის აღწერის თანახმად მთელ კავშირში აზერბაიჯანელები შეადგენდნენ 6,770 მილიონს (მათგან 86 პროცენტი აზერბაიჯანის სსრ-ში ცხოვრობდა), სომხები – 4,623 მილიონს (მათგან 66,3 პროცენტი ცხოვრობდა სომხეთის სსრ-ში) და ქართველები – 3,981 მილიონს (მათგან 95,8 პროცენტი საქართველოს სსრ-ში ცხოვრობდა). საქართველოს სსრ-ის გარეთ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში სულ 200 ათასამდე ქართველი ცხოვრობდა. ქართველთა *„შინაყუდობის ინდექსი“* 1979 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით კიდევ უფრო მაღალი იყო - 96,6 პროცენტი!

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ქართველების გაფანტულობა მკვეთრად გაიზარდა.

როგორი იყო საგუბერნიო ცენტრების მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა?

სამხრეთ კავკასიის მომავალი სუვერენული სახელმწიფოების დედაქალაქების, საუკუნით ადრე კი – საგუბერნიო ცენტრების, მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა ცალკე განხილვას მოითხოვს, რადგან XX საუკუნის განმავლობაში ის მკვეთრად შეიცვალა. იმპერიის ხანაში ყველა ეს ქალაქი მრავალეროვნული იყო. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ბოლო დეკადებში კი ძალიან მკაფიო გახდა მათი მონოეთნიზაციის ტენდენცია.

1897 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის თანახმად **ინდუსტრიულ ქალაქ ბაქოს** მოსახლეობა 112 ათასი იყო. მათ შორის სჭარბობდნენ ქრისტიანები: რუსები – 34,8%, სომხები – 17,1%, ქართველები – 1% და მრავალი ევროპელი ჯამში ნახევარზე მეტს შეადგენდნენ. ბაქოს მოსახლეობის 36 პროცენტი აზერბაიჯანელი იყო, 3 პროცენტი – სპარსელი.

2009 წლის აღწერით ორმილიონიანი ბაქოს მოსახლეობაში 90,3 % აზერბაიჯანელი იყო. სომხად იქ სულ 104 (!) ადამიანი აღირიცხა, ისიც მოხუცი ქალები.

საგუბერნიო ცენტრ ერევანში (იმდროინდელი რუსული გამოთქმით **Эривань**) 1897 წელს აღირიცხა 29 ათასი ადამიანი. ეს ნაკლები იყო, ვიდრე იმავე გუბერნიის სამაზრო ცენტრ *ალექსანდროპოლის* (ამჟამინდელი *გიუმრის)* მოსახლეობა. I მსოფლიო ომამდე ერევნის მოსახლეობა არც გაზრდილა და 1914 წელსაც დიდად ჩამორჩებოდა ალექსანდროპოლის მოსახლეობის რიცხოვნობას (51 ათასი).

1897 წელს ერევნის მოსახლეობაში სომხები 43,2%-ს შეადგენდნენ, ხოლო აზერბაიჯანელები – 42,7 %-ს. დანარჩენი მოსახლეობა ძირითადად იყო რუსი, ებრაელი და პოლონელი. ქალაქში იმ წელს სულ 142 ქართველი აღირიცხა, უპირატესად – სახელმწიფო სამსახურში მყოფი მამაკაცები.

სომხეთის რესპუბლიკის მოსახლეობის 2021 წლის აღწერის თანახმად მილიონიან ქალაქ ერევანში სომხური მოსახლეობა 98 პროცენტს აღწევდა. 124 წლის წინანდელი ვითარებისაგან განსხვავებით, იქ არცერთი აზერბაიჯანელი არ ცხოვრობდა.

ტფილისზე (რუსულად **Тифлис)** მეტი უნდა ითქვას, რადგან იმპერიის დროს ის მთელი კავკასიის ცენტრი და უდიდესი ქალაქი იყო.

რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წლის აღწერის შედეგების თანახმად, ტფილისის ეთნიკურ ჯგუფებს შორის რიცხოვნობით პირველ ადგილზე (29,8%) იდგნენ რუსები, უფრო ზუსტად – აღმოსავლეთ სლავები, რადგან იმ დროს ბელორუსებს და მალოროსებს (ანუ უკრაინელებს) ველიკოროსებთან (ანუ საკუთრივ რუსებთან) ერთად „რუსებს“ უწოდებდნენ. ტფილისის რუსებს შორის ჭარბობდა ბიუროკრატია, ოფიცრობა და ყაზარმებში დაბანაკებული ჯარისკაცები. მათი დიდი უმრავლესობა მუდმივი მოსახლეობა არ იყო: ჯარისაცების, ოფიცრებისა და ადმინისტრატორების როტაცია ხშირი იყო.

ტფილისის მოსახლეობაში რიცხოვნობით მეორე ადგილზე სომხები იყვნენ (29,5%), რომელთა ერთი ნაწილისათვის მშობლიური ენა ქართული გახდა. სომხები დომინირებდნენ ვაჭრებსა და ხელოსნებს შორის. ამავე დროს, საკმაოდ მრავალრიცხოვანი სომხური ინტელიგენცია ტფილისს ამ ხალხის კულტურული განვითარების ერთ-ერთ ცენტრად აქცევდა, სადაც ჩამოყალიბდა აღმოსავლურ-სომხური სალიტერატურო ენა. დასავლეთ-სომხური კულტუ-

რის ცენტრი იყო სტამბოლი (კონსტანტინოპოლი): მათი ენა აღმოსავლურ-სომხურისგან განსხვავდებოდა.

რუსებსა და სომხებს რიცხოვნობით ჩამორჩებოდნენ ქართველები (მთელი მოსახლეობის 26,4%), ძირითადად მუშები, მოსამსახურეები და ინტელიგენცია. ტფილისის ქართული ელემენტი მატულობდა უპირატესად დასავლეთ საქართველოდან ჩამოსული მოსახლეობის ხარჯზე.

გარდა ზემოხსენებული სამი დიდი ეთნიკური ჯგუფისა, ტფილისის მოსახლეობის 14%-ზე მეტს 1897 წელს შეადგენდნენ „ინოროდცები“ – ევროპიდან მოსული არამართლმადიდებელი მოსახლეობა: გერმანელები, პოლონელები, ფრანგები, ჩეხები და აშკენაზი (ევროპელი) ებრაელები, აგრეთვე ირანელები (საკუთრივ სპარსელები და ირანის აზერბაიჯანელები). ევროპელები თავისი ცხოვრების წესით მისაბაძ მაგალითს აძლევდნენ ტფილისელთა სხვა თემებს, უპირველესად – ქრისტიანებს, რომლებიც ცდილობდნენ მათსავით ეცხოვრათ, ჩაეცვათ, შვილებისათვის მიეცათ ევროპული განათლება. ტფილისელი ქართველებისა და სომხებისათვის ევროპული ცხოვრების წესთან შეგუება ადვილი აღმოჩნდა. არც თუ იშვიათი იყო შერეული ქორწინება ქართველებსა და ევროპელებს შორის.

საერთო ჯამში, ეს პოლიეთნიკური სტრუქტურა ზემოქმედებდა ქალაქის სოციალურ ცხოვრებაზე და სპეციფიკური „ტფილისური სუბკულტურის“ შექმნას უწყობდა ხელს.

1914 წლისათვის ტფილისის მოსახლეობაში სომხებმა იმატეს (ძირითადად ოსმალეთიდან ლტოლვილთა ხარჯზე) და მათ 37,6% შეადგინეს. რუსები (22,7%) მეორე ადგილზე იდგნენ (მათ შორის თითქმის ნახევარი „დროებითი მცხოვრები“ იყო), ქართველები კი – მესამეზე (20,2%).

პირველი დამოუკიდებლობის (1918-1921) პერიოდში და მომდევნო ხანაში ტფილისის მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა თანდათან შეიცვლება და პირველ ადგილზე გადავა ძირითადი ეთნოსი – ქართველები.

თბილისი დღემდე მრავალეროვანია თუმცა ეთნიკურმა ჰომოგენურობამ იმატა. 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, მისი 1,1 მილიონი მცხოვრებიდან ქართველები 84%-ს შეადგენდნენ, ხოლო 2014 წლის აღწერით – თითქმის 90%-ს. შესაბამისად, სხვა ეთნოსების წილმა იკლო.

რა როლი შეასრულა თბილისმა ქართველი ერის კონსოლიდაციაში?

ბოლო ათასხუთასი წლის განმავლობაში, თბილისი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, ხშირად ასრულებდა არა მარტო ქართლის ან სრულიად საქართველოს, არამედ მთელი სამხრეთ კავკასიის, ხოლო რუსეთის იმპერი-

ის დროს – კავკასიონის ქედის სამხრეთითა და ჩრდილოეთით მდებარე „რუსეთის კავკასიის“ ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრის როლს.

XIX საუკუნის ბოლო მესამედში და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ურბანიზაცია დაჩქარდა. საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა ბათუმი, ქუთაისი, ფოთი. მაგრამ ურბანიზაციის უტყუარი და გამოკვეთილი ლიდერი ტფილისი იყო. 1897 წელს იქ 160 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, 53%-ით მეტი, ვიდრე 1876 წელს, წინა საქალაქო აღწერისას. 1902 წელს ტფილისში უკვე 190 ათასი ადამიანი ცხოვრობდა. 1914 წლის I იანვრისათვის მიმდინარე აღრიცხვამ ქალაქში მყოფი 345 ათასი ადამიანი დააფიქსირა, მათგან 201 ათასი მკვიდრი მცხოვრები იყო.

ისევე, როგორც თავისი არსებობის უმეტეს დროს, XIX საუკუნის მიწურულში, ტფილისი მრავალეროვან ქალაქს წარმოადგენდა, თუმცა ყველამ იცოდა, რომ ის იყო ისტორიული საქართველოს დედაქალაქი. იმპერიის პერიოდში ტფილისი ფორმალურად არ იყო „ქართული ქალაქი“, არამედ რუსეთის საგუბერნიო ცენტრი, იმპერიული ხელისუფლების თვალსაზრისით – ერთ-ერთი რუსული ქალაქი, ისეთივე როგორც, მაგალითად, კიევი, ოდესა, ვარშავა, ვილნო (ვილნიუსი), რიგა, იურიევი (ტარტუ), ბაქო, ტაშკენტი, ერევანი და ა.შ. ყველა ზემოჩამოთვლილ ქალაქში დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ „ტუზემცები“ (туземцы, „ადგილობრივები“, რომლებიც იმპერიის ძირითად ერს – რუსებს – არ განეკუთვნებოდნენ), ან „ინოროდცები“. XIX საუკუნის ტფილისში „ტუზემცები“ იყვნენ ქართველები და სომხები, „რუსულ ქალაქებში“ – ბაქოსა და ერევანში – „ტუზემცებს“ აზერბაიჯანელები და სომხები წარმოადგენდნენ.

მოსახლეობის რიცხოვნობით ტფილისი სჭარბობდა ყველა სხვა ქალაქს მთელ კავკასიაში. ნავთობით გამდიდრებულ ბაქოშიც კი 1897 წლის აღწერისას ტფილისზე ნაკლები მცხოვრები დაფიქსირდა. ტფილისის ადმინისტრაციულ ფუნქციას აძლიერებდა ის, რომ 1844-1881 და 1905-1917 წლებში იქ იჯდა კავკასიის მეფისნაცვალი (Кавказский наместник). 1881-1905 წლებში ტფილისი წარმოადგენდა კავკასიის ადმინისტრაციის მთავარმმართებლის (Главноначальствующий Кавказской администрацией) რეზიდენციას. მეფისნაცვლად და მთავარმმართებლად იმპერია ყოველთვის გზავნიდა სამეფო დინასტიასთან დაახლოებულ პირს, რაც თბილისის პრესტიჟს ზრდიდა. მაგალითად, 1862-1881 წლებში კავკასიის მეფისნაცვალი იყო იმპერატორ ალექსანდრ II-ის ღვიძლი ძმა, დიდი მთავარი **მიხაილ ნიკოლაევიჩ რომანოვი.**

I მსოფლიო ომის წინ ტფილისში განლაგებული იყო რამდენიმე ქვეყნის, მათ შორის საფრანგეთის, იტალიის, შვეიცარიის, ბელგიის, სპარსეთის საკონსულოები.

არც ერთი ქალაქი რუსეთის კავკასიაში არ ფლობდა ისეთი ზომის სოციალურ ინფრასტრუქტურას და არ ასრულებდა ისეთ კულტურულ ფუნქციას, როგორსაც თბილისი. წელიწდეულ „Кавказский календарь“-ის მიხედვით ირკვევა, რომ 1914 წელს თბილისში მოქმედებდა ქალთა უმაღლესი კურსები,

ვაჟთა შვიდი და ქალთა ხუთი გიმნაზია, სულ კი ასორმოცდაათამდე სხვადასხვა სასწავლებელი. იქ გამოდიოდა კავკასიის ჟურნალ-გაზეთების უმრავლესობა: 29 რუსულ, 18 სომხურ, 15 ქართულ, ორი აზერბაიჯანულ და ერთი გერმანულ ენაზე. ქალაქს ჰქონდა ხუთი თეატრალური დარბაზი, რვა კინოთეატრი, ათი საავადმყოფო, 25 აფთიაქი, 45 სასტუმრო, მრავალი ბანკისა და სადაზღვევო კომპანიის განყოფილება, ათი ყველასათვის ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკა, 45 მართლმადიდებლური, 23 სომხურ-გრიგორიანული (იგულისხმება კარის ეკლესიებიც), თითო კათოლიკური და ლუთერული ეკლესია, ორი სინაგოგა და ორი მეჩეთი – სუნიტური და შიიტური. ქალაქში არსებობდა სატელეფონო ქსელი, 1904 წლიდან დადიოდა ელექტროტრამვაი. 1905 წელს ერთმა ბელგიურმა კომპანიამ მთაწმინდაზე სამთო-საბაგირო რკინიგზა – ფუნიკულიორი – გაიყვანა. თვითნასწავლმა მხატვარმა ნიკო ფიროსმანაშვილმა თავის ნახატზე უკვდავყო XX საუკუნის თბილისის ეს ახალი ნიშანსვეტი.

1914 წლის 4 მაისს ნავთლუღში საძირკველი ჩაეყარა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საძირკველს: ის უნდა გამხდარიყო პირველი უმაღლესი სასწავლებელი კავკასიაში. ბუნებრივია, სწავლება იქ რუსულად წარიმართებოდა და ეყოლებოდა მრავალეთნიკური პროფესურა და სტუდენტები.

პეტერბურგში დიდხანს ითრევდნენ ფეხს თბილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებაზე, რადგან კავკასიის ადგილობრივი მოსახლეობა არაკეთილსაიმედოდ მიაჩნდათ და არ უნდოდათ გაეჩინათ „ახალგაზრდა ადამიანთა თავმოყრის კერა“. ბოლოს და ბოლოს, 1914 წელს იმპერატორის უზენაესი ნებართვა მიღებული იქნა! მაგრამ იმავე წელს დაიწყო I მსოფლიო ომი, დაფინანსება შეწყდა, ინსტიტუტის მშენებლობა შეჩერდა. სამი წლის შემდეგ კი იმპერიაც დაემხო. 1918 წელს პირველი უმაღლესი სასწავლებელი მთელ კავკასიაში გახდა თბილისის უნივერსიტეტი: ის ქართული იყო!

თბილისის საქალაქო საზღვარი ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლო მესამედში გასცდა „მოსკოვის საგუშაგოს“ ადგილს, რომელსაც ახლა „ზემელის“ სახელით ვიცნობთ: იქ გერმანელ აფთიაქარ Semmel-ს ჰქონდა იმ დროს ძალიან პოპულარული დაწესებულება. XX საუკუნის დამდეგისათვის თბილისის განაშენიანებამ მიაღწია ვარაზის ხევს, დღევანდელი მელიქიშვილის ქუჩის ბოლოს, და ქალაქმა შეიერთა ხევის გადაღმა მდებარე ვაკე.

წყნეთის გზაზე (ახლანდელ ილია ჭავჭავაძის გამზირზე) იქამდე სულ რამდენიმე შენობა იდგა, რომელთაც 1906 წლიდან დაემატა კერძო სასწავლო დაწესებულების, ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის დიდი შენობა. ქართული საზოგადოება, რომელმაც დააფინანსა ამ შენობის აგება, მომავალ უნივერსიტეტზე ოცნებობდა! 1918 წლიდან მასში მართლაც განთავსდა ქართული უნივერსიტეტი.

XX საუკუნის დამდეგს კი ვაკე უშენი ადგილი იყო, შიგადაშიგ ყანებითა და ადგილობრივ თიხაზე მომუშავე აგურის პატარა ქარხნებით, რომლებსაც ბევ-

რი შეშა ესაჭიროებოდათ: ამიტომ, ახლომახლო ფერდობებზე ხეს ან ბუჩქს ვეღარ ნახავდით!

საბურთალო ჯერ კიდევ მართლაც საბურთაო ადგილად თუ გამოიყენებოდა. მდინარე ვერაზე XVII საუკუნეში, როსტომ მეფის დროს აგებული ხიდიდან (1950-იანი წლების ბოლოს ხიდი ქალაქის რეკონსტრუქციას ემსხვერპლა), დღევანდელ გმირთა მოედანზე, იწყებოდა საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც მიდიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, ქალაქ ვლადიკავკაზამდე. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ამ გზის საწყისი მონაკვეთი („ზემელიდან“) საქალაქო ქუჩად გადაიქცა და მას დიდ მთავარ ოლგას (Великая княгиня Ольга) სახელი – ოლგინსკაია – დაერქვა. 1924 წელს კომუნისტებმა ამ ქუჩას ლენინის სახელი მიანიჭეს, 1991 წელს კი ის მერაბ კოსტავას ქუჩა გახდა.

საგუბერნიო ცენტრი იყო თითქმის მთლიანად ქართველებით დასახლებული ქალაქი **ქუთაისი.** 1914 წელს ქუთაისში გამოდიოდა 16 ქართული და 3 რუსული ჟურნალ-გაზეთი. ქუთათური ინტელიგენციის საგრძნობმა ნაწილმა XX საუკუნის პირველ დეკადებში თბილისში ცხოვრება და მოღვაწეობა ამჯობინა. შემდგომში ცნობილი ბევრი ქართველი მეცნიერი ან კულტურის დიდი მოღვაწე დაიბადა ქუთაისის გუბერნიაში და თბილისში მოგვიანებით დასახლდა.

ყველას, ვინც დასავლეთ საქართველოდან ანუ ლიხთ-იმერიდან იყო გადმოსული, ქართლ-კახეთში „იმერლებს“ უწოდებდნენ. ეს ტერმინი მოიცავდა თითქმის ყველა დასავლეთ-ქართულ სუბეთნოსს. ძირითადად ამ „იმერლებმა“ აითვისეს თბილისის ახლოს, რკინიგზის ხაზის გადაღმა მდებარე მიწა, რომელსაც ყველა ჯურის ხალხი რუსულ სახელს – „ნახალოვკას“ („თავხედურად დასახლებულს“) უწოდებდა. მოგვიანებით ეს სიტყვა, ერთგვარი შელამაზებით, ვთარგმნეთ, როგორც „ნაძალადევი“.

სოფლიდან მოსული ხალხი მართლაც თავხედურად (რუსულად – „нахально“) სახლდებოდა დიდი ქალაქის შორიახლოს, მისი ოფიციალური საზღვრის გარეთ მდებარე სახაზინო მიწაზე. ასეთივე „ნახალოვკები“ არსებობდა ბაქოში, ტაშკენტსა და იმპერიის სხვა მზარდ ქალაქებშიც. ასეთ დასახლებას ინგლისურად squatter settlement-ს უწოდებენ: ისინი ბევრ სხვა ქვეყანაშიც არსებობდა და დღესაც არსებობს.

თბილისელ „ნახალოვკელთა“ სახლები თავიდან უბრალო ხუხულები იყო, კომუნალური მომსახურება – რუდიმენტული. მაგრამ დიდ ქალაქთან ახლოს ყოფნა ყოჩაღ ხალხს, უპირატესად ახალგაზრდა მამაკაცებს, ჩაბმულს მრეწველობაში, მშენებლობაში, მომსახურების სფეროში, აძლევდა სტიმულს, ეზრუნა უკეთეს მომავალზე. საბოლოოდ თბილისს შეუერთდა თავისი „ნახალოვკა“, სადაც ქართველობა აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდა.

დასავლეთ საქართველოდან თბილისში მოსახლეობის მიგრაციას ქართველი ერის კონსოლიდაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მიგრანტები ყო-

ველთვის გამოირჩევიან ენერგიულობითა და ამბიციურობით, ანუ იმ თვისებებით, რომლებიც დასავლეთ-ქართულ ელემენტს არ აკლდა. ეს მიგრანტები „თავის ქალაქში“ ჩადიოდნენ – თბილისს ქართველთა ყველა სუბეთნოსი საკუთარ დედაქალაქად მიიჩნევდა, განსხვავებით, მაგალითად, ბაქოსაგან, რომელსაც ქართველები მხოლოდ სამუშაოს საძებნელად ან სიმდიდრის მოსახვეჭად თუ ეტანებოდნენ.

XIX საუკუნის ბოლო მესამედიდან თბილისი თანამედროვე ქართველი ერის (ნაციის) „სადნობ ქვაბად“ გვევლინება და იქ თანდათან ყალიბდება თანამედროვე საერთო-ქართული ეროვნული მენტალიტეტი, რაშიც დასავლურ-ქართულმა ელემენტმა დიდი წვლილი შეიტანა. ქართული ენის სხვადასხვა კუთხური აქცენტი თუ კილო თბილისელთა მეორე და, მით უმეტეს, მესამე თაობაში ქრება. მხოლოდ ტრადიციული ქართული გვარებით შეიძლება გამოცნობა, რომელი კუთხიდანაა წარმოშობით დღევანდელი თბილისელი, თუმცა ამას რეალური მნიშვნელობა აღარ აქვს.

დაახლოებით 1870-იანებიდან 1920-იან წლებამდე პერიოდში ხდებოდა ქართველი ერის (ნაციის) განსაკუთრებით ინტენსიური კონსოლიდაცია. ეს პროცესი, რასაკვირველია, უფრო ადრე დაიწყო, მაგრამ სწორედ XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან საბოლოოდ შედუღაბდა ქართული სუბეთნოსები თანამედროვე ნაციად, რომელიც არავითარ „სისხლით ნათესაობას“ არ ეყრდნობა, არამედ ყველა თანამედროვე ნაციის მსგავსად, არის სოციალ-ეკონომიკური, კულტურულ-პოლიტიკური და სულიერი ერთიანობის პროდუქტი.

ზოგი, ალბათ, არ დაეთანხმება ზემოთქმულ მოსაზრებას: ისტორიის სახელმძღვანელოებმა ჩაუნერგეს მათ, რომ ქართველი ერი XII საუკუნეშიც და კიდევ უფრო ადრე არსებობდა. სინამდვილეში, ერები (ნაციები) თანამედროვე გაგებით ასე დიდი ხნის, ანუ XI-XII და მომდევნო საუკუნეებშიც, ევროპაში ჯერ არ არსებობდნენ. არ იყვნენ საბოლოოდ ჩამოყალიბებული არც ფრანგი, არც ინგლისელი, არც გერმანელი, არც იტალიელი, არც რუსი და არც სხვა ნაციები, თუმცა, გარკვეული პირობითობით, მათ ასე იხსენიებენ ხოლმე. თანამედროვე ევროპულმა ნაციებმა ბევრად უფრო გვიან დაიწყეს წარმოქმნა – XIV-XVIII საუკუნეებიდან. მაგალითად, ერთიანი გერმანული ნაცია XIX საუკუნის პროდუქტია. ნაციონალური კონსოლიდაცია მრავალსაუკუნოვანი და მტკივნეული პროცესი იყო და ევროპაშიც კი, მით უმეტეს აზიასა და აფრიკაში, ზოგან დამთავრებულიც არაა.

კითხვები ლექცია 2-ის თემაზე:

1. როგორი იყო სამხრეთ კავკასიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა XX საუკუნის დასაწყისში?
2. როგორ ხორციელდებოდა რუსეთის იმპერიის ტოპონიმური პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში?
3. როგორი იყო საქართველოს ადგილზე არსებული გუბერნიების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტრუქტურა
4. მოსახლეობის როგორი ეთნიკური სტრუქტურა ჰქონდათ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებსა და სოხუმის ოკრუგს XIX საუკუნის მიწურულში?
5. რა როლს ასრულებდა ქ. თბილისი სამხრეთ კავკასიის ურბანიზაციაში?
6. რა როლი შეასრულა თბილისმა ქართული ნაციის კონსოლიდაციაში?
7. რა ცვლილებები მოხდა სამხრეთ კავკასიის დღევანდელი სამი დედაქალაქის მოსახლეობის ეთნიკურ სტრუქტურაში XIX-XX საუკუნეების განმავლობაში?

ლექცია 3

სამხრეთ კავკასიის ხალხების ეროვნული მისწრაფებები რუსეთის იმპერიის არსებობის ბოლო ათწლეულებში

სამხრეთ კავკასიის განვითარება და ნაციონალიზმის წარმოშობის წინაპირობები

სამხრეთ კავკასიაში სოციალურ-ეკონომიკური ძვრებისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი აღმოჩნდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება. 1872 წელს რკინიგზით თბილისის დაკავშირებამ – ფოთთან, 1883 წელს – ბათუმთან და ბაქოსთან, ხოლო 1902 წელს ამიერკავკასიის სარკინიგზო ქსელთან ერევნის შეერთებამ ბოლო მოუღო სამხრეთ კავკასიიის მხარეების იქამდე არსებულ კარჩაკეტილობას და ხელი შეუწყო ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაციას, ძირითადად – საგუბერნიო ცენტრებისაკენ. 1900 წლიდან სამხრეთ კავკასია ბაქოს გავლით დაუკავშირდა დანარჩენი რუსეთის იმპერიის სარკინიგზო ქსელს, იქიდან კი – ევროპას. სხვა სარკინიგზო ხაზი, შავი ზღვის სანაპიროს გავლით, სამხრეთ კავკასიასა და ევროპულ რუსეთს საბოლოოდ მხოლოდ 1949 წლიდან დააკავშირებს.

ბაქოს გარშემო, აფშერონის ნახევარკუნძულზე, 1914 წელს არსებული ოთხი ათასი ჭაბურღილი რუსეთის ნავთობის მოპოვების 80%-ს და მსოფლიო მოპოვების ნახევარს იძლეოდა.

I და II მსოფლიო ომების დროს ბაქოს ნავთობსარეწთა დაუფლება/შენარჩუნება მეომარი მხარეების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო.

1897-1907 წლებში გაყვანილ იქნა მსოფლიოში პირველი, 835 კილომეტრი სიგრძის, მილსადენი ბაქოდან ბათუმამდე ნავთის (კეროსინის) გადასაზიდად: ბათუმი იქცა ბაქოს ნავთობის ტერმინალად. მომდევნო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეს ორი ქალაქი მსოფლიო გეოეკონომიკასა და გეოპოლიტიკაში ერთმანეთზე გადაჯაჭვული იქნება.

ბაქო კავკასიის მთავარი სამრეწველო ცენტრი გახდა. ინდუსტრიალიზაციის დონით თბილისი და ბათუმი მას საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ. გაჩნდა მოპოვებითი მრეწველობის სხვა ცენტრებიც: ჭიათურა – მანგანუმის მადნის, ალავერდი (ამჟამად სომხეთშია) – სპილენძის მადნის, ტყიბული – ქვანახშირის წყალობით. სამხრეთ კავკასიის სხვა ქალაქებში მრეწველობა თითქმის არ იყო: ისინი ადგილობრივი მომსახურებისა და ადმინისტრაციულ ცენტრებს წარმოადგენდნენ.

ბაქო კაპიტალის დაგროვების კარგ შანსს აძლევდა გაქნილ საქმოსანს იმის ხარჯზეც, რომ ადგილობრივი და რუსეთის სხვა გუბერნიებიდან მოსული მუშებისათვის უბადრუკი გასამრჯელოს გადახდა შეეძლო.

ბაქოში გამდიდრდნენ ეროვნებით შვედი რობერტ და ალფრედ ნობელები, ებრაელი როტშილდები, სომხები – მანთაშევი, მაილოვი, მირზოევი, პიტოევი, ღუკასოვი, არამიანცი და მრავალი სხვა. ბაქოში მოიხვეჭეს სიმდიდრე ქართველებს შორის იშვიათმა წარმატებულმა ბიზნესმენებმა ძმებმა ზუბალაშვილებმა და აკაკი ხოშტარიამ. ზუბალაშვილებმა დაგვიტოვეს თავისი სახსრებით აგებული დღევანდელი მარჯანიშვილის თეატრის შენობა, კათოლიკური ეკლესია – ბათუმში (ის ახლა მართლმადიდებლურია) და სხვ.

ერთი სომეხი მილიონერის გვარი თბილისელთათვის უკეთ უნდა იყოს ცნობილი: თბილისელმა სომეხმა მიხაილ იოსიფოვიჩ **არამიანცმა** უკვდავყო თავისი სახელი საავადმყოფოთი, რომლის ერთერთი პირველი შენობა მისი სახსრებით აიგო და 1910 წელს საზეიმოდ გაიხსნა. ახლა მას თბილისის „I კლინიკური საავადმყოფო“ ეწოდება. იმავე ტერიტორიაზე შემდგომში აიგო სამედიცინო დანიშნულების მრავალი სხვა შენობა, ხალხი კი ამ საავადმყოფოთა კომპლექსს დღემდე „არამიანცს“ უწოდებს. ნაკლებადაა ცნობილი, რომ 1915 წელს გახსნილი სასტუმრო „მაჟესტიკი“ (შემდგომში – „თბილისი“, ამჟამად „მერიოტ-თბილისი“) ასევე არამიანცის სახსრებითაა აშენებული.

თბილისელი მოქალაქის ისაი ეგოროვიჩ **პიტოევის** სახსრებით 1901 წელს პოლონელმა არქიტექტორმა შიმკევიჩმა ააგო „არტისტული საზოგადოების“ მშვენიერი შენობა, რომელსაც 1921 წლიდან შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი ეწოდა.

თბილისელი სომეხი იყო ალექსანდრ ივანოვიჩ **მანთაშევი,** რომელმაც ბაქოში ძალიან დიდი კაპიტალი დააგროვა. მანთაშევის კაპიტალს 30 მილიონ მანეთად აფასებდნენ, მაშინდელი რუსული მანეთი („რუბლი“) კი მსყიდველობითი უნარით დღევანდელ 60-70 ამერიკულ დოლარს უთანაბრდებოდა. მანთაშევის სახსრებით აიგო ნერსისიანის სასულიერო სემინარიის შენობა თბილისში (ახლა მასში „კავკასიის უნივერსიტეტია“ განლაგებული), სომხური ეკლესია – პარიზში, ყოველთა სომეხთა კათოლიკოსის სასახლე – ეჯმიაწინში და სხვ. სწორედ მისი სახსრებით იქნა გაყვანილი ბაქო-ბათუმის ნავთსადენი, რომელიც 1907 წელს ამოქმედდა.

ზოგი სომეხი მილიონერი იმიტომ ვახსენე, რომ მაშინდელ თბილისში ფინანსურად ისინი დომინირებდნენ და ბევრს აშენებდნენ კიდეც. თბილისელებს ეს გვარები დღემდე არ ავიწყდებათ: „არამიანცი“ და „მელიქაზარიანცი“ საქალაქო ორიენტირებია! XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დამდეგს ბაქოს ცენტრშიც ბევრი თვალსაჩინო შენობა იქ გამდიდრებული სომეხი კაპიტალისტების სახსრებით აიგო.

როდესაც რუსეთის იმპერიის მდიდარი სომხები თბილისსა თუ ბაქოში, დონის როსტოვსა თუ მოსკოვში იშენებდნენ სასახლეებს, ამას საკუთარი ოჯახის კეთილდღეობისათვის აკეთებდნენ: დიდ ქალაქში ცხოვრება უფრო კომფორტული იყო. მდიდარი ქველმოქმედი იქვე თეატრის შენობასაც ააგებ-

და, საავადმყოფოსაც და სემინარიასაც. მდიდარი სომხები სერიოზულ კაპიტალს აბანდებდნენ რუსეთის იმპერიის დიდი ქალაქების მშენებლობაში და საუკუნოდ აპირებდნენ იქ დამკვიდრებას. იმპერია მათ სამარადისოდ მიაჩნდათ.

მათ სამწუხაროდ, „მარადისობა“ სწრაფწარმავალი აღმოჩნდა!

თუ თავიდან სომხური ბურჟუაზიის სამშენებლო საქმიანობის ეთნიკური ნიშანი მეორეხარისხოვანი იყო, XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებში წინა პლანზე გამოდის სწორედ ეს ნიშანი. მანთაშევისა და სხვა სომეხი მეცენატეების ქველმოქმედება კავკასიაში ხშირად იყო ნაკარნახევი სომეხი ინტელექტუალების მიერ ჩამოყალიბებული სომხური ეროვნული იდეით.

XX საუკუნის დასაწყისში სავსებით ნათელი გახდა, რომ კავკასიის თითქმის ყველა ეთნოსს გაუჩნდა საკუთარი ეროვნული იდეა, რომელმაც დაიწყო გაუბედავი ოცნება სრულ დამოუკიდებლობაზე, მაგრამ თავიდან – თუნდაც ტერიტორიულ ავტონომიაზე იმპერიის შემადგენლობაში. ეს მოთხოვნები ზოგიერთი არალეგალური პოლიტიკური პარტიის პროგრამაშიც აისახებოდა.

შუა საუკუნეების ადამიანთა ერთობას ადუღაბებდა სარწმუნოება, ხოლო მათი ლოიალობა მონარქის მიმართ იყო გამოხატული და არა იმ დროს ბუნდოვანი საზღვრების მქონე სამშობლოს მიმართ.

XVIII საუკუნის ბოლო დეკადებში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ვითარება მკვეთრად შეცვალა: მონარქი აღარ იყო სამშობლოს სიმბოლო!

- ეროვნული იდეა გაჩნდა ჩრდილოეთ ამერიკის 13 ინგლისურ კოლონიაში, რომლებიც ინგლისის მეფეს აუჯანყდნენ და 1776 წელს გამოაცხადეს „ამერიკის შეერთებული სახელმწიფოების“ დაარსება (United States of America). რუსული ენის გავლენით, სადაც State ითარგმნება, როგორც „შტატი“ („სახელმწიფო“ გერმანულად), ქართულადაც „შტატი“ დამკვიდრდა;
- 1775-1791 წლებში რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის მიერ *პოლონეთის რეჩპოსპოლიტის* (რაც „რესპუბლიკის“ შესატყვისია) ტერიტორიის დანაწილებამ პოლონელებში გააჩინა გამძაფრებული ეროვნული იდეა;
- საფრანგეთში 1789 წლიდან დაწყებულმა რევოლუციამ აღმოაცენა ფრანგული ეროვნული იდეა, რომელმაც სამშობლოს (La patrie) ცნებას უზენაესი მნიშვნელობა მიანიჭა. წარმოიშვა „ტერიტორიული ნაციონალიზმი“: „ეს მიწა ჩვენი სამშობლოა და ის წმიდათა წმიდაა!“ „ჩვენ“ არ გულისხმობდა მხოლოდ ეთნიკურ ფრანგებს, არამედ ყველას, ვინც *საფრანგეთის მოქალაქე* იყო.

იმ ერების, რომლებსაც სახელმწიფოებრიობა არ ჰქონიათ ან დაკარგული ჰქონდათ (როგორც, მაგალითად, რუსეთის იმპერიის ქართველებსა და სომხებს) **ეროვნული იდეა ეთნიკურ ნიადაგზე** ფორმდებოდა.

იმპერიული ერების, მაგალითად, თურქებისა და ირანელების, ეროვნული იდეა, რასაკვირველია, განსხვავდებოდა სახელმწიფოებრიობის არმქონე ერების იდეისაგან.

XIX საუკუნის ბოლო დეკადაში ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში თითქმის ერთდროულად და, ხშირად, ერთმანეთთან დაპირისპირების პირობებში დაიწყო ჩამოყალიბება ებრაულმა, სომხურმა, ქართულმა, ცოტა მოგვიანებით – თურქულმა, ირანულმა, არაბულმა ეროვნულმა იდეებმა.

ებრაულ ნაციონალურ იდეას „სიონიზმი“ დაერქვა: ის 1897 წელს გაფორმდა და მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი საბოლოო მიზანი – შეექმნა ებრაული სახელმწიფო პალესტინის ტერიტორიაზე.

ყველა ეროვნულ იდეას ჰქონდა ტერიტორიული განზომილება, ანუ ეთნიკურ ჯგუფებს გარკვეულ „ეთნიკურ ტერიტორიაზე“ გაუჩნდათ პრეტენზია.

„ნაციონალიზმის“ ევფემიზმია „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“. საბჭოთა პერიოდში პირველს იყენებდნენ მოვლენისათვის ნეგატიური, მეორეს კი – პოზიტიური მნიშვნელობის მისაცემად. ამ პოზიციის თანახმად, აფრიკისა და აზიის ევროპელი კოლონიზატორების მიერ ჩაგრულ ხალხებში მიმდინარეობდა „სამართლიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“. მაგრამ თუკი საბჭოთა კავშირის რომელიმე არა-რუს ხალხში გაჩნდებოდა ანალოგიური მოძრაობის ჩანასახი, ეს მკაცრად დასასჯელი „ბურჟუაზიული ნაციონალიზმი“ იყო!

კომუნისტური იდეოლოგია ამტკიცებდა, თითქოს ნაციონალიზმი დამახასიათებელია ბურჟუაზიისათვის, მუშათა კლასისათვის კი ის უცხოა. სინამდვილეში კი, ნაციონალური იდეა ჩნდება ინტელექტუალურ წრეებში და, განათლების გავრცელების კვალდაკვალ, ვრცელდება მუშებს შორისაც („პროლეტარიატში“), წვრილ და საშუალო ბურჟუაზიაშიც, გლეხობაშიც.

ნაციონალიზმი შედარებით ნაკლებ პროდუქტიულია სწორედ მსხვილი კაპიტალისთვის: მას მოგება სჭირდება და არა კონფრონტაცია სხვა ერების წარმომადგენლებთან, მისი აზრით, „ფუჭი დავისათვის“, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის ტერიტორია.

ქართული ეროვნული იდეა

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ საქართველოში ეროვნული იდეა, ანუ იმის გაგება, თუ რა არის ქართველების, როგორც ერის, სასიცოცხლო ინტერესები, ასე ვთქვათ, ჰაერში დაფრინავდა. მწყობრი, პროგრამის სახით გაფორმებული, ნაციონალური იდეოლოგია დიდხანს არ შექმნილა: ეროვნულ იდეას ძირითადად აჟღერებდნენ პუბლიცისტები და მწერლები, ხშირად – პოეტური გზით.

„თერგდალეულებმა“ – რუსეთის დიდ ქალაქებში განათლებამიღებულმა ადამიანებმა, საქართველოში შემოიტანეს ევროპული ტიპის მიდგომა ეროვნული ინტერესების მიმართ. მათ შორის გამორჩეულმა **ილია ჭავჭავაძემ** (1837-1907), რომელიც ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნამდვილ ლიდერად იქცა, ევროპის „ხალხთ ბორკილის მტვრევის ხმის“ გაგონებისას ინატრა

„ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!“

„მამულში“ ის გულისხმობდა საქართველოს, რომელსაც თავისი იმპერიული ბორკილები ჰქონდა დასამტვრევი.

1861 წელს ქართული ეროვნული იდეა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძემ თავის „მგზავრის წერილებში“ უცნობ მოხევე ლელთ ღუნიას (ალბათ, ღუნია ლელაშვილს?) ასე გამოათქმევინა: *„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“*. ეს შეფარულად გამოხატავდა საქართველოს თვითმმართველობის სურვილს.

1870-იანი წლებიდან თავის გაზეთ „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძე ფართოდ აშუქებდა ირლანდიელთა ბრძოლას თვითმმართველობისათვის (Homerule) ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში. გაზეთი „ივერია“ ემსახურებოდა პოლიტიკურ მობილიზაციას: მისი მიზანი იყო ქართულ საზოგადოებაში ირლანდიელთა ანალოგიური განწყობის შექმნისათვის ხელის შეწყობა.

ეს ეროვნული იდეის ჩამოყალიბების დაწყებას მოასწავებდა. უნდა შექნილიყო საერთო-სახალხო კონსენსუსი ქართველი ხალხის ძირეული, სასიცოცხლო ინტერესების შესახებ: ეს იყო თვითმმართველობის მიღწევა (ჩვეულებრივ, ეს არის ხოლმე პირველი ნაბიჯი დამოუკიდებლობისაკენ) და ასეთივე სასიცოცხლო ინტერესი – ეროვნული კონსოლიდაცია. ესეც საშური საქმე იყო, რადგან მრავალსაუკუნოვანმა დაშლამ ქართული სუბეთნოსები საკმაოდ დააშორა ერთმანეთს.

აკაკი წერეთელი ტყუილად არ წერდა:

„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვადასხვა კუთხის შვილები……“

საჭირო იყო „სხვადასხვა კუთხის შვილების“ ერთ ნაციად შერწყმა, რაც სტიქიურად ხდებოდა კიდეც, განსაკუთრებით – თბილისში.

XX საუკუნის დამდეგს ქართველებმა კარგად იცოდნენ, თუ ტერიტორიულად რას მოიცავს მათი სამშობლო – საქართველო. განსაკუთრებით შეუწყო ხელი ასეთი ცოდნის გავრცელებას დიდი განმანათლებლის **იაკობ გოგებაშვილის** (1840-1912) 1865 წლიდან ქართულად მრავალჯერ გამოცემულმა სასკოლო სახელმძღვანელოებმა, რომლებითაც სულ უფრო მეტი ბავშვი სწავ-

ლობდა. იქ კი მკაფიოდ იყო მითითებული, თუ რა არის „საქართველო“ და ვინ არიან „ქართველები“.

ქართული სახელმწიფოებრიობა XIX საუკუნის დასაწყისში შეწყდა და ისტორიულ მეხსიერებაში რჩებოდა ინფორმაცია, თუ რა ტერიტორიას მოიცავდა საქართველოს ბირთვი – ქართლ-კახეთის სამეფო. ზოგმა ისიც იცოდა, რომ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით რუსეთის იმპერია მის მფარველობაში შესული სამეფოს მიმართ ვალდებულებას იღებდა შეეერთებინა მისთვის ძველი ქართული მიწები სხვა ქვეყნებთან ომის მოგების შემთხვევაში (იგულისხმებოდა სამცხე-საათაბაგო). ლიხს გადაღმა ტერიტორიის საგრძნობი ნაწილი 1810 წლამდე იყო იმერეთის ბაგრატიონთა სამფლობელო, ანუ ისიც საქართველო. იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი რუსეთის იმპერიამ შეიერთა და ქუთაისის გუბერნიაში გააერთიანა.

1829 წელს რუსეთის იმპერიამ ოსმალეთის დამარცხების შემდეგ შეიერთა ისტორიული ქართული პროვინციები – მესხეთი და ჯავახეთი. ისინი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების სახელით, საბოლოოდ, ტფილისის გუბერნიას დაუქვემდებარდნენ, თუმცა თავიდან იმპერიამ ისინი ქუთაისის გუბერნიაში შეიყვანა: რუკაზე ისინი ქუთაისთან უფრო ახლოს ჩანდნენ! 1878 წელს რუსეთმა ოსმალეთს ჩამოართვა და შეიერთა აჭარა-ქობულეთი, კლარჯეთი, შავშეთი, კოლა-არტაანი, ტაოს ნაწილი. აჭარა-ქობულეთის, ნაწილობრივ – შავშეთის, გარდა, სხვა ტერიტორიებზე ქართულენოვანი მოსახლეობა (ისიც მუსლიმი), მცირერიცხოვანი იყო და საკუთარ იდენტობას რელიგიის მიხედვით განსაზღვრავდა: ისინი, უპირველესად, მუსლიმები იყვნენ.

მრავალი საუკუნის შემდეგ თითქმის ყველა მიწა, სადაც შუა საუკუნეებში არსებობდა ქართული სახელმწიფოები, ხოლო XII-XIII საუკუნეებში – ერთიანი სამეფო, კვლავ გაერთიანდა ერთი ხელმწიფის ხელქვეით. მართალია, ეს ხელმწიფე პეტერბურგში იჯდა და არა თბილისში, მაგრამ ქართული ეროვნული ინტერესებისათვის ერთ იმპერიაში ყოფნა სასარგებლო გამოდგა.

ის, რომ ქართული მიწების შეკრება შესაძლებელი გახდა სხვა იმპერიის წიაღში, ამ იმპერიის რაღაც განსაკუთრებული კეთილგანწყობის შედეგი არ ყოფილა. ამის ანალოგი სხვაც მოიპოვება.

ასე მაგალითად, ურთიერთმოქიშპე რუსული სამთავროების გაერთიანება მოსკოვის დიდი სამთავროს ირგვლივ მოხდა ე.წ. „თათარ-მონღოლთა უღლის“ პირობებში. მონღოლი ხელმწიფეები – „დიდი ხანები“ – თავის უნებურად უწყობდნენ ხელს რუსული მიწების ასეთ კონსოლიდაციას, როდესაც XIII-XV საუკუნეებში ავალებდნენ ჯერ ვლადიმირის, შემდეგ კი მოსკოვის დიდ მთავრებს ხარკის აკრეფას რუსულ სამთავროებში. ხარკის აკრეფა ძალის გამოუყენებლად შეუძლებელი იყო: ხარკის ამკრეფს სამხედრო ძალაც ახლდა! ძლიერი მთავარი მიღებული ხარკის საკმაო ნაწილს იჯიბავდა. ამის გამო მოსკოვის დიდი მთავრები გამდიდრდნენ, გაძლიერდნენ, ხოლო XV საუ-

კუნეში „ოქროს ურდოს“ გადაშენების შემდეგ დაეპატრონნენ მის ტერიტორიულ მემკვიდრეობას.

ევროპული ქვეყნების ბევრი ყოფილი კოლონიის გაერთიანება სწორედ კოლონიურ ეპოქაში მოხდა. მოვიყვან ორ თვალსაჩინო მაგალითს:

- ინდოსტანის დიდ ნახევარკუნძულზე (სუბკონტინენტზე) ერთიან სახელმწიფოს არასოდეს (!) უარსებია: უამრავი მაჰარაჯას და რაჯას სამფლობელოები პირველად ინგლისელებმა გააერთიანეს და 1857 წელს შექმნეს *„ინდოეთის იმპერია“*, რომლის იმპერატორი ლონდონში იჯდა (მაშინ ეს იყო დედოფალი ვიქტორია). ინდოეთის მეფისნაცვალი (VIceroy) კი იჯდა ჯერ ნესტიან კალკუტაში და 1911 წლიდან – ინგლისელების მიერ უფრო მშრალ ადგილას აშენებულ ნიუ-დელიში (ინდოეთის დედაქალაქი იქ რეალურად განლაგდა 1931 წელს). 1947 წელს ინგლისელები წავიდნენ, ინდოეთის იმპერიის ადგილზე კი დატოვეს ერთიანი ინდოეთი და, აგრეთვე, ისლამური სახელმწიფო პაკისტანი (რომელსაც შემდგომში გამოეყო ბანგლადეში). თანამედროვე ინდოეთი (თვითსახელი Bharat) არის მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალი, ეკონომიკურად დიდ ბრიტანეთზე უფრო ძლიერი, ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფო;
- თუმცა სიტყვა *ინდონეზია* („კუნძულოვანი ინდოეთი“) ჯერ კიდევ 1850 წელს გამოიგონა ერთმა ინგლისელმა ეთნოლოგმა, ქვეყნის ოფიციალურ სახელად ის მხოლოდ 1945 წლის შემდეგ იქცა. ის გახდა საერთო სახელი ჰოლანდიის მიერ წინა ორი-სამი საუკუნის განმავლობაში ერთ კოლონიად გაერთიანებული 17 ათასი კუნძულისა (საერთო ფართობი 1,9 მლნ კვ. კმ), რომელსაც თვით ჰოლანდიელები „ნიდერლანდის აღმოსავლეთ ინდოეთს“ (Nederlandsch Oost Indlë) უწოდებდნენ. ათასიოდე ენაზე მოლაპარაკე ტომებთან საურთიერთოდ კოლონიზატორები რთული ჰოლანდიურის ნაცვლად უფრო მარტივ მალაიურ ენას ამჯობინებდნენ. ეს ენა ინდონეზიაში სახელმწიფო ენად გამოცხადდა და მას Bahasa Indonesia („ინდონეზიური ენა“) დაერქვა.

ბევრ სხვა კოლონიასაც ევროპულმა მეტროპოლიებმა რაღაც პოზიტიური შესძინეს. რუსეთის იმპერიაში ყოფნით საქართველომაც ნახა სარგებელი: ქართული მიწები ერთ სახელმწიფოში გაერთიანდა, საზოგადოების მოდერნიზაციის პროცესი დაჩქარდა.

ახალი მიწის დაპყრობისას ყველა იმპერიის პროპაგანდისტული გზავნილია წესრიგის დამყარება ადრე ცუდად მართულ ტერიტორიაზე, ზოგჯერ – „ჭეშმარიტი სარწმუნოების დანერგვა“. რუსეთის იმპერია ავრცელებდა მართლმადიდებლობას „წარმართებს“ შორის (მაგრამ მუსლიმ და ბუდისტ ხალხებს შორის – არა, ან ძალიან ფრთხილად). არც ინგლისელებს და არც ჰოლანდიელებს თავიანთი სარწმუნოება ზემოხსენებულ ინდოეთსა და ინ-

დონეზიაში ძალდატანებით არ გაუვრცელებიათ, თუმცა აფრიკულ კოლონიებში ევროპელი მისიონერები აქტიურობდნენ.

რუსული იმპერიული მესიანიზმი გულისხმობდა, რომ ის „ცივილიზატორის როლს“ ასრულებდა ყველა შემოერთებულ მიწაზე, „მოჰქონდა მშვიდობა და წესრიგი“, რომ მისი ხელმწიფის ხელქვეით აღმოჩენილ „ყველა ტომს ეძლეოდა ფიზიკური გადარჩენის საშუალება“. ზოგი რუსი მეცნიერი და მწერალი იმის დამტკიცებასაც კი ცდილობდა, თითქოს რუსეთი ლამის საკუთარი სურვილის წინააღმდეგ მოვიდა კავკასიაში „ქრისტიანი ქართველებისა და სომხების გადასარჩენად“!

ზემოთ მოყვანილი გზავნილები თვალთმაქცობაა და შეიძლება შეიცავდეს სიმართლის მხოლოდ მცირეოდენ მარცვალს: ყველა იმპერია მართლაც დაინტერესებულია, რომ მის სამფლობელოში იყოს მშვიდობა და წესრიგი. მაგრამ საკუთარი ნებით არცერთი იმპერია არ ამზადებს დაპყრობილ ტერიტორიას დამოუკიდებლობისათვის.

ეს განსაკუთრებით ნათელი იყო რუსეთის იმპერიის შემთხვევაში. განსხვავებით ევროპული იმპერიებისაგან, რომელთაც კოლონიები ზღვებს გადაღმა ჰქონდათ, რუსეთი ფართოვდებოდა მეზობელი ტერიტორიების ხარჯზე. ყველა შემოერთებული ქვეყანა დაუყოვნებლივ ხდებოდა რუსეთის ნაწილი. ტერიტორიულად ფართოვდებოდა ის, რასაც პეტერბურგში (1712-1918 წლებში ის იყო რუსეთის სატახტო ქალაქი) მაღალფარდოვნად უწოდებდნენ „ერთიან და განუყოფელ წმინდა რუსეთს“ (единая и неделимая Святая Русь).

პორტუგალიის, ესპანეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის ან გერმანიისაგან განსხვავებით რუსეთს იმპერია კი არ ჰქონდა, რუსეთი თვითონ იყო იმპერია.

1901 წელს საზეიმოდ აღინიშნა საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავი. ქართული არისტოკრატიის ბევრი წარმომადგენელი სიხარულით შეხვდა იუბილეს. ლიბერალური ქართული პრესა კი თავშეკავებული იყო ამ მოვლენის შეფასებისას.

იმდროინდელი ქართველების საკმაო ნაწილი ხელმწიფე-იმპერატორის ლოიალური ქვეშევრდომი იყო. ეს განსაკუთრებით ითქმის თავადაზნაურობაზე, რომელთა კურტუაზულ ქცევას, ქეიფის წესებს, ჯირითს, სიმღერას, ცეკვას – იმპერიაში თავისებურ ეთნოგრაფიულ ფენომენად მიიჩნევდნენ. იმდროინდელი ქართული არისტოკრატიის ნაწილმა (ძირითადად, თბილისის გუბერნიაში) გვარები რუსულად გადაიკეთა, გვარის დაბოლოება „ოვ/ევ“-ით შეიცვალა და გახდა *ერისტოვ, მაკაევ, ჩოლოკაევ, მაზნიევ, ვახვახოვ, მელიკოვ* და ა.შ.

ყველა იმპერიაში პრივილეგირებულ კლასს წარმოადგენს ნებისმიერი წარმოშობის, თუნდაც არაგაბატონებული ერის, არისტოკრატია. დისკრიმინაციას ის, ჩვეულებრივ, ვერ გრძნობს: მისთვის უზენაესი ბატონი არის ხელმწიფე (მე-

ფე, იმპერატორი, შაჰი, სულტანი), რომლის ეთნიკურ წარმოშობას მნიშვნელობა არა აქვს.

უცხო წარმოშობის არისტოკრატიის ლოიალობა ყველა იმპერიის მდგრადობის სერიოზული ფაქტორი იყო. ასე იყო რუსეთის იმპერიაში, რომელსაც გერმანელი ბარონები, სხვა ევროპელი და ქართველი თავადები ერთგულად ემსახურებოდნენ. იგივე ითქმის ავსტრიის იმპერიაზე (ის მხოლოდ 1867 წელს გახდა „ავსტრია-უნგრეთი“), სადაც უნგრული და პოლონური (ნაკლებად – ჩეხური) არისტოკრატია ჰაბსბურგთა დინასტიის ერთგულ დასაყრდენს წარმოადგენდა იმ მომენტამდე მაინც, სანამ იმპერია ძლიერი იყო.

სამაგიეროდ, ეთნიკურ დისკრიმინაციას ნათლად გრძნობენ რიგითი ადამიანები არაგაბატონებული ეთნოსებიდან. ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შემთხვევაში ესენი იყვნენ არაგერმანელები და არაუნგრელები, ანუ დასავლეთ და სამხრეთ სლავები, რუმინელები; რუსეთის იმპერიის შემთხვევაში – ყველა არარუსი ეთნოსის წარმომადგენლები.

განსაკუთრებით მგრძნობიარე ასეთი დისკრიმინაციის მიმართ არიან ხოლმე არაგაბატონებული ეთნოსების ინტელექტუალური წრეები, მათ შორის, გამოსული არისტოკრატიული ოჯახებიდანაც. ხანდახან ისინი ხელოვნურად აზვიადებენ კიდეც დისკრიმინაციის ფაქტებს საკუთარი ეთნოსის ნაციონალური მობილიზაციის მიზნით.

მეტროპოლიისა და კოლონიების ინტერესების დაპირისპირება რაღაც ეტაპზე გარდაუვალი ხდება ხოლმე. იმპერიული ექსპანსიისას პეტერბურგს საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური გეგმები ჰქონდა. მისი არც პოლიტიკური და არც კულტურული ელიტის მიზანი სულაც არ ყოფილა რომელიმე ეთნიკური უმცირესობის, მათ შორის, არც ლოიალურად მიჩნეული ქართველების, ეროვნული კონსოლიდაცია და მათი მომზადება საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის.

იმპერია საკუთარი თავისთვის ზრუნავდა, მაგრამ შედეგად სულ სხვა რამ მიიღო.

არც სხვა ევროპული იმპერიები გეგმავდნენ მექსიკელი, ინდოელი, ინდონეზიელი, ალჟირელი, ბრაზილიელი და სხვა ნაციების შექმნას. ეს ნაციები კი, და მრავალი სხვაც, სწორედ იმპერიების წიაღში ჩამოყალიბდა, რაც ისტორიული გარდაუვალობა იყო. ასეთი შედეგი დასავლეთ-ევროპელმა კოლონიზატორებმა თავის უნებურად მიიღეს ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკებში, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, აფრიკაში და სხვაგან.

* * *

საქართველო საკმაოდ კარგად იყო შემოხაზული. ის მთლიანად მოიცავდა რუსეთის იმპერიის ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებს, ბათუმის ოლ-

ქსა და სოხუმის ოკრუგს, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდა ქართველების აბსოლუტური უმრავლესობა.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ქართული ინტელიგენცია სულ უფრო ღიად მსჯელობდა იმპერიის შემადგენლობაში მთელი საქართველოსათვის თვითმმართველობის (ავტონომიური სტატუსის) მინიჭების აუცილებლობაზე: **არჩილ ჯორჯაძის** მიერ ჩამოყალიბებული ეს იდეა შეიტანეს **სოციალისტ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტიის** პროგრამაში. იყო ლაპარაკი პროტექტორატის აღდგენაზეც, თუკი 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს გაიხსენებდნენ, რომელიც პეტერბურგმა ცალმხრივად გააუქმა 1801 წელს.

XX საუკუნის დამდეგს საქართველოს სრულ დამოუკიდებლობაზე იმ დროს ცოტა ვინმე თუ ლაპარაკობდა, თუმცა ნათელი იყო, რომ ეს თემა გაჩნდებოდა და ძალიან მალე გაჩნდა კიდეც.

ამასთან, ქართველებს შორის ყველაზე გავლენიან პარტიაში – სოციალ-დემოკრატიულში – საქართველოს დამოუკიდებლობის თემას ტაბუ ედო.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) გავლენიანი ქართველი წევრები ებრძოდნენ ყველა ტიპის ნაციონალიზმს. მათ ნაციონალისტად მიაჩნდათ ილია ჭავჭავაძე, რომელსაც „ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელს“ უწოდებდნენ!

1917 წლის ბოლომდე ქართველი სოციალ-დემოკრატები ინტერნაციონალიზმზე დებდნენ თავს და რუსეთთან ერთად (ანუ რუსეთში!) ყოფნას გეგმავდნენ. მაგრამ 1918 წლის 26 მაისს მათ თვითონვე გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა!

1907 წელს მკვლელებმა, სხვათა შორის, ქართველებმა, წაქეზებულებმა, როგორც ზოგი ფიქრობდა (თუმცა ეს დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება), სოციალ-დემოკრატების მიერ, მოკლეს ილია ჭავჭავაძე. ქართველობისათვის ეს უდიდეს დანაკარგს წარმოადგენდა.

მაგრამ ეროვნული იდეა ხალხში უკვე გამჯდარი იყო. ილიას მოკვლა არ ნიშნავდა ქართველი ერის დემორალიზაციას. ჩვენმა მტრებმა მიზანს ვერ მიაღწიეს.

სომხური ეროვნული იდეა

სომხების მკაფიო გამიჯვნა სხვა ეთნოსებისგან ადრეულ შუა საუკუნეებში დაიწყო. ამის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ სომხები ქრისტიანობის ექსკლუზიურ მიმართულებას მისდევენ.

დასავლეთ ევროპისა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ეთნოსების სულებზე დიდხანს ბატონობდა (ბევრგან დღესაც

ბატონობს) ზეეროვნული კათოლიკური ეკლესია, ცენტრით რომში. მექსიკელ თუ ავსტრიელ, ფილიპინელ თუ ჩეხ კათოლიკეს საერთო ტაძარში შეუძლია ილოცოს. რომის პაპებიდან სამი უკანასკნელიდან ერთი წარმოშობით პოლონელი იყო, მომდევნოები – გერმანელი და არგენტინელი!

პროტესტანტული ეკლესიები ასევე ზეეროვნულია. ბაპტისტი ან მეთოდისტი ინგლისელიც შეიძლება იყოს, ამერიკელიც, ზამბიელიც და ავსტრალიელიც; ლუთერანობა გერმანიის გარეთ, სადაც ის წარმოიშვა, გავრცელებულია სკანდინავიელებს, ესტონელებს, ფინელებს, ლატვიელებს შორისაც.

ბიზანტიის ძველი კულტურული გავლენის სფეროში ზეეროვნული მართლმადიდებლობა ბატონობს. რუს თუ ბერძენ, რუმინელ თუ უკრაინელ, ბულგარელ თუ ალბანელ, სერბ თუ ქართველ მართლმადიდებელს ერთ ტაძარში, თუნდაც სხვადასხვა ენაზე, შეუძლია ილოცოს. მართლმადიდებლები 14 ავტოკეფალიურ ეკლესიად არიან დაყოფილი და მათგან ერთ-ერთი ქართულია (მე-15, უკრაინული ეკლესიის, ავტოკეფალია ჯერ საყოველთაოდ აღიარებული არაა), მაგრამ, სომხებისაგან განსხვავებით, ქართველებს არა აქვთ ექსკლუზიური რელიგია, თუნდაც ზოგიერთი ასეთად მართლმადიდებლობას მიიჩნევდეს.

თბილისში ზის „სრულიად საქართველოს (და არა „ყოველთა ქართველთა) კათოლიკოს-პატრიარქი“ და მისი სამწყსო ქართველებთან ერთად მოიცავს საქართველოში მცხოვრებ ყველა მართლმადიდებელ რუსს, ოსს, აფხაზს, ბერძენს და სხვას. ტიტულატურაში ნათლად ჩანს გეოგრაფიული განზომილება.

სომხური სამოციქულო ეკლესიის მეთაურის ტიტული კი ასეთია: „ყოველთა სომეხთა უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკოსი“. თუმცა ის ზის **„წმინდა საკათედრო *ეჯმიაწინში*“** (და არა „ეჩმიაძინში“, რასაც რუსულის გავლენით ვიყენებთ ხოლმე), გეოგრაფიული განზომილება მის ტიტულში არ ჩანს.

სომხებსაც, რომელთაც გარედან მონოლითურ ერად აღვიქვამთ, აქვთ გარკვეული შიდა დაყოფა: არსებობს ორი სალიტერატურო ენა (დასავლურ-სომხური და აღმოსავლურ-სომხური, რომლებიც ურთიერთგასაგებია); ჰყავთ ორი კათოლიკოსი (ეჯმიაწინისა და კილიკიის) და ორი პატრიარქი (იერუსალიმსა და კონსტანტინოპოლში); სომხების მცირე ნაწილი კათოლიკეა, კიდევ უფრო მცირე – პროტესტანტი (ძირითადად, ევანგელისტები). მაგრამ სომხების დიდი უმრავლესობა იყო და დღემდე არის სომხური სამოციქულო ეკლესიის სამწყსო. კილიკიის კათოლიკოსი და ორივე პატრიარქი სომხური დიასპორის გარკვეული ნაწილის სულიერი ხელმძღვანელები არიან, მაგრამ ისინი აღიარებენ ეჯმიაწინის კათოლიკოსის უზენაესობას.

სომხური სამოციქულო ეკლესია მხოლოდ ერთ ერს ემსახურება და რელიგიურზე არანაკლებ ეროვნული იდეით კვებავს მრევლის სულს. ამ ეკლესიის ეროვნული ხასიათი ჩანს იქიდანაც, რომ **ეჯმიაწინის კათოლიკოსის**

არჩევაში სასულიერო პირებთან ერთად მონაწილეობენ საერო პირებიც: ამ მიზნით დელეგატებს სომხური თემები მთელ მსოფლიოში ირჩევენ.

სომხების აბსოლუტურ უმრავლესობას, რომელიც ქრისტიანობის საკუთარ („არაქალკედონურ“, „მონოფიზიტურ“, „გრიგორიანულ“: ეს მეტსახელებია!) მიმართულებას მისდევს, საკუთარი საეკლესიო შენობაც სჭირდება, რომელსაც ააგებენ იქ, სადაც მათი თემი მეტ-ნაკლებად დიდი გახდება.

შუა საუკუნეებში და XIX საუკუნეშიც სომხურ ეკლესიაში მონათლული ქართველი, მას ქართულის გარდა სხვა ენა რომც არ სცოდნოდა, „სომეხი“ ხდებოდა.

იმავე პერიოდის სამხრეთ კავკასიაში მართლმადიდებლობაზე მოქცეული სომეხი „ქართველი“ ხდებოდა, რადგან სხვა მართლმადიდებლური ქვეყანა ახლომახლო აღარ დარჩა: მართლმადიდებლური ბიზანტია XI საუკუნის ბოლოდან კავკასიას აღარ ემეზობლებოდა, რადგან შუაში თურქები ჩადგნენ; მართლმადიდებლური ტრაპიზონის იმპერია XV საუკუნეში ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო; მართლმადიდებლური რუსეთი მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგს მოვიდა სამხრეთ კავკასიაში.

სომეხი ქალკედონიტები, ანუ დიოფიზიტური მართლმადიდებლობის სომხურენოვანი მიმდევრები, დანარჩენ სომხებსა და ქართველებშიც ხშირად აღიქმებოდნენ „ქართველებად“. ზოგი მათგანი შეერწყა კიდეც ქართველობას.

სომხების, როგორც ეთნოსის, პოლიტიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებას ბოლო ათასი წლის განმავლობაში ქმნიდა ის, რომ ისინი შერეულად ცხოვრობდნენ სხვა სახელმწიფოებში, სხვა ეთნოსებს შორის, რადგან XI საუკუნის შუა წლებიდან 1918 წლამდე მათ საკუთარი სახელმწიფო არ ჰქონდათ. სომხები ხშირად ითავისებდნენ დომინანტი ეთნოსის ენას (ვთქვათ, თბილისში – ქართულს, მოსკოვში – რუსულს, სტამბოლში – თურქულს, ისფაჰანში – სპარსულს, ლოს-ანჯელესში – ინგლისურს). მაგრამ სხვა ეთნოსებს ისინი ნაკლებად ერწყმოდნენ, თუკი სარწმუნოებას არ შეიცვლიდნენ.

სომხების გაფანტულობას (სომხურად – „***სფიურქ*** “), სხვადასხვა პოლიტიკურ მიზეზთან ერთად, ხელს უწყობდა ისიც, რომ ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში მათ მომგებიანი ეკონომიკური ნიშა ეკავათ. გარდა იმისა, რომ სომხებს მშრომელი გლეხობა ჰყავდათ, მათ შორის მრავლად იყო კარგი ხელოსანი, წარმატებული ვაჭარი. რადგან ხელოსანი და ვაჭარი ყველგან იყო საჭირო, გვიან შუა საუკუნეებში სომხებმა, ყოველგვარი „გარედან ბიძგის“ გარეშე, წაიწიეს შუა ანატოლიის, სპარსეთის, ინდოეთის, სირიის, ბალკანეთის, კავკასიის, სამხრეთ რუსეთის, პოლონეთის ქალაქებისაკენ, სტამბოლისა და ვენეციისკენ და შექმნეს იქ ეთნორელიგიურად კარჩაკეტილი თემები, წარმატებული ეკონომიკური და კულტურული ელიტითურთ.

XVIII საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიაში იმპერიული რუსეთის ექსპანსიის კვალდაკვალ (ხანდახან, რუსების დამკვიდრებამდეც კი) სომეხმა მოახალშენეებმა დააარსეს ან ძირითადად დაასახლეს რამდენიმე ქალაქი, მათ შორის *არმავირი, ყიზლარი, სურბ ხაჩი* (სომხურად – „წმინდა ჯვარი“, დღევანდელი ქ. ბუდიონოვსკი), *ნორ ნახიჯევანი* (ის დღევანდელი ქ. დონის როსტოვის ნაწილია) და სხვ.

სომხები ძალიან წარმატებულები იყვნენ ოსმალეთის იმპერიაში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ამ იმპერიის მრეწველობის 25 პროცენტს და შიდა ვაჭრობის 60 პროცენტს სომხური კაპიტალი აკონტროლებდა.

მაგრამ ეს ფაქტი ორლესულ მახვილს ჰგავდა: ოსმალეთის იმპერიაში სომხების ეკონომიკური გავლენის ზრდასაც ნიშნავდა და მუსლიმი კონკურენტების ნეგატიურ განწყობასაც არ გამორიცხავდა, თუმცა XIX საუკუნის ბოლო ათწლეულამდე თანაცხოვრება სულტნის მუსლიმ ქვეშევრდომებსა და ქრისტიან სომხებს შორის უკონფლიქტო იყო.

პალესტინის „წმინდა მიწაზე“, იერუსალიმსა და ბეთლემში, XIX საუკუნეში ერთმანეთთან მოდავე ქრისტიანულ კონფესიებს შორის სომხურ ეკლესიას (იერუსალიმის სომხურ საპატრიარქოს) მფარველობდა ოსმალეთის სულტანი, მაშინ როდესაც იერუსალიმის ბერძნულ-მართლმადიდებლურ საპატრიარქოს – რუსეთის იმპერატორი.

იმ ტერიტორიაზე, სადაც სომხები უმრავლესობას ქმნიდნენ, სხვა ეთნოსის წარმომადგენლისათვის ეკონომიკური ფუნქცია აღარ რჩებოდა: სომხებმა თითქმის ყველაფრის კეთება იცოდნენ! შუა საუკუნეებში არ არსებობდნენ „სომეხი ებრაელები“ (ანუ სომხურენოვანი იუდეველები). საქმე ისაა, რომ შუა საუკუნეების ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში „ებრაელობა“ ისევე აღიქმებოდა „რჯულად“, როგორც „ფუნქციად“ და ეს იყო ვაჭრობა და მევახშეობა. სომხების განსახლების არეალში კი „ებრაელის ფუნქცია“ ვაკანტური არ იყო: სომხები ამ ფუნქციასაც წარმატებით ითავსებდნენ.

მუსლიმი ხელმწიფეები სომეხ ვაჭრებსა და ხელოსნებს საგანგებოდ იწვევდნენ და თავიანთ ქალაქებში ასახლებდნენ. ოსმალეთის სულტნისათვის სომხები იყვნენ *„მილეთ-ი-სადიკა“* (ერთგული ხალხი).

ბერძნულ კონსტანტინოპოლში „მონოფიზიტ“ სომხებს, როგორც „ერეტიკოსებს“ ეკრძალებოდათ საკუთარი ეკლესიის აგება. თურქულ სტამბოლში კი დღესაც მოქმედებს 30-ზე მეტი სომხური ეკლესია, რომლებიც ოსმალეთის სულტნის ნებართვით აიგო XVI საუკუნიდან, უმეტესად – XIX საუკუნეში.

XVII საუკუნის დამდეგს სპარსეთის შაჰმა აბას I-მა მდინარე არაქსის ხეობიდან და არარატის დაბლობიდან, სადაც სომხების განსახლება ათასწლეულებს ითვლიდა, ძალით აყარა ისინი და ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარების მიზნით სპარსეთის ქალაქებში დაასახლა. ქალაქ ჯულფადან (მისი სომხური სახელია ჯუღა) წამოყვანილ სომხებს შაჰ-აბასმა საკუთარ დედაქალაქ

ისფაჰანთან მიუჩინა ადგილი (მას დღემდე ნოუ ჯოლფას – „ახალ ჯულფას“ – უწოდებენ: იქ სომხური ეკლესია დგას) და პირადად მფარველობდა ამ ქრისტიანულ თემს. სომეხმა სოვდაგრებმა სპარსეთის საგარეო ვაჭრობის მონოპოლიზაცია მოახდინეს და ძალიან გამდიდრდნენ.

როდესაც 1828 წელს ერევნისა და ნახჭევნის სახანოები რუსეთის იმპერიამ შეიერთა, დაახლოებით 100 ათას იქაურ მცხოვრებს შორის სომეხი სულ 20-25 ათასი იყო, დანარჩენი – მუსლიმი. რუსეთის იმპერიამ ამ დემოგრაფიული შეფარდების შეცვლა დაიწყო და ანექსირებულ ყოფილ სახანოებში 1828-1829 წლებში ჩაასახლა ათეულ ათასობით სომეხი ჩრდილოეთ და დასავლეთ სპარსეთის რაიონებიდან.

1829 წელს რუსეთის იმპერიამ ოსმალეთისაგან შემოერთებულ მესხეთ-ჯავახეთშიც სომხები დაასახლა. სომხები იქ გადმოსახლდნენ ოსმალეთის იმპერიის ერზურუმის ეიალეთიდან.

1828-1830-იან წლებში რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში ჯამში 140 ათასამდე სომეხი მიიღო, რამაც მკვეთრად შეცვალა ამ რეგიონის ეთნოდემოგრაფიული სტრუქტურა.

ახალდაპყრობილი, ცოტა ხნით ადრე ისლამური ქვეყნების ხელში მყოფი მიწების შემოსამტკიცებლად პეტერბურგს იმ დროს ეს აქტიური ქრისტიანული ელემენტი ესაჭიროებოდა.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში კი პეტერბურგი ბევრად მეტი ეჭვით უყურებდა იმავე აქტიურ ელემენტს, რომელსაც გაუჩნდა იმპერიისათვის სახიფათო ეროვნული იდეა და დიდი გეოპოლიტიკური ამბიციები.

ამ ამბიციების დასაოკებლად კავკასიის მთავარმართებლის ***გრიგორი სერგეევიჩ გოლიცინის*** წარდგინებით 1903 წლის 12 ივნისს პეტერბურგში გამოიცა იმპერატორის უზენაესი ბრძანებულება სომხური ეკლესიის ქონების კონფისკაციის შესახებ. მაგრამ შედეგად იმპერიამ მიიღო სომხების აბობოქრება. კოჯრის გზაზე ეტლით მგზავრობისას გოლიცინი მძიმედ დაჭრეს სომეხმა ტერორისტებმა.

ორიოდე წლის შემდეგ იმპერატორი დააჯერეს დაებრუნებინა ქონება სომხური სამოციქულო ეკლესიისათვის და სომხურ ენაზე განათლების მიცემის უფლებაც აღედგინა.

ამავე დროს, გრძელდებოდა კავკასიის ეკონომიკურ მაღლობებზე სომხური ბურჟუაზიის გაბატონების პროცესი. თბილისის მდიდარი სომხური ბურჟუაზია, განსაკუთრებით, 1860-იანი წლებიდან (ბატონყმობის გაუქმების შემდეგ), მიწას ყიდულობდა ვალებში ჩაფლული ქართლ-კახეთის თავადაზნაურობისგან: ეს უკანასკნელი საკუთარი ბედოვლათობისა და უნიათობის გამო სათანადოდ ვერ იყენებდა მემკვიდრეობით მიღებულ მამულს, აგირავებდა და საბოლოოდ კარგავდა მას. XX საუკუნის დასაწყისში განვითარების

ტენდენცია უკვე ისეთი იყო, რომ ტფილისის გუბერნიის ქართველი გლეხობის უმეტესობა 20-30 წელიწადში სომხური ბურჟუაზიისა ან საიმპერიო ხაზინის კუთვნილ მიწაზე მოიჯარადრედ შეიძლებოდა ქცეულიყო.

შუა საუკუნეებიდან შემორჩენილი, ფუნქციადაკარგული ფეოდალები XIX საუკუნეში „ლუარსაბ თათქარიძეებად“ იქცნენ. ეს არ ეხება მხოლოდ ქართველ თავადაზნაურობას: იგივე ითქმის რუს, ესპანელ, იტალიელ და სხვა არისტოკრატებზეც, რომელთაც არ იცოდნენ (და არც უნდოდათ) მუშაობა და წესად ჰქონდა დროსტარებაში ქონების გაფლანგვა. ფუნქციადაკარგული ფეოდალების მიწის გადასვლა ბურჟუაზიის ხელში შეესაბამება კაპიტალისტური განვითარების ტენდენციას: უქნარას ქონება გადადის საქმიანის ხელში. მიწას მოგება უნდა მოჰქონდეს!

მაგრამ სამხრეთ კავკასიაში ეს ეკონომიკური ტენდენცია სახიფათო ეთნიკურ შეფერილობას იძენდა. 1875 წლიდან არსებული ტფილისის გუბერნიის „სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი“, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ედგა სათავეში, მოწოდებული იყო ერთგვარად შეერბილებინა არისტოკრატიის მიერ მიწის დაკარგვის პროცესი. მაგრამ ბანკი არ იყო საკმარისი ქართველების ხელიდან სხვა ეთნიკური ელემენტის ხელში სასოფლო-სამეურნეო მიწის გადანაცვლების სრულად შესაჩერებლად. ადრე თუ გვიან, ამ ეკონომიკურ პროცესს ეთნოპოლიტიკური გართულება მოჰყვებოდა.

რეგიონის ეთნოსებს შორის სომხებში ყველაზე სრულყოფილად ხორციელდებოდა ე.წ. „ინსტრუმენტული მიდგომა“, რომლის თანახმადაც ელიტები იყენებენ ეთნიკურ სოლიდარობას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და, ამავე დროს, პოლიტიკური მობილიზაციის პროცესში, ამწვავებენ ეთნიკურ თვითშეგნებას ანუ, განუმარტავენ თავის ეთნოსის უბრალო ხალხს მათ განსხვავებულობასა და უპირატესობას სხვებზე.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სომხური ინტელექტუალური ელიტა – მწერლები და ისტორიკოსები – დიდი რუდუნებით ამკვიდრებდა მითოლოგიას, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ისეთი ეროვნული იდეის საზოგადოებრივ ცნობიერებაში დამკვიდრება, რომლის თანახმადაც სომხეთი ისეთივე ქვეყნად უნდა აღმდგარიყო, როგორიც ხანმოკლე დროით არსებობდა ორი ათასწლეულით ადრე, მეფე ტიგრან დიდის დროს. ეს უნდა ყოფილიყო რუსეთის იმპერიაში შემავალი სამხრეთ კავკასიის დიდი ნაწილი (მტკვრის მარჯვენა ნაპირამდე მაინც), ოსმალეთის იმპერიის ყველა აღმოსავლური და ზოგი ცენტრალური ვილაიეთი და ჩრდილოეთ სპარსეთის საგრძნობი ნაწილი. ზოგი სომეხი პოეტისა და მეცნიერის მაქსიმალისტური ოცნებით, ისტორიული სომხეთი ხმელთაშუა ზღვაზეც უნდა გასულიყო, რადგან მის ნაპირზე მდებარეობდა კილიკია (ადანის ილი დღევანდელ თურქეთის რესპუბლიკაში), სადაც სომხური ეთნიკური ელემენტი XI საუკუნიდან მომრავლდა და

იქ 1375 წლამდე არსებულ სამეფოს სომხური წარმოშობის დინასტიები მართავდნენ (კილიკიის სამეფო ეგვიპტელმა მამლუქებმა გაანადგურეს).

სომეხი მილიონერები იშენებდნენ სასახლეებს კონსტანტინოპოლში, თბილისში, როსტოვში, ლვოვში, ბაქოში და სხვაგან; მდიდარი მეცენატები ზემოხსენებულ და მრავალ სხვა ქალაქშიც აშენებდნენ სომხურ სასულიერო სემინარიებსა და კულტურულ ცენტრებს, აგრეთვე საავადმყოფოებსა და თეატრებსაც.

მაგრამ იმავე ქალაქებში სომხები თანაცხოვრობდნენ სხვა, რაოდენობრივად არანაკლებ ან უფრო დიდ ეთნოსებთან, რომლებიც ქალაქს თავისად მიიჩნევდნენ. მაგალითად, თბილისს თავისად მიიჩნევდნენ ქართველები (ამას ბევრი სომეხი ცნობდა კიდეც), კონსტანტინოპოლს (სტამბოლს) – თურქები, როსტოვს – რუსები, ლვოვს – პოლონელები, ბაქოს – აზერბაიჯანელები. ამის გამო, XX საუკუნის დასაწყისში სომხები ზოგან უკვე აწყდებოდნენ დაპირისპირებას ეთნიკურ ნიადაგზე. კონფლიქტებში მონაწილეობდნენ (ან იწყებდნენ) პოლიტიზებული სომეხი რევოლუციონერები, ზარალდებოდა კი არაპოლიტიზებული სომხური მოსახლეობა.

აქვე აღსანიშნავია, რომ სომხური კაპიტალი იმ დროს თითქმის არ აქცევდა ყურადღებას რუსეთის იმპერიის პატარა საგუბერნიო ქალაქ ერევანს. სომეხი მილიონერები სრულებით არ ზრუნავდნენ ამ ქალაქზე, რომელიც ღრმა პროვინციად რჩებოდა.

* * *

მაშინ, როდესაც ქართული და სომხური ეროვნული იდეების ფორმირება დაახლოებით ერთი სქემით მიმდინარეობდა, განსხვავება იყო მათ **გეოგრაფიულ განზომილებაში:**

- ქართული ეროვნული იდეა თითქმის არ სცდებოდა იმდროინდელ ქართველთა უპირატესი ეთნიკური განსახლების საკმაოდ კომპაქტურ სივრცეს (რუსეთის იმპერიის ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებს, ბათუმის ოლქს და სოხუმის ოკრუგს), თუმცა იმავე სივრცის პერიფერიებზე მას ლოკალური ეთნიკური კონფლიქტების საფრთხე ელოდა.
- სომხური ეროვნული იდეა კი აცხადებდა პრეტენზიას ძალიან დიდ ტერიტორიაზე, ეთნიკურად შერეული მოსახლეობით და არა ერთ იმპერიაში, არამედ – ორში (ოსმალეთსა და რუსეთში). ეს მოასწავებდა მის დაპირისპირებას სხვა ეთნოსების ეროვნულ პროექტებთან.

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებში ამიერკავკასიაში გაძლიერებას იწყებს **ეთნიკური ნაციონალიზმი,** რასაც ისტორიკოსები დელიკატურად უწოდებენ „**ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობას**“.

ამ მიმართულებით პიონერები იყვნენ სომხური პოლიტიკური ორგანიზაციები, განსაკუთრებით კი თბილისის სომეხი ინტელექტუალების მიერ 1890 წელს დაარსებული ნაციონალისტური პარტია „სომეხთა რევოლუციური ფედერაცია (***„ჰაი ჰელაფოკახან დაშნაკცუთიუნ“,*** მის წევრებს შემოკლებით უწოდებენ **დაშნაკებს).** პარტია დღემდე არსებობს და აქტიურია სომხურ დიასპორაში. 1907 წლიდან ის „სოციალისტური ინტერნაციონალის“ წევრი გახდა, ანუ ნაციონალურ იდეას სოციალისტური განზომილებაც დაუმატა. პარტიის საბოლოო მიზანი იყო ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების ტერიტორიების ერთმანეთთან მიმდებარე ნაწილებზე სომხური სახელმწიფოს შექმნა.

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან დაშნაკცუთიუნი ჩაუდგა სათავეში სომხურ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთ ანატოლიაში, რომელსაც სომხები „დასავლეთ სომხეთად“ მიიჩნევენ. ერზურუმის, ვანის, მუშის, ბითლისის ვილაიეთებში პრაქტიკულად გამუდმებით მიმდინარეობდა სომეხი „ჰაიდუკების“ (ნასესხებია ბალკანეთის პარტიზანების სახელიდან), იმავე „ფიდაიების“ (რაც არაბულად „თავგადადებულს“ ნიშნავს) პარტიზანული ბრძოლა „რეაქციონერებთან“ – ანუ ადგილობრივ ხელისუფლებასთან და „მათ დამქაშებთან“ – იქ მოსახლე ქურთულ ტომებთან და სხვა მუსლიმებთან.

რევოლუციონერების მიერ თუნდაც რამდენიმე „რეაქციონერის“ დახოცვას, პასუხად სდევდა სისხლის აღება მუსლიმების – თურქების, ქურთების, რუსეთის იმპერიიდან გამოდევნილი და ანატოლიაში დასახლებული ჩრდილოკავკასიელების (მათ ერთიანად „ჩერქესებს“ უწოდებდნენ) – მხრიდან. საპასუხო ქმედება ხანდახან გადაიზრდებოდა ხოლმე სომეხთა ჟლეტაში: ასე მოხდა, მაგალითად, 1894-1896 წლებში.

ბევრი სომეხი, რომელსაც არ სურდა მონაწილეობა სისხლიან გარჩევებში, გარბოდა რუსეთის კავკასიაში. ამ იმიგრანტების ხარჯზე 1894-1910 წლებში სომხური მოსახლეობა მარტო თბილისში 47 ათასიდან 125 ათასამდე გაიზარდა და რიცხობრივი უპირატესობა მოიპოვა სხვა ეთნოსებთან შედარებით.

სამხრეთ კავკასიაში სომეხი რევოლუციონერები დაუპირისპირდნენ ცუდად ორგანიზებულ „თათრებს“ (აზერბაიჯანელებს). ამ უკანასკნელთა მიერ 1911 წელს შექმნილმა პარტია „მუსავათმა“ (არაბულად – „თანასწორობა“) მცირედ თუ გააწონასწორა „დაშნაკცუთიუნი“.

ევროპული საზოგადოება, რომელიც შუა საუკუნეებიდან გადმოყოლილი ანტიისლამური და ანტიოსმალური განწყობით იყო გამსჭვალული, ოსმალეთის სომხების ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას თანაუგრძნობდა. ევროპის ლიბერალური პრესა მკაცრად გმობდა სულტნის მთავრობის

მიერ სომხური რევოლუციური მოძრაობის ჩახშობას უხეში ძალის მეშვეობით.

მაგრამ ოფიციალური ლონდონი, პარიზი, პეტერბურგი, ვენა, ბერლინი რეალურად ზრუნავდნენ მხოლოდ საკუთარ გეოპოლიტიკურ ინტერესებზე. ოსმალეთის სომხების ბედი ევროპის ზესახელმწიფოების მესვეურებს დიდად არ ანაღვლებდათ.

„სომხური საკითხის“ გადაჭრის მიზნით 1914 წლის 8 თებერვალს რუსეთის იმპერიის ინიციატივით ევროპის ზესახელმწიფოებმა ოსმალეთს თავს მოახვიეს აღმოსავლეთ ანატოლიის ექვსი ვილაიეთის ორ ადმინისტრაციულ სექტორში გაერთიანება: იქ ცხოვრობდა სომხური მოსახლეობაც, თუმცა ჯამურ უმრავლესობას ის არ ქმნიდა. ორივე სექტორი უნდა ემართა უცხოელ გენერალურ ინსპექტორს: ამ მიზნით შეირჩა ერთი ჰოლანდიელი და ერთიც ნორვეგიელი ადმინისტრატორი.

ევროპის ასეთი „ზრუნვა“ ოსმალეთში მცხოვრებ სომხებზე ამ უკანასკნელთათვის უაღრესად სახიფათო იყო, რადგან მკვეთრად ზრდიდა იმპერიის მუსლიმი უმრავლესობის უნდობლობასა და გაბოროტებას თავიანთი ქრისტიანი მეზობლების მიმართ.

ეს ევროპული პროექტი ჩაიფუშა სულ ცხრა თვის შემდეგ, როგორც კი 1914 წლის ნოემბერში ოსმალეთი გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მხარეს ჩაერთო მსოფლიო ომში. 1915 წელს კი ოსმალეთის სომხებს, რომლებიც ოსმალეთის მთავრობამ მიიჩნია თავის მტრის, რუსეთის იმპერიის, ღია მხარდამჭერებად, ბევრად უფრო დიდი განსაცდელი დაატყდა თავს: სტამბოლში გაიცა ბრძანება ფრონტისპირა რაიონებში მცხოვრები სომხური მოსახლეობის სირიის მიმართულებით დეპორტაციის შესახებ. ეს მშვიდობიანი გზით ვერ განხორციელდებოდა: იარაღი ჰქონდა ოსმალურ არმიას და სომხებსაც (თუმცა, ამ უკანასკნელთ გაცილებით ნაკლები). საბოლოოდ ეს გადაიზარდა *დიდ ჟლეტაში* (სომხურად „მეწ ეღერნ“), რომლის ძირითად მსხვერპლად იქცა აღმოსავლეთ ანატოლიაში მცხოვრები არა-მუსლიმი მოსახლეობა – სომხები, მათთან ერთად, რიცხობრივად უფრო მცირე ქრისტიანი ასირიელები („აისორები“) და იეზიდები, რომელთაც ოსმალეთიდან წასვლა მოუხდათ.

DIVIDE ET IMPERA!

XX საუკუნის დასაწყისიდან პეტერბურგში შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს ამიერკავკასიაში სომხური, ქართული, აზერბაიჯანული ნაციონალიზმის (ეს უკანასკნელი ჯერ მხოლოდ ფეხს იდგამდა, რადგან ამ ხალხს რელიგიური იდენტობა უფრო ჰქონდა, ვიდრე ეთნიკური) გაღრმავებას. ბუნებრივია, იმპერიის მოხელეები ამჯობინებდნენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფე-

ბის დაპირისპირებას ერთმანეთთან, ვიდრე მათ გაერთიანებას იმპერიის წინააღმდეგ.

1905 წელს ბაქოს, ელისავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებში, სადაც სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობა შერეულად ცხოვრობდა, მათი დაპირისპირება ხოცვა-ჟლეტაში გადაიზარდა. მარტო ქალაქ ბაქოში სამასამდე ადამიანი დაიღუპა. იმპერიის მოხელეებმა ვერ (ან არ) აიცილეს კონფლიქტი...

იმპერია შიდაეთნიკური დაპირისპირების შექმნასაც ცდილობდა. იმისათვის, რომ ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი შეეჩერებინა, ჯერ კიდევ 1880-იანი წლებიდან პეტერბურგს ჰქონდა მცდელობა მეგრულ ენაზე ეთარგმნა ბიბლია და „ამით ხელმწიფე-იმპერატორის ქვეშევრდომებისათვის ქრისტიანული რელიგიისადმი ზიარება გაეადვილებინა“. მომზადდა მეგრულენოვანი სასკოლო წიგნები რუსულ გრაფიკაზე აგებული ანბანით. ეჭვგარეშეა, რომ ასეთ პოლიტიკას იმავე სუბეთნოსის ვიღაც „კეთილმოსურნეც“ დაუჭერდა მხარს. საბედნიეროდ, ასეთი ცოტა აღმოჩნდა. იმპერიული პოლიტიკის წარმატება ნიშნავდა დიდი სიმწრით შექმნილი ქართველი ერის ერთიანობის გახლეჩას. სწორედ ამის წინააღმდეგ ილაშქრებდა ***დიმიტრი ყიფიანი,*** რაც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

ქართველი ერის გახლეჩვის მცდელობა XIX საუკუნის ბოლოს ჩაფუშეს ქართველმა პატრიოტებმა, მათ შორის, იმავე მეგრული სუბეთნოსის წარმომადგენლებმა, რომლებიც ადვილად მიუხვდნენ ბოროტ განზრახვას „კეთილმოსურნეებს“.

იმპერიული ეთნოპოლიტიკის სხვა მაგალითია სოხუმის ოკრუგი, სადაც ქართული გავლენის ზრდის შესასუსტებლად XX საუკუნის დამდეგიდან პეტერბურგმა დაიწყო ეთნიკური აფხაზური ნაციონალიზმის წახალისება.

ამის დასტურია იმპერიის მოხელის, გარუსებული გერმანელის, ***ევგენი ვაიდენბაუმის*** მიერ XX საუკუნის დამდეგს კავკასიის მთავარმმართებლისათვის წარდგენილი მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ის წერდა:

> „აფხაზური ენა, რომელსაც არ გააჩნია ანბანი და ლიტერატურა, ახლო ან არცთუ შორეულ მომავალში განწირულია დასაღუპავად. საკითხავია, რომელი ენა შეცვლის მას? ნათელია, რომ კულტურული იდეებისა და ცნებების გავრცელების ენად უნდა იქცეს არა ქართული, არამედ რუსული. მიმაჩნია, რომ აფხაზური დამწერლობითი ენის შემოღება არ უნდა იყოს თვითმიზანი, არამედ საშუალება, რომ მისი მეშვეობით შევასუსტოთ ეკლესიასა და სკოლაში ქართული ენის მნიშვნელობა და ის თანდათანობით ჩავანაცვლოთ სახელმწიფო [რუსული] ენით“.

XX საუკუნის დამდეგს პეტერბურგიდან მოსული დავალების შესაბამისად მართლმადიდებელი აფხაზების წირვა-ლოცვა ქართულიდან რუსულ ენაზე გადავიდა. ამან საფუძველი ჩაუყარა გაუცხოებას ქართველებსა და

აფხაზებს შორის, რომლებიც იქამდე, საუკუნეების მანძილზე, საერთო კულ-ტურულ ფასეულობებს იზიარებდნენ, ხოლო ერთმანეთთან კომუნიკაციის-თვის ქართულ ენას იყენებდნენ: უკანასკნელი განსაკუთრებით ეხებოდა აფ-ხაზურ არისტოკრატიას. ერთიანი საქართველოს სამეფოს შექმნაში, შუა სა-უკუნეებში, ეთნიკურ ქართველებთან ერთად ეთნიკური აფხაზებიც მონაწი-ლეობდნენ. როგორც აღვნიშნეთ, შუა საუკუნეებში საერთო მეფის ტიტულა-ტურა ასე იწყებოდა „მეფე აფხაზთა და ქართველთა“. მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში ერთიანობას ბოლო ეღებოდა.

მოკლე კომენტარი, რომელიც შესაძლოა ზედმეტიც იყოს, ასეთია: იმპე-რია ერთგული იყო ძველი რომაული ლოზუნგისა Divide et impera! (დაყავი და იბატონე!)

იმპერია აფხაზებზე არ ზრუნავდა. იმპერიას აფხაზები სჭირდებოდა ქართველებთან დასაპირისპირებლად. ამ თვალსაზრისით იმპერიამ წარმა-ტებას მიაღწია.

კითხვები ლექცია 3-ის თემაზე:

1. რა როლი ჰქონდა სომხურ კაპიტალს სამხრეთ კავკასიის ინფრასტრუქტურის განვითარებაში რუსეთის იმპერიის არსებობის ბოლო ათწლეულებში?
2. როგორ ჩნდებოდა ეროვნული იდეა სამხრეთ კავკასიის ეთნოსებს შორის? შეადა-რეთ ისინი
3. რა როლს თამაშობდნენ არისტოკრატიული ფენები იმპერიების მდგრადობაში?
4. რა იყო სომხების გაფანტულობის მიზეზები და შედეგები?
5. რა გეოგრაფიული განსხვავება იყო ქართული და სომხური ეროვნული იდეების ჩამოყალიბებაში?
6. როგორ ხორციელდებოდა იმპერიული ეთნოპოლიტიკა?

ლექცია 4

I მსოფლიო ომი და მისი პოლიტიკურ-გეოგრაფიული შედეგები

I მსოფლიო ომმა (1914-1918) უდიდესი კვალი დააჩნია კაცობრიობის შემდგომ განვითარებას. ამ ომს შედეგად მოჰყვა დიდი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცვლილებები როგორც ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში, ისე სამხრეთ კავკასიაში, სადაც პოლიტიკურ რუკაზე გამოჩნდნენ ახალი პოლიტიკური წარმონაქმნები. სწორედ ამ ომის არაპირდაპირი შედეგი იყო სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნა სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

I მსოფლიო ომში საქართველო მონაწილეობდა, როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილი: ბევრი ქართველი ოფიცერი და ჯარისკაცი იბრძოდა რუსეთის არმიის შემადგენლობაში ევროპისა და კავკასიის ფრონტებზე. ამასთან, ქართველების ერთი ნაწილი გერმანიის მხარეს იჭერდა.

საერთაშორისო ვითარება მსოფლიო ომის წინ

„დიდი ომი“ („I მსოფლიო ომი“ მას ეწოდა მხოლოდ 1939 წელს, II მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ) ევროპაში დიდხანს მზადდებოდა.

ომის წინ განვლილი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მკვეთრად შეიცვალა მსოფლიოს ეკონომიკური რუკა. იქამდე მსოფლიოს ეკონომიკურ ჰეგემონს – დიდ ბრიტანეთს – სამრეწველო პოტენციალით გაუსწრეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და გერმანიის იმპერიამ. მსოფლიოს კოლონიური განაწილება თითქმის დასრულდა და იწყებოდა მისი ახლებურად გადანაწილების დრო. ეს კი მშვიდობიანად ვერ მოხდებოდა.

1884 წლიდან გერმანიამ დაიწყო აფრიკასა და წყნარი ოკეანის კუნძულებზე საკუთარი ზღვისგადაღმა იმპერიის შექმნა (რასაც, სხვათა შორის, არ ემხრობოდა იმდროინდელი კანცლერი **ოტო ფონ ბისმარკი).** გერმანული კოლონიები, საერთო ფართობით 3 მლნ კვ. კმ, დაუმეზობლდა ბრიტანულ და ფრანგულ კოლონიებს, რაც ლონდონსა და პარიზში დიდ გაღიზიანებას იწვევდა. გერმანია ფეხს იკიდებდა ახლო აღმოსავლეთშიც: XX საუკუნის დასაწყისიდან გერმანული კომპანია ოსმალეთის იმპერიაში აშენებდა **„ბერლინ-ბაღდადის“ რკინიგზას,** რომელიც საბოლოოდ უნდა მისულიყო სპარსეთის ყურესთან. ლონდონში ადვილად გაშიფრეს ამ ინფრასტრუქტური პროექტის მოსალოდნელი გეოპოლიტიკური შედეგი: საფრთხის შექმნა ინდოეთის ოკეანეში დიდი ბრიტანეთის იქამდე უკონკურენტო დომინაციისათვის.

ასეთი შედეგის თავიდან ასაცილებლად დიდი ბრიტანეთი მზად იყო დაესრულებინა რუსეთის იმპერიასთან თავისი ხანგრძლივი დიპლომატიური დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში (ე. წ. **„დიდი თამაში“).** 1907 წელს ლონდონმა და პეტერბურგმა გაიყვეს გავლენის სფეროები ამ რეგიონებში, კერძოდ, ისე დაიყვეს ირანი, რომ მას მხოლოდ ნომინალურად შეუნარჩინეს ტერიტორიული მთლიანობა.

XX საუკუნის დასაწყისში მთელი მსოფლიოს ბედ-იღბალს განსაზღვრავდა ევროპის ექვსი ზესახელმწიფო: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია. ევროპის გარეთ ზესახელმწიფოების რიცხვს ემატებოდა აშშ და იაპონია.

ინდუსტრიულად მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ქვეყანას, ამერიკის შეერთებულ შტატებს, იმ დროს პრეტენზია ჰქონდა მხოლოდ დასავლეთ ნახევარსფეროს ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტროლზე. მკვეთრად გაძლიერდა იაპონია, რომელმაც 1904-1905 წლების ომში რუსეთის იმპერიის დამარცხების შემდეგ შეიერთა კორეა (1910 წ.) და ჩინეთშიც გაიმაგრა პოზიციები.

მსოფლიო ომის წინ ყველა ზესახელმწიფო ეკონომიკური აღმავლობის გზას ადგა, ყველგან მიმდინარეობდა გარკვეული დემოკრატიზაციისა და ლიბერალიზაციის პროცესები. ომის დაწყებისთანავე კი ყველა მათგანში დაისადგურა აგრესიულმა ნაციონალიზმმა და მილიტარიზმმა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ოსმალეთის უღლისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებს, განსაკუთრებით ორ სლავურენოვან და მართლმადიდებელ მეზობელს – სერბეთსა და ბულგარეთს, ერთმანეთთან მძაფრი ტერიტორიული მეტოქეობა ჰქონდათ. ბალკანეთში გაფართოებას ცდილობდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიაც, რომელმაც 1909 წელს მოახდინა იქამდე ოსმალეთის ნომინალურ მფლობელობაში მყოფი, სერბულენოვანი ბოსნია-ჰეცეგოვინის ანექსირება. სერბეთის სამეფო კი ამ მიწას თავისად მიიჩნევდა.

1912 წლის „ბალკანეთის პირველ ომში“ ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ გაერთიანდნენ საბერძნეთი, სერბეთი, ბულგარეთი და ჩერნოგორია. მათ დაამარცხეს ოსმალეთი, მაგრამ ვერ მორიგდნენ დაპყრობილი ტერიტორიის გაყოფაზე: ბულგარეთმა სხვებზე უფრო დიდი წილი მიიღო. 1913 წელს „ბალკანეთის მეორე ომში“ ბულგარეთის წინააღმდეგ გაერთიანდნენ საბერძნეთი, სერბეთი და რუმინეთი: მათ ოსმალეთიც შეუერთდა. ბულგარეთმა დაკარგა წინა წელს დაპყრობილი ტერიტორიის დიდი ნაწილი, ოსმალეთმა კი დაიბრუნა ქ. ედირნე (ყოფილი ადრიანოპოლი). თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი ევროპაში მიუყვება სწორედ 1913 წელს დადგენილ ხაზს.

ბალკანეთის ომებში არ ჩაერთო არც ერთი ზესახელმწიფო. რუსეთის იმპერიამ არ აღმოუჩინა დახმარება ბულგარეთს, თუმცა ის „სლავური და მართლმადიდებლური“ ქვეყანა იყო. ეს გახდა ბულგარეთის პროგერმანული ორიენტაციის ერთ-ერთი მიზეზი.

ნახ. 5.
რუსეთის ცარი **ნიკოლაი II** რომანოვი და დიდი ბრიტანეთის მეფე
ჯორჯ V საქსენ-კობურგ-გოთა
(XX საუკუნის დასაწყისის ფოტო)

ევროპის მონარქიების (იქაურ ზესახელმწიფოებს შორის მხოლოდ საფრანგეთი იყო რესპუბლიკა) პოლიტიკოსები დიდხანს ცდილობდნენ დიდი ომის თავიდან აცილებას. გარდა იმისა, რომ არსებობდა გარკვეული „შიშის ბალანსი“, მონარქებს აკავშირებდა ნათესაობაც: მაგალითად, გერმანიის კაიზერი (იმპერატორი) *ვილჰელმ II ჰოჰენცოლერნი,* რუსეთის ცარი (იმპერატორი) *ნიკოლაი II რომანოვი* და დიდი ბრიტანეთის მეფე *ჯორჯ V საქსენ-კობურგ-გოთა* ერთმანეთის გარე ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ და ომამდე ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. საბოლოოდ კი, მონარქების ახლო ნათესაობამაც ვერ შეუშალა ხელი დიდი სახელმწიფოების მთავრობებს წამოეწყოთ ის, რასაც შეიძლება „იმპერიების უკანასკნელი ომი“ ვუწოდოთ.

წინასაომარი გეოპოლიტიკური განლაგება ასეთი იყო:

- XVIII საუკუნის შუა წლებიდან 1870-იანი წლებამდე, მსოფლიოს აღიარებული ჰეგემონი იყო ინგლისი (ოფიციალური სახელი 1707 წლიდან – დიდი ბრიტანეთი, 1800 წლიდან კი – დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის შეერთებული სამეფო), მომცრო კუნძულოვანი ქვეყანა ევროპის კონტინენტის ჩრდილო-დასავლეთით.
- XVIII საუკუნის დასაწყისიდან (ეს კი „უხსოვარ დროდ“ აღიქმებოდა) ინგლისის მუდმივი მეტოქე იყო საფრანგეთი.
- 1870-1871 წლების ომში პრუსიასთან დამარცხების შემდეგ საფრანგეთმა დაკარგა ორი პროვინცია, ალზასი და ლორენი (ლოტარინგია). 1871 წელს პრუსიამ გააერთიანა გერმანული სახელმწიფოების უმეტესობა (ავსტრიის გარეშე) და შექმნა გერმანიის იმპერია.
- გერმანიასთან რევანშის აღების სურვილით ანთებული საფრანგეთი ეძებდა მოკავშირეებს. 1893 წლის მიწურულს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრ III-მ მოახდინა ფრანკო-რუსული სამხედრო კონვენციის რატიფიკაცია. კონვენციის მიხედვით საფრანგეთის რესპუბლიკა და რუსეთის იმპერია კისრულობდნენ ერთმანეთისათვის სრული სამხედრო დახმარების აღმოჩენას ერთ-ერთ მათგანზე გერმანიისა და/ან მისი მოკავშირეების თავდასხმის შემთხვევაში.
- ლონდონს მესამედი საუკუნე დასჭირდა იმ სიახლის აღსაქმელად, რომ მისი მთავარი მეტოქეა ბერლინი და არა პარიზი. ამაში ის საბოლოოდ 1898 წელს დარწმუნდა, როდესაც ცნობილი გახდა, რომ გერმანია შეუდგა სამხედრო-საზღვაო ძალების მკვეთრ ზრდას. ეს პირდაპირი გამოწვევა იყო „ზღვათა მპყრობელი“ ბრიტანეთისათვის.
- 1904 წელს ბრიტანეთმა მოაწერა ხელი საფრანგეთთან „გულითად შეთანხმებას“ (ფრანგულად Entente Cordlale), რომელიც გერმანიის წინააღმდეგ იყო მიმართული. ბრიტანულ-ფრანგულ ალიანსს „ანტანტა“ დაერქვა. „ანტანტის“ მთავარი მოკავშირე იყო რუსეთის იმპერია. მეორე მხრივ, 1882 წლიდან გერმანიას სამხედრო კავშირი ჰქონდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიასთან და იტალიის სამეფოსთან.
- შუა საუკუნეების დაუძინებელი მტრები, ავსტრია (უნგრეთთან ერთად) და ოსმალეთი, მსოფლიო ომის დროს მოკავშირეები აღმოჩნდნენ. მათ შორის პირველი ყველაზე ლიბერალური იმპერია იყო, მეორე კი – ევროპის ფონზე სოციალურ-პოლიტიკურად და ეკონომიკურად ყველაზე ჩამორჩენილი. მრავალეროვნულ ორივე იმპერიას მძიმე შიდაპოლიტიკური პრობლემები ღრღნიდა. ვენისა და სტამბოლის გონიერ პოლიტიკოსებს საერთოდ არ უნდოდათ ომში ჩართვა, მაგრამ გარემოებამ მათ წინააღმდეგ იმოქმედა.

- 1905 წელს იაპონიასთან ომში განცდილმა მძიმე მარცხმა რუსეთის იმპერიას უჩვენა, რომ მას აღარ შეეძლო მოკავშირის გარეშე ყოფნა. 1914 წელს იმპერატორი ნიკოლაი II დიდხანს ყოყმანობდა ჩართულიყო თუ არა საერთო-ევროპულ კონფლიქტში. რუსეთს ერჩივნა რევანში იაპონიასთან დამარცხებისათვის. მაგრამ იაპონია ბრიტანეთის მოკავშირე იყო. ამ ორ ძლიერ სახელმწიფოსთან საშიშ კონფრონტაციას რუსეთი ერიდებოდა: ასეთ შემთხვევაში მას აღარ უნდა ჰქონოდა საფრანგეთის იმედი, რომელსაც მხოლოდ გერმანიის დამარცხება აინტერესებდა.

ნახ. 6.

ევროპის პოლიტიკური რუკა 1914 წელს, მსოფლიო ომის დაწყებამდე

შემოკლებებით აღნიშნულია: AL – ალბანეთი, BE – ბელგია, BG – ბულგარეთი, MT მონტენეგრო (იგივე ჩერნოგორია), NL – ნიდერლანდი, SR – სერბია, RO – რუმინეთი. ირანის ჩრდილოეთი ნაწილი იმავე ფერითაა მონიშნული, რაც რუსეთის იმპერია, რადგან ამ უკანასკნელის მიერ ინგლისთან 1907 წელს დადებული ხელშეკრულებით ეს ტერიტორია რუსეთის გავლენის სფეროდ გამოცხადდა; ირანის სამხრეთი ნაწილი კი, ისევე, როგორც ეგვიპტე, ინგლისის ფერითაა მონიშნული (წყარო: WIkIpedIa)

რუსეთის პოლიტიკურ, საქმიან და კულტურულ ელიტებში ანტიბრიტანულ განწყობას აჭარბებდა ანტიგერმანული განწყობა. მაგრამ ომი ბევრს აშინებდა. მაგალითად, რუსეთის კონსერვატიულ-მონარქისტული წრეების წარმომადგენელი, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი *პიოტრ დურნოვო,* რომელსაც მეფესთან შეესვლებოდა, აფრთხილებდა მას, რომ

„ომი დაანგრევს რუსეთის ეკონომიკას და ქვეყანა გამარჯვებული რომც გამოვიდეს, მასაც გადაედება ის სოციალური რევოლუცია, რომელიც დამარცხებულ ქვეყანაში გარდაუვალი იქნება“.

საბოლოოდ კი რუსეთის მმართველი პოლიტიკური ელიტა წავიდა, ერთი შეხედვით, უმიზნო კონფრონტაციაზე გერმანიასთან, რომელიც იმ დროს არ ემუქრებოდა რუსეთს. გერმანია კონტინენტზე თავის უპირველეს მტრად საფრანგეთს მიიჩნევდა და ეძებდა საბაბს, დროულად გაენადგურებინა მისი მზარდი სამხედრო პოტენციალი. მაგრამ ასეთ ომში გამარჯვებული გერმანია უკვე ევროპის ჰეგემონი და ყველა მეზობლისათვის საშიში მეტოქე გახდებოდა. რუსეთის მმართველ წრეებს სწორედ ამის დაშვება არ სურდათ.

პარიზი ყველაფერს აკეთებდა, რათა ბერლინისათვის დაეპირისპირებინა პეტერბურგი, რომელიც ფინანსურად ძალიან იყო დამოკიდებული ფრანგულ კაპიტალზე. ამასთან, რუსეთი თავს მიიჩნევდა ბალკანეთის მართლმადიდებელი და სლავი ხალხების მფარველად, რომელთაგან მის პროტეჟედ მხოლოდ სერბეთი რჩებოდა.

უკვე მსოფლიო ომში ჩაბმის შემდეგ, რუსეთს გამოუჩნდა ომის პრაქტიკული მიზანი: 1914 წლის ნოემბრიდან რუსეთის მტერი აღმოჩნდა ოსმალეთის იმპერია.

პეტროგრადში ისევ აღორძინდა საუკუნოვანი იმედი, რომ ოსმალეთის დამარცხების შედეგად დაიპყრობდნენ კონსტანტინოპოლს/სტამბოლს, შავი ზღვის სრუტეებზე გაბატონდებოდნენ და გავიდოდნენ ხმელთაშუა ზღვაზე! „ანტანტა“ რუსეთს ამ იმედს განუმტკიცებდა: 1915 წლის 12 მარტის ნოტით ინგლისის მთავრობა ოფიციალურად იღებდა ვალდებულებას, ომში გამარჯვების შემდეგ რუსეთისათვის გადაეცა კონსტანტინოპოლი და შავი ზღვის სრუტეები მიმდებარე ტერიტორიითურთ. ამ პირობას საფრანგეთიც შეუერთდა. კონსტანტინოპოლი ომის უძვირფასესი ნადავლი იქნებოდა და მისი გადასვლა ოსმალეთისაგან რუსეთის იმპერიის ხელში რადიკალურად შეცვლიდა გეოპოლიტიკურ ვითარებას არა მარტო ევრაზიაში, არამედ მთელ მსოფლიოში.

რეალურად კი რუსეთმა ვერ მიიღო მონაწილეობა ოსმალეთის დანაწილებაში, რადგან 1918 წლის მარტში მისი ბოლშევიკური მთავრობა სეპარატულად გამოეთიშა მსოფლიო ომს.

გამარჯვებულთა ნაალაფევში რუსეთს წილი არ ეკუთვნოდა!

მსოფლიო ომის დასაწყისი

1914 წლის 28 ივნისს ბოსნიელმა სერბმა ტერორისტმა სარაევოში დახოცა ვენისა და ბუდაპეშტის ტახტების მემკვიდრე ერცჰერცოგი *ფრანც ფერდინანდი* და მისი მეუღლე. ვენაში მიიჩნიეს, რომ მკვლელობის ინსპირატორი იყო სერბეთის მთავრობა. კარგა ხნის მსჯელობის შემდეგ ვენამ უმკაცრესი ულტიმატუმი წარუდგინა ბელგრადს. ამ უკანასკნელმა კი, რუსეთის იმპერიის დახმარების იმედით, ულტიმატუმის ზოგიერთი პუნქტის შესრულებაზე უარი განაცხადა.

28 ივლისს ავსტრია-უნგრეთმა დეპეშით გამოუცხადა ომი სერბეთს. ეს I მსოფლიო ომის პირველ დღედ ითვლება. უკვე მომდევნო დღეს ავსტრო-უნგრული არტილერია ბომბავდა ბელგრადს, რომელიც მდინარეების *დუნაისა* და *სავას* შეერთების ადგილზე მდებარეობს: დუნაის მეორე ნაპირზე ავსტრია-უნგრეთი იყო.

ავსტრია-უნგრეთის მიერ სერბეთთან ომის დაწყების საპასუხოდ, 30 ივლისს მსოფლიოს ზესახელმწიფოთა შორის საყოველთაო მობილიზაცია პირველმა რუსეთის იმპერიამ გამოაცხადა. იმ დღეს რუსეთის იმპერიამ გადადგა შეუქცევადი ნაბიჯი ომისაკენ. ყველა სამხედრო შტაბში იციან, რომ მობილიზაციის გამოცხადება – ომია! სერბიასთან ომი ავსტრია-უნგრეთმა დაიწყო, მსოფლიო ომის დაწყებას იმპულსი კი პეტერბურგში მიეცა.

იმპერატორი ნიკოლაი II დიდხანს ყოყმანობდა სრული მობილიზაციის დაწყებაზე, მაგრამ მისმა აგრესიულმა მინისტრებმა დაიყოლიეს სუსტი ხასიათის მქონე მეფე, რათა გაეცა მობილიზაციის ბრძანება.

ბერლინმა წაუყენა ულტიმატუმი პეტერბურგს: ან მობილიზაციის შეწყვეტა ან ომი. პეტერბურგმა ულტიმატუმი უგულებელჰყო. 1 აგვისტოს დილას გერმანიამაც დაიწყო სრული მობილიზაცია და იმავე საღამოს, რეალური საომარი მოქმედების დაწყების გარეშე, გამოუცხადა ომი რუსეთს. იმ დროს ჯერ კიდევ მოქმედებდა შუა საუკუნეებიდან შემორჩენილი „რაინდული წესი“ – ომის წინასწარ გამოცხადება. II მსოფლიო ომის დროს და შემდგომშიც ამ ფორმალობას ყურადღებას აღარავინ აქცევდა, რადგან მოულოდნელობის ეფექტი უფრო მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული, ვიდრე „რაინდული წესის“ დაცვა.

იმავე 1 აგვისტოს მობილიზაცია გამოაცხადა საფრანგეთმაც. საპასუხოდ ბერლინმა ჯერ ულტიმატუმი წარუდგინა პარიზს, ხოლო 3 აგვისტოს ომი გამოუცხადა მას.

ბერლინის გენერალურ შტაბში შემუშავებული „შლიფენის გეგმით“, გერმანიას ექვს კვირაში უნდა მოესწრო საფრანგეთის არმიის განადგურება და აღმოსავლეთის ფრონტს შემდეგ მიბრუნებოდა. ბერლინში მიაჩნდათ, რომ რუსეთის სრულ მობილიზაციას – ახალწვეულთა შეგროვებას, მათ შეიარა-

ღებას, თავდაპირველ წვრთნას – 40 დღეზე მეტი სჭირდებოდა. ევროპაში საუკეთესო სამხედრო ორგანიზაციისა და მაღალგანვითარებული სარკინიგზო ქსელის წყალობით გერმანიის სრული მობილიზაციისათვის სულ რამდენიმე დღე კმაროდა.

1905 წელს დამტკიცებული ალფრედ ფონ შლიფენის გეგმა მოძველებული იყო: ის არ ითვალისწინებდა არც ომში ინგლისის შესაძლო ჩაბმას და არც რუსეთის ადრეულ შეტევას გერმანიაზე.

1914 წლის ზაფხულში ინგლისს ჰქონდა საშუალება ეაქტიურა, როგორც მსოფლიოს ყველაზე გავლენიან სახელმწიფოს და არ დაეშვა ომი ევროპაში. მაგრამ მისმა მთავრობამ კარგა ხანს ამჯობინა ისეთი ორაზროვანი პოლიტიკის გატარება, რომელიც ომს გარდაუვალს გახდიდა. 4 აგვისტოს კი გერმანიის მიერ ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევის საბაბით ინგლისმა გერმანიას ომი გამოუცხადა.

საფრანგეთისათვის თავისი სამოკავშირეო ერთგულების დასამტკიცებლად რუსეთში არ დაუცადეს სრული მობილიზაციის დასრულებას და უკვე აგვისტოს შუაგულში ორი რუსული არმია შეიჭრა გერმანიაში, კერძოდ, აღმოსავლეთ პრუსიაში. მაგრამ გენერლების ჰინდენბურგისა და ლიუდენდორფის ხელმძღვანელობით გერმანელებმა გაანადგურეს შემოჭრილი მტერი. რუსეთის მე-2 არმიამ არსებობა შეწყვიტა: 30 ათასი ჯარისკაცი დაიღუპა ან დაიჭრა, 90 ათასი ტყვედ ჩავარდა, ხოლო არმიის სარდალმა ალექსანდრ სამსონოვმა 29 აგვისტოს თავი მოიკლა. ამის შემდეგ გერმანელები მიუბრუნდნენ რუსულ I-ლ არმიას და განდევნეს ის აღმოსავლეთ პრუსიიდან.

იმავე 1914 წლის სექტემბერში პარიზის ახლოს, მდინარე მარნაზე, ფრანკო-ბრიტანულ არმიებთან ბრძოლაში გერმანელებმა მძიმე მარცხი განიცადეს. ორივე მხრიდან ორ მილიონზე მეტი ჯარისკაცი იბრძოდა, აქედან ნახევარი მილიონი დაიღუპა ან დაიჭრა.

„შლიფენის გეგმა“ ჩაიშალა. გერმანული *ბლიც-კრიგი* (ელვისებური ომი) ვერ შედგა. დაიწყო ის, რაც აშინებდა გერმანიის სამხედრო სტრატეგებს – ბრძოლა ორ ფრონტზე. თანაც გერმანიას მოუხდა დახმარების აღმოჩენა სუსტი მოკავშირეებისათვის – ავსტრია-უნგრეთის, ოსმალეთისა და ბულგარეთისათვის. ამ ოთხ მოკავშირეს „ცენტრალურ სახელმწიფოებს“ უწოდებდნენ.

იტალიამ ჯერ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, ხოლო 1915 წელს ისიც „ანტანტის“ მხარეს გადავიდა და ავსტრია-უნგრეთს ებრძოდა. რეალურად, მსოფლიო ომში ომში რვა ზესახელმწიფოდან ორს – გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს – დაუპირისპირდა დანარჩენი ექვსი. იაპონია შორეულ აღმოსავლეთსა და წყნარ ოკეანეში განლაგებული გერმანიის კოლონიების დაპყრობით დაკავდა, ამერიკამ კი 1917 წლიდან ძალიან არსებითი სამხედრო დახმარება გაუწია „ანტანტას“ გერმანიასთან ბრძოლაში.

ნახ. 7.
„ცენტრალური სახელმწიფოების“ მონარქები მარცხნიდან: გერმანიის კაიზერი, ბულგარეთის მეფე, ოსმალეთის სულტანი, ავსტრია-უნგრეთის იმპერატორი (1915 წლის ფოტოკოლაჟი)

ევროპაში ორ ფრონტზე მებრძოლი გერმანია დაინტერესებული იყო, რომ რუსეთსაც ჰქონოდა დამატებითი ფრონტი და ძალიან მოიწადინა, დაეტაკებინა ერთმანეთისათვის რუსეთი და თავიდან ნეიტრალური ოსმალეთი. გერმანიის გენერალური შტაბის გათვლით, რუსეთ-ოსმალეთის (კავკასიის) ფრონტი დააბანდებდა რუსეთის იმ ძალებს, რომლებიც მას ევროპის ფრონტებზე შეეძლო გამოეყენებინა; ოსმალეთის ხელში მყოფი შავი ზღვის სრუტეების – ბოსფორისა და დარდანელის – ჩაკეტვა რუსეთისათვის ეკონომიკური ბლოკადის ტოლფასი იქნებოდა. საკმარისია ითქვას, რომ საზღვაო გზით წარმოებული რუსეთის საგარეო ვაჭრობის 60 პროცენტი და ხორბლის მთელი ექსპორტი 1914 წლამდე შავი ზღვის სრუტეების გავლით ხორციელდებოდა.

1914 წლის 29 ოქტომბერს ოსმალურმა ფლოტმა მოახდინა სამხედრო პროვოკაცია შავ ზღვაში. ამ ფლოტის მთავარ ძალას წარმოადგენდა ორი გერმანული კრეისერი, რომლებიც ოსმალეთმა ფიქტიურად შეიძინა გერმანიისაგან, მაგრამ გემებს მხოლოდ სახელები შეუცვალა. ოსმალეთის ფლოტის ადმირალი გახდა გერმანელი *ვილჰელმ სუშონი* („სუშონ-ფაშა“). მისმა ფლოტმა დაბომბა შავიზღვისპირა რუსული ქალაქები ოდესა, სევასტოპოლი, ფეოდოსია, იალტა და ნოვოროსიისკი. სხვათა შორის, სამოქალაქო მოსახლეობას დაბომბვის წინ აფრთხილებდნენ და ადამიანური მსხვერპლი დიდი არ ყოფილა.

ამ სამხედრო პროვოკაციის პასუხად რუსეთის იმპერიამ 1914 წლის 2 ნოემბერს ოსმალეთის იმპერიას ომი გამოუცხადა, ოსმალეთმა კი ჩაუკეტა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები რუსულ სამხედრო და სავაჭრო ფლოტს. რუსეთი სამხრეთიდან ბლოკირებული აღმოჩნდა, რამაც, საბოლოოდ, განაპირობა კიდეც მისი მარცხი მსოფლიო ომში. მართალია, რუსეთის არმიამ ყველაზე მეტ (მაგრამ სწრაფწარმავალ) წარმატებას სწორედ ოსმალეთის წინააღმდეგ, კავკასიის ფრონტზე, მიაღწია.

1915 წლის 18 თებერვალს ბრიტანულ-ფრანგულმა ესკადრამ დარდანელის სრუტეში სამხრეთიდან წარუმატებლად სცადა შეჭრა: სამი საბრძოლო ხომალდი პირველ დღეებშივე აფეთქდა წყალქვეშა ნაღმებზე და ჩაიძირა. საზღვაო ექსპედიციის გაგრძელების ნაცვლად ანტანტამ ამჯობინა დარდანელის სრუტის დასავლეთით მდებარე გალიპოლის (თურქულად – გელიბოლუს) ნახევარკუნძულზე სახმელეთო ჯარების დესანტირება. „გალიპოლის ოპერაცია“ თითქმის ერთი წელი გაგრძელდა და იმით დამთავრდა, რომ ანტანტამ თავისი ძალები 1916 წლის იანვარში გაიყვანა ბრძოლის ველიდან. მოკავშირეებს 58 ათასამდე ჯარისკაცი მოუკლეს, ოსმალებს – 87 ათასი. დაჭრილი – სამ-ოთხჯერ მეტი იყო.

„გალიპოლის ბრძოლაში“ გამარჯვებულად ოსმალეთი გამოვიდა, რომლის არმიას სარდლობდა გერმანელი გენერალი *ოტო ლიმან ფონ სანდერსი.* ოსმალების ნამდვილი გმირი კი გამოდგა პოლკოვნიკი **მუსტაფა ქემალი.** ომის შემდეგ დამარცხებული სამშობლოს ფეხზე წამოსაყენებლად მან გამოიყენა 1915-1916 წლებში მოპოვებულ დიდი ავტორიტეტი. ის გახდა თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელი და პირველი პრეზიდენტი. 1934 წელს მან გვარად აიღო „**ათათურქი**“.

რუსეთის იმპერიის კავკასიური არმია მსოფლიო ომის მასშტაბით მცირე იყო (რუსეთის ძირითადი ძალები ევროპის ფრონტებმა შებოჭეს) და მას გაუჭირდა დიდი სტრატეგიული ამოცანების გადაჭრა. მიუხედავად ამისა, 1916 წელს რუსის ჯარის ხელში იყო ოსმალეთის იმპერიის ერზურუმის, ვანის, ტრაპიზონის ვილაიეთები. პეტროგრადში სავსებით სერიოზულად მსჯელობდნენ აღმოსავლეთ ანატოლიის ანექსირების შესახებ. ამაზე განსაკუთრებულ იმედს ამყარებდნენ როგორც კავკასიის, ისე ოსმალეთის სომხები, თუმცა, როგორც წყაროები ცხადყოფენ, იმპერია არ გეგმავდა დაპყრობილი ტერიტორიის გადაცემას არასლავი ეთნოსებისათვის. რუსეთის მიერ ამ ტერიტორიის ოკუპაციამ ორ წელზე მეტ ხანს ვერც გასტანა.

კავკასიურ არმიაში გაწვევა მნიშვნელოვანწილად შეეხო ადგილობრივ ქრისტიან ხალხებს (მუსლიმებს გაწვევა არ ეხებოდათ, თუმცა მოხალისეობა არ ეკრძალებოდათ). მრავალი ოფიცერი და ჯარისკაცი ქართველი იყო და ისინი რუსული არმიის შემადგენლობაში იბრძოდნენ. სომეხი მოხალისეებისგან კი შეიქმნა ოთხი ბატალიონი და ერთი პოლკი, რომლებსაც შეეძლოთ

მოქმედება მტრის ზურგშიც და ადგილობრივ სომხურ სოფლებში ღამისთევა, კვება, დაჭრილთა მოვლა. ოსმალეთის მთავრობამ ღალატად მიიჩნია მისი

ნახ 8.
თურქეთის სრუტეები.
დარდანელის სრუტის დასავლეთ მხარეს მდებარეობს გალიპოლის (თურქულად – გელიბოლუს) ვიწრო და გრძელი ნახევარკუნძული, სადაც 1915-1916 წლებში მიმდინარეობდა საომარი მოქმედება
(წყარო: WIkIpedIa)

ქვეშევრდომების მხრიდან მტრისათვის დახმარების აღმოჩენა და 1915 წლის აპრილში გასცა ბრძანება ფრონტისპირა რაიონებიდან ქრისტიანული მოსახლეობის სამხრეთისაკენ წინმსწრები დეპორტაციის შესახებ. დეპორტაცია ბევრგან გადაიზარდა ხოცვა-ჟლეტაში. ამის შედეგად აღმოსავლეთი ანატოლია დაიცალა სომხური და ასირიული ქრისტიანული მოსახლეობისაგან. სტამბოლის რამდენიმე ასეული სომეხი ლიდერი დააპატიმრეს, მაგრამ რეპრესიებს იმპერიის დედაქალაქში მასობრივი ხასიათი არ ჰქონია: მოერიდნენ

იქ განლაგებულ უცხოეთის სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლობებს.

გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთმა რამდენჯერმე შესთავაზეს დაზავება „ანტანტას“. მაგრამ „ანტანტა“ გერმანიის სრულ დამარცხებას ესწრაფვოდა. მას შემდეგ, რაც 1917 წლის 6 აპრილს გერმანიის წინააღმდეგ ომში ჩაერთო აშშ, „ანტანტა“ და მისი მოკავშირეები შეიარაღებითა და ცოცხალი ძალის რაოდენობით მკვეთრად სჭარბობდნენ „ცენტრალურ სახელმწიფოებს“ და მათი სრული დამარცხება დროის საკითხად იქცა.

ევროპის აღმოსავლეთ ფრონტზე კი რუსეთის იმპერია გერმანიასთან ომში ვერაფერს გახდა. 1917 წლის მარტში რუსეთის იმპერატორ ნიკოლაი II-ის ტახტიდან გადადგომის ძირითად მიზეზად უნდა ვივარაუდოთ „ანტანტისა“ და რუსეთის გენერალიტეტის შეშფოთება იმპერატორის სავსებით მოსალოდნელი ნაბიჯის გამო – დათანხმებოდა სეპარატულ ზავს გერმანიასთან, რაზეც ის ხმამაღლა მსჯელობდა უკვე 1916 წელს.

1917 წლის თებერვალში ქ. პეტროგრადში დაიწყო მძაფრი სოციალურ-პოლიტიკური კრიზისი: ხალხი უპურობას უჩიოდა და ქუჩაში გამოვიდა. პოლიციამ იარაღი გამოიყენა, რასაც საგრძნობი მსხვერპლი მოჰყვა. მტკიცე მმართველი ბოლომდე იბრძოლებდა, მაგრამ ეს იმპერატორის მორალურ ძალას აღემატებოდა. „ანტანტას“ კი მრავლად ჰყავდა მომხრეები უნებისყოფო მონარქის გარემოცვაში, რომლებიც მას „სწორი გადაწყვეტილების მიღებაში“ დაეხმარებოდნენ. თითქმის ყველა ფრონტის სარდალი ემხრობოდა ტახტიდან იმპერატორის გადადგომას. 16 მარტს (ახალი სტილით) ნიკოლაი რომანოვი ტახტიდან გადადგა და თავის ძმას, მიხაილს, გადაულოცა გვირგვინი. მაგრამ მიხაილმა მეფის გვირგვინზე უარი განაცხადა. მონარქია რუსეთში გაუქმდა. ამას „თებერვლის რევოლუცია“ დაერქვა.

სულ ერთ კვირაში, 22 მარტს „ანტანტის“ ქვეყნებმა ცნეს რუსეთის დროებითი მთავრობა, რომელმაც გერმანიის წინააღმდეგ ომის გაგრძელება აღუთქვა მათ.

რადიკალურად განწყობილი რუსი რევოლუციონერების – ბოლშევიკებისათვის – თებერვლის რევოლუცია მოულოდნელი აღმოჩნდა. მაგრამ რევოლუციამ გამოაფხიზლა შვეიცარიაში პოლიტიკურ ემიგრაციაში მყოფი მათი ლიდერი **ვლადიმირ ლენინი** (ნამდვილი გვარი – ულიანოვი). თეზისების მონახაზში, რომელიც ლენინმა უშუალოდ თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაწერა, რუსეთის მონაწილეობას ომში უწოდა

> „ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტურ მთავრობებთან ერთად წარმოებული დაპყრობითი ომი სომხეთის [აღმოსავლეთი *ანატოლია:* რ.გ.], გალიციისა [დასავლეთი *უკრაინა:* რ.გ.], კონსტანტინოპოლისათვის“.

„დაპყრობით ომში“ ლენინი არ ადანაშაულებდა გერმანიას!

გერმანულმა დაზვერვამ იცოდა, რომ ბოლშევიკებს შეეძლოთ სერიოზული პრობლემების შექმნა რუსეთის დროებითი მთავრობისათვის, რადგან ისინი ემხრობოდნენ მსოფლიო ომში „პროლეტარიატის ინტერესებიდან გამომდინარე რუსეთის იმპერიალისტური მთავრობის დამარცხებას“.

გერმანიასაც სწორედ ეს სჭირდებოდა და მისი არმიის გენერალურმა შტაბმა რუსეთის „თებერვლის რევოლუციის“ მომდევნო დღეებში სათავისოდ იმოქმედა. მტრული ქვეყნის, რუსეთის, ქვეშევრდომები – 159 ბოლშევიკი ლენინის მეთაურობით – გარედან დალუქული ვაგონებით მთელი გერმანიის გავლით გადაიყვანეს შვეიცარიიდან შვედეთში, საიდანაც ბოლშევიკთა ამ ჯგუფმა ფინეთის გავლით ადვილად შეაღწია პეტროგრადში. ასე იქცევიან ხოლმე, როდესაც მტრულ ქვეყანაში დივერსანტების შეგზავნა უნდათ!

იმდროინდელი ოპონენტები უკიჟინებდნენ ლენინს, რომ ის „გერმანიის კმაყოფაზე მყოფი ჩამოვიდა რუსეთში“. ბევრად მოგვიანებით ეს დადასტურდა კიდეც: 1914-1917 წლებში გერმანიის ხაზინიდან ბოლშევიკებს 27 მილიონი რაიხსმარკა (ან შესაბამისი ფასის საქონელი) გადასცეს, რაც 2007 წლის კურსით 75 მილიონ ევროს უდრიდა.

1917 წლის 7 ნოემბერს ბოლშევიკებმა დაამხეს პეტროგრადში მყოფი რუსეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა და დაეუფლნენ ძალაუფლებას. რუსეთში ქაოსი დაიწყო.

გერმანიამ თითქმის მიაღწია საწადელს: ლენინის დაჟინებული მოთხოვნით ბოლშევიკურმა მთავრობამ 1918 წლის 3 მარტს ქ. ბრესტ-ლიტოვსკში სეპარატულ ზავს მოაწერა ხელი და რუსეთი ომს გამოეთიშა. იმ დროს ბოლშევიკებს ჯარი არ ჰყავდათ და მაინც ვერ იომებდნენ.

ერთდროულად რუსეთის იმპერიის არმიამ დაცალა კავკასიის ფრონტიც და ოსმალებს გზა გაეხსნათ სამხრეთ კავკასიასა და ჩრდილოეთ ირანში. 15 სექტემბერს ოსმალურმა არმიამ ბაქო აიღო.

მაგრამ ეკონომიკურად გამოფიტული, დამშეული და სისხლისგან დაცლილი გერმანია ვეღარ უძლებდა დასავლეთიდან „ანტანტის“ ძალების დაწოლას, რომელთაც უწყვეტად მოსდიოდათ დახმარება ამერიკიდან ცოცხალი ძალის, საჭურვლის, საწვავის, სურსათ-სანოვაგის სახით.

გერმანიის სუსტმა მოკავშირეებმა ვერ გაუძლეს ბრიტანულ-ფრანგული ძალების შეტევას. 1918 წლის შემოდგომაზე ჯერ ბულგარეთი (30 სექტემბერს), შემდეგ ოსმალეთი (30 ოქტომბერს) და ავსტრია-უნგრეთი (3 ნოემბერს) ომს გამოეთიშნენ – თითოეულმა მათგანმა „ანტანტასთან“ ისეთ დაზავებას მოაწერა ხელი, რომელიც კაპიტულაციის ტოლფასი იყო.

მოკავშირეების გარეშე დარჩენილი გერმანიის უკმაყოფილო მოსახლეობა დრტვინავდა. ქვეყანაში თითქმის აღარ დარჩა სურსათი. გერმანელი სოციალისტები უკმაყოფილებას აღვივებდნენ. 9 ნოემბერს გერმანიაში რევოლუცია დაიწყო. 10 ნოემბერს კაიზერი *ვილჰელმ II* ტახტიდან გადადგა და

ჰოლანდიაში გაიქცა. სახელმწიფოს, რომლის მიწაზეც იმ დროს ჯერ არ გაეგონათ მტრის ჯარისკაცის ჩექმის ბრახუნი – გერმანული არმიები ჯერაც იდგნენ დასავლეთითა და აღმოსავლეთით ოკუპირებულ ტერიტორიებზე – „ანტანტის“ ძალიან მძიმე პირობებით დაზავების, ფაქტობრივად – კაპიტულაციის, გარდა სხვა გზა აღარ დარჩა.

1918 წლის მე-11 თვის (ნოემბრის) 11 რიცხვში 11 საათზე მსოფლიო ომი დამთავრდა. საფრანგეთში, კომპიენის ტყეში, ფრანგი მხედართმთავრის, **მარშალ ფერდინანდ ფოშის** საშტაბო მატარებელში, სწორედ იმ ვაგონში, სადაც 1871 წელს გერმანელებმა კაპიტულაციის პირობები უკარნახეს ფრანგებს, ამჯერად გერმანელ გენერლებს მოაწერინეს ხელი დამამცირებელ ზავზე.

I მსოფლიო ომის პოლიტიკურ-გეოგრაფიული შედეგები

I მსოფლიო ომი დაიწყო ევროპაში, მაგრამ დამთავრდა არა მარტო ევროპაში, არამედ აზიასა და აფრიკაშიც, სადაც შეიცვალა პოლიტიკური საზღვრები. ომის მძიმე დემოგრაფიული შედეგები კი უპირველესად ევროპამ იწვნია. ევროპელები ლპებოდნენ ათასობით კილომეტრი სიგრძის ნესტიან სანგრებში, ევროპელები ხოცავდნენ ერთმანეთს „Maxim“-ის ტყვიამფრქვევებითა და ხიშტებით მიტანილ იერიშებში.

საომარი მოქმედება ბრიტანეთის კუნძულებზე არ მიმდინარეობდა. მაგრამ დიდმა ბრიტანეთმა (თავის დომინიონებთან და კოლონიებთან ერთად) I მსოფლიო ომის ოთხი წლის განმავლობაში ერთ მილიონამდე ჯარისკაცი დაკარგა მოკლულებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულების სახით, მათ შორის 700 ათასი დაღუპული უშუალოდ ბრიტანეთის კუნძულების მკვიდრი იყო.

შედარებისათვის: ექვსწლიანი II მსოფლიო ომის დროს უშუალოდ დიდი ბრიტანეთის აუნაზღაურებელი ადამიანური დანაკარგი თითქმის ორჯერ ნაკლები იყო (400 ათასი დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული) თუმცა II მსოფლიო ომში ბრიტანეთი ძალიან მძიმედ დაიბომბა და მისი ქალაქები დაინგრა. საქმე ისაა, რომ 1914-1918 წლებში მეტი იყო ხელჩართული ბრძოლა, იყენებდნენ ქიმიურ იარაღს და ბევრი ჯარისკაცი დაიღუპა სხვადასხვა დაავადებით.

I მსოფლიო ომში ძალიან დიდი ადამიანური დანაკარგი ჰქონდა საფრანგეთს, რომლის ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა საბრძოლო მოქმედებები – 1,4 მილიონი დაღუპული და უგზოუკვლოდ დაკარგული.

ადამიანთა დიდი მსხვერპლი ჰქონდათ I მსოფლიო ომში დამარცხებულ ქვეყნებს: გერმანიას და რუსეთს – 2-2 მილიონი ან მეტი, ავსტრია-უნგრეთს – მილიონზე მეტი, ოსმალეთს – მილიონამდე.

ომის უმთავრესი პოლიტიკურ-გეოგრაფიული შედეგი იყო ოთხი იმპერიის – ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, რუსეთისა და ოსმალეთის – დაშლა. მათგან მხო-

ლოდ რუსეთმა მოახერხა ტერიტორიის თითქმის სრულად აღდგენა მომდევნო ათწლეულებში.

ომის დამთავრებისთანავე დაიწყო მსოფლიოს გადანაწილება და თანამედროვე პოლიტიკური რუკის შექმნა. მრავალეროვანი ავსტრია-უნგრეთის ტერიტორიის ნაწილებს დაუყოვნებლივ დაეპატრონენ ახალშექმნილი ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის რესპუბლიკები, სერბეთის, რუმინეთის და იტალიის სამეფოები.

ავსტრიამ და, განსაკუთრებით, უნგრეთმა დაკარგეს ტერიტორიის საგრძნობი ნაწილი (ამ უკანასკნელმა – ომამდელი ფართობის 72%).

ნახ. 9.

ავსტრია-უნგრეთის ტერიტორიის დანაწილება 1918-1919 წლებში.
ყავისფრად მონიშნულია ავსტრიის ნაწილი ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში, ხოლო ღია იისფრად – უნგრეთისა. ლურჯად მითითებულია ბოსნია-ჰერცეგოვინა, რომელიც ომის შემდეგ შეიერთა სლოვენთა, ხორვატთა და სერბთა სამეფომ (1929 წლიდან – იუგოსლავია) მასვე შეურთდა მონტენეგრო/ჩერნოგორია და დალმაცია ადრიატიკის ზღვის ნაპირის გასწვრივ) (წყარო: Wikipedia)

ევროპისათვის ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ-გეოგრაფიული მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ პოლონეთის დაბრუნება პოლიტიკურ რუკაზე. XVI-XVIII საუკუნეებში პოლონეთი ძალიან მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ნიშას ავსებდა: ის ფაქტობრივად მიჯნავდა ერთმანეთისაგან დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას, უფრო ზუსტად, „ევროპასა და ევრაზიას“, რადგან მისი მეზობელი აღმოსავლეთით იყო რუსეთის სამეფო/იმპერია – ევრაზიული სა-

ხელმწიფო. XVIII საუკუნის ბოლო ათწლეულებში პოლონეთი დაინაწილეს რუსეთისა და ავსტრიის იმპერიებმა და პრუსიის სამეფომ. I მსოფლიო ომის შემდეგ აღდგენილ პოლონეთს ისევ შეეძლო შეესრულებინა ერთგვარი „ბუფერის“ როლი რუსეთსა და დასავლეთ ევროპას შორის.

პოლონეთის რესპუბლიკა (რეჩპოსპოლიტა) 1918 წელს შეიქმნა რუსეთის, გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიებში შემავალი ისტორიული პოლონეთის ტერიტორიების ხარჯზე. ეს გულისხმობდა იმ დროისათვის უკვე ცალკე ერებად ჩამოყალიბებული ხალხების მიწების შეერთებასაც, მაგალითად, პოლონეთმა შეიერთა ისტორიული ლიტვის დედაქალაქი ვილნიუსი (ვილნო), უპირატესად უკრაინული გალიციის ნაწილი, ცენტრით ლვოვში: ქქ. ვილნოსა და ლვოვში ეთნიკური პოლონელები რიცხობრივად დიდად ჭარბობდნენ, შესაბამისად, ლიტველებსა და უკრაინელებს. *პოლონეთის რეჩპოსპოლიტა* მრავალეროვნული სახელმწიფო გახდა: მისი მოსახლეობის მესამედი ეთნიკურ უმცირესობებს განეკუთვნებოდა, მათ შორის 3 მილიონამდე ებრაელი იყო.

ცენტრალურ ევროპაში აღდგა შუა საუკუნეებში არსებული ავსტრია და ლიეტუვა – ორივე რესპუბლიკისა და არა მონარქიის სახით. ავსტრია 1919 წლის ბოლომდე ატარებდა „გერმანული ავსტრიის რესპუბლიკის“ სახელს: მისი მოსახლეობის უმეტესობას სურდა გერმანიასთან გაერთიანება, მაგრამ გამარჯვებულმა „ანტანტამ“ (უპირველესად, საფრანგეთმა) არ დაუშვა ეს. გერმანიამ ავსტრია მაინც შეიერთა, მაგრამ ეს მოხდა 1938 წელს და ცოტა ხანს გასტანა, 1945 წლამდე.

უნგრეთი ნომინალურ სამეფოდ დარჩა, მაგრამ მეფე არ ჰყავდა და მეოთხედი საუკუნე მას მართავდა რეგენტი – ადმირალი მიკლოშ ჰორტი.

ევროპაში აღმოცენდნენ ადრე არარსებული სახელმწიფოები: ფინეთი, ლატვია, ესტონეთი, ჩეხოსლოვაკია (ჩეხეთის სამეფოს ადრეც უარსებია).

ისტორიაში პირველად პოლიტიკურ რუკაზე გამოჩნდნენ, თუნდაც მცირე ხნით, ისეთი ერთეულები, როგორიც ახლაც არიან უკრაინა და ბელარუსი.

სერბების ჰეგემონიით ერთ სახელმწიფოში – სერბთა, სლოვენთა და ხორვატთა სამეფოში (1929 წლიდან მას *იუგოსლავია* ეწოდა) გაერთიანდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ყველა სლავი ხალხი, გარდა ბულგარელებისა. ამ გაერთიანების ხელოვნურობა XX საუკუნის ბოლო დეკადაში გამოაშკარავდა, როდესაც იუგოსლავია ცეცხლსა და სისხლში დაიშალა.

ტერიტორიულად დაზარალებული აღმოჩნდა ომში გამარჯვებული ქვეყანაც: 1922 წელს დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის შეერთებული სამეფოს ნაწილში, კუნძულ ირლანდიაზე (ჩრდილოეთით მდებარე პროვინცია ოლსტერის გარეშე), შეიქმნა ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფო – ეირე, ჯერ ბრიტანული დომინიონი, შემდგომში – რესპუბლიკა.

ნახ. 10.

ევროპის სახელმწიფოები 1920 წლის დასაწყისში
[წყარო: ავტორისეული ნამუშევარი]

1918 წელს სამხრეთ კავკასიაში შეიქმნა სამი რესპუბლიკა – საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი (მათზე მომდევნო ლექციის დროს ვისაუბრებთ).

მკვეთრად შეიცვალა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა. I მსოფლიო ომამდე ამ რეგიონის უდიდესი ნაწილი ოსმალეთის სულტნის პირდაპირ ან ნომინალურ მფლობელობაში იყო. ომის შემდეგ კი არაბები, რომელთა დიდი უმრავლესობა ოთხასი წლის განმავლობაში ემორჩილებოდა ოსმალეთს,

დამოუკიდებლები გახდნენ. მაგრამ ერთიანი არაბული სახელმწიფო არ შექმნილა: ყველა რეგიონის ელიტამ ცალკე გაიწია, ხოლო ბრიტანეთმა და საფრანგეთმა არაბთა დაშლას ხელი შეუწყვეს.

გაჩნდნენ არაბული სახელმწიფოები:

- ჯერ კიდევ 1914 წელს ოსმალეთის იმპერიას გამოეყო და დამოუკიდებლობა გამოაცხადა ბრიტანული ოკუპაციის ქვეშ მყოფმა *ეგვიპტემ;*
- ომის დროს ფაქტობრივად დამოუკიდებელი გახდა *იემენი,* როდესაც ის დატოვეს ოსმალეთის სამხედრო ნაწილებმა;
- 1916 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა *ჰიჯაზმა* (დღევანდელი საუდის არაბეთის დასავლეთი ნაწილი), სადაც მდებარეობს მუსლიმთა წმინდა ქალაქები მექა და მედინა. ევროპის სახელმწიფოებმა და აშშ-მა ჰიჯაზის სამეფოს დამოუკიდებლობა ცნეს;
- იმავე პერიოდში არაბეთის ნახევარკუნძულის შუა ნაწილებს ბრძოლით აერთიანებდა საუდიანთა დინასტიის დამაარსებელი ***აბდალაზიზ ას-საუდი,*** რომელმაც 1925 წელს ჰიჯაზიც დაიპყრო. ევროპის სახელმწიფოებმა ას-საუდის ექსპანსიას ყურადღება არ მიაქციეს და ჰიჯაზის გაქრობა მსოფლიო რუკიდან არავის გაუპროტესტებია. 1932 წელს გეოლოგებმა ახალშექმნილ საუდის არაბეთის სამეფოში აღმოაჩინეს ნავთობის უდიდესი საბადოები, რამაც XX საუკუნის მეორე ნახევარში შეცვალა ახლო აღმოსავლეთის რეგიონისა და, გარკვეულად, მსოფლიოს ეკონომიკა და გეოპოლიტიკა.
- „ერთა ლიგის“ დადგენილებით 1922 წლიდან *სირია* და *ლიბანი* საფრანგეთის სამანდატო ტერიტორიებად იქცნენ, ხოლო *ერაყი, პალესტინა* და *ტრანსიორდანია* დიდი ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორიებად;
- *ქუვეითი, კატარი, ომანი და მასკატი, შეთანხმებითი ომანი, ბაჰრეინი* დარჩნენ ბრიტანეთის პროტექტორატებად, ხოლო *ადენი* – მისივე კოლონიად.

I მსოფლიო ომის დროს დიდი ბრიტანეთის მთავრობა დაჰპირდა მსოფლიო ებრაელობას, რომ პალესტინის ტერიტორიაზე მათთვის „ეროვნულ კერას“ შექმნიდა. ეს გაფორმდა 1917 წლის 2 ნოემბერს ხელმოწერილი „ბალფურის დეკლარაციის“ სახით (**Lord Arthur Balfour,** ინგლისურად გამოითქმის *ბელფორ,* იყო ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი). ბრიტანელებმა შეასრულეს დანაპირები და ომთაშორის პერიოდში დიდად შეუწყვეს ხელი პალესტინაში ებრაულ იმიგრაციას და იქ დამკვიდრებას. ამის საბოლოო შედეგი იყო 1948 წელს ისრაელის სახელმწიფოს შექმნა. ერთდროულად ამასვე მოჰყვა მძიმე ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტი – სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების, ებრაელებისა და არაბების – ბრძოლა ერთი და იმავე ტერიტორიისათვის, რაც დღემდე არ დასრულებულა.

კითხვები ლექცია 4-ის თემაზე

1. როგორი იყო ევროპის დიდი სახელმწიფოების კოლონიური პოლიტიკა I მსოფ-ლიო ომის წინ?
2. როგორი იყო გეოპოლიტიკური ვითარება ევროპაში I მსოფლიო ომის წინ?
3. რა გეოპოლიტიკური ვითარება იყო რუსეთის ირგვლივ I მსოფლიო ომის წინ და ომის დროს?
4. როგორი იყო სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკური კონფიგურაცია I მსოფლიო ომის დროს?
5. რა პოლიტიკური შედეგები მოჰყვა „გალიპოლის ოპერაციას“?
6. რატომ და როგორ მოხდა რუსეთში „თებერვლის რევოლუცია“?
7. როგორ შეიცვალა ევროპის პოლიტიკური რუკა I მსოფლიო ომის შემდეგ?
8. როგორ შეიცვალა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა I მსოფლიო ომის შემდეგ?

ლექცია 5

სამხრეთი კავკასია 1918–1921 წლებში: გეოპოლიტიკური პრობლემები

სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებლობა მსოფლიო კონტექსტში

1918-1921 წლები აღმოჩნდა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ისტორიაში ძალიან ხანმოკლე, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი, როდესაც იქ ხელახლა გამოჩნდა შუა საუკუნეების სახელმწიფოები (საქართველო, სომხეთი) და გაჩნდა ახალი სახელმწიფო (აზერბაიჯანი).

1918-1921 წლების განვითარების თავისებურებათა წყალობით არის დღევანდელი სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფო რეალური გეოპოლიტიკური მოთამაშე მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე.

სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების ხანმოკლე დამოუკიდებლობამ აიძულა რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება შეექმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ) და არა ავტონომიური ერთეულები საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში.

ამავე დროს, პირველად რეგიონის ისტორიაში, მის ბედზე იმოქმედა მსოფლიო კონტექსტმა და არა მხოლოდ მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა.

1918 წელს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობაზე გავლენა მოახდინა მსოფლიო ომში „ცენტრალური სახელმწიფოების“ პოლიტიკამ.

მსოფლიო ომის შემდეგ კი სამხრეთ კავკასიის ბედი განსაზღვრა მის მიმართ ომში გამარჯვებული ქვეყნების მხრიდან ინტერესის უქონლობამ.

ევროპის ქვეყნების მიერ მსოფლიო ომის დროს განცდილმა დიდმა ადამიანურმა დანაკარგმა არაპირდაპირი გავლენა მოახდინა ომისშემდგომი სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ბედზე. ომში გამარჯვებული „ანტანტის“ ქვეყნების საზოგადოება 1918 წლისათვის იმდენად დაიღალა ომისაგან, მათი ელიტები იმდენად დაიცალა სისხლისაგან, რომ შორეული კავკასიის საქმეებში სამხედრო ჩარევისათვის მათი მთავრობები თავიანთ მოსახლეობას ვერაფრით დაითანხმებდნენ.

მსოფლიო ომში ამერიკის ორწლიანი (1917-1918) მონაწილეობა მას ევროპელებზე ბევრად ნაკლებ მსხვერპლად დაუჯდა: 116 ათასი დაღუპული და სამჯერ მეტი დაჭრილ-დასახიჩრებული. მაგრამ დაღუპული და დაჭრილი ყველა შტატში იყო და საზოგადოებრივი აზრი, რომელიც თავიდანვე არ უჭერდა მხარს „ევროპული იმპერიების შიდა გარჩევებში“ ჩართვას, კიდევ უფრო უარყოფითად განეწყო „ძველი სამყაროს“ მოწესრიგებაში ჩარევის მიმართ. სენატორებსა და კონგრესმენებს უნდა გაეთვალისწინებინათ თავიანთი ელექტორატის განწყობა. აშშ-ის სენატმა უარი განაცხადა 1919 წელს

შექმნილ საერთაშორისო ორგანიზაცია „ერთა ლიგაში“ ამერიკის შესვლაზე, თუმცა „ერთა ლიგა“ დაარსდა აშშ პრეზიდენტ ვუდრო უილსონის ინიციატივითა და უშუალო ძალისხმევით. სენატი არ დათანხმდა არც სომხეთის რესპუბლიკის მართვის მანდატის აღებაზე, რასაც პრეზიდენტი უილსონი მხურვალედ უჭერდა მხარს. უილსონის მაშინდელი განზრახვა რომ აღსრულებულიყო, სამხრეთ კავკასიაში გაჩნდებოდა ამერიკის გავლენა, თუმცა უცნობია, რა სიკეთეს მოუტანდა ის საქართველოს.

წინა საუკუნეებისაგან განსხვავებით XX საუკუნის გეოპოლიტიკური სიახლე ის იყო, რომ ფასობდა ნავთობით მდიდარი ტერიტორია. რადგანაც ასეთი ადგილი, სახელად ბაქო, 1920 წლის აპრილიდან მტკიცედ ეპყრათ ხელში რუს ბოლშევიკებს, მათვე სჭირდებოდათ ბათუმი – ბაქოდან წამოსული ნავთსადენის ტერმინალი და ერთერთი საუკეთესო ნავსადგური შავ ზღვაზე, რომელიც 1920 წლის ივლისიდან, იქიდან ბრიტანელების წასვლის შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ექვემდებარებოდა.

1920 წელს ბრიტანეთმა დაკარგა ინტერესი ბაქოს ნავთობის მიმართ: სამხრეთ ირანში ნავთობის დიდი ბუდობი უკვე 1908 წელს აღმოჩნდა და მას „ანგლო-სპარსული სანავთობო კომპანია“ უწევდა ექსპლუატაციას. ამ კომპანიის მიერ 1913 წელს სპარსეთის ქალაქ აბადანში აგებულ, იმ დროს მსოფლიოში უდიდეს, ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ნავთობპროდუქტების წარმოება და მათი ტრანსპორტირება ბრიტანული ფლოტის კონტროლქვეშ მყოფი სპარსეთის ყურის, ჰორმუზისა და ბაბ-ალ-მანდაბის სრუტეებისა და სუეცის არხის გავლით ეკონომიკურად უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე ბათუმიდან შავი ზღვის სრუტეების გავლით ბაქოს ნავთის გაზიდვა.

ბაქოს გამო რუს ბოლშევიკებთან ომი ლონდონს არ უღირდა. კავკასიაში კი ბაქოს ნავთობის გარდა მისთვის საინტერესო არაფერი იყო!

1920 წლის შუაგულში „ანტანტის“ უკანასკნელი სამხედრო შენაერთის გასვლამ სამხრეთ კავკასიიდან იქ სამოქმედოდ ხელი გაუხსნა ბოლშევიკურ რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს, რომელთაც საერთო ენა გამონახეს ერთმანეთთან.

მაგრამ იქამდე სამხრეთ კავკასიის განვითარებაზე სხვა პოლიტიკურმა მოვლენებმა იმოქმედეს.

„ბრესტის ზავი“ და სამხრეთი კავკასია

1917 წლის 7 ნოემბერს (ძველი სტილით 25 ოქტომბერს) პეტროგრადში ძალაუფლებას ძალადობრივად დაეუფლა *რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის* რადიკალური ფრთა (*„ბოლშევიკები“*), რომელმაც

მალევე დაირქვა სახელად **„რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)“.** ბოლშევიკურმა მთავრობამ ქვეყანას უწოდა **რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა** (რსფსრ), რომლის მთავრობის – სახალხო კომისართა საბჭოს – თავმჯდომარე (რაც „პრემიერ-მინისტრის“ ეკვივალენტი იყო), გახდა ვლადიმირ ლენინი.

რუსეთის კომუნისტების გამარჯვება საბოლოოს არ ჰგავდა. 1917 წელსვე დაიწყო რუსეთის სახელმწიფოს დაშლა. იმ წლის დეკემბერში რსფსრ იძულებული გახდა ეცნო ფინეთის დამოუკიდებლობა. 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულებით **(„ბრესტის ზავით“)** რსფსრ აღიარებდა უკრაინისა და ბელორუსიის დამოუკიდებლობას. ამ ხელშეკრულების თანახმად რსფსრ თმობდა 830 ათასი კვ. კმ ფართობის ტერიტორიას აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც ომამდე ცხოვრობდა 56 მილიონი ადამიანი – ყოფილი რუსეთის იმპერიის მოსახლეობის მესამედზე მეტი. 1918 წლის ბოლოს რსფსრ-მ ცნო პოლონეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, რომლის დიდი ნაწილი საუკუნეზე მეტხანს შედიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთი სეპარატულ ზავს დებდა: ის გადიოდა მსოფლიო ომიდან თავისი მოკავშირე „ანტანტის“ ქვეყნების დაუკითხავად.

როდესაც ლენინი დაჟინებით მოითხოვდა გერმანიასთან ნებისმიერ ფასად დაზავებას, მისი მიზანი იყო კომუნისტური პარტიისა და საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნება. ლენინი, გარკვეული თვალსაზრისით, რისკზე მიდიოდა: თუმცა დასავლეთის ფრონტზე „ცენტრალურ სახელმწიფოებს“ საქმე კარგად არ მიუდიოდათ, მაინც უცნობი იყო, რამდენ ხანს გასტანდა ომი.

„ბრესტის ზავის“ დამატებითი ხელშეკრულება ეხებოდა სამხრეთ კავკასიას, რომლის თანახმად რუსეთის არმია უნდა გასულიყო ოსმალეთთან 1877-1878 წლების ომის შედეგად რუსეთის იმპერიის მიერ ანექსირებული ყარსის, ბათუმისა და არტაანის ოლქებიდან.

„ბრესტის ზავის“ წყალობით, ოსმალეთის იმპერია, რომელიც იქამდე ქრონიკულად მარცხდებოდა არაბეთისა თუ კავკასიის ფრონტებზე, მოულოდნელი გამარჯვებულის როლში მოევლინა სამხრეთ კავკასიას. მართალია, ეს გაგრძელდა 1918 წლის 30 ოქტომბრამდე, როდესაც ოსმალეთმა ფაქტობრივად აღიარა დამარცხება „ანტანტასთან“. მაგრამ იმ წლის აპრილ- მაისში ოსმალური არმია დაუყოვნებლივ შეუდგა მისთვის დაბრუნებული ტერიტორიის დაკავებას.

რუსეთის ყოფილი იმპერიის დაშლილი ჯარი ქაოტურად გადიოდა იქამდე ოკუპირებული აღმოსავლეთ ანატოლიიდან. წინა ნახევარი საუკუნის განმავლობაში ყარსის ოლქში ჩასახლებული სომხები და რუსები, ოსმალთა შიშით, სასწრაფოდ ტოვებდნენ სახლკარს. რუსები ძირითადად უბრუნდებოდ-

ნენ თავიანთ ძველ საცხოვრისს – კავკასიის ქედის ჩრდილოეთით. სამხრეთ კავკასიის ქალაქები კი, მათ შორის თბილისი, სომეხი ლტოლვილებით აივსო.

სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური პარტიები

მსოფლიო ომის დამთავრებამდე „ანტანტა“ ვერ ჩაერთვებოდა სამხრეთ კავკასიის საქმეებში, რადგან იქ იდგა მათი მტრების – ოსმალეთისა და გერმანიის – სამხედრო ნაწილები. „ანტანტას“ არც ომის შემდეგ გამოუდია თავი კავკასიის პატრონობისათვის. მართალია, 1918 წლის ბოლოდან რეგიონში ფიქსირდებოდა ბრიტანეთის ინტერესები, მაგრამ მისი სამხედრო ნაწილების იქ ყოფნა 1920 წლის ივლისში დასრულდა.

„ბრესტის ზავის“ დადებისას სამხრეთი კავკასია (ოსმალეთისათვის დათმობილი ტერიტორიის გარეშე) ნომინალურად რუსეთის შემადგენლობაში რჩებოდა, პრაქტიკულად კი საკუთარი ბედის ანაბარა იქნა მიტოვებული.

ვის შეეძლო აეღო პასუხისმგებლობა სამხრეთ კავკასიის მართვაზე, იმისათვის, რომ იქ ქაოსი არ დაწყებულიყო?

ტრადიციული ელიტები (სამეფო დინასტიები, მთავრები, ხანები და ა.შ.) რეგიონში აღარ არსებობდნენ ან გავლენა ჰქონდათ დაკარგული. სამაგიეროდ, იქ უკვე იყო **პოლიტიკური პარტიები.** მსოფლიო ომის წინ და მის დროსაც სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკური ცხოვრება გრძელდებოდა. უბრალო ხალხი მხარს უჭერდა ისეთ პარტიებს, რომელთაც წინ გამოჰქონდათ სოციალური საკითხები – მშრომელებზე ზრუნვა, აგრარული რეფორმა, სოციალური თანასწორობა, და ა. შ. თავიდან ხალხს პარტიებისა სჯეროდა: დაპირებათა შეუსრულებლობით სახელი მათ ჯერ გატეხილი არ ჰქონდათ; არჩევნების გაყალბების მექანიზმები ჯერ უცნობი იყო. ამავე დროს, პარტიების დიდი ნაწილი თავის ელექტორატად გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფს მიიჩნევდა.

* * *

მკაფიო ეროვნულ იდეოლოგიას ეფუძნებოდა **სომხური პარტიები.** სომხებს შორის ყველაზე გავლენიანი იყო 1890 წელს თბილისში დაარსებული და რამდენიმე ქვეყანაში მოქმედი „***დაშნაკცუთიუნი***“ („სომეხთა რევოლუციური ფედერაციან). 1905 წლიდან ის ლეგალური პარტია იყო რუსეთის იმპერიაში, ხოლო 1908 წლიდან – ოსმალეთშიც. იმ წელს სტამბოლში მოხდა რევოლუცია ე.წ. „ახალგაზრდა თურქთა“ ხელმძღვანელობით: ასე უწოდებდნენ პარტია „ერთიანობა და პროგრესის“ (თურქულად „ითიჰად ვე თერაქი“) ხელმძღვანელ პირებს. „დაშნაკცუთიუნმა“ მხარი დაუჭირა რევოლუციონერებს. 1909 წელს ოსმალეთის მეჯლისში (პარლამენტში) არჩეული 288 დეპუტატიდან 14 სომეხი იყო, უმეტესობა – დაშნაკი: ოსმალეთის იმპერიის მმარ-

თველ კოალიციურ მთავრობაში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი სამუშაოების მინისტრის პოსტი ეთნიკურ სომეხს ეკავა.

„დაშნაკცუთიუნისა“ და ოსმალეთის მმართველი პარტიის გზები 1914 წლის აგვისტოში გაიყარა, როდესაც „ახალგაზრდა თურქებმა“ შესთავაზეს დაშნაკებს თანამშრომლობა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში: ამ უკანასკნელებმა უარი განაცხადეს.

სამხრეთ კავკასიაში „დაშნაკცუთიუნის“ პროგრამა მიზნად ისახავდა სომხური სახელმწიფოს შექმნას, რომელშიც უნდა შესულიყო რუსეთის იმპერიის ის ტერიტორიები, სადაც სომხური მოსახლეობა ფართოდ იყო წარმოდგენილი, ან რაც პარტიას „ისტორიულ სომხეთად“ მიაჩნდა.

* * *

აზერბაიჯანელებს შორის ყველაზე გავლენიანი იყო 1911 წელს დაარსებული პარტია „**მუსავათი**“ („თანასწორობა“). ეს შედარებით ლიბერალური პარტია მხოლოდ მუსლიმთა შორის თანასწორობას ქადაგებდა. „მუსავათიც“ არ ამბობდა უარს სოციალურ ლოზუნგებზე და ამით უბრალო ხალხის გრძნობებზე ზემოქმედებდა. მსოფლიო ომის ბოლო, 1918, წელს პარტია პანთიურქიზმისაკენ გადაიხარა და მჭიდროდ თანამშრომლობდა ოსმალებთან. აზერბაიჯანელებმა შექმნეს რამდენიმე სხვა პარტიაც, რომელთა სახელებში დომინირებდა სიტყვა „მუსლიმი“, ვინაიდან იმ დროს მათ თვითიდენტობას ძირითადად რელიგია განსაზღვრავდა.

* * *

რაც შეეხება **ქართველებს,** მათ შორის უდიდესი გავლენა ჰქონდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ზომიერ ფრთას, „მენშევიკებს“. იმავე პარტიის რადიკალურ (ბოლშევიკურ) ფრთასთან ქართველმა მენშევიკებმა 1918 წლის დასაწყისში გაწყვიტეს კავშირი და შექმნეს **„საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია**“.

1918 წლამდე ქართველი მენშევიკები ამტკიცებდნენ, რომ ისინი „არ წარმოადგენენ რომელიმე ეროვნებას“, რომ „ისინი ინტერნაციონალისტები არიან და მათი ვალია მთელი რუსეთის პროლეტარიატის ინტერესების დაცვა“. დაშნაკები ხშირად უხსენებდნენ მენშევიკებს მათივე ადრეულ ინტერნაციონალისტურ განცხადებებს, რომ „კავკასიის მომავალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა უნდა მოხდეს ეთნიკური პრინციპით“. ამ პრინციპით კი შეიძლებოდა ისე მომხდარიყო, რომ ტფილისის გუბერნიის ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები, ქვემო ქართლის ნაწილი, სადაც სომხური მოსახლეობა რიცხობრივად დომინირებდა, ქ. თბილისიც კი სომხეთის

მომავალ სახელმწიფოს რგებოდა: ამ ქალაქში XX საუკუნის პირველ ათწლეულებში სომხებმა რიცხოვნობით დიდად იმატეს ოსმალეთიდან ლტოლვილთა ხარჯზე.

როგორც კი მენშევიკები საქართველოს მმართველ პარტიად იქცნენ, მათი „ინტერნაციონალისტური“ რიტორიკა შესუსტდა და წინა პლანზე გამოვიდა უფრო სერიოზული მიდგომა სახელმწიფო მშენებლობის მიმართ.

საქართველოში იყო ეროვნულ ნიადაგზე მდგომი **ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და სოციალისტ ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია,** მაგრამ ამ პარტიებს მენშევიკებზე ბევრად ნაკლები მხარდამჭერი ჰყავდათ.

* * *

1917 წლის 1 სექტემბერს რუსეთი რესპუბლიკად გამოცხადდა და მისი მომავალი პოლიტიკური მოწყობის განსაზღვრისათვის 12 ნოემბერს დაინიშნა დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩატარება. იმავე წლის 7 ნოემბერს (ძველი სტილით – 25 ოქტომბერს) რუსეთის დედაქალაქ პეტროგრადში ხელისუფლებას ძალადობრივად დაუფლებულმა *ბოლშევიკებმა არ გააუქმეს დამფუძნებელი კრების არჩევნები:* მათ იმედი ჰქონდათ, რომ მოიგებდნენ არჩევნებს და ლეგიტიმაციას შესძენდნენ საკუთარ მმართველობას. მაგრამ არჩევნების შედეგებმა ბოლშევიკებს იმედი გაუცრუა: მათ ხმების მეოთხედზე ნაკლები მიიღეს, პირველ ადგილზე კი გავიდა რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია („ესერები“). ამიტომაც ბოლშევიკებმა1918 წლის 19 იანვარს ჩაშალეს პეტროგრადში გამართული რუსეთის დამფუძნებელი კრების პირველივე სესია, გარეკეს იქ მოსული დეპუტატები, მალე აკრძალეს ყველა პარტია რუსეთში, საკუთარის გარდა, და განაგრძეს ქვეყნის არალეგიტიმურად მართვა მომდევნო 73 წლის განმავლობაში.

რუსეთის დამფუძნებელი კრების პროპორციულ არჩევნებში სამხრეთ კავკასიაში მონაწილე მრავალ პარტიასა და ბლოკს შორის დეპუტატები სულ 8 პოლიტიკურმა სუბიექტმა გაიყვანა. არჩეულ დეპუტატებს შორის 15 აზერბაიჯანელი წარმოადგენდა ოთხ „მუსლიმურ“ პარტიას (უმეტესობა – პარტია „მუსავათს“); 14 იყო სომეხი (მათ შორის 9 „დაშნაკი“), 11 ქართველი (ყველა – „მენშევიკი“) და 3 რუსი სხვადასხვა პარტიებიდან.

ეს დეპუტატები შეიკრიბნენ თბილისში, ამიერკავკასიის ცენტრში. 1917 წლის ნოემბერში ძირითადად მათ შეადგინეს **ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი,** შემდეგ – **ამიერკავკასიის სეიმი** (პარლამენტი). 1918 წლის 22 აპრილს მათვე შექმნეს დამოუკიდებელი სახელმწიფო, **ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკა,** დედაქალაქით – თბილისში.

იმავე წლის მაისის ბოლოს იგივე დეპუტატები უკვე დამოუკიდებელ რესპუბლიკებს ჩაუდგნენ სათავეში.

დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნა სამხრეთ კავკასიაში

ამიერკავკასიის ფედერაციულმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სულ ერთი თვე იარსება. მან ვერ შეძლო ერთიანი პოლიტიკის გატარება ოსმალეთის მიმართ, რომელსაც სომხები და ქართველები აგრესორად მიიჩნევდნენ, ხოლო აზერბაიჯანელები – მეგობრად. ოსმალეთის ზეწოლითა და გერმანიის რჩევით ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა: 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა საქართველომ, 28 მაისს მას მიჰყვა აზერბაიჯანი და სომხეთი. ყველა ეს აქტი თბილისში გამოცხადდა.

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მალე გადავიდა დროებით დედაქალაქ განჯაში, რადგანაც ბაქო ბოლშევიკ სახალხო კომისართა საბჭოს ხელში იყო.

სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის წევრების დიდ ნაწილს ძალიან ენანებოდა თბილისის დატოვება (ბევრი მათგანი თბილისელი იყო), მაგრამ ერევნიდან დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ ისინი წავიდნენ, 1918 წლის ივლისის დამდეგს ჩააღწიეს ერევანში და ახალი რესპუბლიკის მართვას შეუდგნენ.

თბილისში დარჩა საქართველოს მთავრობა.

* * *

საქართველოს ჰქონდა სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი და საუკუნეზე ოდნავ მეტი ხნით ადრე შეწყვეტილი ისტორია, როდესაც მის ტერიტორიაზე არსებობდა რამდენიმე სამეფო და სამთავრო – ყველა აბსოლუტური მონარქია. მაგრამ ის, რაც მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, უსარგებლო იყო პრაქტიკაში: ძველი მონარქიების გამოცდილება ვერ გამოადგებოდა დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობას.

დადებითი მომენტი იყო, რომ საქართველოს ტერიტორია საკმაოდ კარგად იყო შემოხაზული: ის მოიცავდა რუსეთის იმპერიის დროინდელ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებს, სადაც ქართული მოსახლეობა რიცხობრივად დომინირებდა. ქართულენოვანი მოსახლეობა (ბევრი – მუსლიმი) ჭარბობდა ბათუმის ოლქშიც, განსაკუთრებით მის ჩრდილოეთ ნაწილში, ხოლო ბათუმის ოლქის სამხრეთით, ართვინის ოკრუგში, ქართულენოვან მოსახლეობაზე ბევრად მეტი იყო თურქულენოვანი. სოხუმის ოკრუგში მოსახლეობა ეთნიკურად შერეული იყო.

ახალგაზრდა ქართულმა სახელმწიფომ შეძლო იმ დროს გამოვლენილი ჯავახეთის სომხური, მესხეთის „თათრული“, აფხაზური და ოსური სეპარა-

ტიზმის მოთოკვა იმის წყალობითაც, რომ სეპარატისტების პოტენციურად მხარდამჭერი გარე ძალები (რუსეთი, თურქეთი, სომხეთი) 1918 წლის ბოლოდან 1920 წლის დასაწყისამდე დასუსტებული იყვნენ.

* * *

შუა საუკუნეებში უკანასკნელმა **სომხურმა სახელმწიფომ** კავკასიაში 1045 წლამდე იარსება. XI-XIV საუკუნეებში ხმელთაშუაზღვისპირეთში, ძირითადად სომხებით დასახლებულ კილიკიის სამეფოს არაფერი ჰქონდა საერთო კავკასიასთან.

თვითსახელი „ჰაი“ (სომეხი) და ქვეყნის სახელი „ჰაიასტან“ (სომხეთი) მტკიცედ იყო გამჯდარი ხალხში. ამას ხელს უწყობდა ექსკლუზიური, მხოლოდ ერთ ეთნოსზე მზრუნველი, „სომხური სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის“ არსებობაც.

ახალწარმოშობილმა სომხურმა პოლიტიკურმა ელიტამ (სულ ცოტა ხნით ადრე ის ინტელექტუალური ელიტა იყო – მწერლები, მეცნიერები, ექიმები, ინჟინრები) ისტორიულ მითოლოგიაზე დაფუძნებული ეროვნული იდეის განხორციელება იკისრა.

მაგრამ XX საუკუნის მეორე ათწლეულის ბოლოს ანატოლიაში, კავკასიასა და მთელ მსოფლიოში შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარება სომხური ეროვნული იდეის სასარგებლოდ არ მუშაობდა. „ანტანტის“ (კერძოდ, ბრიტანეთის) სამხედრო ნაწილები რეგიონში ხანმოკლე დროით შემოვიდა და მალევე გავიდა. 1918-1919 წლების უმძიმესი სამხედრო-პოლიტიკური კრიზისის შემდეგ ფეხზე დგებოდა მეზობელი თურქეთი. სომხეთის პოტენციური მოკავშირე, რუსეთი, მსოფლიო ომს გამოეთიშა და 1918-1920 წლებში სამოქალაქო ომში ჩაეფლო, თუმცა უკვე 1920 წლის გაზაფხულში დაუბრუნდა სამხრეთ კავკასიას, უპირველესად, ბაქოს ნავთობის გამო.

სომხური სახელმწიფოს მშენებლობისათვის პოლიტიკურ-გეოგრაფიულ სირთულეს წარმოადგენდა სომხების გაფანტულობა. ისინი გამოთქვამდნენ პრეტენზიას იმ ტერიტორიებზე, სადაც მათთან ერთად სხვა ეთნოსებიც ცხოვრობდნენ. ამის გამო ჩნდებოდა ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტი: ყველაზე მძაფრი ის აღმოჩნდა აზერბაიჯანელებთან.

სომხეთის რესპუბლიკა არსებობდა რუსეთის იმპერიის დროინდელი ერევნის გუბერნიის (ნახჭევნის მაზრა აზერბაიჯანთან სადავო იყო), ნაწილობრივ, ელისავეტპოლის გუბერნიის (ზანგეზურის მაზრის დასავლეთი ნაწილი) და თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილის ტერიტორიაზე.

* * *

სახელმწიფოებრიობის თავისებური ისტორია ჰქონდა **აზერბაიჯანს.** სახელმწიფო წარმონაქმნი, სახელად „აზერბაიჯანი“, დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე პირველად გაჩნდა მხოლოდ 1918 წელს. რუსეთის იმპერიის გაბატონებამდე, XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის დამდეგს დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებობდა ნომინალურად ირანში შემავალი რამდენიმე სახანო (ყარაბაღი, განჯა, შექი, შირვანი, ბაქო, ყუბა და სხვ.). მაგრამ არც ერთი მათგანი არ უწოდებდა თავს „აზერბაიჯანს“. იქ მცხოვრები, ერთი ენის მსგავს დიალექტებზე მეტყველი ეთნიკური ჯგუფების საერთო თვითსახელი იყო „მუსლიმი“, ანუ თვითშეგნება მხოლოდ რელიგიას ეყრდნობოდა. „აზერბაიჯანი“ იყო მდ. არაქსის სამხრეთით მდებარე ირანის დიდი პროვინციის სახელი. ეს სახელი „ისესხა“ იმავე მდინარის ჩრდილოეთით მდებარე კავკასიის ახალმა რესპუბლიკამ, რადგან „მუსლიმი“ არ გამოდგებოდა სახელმწიფოს სახელად.

გეოპოლიტიკა სამხრეთ კავკასიის ახალი სახელმწიფოების ირგვლივ 1918 წელს

ამიერკავკასიის სამი ახალი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის განმტკიცება რთულად ხდებოდა.

1918 წლის 4 ივნისს ოსმალეთმა აიძულა სამივე ახალშექმნილი რესპუბლიკა ხელი მოეწერა ხელშეკრულებებისათვის ოსმალეთთან „მშვიდობისა და მეგობრობის შესახებ“. ეს ხელშეკრულებები ქ. ბათუმში დაიდო.

გარდა ბათუმის ოლქისა, რომელიც „ბრესტის ზავით“ გადაეცა ოსმალეთს, „ბათუმის ხელშეკრულება“ აიძულებდა ახალშექმნილ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ოსმალეთისათვის დაეთმო 1828 წლამდე ოსმალეთის შემადგენლობაში მყოფი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები.

ასევე ახალშექმნილი სომხეთის რესპუბლიკა „ბრესტის ზავით“ ოსმალეთს გადასცემდა ყარსის ოლქს, ხოლო „ბათუმის ხელშეკრულებით“ იძულებული ხდებოდა ოსმალეთისათვის დაეთმო ერევნის გუბერნიაში შემავალი სურმალუს მაზრა და ქ. ალექსანდროპოლი (დღევანდელი გიუმრი, საბჭოთა პერიოდში – ლენინაკანი), რომლებიც არასოდეს შედიოდნენ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში, სამხრეთისაკენ მიმავალი რკინიგზა მიმდებარე ზოლითურთ, რომელიც მოიცავდა ეჯმიაწინისა და შარურ-დარალაგიოზის მაზრების ნახევარს და ნახჭევნის მთელ მაზრას.

ყველა „დათმობილ“ ტერიტორიაზე დაუყოვნებლივ შევიდა ოსმალეთის არმია.

იმავე 4 ივნისს ოსმალეთმა ბათუმში ხელშეკრულება გააფორმა აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკასთანაც: ის არ იყო კაბალური ამ უკანასკნელისათვის, მაგრამ ოსმალეთის იმდროინდელი, პანთიურქისტულად განწყობილი, მთავრობა მთელი აზერბაიჯანის ანექსირებას გეგმავდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიის წარმატებად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ისტორიის ამ მძიმე პერიოდში მან მოახერხა გერმანიასთან საერთო ენის გამონახვა: ეს უკანასკნელი საკუთარ მოკავშირესთან, ოსმალეთთან, ერთგვარი კონფრონტაციის პირობებში ასე თუ ისე მფარველობდა თბილისს. საქართველო გერმანიის პროტექტორატად იქცა და ამას ბოლშევიკური რუსეთიც შეეგუა. მაგრამ ასეთი ვითარება სულ რამდენიმე თვე გაგრძელდა.

მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ზემოხსენებული „ბათუმის ხელშეკრულებები“ ბათილად გამოცხადდა, ისევე, როგორც „ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება“.

მაგრამ 5-6 თვის განმავლობაში ოსმალოს ჯარი სამხრეთ კავკასიაში პარპაშებდა. ცნობილია ისიც, რომ მესხეთ-ჯავახეთის მუსლიმი მოსახლეობა („თათრები“) ოსმალებს შეეგება, როგორც გამათავისუფლებლებს, ხოლო თავის მეზობლებს, ადგილობრივ სომეხ და ქართველ ქრისტიანებს ისე მოექცა, რომ მათ წყენა კარგა ხანს არ დავიწყებიათ და 1944 წელს მოსკოვის გადაწყვეტილებით „თათრების“ დეპორტაციას განსაკუთრებული გულისტკივილით არ შეხვედრიან.

სომხეთის რესპუბლიკა 1918 წლის მაის-ოქტომბერში ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდა. მისი ტრადიციული მფარველი, რუსეთი, დამარცხებული იყო და კავკასიიდან გავიდა, „ევროპელი მეგობრები“ კი – დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი – შორს იბრძოდნენ. სომხეთი საკუთარი ძალების ამარა დარჩა.

* * *

1918 წლის შემოდგომაზე მსოფლიო ომის ბედი საბოლოოდ გადაწყდა. ბრიტანელებმა ოსმალებს წაართვეს დამასკო და ბაღდადი, ფრანგებმა – ბეირუთი; „ანტანტამ“, ამერიკელების დიდი დახმარებით, გააძლიერა დაწოლა დასავლეთის ფრონტზე; გერმანიის მოკავშირე მრავალეთნიკურმა ავსტრია-უნგრეთმა დაშლა დაიწყო: ოქტომბერში დამოუკიდებლობა გამოაცხადა მისმა ნაწილმა – ჩეხო-სლოვაკიამ (იმ პერიოდში ამ სახელმწიფოს სახელი დეფიზით იწერებოდა!).

ოქტომბერშივე ანგლო-ფრანგულმა ძალებმა სერბიის არმიასთან ერთად დაამარცხეს და ომიდან გამოთიშეს ბულგარეთი – ოსმალეთისა და გერმანიის მოკავშირე. ამის გამო სარკინიგზო კავშირი ბერლინსა და სტამბოლს შორის გაწყდა. „ანტანტის“ ძალების მიერ დასავლეთის მხრიდან სტამბოლზე

სახმელეთო იერიშის მიტანა სავსებით რეალური გახდა. სტამბოლი კი დაუცველი იყო: ოსმალეთის ყველაზე ბრძოლისუნარიანი არმია კასპიის ზღვის ნაპირზე იდგა! სულტნის მთავრობამ სასწრაფოდ ითხოვა ზავი.

1918 წლის 30 ოქტომბერს ოსმალეთსა და „ანტანტას“ შორის ხელი მოეწერა „მუდროსის დაზავებას“: ის ფაქტობრივად ოსმალეთის სრულ კაპიტულაციას წარმოადგენდა. მისი ერთ-ერთი პუნქტი მოითხოვდა კავკასიიდან ოსმალეთის არმიის დაუყოვნებლივ გაყვანას რუსეთ-ოსმალეთის 1914 წლამდე არსებულ საზღვრამდე. ოსმალები წავიდნენ.

1918 წლის 11 ნოემბერს მსოფლიო ომი ოფიციალურად დამთავრდა. „ანტანტამ“ გაიმარჯვა!

იმავე წლის 13 ნოემბერს რსფსრ-მ მოახდინა „ბრესტის ზავის“ დენონსაცია.

მსოფლიო ომის შემდეგ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა „ანტანტის“ პოზიციას. 1918 წლის ნოემბრიდან სომხეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას ერთგვარად მფარველობდა ბრიტანეთის მთავრობა და, აგრეთვე, ამერიკის პრეზიდენტი ვუდრო უილსონი, თუმცა სამხედრო თვალსაზრისით ისინი ბევრი ვერაფრით დაეხმარნენ სომხეთს. საქართველოს და აზერბაიჯანს, რომლებიც მსოფლიო ომის ბოლო წელს „ანტანტის“ მტრების, შესაბამისად, გერმანიისა და ოსმალეთის, იმედად იყვნენ, ბრიტანეთი და საფრანგეთი ნაკლებად წყალობდნენ.

სახელმწიფო საზღვრების ჩამოყალიბების მცდელობა სამხრეთ კავკასიაში

სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია აღიარებული საზღვრების არსებობა.

იმპერიის დაშლის შედეგად წარმოშობილი ახალი სახელმწიფოების საზღვრების დასადგენად თეორიულად შესაძლებელია ა) ეთნიკური განსახლების, ბ) ისტორიული ტერიტორიის, ან გ) იმპერიული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პრინციპების გამოყენება.

ეთნიკური განსახლება ცვალებადია. ომის პირობებში შესაძლებელია მისი ძალადობრივად შეცვლა, მაგალითად, მოსახლეობის დეპორტაციის გზით.

ისტორიული ტერიტორია, ჩვეულებრივ, ძალიან ბუნდოვანი კატეგორიაა. შუა საუკუნეებისა და უფრო ძველი საზღვრები, თუკი ისინი არ ეყრდნობა რაიმე ფიზიოგრაფიულ ნიშანს (მაგალითად, ზღვის ნაპირი, დიდი მდინარე, მაღალი ქედი და სხვ.), მითოლოგიას უფრო განეკუთვნება, ვიდრე ისტორიის სფეროს და ხშირად არის ხოლმე ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტის საწინდარი. მართლაც, თუკი ერთი ეთნოსისათვის „ისტორიული ჭეშმარი-

ტებაა“, რომ ესა თუ ის ტერიტორია ისტორიულად მხოლოდ მას ეკუთვნოდა და დღემდე ეკუთვნის, მეორე ეთნოსისათვის, რომელიც იმავე ტერიტორიაზე დასახლდა, როგორც თვითონ ფიქრობს – „უხსოვარ დროს“, პირველი ეთნოსის პრეტენზია სულაც არაა „ისტორიული ჭეშმარიტება“. მეორე ეთნოსი კიდევ უფრო ადრე მცხოვრებთა შთამომავლად გამოაცხადებს თავს. სწორედ ეს ქმნის ეთნოტერიტორიული კონფლიქტის საფუძველს. სამხრეთ კავკასიაში ასეთი სახის კონფლიქტი გაჩნდა სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. საბოლოოდ, საქმეს წყვეტს ხოლმე სამხედრო ძალა.

სახელმწიფო საზღვრების საფუძვლად კავკასიის ახალ სახელმწიფოებს უჯობდათ გამოეყენებინათ **„იმპერიული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“** პრინციპი. ეს პრინციპიც არ არის მთლად სამართლიანი, მაგრამ კონსენსუსის არსებობის შემთხვევაში ის თავიდან აცილებს ტერიტორიულ კონფლიქტს.

1918 წელს კი „იმპერიული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ პრინციპის გამოსაყენებლად საჭირო კონსენსუსი სამხრეთ კავკასიაში არ არსებობდა.

რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა არ ითვალისწინებდა ეთნიკური ჰომოგენურობის ფაქტორს. პირიქით, იმპერია ეთნიკური სიჭრელის შექმნას ამჯობინებდა. კავკასიის გუბერნიებისა და ოლქების უმეტესობა (ქუთაისის გუბერნიის გარდა) პოლიეთნიკური იყო. ამიტომაც სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკა ვერაფერზე მორიგდა. როდესაც „გარეშე ძალა“ (ეს კვლავ რუსეთი იყო, ამჯერად – კომუნისტური) დაბრუნდა რეგიონში, მან აიძულა გასაბჭოებული რესპუბლიკები „მოენახათ კონსენსუსი“.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის აზრით სახელმწიფოს ტერიტორიას შეადგენდნენ რუსეთის იმპერიის ყოფილი თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის ოლქი, სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგები. 1920 წელს რსფსრ-ის მთავრობამ სწორედ ეს ტერიტორია ცნო საქართველოს კუთვნილებად, ზაქათალის ოკრუგის გამოკლებით: ის სადავოდ იქნა მიჩნეული, რადგან რუსეთის იმპერიის ბოლო ათწლეულების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად ის არ შედიოდა არც თბილისის გუბერნიაში და არც ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნიაში. ქართულენოვანი (მუსლიმი და ქრისტიანი) მოსახლეობა ზაქათალის ოკრუგში მეათედზე ნაკლები იყო. უმრავლესობა იყვნენ დაღესტნელი სუნიტები და აზერბაიჯანელი შიიტები.

„ისტორიული ტერიტორიის“ პრინციპით საქართველოს პრეტენზია ჰქონდა ყარსის ოლქის არტაანისა და ოლთისის ოკრუგებზეც (ისტორიული ტაო-კლარჯეთი), თუმცა იქ ძალიან ცოტა იყო (ან საერთოდ აღარ იყო) ქართულენოვანი, თუნდაც მუსლიმი, მოსახლეობა.

სახელმწიფოებრივი გამიჯვნისას დამოუკიდებელი საქართველო უპირატესობას ანიჭებდა „იმპერიული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ პრინციპს.

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა „იმპერიული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ პრინციპით თავის სრულ საგამგებლოდ მიიჩნევდა ბაქოსა და ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნიებს და ზაქათალის ოკრუგს. თავიდან ბაქო არ ეთანხმებოდა საზღვრების „ქართულ ინტერპრეტაციას“: გარდა ზაქათალის ოკრუგისა, რომელსაც თავისად მიიჩნევდა, აზერბაიჯანი „ეთნიკური განსახლების“ პრინციპით მოითხოვდა ყოფილი ტფილისის გუბერნიის ძირითადად აზერბაიჯანელებით დასახლებული ბორჩალოს მაზრის ნაწილს (ამჟამინდელ მარნეულის რაიონსა და მიმდებარე ტერიტორიებს), თბილისისა და სიღნაღის მაზრების სამხრეთ ნაწილებს. უნდა აღინიშნოს, რომ ბაქომ მალე აიღო ხელი უკანასკნელ მოთხოვნებზე და დავობდა მხოლოდ ზაქათალის გამო. ბაქოს პრეტენზია ჰქონდა ერევნის გუბერნიის ნახჭევნისა და შარურ-დარალაგიოზის მაზრებზე, სადაც აზერბაიჯანული მოსახლეობა სომხებს რიცხოვნობით სჭარბობდა, და მთელ ზანგეზურის მაზრაზე.

სახელმწიფოების გამიჯვნის „ეთნიკური განსახლების“ პრინციპი დიდ წინააღმდეგობას ქმნიდა აზერბაიჯანისა და სომხეთის ურთიერთობაში, რადგან ორი ეთნიკური ჯგუფის განსახლება ძალიან ხშირად შერეული იყო.

სომხეთის რესპუბლიკა სახელმწიფო საზღვრების ფორმირებისას თავისთვის ხელსაყრელ პრინციპად მიიჩნევდა „ეთნიკურ განსახლებას“, იმის გამო, რომ სომხები საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე იყვნენ გაფანტული და ზოგან (ბევრგან არა!) უმრავლესობას ქმნიდნენ.

კიდევ უფრო სამართლიანად მიიჩნევდა სომხეთი „ისტორიული ტერიტორიის“ პრინციპს. ოღონდ, განსხვავებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისაგან, რომელიც ერთი-ორი საუკუნით ადრე ქართველი მეფე--მთავრების კუთვნილ მიწებზე აცხადებდა პრეტენზიას, სომხები ახსენებდნენ ერთი-ორი ათასწლეულის წინ არსებული პოლიტიკურ საზღვრებს, რომელთა დადგენა ძალიან ძნელი იყო, თუ შეუძლებელი არა.

სომხეთი თავისად მიიჩნევდა მთელ ერევნის გუბერნიას, ნახჭევნის მაზრასთან ერთად, და ყარსის ოლქს. იქ ყველგან სომხები მუსლიმურ მოსახლეობასთან შერეულად ცხოვრობდნენ. გარდა ამისა, „ეთნიკური განსახლების“ პრინციპით სომხეთს პრეტენზია ჰქონდა ტფილისის გუბერნიის სამხრეთზე – ბორჩალოს მაზრის საგრძნობ ნაწილზე და მთელ ახალქალაქის მაზრაზე. ზოგიერთ სომეხ პოლიტიკოსს პრეტენზია ჰქონდა თბილისზეც, მაგრამ საბოლოოდ სომხეთი შეურიგდა იმას, რომ ქალაქი ქართველებს დარჩათ.

სომხები თავისად მიიჩნევდნენ ელისავეტპოლის გუბერნიაში შემავალ მთელ ზანგეზურის მაზრას, შუშის, ჯევანშირის მაზრების დიდ ნაწილს (ორ უკანასკნელ მაზრაში მდებარეობდა ე.წ. „მთიანი ყარაბაღი“) და ელისავეტ-პოლის მაზრის ნაწილს, სადაც სომხური და აზერბაიჯანული სოფლები გვერდიგვერდ მდებარეობდა.

„ისტორიული ტერიტორიის“ და „ეთნიკური განსახლების“ პრინციპების სინთეზით დიდი ტერიტორიული პრეტენზია სომხეთს ჰქონდა ოსმალეთის მიმართ, რომლის აღმოსავლურ ვილაიეთებში მსოფლიო ომამდე საკმაოდ დიდი სომხური მოსახლეობა ცხოვრობდა, თუმცა უმრავლესობას იქ არ ქმნიდა. როგორც წინა ლექციაზე აღინიშნა მსოფლიო ომის დროს 1915 წლიდან ოსმალეთის მთავრობამ სასტიკი მეთოდებით მოახდინა ადგილობრივი სომხური მოსახლეობის დეპორტაცია. ნაწილობრივ მოხდა მათი ისლამიზაცია: ისლამში გადასვლა ოსმალეთის მიმართ ლოიალობას გულისხმობდა და ასეთ ეთნიკურად სომეხ, მაგრამ გამუსლიმებულ ადამიანებს/სოფლებს დეპორტაცია არ ეხებოდა. სომხური ისტორიოგრაფიის მიხედვით, იმ წლებში ისლამზე თითქოს 200 ათასამდე (ეს რიცხვი საეჭვოა!) სომეხი მოექცა. მათ საგრძნობ ნაწილს დღემდე მიიჩნევენ „კრიპტო-სომხებად“, ანუ „ფარულ სომხებად“.

1915-1918 წწ. მოვლენებს სომხური დიასპორა და თანამედროვე სომხეთის რესპუბლიკის პოლიტიკური პარტიების უმეტესობა „გენოციდის“ კვალიფიკაციას აძლევს.

ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში

როგორც კი ოსმალები და გერმანელები 1918 წლის ნოემბერ-დეკემბერში სამხრეთ კავკასიიდან გავიდნენ, იფეთქა ეთნო-ტერიტორიულმა კონფლიქტებმა. ყველა რესპუბლიკას თავისი ტერიტორიის გაფართოება მოუნდა ან იმის შენარჩუნება, რასაც იმპერიისაგან მემკვიდრეობით მიღებულად მიიჩნევდა.

ეს ნიშნავდა ომს ტერიტორიისათვის, რასაც ხშირად თან ახლდა ეთნიკური წმენდა, რაც გარკვეული ტერიტორიიდან მოსახლეობის ეთნიკური ჯგუფის მთლიანად ან თითქმის მთლიანად განდევნას ნიშნავს. ასეთი „წმენდა“ უსისხლოდ არ ხდება ხოლმე.

1918 წლის დეკემბერში სომხეთსა და საქართველოს მოუხდათ ხანმოკლე შეიარაღებული კონფლიქტი ლორეს გამო. ამ კონფლიქტს „საქართველო-სომხეთის ომსაც“ უწოდებენ. შუა დეკემბერში სომხეთის მთავრობამ ლორეს დაკავება უბრძანა გენერალ *დროს* (მისი ნამდვილი სახელი და გვარი იყო *დრასტამატ კანაიან).*

სომხურ სამხედრო ნაწილებს სარდლობდნენ რუსეთის იმპერიული არმიის გამოცდილი რუსი ოფიცრები. მათ სწრაფად გადაიტანეს მოქმედება უფ-

რო ჩრდილოეთით, მიაღწიეს დღევანდელ ბოლნისსა და თეთრიწყაროს. 1918 წლის 20 დეკემბერს სომხური არმია თბილისიდან სულ ორმოციოდე კილომეტრში იყო. სამშვიდობო მოლაპარაკებისას დაკავებული ტერიტორია ყოველთვის ძლიერი არგუმენტია ხოლმე. მაგრამ აქ უკვე კონტრშეტევაზე გადავიდნენ ქართული სამხედრო ნაწილები იმპერიული არმიის ასევე გამოცდილი ქართველი ოფიცრების მეთაურობით და 31 დეკემბრისათვის, როდესაც მათ მოუსწრო „ანტანტის“ (რეალურად, ბრიტანეთის) ზეწოლით მიღებულმა დაზავებამ, გენერალი დრო სოფელ სადახლოსთან მდ. დებედას გადაღმა იქნა უკუგდებული. ლორეში, სადაც ქართული მოსახლეობა არ ცხოვრობდა, ქართული ნაწილები არ შესულან.

ანტანტის წინადადებით ლორე იქ არსებული სპილენძის საბადოებითა და ალავერდის სპილენძსადნობი ქარხნითურთ საქართველოსა და სომხეთს შორის „ნეიტრალურ ზონად“ გამოცხადდა. მისი სტატუსის დადგენა გაურკვეველი ვადით გადაიდო.

კონფლიქტს ლორესათვის, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე სომხური არმიის შეჭრაში გადაიზარდა, ქართული საზოგადოების აღშფოთება მოჰყვა. მენშევიკურმა მთავრობამ ისარგებლა ამით, თბილისის საქალაქო სათათბირო დაითხოვა, ახალი არჩევნები დანიშნა და ქართული უმრავლესობის მქონე ორგანო მიიღო. მანამდე თბილისის სათათბიროში უმრავლესობას მდიდარი სომხები შეადგენდნენ, რომელთა ნაწილი აფინანსებდა სხვა სახელმწიფოს – სომხეთის – არმიას.

აღსანიშნავია, რომ სისხლიან ექსცესებს ეთნიკურ ნიადაგზე თბილისში ან ეთნიკურ წმენდას ქვემო ქართლში ადგილი არ ჰქონია.

საქართველომ და სომხეთმა 1919 წელს დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა ერთმანეთთან და საქართველოს პირველი ელჩი, გერასიმე მახარაძე, ერევანში დიდი პატივით მიიღეს. სამაგიეროდ, საბჭოთა ლიდერები, უპირველესად სტალინი, განუწყვეტლივ იხსენებდნენ ამ კონფლიქტს და აკისრებდნენ პასუხისმგებლობას მასზე ქართველ მენშევიკებს, თუმცა კონფლიქტი მთლიანად მიმდინარეობდა ტფილისის გუბერნიის ტერიტორიაზე, თბილისიდან სულ რამდენიმე ათეულ კილომეტრში და საქართველოს მხრიდან „აგრესიაზე“ ლაპარაკი, სულ ცოტა, უმართებულო იყო.

1921 წელს, სამხრეთ კავკასიის სრულად გასაბჭოების შემდეგ, სამხრეთ კავკასიის იმდროინდელი ხელისუფლების, რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის ბიუროს („კავბიურო“), გადაწყვეტილებით „ლორეს ნეიტრალური ზონა“ საბჭოთა სომხეთს მიეკუთვნა.

გეოპოლიტიკური ვითარება 1919-1920 წლებში

შედარებითი სიმშვიდე 1919 წელსა და 1920 წლის დასაწყისში სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს შეეძლოთ საკუთარი სახელმწიფოებრიობის განსამტკიცებლად გამოეყენებინათ. დიდი მეზობლებისაგან მომდინარე საგარეო საფრთხე თითქოს უკანა პლანზე გადავიდა. თურქეთი ანატოლიაში ღრმად შეჭრილ საბერძნეთის არმიას ებრძოდა, ბოლშევიკურ რუსეთს სამოქალაქო ომი ჰქონდა იმპერიისდროინდელ გენერლებთან, ე. წ. „თეთრებთან“.

რეგიონის ახალგაზრდა რესპუბლიკებმა კი ვერც ერთმანეთთან მოახერხეს მორიგება და ვერც ქვეყნის შიგნით დაამყარეს წესრიგი. თბილისს მოუხდა ბოლშევიკური რუსეთის მიერ წაქეზებული ოსი და ქართველი გლეხების, ხოლო მესხეთში – ადგილობრივი მუსლიმების („თათრების“) ამბოხებების ჩახშობა. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მიმდინარეობდა ომი ნახჭევნის, მთიანი ყარაბაღისა და ზანგეზურის გამო.

ამ დროს კი, მსოფლიო ომში დამარცხებული ორივე სახელმწიფო, თურქეთი და რუსეთი, რთული ვითარების მიუხედავად, ხელახლა იკრებდა ძალას.

შუა ანატოლიის პატარა ქალაქ ანკარაში დაბანაკებულმა თურქეთის რეალურმა ხელისუფლებამ მუსტაფა ქემალ-ფაშას მეთაურობით მძიმე ვითარებაში მოახერხა საბერძნეთის შემოჭრილი არმიის შეჩერება და, საბოლოოდ, ქვეყნიდან განდევნა.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების (მეჯლისის) თავმჯდომარე მუსტაფა ქემალ-ფაშა1920 წლის 26 აპრილის წერილში ლენინს არწმუნებდა, რომ მზადაა აიღოს

> „პასუხისმგებლობა მთელ ჩვენ მუშაობაზე, ყველა ჩვენ ოპერაციაზე რუსეთის ბოლშევიკებთან გასაერთიანებლად... თუ საბჭოთა ძალები გეგმავენ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დაწყებას... კავკასიიდან ინგლისელთა გასაძევებლად... თურქეთის მთავრობა თავის თავზე აიღებს ოპერაციებს იმპერიალისტური სომხეთის წინააღმდეგ და ვალდებულებას კისრულობს, აიძულოს აზერბაიჯანის რესპუბლიკა, შევიდეს საბჭოთა სახელმწიფოების წრეში“.

რუსეთის ბოლშევიკებმა „მუშურ-გლეხური წითელი არმიის“ მეშვეობით სამოქალაქო ომში დაამარცხეს „თეთრები“ და შეუდგნენ რუსეთის იმპერიის ტერიტორიის აღდგენას. სამხრეთ კავკასიაში რუსეთს სჭირდებოდა ბაქოს ნავთობსარეწები და, აგრეთვე, ბაქოს ნავთობის ტერმინალი შავ ზღვაზე – ბათუმი.

1920 წლის 28 აპრილს „წითელი არმიის“ ჯავშნოსანი მატარებლები სროლის გარეშე შევიდნენ ბაქოში და გამოცხადდა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ბაქოში მყოფი ქემალისტების სამხედრო ნაწილები „წითელ არმიას“ დაეხმარნენ.

სამხრეთ კავკასიაში მოსულმა „წითელმა არმიამ“ რამდენიმე თვეში შეაწყვეტინა ომი სომხეთსა და აზერბაიჯანს ზანგეზურისა და „მთიანი ყარაბაღისათვის“.

1920 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმატებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ 1920 წლის 7 მაისს რსფსრ-სთან გააფორმა ხელშეკრულება: ის მოსკოვში დაიდო.

რუსეთის მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას ხელი შეუწყო იმ დროს შექმნილმა საერთაშორისო პოლიტიკურმა ვითარებამ და ჯერ დაუმთავრებელმა სამოქალაქო ომმა რუსეთში:

- 1920 წელს პოლონეთთან რუსეთი აწარმოებდა ომს, რომელიც მისთვის წარუმატებლად ვითარდებოდა;
- საქართველოში, კერძოდ, ბათუმში, იდგა ბრიტანული სამხედრო ნაწილები (ისინი 1920 წლის ივლისში წავლენ);
- 1920 წლის შემოდგომამდე „თეთრი“ გენერალი ვრანგელი ყირიმში იყო გამაგრებული.

„მოსკოვის ხელშეკრულების“ თანახმად, რუსეთი ცნობდა საქართველოს სრულ სუვერენიტეტს ყოფილი ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების, ბათუმის ოლქის, სოხუმის ოკრუგის ფარგლებში.

რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების III მუხლის თანახმად, სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის გადიოდა მდინარე ფსოუზე, რაც ნიშნავდა, რომ 1903 წლიდან შავი ზღვის გუბერნიაში შეყვანილი გაგრის რაიონი საქართველოს უერთდებოდა. სოჭი/სოჩა, რომელზეც საქართველოს ერთხანს ჰქონდა პრეტენზია, რუსეთს რჩებოდა.

რუსეთ-საქართველოს ხელშეულება რატიფიკაციას არ საჭიროებდა და დაუყოვნებლივ შედიოდა ძალაში. რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობამ დასავლეთის ქვეყნებსაც გაუადვილა ამის გაკეთება. 1921 წლის 25 თებერვლამდე ზემოაღნიშნულ საზღვრებში საქართველო de jure ცნეს დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, იაპონიამ, იტალიამ, ბელგიამ, ნიდერლანდებმა, შვეიცარიამ, თურქეთმა, სპარსეთმა და ევროპისა და აზიის ყველა სხვა იმდროინდელმა სახელმწიფომ. ზესახელმწიფოებიდან საქართველოს დამოუკიდებლობა იმ დროს არ აღიარა მხოლოდ აშშ-მა, რომელიც დაუბრუნდა ტრადიციულ იზოლაციონიზმს.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას საქართველოს სსრ საზღვრები რსფსრ-სთან ემთხვეოდა 1920 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ აღიარებულ საზღვრებს. 1992 წელს გაერო-მ და მსოფლიოს ყველა სახელ-

მწიფომ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ სივრცედ აღიარეს საქართველოს სსრ-ის ტერიტორია.

„მოსკოვის ხელშეკრულების“ დამდებ მხარეებს შორის არსებობდა უთანასწორობა: საქართველოს ეკისრებოდა არაერთი ვალდებულება, მათ შორის მას უნდა განეიარაღებინა და რსფსრ-სათვის გადაეცა ბოლშევიკებთან ბრძოლის შემდეგ საქართველოში თავშეფარებული „თეთრი მოძრაობის“ წევრები, მათ ხელში მყოფი შეიარაღება და სამხედრო ქონება. საკუთარ ტერიტორიაზე საქართველოს უნდა მოეხდინა კომუნისტური პარტიის ლეგალიზაცია.

ქართველმა კომუნისტებმა არ დააყოვნეს იატაკქვეშეთიდან გამოსვლა და არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის გაჩაღება. მათ კარგად იცოდნენ, რომ მტერთან (მენშევიკები კი მტრები იყვნენ!) დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება კომუნისტებისათვის არასავალდებულო ფურცლის ნაგლეჯი იყო.

რუსულ-ქართული ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმებით იქმნებოდა ზაქათალის ოკრუგისა და აზერბაიჯანთან სხვა სასაზღვრო სადავო ტერიტორიების მომწესრიგებელი შერეული კომისია რსფსრ-ის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით.

1920 წლის 12 ივნისს საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ de jure ცნო საბჭოთა აზერბაიჯანი, როდესაც ქალაქ აღსთაფაში დადო მის მთავრობასთან სამშვიდობო ხელშეკრულება. იქაც ეწერა, რომ დავა ზაქათალის ოკრუგის კუთვნილების შესახებ „მესამე მხარის“ (საბჭოთა რუსეთის) არბიტრაციის გზით უნდა გადაწყვეტილიყო.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ამ „მესამე მხარემ“ მთლიანად მიაკუთვნა აზერბაიჯანს ზაქათალის ოკრუგი. ამრიგად, ზაქათალაზე პრეტენზიის მოხსნა ფსიქოლოგიურად მომზადდა მენშევიკების დროს. იურიდიულად ეს ბოლშევიკებმა გააფორმეს.

„სომხური საკითხის“ გადაწყვეტის წარუმატებელი მცდელობა 1920 წელს

იმ პერიოდის სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა „სომხურ საკითხს“: იგულისხმება, უპირველესად, სომხეთის სახელმწიფოს საზღვრების დადგენა.

პარიზთან ახლო მდებარე ქალაქ სევრში 1920 წლის 10 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება, რომელსაც ერთი მხრიდან ხელს აწერდა სტამბოლში მყოფი სულტნის საიმპერიო მთავრობა, მეორე მხრიდან კი „ანტანტა“ (დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი), მსოფლიო ომში მისი ნომინალური მოკავშირე ქვეყნების ჯგუფი და სომხეთის რესპუბლიკა.

„სევრის ხელშეკრულებით“ ოსმალეთის იმპერიის მთავრობა უარს ამბობდა არაბებით დასახლებულ ტერიტორიებზე და თანხმდებოდა საკუთრივ თურქეთის აზიური ნაწილის (ანატოლია) დანაწევრებაზე: ანატოლიის ტერიტორიის თითქმის ნახევარი უნდა დაქვემდებარებოდა საბერძნეთს, სომხეთს, საფრანგეთს, იტალიას და „შესაძლო ქურთისტანის სახელმწიფოს“.

„სევრის ხელშეკრულებაში“ ზოგადად იყო მითითებული, რომ სომხეთს უნდა გადასცემოდა თურქეთის ოთხი ვილაიეთი – ვანი, მუში, ერზურუმი და ტრაბზონი, ფართო გასავლელით შავ ზღვაზე ტრაპიზონის დასავლეთით მდებარე ქ. თირებოლუდან საქართველოს საზღვრამდე. საზღვრის დელიმიტაცია (რუკაზე მონიშვნა) ეთხოვა აშშ-ის *პრეზიდენტ ვუდრო უილსონს,* როგორც „მიუკერძოებელ მომრიგებელს“: აშშ არ აწერდა ხელს „სევრის ხელშეკრულებას“.

ნახ. 11.

თურქეთის დანაწევრების გეგმა 1920 წლის „სევრის ხელშეკრულების“ თანახმად
[წყარო: ავტორისეული ნაშრომი)

ამერიკის სომხურ ლობის 1920 წელს იმედი ჰქონდა, რომ პრეზიდენტი უილსონი მხარს დაუჭერდა სომხეთის მართვის მანდატის მიღებას და შეეძლებოდა იქ სამხედრო ნაწილების გაგზავნა. უილსონს კი ესმოდა, რომ სამხედრო ინტერვენციას საერთაშორისო გართულება მოჰყვებოდა და ამიტომაც სცადა პასუხისმგებლობის განაწილება სენატთან. 1920 წლის 24 მაისს (ჯერ კიდევ „სევრის ხელშეკრულების“ გაფორმებამდე) უილსონმა მიმართა აშშ სენატს წინადადებით, რომ ამერიკას აეღო მანდატი სომხეთის მართვაზე. ერთი კვირის შემდეგ სენატმა „პატივისცემით უარი თქვა“ პრეზიდენტის წინადადებაზე.

საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის ცნობა ან მათთვის დახმარების გაწევა ვუდრო უილსონს არც უცდია.

„სევრის ხელშეკრულების“ ცხოვრებაში რეალური გატარება მოითხოვდა „ანტანტის“ სახელმწიფოების ათობით დივიზიის გაგზავნას მცირე აზიაში. მაგრამ მსოფლიო ომში გამარჯვებულ ქვეყნებს ამის გაკეთების არც შესაძლებლობა ჰქონდა (არმიები დემობილიზებული იყო) და არც სურვილი. „ხელშეკრულებაზე“ ხელმომწერმა უმაღლესი რანგის პირებმა თვითონაც იცოდნენ, რომ მისი გაფორმება იყო თვალთმაქცობა: „მოუკლავი დათვის ტყავის გაყოფას“ ისინი საბერძნეთსა და სომხეთს სთავაზობდნენ!

ზოგიერთი საღად მოაზროვნე სომეხი პოლიტიკური მოღვაწეც სკეპტიკურად აფასებდა (მართალია, მოგვიანებით) ამ „ხელშეკრულების“ შესრულების შესაძლებლობას. მაგალითად, 1997 წელს სომხეთის რესპუბლიკის პირველმა პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა დაწერა:

> „როდესაც ჩვენ მოვითხოვეთ „სევრის ხელშეკრულებაში“ მოხსენიებული ტერიტორიები, აღმოსავლეთ სომხეთის ნახევარი დავკარგეთ“.

„დიდი სომხეთის“ შესაქმნელად არც მოსკოვი გარჯილა. ბოლშევიკური რუსეთის XI არმია 1920 წლის აპრილის ბოლოდან უკვე იდგა მეზობელ აზერბაიჯანში, მაგრამ კრემლში სულაც არ სჭირდებოდათ დიდი სომხური სახელმწიფო, რომელიც, ეჭვგარეშეა, პრო-დასავლური იქნებოდა.

ვაშინგტონის კაბინეტებში ჯერ კიდევ აზუსტებდნენ სომხეთის ახალ საზღვრებს, როდესაც წაიშალა ამ უკანასკნელის 1918 წლის ბოლოდან არსებული საზღვრები.

იმ პერიოდისათვის ანატოლიის პატარა ქალაქ ანკარაში უკვე დაფუძნებული იყო სულტნის ხელისუფლების მიმართ ოპოზიციური მთავრობა **მუსტაფა ქემალ-ფაშას** ხელმძღვანელობით. ქემალისტებმა არ ცნეს „სევრის ხელშეკრულება“ და სტამბოლის მთავრობა სამშობლოს ღალატში დაადანაშაულეს.

ქემალისტებს უკვე აღდგენილი ჰქონდათ ბრძოლისუნარიანი არმია – სახელმწიფოს ხერხემალი. 1920 წლის სექტემბერში თურქეთმა დაიწყო ომი სომხეთთან, დაამარცხა მისი არმია და მალე დაიკავა ყარსის ოლქი, სურმალუს მაზრა და ნახჭევნის მაზრის ნაწილი (ამ მაზრის სხვა ნაწილში უკვე შესული იყო რსფსრ-ის XI არმიის ნაწილები).

კატასტროფის წინაშე მდგომი სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა 1920 წლის 2 დეკემბერს დაედო თურქეთთან „ალექსანდროპოლის ხელშეკრულება“, ბათილად ეცნო „სევრის ხელშეკრულების“ ის მუხლები, რომლებიც მას ეხებოდა და დაეთმო თურქეთის მიერ ფაქტობრივად დაკავებული ტერიტორია.

კითხვები ლექცია 5-ის თემაზე:

1. იმსჯელეთ „ბრესტის ზავის“ პოლიტიკურ-გეოგრაფიულ შედეგებზე სამხრეთ კავკასიაში
2. იმსჯელეთ სამხრეთ კავკასიაში არსებულ პოლიტიკურ პარტიებზე 1918-1921 წლებში
3. როგორ იქმნებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოები სამხრეთ კავკასიაში?
4. რა პრინციპებს ეყრდნობოდა სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფო თავისი საზღვრების ჩამოყალიბების მცდელობის დროს?
5. იმსჯელეთ ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების შესახებ სამხრეთ კავკასიის „პირველი დამოუკიდებლობის“ პერიოდში (1918-1920/21 წწ.)
6. იმსჯელეთ გეოპოლიტიკურ ვითარებაზე სამხრეთ კავკასიაში 1919-1920 წლებში
7. იმსჯელეთ 1920 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების შესახებ
8. იმსჯელეთ „სომხური საკითხის“ გეოპოლიტიკაზე 1920 წელს

ლექცია 6

სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური გეოგრაფია გასაბჭოების შემდეგ

ადრეული საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის თავისებურებები

ბოლშევიკების ლიდერებმა 1917 წლის 7 ნოემბრის (ძველი სტილით – 25 ოქტომბრის) სამხედრო გადატრიალების (ე.წ. „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის“) შემდეგ შექმნეს თავისი მთავრობა – სახალხო კომისართა საბჭო ვლადიმირ ლენინის (ულიანოვის) თავმჯდომარეობით. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის იმ ფრთას, რომელსაც ლენინი ხელმძღვანელობდა, დაერქვა „რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)“.

1917 წლის 1 სექტემბრიდან არსებული *რუსეთის რესპუბლიკა* გაუქმდა და მის ნაცვლად გამოცხადდა *რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა* (რსფსრ). მისი დედაქალაქი 1918 წლის 12 მარტიდან გახდა რუსეთის ევროპული ნაწილის ცენტრში მდებარე ქ. მოსკოვი, რომელიც სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით უფრო დაცული იყო, ვიდრე ზღვისპირა პეტროგრადი. ბოლშევიკურმა მთავრობამ სამუშაოდ და მთავრობის წევრების (სახალხო კომისრების) საცხოვრებელ ადგილად აირჩია შუა საუკუნეებში ქ. მოსკოვში აშენებული ციხე-სიმაგრე, რომელსაც ეწოდება „კრემლი“. იმ დროიდან სინონიმებად იქცა „რუსეთის ხელისუფლება“, „მოსკოვი“ და „კრემლი“.

* * *

ბოლშევიზმის გარიჟრაჟზე რუსეთის კომპარტიის ხელმძღვანელობა თითქოს ემიჯნებოდა რუსულ ნაციონალიზმს. 1917 წლის 15 ნოემბერს ლენინისა და ეროვნებათა საკითხებში სახალხო კომისრის იოსებ სტალინის ხელმოწერით გამოქვეყნდა **„ხალხთა უფლებების დეკლარაცია“,** რომელიც აცხადებდა „ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებას რუსეთიდან გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის ჩათვლით“. ამას მოჰყვა პოლიტიკურ-გეოგრაფიული შედეგები.

ფინეთმა დაუყოვნებლივ ისარგებლა ზემოხსენებული დეკლარაციით და გამოაცხადა დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა: 1917 წლის დეკემბერში ბოლშევიკები იძულებული გახდნენ ეცნოთ ფინეთის დამოუკიდებლობა.

„ბრესტის ზავის“ შედეგად იმ დროს რუსეთთან მოგებული ომის პირობებში მყოფმა გერმანიამ 1918 წლის დასაწყისში ფაქტობრივად შექმნა უკრაინა და ბელორუსია (ამ უკანასკნელს იქამდე სახელმწიფოებრიობა არასოდეს ჰქონია). იმავე წლის გვიან გაზაფხულზე გერმანიამ ხელი შეუწყო ამიერკავ-

კასიაში სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის – აღმოცენებას.

მსოფლიო ომში „ანტანტის“ გამარჯვებამ 1918 წლის შემოდგომაზე გზა გაუხსნა პოლონეთისა და ადრე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ბალტიის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების მიერ სამი სახელწიფოს – ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის – შექმნას (ლატვიელებსა და ესტონელებს იქამდე სახელმწიფო არასოდეს ჰქონიათ).

„ხალხთა უფლებების დეკლარაცია“ იყო პოპულისტური ლოზუნგი, გამიზნული როგორც მრავალეროვანი რუსეთის, ისე „აღმოსავლეთის“ (იგულისხმებოდა აზია ოსმალეთიდან ჩინეთამდე ჩათვლით) „ჩაგრული მასების“ მომხრობაზე.

რეალურად კი ბოლშევიკებმა მალევე დაიწყეს რუსეთი იმპერიისდროინდელი ტერიტორიის აღდგენა. როგორც კი გერმანიის სამხედრო ნაწილები შინ წავიდნენ, უკრაინასა და ბელორუსიაში ძალადობრივად დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და იქ „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები“ შეიქმნა. 1920-1921 წლებში მოხდა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების გასაბჭოება. მალევე რუსეთმა დაიბრუნა ცენტრალური აზია. მოგვიანებით, უკვე სტალინის ხელმძღვანელობით, დასრულდა რუსეთის იმპერიის ტერიტორიის თითქმის სრული აღდგენის პროცესი: 1939 წელს მოხდა პოლონეთის ნაწილის, 1940 წელს – ბალტიისპირეთის რესპუბლიკების (ლიეტუვას, ლატვიის და ესტონეთის), აგრეთვე მოლდოვის ანექსირება. ფინეთის მთლიანად „დაბრუნება“ სტალინმა ვერ შეძლო, მაგრამ ომების შედეგად 1940 და 1944 წლების საზავო ხელშეკრულებების ძალით საგრძნობი ტერიტორია ჩამოაჭრა მას.

რუსეთის სამოქალაქო ომის (1918-1920) დროს და უშუალოდ მის შემდეგ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ათობით საბჭოთა რესპუბლიკა გამოცხადდა, მათ შორის ერთ-ერთი იყო 1921 წელს შექმნილი აფხაზეთის სსრ. როდესაც საბჭოთა ხელისუფლება მყარად დადგა ფეხზე და ერთიანი სახელმწიფოს მშენებლობას შეუდგა, ასეთი ტიპის მცირე პოლიტიკური წარმონაქმნები ან გაუქმდა (მაგალითად, „დონის საბჭოთა რესპუბლიკა“, „ოდესის საბჭოთა რესპუბლიკა“, „შორეული აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკა“ და სხვ.), ან მათი სტატუსი დაქვეითდა (მაგალითად, „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა“, რომელიც იმავე 1921 წლის ბოლოს საქართველოს სსრ-სთან გააერთიანეს, ხოლო 1931 წელს „ავტონომიური რესპუბლიკის“ სტატუსი მიანიჭეს).

1920-1921 წლებში სამხრეთ კავკასიაში დაბრუნებულ რუსეთს (იმჯერად, რსფსრ-ს) დახვდა სუსტი, მაგრამ ჩამოყალიბებული სამი სახელმწიფო, რომელთაგან ერთ-ერთი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, უკვე საერთაშორისო ასპარეზზე იყო გასული. მართალია, 1920 წლის დეკემბერში

„ერთა ლიგაში“ საქართველო არ მიიღეს, მაგრამ de jure მას სცნობდა ყველა ზესახელმწიფო (აშშ-ის გარდა).

ეროვნებათა საკითხებში სახალხო კომისარმა და მმართველი კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრმა იოსებ სტალინმა 1922 წლის შემოდგომაზე შეიმუშავა ყოფილი რუსეთის იმპერიის პერიფერიული ნაწილების რსფსრ-ში ავტონომიების სახით შეყვანის გეგმა, რომლითაც ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ფორმალური სუვერენიტეტიც უნდა დაეკარგათ.

ზემოაღნიშნულ გეგმას ტაქტიკური მოსაზრებით არ დაეთანხმა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლენინი: მან არჩია რსფსრ „მსოფლიო პროლეტარიატის“ თვალში გამოჩენილიყო ხალხთა უფლებების დამცველად. ამიტომაც, გასაბჭოებული რესპუბლიკები, რომელთაც 1922 წლის 30 დეკემბერს შექმნეს **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი** (სსრკ), ფორმალურად გამოცხადდნენ „სუვერენულ სახელმწიფოებად“. საბჭოთა კონსტიტუციის ყველა (1924, 1936, 1977 წწ.) ვერსიის თანახმად მოკავშირე რესპუბლიკებს ჰქონდათ „კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება“, რაც, რასაკვირველია, თვალთმაქცობას წარმოადგენდა.

სამხრეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების შექმნის გეოპოლიტიკური და პოლიტიკურ-გეოგრაფიული საფუძვლები

რსფსრ-ს ხელმძღვანელობისათვის გეოპოლიტიკურ იმპერატივს წარმოადგენდა არ დაეშვა კავკასიონის ქედის სამხრეთით რომელიმე ზესახელმწიფოს გავლენის გავრცელება. კრემლის პოზიციიდან კავკასიონის ქედის ქცევა სახელმწიფო საზღვრად მკვეთრად შეამცირებდა საკუთრივ რუსეთის უსაფრთხოებას.

XX საუკუნის პირველ ათწლეულებში ამიერკავკასიას რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ენერგეტიკული ნედლეულის უმთავრეს წყაროს. მოსალოდნელი იყო, რომ რსფსრ თავის ექსპანსიას ამ რეგიონში დაიწყებდა ბაქოს დაპყრობით.

ბაქო ფლობდა ნავთობის უმთავრეს რესურსებს რუსეთის იმპერიასა და ადრეულ საბჭოთა კავშირში. ბაქოს ნავთობის საზღვაო ტერმინალი იყო ქ. ბათუმი. 1883 წლიდან არსებული სარკინიგზო კავშირის გარდა 1907 წლიდან მათ შორის მოქმედებდა 835 კმ სიგრძის ბაქო-ბათუმის ნავთსადენი. შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე საუკეთესო ნავსადგური იყო ბათუმი. ბაქოსა და ბათუმს რუსეთისათვის/რსფსრ-სათვის უდიდესი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდათ.

აზერბაიჯანის გასაბჭოებამდე კრემლში განიხილავდნენ ვარიანტებს – ან საერთოდ გაეუქმებინათ ეს რესპუბლიკა ან უშუალოდ რსფსრ-სათვის დაექვემდებარებინათ ქ. ბაქო თავისი ნავთობსარეწებით, ხოლო დანარჩენ ტერი-

ტორიაზე შეექმნათ მარიონეტული ავტონომიური რესპუბლიკა. მაგრამ, საბოლოოდ, შეთანხმდნენ, რომ საბჭოთა აზერბაიჯანის არსებობა კარგი მაგალითი იქნებოდა „მუსლიმური აღმოსავლეთისთვის“.

1920 წლის 28 აპრილს ბაქოში დაუბრკოლებლად შევიდნენ „წითელი არმიის“ ჯავშანმატარებლები. გამოცხადდა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომლის ცნობა აიძულეს აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მეჯლისს (პარლამენტს): ახალ რეჟიმს ფორმალური „ლეგიტიმურობა“ ესაჭიროებოდა! ამ აქტის მიღების შემდეგ მეჯლისი მაშინვე დაშალეს და **აზერბაიჯანის მართვას შეუდგა კომუნისტური რევოლუციური კომიტეტი (რევკომი).**

პოლიტიკურ რუკაზე აზერბაიჯანის დატოვების ძირითადი მიზეზი იყო გეოპოლიტიკა: კრემლს თავის სიტუაციურ მოკავშირედ მიაჩნდა ქემალისტური თურქეთი, რომელიც მფარველობდა დამოუკიდებელ აზერბაიჯანს და, ერთხანს – საბჭოთა აზერბაიჯანსაც. ამ უკანასკნელს კი ლენინი მიიჩნევდა სპარსეთისა და ავღანეთის მომავალი გასაბჭოების მოდელად.

მართლაც, ბაქოში „წითელი არმიის“ შესვლიდან ერთი თვის შემდეგ, 1920 წლის მაისში, საბჭოთა აზერბაიჯანის ახლოს მდებარე სპარსეთის კასპიისპირა პროვინცია გილანში გამოცხადდა **„ირანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“** დაარსება. ბუნებრივია, იქაურ რევოლუციონერებს „ქმედითი დახმარება“ აღმოუჩინეს რუსმა ბოლშევიკებმა, რომელთა შორის იყო სერგო ორჯონიკიძე.

მაგრამ ირანის სსრ-მ ერთი წელიც ვერ იარსება. მოსკოვში მალე მიხვდნენ, რომ დიდ ირანს, დასახლებულს ფანატიკოსი მუსლიმებით, ისინი „მარქსიზმზე ვერ მოაქცევდნენ“. რაც მთავარია, ასეთ მცდელობას მკვეთრად დაუპირისპირდა დიდი ბრიტანეთი, რომელთანაც ბოლშევიკებს ურთიერთობის გაუმჯობესება სურდათ და 1921 წლის მარტში ეს მოახერხეს კიდეც (ამაზე ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ). 1921 წლის 26 თებერვალს რსფსრ-მ ირანის შაჰთან დადო „რუსეთ-სპარსეთის მეგობრობის ხელშეკრულება“. „ირანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ წარსულს ჩაბარდა!

* * *

1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთის რესპუბლიკის ქ. ქარვანსარაიში (ამჟამად – ქ. იჯევანი), სადაც აზერბაიჯანის სსრ-ის მხრიდან შევიდა რსფსრ-ის XI არმია, გამოცხადდა **სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის** შექმნა. იმ დროისათვის სომხეთი კატასტროფულად დამარცხდა თურქეთთან ომში და 2 დეკემბერს მოაწერა ხელი ფაქტობრივ კაპიტულაციას („ალექსანდროპოლის ხელშეკრულება“). იმავე დღეს XI არმია უბრძოლველად შევიდა სომხეთის დედაქალაქ ერევანში, სადაც პარტია „დაშნაკცუთიუნის“ მთავრო-

ბა გადადგა და გადააბარა ხელისუფლება სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციურ კომიტეტს. რევკომის შემადგენლობაში სომეხ კომუნისტებთან ერთად შეიყვანეს ორი „მემარცხენე დაშნაკი“. კრემლმა ამ პოლიტიკურ აქტს უწოდა „ნებაყოფლობითი გასაბჭოება“. ასეთი „კოალიციური მთავრობა“ მალე დაიშალა, ხელისუფლებას მხოლოდ კომუნისტები დაეპატრონნენ და დაიწყეს დაშნაკების დევნა.

ნახ. 12.

სომხეთის სსრ-ის და თანამედროვე სომხეთის ტერიტორია

სომხეთის სამხრეთი ნაწილი (საბჭოთა პერიოდის სისიანის, გორისის, კაპანის, მეღრის რაიონები) წარმოადგენს თანამედროვე სომხეთის *სიუნიქ-ის* მარზს (აზერბაიჯანში მას „დასავლეთ ზანგეზურს“ უწოდებენ); რუკაზე მითითებული ქ. ლენინაკანი რუსეთის იმპერიაში ატარებდა ალექსანდროპოლის სახელს, დამოუკიდებელ სომხეთში კი მისი სახელია გიუმრი. ყურადღება მიაქციეთ, რომ „მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქს“ არ ჰქონდა უშუალო შეხება სომხეთის სსრ-ის ტერიტორიასთან. თურქეთის რესპუბლიკაში მდებარე ქ. იღდირი იყო ყოფილი სურმალუს მაზრის ცენტრი (წყარო: საჯაროდ გამოქვეყნებული რუკა)

კრემლს აშკარად ჰქონდა გეოპოლიტიკური მიზანი – არ დაეშვა „პანთიურქისტული გაფართოება“, ანუ თურქეთისა და აზერბაიჯანის საერთო საზღვრის ჩამოყალიბება. ამიტომაც, რსფსრ-მ სომხეთის სსრ-ის შემადგენლობაში მყოფად ცნო ყოფილი ზანგეზურის მაზრის დასავლეთი ნაწილი (იხ. ნახ. 12), დღევანდელი (და ისტორიული) სიუნიქი, რომელიც აზერბაიჯანის ექსკლავად აქცევდა ნახჭევნის ყოფილ მაზრას, სადაც აზერბაიჯანული უმრავლესობა ცხოვრობდა.

* * *

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1920 წლის ბოლოს ერთადერთ დამოუკიდებელ, არა-საბჭოთა, სახელმწიფოდ რჩებოდა კავკასიაში. მის მთავრობას უხდებოდა ქვეყნის ირგვლივ გართულებული გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინება. როგორც უკვე ითქვა, 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მოსკოვში ხელშეკრულება გააფორმა რსფსრ-სთან. იმავე წლის 12 ივნისს საქართველომ ხელშეკრულება დადო აზერბაიჯანის სსრ-სთან და ცნო ბაქოს საბჭოთა მთავრობა.

საქართველო არ აძლევდა საბჭოთა რუსეთს თავდასხმის ფორმალურ საბაბსაც კი.

მიუხედავად ამისა, სომხეთის გასაბჭოებიდან სულ სამი თვის შემდეგ „წითელი არმია“ თავს დაესხა საქართველოს და 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა.

1921 წლის 16 მარტს ქ. მოსკოვში რსფსრ-სა და ქემალისტურ თურქეთს შორის დამთავრდა ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობა არ მიუღიათ კავკასიის გასაბჭოებულ რესპუბლიკებს: სხვათა შორის, ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო თურქული მხარე. მოსკოვში გაფორმდა **რსფსრ-თურქეთის „ხელშეკრულება მეგობრობისა და ძმობის შესახებ**“, რომლის ძალითაც ქ. ბათუმსა და მის ოლქზე სიუზერენიტეტს თურქეთი უთმობდა საქართველოს (იმ დროისათვის გასაბჭოებულს) ამ ოლქისათვის ადმინისტრაციული ავტონომიის მინიჭების პირობით. თავის მხრივ, რუსეთმა ცნო თურქეთის ტერიტორიად ყარსის ოლქი (მასში შედიოდა არტაანი) და ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი (ართვინის ოკრუგი), სადაც იქამდე უკვე შევიდნენ თურქეთის სამხედრო ნაწილები.

„მოსკოვის ხელშეკრულებით“ მოხდა საზღვრის ერთგვარი შესწორება გასაბჭოებული სომხეთის სასარგებლოდ: მას დაუბრუნდა ქ. ალექსანდროპოლი, იქიდან სამხრეთით მიმავალი რკინიგზა და მიმდებარე ტერიტორია. მაგრამ თურქეთმა არ დათმო უკვე დაპყრობილი **სურმალუს მაზრა** (სადაც მდებარეობს არარატის მთიანი მასივის ნაწილი), რომელიც რუსეთის იმპერიამ მოიპოვა არა ოსმალეთთან არამედ ირანთან 1826-1828 წწ. ომის შედე-

გად. მთავარი პოლიტიკურ-გეოგრაფიული მიზანი თურქეთისათვის იყო სურმალუს მაზრის ტერიტორიის გავლით დაემყარებინა სახმელეთო კავშირი აზერბაიჯანისათვის მიკუთვნებულ ნახჭევანთან.

რეალურად ეს მიზანი თურქეთმა განახორციელა მხოლოდ 1932 წელს, როდესაც გაცვალა სასაზღვრო მონაკვეთები ირანთან და გაუჩნდა ტერიტორიის ვიწრო, გრძელი მონაკვეთი, რომელიც მას ნახჭევანთან აკავშირებს (ნახ.13)

ნახ. 13.

ნახჭევნის ავტონომიური რესპუბლიკა აზერბაიჯანის შემადგენლობაში. ყურადღება მიაქციეთ თურქეთთან მოკლე საზღვარს ავტონომიის ჩრდილო--დასავლეთ კუთხეში, რომელიც 1932 წელს გაჩნდა.
(წყარო: Wikipedia)

სომხეთის მხრიდან შესაძლო ტერიტორიული პრეტენზიების თავიდან ასაცილებლად ანკარამ მოითხოვა სახელმწიფო საზღვრების დადასტურება

სამხრეთ კავკასიის ახალშექმნილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მხრიდანაც, რომლებიც კრემლმა ოფიციალურად არ გააუქმა: მათი, როგორც „დამოუკიდებელი სახელმწიფოების“ სტატუსის გამოყენებით მას შეეძლო ურთიერთობა მეზობელ თურქეთთან. 1921 წლის 13 ოქტომბერს ქ. ყარსში თურქეთსა და სამხრეთ კავკასიის სამ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის (რომლებიც საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად გამოდიოდნენ), რსფსრ-ის ზედამხედველობით, დაიდო ხელშეკრულება.

„ყარსის ხელშეკრულება“ იმეორებს იმავე წელს მოსკოვში დადებული რუსეთ-თურქეთის „მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულების“ სასაზღვრო პირობებს. „ყარსის ხელშეკრულებაც“ აბათილებდა „სევრის ხელშეკრულებას“ და აღიარებდა სომხეთისა და საქართველოს ახალჩამოყალიბებულ საზღვრებს თურქეთთან, რომლებიც დღემდე უცვლელია.

ამჟამინდელი სომხეთის რესპუბლიკა თავს აცხადებს საბჭოთა სომხეთის სამართალმემკვიდრედ და, ამდენად, ცნობს „ყარსის ხელშეკრულებას“, რომლის ფორმალური დენონსაცია მას არ მოუხდენია.

მესამე ქვეყნების როლი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბედის გადაწყვეტაში

საბჭოთა რუსეთისათვის მიუღებელი იყო დემოკრატიული და პრო-დასავლურად განწყობილი საქართველოს არსებობა. მისი გასაბჭოებისათვის (რაც ანექსიის ევფემიზმი იყო) კრემლი ელოდებოდა ხელსაყრელ საგარეო--პოლიტიკურ მომენტს. ის განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდა მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს, დიდი ბრიტანეთის ქცევას, რომელსაც 1920 წლის ივლისის შუა რიცხვებამდე ბათუმში სამხედრო ნაწილები ჰყავდა. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ის საერთოდ არ ერეოდა „ძველი სამყაროს“ პოლიტიკაში, არ შევიდა „ერთა ლიგაში“ და იმდროინდელ მოსკოვს შეეძლო ვაშინგტონის სრული იგნორირება.

კრემლმა მიიღო მისთვის საჭირო **პირველი სიგნალი** 1920 წლის ივლისში, როდესაც უკანასკნელი ბრიტანული ნაწილები წავიდნენ ბათუმიდან, და **მეორე სიგნალი** – 1920 წლის დეკემბერში, როდესაც დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის უარყოფითი დამოკიდებულების გამო საქართველო არ მიიღეს „ერთა ლიგაში“.

1919 წელს დაარსებული საერთაშორისო ორგანიზაცია – „ერთა ლიგის“ – წესდებით მას უნდა უზრუნველეყო თავისი წევრების სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა: „ერთა ლიგის“ არსებობის პირველ წლებში ამის ფაქტობრივი გარანტები იყვნენ მსოფლიო ომში გამარჯვებული „ანტანტის“ სახელმწიფოები – დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. 1920 წლის ბოლოს კი

ლონდონსა და პარიზში მიიჩნიეს, რომ შორეული საქართველოს დაცვას ისინი ვერ შეძლებდნენ და ამიტომაც, საქართველოს მიღებას „ერთა ლიგაში“ მხარი არ დაუჭირეს. „ერთა ლიგის“ წევრი სახელმწიფოების უმეტესობა ისე მოიქცა, როგორც მათ ლონდონმა და პარიზმა „ურჩიეს“.

მესამე სიგნალი კრემლმა უშუალოდ ინგლისელებისაგან მიიღო, როდესაც ლონდონში მიმდინარეობდა მუშაობა „ანგლო-რუსულ სავაჭრო ხელშეკრულებაზე“. ინგლისელების ინიციატივით მასში შევიდა წმინდა პოლიტიკური პუნქტი: იმ პირობის სანაცვლოდ, რომ რუსეთი არ ჩაერეოდა ავღანეთის საქმეებში, რომელიც წარმოადგენდა ბუფერულ სახელმწიფოს ბრიტანეთის ინდოეთსა და რუსეთის ხელში მყოფ შუა აზიას შორის, ბრიტანეთი ცნობდა რსფსრ-ის უფლებას

> „იმ ქვეყნებთან დაკავშირებით, რომლებიც იყვნენ ყოფილი რუსეთის იმპერიის ნაწილები და ახლა დამოუკიდებლები გახდნენ“.

„ყოფილი რუსეთის იმპერიის ნაწილებსა და ახლა დამოუკიდებელ“ ქვეყნებს შორის იგულისხმებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაც.

მართალია, ამ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1921 წლის 16 მარტს, ანუ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მაგრამ მას წინ უძღოდა ხანგრძლივი მოლაპარაკება და კრემლში უკვე 1921 წლის დასაწყისში დანამდვილებით იცოდნენ, თუ რა პირობაზე იქნებოდა თანახმა ბრიტანეთის მთავრობა, რომელსაც აინტერესებდა მხოლოდ ის, რომ საბჭოთა რუსეთი არ გასცდენოდა რუსეთის იმპერიის საზღვრებს კავკასიაში და, განსაკუთრებით, შუა აზიაში, რომლის სამხრეთით მდებარეობდა ბრიტანული კოლონია – „ინდოეთის იმპერია“.

სხვათა შორის, სწორედ „ანგლო-რუსული სავაჭრო ხელშეკრულებით“ დადგინდა გრძელი და ვიწრო **„ვახანის კორიდორის“** შექმნა (იხ. ნახ. 18, ლექცია10-ში), რომელიც ავღანეთს ინდოეთის ხარჯზე გადაეცა, და დღემდე აკავშირებს მას ჩინეთთან, მაგრამ 1921 წელს ქმნიდა ბუფერს რსფსრ-ს შემადგენობაში მყოფ შუა აზიასა და ბრიტანეთის ინდოეთს შორის (1947 წლიდან ამ „კორიდორის“ სამხრეთით მდებარეობს პაკისტანი).

ლონდონს ვერ დავადანაშაულებთ საქართველოს მიმართ „ღალატსა და სიტყვის გატეხვაში“ – მას არ მიუცია არავითარი დაპირება თბილისისათვის. **ზესახელმწიფო იცავდა საკუთარ ინტერესებს, პატარა ქვეყნის ბედი მისთვის სულერთი იყო. ეს ყოველთვის იყო და დღემდე არის საერთაშორისო ურთიერთობების ტიპური მოვლენა.**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ **კრემლის მოქმედების დრო** განსაზღვრა ქემალისტური თურქეთის ქცევამ. 1920 წლის ბოლოს სომხეთის დამარცხების შემდეგ თურქებმა დაიკავეს ყარსის ოლქი და აშკარად გეგმავდნენ ართვინისა და ბათუმის დაკავებასაც, რომლებიც

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდნენ. კრემლი აჩქარდა!

აღსანიშნავია, რომ 1920 წლის 28 იანვარს თურქეთის პარლამენტმა მიიღო კანონი **„მისაკ-ი მილლი“** („ეროვნული აღთქმა“), რომლის თანახმად ოსმალეთის მიერ 1878 წელს რუსეთის იმპერიისათვის გადაცემული ტერიტორიის – ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქების კუთვნილება რეფერენდუმს უნდა გადაეწყვიტა. რადგან ამ ოლქებში მუსლიმები რიცხობრივ უმრავლესობას შეადგენდნენ, რეფერენდუმის შედეგი თავიდანვე ნათელი იყო – ის თურქეთის სასარგებლოდ იქნებოდა. როდესაც რსფსრ-მ 1920 წლის ზაფხულში დაიწყო ქემალისტურ თურქეთთან დაახლოების პროცესი, თავიდან რუსეთის დიპლომატიამ აღიარა „მისაკ-ი მილლის“ კანონიერება. მაგრამ კრემლის ლიდერები მალე მიხვდნენ, რომ მათთვის დიდი დანაკარგი იქნებოდა „მეგობარი სახელმწიფოსათვის“ ბაქოს ნავთობის ტერმინალის – ბათუმის – დათმობა.

სომხეთთან ომში თურქეთის წარმატების შემდეგ მოსკოვში გადაწყდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბედი. 1921 წლის თებერვლის დასაწყისში რსფსრ-მ გამოიყენა გამოგონილი საბაბი დამოუკიდებელ საქართველოზე თავდასასხმელად, რომელიც ცხრა თვით ადრე de jure თვითონ აღიარა. კომუნისტების მიერვე წაქეზებულ ორიოდე ასეული სომეხი და რუსი გლეხის (ქართული მოსახლეობა ლორეში არ იყო) გაუგებარ პროტესტს ლორეს „ნეიტრალურ ზონაში“, რომელიც, ფორმალურად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში არც შედიოდა, კრემლმა დაარქვა „სახალხო აჯანყება საქართველოში“ და „აჯანყებულ პროლეტარიატს დაახმარა წითელი არმია“. საქართველო მცირერიცხოვანმა სამხედრო ნაწილებმა წინააღმდეგობა გაუწიეს მასზე ბევრად მძლავრ XI „წითელ არმიას“, რამაც თითქმის ორი კვირით გადაავადა კომუნისტური რევკომის შესვლა თბილისში, რაც 25 თებერვალს მოხდა.

მომდევნო დღესვე, 26 თებერვალს, მოსკოვში დაიწყო რსფსრ-თურქეთის მოლაპარაკება, რომლის ძირითადი საკითხი იყო სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკური საზღვრის დადგენა: იმ მომენტისათვის რსფსრ უკვე განაგებდა სამივე ყოფილ დამოუკიდებელ რესპუბლიკას და შეეძლო მოლაპარაკების გამართვა „რსფსრ-თურქეთის (?!) საზღვრის“ საკითხზე.

თურქებმა კი ისარგებლეს იმ მომენტით, რომ 1921 წლის 25 თებერვლიდან თბილისში აღარ იყო ის მთავრობა, რომელსაც ისინი ცნობდნენ (თბილისსა და ანკარას საელჩოებიც კი ჰქონდათ გაცვლილი) და მარტის დამდეგს დაიკავეს იქამდე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი, „უპატრონოდ დარჩენილი“ არტაანი და ართვინი, აგრეთვე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, ხოლო 11 მარტს – ქ. ბათუმიც. რსფსრ-თან 16 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ, რომლის თა-

ნახმად ბათუმი და აჭარა საქართველოს სსრ-ს რჩებოდა, თურქებს მოუხდათ ქ. ბათუმის (სამხედრო შეხლის შემდეგ) და, აგრეთვე, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების დაცლა.

აზერბაიჯანისა და სომხეთის გასაბჭოებისაგან განსხვავებით კომუნისტებმა ვერ მიაღწიეს საქართველოს გასაბჭოების ლეგიტიმაციას: საქართველოს კანონიერმა მთავრობამ და ქვეყნის დამფუძნებელმა კრებამ ხელისუფლების ნებაყოფლობით გადაცემაზე უარი განაცხადეს და ემიგრაციაში წავიდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ 1921 წლის განმავლობაში, უკვე 25 თებერვლის შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობა de jure კიდევ რამდენიმე ქვეყანამ აღიარა, კერძოდ ჰაიტიმ, ლიბერიამ, მექსიკამ, პანამამ და სიამმა (ტაილანდმა). ნაკლებ გაცნობიერებული გარეშე თვალისათვის საქართველოს გასაბჭოება სახელმწიფო გადატრიალებას წააგავდა, როდესაც ადგილობრივ მეამბოხეებს მეზობელი ქვეყნის არმია ეხმარება. ლათინური ამერიკის სამხედრო დიქტატორების მიერ კოლეგა-დიქტატორებისათვის ასეთი „დახმარების ხელის გაწვდენა“ გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენდა!

სინამდვილეში კი სამხრეთ კავკასიაში მოხდა დამოუკიდებელი ქვეყნის დაპყრობა აღორძინებული იმპერიული სახელმწიფოს მიერ.

რა გეოპოლიტიკური ინტერესები ჰქონდა საბჭოთა რუსეთს სამხრეთ კავკასიაში?

რსფსრ-ს სამხრეთ კავკასიაში სამი ძირითადი გეოპოლიტიკური ინტერესი ჰქონდა:

- **კრემლს სჭირდებოდა ბაქო.** ნავთობის სხვა წყაროები იმდროინდელ რუსეთში უმნიშვნელო იყო, ვოლგისპირეთისა და ციმბირის საბადოები – ჯერ აღმოუჩენელი. დამოუკიდებელ აზერბაიჯანსა და სომხეთს 1918-1920 წლებში სამხედრო კონფლიქტი ჰქონდათ ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნიის სომხებით კომპაქტურად დასახლებული ნაწილის, „მთიანი ყარაბაღის“ კუთვნილების გამო. კრემლმა არ გაიფუჭა ურთიერთობა ნავთობით მდიდარ აზერბაიჯანთან, არ გადასცა ეს ტერიტორია სომხეთის სსრ-ს და საბჭოთა აზერბაიჯანის შემადგენლობაში დატოვა იგი, მისთვის ავტონომიური ოლქის სტატუსის მინიჭებით. იურიდიულად ეს 1923 წელს გაფორმდა.
- **კრემლს სჭირდებოდა ბათუმი.** თურქეთისათვის გარკვეული ტერიტორიების „დათმობა,“ რომლებსაც იქამდე სომხეთისა და საქართველოს მთავრობები აკონტროლებდნენ, ხოლო სომხეთთან ომის შედეგად და მოლაპარაკების პროცესში ქემალისტებმა ისედაც დაიკავეს,

კრემლს საბაბს აძლევდა სანაცვლოდ მოეთხოვა ბათუმი და მიმდებარე რაიონი. კრემლი დაეთანხმა თურქეთის პრეტენზიებს ნახჭევნისა და სურმალუს შემთხვევებშიც (იხ. ქვემოთ). კომპრომისი მოიცავდა ბათუმის „დათმობას“ საქართველოსათვის აჭარაში ავტონომიის შექმნის პირობით.

- **კრემლს არ უნდოდა დაეშვა, რომ ენობრივად მონათესავე თურქეთსა და აზერბაიჯანს საერთო საზღვარი ჰქონოდათ.** ამიტომაც სომხეთის მიერ 1919 წელს ბრძოლით დაკავებული ყოფილი ელისავეტპოლის გუბერნიის ზანგეზურის მაზრის დასავლეთი ნაწილი (სომხურად მას სიუნიქი ჰქვია), რომელიც სოლივითაა ჩასობილი აზერბაიჯანსა და მის ექსკლავ ნახჭევანს შორის (იხ. ნახ.12), კრემლის გადაწყვეტილებით დარჩა საბჭოთა სომხეთს.

კრემლს უხდებოდა სამხრეთ კავკასიაში ურთიერთდაპირისპირებული ტერიტორიული ინტერესების ურთიერთმორიგება, მაგრამ ამ „მორიგებას“ ის საკმაოდ მოხერხებულად იყენებდა საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად.

როგორ დადგინდა სამხრეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრები?

1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკების დროს ქემალისტების წინადადება იყო, რომ თურქეთის არმია დაცლიდა სომხეთთან 1920 წლის ომის მოგების შედეგად დაკავებულ ნახჭევნისა და შარურის მაზრების ტერიტორიას (1918-1920 წლებში ისინი ნომინალურად შედიოდნენ სომხეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში) იმ პირობით, რომ ეს ტერიტორია გადაეცემოდა აზერბაიჯანის სსრ-ს მისი „მესამე ქვეყნისათვის გადაცემის უფლების გარეშე“: მესამე ქვეყანაში სომხეთის სსრ იგულისხმებოდა.

რსფსრ ამ მოთხოვნას დაეთანხმა და ამ ტერიტორიაზე დაარსდა „ნახჭევნის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა – აზერბაიჯანის სსრ-ის პროტექტორატი“ (1931 წლიდან ის ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაიქმნა). სურმალუს მაზრა თურქეთს რჩებოდა.

სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების საზღვრები ერთმანეთთან დადგინდა რუსეთის კომპარტიის კავკასიის ბიუროს (კავბიუროს) გადაწყვეტილებებით, რომლებიც, ბუნებრივია, კრემლთან იყო შეთანხმებული.

- „ლორეს ნეიტრალური ზონა“, ყოფილი თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის ნაწილი, შერეული (სომხურ-თათრულ-რუსულ-ბერძნული) მოსახლეობით, რომელზეც პრეტენზია ჰქონდა საქართველოს სსრ-ს, გადაეცა სომხეთის სსრ-ს. ამ ზონის ჩრდილოეთი მიჯნა იქცა და დღემდე რჩება საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვრად;

- ყოფილი თბილისის გუბერნიის ძირითადად სომხებით (მოსახლეობის 75%-ზე მეტი) დასახლებული ახალქალაქის მაზრა საქართველოს სსრ-ს შეუნარჩუნდა, თუმცა მასზე პრეტენზიას აცხადებდა სომხეთის სსრ;
- ზაქათალის განსაკუთრებული ოკრუგი, რომელიც რუსეთის იმპერიის არსებობის ბოლო ათწლეულებში არ შედიოდა არც თბილისისა და არც ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნიებში, სადაც უმრავლესობას წარმოადგენდნენ დაღესტნურენოვანი და თიურქულენოვანი მუსლიმები, ხოლო უმცირესობას (10%-ზე ნაკლებს) – ქართულენოვანი ინგილოები, მიეკუთვნა აზერბაიჯანის სსრ-ს;
- ყოფილი ელისავეტპოლის გუბერნიის ნაწილს სომხური უმრავლესობით და ახალშერქმეული სახელით – „მთიანი ყარაბაღი“, რომელზეც პრეტენზია ჰქონდა სომხეთის სსრ-ს, მიენიჭა ავტონომიური ოლქის სტატუსი და ის დატოვეს აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობაში;
- საქართველოს სსრ-ის ჩრდილოეთი საზღვარი დარჩა ისეთი, როგორიც რსფსრ-მ 1920 წლის 7 მაისს ცნო: ის გადიოდა მდ. ფსოუზე და ძირითადად მიჰყვებოდა კავკასიონის ქედს. ამ საზღვარს აღიარებდა საბჭოთა კავშირიც და რუსეთის ფედერაციაც 2008 წლის 26 აგვისტომდე, როდესაც საქართველოს განუყოფელი ნაწილები – აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ – მოსკოვმა დაიპყრო და გამოაცხადა „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“.

რა იყო ფედერალიზაცია და რატომ ეწინააღმდეგებოდნენ მას „ნაციონალ-უკლონისტები“?

კრემლის ზეწოლით 1922 წელს შეიქმნა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა (ა/კსფსრ). ის მოიცავდა აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს, რომელთაც „სამოკავშირეო ხელშეკრულება“ 1922 წლის 12 მარტს დაადებინეს, ხოლო ოფიციალური გაერთიანება 1922 წლის 10 დეკემბერს გაფორმდა (იხ. ნახ. 14).

ამიერკავკასიის ფედერალიზაციის იდეის ავტორებს იმდენად რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა არ აინტერესებდათ, რასაც ცრუარგუმენტად იყენებდნენ, რამდენადაც პოლიტიკური მიზნები ჰქონდათ. ფედერალიზაციის ნამდვილი მიზეზის შესახებ ღიად განაცხადა იოსებ სტალინმა 1923 წლის 23 აპრილს სრულიად საკავშირო კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის XIII ყრილობაზე, როდესაც თქვა, რომ ის საჭირო იყო იმისთვის, რომ საქართველოს ვერ გამოეყენებინა თავისი გეოგრაფიული მდებარეობის

უპირატესობა და ქართველები რეგიონის „პრივილეგირებული ერი“ არ გამ-ხდარიყვნენ.

სტალინი არ ენდობოდა უპირველესად თავის ძველ პარტიულ ამხანაგებს – ქართველ კომუნისტებს. ამის კონკრეტული გამოვლინება მისთვის აღმოჩ-ნდა ქართველი კომუნისტი ლიდერების ერთი ჯგუფის მოქმედება, რასაც სტა-ლინმა „ნაციონალ-უკლონიზმი“ (ნაციონალისტური გადახრა) უწოდა.

საბჭოთა საქართველოს მმართველი ქართველი ბოლშევიკები (მათ შორის იყვნენ ბუდუ მდივანი, ფილიპე მახარაძე, კოტე ცინცაძე, მიხეილ ოკუჯავა და რამდენიმე სხვა), სწორედ ის პირები, რომლებიც საქართველოს გასაბჭოების მიზნით 1921 წლის თებერვალში წითელ არმიას თბილისში შემოუძღვნენ და, სავსებით სამართლიანად, ერის მოღალატეებად უნდა შერაცხულიყვნენ, საკ-მაოდ აქტიურად შეეწინააღმდეგნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას. მა-თი მოთხოვნა იყო, რომ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები შესულიყ-ვნენ საბჭოთა კავშირში უშუალოდ და არა ამიერკავკასიის ფედერაციის მეშ-ვეობით.

1922 წლის შემოდგომაზე „ნაციონალ-უკლონისტებმა“ მოულოდნელი მხარდაჭერა მიიღეს ლენინის მხრიდან, რომელსაც, ერთი მხრივ, არ სჭირდე-ბოდა უკმაყოფილების კერა კავკასიაში, და მეორე მხრივ, აღარ მოსწონდა სტალინის აღზევება.

„ნაციონალ-უკლონისტები“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის წინააღმდეგი არ იყვნენ, მაგრამ, იმავე სტალინისა და ორ-ჯონიკიძისაგან განსხვავებით, ერთგვარად მაინც აწუხებდათ ქართული ეროვ-ნული ინტერესები: თუ საქართველოს კვაზი-დამოუკიდებლობის, თუნდაც გა-საბჭოებული სახით, შენარჩუნება ვერ ხერხდებოდა, ისინი სსრ კავშირში სა-ქართველოს უშუალო წევრობას ამჯობინებდნენ. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებას და ცდილობდნენ დაესაბუთები-ნათ, რომ სამხრეთელი ოსებისათვის ავტონომიის მინიჭება შეცდომა იქნე-ბოდა.

სტალინმა თავისი მაინც გაიტანა: შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაციაც და ავტონომიებიც – საქართველოში. მომავალმა „დიდმა ბელადმა“ (1922 წელს ის ერთ-ერთი ბელადი იყო!) გულში ბოღმა ჩაიტოვა და 1937-1938 წლებში „ნაციონალ-უკლონისტების“ დიდი უმრავლესობა დაახვრეტინა, როგორც „კონტრრევოლუციონერები და იმპერიალიზმის აგენტები“.

ნახ. 14-ზე ნაჩვენებია ა/კსფსრ-ს შემადგენელი სამი საბჭოთა სოციალის-ტური რესპუბლიკისა და მათში შემავალი ავტონომიური ერთეულების საზღ-ვრები. 1923 წელი იმიტომაა აღებული, რომ იმ წელს „მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის“ შექმნით რეგიონში დასრულდა ტერიტორიული გამიჯ-ვნა.

რ. ს. ფ. ს. რ.
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ
ბ ა თ უ მ ი
ა ჭ ა რ ი ს ა ს ს რ
თ ბ ი ლ ი ს ი
ს ო მ ხ ე თ ი ს ს ს რ
ა ზ ე რ ბ ა ი ჯ ა ნ ი ს ს ს რ
ბ ა ქ ო
ე რ ე ვ ა ნ ი
ს ტ ე პ ა ნ ა კ ერ ტ ი
ნ ა ხ ჩ ე ვ ა ნ ი
ბ ა ხ ჩ ი ს ა რ ა ი
ბ ა ტ უ მ ი
ბ ა ბ ა ჩ ა ლ ა
ბ ე ლ ო ყ ა ნ ი
ბ ე ლ ო ბ ა ლ ი
ბ ე ლ ო ბ ა ლ ი ს ა ნ

ბას აფხაზეთისათვის (სოხუმის ოლქი), „სამუსლიმანო საქართველოსათვის“ (ბათუმის მხარე) და ზაქათალის ოლქისათვის. როგორც ზემოთ ითქვა, ამ უკანასკნელს საბჭოთა აზერბაიჯანი თავის ნაწილად მიიჩნევდა და მალე კავბიუროსაგან ამის ოფიციალური დასტურიც მიიღო.

ეჭვგარეშეა, რომ მცირერიცხოვანი ეთნოსები იმსახურებენ განსაკუთრებულ ყურადღებას და ადმინისტრაციულ-კულტურულ ავტონომიას თავისი თვითმყოფადობის, ენისა და კულტურის შესანარჩუნებლად. საქართველოში ეს უპირველესად ეხება აფხაზებს, რომელთა ერთადერთი საცხოვრისი საქართველოა და მის გარეთ სამშობლო მათ არ აქვთ.

მაგრამ უკვე 1921-1922 წლებში ნათელი იყო, რომ „მცირე ეთნოსების უფლებათა დაცვით“ მანიპულირებას ახდენდა კრემლი, რომელსაც არ სჭირდებოდა უნიტარული, თუნდაც გასაბჭოებული, საქართველო და შეგნებულად ასუსტებდა მას პერიფერიების ავტონომიზაციის გზით. ბევრი ეთნიკური აფხაზი კარგად მოერგო საბჭოთა კავშირში 1920-1930-იან წლებში მიმდინარე ე.წ. „კორენიზაციის“ პოლიტიკას (ტერმინი მომდინარეობს რუსული სიტყვებიდან коренное население, „მკვიდრი მოსახლეობა“). აფხაზებმა „კორენიზაციის“ პოლიტიკით სარგებელი ნახეს და არაპროპორციულად დიდი წილი შეადგინეს ავტონომიური რესპუბლიკის ყველა დონის ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

„კორენიზაციისა“ და „პოზიტიური დისკრიმინაციული პოლიტიკის“ შედარებისათვის.

„კორენიზაცია“ გულისხმობდა კულტურულად ჩამორჩენილ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქებში ადგილობრივი სატიტულო ერის ეთნიკური კადრებისაგან საბჭოთა ბიუროკრატიის ჩამოყალიბებას. ასეთი პოლიტიკის გატარება ოფიციალურად შეწყდა 1930-იანი წლების შუაგულში.

1961 წლიდან აშშ-ში ხორციელდებოდა affirmative policy (ფაქტობრივად „პოზიტიური დისკრიმინაციული პოლიტიკა“), რომელიც გულისხმობდა ფერადკანიანი მოსახლეობისათვის საგანგებო შეღავათების დაწესებას, მაგალითად, უნივერსიტეტში ან სამუშაოზე მიღებისას. ფორმალურად ის არ გულისხმობდა შეღავათებს ამ პირების მიერ ადმინისტრაციული თანამდებობების დასაკავებლად. 2025 წელს აშშ პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაცია ამ პოლიტიკას აუქმებს.

როგორ ჩამოყალიბდა აფხაზეთის ასსრ?

1921 წლის 4 მარტს ახალგასაბჭოებული საქართველოს ნაწილის, სოხუმის ოლქის, ბაზაზე გამოცხადდა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (საერთო ფართობით 8,6 ათასი კვ. კილომეტრი), ანუ ნომინალუ-

რად საქართველოს სსრ-სთან გათანაბრებული პოლიტიკური ერთეული. უფრო მეტიც, საქართველოს ბოლშევიკურმა რევკომმა სერგო ორჯონიკიძის თავმჯდომარეობით იმავე წლის 21 მაისს ცნო „აფხაზეთის სსრ-ის დამოუკიდებლობა“.

კრემლში, როგორც ჩანს, მალე მიხვდნენ ზემოხსენებული ნაბიჯის არაადეკვატურობას, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ აფხაზეთის ჩამოშორებით საქართველოსაგან კრემლი კარგავდა ამ უკანასკნელზე ზემოქმედების მძლავრ ბერკეტს.

იმავე 1921 წლის 16 დეკემბერს კრემლმა „რეკომენდაცია“ მისცა (რეალურად – უბრძანა) თბილისსა და სოხუმს დაედოთ „სამოკავშირეო ხელშეკრულება“, რომლის ძალითაც აფხაზეთის სსრ შევიდა საქართველოს სსრ-ში, როგორც „ხელშეკრულებითი რესპუბლიკა“. რეალურად ის ავტონომიური რესპუბლიკის დონემდე ჩამოქვეითდა (ოღონდ შეფარული სახელით). საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუცია მის სტატუსს ავტონომიური რესპუბლიკის დონეზე განიხილავდა კიდეც.

მაგრამ „ცალკე ყოფნის“ რამდენიმეთვიანი პრეცედენტი საკმარისი აღმოჩნდა, რომ აფხაზ ნაციონალისტებს ემტკიცებინათ თითქოს ფლობდნენ „დამოუკიდებლობას“, რომელიც მათ ქართველმა სტალინმა „წაართვა და მათი ქვეყანა საბჭოთა საქართველოს დაუქვემდებარა“.

თუკი აფხაზეთის სსრ-ის სტატუსის შეცვლა მართლაც სტალინის ინიციატივა იყო, ამ შემთხვევაში ის გამოდიოდა არა თავისი ქართველობიდან, არამედ საბჭოთა რუსეთის ინტერესებიდან. ძალიან მცირე ეთნოსისათვის (1926 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის თანახმად 56 ათასმა ადამიანმა მიიჩნია თავი აფხაზად, რომელთაგან 9 ათასმა მშობლიურ ენად მეგრული მიუთითა) „ცალკე საბჭოთა რესპუბლიკის“ შექმნა პრეცედენტად იქნებოდა გამოყენებული საკუთრივ რსფსრ-ის ტერიტორიაზე მცხოვრები ბევრად უფრო დიდი ეთნოსების (მაგალითად, თათრების, ჩეჩნების, ბაშკირების, რომელთა რაოდენობა მილიონს აღწევდა ან აჭარბებდა) ანალოგიური მოთხოვნებისათვის.

1931 წელს თებერვლიდან აფხაზეთის ხელშეკრულებითმა სსრ-მ მიიღო თავისი რეალური სტატუსის შესაბამისი დასახელება „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში. მაგრამ აფხაზებმა ეს კიდევ ერთ დამცირებად მიიჩნიეს: მათი რესპუბლიკის ფორმალური სტატუსი დადაბლდა.

აფხაზები მცირერიცხოვანი ეთნოსია. ეჭვგარეშეა, რომ თვითმყოფადი კულტურა მათ ისევე აქვთ, როგორც ნებისმიერ სხვა ეთნოსს. პირველი მოქმედი აფხაზური ანბანი 1892 წელს შექმნეს აფხაზმა გულიამ და ქართველმა მაჭავარიანმა (1862 წელს ბარონ პეტერ უსლარს ჰქონდა აფხაზური ანბანის შექმნის მცდელობა, მაგრამ ის ვერ დაინერგა); აფხაზური წერილობითი ლი-

ტერატურა მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა; აფხაზური წყაროების არარსებობის გამო მათი ისტორია XX საუკუნეში დაიწერა, უპირატესად ქართულ, ბერძნულ, სომხურ ირიბ წყაროებზე დაყრდნობით და მითოლოგიზებული იქნა.

აფხაზური ნაციონალიზმის თავისებურებების გაგებისას არ უნდა დაგვავიწყდეს ის უმძიმესი ტრაგედია, რომელიც ამ ხალხმა 1866 და1878 წლებში იწვნია, როდესაც რუსეთის იმპერიამ ორი აჯანყების შემდეგ აფხაზების დიდ ნაწილს (რელიგიურად – მუსლიმებს) უბიძგა ოსმალეთში წასასვლელად. ამ ტრაგედიაში ქართველებს რომ ბრალი არ მიუძღვით, აფხაზებმა მშვენივრად იციან! ამ მოვლენამ ეროვნული გადარჩენის ზემოტივაცია შეუქმნა ადგილზე დარჩენილ მცირერიცხოვან ეთნოსს.

აფხაზური ანბანის შესახებ

აფხაზებს 1892-1954 წლებში ანბანის ოთხი გრაფიკის გამოცვლა მოუხდათ, რაც ძალიან ცუდი იყო მათი კულტურული განვითარების უწყვეტობისათვის. პირველი ანბანის გრაფიკა „კირილიცისა“ (რუსულის) და რამდენიმე ქართული გრაფემის ბაზაზე შეიქმნა, 1926 წლიდან ანბანი ლათინურ გრაფიკაზე გადავიდა, 1938 წლიდან – ქართული გრაფიკის ბაზაზე, ხოლო 1954 წლიდან ისევ „კირილიცის“ განსხვავებულ ვარიანტს დაუბრუნდა. სხვათა შორის, აფხაზურ ფონეტიკას ქართული გრაფიკა ყველაზე მეტად შეესაბამებოდა, თუმცა აფხაზურ ანბანში 64 ასო-ნიშანია, ქართულში კი 33.

სამხრეთ ყირიმთან ერთად აფხაზეთი ფლობდა საბჭოთა კავშირში საუკეთესო საზღვაო კლიმატურ რესურსებს. ეს გეოგრაფიული ფაქტორი აძლიერებდა (განსაკუთრებით 1950-იანი წლებიდან) კრემლის ელიტის მისწრაფებას არ დაეშვა ამ რეგიონში ისეთი არარუსული ელემენტის, კერძოდ, ქართველების, კულტურული დომინაცია, რომლისგანაც მეტ კონკურენციას ელოდა.

გეოგრაფიულ მდებარეობას უნდა უმადლოდნენ აფხაზები, რომ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე კარგად ცნობილი პატარა ნაცია გახდნენ და მათთან დაკავშირებულ პრობლემებს ლამის მსოფლიო დონეზე არჩევდნენ.

აფხაზებისათვის არც თუ ურიგო აღმოჩნდა ეთნოდემოგრაფიული ფაქტორი. მეზობლებად ძირითადად ქართველი ერის სუბეთნოსები ჰყავდათ, რომლებთანაც ისინი მშვიდობიანად თანაარსებობდნენ. მათთან შერეული ქორწინების შედეგად გაჩენილი ბავშვების ეთნიკური იდენტობა ძირითადად აფხაზურის სასარგებლოდ წყდებოდა, რადგან „სატიტულო ერისადმი“ კუთვნილება საბჭოთა პერიოდში ხელსაყრელი იყო კარიერული ზრდისა და, შე-

საბამისად, მატერიალური კეთილდღეობისათვის. ასეთი შერეული ქორწინებები აფხაზი ერის ფიზიკურ შენარჩუნებას ერთგვარად უწყობდა ხელს.

როგორ შეიქმნა აჭარის ასსრ?

1921 წლის ივნისში შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, საერთო ფართობით 3 ათასი კვ. კილომეტრი. როგორც აღინიშნა, 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებით თურქეთი საბჭოთა საქართველოს სასარგებლოდ უარს ამბობდა თავის პრეტენზიაზე ბათუმისა და მისი ოლქის მიმართ ამ უკანასკნელისათვის ადმინისტრაციული ავტონომიის მინიჭების პირობით.

აჭარა-ქობულეთის მოსახლეობას, წინა ორი-სამი საუკუნის განმავლობაში განცდილი ისლამიზაციის მიუხედავად, არ დაუკარგავს ქართული ენა. ავტონომიური ერთეულის შექმნის მიუხედავად, აჭარის მუსლიმი ქართველები საკმაოდ სწრაფად ხელახლა ეზიარნენ საერთოქართულ იდენტობას. საბჭოთა პერიოდის ათეისტურმა აღზრდამ დაუკარგა მნიშვნელობა რელიგიურ განსხვავებას ქართველთა უმრავლესობასა (რომელთა კულტურა ქრისტიანულ საფუძველს ეყრდნობა) და ქართველთა გამუსლიმებულ უმცირესობას – აჭარულ სუბეთნოსს შორის.

2000-იანი წლების დასაწყისიდან ისლამი რენესანსს განიცდის აჭარაში. ამას ხელი შეუწყო მეზობელი თურქეთიდან ისლამის მქადაგებლების შემოსვლამ. აჭარის მთიანი (ძირითადად ხულოს, აგრეთვე შუახევისა და ქედის) რაიონების ახალგაზრდა მამაკაცებს ეპატიჟებიან თურქეთში უფასო ისლამური განათლების მისაღებად. იქიდან კი ქართულენოვანი, მაგრამ კულტურულად გაუცხოებული ხოჯა-მოლები გვიბრუნდებიან.

როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი?

საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა1922 წელს.

ჩრდილო კავკასიის სხვა ავტოქტონური ეთნოსებისგან ოსები განსხვავდებიან ენობრივად და რელიგიურად: ისინი ლაპარაკობენ ინდოევროპული ენობრივი ოჯახის ენაზე და ძირითადად მართლმადიდებლები არიან (ნაწილი – მუსლიმია), მაშინ როდესაც სხვა ჩრდილოკავკასიელი ეთნოსები განეკუთვნებიან კავკასიურ ან თიურქულ ენობრივ ოჯახებს და რელიგიურად ყველა მუსლიმია.

XVII-XVIII საუკუნეებში ოსი გლეხები თავისი ისტორიული საცხოვრისიდან, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთი ფერდობიდან, გადმოდიოდნენ ქედის

სამხრეთ ფერდობზე და სახლდებოდნენ შიდა ქართლისა და რაჭის მთიან ადგილებში, უპირატესად სოფელ ჯავის ირგვლივ. XVIII საუკუნიდან ისინი ქართლის ბარშიც მიდიოდნენ, სადაც ქართველ თავადებს ხელს აძლევდა ოსების მიღება ხიზნების (უმიწაწყლო გლეხების) სახით. XIX საუკუნეში ოსების მიგრაცია ქართლ-კახეთში უფრო მასობრივი გახდა. რელიგიურად ისინი ქართველებისაგან არ განსხვავდებოდნენ.

მემამულესა და გლეხს შორის ბუნებრივად წარმოიშობა სოციალური ანტაგონიზმი. 1917 წლის რუსული რევოლუციების შემდეგ კლასობრივმა კონფლიქტმა ოსთა განსახლების არეალში ეთნიკური შეფერილობა შეიძინა. „ექსპლუატატორებს“, ანუ ქართველ მემამულეებს დაუპირისპირდა „ექსპლუატირებული“ ოსი გლეხობა, რომლისთვისაც ეკონომიკურად ხელსაყრელი გახდა ბოლშევიკური იდეების განხორციელება – მემამულეთა ქონების მითვისება. გარდა ამისა, სამხრეთელ ოსებში ვრცელდებოდა ბოლშევიკების მიერ ინსპირირებული „ოსური ნაციონალური იდეა“: ეს იყო კავკასიონის ქედის ორივე მხარეს ერთიანი ოსეთის შექმნა.

რუსეთის სამოქალაქო ომის დროს (1918-1920) ოსებს კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდათ ჯერ „თეთრებთან“ და შემდგომ – კიდევ უკეთესი – „წითლებთან“. სამოქალაქო ომის ბოლო, 1920, წელს, ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასთან ერთად, იმატა ჩრდილოეთიდან საქართველოს ოსების წაქეზებამ, რათა ამ უკანასკნელთ მოეთხოვათ გაერთიანება ერთიან „ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკაში“, რომელიც, ბუნებრივია, საბჭოთა რუსეთს უნდა დაქვემდებარებოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კანონიერად შეეძლო მიეჩნია ასეთი მოთხოვნა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფად. 1920 წელს მთავრობას იარაღის გამოყენებით მოუხდა ჯავის რაიონის ოსთა ბოლშევიკური ამბოხების ჩაქრობა. ბევრი მეამბოხე გაიქცა კავკასიონის ქედის გადაღმა, მაგრამ ძალიან მალე ბოლშევიკებთან ერთად უკან დაბრუნდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ოსი ბოლშევიკები მოითხოვდნენ „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის გაღებული მსხვერპლის“ კომპენსირებას შიდა ქართლის საგრძნობი ნაწილის ოსურ ავტონომიად გადაქცევის გზით. გარდა იმ ტერიტორიისა, რომელიც მათ საბოლოოდ გადაეცათ, ისინი აგრეთვე ითხოვდნენ დღევანდელი ქარელის, ხაშურის და ბორჯომის მუნიციპალიტეტების ტერიტორიასაც, სადაც ოსური სასოფლო მოსახლეობა ქართულ სოფლებს შორის იყო გაბნეული.

ოსი ბოლშევიკების მაქსიმალისტური მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. მაგრამ საქართველოს ისტორიული პროვინციების – შიდა ქართლისა და რაჭის 3,4 ათას კვ. კმ ფართობზე, რაც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიის 5,4 პროცენტს შეადგენს, კომუნისტური პარტიის ლიდერების გადაწყ-

ვეტილებით შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. იქ ოსური და ქართული მოსახლეობა შერეულად ცხოვრობდა.

რადგან ოლქის ტერიტორიაზე არ არსებობდა ქალაქი ან დაბა, ცენტრად მას გადაეცა ისტორიული ქართული ქალაქი (იმ დროს სავაჭრო დაბა) ცხინვალი, სადაც ოსების ოციოდე ოჯახი ცხოვრობდა, ხოლო ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ ეთნიკური ქართველები, ქართველი ებრაელები და ქართულენოვანი სომხები. ცხინვალი ქალაქად გარდაიქმნა და 1934-1961 წლებში ატარებდა ოსურ სახელს – „*სტალინირ*“ („ირ“ ოსური ეთნოსის თვითსახელია). XX საუკუნის განმავლობაში ცხინვალში მასობრივად სახლდებოდნენ ოსები, რომელთაც საბოლოოდ შეადგინეს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა.

საქართველოს სსრ-ის დანარჩენ ტერიტორიაზე თითქმის ორჯერ მეტი ოსი ცხოვრობდა, ვიდრე ავტონომიურ ოლქში. ოსებსა და ქართველებს შორის არსებობდა მშვიდობიანი თანაცხოვრება. ბევრი იყო შერეული ქორწინება. ქართულ საზოგადოებას შეექმნა ილუზია, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, 100 ათასზე ნაკლები მოსახლეობით, რომელთაგანაც მესამედი ქართველი იყო, უპრობლემო ერთეულია. ეს სახიფათო ილუზია აღმოჩნდა. უბრალოდ, ჯერ არ იყო გაყვანილი კავკასიონის ქედის ორი მხარის შემაერთებელი როკის გვირაბი.

ეკონომიკური თვალსაზრისით, სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის უმოკლესი გზით დასაკავშირებლად ბევრად უფრო ხელსაყრელი იქნებოდა გვირაბის გაჭრა ჯვრის უღელტეხილის ქვეშ, რომელიც დარიალის ხეობის გავლით უმოკლესი გზით დააკავშირებდა ეკონომიკურად განვითარებულ რაიონებს თბილისისა და ვლადიკავკაზის ირგვლივ. მაგრამ კრემლი ეკონომიკურზე მეტად პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა როკის გვირაბს.

გვირაბის მშენებლობა 1971 წელს დაიწყო და 1988 წლის სექტემბერში საზეიმოდ გაიხსნა, სწორედ იმ დროისათვის, როდესაც თავი წამოჰყო სამხრეთელი ოსების ხელახალმა მოთხოვნამ ჩრდილოეთ ოსეთთან, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, გაერთიანების შესახებ. სულ მოკლე ხანში სამხრეთ ოსეთში გაჩნდა პირველი საზოგადოებრივი ორგანიზაცია სეცესიონისტური (გამოყოფის) პროგრამით. აშკარაა, რომ ეს პროცესი იყო კრემლის სტრატეგიის ნაწილი, გამიზნული „დამოუკიდებლობისაკენ მიდრეკილი ქართველების“ წინააღმდეგ. როკის გვირაბის არსებობა კარგ პირობებს უქმნიდა კრემლს პოლიტიკური მანიპულაციისათვის.

როგორ ხდებოდა ავტონომიზაცია აზერბაიჯანის სსრ-ში?

სომხეთის სსრ-სთან დიდი დავის შემდეგ 1923 წლის 7 ივლისს აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობაში დაარსდა ადმინისტრაციული ერთეული – მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი (ფართობი 4388 კვ. კმ), რომელიც 65

წლის შემდეგ, სომხეთის სსრ-სთან მიერთების მოთხოვნით, საფუძველს ჩაუყრის საბჭოთა კავშირის რღვევას.

ეს ავტონომიური ოლქი საგანგებოდ შემოისაზღვრა ისე, რომ მას არ ჰქონოდა საერთო საზღვარი სომხეთთან. აზერბაიჯანის შემადგენლობაში მყოფი ბუფერული ზონა სომხეთის სსრ-სა და მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქს შორის 1923-1929 წლებში ატარებდა ქურთისტანის ნაციონალური მაზრის („წითელი ქურთისტანის“) სახელს. მაზრის ცენტრი იყო დაბა (შემდგომში – ქალაქი) ლაჩინი. მოსახლეობის ნაწილი ამ მაზრაში მართლაც ქურთი იყო. 1929 წლის შემდეგ ამ ავტონომიური მაზრის ადგილზე შეიქმნა აზერბაიჯანის სსრ-ის ქელბაჯარისა და ლაჩინის ადმინისტრაციული რაიონები. ქურთების დიდი ნაწილი თანდათან შეერწყა აზერბაიჯანელებს, ერთი ნაწილი კი 1940-იან წლებში ყაზახეთში გადაასახლეს.

„მთიანი ყარაბაღი“ ოფიციალურად გაუქმდა 2024 წლის 1 იანვარს. მასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ-გეოგრაფიულ პრობლემებზე მსჯელობა გვექნება მე-15 ლექციის დროს.

ნახჭევნის ექსკლავის ტერიტორიაზე, საერთო ფართობით 5363 კვ. კმ, დაარსდა „აზერბაიჯანის სსრ-ის პროტექტორატის ქვეშ მყოფი ნახჭევნის სსრ“, რომელსაც 1931 წლიდან ეწოდა ნახჭევნის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

კითხვები ლექცია 6-ის თემაზე:

1. როგორი იყო ადრეული საბჭოთა რუსეთის გეოპოლიტიკის თავისებურებები?
2. როგორ იქმნებოდა საბჭოთა რესპუბლიკები სამხრეთ კავკასიაში?
3. რა ტერიტორიული შედეგები მოჰყვა რუსეთ-თურქეთის 1921 წლის ხელშეკრულებას?
4. რა გეოპოლიტიკური ინტერესები ჰქონდა საბჭოთა რუსეთს სამხრეთ კავკასიაში?
5. როგორ დადგინდა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების საზღვრები?
6. რა იყო ფედერალიზაცია და რატომ ეწინააღმდეგებოდნენ მას ე.წ. „ნაციონალ-უკლონისტები“?
7. როგორ ხდებოდა სამხრეთ კავკასიის ავტონომიზაცია? რა იყო „კორენიზაცია“?
8. როგორ ჩამოყალიბდა აფხაზეთის ასსრ?
9. როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი?

ლექცია 7

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში

როგორ შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი?

1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ) შექმნა ოთხმა პოლიტიკურმა სუბიექტმა: რუსეთის საბჭოთა ფედერაციულმა სოციალისტურმა რესპუბლიკამ (რსფსრ), უკრაინის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ, ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ და ამიერკავკასიის სოციალისტურმა ფედერაციულმა საბჭოთა რესპუბლიკამ (ა/კსფსრ), რომელიც, თავის მხრივ სამი რესპუბლიკისაგან შედგებოდა.

1936 წელს, როდესაც საბჭოთა რეჟიმის მარადიულობა უკვე ეჭვს აღარ იწვევდა, მოსკოვიდან მიღებული დირექტივის თანახმად ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა. მასში შემავალი სამი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა – აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი, რომლებიც ვეღარ შეუქმნიდა რაიმე საფრთხეს გამყარებულ ტოტალიტარულ რეჟიმს, 1936 წლიდან ცალკე „მოკავშირე რესპუბლიკებად“ იქცა.

1920-30-იან წლებში რსფსრ-ის ტერიტორიიდან გამოიყო ყაზახეთის სსრ (თავიდან ავტონომიური სსრ), ხოლო შუა აზიაში შეიქმნა ოთხი მოკავშირე რესპუბლიკა – უზბეკეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, თურქმენეთის სსრ და ყირგიზეთის სსრ. ამ მოკავშირე რესპუბლიკების საზღვრები მოსკოვში მოიხაზა. 1936 წელს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში 11 მოკავშირე რესპუბლიკა აღმოჩნდა. 1940 წელს მათ შეემატა ახალდაპყრობილი მოლდოვა, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი. ფინეთისაგან იმავე წელს დაპყრობილი ტერიტორიებისა და რსფსრ-ის კარელიის ასსრ-ის ბაზაზე შეიქმნა კარელია-ფინეთის სსრ (სტალინი, ალბათ, გეგმავდა მასში მთელი ფინეთის შეყვანას). 1940-1956 წლებში საბჭოთა კავშირი აერთიანებდა 16 მოკავშირე რესპუბლიკას. 1956 წელს კარელია-ფინეთის სსრ გაუქმდა: ის ისევ „დააქვეითეს“, გამოაცხადეს კარელიის ასსრ-დ და დააბრუნეს რსფსრ-ის შემადგენლობაში.

საბჭოთა კავშირში არსებობდა მისი შემადგენელი ეთნო-პოლიტიკური ერთეულების ერთგვარი **„რიგითობა“** („იერარქია“ არ იქნებოდა სწორი ტერმინი).

„პირველ რიგს“ განეკუთვნებოდა ზემოხსენებული **16** (1956 წლიდან – **15**) **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა,** რომლებსაც საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია „სუვერენულ სახელმწიფოებად“ მოიხსენიებდა. მათ ჰქონდათ „კავშირიდან თავისუფლად გასვლის უფლება“. ეს „უფლება“, რასაკვირველია,

ფიქცია იყო, რადგან მისი განხორციელების მექანიზმი არ არსებობდა და ვერავინ გაბედავდა ამ თემის წამოწევასაც კი.

1944 წელს სტალინმა სცადა 16-ვე რესპუბლიკა შეეყვანა მსოფლიო ომის დროინდელ მოკავშირეებთან, აშშ-სთან და დიდ ბრიტანეთთან, უკვე შეთანხმებულ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში“ (გაერო). კრემლის დავალებით მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში სასწრაფოდ შექმნეს საგარეო საქმეთა სამინისტროები და დაჩქარებით დაიწყეს დიპლომატების კადრების მომზადება. მაგრამ ვაშინგტონსა და ლონდონში სტალინს განზრახვას ადვილად მიუხვდნენ – ჰქონოდა გარანტირებული „16 ხმა“ გაერო--ში, სადაც თავიდან 50-ზე ცოტა მეტი წევრი იყო. საბოლოოდ, ომის დროინდელ მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ საბჭოთა კავშირთან ერთად გაეროს დამფუძნებლები გახდებოდნენ უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ, რადგან მსოფლიო ომმა მათ მიწაზე გადაიარა და ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მათ დიდი მსხვერპლი გაიღეს. „16 ხმის“ ნაცვლად სტალინმა „3 ხმა“ მიიღო! საგარეო საქმეთა სამინისტროები მოკავშირე რესპუბლიკებში დარჩა, მაგრამ რეალური ფუნქცია მათ არ ჰქონდათ.

„მეორე რიგს“ განეკუთვნებოდნენ **„ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები“,** რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის დროისათვის ყველაზე მრავლად იყო რსფსრ-ში (10), საქართველოში – ორი და თითო – აზერბაიჯანსა და უზბეკეთში. ისინიც „სახელმწიფოებად“ ითვლებოდნენ, მაგრამ კავშირიდან გასვლის უფლების გარეშე: საგარეო საქმეთა სამინისტროები მათ არ ჰქონდათ. რსფსრ-ის ზოგიერთი ავტონომიური ასსრ ცალკეულ ევროპულ სახელმწიფოს სჭარბობდა მოსახლეობით (მაგალითად თათრეთი) და ტერიტორიით (იაკუტიის ასსრ-ს ყველა ევროპულ სახელმწიფოზე უფრო დიდი ფართობი ჰქონდა).

„მესამე რიგს“ წარმოადგენდნენ **„ავტონომიური ოლქები“** შეზღუდული ადმინისტრაციული უფლებებით.

„მეოთხე რიგისა“ იყვნენ **„ნაციონალური ოკრუგები“** რსფსრ-ის ჩრდილოეთ, ძალიან მეჩხრად დასახლებულ რაიონებში, სადაც მეირმეობის მიმდევარი მოსახლეობა (ევენკები, ნენცები, ჩუკჩები, ხანტი, მანსი და სხვ.) ტომობრივ დონეს ვერ გასცდენოდა. დამწერლობა მათ საბჭოთა პერიოდში შეუქმნეს, მაგრამ ამ ეთნოსების საგრძნობი ნაწილი რუსულ ენაზე გადადიოდა და ეთნიკურ იდენტობას კარგავდა

ერთგვარი თვითმმართველობა საბჭოთა კავშირში ჰქონდათ მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკებს, ნაკლები – „მეორე“ და „მესამე“ რიგის ერთეულებს.

რა იყო საბჭოეთის ძირითადი საყრდენები?

საბჭოთა კავშირის მდგრადობას უზრუნველყოფდა სამი საყრდენი – კომუნისტური პარტია, უშიშროების სამსახური და არმია. მათგან ერთის გამოცლაც კი ამ სახელმწიფოს დაღუპვას მოასწავებდა. ეს დამტკიცდა 1991 წელს, როდესაც კომპარტიის ჩამოშლასთან ერთად საბჭოთა კავშირი დაიშალა სახელმწიფოს უპირველესი საყრდენი იყო **რუსეთის კომუნისტური პარტია** (სხვა პარტია არც იყო!). 1923 წელს პარტიას სახელი შეეცვალა და 1952 წლამდე ერქვა *სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტია* (**ბ**, ანუ „ბოლშევიკებისა“). 1952 წლიდან მას ეწოდებოდა **საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია** (*სკკპ*). ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კომუნისტური პარტია იყო სკკპ-ის რეგიონული განყოფილება.

სკკპ აკონტროლებდა ხელისუფლების სამივე შტოს – საკანონმდებლოს, აღმასრულებელსა და სასამართლოს. პარტია მართავდა უშიშროების ორგანოებს და არმიას.

რუსეთის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი იყო *ვლადიმირ ლენინი* (ნამდვილი გვარი ულიანოვი). მისი რეკომენდაციით *იოსებ სტალინი* (ნამდვილი გვარი ჯუღაშვილი) 1922 წელს აირჩიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად. მომდევნო 30 წლის განმავლობაში სტალინი ინარჩუნებდა ამ პოსტს (თუმცა ხელს აწერდა როგორც „მდივანი“!), ხოლო 1941-1953 წლებში ითავსებდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტს, რაც პრემიერ-მინისტრის ეკვივალენტი იყო. თანდათან (ეს სავსებით ნათელი გახდა 1927 წლიდან) სტალინი იქცა ქვეყნის ერთპიროვნულ მმართველად, „ბელადად“ (რუსულად „Вождь“, გერმანულად „Führer“). მან თავიდანვე დაისახა მიზნად რუსეთის გაძლიერება, მისი გაბატონება მეზობელ ქვეყნებში. 1940-იანი წლების მეორე ნახევარში ის უკვე მსოფლიო ჰეგემონობაზე აცხადებდა პრეტენზიას. ამიტომაც სტალინი დღემდე რჩება რუსი ნაციონალისტების კერპად.

სახელმწიფოს მეორე საყრდენი იყო **უშიშროების სამსახური.** ქვეყნის შიგნით კომუნისტური პარტიისათვის წინააღმდეგობის დასათრგუნავად 1917 წლის ბოლოს ლენინის უშუალო დავალებით *ფელიქს ძერჟინსკიმ* შექმნა რეპრესიების ორგანო – „კონტრრევოლუციასთან, საბოტაჟთან და სპეკულაციასთან ბრძოლის სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია“ (რუსული აბრევიატურით „ЧК“ – ჩეკა). ამ ორგანოს დანიშნულება იყო ქვეყნის შიგნით საიდუმლო პოლიციის ფუნქციის შესრულება, ყველგან, მათ შორის – საზღვარგარეთ, შეღწევა აგენტურის მეშვეობით. საბჭოთა პერიოდში „ჩეკა“-ს მრავალჯერ გამოეცვალა სახელი: 1930-1940-იან წლებში მას ერქვა „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი“ („შინსახკომი“, რუსული აბრევიატურით – „НКВД“ – ენკავედე). 1954 წლიდან მას დაერქვა „სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი“, (რუსული აბრევიატურით „КГБ“ – კაგებე).

სახელმწიფოს მესამე საყრდენი იყო **არმია.** თავიდან მას ერქვა „რუსეთის მუშურ-გლეხური წითელი არმია (რუსული აბრევიატურით – „РККА“) – რომლის შექმნის სათავეებთან იდგა *ლევ ტროცკი* (ნამდვილი გვარი ბრონშტეინი). „წითელ არმიაში“ ტროცკიმ მოუხმო რუსეთის იმპერიული არმიის გენერლებსა და ოფიცრებს, რომელთა მეთაურობით „წითელმა არმიამ“ სათითაოდ გაანადგურა იმპერიის სხვა გენერლებისა და ოფიცრების მიერ შექმნილი „თეთრი“ არმიები, რომლებიც ერთმანეთთან კოორდინაციის გარეშე მოქმედებდნენ. 1919-1920 წლებში „წითელმა არმიამ“ აღადგინა იმპერიისდროინდელი საზღვრები სამხრეთითა და აღმოსავლეთით, II მსოფლიო ომის დროს კი – დასავლეთითაც. 1943 წლიდან „წითელ არმიას“ სახელად „საბჭოთა არმია“ დაერქვა. არმიის გენერალურ შტაბს ჰქონდა საკუთარი დაზვერვა, რომლის მთავარ სამმართველოს (Главное разведывательное управление, ГРУ) საგარეო--პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში მნიშვნელოვანი სიტყვა ეთქმოდა ხოლმე.

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ წლებში, ლენინის გარდაცვალებამდე, „ბოლშევიკი №2“ იყო ტროცკი. სტალინმა გავლენით გადააჭარბა ტროცკის მხოლოდ 1920-იანი წლების შუაში, ჯერ გააძევა იგი საბჭოთა კავშირიდან, შემდეგ კი, მექსიკაში ემიგრაციაში ყოფნისას – მოაკვლევინა (1940 წ.). საბჭოთა კავშირი თავიდანვე იყო ორიენტირებული ტოტალიტარიზმზე, რაც განმტკიცდა 1930-იანი წლებიდან. სოციალიზმის სტალინისტურმა მოდელმა, მცირეოდენი მოდიფიკაციებით, 1990-იანი წლების დამდეგამდე იარსება. ეს მოდელი გულისხმობდა ქვეყანაში მართვის ყველა პოლიტიკური ბერკეტის თავმოყრას ერთი პარტიის ხელში.

რა არის ტოტალიტარიზმი?

ტოტალიტარიზმს უწოდებენ დესპოტურ, რეპრესიულ რეჟიმს, რომელიც ახორციელებს აბსოლუტურ კონტროლს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე მტკიცე დისციპლინით შეკრულ ადამიანთა ჯგუფის (პოლიტიკური პარტიის) მეშვეობით და ერთი „შეუცდომელი“ ლიდერის ხელმძღვანელობით. ტოტალიტარიზმის მკაფიო მაგალითებია სტალინიზმი, ჰიტლერიზმი, მაოიზმი.

ქვემოთ განვიხილავთ „ადრეული საბჭოთა კავშირის“ (1920-30-იანი წლები) რამდენიმე მნიშვნელოვან მოვლენას, რომელთაც გავლენა იქონიეს ქვეყნის განვითარებაზე, და საქართველოს ადგილს ამ მოვლენებში.

ნეპ-ი და საქართველო

ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე რუსეთის კომუნისტური პარტია იყენებდა უხეშ ძალას, რათა „სოციალიზმის უპირატესობაში დაერწმუნებინა“ ხალხის მასა. ყველას, ვინც არ ეთანხმებოდა ამ თვალსაზრისს, „ჩეკა“

დახვრეტით პასუხობდა. 1918-1920 წლებში, ე. წ. „სამხედრო კომუნიზმის“ პირობებში, როდესაც რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, საბჭოთა ხელისუფლება ე. წ. „სასურსათო გაწერის“ გზით გლეხობას ძალით ართმევდა მოწეულ ჭირნახულსა და სათესლე მასალასაც კი არ უტოვებდა.

1920 წლის ბოლოს სამოქალაქო ომში კომუნისტებმა გაიმარჯვეს. მაგრამ რუსეთი ნანგრევებად იყო ქცეული. სოფლად და ქალაქად შიმშილი მეფობდა.

სიცოცხლის ბოლო წლებში ლენინმა თითქოს საღად დაიწყო აზროვნება და მიხვდა, რომ გაჩანაგებულ ქვეყანაში წარმოება ვერ აღდგებოდა, თუკი ადამიანების კერძო ინიციატივას გზა მთლიანად დაეხშობოდა. 1921 წლის მარტში ლენინმა რუსეთის კომპარტიის X ყრილობაზე გამოაცხადა ქვეყანაში „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ (Новая экономическая политика), ანუ „ნეპ“-ის დაწყება. გარკვეული შეზღუდვებით ლეგალური ხდებოდა კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე, მანქანა-დანადგარებზე, მცირე ზომის ფაბრიკა-ქარხნებზე. გლეხს მიეცა საშუალება საბაზრო ფასით გაეყიდა პროდუქცია. დაშვებული იქნა კერძო ვაჭრობა.1924 წლის გაზაფხულზე ფულის სრული რეფორმა ჩატარდა და მყარი საბჭოთა რუბლი ნაწილობრივ კონვერტირებადი გახდა. ინფლაცია მკვეთრად შემცირდა. როგორც კი მრეწველს, ფერმერს, ვაჭარს ხელი გაეხსნა, ქვეყანა ეკონომიკურად გამოცოცხლდა.

1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობა და რსფსრ-ში ნეპ-ის შემოღება თითქმის ერთსა და იმავე დროს მოხდა. ამიტომ ახალგასაბჭოებულ საქართველოში არ დაწყებულა წვრილი და საშუალო საწარმოების დაუყოვნებელი ნაციონალიზაცია (თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ ეს მაინც მოხდა; მსხვილი საწარმო კი საქართველოში არც იყო). 1921 წელსვე საბჭოთა საქართველოში დაიწყო პოლიტიკური რეპრესიები, მაგრამ ეკონომიკაში ნაკლებად იგრძნოდა ბოლშევიზმის ის სუსხი, რომელიც, 1918-1920 წლების „სამხედრო კომუნიზმის“ დროს მძაფრად იწვნია საკუთრივ რუსეთმა.

1921 წელს ლენინმა ხმამაღლა განაცხადა, რომ ნეპ-ი შემოღებულია „სერიოზულად და დიდი ხნით!“ მაგრამ „ლენინის ერთგულმა მოწაფემ“, სტალინმა, რომელმაც ძალაუფლებისათვის ბრძოლაში გაანადგურა ყველა მეტოქე – ძველი პარტიული თანამებრძოლები, არ შეასრულა მასწავლებლის ანდერძი და უარი თქვა ლენინის ჩანაფიქრზე. მასშტაბურ წარმოებას, რომელიც გიგანტურ ქვეყანას ესაჭიროებოდა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ვერ ანდობდა კერძო მეწარმეებს – ეს კაპიტალიზმის რესტავრაცია იქნებოდა!

1928 წელს ნეპ-ი საბოლოოდ გაუქმდა. მოხდა წარმოების ყველა საშუალების, აგრეთვე ქალაქის საბინაო ფონდის დიდი ნაწილის ნაციონალიზაცია. ამას მოჰყვა რესურსების ცენტრალიზებული განაწილება, რასაც უცილობ-

ლად მოსდევდა ყველა სფეროში მწვავე დეფიციტის წარმოქმნა. 1928 წლიდანვე ქალაქებში შემოღებულ იქნა სურსათისა და პირველადი მოხმარების საქონლის განაწილების საბარათო სისტემა, რომელმაც კარგა ხანს იარსება.

ინდუსტრიალიზაცია და საქართველო

1925 წელს სტალინმა გამოაცხადა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციაზე აღებული კურსი. მიზნად იქნა დასახული ქვანახშირის, მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, სამხედრო მრეწველობის ცენტრების გეოგრაფიული გაფანტვა, მსხვილი წარმოების შექმნა აღმოსავლეთის რაიონებში – ურალში, დასავლეთ ციმბირში. სტრატეგიულად ეს გამართლებული იყო იმ შემთხვევაში, თუკი ქვეყანა დიდი ომისათვის ემზადებოდა. 1928 წელს საბჭოთა კავშირში დაიწყო სახელმწიფო დაგეგმვა, ხუთწლიანი გეგმების შემუშავება და მათი „ვადამდე შესრულებისათვის“ ბრძოლა.

1929 წლიდან და 1930-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირი ყიდულობდა მსოფლიოს ჩარხმშენებლობის ნაწარმის ნახევარზე მეტს. დასავლეთის ქვეყნებში 1929 წლიდან მძვინვარე ეკონომიკურმა კრიზისმა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ იმუშავა: უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი გერმანული და ამერიკული ფირმები მზად იყვნენ იაფად მიეყიდათ თავიანთი სამრეწველო ტექნოლოგიები და „ნოუ-ჰაუ“. ამით საბჭოთა კავშირი არაპირდაპირ ხელს უწყობდა კაპიტალისტური სისტემის გადარჩენას, რადგან კერძო კომპანიები პროდუქციის გასაღების ბაზრებს გაფაციცებით ეძებდნენ!

1933 წლამდე ძირითადად ამერიკული და გერმანული ტექნიკური დახმარებით აშენდა ისეთი გიგანტები, როგორებიც იყვნენ სტალინგრადის, ხარკოვის, ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნები (შემდგომში ისინი ტანკების გამოშვებას დაიწყებენ), მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატი, გორკის ავტოქარხანა (ის „ფორდის“ მანქანებს უშვებდა) და ა.შ. გარდა ამისა, ფართოდ იყო გავრცელებული უცხოური ტექნიკის ულიცენზიო კოპირება: მაგალითად საბჭოთა წარმოების ტრაქტორი „ფორდზონი“ იყო ამერიკული მოდელის უნებართო ასლი; 1937 წელს გამოშვებული, უმაღლესი საბჭოთა ელიტისათვის განკუთვნილი ავტომანქანა ЗИС-101 წარმოადგენდა ამერიკული Buick-ის (მოდელი 32-90) სრულ ასლს, რა თქმა უნდა, უნებართვოს!

საბჭოეთის ინდუსტრიალიზაცია 1930-იან წლებში მართლაც შთამბეჭდავი იყო. სულ რამდენიმე წელიწადში აიგო ბევრი გიგანტური საწარმო. II მსოფლიო ომის შემდგომი საბჭოთა პროპაგანდა არწმუნებდა ხალხს, რომ საბჭოთა კავშირში სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შექმნის დაწყება გამოიწვია გერმანული ნაციზმის საფრთხემ. პროპაგანდა გამუდმებით ახსენებდა „გენიალური სტალინის შორსმჭვრეტელობას“, რომელმაც იგრძნო, რომ გერმანიის სათავეში მოვიდოდა აგრესორი და დროულად დაიწყო ქვეყ-

ნის მომზადება თავდაცვისათვის! ამის დასტურად იყენებდნენ მის სიტყვებს, რომლებიც მან 1931 წელს თქვა:

„თუ ჩვენ ათ წელიწადში არ გავირბენთ გზას ინდუსტრიული ქვეყნების დონემდე, ჩვენ გაგვსრესენ!“

სინამდვილეში, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის პრიორიტეტულ განვითარებაზე აქცენტი რუსეთში გაკეთდა 1925 წელს, ბევრად ადრე, სანამ გერმანიას მეთაურად ადოლფ ჰიტლერი მოევლინებოდა, რაც 1933 წელს მოხდა.

სტალინური ინდუსტრიალიზაციის ერთადერთი ლოგიკური ახსნაა, რომ თავდაცვისათვის, და არანაკლებ, საგარეო ექსპანსიისათვის მოსამზადებლად საბჭოთა კავშირს უპირველესად ესაჭიროებოდა მძიმე მრეწველობის განვითარება, რაც სამხედრო ძლიერების საწინდარია.

დაჩქარებული ინდუსტრიალიზაციისათვის კომუნისტური პარტია ვერ გამოიყენებდა ადრე გამოცდილ მეთოდებს (მაგალითად, ფართო მოხმარების საგნების წარმოებით და მათი გაყიდვით კაპიტალის თანდათანობით დაგროვებას, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის გაზრდას და ა.შ.), რადგან ეს მეთოდები კაპიტალისტურ განვითარებაზეა მორგებული. ნეპ-ის გაგრძელება და გაღრმავება ნიშნავდა საშუალო და შეძლებული კლასების მომრავლებას, რომლებიც ადრე თუ გვიან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდნენ ერთპარტიული კომუნისტური დიქტატურის არსებობას.

დაჩქარებული ინდუსტრიალიზაცია ყველა რესპუბლიკაში მიმდინარეობდა. საბჭოთა საქართველოშიც შედარებით მსხვილი სამრეწველო საწარმოების საგრძნობი ნაწილი 1920-1940-იან წლებში აშენდა, მათ შორის იყო რესპუბლიკაში პირველი ჰიდროელექტროსადგური – ზემო ავჭალის ჰეს-ი (ზაჰესი), სხვა ჰეს-ები, ზესტაფონის ფეროშენადნობთა კომბინატი (ის გერმანული პროექტით აშენდა 1931 წელს და გერმანული დანადგარებით აღიჭურვა), ჩარხმშენებელი და ელმავალმშენებელი ქარხნები თბილისში, უშუალოდ ომის შემდეგ – რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა (ის ომში დამარცხებული გერმანიიდან წამოიღეს) და სხვ. II მსოფლიო ომის დროს გერმანული ოკუპაციის საფრთხის გამო რუსეთიდან თბილისში გადმოიტანეს დიდი საავიაციო ქარხანა და თან წამოიყვანეს იქაური ოსტატები. 1970-იან წლებში აშენდა ენგურჰესი. დასავლეთ საქართველოში მუშაობდა ჩაის ქარხნები, ბევრგან იყო მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები.

მაგრამ, საერთო ჯამში, საბჭოთა საქართველო ვერ გახდა ინდუსტრიული რესპუბლიკა და, როგორც ჩანს, რესპუბლიკის კომუნისტური ხელმძღვანელობა არც ესწრაფვოდა ამას: „გეგმის შესრულება“ სოფლის მეურნეობაში უფრო ადვილი იყო, თუნდაც მიწერების გზით! სოფლად ცხოვრება 1960-იანი წლებიდან უფრო კომფორტული გახდა: საქართველოს სსრ-ის კოლმეურნე

გლეხობა ხშირად უკეთ ცხოვრობდა, ვიდრე ქალაქელები. საბჭოთა ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ქრონიკული სასურსათო დეფიციტის პირობებში აქაური გლეხობა ადვილად ასაღებდა ქართულ ხილს, ბოსტნეულს და ფალსიფიცირებულ წითელ ღვინოს რუსეთის საკოლმეურნეო ბაზრებზე და საგრძნობ შემოსავალს ღებულობდა: არარსებული იმპორტი ვერ გაუწევდა კონკურენციას ქართული მანდარინს, ვაშლს, პომიდორს, მწვანილს! საქართველოს სოფლად თითქმის იმდენივე ხალხი ცხოვრობდა, რაც ქალაქად და ყველა არ ჩქარობდა ქალაქში გადასახლებას. საქართველოს სსრ მრეწველობაში დასაქმებულ მუშათა საგრძნობი ნაწილი სლავური (რუსული, ნაწილობრივ – უკრაინული) წარმოშობისა იყო. 1950-იანი წლების ბოლოდან რესპუბლიკაში ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელებასთან ერთად, სლავური მოსახლეობა ფარდობითად და აბსოლუტურად კლებულობდა: ისინი საქართველოს სსრ-დან რსფსრ-ში მიდიოდნენ.

„ინდუსტრიული გიგანტების“ ბედი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყველა მომცრო რესპუბლიკაში მდებარე „საკავშირო დაქვემდებარების „ინდუსტრიული გიგანტების“ უმეტესობამ (გარდა ენერგეტიკული ობიექტებისა და იშვიათი სხვა გამონაკლისისა) სამსახური ვერ გაუწიეს ამ სახელმწიფოების მიერ საკუთარი ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევას. ადრე ეს საწარმოები მუშაობდნენ დიდი „საკავშირო ბაზრისათვის“, მათ შორის დიდი არმიის საჭიროებისათვის; როგორც კი კავშირი დაიშალა, შეწყდა ან ძალიან გაძნელდა კოოპერაცია ძველ მიმწოდებლებთან და მომხმარებლებთან. ამ ქარხნების პროდუქცია კი მსოფლიო ბაზარზე არაკონკურენტუნარიანი იყო. ქარხნები დაიხურა, მანქანა-დანადგარები გაიძარცვა და ჯართად გაიყიდა. ყოფილი მუშები წვრილ მოვაჭრეებად, ტაქსისტებად ან უმუშევრებად იქცნენ.

კოლექტივიზაცია და საქართველო

1920-იანი წლების მიწურულში საბჭოეთის ინდუსტრიალიზაციის მიზნებისათვის ჩარხებისა და სხვა დანადგარების შეძენას დიდძალი უცხოური ვალუტა ესაჭიროებოდა. ვინაიდან კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა რუსეთის იმპერიის საგარეო ვალების გასტუმრებაზე, საზღვარგარეთის ბანკები საბჭოთა კავშირს კრედიტს არ აძლევდნენ. სწორედ ამიტომ ვაჭრობდა საბჭოთა კავშირი უპირატესად გერმანიასთან, რომლისაც არაფერი ემართა და აშშ-სთან, რომლის შედარებით მცირე ვალი სხვა კრედიტორი ქვეყნებისაგან (საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთისაგან) ფარულად მოსკოვმა 1933 წლამდე დაფარა.

1929 წელს ნათელი შეიქმნა, რომ საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია მალე ჩიხში მოექცეოდა, რადგან ქვეყანას არ ჰქონდა საკმარისი ფინანსური რესურსები. მას კი უცხოური ვალუტა უნდა ეხადა ჩარხ-დანადგარების იმპორტისათვის: საბჭოთა რუბლი არაკონვერტირებადი იყო. იხარჯებოდა ოქროს მარაგი, ალმასები, საზღვარგარეთ იყიდებოდა ხელოვნების ნიმუშები, მაგრამ ვალუტა არ კმაროდა.

საექსპორტო შემოსავლის გასაზრდელად სტალინი წავიდა რადიკალურ, ნაბიჯზე: მან სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გეგმა დაისახა.

1920-30-იან წლებში საბჭოთა კავშირს არ გაჰქონდა ნავთობი, სამრეწველო ნედლეული ან მზა პროდუქცია: იმდროინდელ ექსპორტში უმთავრესი იყო მარცვლეული (ძირითადად, ხორბალი), რომელიც მოჰყავდათ უკრაინის შავმიწა ნიადაგის მქონე ველებზე, ნაკლებად – ევროპული რუსეთის სამხრეთ ოლქებში – დონისპირეთში, ყუბანისპირეთში და სხვ. ექსპორტისაგან მიღებული ვალუტით საბჭოთა კავშირი ყიდულობდა ზემოხსენებულ სამრეწველო პროდუქციას.

1920-იან წლებში საექსპორტო ხორბალი მოჰყავდათ კერძო გლეხურ მეურნეობებს, რომლებსაც კომუნისტური პარტია ვერ აკონტროლებდა. მარცვლეული საბაზრო ფასით იყიდებოდა. ნეპ-ის პირობებში, მშრომელი და შეძლებული გლეხები, რომლებიც დაქირავებულ მუშახელსაც იყენებდნენ (მათ „კულაკებს“ უწოდებდნენ) საკმაოდ სერიოზულ ქონებას ფლობდნენ, მაგრამ პოლიტიკურ ძალას ისინი არ წარმოადგენდნენ.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია გულისხმობდა საექსპორტო მარცვლეულის მოყვანას კოლექტიურ მეურნეობებში (კოლმეურნეობებში), რომელთა მართვას ახორციელებდნენ პარტიული ორგანოები. პროდუქციის ფასს განსაზღვრავდა არა ბაზარი, არამედ თავის სასარგებლოდ ადგენდნენ სახელმწიფო ორგანოები.

1930-იანი წლების დასაწყისიდანვე „კულაკებს“ და მალევე, „საშუალო გლეხს“, ვინც დღენიადაგ საკუთარი ხელით შრომობდა, ართმევდნენ მიწას, ინვენტარს, პირუტყვს და ყველაფერს კოლმეურნეობებში აერთიანებდნენ. ოდნავი წინააღმდეგობის გაწევისათვის „განკულაკებულ“ გლეხს ასახლებდნენ ციმბირში ან ჩრდილოეთ რუსეთში და იყენებდნენ უფასო მუშახელად სწორედ იმ ინდუსტრიული გიგანტების მშენებლობაზე, რომლებითაც პარტია ასე ამაყობდა.

1932 წლის 7 აგვისტოს კანონით საკოლმეურნეო მინდვრიდან ხუთიოდე თავთავის წამოღება უთანაბრდებოდა „სოციალისტური ქონების ქურდობას“ და ისჯებოდა ათწლიანი გადასახლებით. იგივე კანონი „უარესი დანაშაულისათვის“ დახვრეტის უფლებასაც იძლეოდა.

იძულებითი კოლექტივიზაციის მიმართ პროტესტის სახით უკრაინის და სამხრეთ რუსეთის გლეხებმა ლამის მთელი შინაური პირუტყვი გაწყვიტეს. ქვეყანაში შიმშილი დაიწყო.

კოლექტივიზაცია შეეხო მთელ ქვეყანას, ჩატარდა საკმაოდ სწრაფად და უმკაცრესი მეთოდებით.

მაგრამ იყო გეოგრაფიული სხვაობაც. სამხრეთ კავკასიასა და შუა აზიაში ბუნებრივი პირობები (რელიეფი, ნიადაგი, ჰავა) არ იძლეოდა საექსპორტო ხორბლის წარმოების საშუალებას. ამიტომაც, იქაურ კოლმეურნეობებში გაერთიანებულ გლეხობას დაევალა სხვა შრომატევადი კულტურების მოყვანა.

სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციას განსაზღვრავდნენ პარტიული ორგანოები. სტრატეგიული მნიშვნელობა მიენიჭა ბამბის მოყვანას, რომელიც გარდა საფეიქრო მიზნებისა, ასაფეთქებელი მასალის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. ის მოჰყავდათ შუა აზიასა, აზერბაიჯანში და ქვემო ქართლშიც კი.

საქართველოს დაევალა დანარჩენი საბჭოეთის უზრუნველყოფა ჩაით, თამბაქოთი, ეთერზეთებით, სუბტროპიკული და კონტინენტური ხილით, ღვინით.

კლიმატური პირობების წყალობით, სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკების კოლმეურნე გლეხი პატარა საკარმიდამო ნაკვეთზე ოჯახის სარჩენ მინიმუმს მაინც აწარმოებდა, მაგალითად, მოჰყავდა სიმინდი, პარკოსნები, ბოსტნეული. საკოლმეურნეო მიწაზე ტექნიკური კულტურების მოყვანისათვის ანაზღაურება საკმაოდ საგრძნობი იყო. უკრაინასა და სამხრეთ რუსეთში კი, სადაც საექსპორტო მარცვლეული უნდა მოეყვანათ, ადგილობრივი კოლმეურნის ოჯახს ასეთი პირობები არ ჰქონდა. სწორედ ამიტომ იმატა შიმშილს გაქცეულმა სლავურმა მოსახლეობამ სამხრეთ კავკასიასა და შუა აზიაში.

კოლექტივიზაციის გავლენა მოსახლეობის დინამიკასა და მიგრაციებზე

უკრაინაში, რომელიც საბჭოთა კავშირში ხორბლის მთავარი მწარმოებელი იყო, 1932-1933 წლების საშინელი შიმშილის შედეგად ოთხ მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა. იყო კანიბალიზმის ფაქტები. 2006 წელს უკრაინის უზენაესმა რადამ (პარლამენტმა) ამ ფაქტს „უკრაინელი ხალხის გენოციდის“ კვალიფიკაცია მისცა. მთელ კავშირში კოლექტივიზაციამ შეფასებით შვიდ მილიონამდე ადამიანი შეიწირა

კოლექტივიზაციის ექსცესების შედეგად მასობრივად იღუპებოდნენ ეთნიკური რუსებიც, განსაკუთრებით სამხრეთ ნაწილში – დონისპირეთში, ყუბანისპირეთში, ქვემო ვოლგისპირეთში, სამხრეთ ურალში. იმავე პერიოდში თითქმის სანახევროდ ამოწყდნენ ეთნიკური ყაზახები: კოლექტივიზაციის პროცესში ამ მომთაბარე ხალხისათვის პირუტყვის ჩამორთმევამ, ბინადარ ცხოვრებაზე იძულებით გადაყვანამ, მაშინ როცა ხვნა-თესვა მათ არ იცოდნენ, გამოიწვია შიმშილი, ხალხის მასობრივი დაღუპვა და ჩინეთის სინძიანის პროვინციის მიმართულებით მილიონნახევრამდე ყაზახისა და მომთაბარე ყირგიზის ემიგრაცია.

საბჭოთა კავშირში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩატარდა 1937 წლის იანვარში. ქვეყანაში სულ აღირიცხა 156 მილიონი ადამიანი. აღწერის შედეგებმა სტალინი არ დააკმაყოფილა: მან წინასწარ გამოაცხადა, რომ ქვეყანაში 170 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და ბუნებრივი ნამატი წლიურად 2,4%-ს შეადგენს-ო. მისი განცხადებით „სოციალიზმის გაშლილმა მშენებლობამ“ მოსახლეობის განუხრელი ზრდა გამოიწვია! ეს სიცრუე იყო. სინამდვილეში 1937 წელს აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის 1926 წლის საყოველთაო აღწერასთან შედარებით უკრაინაში, სამხრეთ რუსეთსა და ყაზახეთში მოსახლეობის რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. ეს ძალადობრივი კოლექტივიზაციის შედეგად მოხდა, რასაც მმართველი რეჟიმი არ აღიარებდა.

1937 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგები გაასაიდუმლოეს, ხოლო *სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს* ხელმძღვანელები, ვისაც აღწერის ჩატარება ევალებოდა, დახვრიტეს, როგორც „მავნებლები“.

მოსახლეობის ახალმა აღწერამ, ჩატარებულმა 1939 წლის იანვარში, სტალინს სასურველი, ანუ გაყალბებული, რიცხვი წარუდგინა: ქვეყანაში 170,6 მილიონი ადამიანი ცხოვრობს-ო! მაგრამ უკრაინელების დანაკლისი მაინც ვერ დამალეს: ისინი 3 მილიონით ნაკლები აღმოჩნდნენ, ვიდრე 13 წლით ადრე, 1926 წელს. ყაზახების რიცხოვნობა კი თითქმის მილიონით ნაკლები აღმოჩნდა.

სწორედ 1930-იანი წლების პირველ ნახევარში მიაწყდა სლავური (რუსული, უკრაინული, ნაკლებად – ბელორუსული) მოსახლეობა სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკებს, სადაც ასევე მიმდინარეობდა იძულებითი კოლექტივიზაცია, მაგრამ, როგორც ვთქვით, ნაკლებად ფატალური შედეგებით.

მოსახლეობის 1926 და1939 წლების აღწერებს შორის პერიოდში სლავების წილი საქართველოს მთელ მოსახლეობაში გაიზარდა 4%-დან 10%-მდე (ანუ110 ათასიდან 360 ათას ადამიანამდე).

ანალოგიური დემოგრაფიული ტენდენცია იყო სომხეთში, აზერბაიჯანში, უზბეკეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთში.

მასობრივი რეპრესიები და საქართველო

1934 წელს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ლიდერის *სერგეი კიროვის,* რომელსაც სტალინი, შესაძლოა, თავის პოტენციურ კონკურენტად მოიაზრებდა, ბოლომდე გაუხსნელმა მკვლელობამ სტალინს საბაბი მისცა დაეწყო მასობრივი რეპრესიები „იმპერიალიზმის აგენტებისა და კონტრრევოლუციური ელემენტების წინააღმდეგ“. 1936-37 წლების ე. წ. „საჯარო“ პროცესებზე გაასამართლეს და მერე დაუყოვნებლივ დახვრიტეს ლენინის დროინდელი

პარტიული ელიტის საგრძნობი ნაწილი, სტალინის ძველი კოლეგები, მაღალი რანგის სამხედრო პირები, მარშლები და დივიზიის მეთაურები.

საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლი, რომლითაც ასამართლებდნენ ყველა „ხალხის მტერს“, სასიკვდილო განაჩენის გამოტანას მოასწავებდა. ხშირად ის, ვინც საკუთარ თანაპარტიელებს უმკაცრესად სჯიდა, ცოტა ხნის შემდეგ თვითონ აღმოჩნდებოდა განსასჯელის სკამზე და მასაც ელოდა „ნაგანის“ ტყვია კეფაში: ეს იყო სიკვდილით დასჯის საბჭოური მეთოდი.

რეპრესირებული „ყოფილი პარტიული ამხანაგების“ ადგილს სწრაფად იკავებდა ახალგაზრდა თაობა, რომელიც აღზრდილი იყო სტალინის გაღმერთების ატმოსფეროში.

1930-იანი წლებიდან სტალინის გარდაცვალებამდე (1953 წ.) საბჭოთა კავშირში, ძირითადად მის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ უკაცრიელ რეგიონებში, შეიქმნა შრომითი ბანაკების 430 სამმართველო, რომელთაგან თითოეული რამდენიმე ბანაკს მოიცავდა. მრავალმა მილიონმა ადამიანმა გაიარა ამ ბანაკებში, ბევრი იქვე მოკვდა. ისინი ამზადებდნენ ხე-ტყეს, შრომობდნენ მაღაროებში, მოიპოვებდნენ ქვანახშირს, ოქროს, ალმასებს, ურანს, ტყვიას, ვერცხლისწყალს, გაჰყავდათ არხები. მაგალითად, საბჭოთა პროპაგანდის მიერ ყბადაღებული „პირველი ხუთწლედის მიღწევა“ – 1933 წელს თეთრი ზღვიდან ონეგის ტბამდე მიყვანილი „სტალინის სახელობის თეთრი ზღვა-ბალტიის არხი“ 150 ათასი პატიმრის, ძირითადად „განკულაკებულების“, ხელითაა გათხრილი, რომელთა დიდი ნაწილის ძვლები არხის ნაპირებზე დარჩა.

რეპრესირებულთა (დახვრეტილთა, გადასახლებულთა) ოჯახის წევრები სხვადასხვა სახის დისკრიმინაციას განიცდიდნენ. მათ ართმევდნენ საცხოვრებელს, აქვეითებდნენ სამსახურში. ხოლო თუ ორივე მშობელი იყო რეპრესირებული, უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებს საბავშვო სახლებში აგზავნიდნენ, სადაც მათ შორის ცოცხლად გადარჩენილებს კომუნისტური სულისკვეთებით ზრდიდნენ.

1980-იან წლების ბოლოს გამოქვეყნებული საარქივო მასალის მიხედვით 1937-1938 წლებში „კონტრრევოლუციური და სხვა განსაკუთრებით საშიში დანაშაულისათვის“ საბჭოთა კავშირში გაასამართლეს 1,341 მილიონი ადამიანი, რომელთაგან 682 ათასს სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა, მიესაჯა. 660 ათასამდე ადამიანი 8-10 ან მეტი წლით გაამწესეს ბანაკებში, კოლონიებში, ციხეებში.

საბჭოთა კავშირში მეფობდა კრემლიდან მართული საყოველთაო *ტერორი* (ეს სიტყვა ძველბერძნულად „შიშს“, „ძრწოლას“ ნიშნავს). მისი გადაბრალება მხოლოდ უშიშროების ორგანოების ან ადგილობრივ ხელმძღვანელებზე არასწორია: ისინი ვერ იმოქმედებდნენ კრემლის პოლიტბიუროს დირექტივის გარეშე.

ბოროტებას გამართლება არ აქვს, მაგრამ აქვს ახსნა: კომუნისტური რეჟიმის განსამტკიცებლად და სრული დისციპლინისათვის მომავალ ომში (რასაც მსოფლიოში კომუნიზმის დამყარება უნდა მოჰყოლოდა: თავდაცვით ომზე კრემლში მაშინ არ ფიქრობდნენ) რეჟიმს სჭირდებოდა უსიტყვო მორჩილება. ამისათვის სტალინს საჭიროდ მიაჩნდა ქვეყანაში შიშის სინდრომის დანერგვა.

უპირველესად, „ხალხის მტრები“ უნდა მოენახათ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელებს შორის. მათი სიკვდილით დასჯა ცოცხლად დარჩენილი პარტიული ბიუროკრატიისა და სამხედრო პირების დასაშინებელი მაგალითი უნდა გამხდარიყო. აბსოლუტური რაოდენობით, რასაკვირველია, ბევრად მეტი რიგითი ადამიანი იქნა რეპრესირებული.

შიშის სინდრომი რომ ყველა ტერიტორიასა და ყველა ეთნიკურ ჯგუფს მეტნაკლებად თანაბრად გადასდებოდა, რაოდენობრივი კვოტების განსაზღვრა ძირითადად ხდებოდა მოსახლეობის რიცხოვნობის შესაბამისად: წინასწარ იგეგმებოდა გამოსავლენი „ანტი-საბჭოთა ელემენტის“ რაოდენობა თითოეულ მოკავშირე, ავტონომიურ რესპუბლიკაში, ოლქსა თუ ადმინისტრაციულ რაიონში.

XX საუკუნის ბოლოს გამომზეურდა კაგებე-ს არქივში იქამდე საიდუმლოდ დაცული შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, ნიკოლაი ეჟოვის 1937 წლის 30 ივლისის ოპერატიული ბრძანება №00447, რომელიც მოწონებული იქნა სტალინისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხვა წევრების მიერ.

ამ ბრძანების შესაბამისად ყველა რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის შინაგან საქმეთა ორგანოებს ევალებოდათ იმავე წლის 5 აგვისტოდან ოპერაციის დაწყება ყოფილი კულაკებისა და აქტიური ანტისაბჭოთა ელემენტების რეპრესირების მიზნით. ბრძანებაში ახსნილი იყო, თუ რა კატეგორიის ადამიანები უნდა დაეხვრიტათ (კატეგორია „ა“) და რა კატეგორიის ხალხი უნდა ყოფილიყო მსჯავრდებული 8-10 წლით ციხეში ან შრომით ბანაკებში გასაგზავნად (კატეგორია „ბ“). ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო „დაჩქარებული და გამარტივებული წესით“.

იმისათვის, რომ ვინმეს ადგილზე გულმოწყალება არ გამოეჩინა, საბჭოთა კავშირის რეგიონებში ზედამხედველებად და უმკაცრესი გადაწყვეტილების მისაღებად მივლინებულ იქნენ პოლიტბიუროსა და მთავრობის წევრები. ნიკიტა ხრუშჩოვს, რომელიც იმ დროს მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო და ადგილობრივ წმენდას წარმატებით უძღვებოდა, ვიაჩესლავ მოლოტოვთან და ნიკოლაი ეჟოვთან ერთად ერგოთ უკრაინა, ანასტას მიქოიანს – სომხეთი, გეორგი მალენკოვს – ბელორუსია, ლაზარ კაგანოვიჩს – სმოლენსკისა და ივანოვოს ოლქები და ა. შ. სწორედ ისინი აწერდნენ ხელს დასახვრეტი ადამიანების სიებს და თავიანთი გულმოდგინების დასამ-

ტკიცებლად დასახვრეტთა ახალ კვოტებს ითხოვდნენ. ოციოდე წლის შემდეგ სტალინის ავი საქმეების მამხილებელ *ნიკიტა ხრუშჩოვს* კარგად უნდა ხსომებოდა საკუთარი ხელმოწერა ათასობით უდანაშაულო ადამიანის დასახვრეტ სიებზე მოსკოვსა და უკრაინაში. ყველა იმდროინდელ საბჭოთა ლიდერს ხელები სისხლში ჰქონდა გასვრილი.

1937 წლის ოპერატიული ბრძანება №00447-ის შესაბამისად, საქართველოში დასახვრეტთა პირველი კვოტა (2000) ისეთივე იყო, რაც მოსახლეობით მასზე ორჯერ დიდ ბელორუსიაში და უტოლდებოდა მეზობელი აზერბაიჯანისა (1500) და სომხეთის (500) კვოტების ჯამს. ეს რიცხვები ადგილზე უნდა შეევსოთ რეპრესიისათვის განწირულთა გვარებით.

1937 წლის ბოლომდე რეპრესიის კვოტები საქართველოში 3,5-ჯერ (!) გაიზარდა.

2010-იან წლებში გერმანელმა და ქართველმა მეცნიერებმა დაამუშავეს 1937-1938 წლების რეპრესიების შესახებ საქართველოში შემორჩენილი მასალები (მათი საკმაო ნაწილი არ გადარჩა). ამ არასრული მონაცემებითაც კი რეპრესირებულთა რიცხვი უზარმაზარია. ყველა არასასამართლო ინსტანციის მიერ 1937-1938 წლებში საქართველოში მსჯავრდებული იქნა 25430 ადამიანი, მათგან 10930 დაიხვრიტა. თუ ამ მაჩვენებლებს შევუფარდებთ 20-69 წლის მამრობითი სქესის მოსახლეობის რაოდენობას (სწორედ ასეთი ასაკის ადამიანებს შეეხო რეპრესიების 95 პროცენტი საქართველოში), გამოვა, რომ ასეთი მამაკაცების საერთო რაოდენობის 2,3 პროცენტი იქნა რეპრესირებული, ხოლო 1,1 პროცენტი – დახვრიტეს.

1937-1938 წლებში საქართველოში რეპრესირებულთა შორის ეთნიკური ქართველები 59 პროცენტს შეადგენდნენ: ეს იყო 12,5 ათასი ადამიანი. მათგან 5,5 ათასს მიესაჯა დახვრეტა, რაც დაუყოვნებლივ აღსრულდა. რეპრესირებულთა დანარჩენი 41 პროცენტი მოდიოდა საქართველოს ეროვნულ უმცირესობებზე, რომლებიც იმ დროის საქართველოს მოსახლეობის 39 პროცენტს შეადგენდნენ.

ისე არ უნდა გავიგოთ, რომ საქართველო და ქართველები ყველაზე მეტად დაზარალდნდენ სტალინური რეპრესიებისგან: ტერორი „პროპორციების დაცვით“ ხორციელდებოდა და ყველა რესპუბლიკას, ყველა ეთნიკურ ჯგუფს თავისი რიცხოვნობის მეტნაკლებად თანაზომიერი მსხვერპლი უნდა გაეღო.

საქართველოში რეპრესირებულთა შორის ყოველთვის გვახსენდება ცნობილი პირები, მაგალითად დირიჟორი ევგენი მიქელაძე, რეჟისორი სანდრო ახმეტელი, პოეტი ტიციან ტაბიძე, პროზაიკოსი მიხეილ ჯავახიშვილი, მეცნიერი გრიგოლ წერეთელი, ფოლკლორისტი ვახტანგ კოტეტიშვილი, მხატვარი პეტრე ოცხელი და ა.შ. მაგრამ სტალინური ტერორისაგან არც უბრალო ხალხი იყო დაცული. ადამიანები ერთმანეთს არ ენდობოდნენ. და-

ბეზღებამ მასობრივი მასშტაბი მიიღო. პარტია ზრუნავდა, რომ „ქრისტიანული მორალი“ და „ბურჟუაზიული ჰუმანიზმი“ ხალხში მთლიანად წაშლილიყო.

1938 წლის ბოლოს სტალინმა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად (მინისტრად) დანიშნა 39 წლის *ლავრენტი ბერია,* რომელიც იქამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს კომუნისტურ პარტიას. სისხლიან მასობრივ რეპრესიებში საქართველოში ბერიას დიდი როლი ჰქონდა შესრულებული. მაგრამ საკავშირო თანამდებობაზე ბერიას დანიშვნის შემდეგ საბჭოთა კავშირში რეპრესიების ინტენსივობამ იკლო. დაპატიმრებულთა ნაწილი გამოუშვეს კიდეც. ეს არ იყო ბერიას „გულმოწყალების“ შედეგი: ქვეყანაში ობიექტურად შეიქმნა სპეციალისტებისა და ხელმძღვანელი კადრების დეფიციტი, რაც კრემლში იგრძნეს. თანაც ხალხის მასას უკვე კარგად გაუჯდა შიში. ახლა შეიძლებოდა ყველაფრის გადაბრალება „ეჟოვის ინიციატივაზე“: ის და მისი მოადგილე დახვრიტეს!

1937-1938 წლების რეპრესიების გამეორების შიში იმდენად ჩაიჭედა საბჭოთა ადამიანების, მათ შორის პარტიული მუშაკების, მეხსიერებაში, რომ თაობები ვერ ბედავდნენ რეჟიმის მიმართ რაიმე ოპოზიციური აზრის გამოთქმას.

საბჭოეთის კულტურული პოლიტიკა: განზრახვა და რეალური შედეგი

სამხედრო ძლიერების განსამტკიცებლად საბჭოთა სახელმწიფოს სჭირდებოდა უამრავი ინჟინერი და ტექნიკოსი, აგრეთვე მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ქიმიკოსი, გეოლოგი და სხვა დარგის სპეციალისტი, რომელთაც პრაქტიკული სარგებლობის მოტანა შეეძლოთ. ამიტომ დაიწყო სერიოზული ზრუნვა **მეცნიერებაზე** და მოხერხდა ბევრი ისეთი ტექნიკური და საბუნებისმეტყველო დარგის განვითარება, რომლებიც საბჭოთა კავშირს გამოადგა II მსოფლიო ომში და „ცივი ომის“ დროსაც.

საბჭოთა კავშირში, ქვეყანაში, რომელიც მსოფლიოს ჩაგრული კლასებისათვის „იმედის შუქურის“ როლს ჩემულობდა, მართლაც შეიქმნა ფართო ფენების მიერ უფასო **განათლების** მიღების საშუალება. ჯერ დაწყებითი, შემდეგ – არასრული საშუალო განათლება სავალდებულო გახდა. მალე აღმოიფხვრა წერა-კითხვის უცოდინარობა.

საბჭოურ უმაღლეს განათლებას, რომელიც უფასო იყო, გეოგრაფიულად მკვეთრი ხარისხობრივი სხვაობები ჰქონდა. მართლა კარგ სპეციალისტს ომამდელ საბჭოთა კავშირში სულ ორიოდე ათეული უმაღლესი სასწავლებელი ამზადებდა, სადაც რევოლუციამდელი კადრები ან მათი მოწაფეები შემორჩა – მოსკოვში, ლენინგრადში, ყაზანში, კიევში, ხარკოვში, ოდესაში, თბილისში, ერევანსა და რამდენიმე სხვა ქალაქში. სხვა მოკავშირე და ავ-

ტონომიური რესპუბლიკების საგანმანათლებლო და სამეცნიერო დონის ასამაღლებლად მათ დედაქალაქებში შექმნილი უნივერსიტეტები არც თუ მაღალი დონის სპეციალისტებს უშვებდნენ.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში (გარდა საქართველოსი და სომხეთისა, ხოლო 1940-იანი წლებიდან, ბალტიის რესპუბლიკებისა) და ყველა ავტონომიაში უმაღლესი განათლების მიღება ძირითადად, თუ მთლიანად არა, რუსულ ენაზე ხდებოდა.

ყველა ტოტალიტარულ სახელმწიფოში ზრუნავენ **კულტურის** განვითარებაზე, მაგრამ ფინანსდება კულტურის მხოლოდ იმ სეგმენტი, რომელიც ემსახურება სახელმწიფო იდეოლოგიას.

საბჭოთა კავშირში (ისევე, როგორც ნაცისტურ გერმანიაში და ფაშისტურ იტალიაში), ყველგან ნახავდით სტალინის (იქ: ჰიტლერისა და მუსოლინის) პორტრეტებს, ან მუშებისა და გლეხების (იქ: „არიელებისა“ და „რომაელების“) გამოსახულებებს.

საბჭოთა კავშირში (ისევე, როგორც ნაცისტურ გერმანიასა და ფაშისტურ იტალიაში), ვითარდებოდა მონუმენტური არქიტექტურა: აგებდნენ უშველებელ სამთავრობო შენობებს და გიგანტურ ქანდაკებებს; იღებდნენ ფილმებს პატრიოტულ თემებზე; კომპოზიტორები წერდნენ მარშებს და „იდეოლოგიურად გამართლებულ“ გუნდურ სიმღერებს, ოპერებსა და ბალეტებს; სტალინს (ასევე ჰიტლერსა და მუსოლინის) უყვარდათ ოპერა: ხელოვნების ეს დარგი ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. საბჭოთა ბალეტი კი მართლაც გამორჩეული იყო მსოფლიოში.

დაკვირვებული მკვლევარი შეამჩნევს ბევრ მსგავსებას „სოციალისტურ რეალიზმსა“ და „ნაცისტურ ხელოვნებას“ შორის. როგორც სტალინი, ისე ჰიტლერი ვერ იტანდნენ სიურრეალიზმს, აბსტრაქციონიზმს, ყველაფერს „დეკადენტურს, გაუკუღმართებულსა და ხალხის გამრყვნელს“. ორივე ტოტალიტარულ სახელმწიფოში ასეთი სახის ხელოვნება აკრძალული იყო.

საბჭოთა ერების კულტურა უნდა ყოფილიყო „ფორმით ეროვნული, შინაარსით – სოციალისტური“, მას ხელი უნდა შეეწყო „სოციალიზმის მშენებლობისა“ და „პარტიის გენერალური ხაზის გატარებისათვის“. „გენერალური ხაზი“ ნიშნავდა პარტიის იმდროინდელ პოლიტიკას, მაგალითად, კოლექტივიზაციას, ინდუსტრიალიზაციას, „ხალხის მტრებთან“ ბრძოლას. ამ თემებზე იწერებოდა შესაბამისი რომანები, პოემები, ოპერები.

1930-იანი წლების დამდეგიდან კონტროლი საბჭოთა კულტურის მოღვაწეებზე გამკაცრდა. ისინი შერჩევის საფუძველზე უნდა გაერთიანებულიყვნენ საბჭოთა კავშირში ერთადერთ შესაბამის შემოქმედებით კავშირში (მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, თეატრალურ მოღვაწეთა, არქიტექტორთა, ჟურნალისტთა კავშირში და ა.შ.), რომელსაც სახელმწიფო აფინანსებდა და აკონტროლებდა. რესპუბლიკებში არსებული ანალოგიური შემოქ-

მედებითი კავშირები მოსკოვში განლაგებული ცენტრალური ორგანიზაციების ფილიალები იყო.

მოსკოვში პერიოდულად ტარდებოდა მოკავშირე რესპუბლიკების „კულტურის დეკადები“ და, ამდენად, ადგილობრივი პარტიული ხელმძღვანელობა ცდილობდა თავი გამოეჩინა ბელადის წინაშე. ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში მიმდინარეობდა კულტურული მშენებლობა. ნორმად იქცა რესპუბლიკების დედაქალაქებში ოპერისა და ბალეტის თეატრისა, სხვა თეატრებისა და შესაბამისი დასების არსებობა, რაც, რასაკვირველია, გულისხმობდა მხატვრული განათლების დაწესებულებების ქსელის შექმნასა და დაფინანსებას.

ოფიციალურად მიჩნეული იყო, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ხდება „სოციალისტური ერის“ ფორმირება. ყველგან მიმდინარეობდა საბჭოთა პატრიოტიზმის აღზრდა. ლექსები უნდა მიეძღვნათ ლენინისათვის, სტალინისათვის, კომუნისტური პარტიისა და წითელი არმიისათვის, აგრეთვე – ადგილობრივი ბელადებისათვის. მაგალითად, საქართველოში ლექსებს და სიმღერებს უძღვნიდნენ ლავრენტი ბერიას (ოღონდ 1953 წლამდე: იმ წელს ის შეეწირა ძალაუფლებისათვის ბრძოლას კრემლში, რის შემდეგაც ოფიციალურად გამოცხადდა „ხალხის მტრად და იმპერიალიზმის აგენტად“).

ყველა მოკავშირე, ავტონომიურ რესპუბლიკაში, ავტონომიურ ოლქში საერთო სტანდარტით იწერებოდა რესპუბლიკის/ოლქის „ისტორია უძველესი დროიდან ჩვენს დღეებამდე“. მასში უნდა ასახულიყო არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული მითოლოგიზებული შედეგები, „ადრეფეოდალური“ და „განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქის სახელმწიფოებრიობა“ (ეს „ეპოქები“, უმეტეს შემთხვევაში, საერთოდ არ არსებობდა!). ოფიციალური ისტორიის დიდი ნაწილი ეთმობოდა „რუსეთის მფარველობაში შესვლის პოზიტიურ შედეგებს“, „დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციასა და სოციალიზმის მშენებლობას“, „ეროვნული კულტურის გაფურჩქვნას სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის პირობებში“.

მიუხედავად პრიმიტიული კლიშეებისა, ასე დაწერილი ისტორიაც უწყობდა ხელს ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას არარუსულ რესპუბლიკებში. პარადოქსულად, საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა, რომელიც თეორიულად მიმართული იყო „ერთიანი საბჭოთა ხალხის ფორმირებისაკენ“, პრაქტიკულად ხელს უწყობდა ახალი ერების ფორმირებას.

ყველაფერი ზემოხსენებული საბჭოთა კავშირში ხორციელდებოდა 1920-იანი წლებიდან მოყოლებული 1980-იან წლებამდე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 1960-იანი წლებიდან საბჭოთა კულტურული პოლიტიკის განხორციელება ნაკლებ რეპრესიული მეთოდებით ტარდებოდა და კომუნისტური ხელისუფლების მხრიდან ერთგვარი შერბილების ტენდენცია იგრძნობოდა.

საბოლოოდ კი, კრემლის სუბიექტური მიზნის საწინააღმდეგოდ, რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში, საბჭოთა ნაციონალური კულტურის განვითარება ობიექტურად აღმოჩნდა ნაციონალური კულტურული ელიტების შექმნის საფუძველი.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში რესპუბლიკებისა და მთელი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ განვითარებაში, რასაც კავშირის დაშლა მოჰყვა, ამ ელიტების როლი ძალიან დიდი აღმოჩნდა.

კითხვები ლექცია 7-ის თემაზე:

1. რა იყო საბჭოეთის სამი საყრდენი? იმსჯელეთ
2. რას წარმოადგენდა ნეპ-ი და როგორ ხორციელდებოდა ის საქართველოში?
3. რატომ და როგორ ხორციელდებოდა ინდუსტრიალიზაცია საბჭოთა კავშირში
4. რატომ და როგორ ხორციელდებოდა კოლექტივიზაცია საბჭოთა კავშირში?
5. რა გავლენა მოახდინა კოლექტივიზაციამ მოსახლეობის დინამიკასა და მიგრაციებზე?
6. რატომ და როგორ ხორციელდებოდა მასობრივი რეპრესიები 1930-იანი წლების სსრკ-ში?
7. როგორ ხორციელდებოდა კულტურული პოლიტიკა საბჭოთა კავშირში?

ლექცია 8

სამხრეთი კავკასია კრემლის ომისშემდგომ პოლიტიკაში

II მსოფლიო ომი და მისი გეოპოლიტიკური შედეგები

1939 წლის 1 სექტემბერს ნაცისტური გერმანიის თავდასხმით პოლონეთზე დაიწყო II მსოფლიო ომი. პოლონეთის მხარეს ომში დაუყოვნებლივ ჩაებნენ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, თუმცა მათი სამხედრო მოქმედება არც თუ ეფექტიანი გამოდგა.

ომის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, 1939 წლის 23 აგვისტოს, საბჭოთა კავშირმა და ნაცისტურმა გერმანიამ მოსკოვში გააფორმეს ხელშეკრულება (ე.წ. „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი“), რომლის საიდუმლო დანართის თანახმად ორმა დიქტატორმა, სტალინმა და ჰიტლერმა, შუაზე გაიყვეს პოლონეთის ტერიტორია. ჰიტლერი ჩქარობდა პოლონეთთან ომის დაწყებას და მზად იყო დათანხმებულიყო სტალინის ნებისმიერ მოთხოვნას. ამიტომაც გერმანული მხარე დაეთანხმა სტალინს, რომ საბჭოთა კავშირის „ინტერესთა სფეროში“ შედიან ბალტიის ქვეყნები (ფინეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი) და რუმინეთის შემადგენლობაში მყოფი ბესარაბია (ისტორიული მოლდოვას ნაწილი). საბჭოთა კავშირმა 1939-1940 წლებში სასწრაფოდ შეიერთა ეს ქვეყნები და ტერიტორიები (ფინეთის დიდი ნაწილის გარდა, რადგან პატარა ფინეთმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია აგრესორს).

ომის შემდეგ ნაცისტების არქივები ამერიკელებს ჩაუვარდათ ხელში და ჰიტლერ-სტალინის გარიგების საიდუმლო დანართის ტექსტი მათ უკვე 1948 წელს გამოაქვეყნეს. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა კი მომდევნო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ურცხვად უარყოფდა ამ ტექსტის ნამდვილობას.

1939 წლის აგვისტოს ბოლოდან 1941 წლის ივნისამდე საბჭოთა პრესა, რომელიც კომპარტიის მიერ იმართებოდა, „აგრესორებად“ მოიხსენიებდა დასავლეთის დემოკრატიებს და ნაცისტების დაპყრობით პოლიტიკას კრიტიკის გარეშე აშუქებდა. საბჭოთა პრესის რიტორიკა რადიკალურად შეიცვალა 1941 წლის 22 ივნისის შემდეგ, როდესაც ვერმახტი შეიჭრა საბჭოეთის ტერიტორიაზე (Wermacht იყო ნაცისტური გერმანიის არმიის სახელი). მხოლოდ იმ დღიდან ჩაერთო საბჭოთა კავშირი II მსოფლიო ომში.

ჰიტლერი საბჭოთა კავშირზე თავდასხმას „პრევენციული მოქმედების“ საბაბით ამართლებდა. უზარმაზარი „წითელი არმია“, რომელსაც იმ დროს ვერმახტზე გაცილებით მეტი ავიაცია, ტანკები, არტილერია და უდიდესი პირადი შემადგენლობა ჰქონდა, მართლაც იყო კონცენტრირებული გერმანიისა და რუმინეთის საზღვრებთან. რუმინეთში მდებარეობდა ნავთობის ის ბუ-

დობები, რომლების საწვავითაც მარაგდებოდა „ვერმახტი“. ბევრი პირდაპირი და ირიბი ფაქტი მოწმობს, რომ საბჭოთა არმია თავად ემზადებოდა ოპერაციისათვის რუმინეთის ნავთობის საბადოების გასანადგურებლად და გერმანიაზე შეტევისათვის, რასაც დასავლეთის დემოკრატიები ნამდვილად მოუწონებდნენ.

დიდმა ბრიტანეთმა, რომელიც იქამდე ორი წლის განმავლობაში მარტო ებრძოდა ნაციზმს (საფრანგეთი 1940 წელს დამარცხდა და გამოეთიშა თავის მოკავშირეს), დაუყოვნებლივ შესთავაზა მოკავშირეობა საბჭოთა კავშირს, რასაც სტალინი, ბუნებრივია, დათანხმდა. დიდ ბრიტანეთთან და საბჭოთა კავშირთან „ანტიჰიტლერულ კოალიციაში“ 1941 წელს გაერთიანდა ამერიკაც, რომელსაც არ შეეძლო დაეშვა თავისი ტრადიციული მოკავშირის, დიდი ბრიტანეთის, დამარცხება და პოტენციური კონკურენტის, გერმანიის, გამარჯვება. ამერიკამ უდიდესი სამხედრო-ტექნიკური დახმარება აღმოუჩინა საბჭოთა კავშირს „ლენდ-ლიზის“ კანონის შესაბამისად, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა მსოფლიო ომის შედეგი.

როგორც მეოთხედი საუკუნით ადრე, I მსოფლიო ომის დაწყებისას, რიგით ამერიკელებს არ სურდათ ოკეანის გადაღმა „ევროპელების ომში“ მონაწილეობა. ფორმალურად ამერიკა ომში ჩაითრია იაპონიამ, რომელიც 1941 წლის 7 დეკემბერს თავს დაესხა ამერიკულ პერლ-ჰარბორის სამხედრო--საზღვაო ბაზას ჰავაის კუნძულებზე. იმავე წლის 11 დეკემბერს აშშ-ს ომი თავად ნაცისტურმა გერმანიამ გამოუცხადა.

ბრიტანეთისა და ამერიკის არმიებს საომარი მოქმედება მოუხდათ მრავალ ფრონტზე: სამხრეთ და დასავლეთ ევროპაში – გერმანიის წინააღმდეგ, აღმოსავლეთ აზიასა და წყნარ ოკეანეში – იაპონიის წინააღმდეგ, ჩრდილოეთ აფრიკაში – გერმანიისა და იტალიის (1943 წლამდე) წინააღმდეგ. თავისი მოკავშირეებისაგან განსხვავებით საბჭოთა კავშირს მხოლოდ ერთი ფრონტი ჰქონდა – გერმანიასთან. აღმოსავლეთ აზიაში საბჭოთა არმია შეტევაზე გადავიდა მხოლოდ 1945 წლის 9 აგვისტოს, როდესაც იაპონია ფაქტობრივად დამარცხებული იყო: 6 და 9 აგვისტოს მისი ორი ქალაქი, ჰიროშიმა და ნაგასაკი, ამერიკულმა ატომურმა ბომბებმა მოსპო და 14 აგვისტოს იაპონიამ წინააღმდეგობა შეწყვიტა.

1945 წელს მოკავშირეებმა დაამარცხეს ნაცისტური გერმანია და იაპონია.

საბჭოთა კავშირი იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელიც II მსოფლიო ომის შემდეგ ტერიტორიულად გაფართოვდა. „ანტიჰიტლერული კოალიციის“ მოკავშირეებთან ომისდროინდელი მოლაპარაკებების გზით (თეირანი, 1943; იალტა, 1945) სტალინმა მიაღწია მათ თანხმობას, რომ 1939 წელს ნაცისტურ გერმანიასთან გარიგების შედეგად დაპყრობილი ტერიტორიები, მათ შორის პოლონეთის თითქმის ნახევარი, დარჩებოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის პირველი პირები დაეთანხმნენ სტა-

ლინს, რომ პოლონეთისათვის მიეცათ ტერიტორიული კომპენსაცია დამარცხებული გერმანიის ხარჯზე და საბჭოთა კავშირს მიეღო გერმანული პროვინციის, აღმოსავლეთ პრუსიის, ჩრდილოეთი ნაწილი, რომელიც დღემდე არის რუსეთის ფედერაციის ექსკლავი ბალტიის ზღვაზე „კალინინგრადის ოლქის“ სახელით. დამარცხებული გერმანია დაიყო ოთხ (საბჭოთა, ამერიკულ, ბრიტანულ და ფრანგულ) საოკუპაციო ზონად.

დასავლეთ ნაწილში მდებარე სამი საოკუპაციო ზონის ტერიტორიაზე 1949 წელს მრავალპარტიული დემოკრატიის საფუძველზე შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ხოლო აღმოსავლეთ, საბჭოთა, ზონაში – გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ერთპარტიული (კომუნისტური) მმართველობით.

დამარცხებულ იაპონიასთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების გარეშე საბჭოთა კავშირმა შეიერთა კ. სახალინის სამხრეთი ნაწილი და, აგრეთვე, კურილის კუნძულები: ამ უკანასკნელთ იაპონია დღემდე ედავება რუსეთის ფედერაციას.

ომისშემდგომი საბჭოთა პოლიტიკა ეჭვს არ ტოვებდა, რომ ის ესწრაფვოდა ცენტრალურ ევროპასა და ბალკანეთში შეექმნა მთლიანად საკუთარ პოლიტიკას დაქვემდებარებული ე. წ. „სახალხო დემოკრატიის“ ქვეყნები ადგილობრივი კომუნისტური პარტიებით სათავეში. ის ჩინეთშიც დომინირებდა, მართალია, მცირე დროით. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირი გეგმავდა სამხრეთ კავკასიის მიმდებარე ქვეყნებში, თურქეთსა და ირანში, არსებული რეჟიმების შეცვლას (ამ საკითხს ლექციის მეორე ნაწილში შევეხებით).

1940-იან წლებამდე ამერიკის საგარეო პოლიტიკის ინტერესების სფერო არ სცდებოდა ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის კონტინენტებს. ისე, როგორც I მსოფლიო ომის შემდეგ, 1945 წელსაც ამერიკელების უმრავლესობა ისევ ამჯობინებდა, რომ მათი ქვეყანა ჩამოშორებოდა „ძველი სამყაროს“ საქმეებს. მაგრამ II მსოფლიო ომში ევროპა ძალიან დაინგრა. ამერიკის მხრიდან გაპარტახებული ევროპის მიტოვება ქმნიდა საბჭოთა კავშირიდან „კომუნიზმის ექსპორტის“ საფრთხეს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „მარშალის გეგმის“ შესაბამისად ევროპის დაზარალებულ ქვეყნებს, მათ შორის, დასავლეთ გერმანიას, ეკონომიკის აღსადგენად გამოუყო ჯამში 17 მილიარდი დოლარი, რაც მაშინ ძალიან დიდი თანხა იყო.

პარალელურად აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპაში სწრაფად იზრდებოდა საბჭოთა გავლენა. უკვე 1946 წლიდან დაიწყო „ცივი ომი“. მსოფლიო გაიყო ორ ბანაკად, რომლებიც გაერთიანდნენ, ერთი მხრივ, აშშ-ის და, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირის ირგვლივ. ამერიკამ დაიწყო სამხედრო ბლოკების შექმნა („ნატო“ 1949 წელს დაარსდა), სამხედრო ბაზების დაარსება საბჭოთა კავშირის ირგვლივ და ა.შ.

„ცივი ომი“ 1990 წელს დასრულდა. იმ წელს გერმანიის ორი სახელმწიფო გაერთიანდა. საბჭოთა კავშირი 1991 წელს დაიშალა და მისი სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია თითქოს ამჟღავნებდა ნებას განვითარებულიყო „ევროპული დემოკრატიის“ მიმართულებით, მაგრამ ეს ხანმოკლევადიანი ილუზია აღმოჩნდა. მე-12 ლექციაში ვისაუბრებთ იმაზე, თუ რატომ და როგორ დაუბრუნდა რუსეთი მისთვის ჩვეულ საგარეო პოლიტიკას.

მაგრამ იქამდე უნდა განვიხილოთ, თუ რა ხდებოდა საბჭოთა კავშირში 1940-იან წლებში და რა გავლენა ჰქონდა ამ მოვლენებს საქართველოსა და, ზოგადად, სამხრეთ კავკასიაზე.

ხალხთა დეპორტაცია საბჭოთა კავშირში

1943-1944 წლებში, როდესაც საბჭოთა არმიამ გერმანულ ვერმახტთან საბრძოლო მოქმედება კავკასიიდან შორს გადაიტანა და გერმანიის დამარცხება გარდაუვალი გახდა, სტალინმა საჭიროდ მიიჩნია გამოეყენებინა კოლექტიური დასჯის შუა საუკუნეების დროინდელი მეთოდი – ხალხების დეპორტაცია. ეს იყო ეთნიკური გეოგრაფიის ხელოვნურად შეცვლის მცდელობა.

კოლექტიური პასუხისმგებლობა დაეკისრათ საბჭოთა კავშირის იმ ეთნოსებს, რომელთაც ბრალად დაედოთ მტერთან თანამშრომლობა ხანმოკლე გერმანული ოკუპაციის პერიოდში (ასეთებად გამოცხადდნენ ყირიმელი თათრები, ყარაჩაელები, ბალყარელები, ყალმუხები), ან ასეთი თანამშრომლობის განზრახვა (ასეთ ხალხებად გამოცხადდნენ ჩეჩნები და ინგუშები: მათი განსახლების ტერიტორიის ოკუპაცია ვერმახტმა ვერ მოასწრო).

ნაცვლად იმისა, რომ გამოევლინებინათ და დაესაჯათ ნაცისტებთან თანამშრომლობაში რეალურად მხილებული პირები, კრემლში გადაწყდა მთელი ეთნოსების აყრა თავიანთი განსახლების ადგილებიდან და მათი გადასახლება ციმბირსა და ცენტრალურ აზიაში. იქ მათ დაუწესდა მკაცრი ადმინისტრაციული ზედამხედველობა, რათა ვინმეს უკან დაბრუნებაზე არ ეფიქრა.

უფრო ადრე, 1941 წლის ზაფხულში, გერმანიასთან ომის დაწყებისთანავე, ევროპული რუსეთიდან, უპირატესად ვოლგისპირეთიდან, სამხრეთ კავკასიიდან, მათ შორის საქართველოდან, პრევენციულად (წინსწრებით) გაასახლეს იქ მცხოვრები გერმანელები: ისინი ყაზახეთში, ყირგიზეთსა და ციმბირში გაგზავნეს.

1944 წლის ბოლოს სამხრეთ კავკასიიდან გაასახლეს მესხეთის მუსლიმი მოსახლეობა: ამ შემთხვევაში კრემლს კონკრეტული გეოპოლიტიკური მიზანი ჰქონდა, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ყველა ხალხის დეპორტაციას დიდი ადამიანური მსხვერპლი მოჰყვა. ახალ ადგილზე, ხანდახან ტრიალ მინდორში, დამკვიდრება უმძიმესი გამოცდა იყო, რასაც უამრავი დეპორტირებულის სიცოცხლე შეეწირა.

რუსეთის იმპერიის დროინდელი დეპორტაციები

ჩრდილოეთ კავკასიიდან მთიელების განდევნა რუსეთისათვის ახალი ამბავი არ ყოფილა. ასე გაკეთდა 1860-იან წლებში, როდესაც ადიღურ ტომებს (თურქები და, მათი მიბაძვით, რუსებიც, ამ ეთნიკურ ჯგუფებს *ჩერქესებს/ჩერქეზებს* უწოდებდნენ) პეტერბურგმა უბიძგა ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებისაკენ. დღევანდელი კრასნოდარის მხარე დაიცალა ადიღური მოსახლეობისაგან. მხოლოდ შავი ზღვის ნაპირის გასწვრივ შემორჩენილი ზოგი ადიღური ტოპონიმი (სოჩა/სოჩი, ტუაფსე, მზიმთა, კუდეფსტა, აიბღა, ჩვიჟეფსე და სხვ.) მიუთითებს მათ ოდინდელ მცხოვრებლებზე. განდევნილი ადიღების უზარმაზარ ნაკადს უფრო მცირე რაოდენობით მიაყოლეს მუსლიმი ვაინახები (ჩეჩნები და ინგუშები), მუსლიმი ოსები, მუსლიმი თიურქულენოვანი ყუმუხები (კუმიკები). 1866 და 1878 წლებში რუსეთის იმპერიამ ოსმალეთში წასასვლელად უბიძგა მუსლიმი აფხაზების საგრძნობ ნაწილს.

როგორ შეიცვალა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური გეოგრაფია მოსახლეობის დეპორტაციების შედეგად?

დეპორტაციებმა გამოიწვია საბჭოთა კავშირის ეთნიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის ნაწილობრივი შეცვლა.

- გაუქმდა რსფსრ-ის შემადგენლობაში იქამდე არსებული ყირიმის ასსრ. ყირიმელი თათრების აყრის შედეგად რადიკალურად შეიცვალა ყირიმის ნახევარკუნძულის მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა. ომის შემდეგ იქ მიზანმიმართულად ჩაასახლეს ეთნიკური რუსები, მათ შორის ომის ვეტერანები ოჯახებთან ერთად. ყირიმში შეიქმნა დიდი რუსული თემი. აქვე უნდა დავუმატოთ, რომ 1954 წელს კრემლის გადაწყვეტილებით ყირიმის ნახევარკუნძული რსფსრ-ის შემადგენლობიდან უკრაინის სსრ-ს გადაეცა;
- 1943 წელს ყაბარდო-ბალყარეთიდან გაასახლეს თიურქულენოვანი ბალყარელები, ხოლო ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან – ასევე თიურქულენოვანი ყარაჩაელები;
- საქართველოს სსრ მესტიის რაიონს შეუერთდა ბალყარეთის ტერიტორიის ნაწილი და საქართველოს შემადგენლობაში აღმოჩნდა იალბუზის მთა;
- ყარაჩაელების განსახლების მთელი არეალი შეუერთდა საქართველოს სსრ-ს და იქ შეიქმნა ქლუხორის რაიონი. ყარაჩაის ცენტრს, ქალაქ მიკოიან-შახარს, გადაერქვა სახელი და მას ქლუხორი ეწოდა (ახლა ამ ქალაქს კარაჩაევსკი ეწოდება);

- 1944 წელს გაუქმებული ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ის ადგილზე შეიქმნა გროზნის ოლქი და იქ ეთნიკური რუსების დასახლება დაიწყო;
- ჩეჩნეთ-ინგუშეთის გაუკაცრიელებულ მთიანეთში, ითუმკალეს რაიონისა და, ნაწილობრივ, შატოის რაიონის ხარჯზე, შეიქმნა საქართველოს სსრ-ის ახალხევის რაიონი;
- ყაზბეგის რაიონი უმნიშვნელოდ გაფართოვდა დარიალის ხეობაში, ჩრდილოეთ ოსეთს დაქვემდებარებული მცირე ტერიტორიის ხარჯზე. ბატონიშვილ ვახუშტის თხზულების „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მიხედვით სოფლები ზემო და ქვემო ლარსი, დარიალი, ჩმი და ორიოდე სხვა მცირე სოფელი ისტორიულად მართლაც შედიოდა ქართული პროვინცია ხევის შემადგენლობაში;
- ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ-ს საგრძნობი ტერიტორიული კომპენსაცია მიეცა ინგუშეთისა და ყაბარდოს ხარჯზე.

1943-1944 წლებში საქართველოს სსრ-ის ტერიტორია ათიოდე პროცენტით გაფართოვდა ჩრდილოეთ კავკასიის ხარჯზე (ნახ.15). მაგრამ ჩეჩენ-ინგუშებისა და ყარაჩაელ-ბალყარების მიწები ნამდვილად არ იყო ქართული. საქართველოს არ ესაჭიროებოდა ეს „საჩუქარი“, თუნდაც მასში ყოფილიყო



ნახ. 15.

საქართველოს სსრ-ის ტერიტორია 1944-1955 წლებში

(წყარო: საჯაროდ გამოქვეყნებული რუკა)

ევროპის უმაღლესი მწვერვალი – იალბუზი. ამ ტერიტორიების სრულად ათვისება ქართველი ერის რეალურ დემოგრაფიულ პოტენციალს აღემატებოდა. ახალ რაიონებში იძულებით ჩაასახლეს ისედაც მცირერიცხოვან ქართველ მთიელთა სუბეთნოსები – სვანები, ფშავ-ხევსურები, მოხევეები, თუშები. თბილისს ეს ტერიტორიები რესპუბლიკური ბიუჯეტით უნდა შეენახა: ამ მთიან მხარეებს შემოსავალი თითქმის არ მოჰქონდათ.

რა შედეგები მოჰყვა დეპორტირებული ხალხებისათვის ბრალეულობის მოხსნას?

XVIII-XIX საუკუნეების განმავლობაში თავისუფლებისმოყვარე ვაინახები (ჩეჩნები და ინგუშები) უდიდეს წინააღმდეგობას უწევდნენ რუსეთის იმპერიას, რომელიც მეთოდურად იპყრობდა კავკასიას. 1944 წელს სტალინმა „ვაინახების პრობლემა“ რუსეთს „მოუგვარა“, როგორც ის ფიქრობდა – „სამუდამოდ“, როდესაც ჩვეული დაუნდობლობით ბრძანა ყველა ჩეჩნისა და ინგუშის ცენტრალურ აზიაში გადასახლება.

1955-1957 წლებში საბჭოთა კავშირში ხდებოდა სტალინური რეპრესიების შედეგად დაღუპულთა და დაზარალებულთა რეაბილიტაცია. უამრავ ადამიანს მოეხსნა ყალბი ბრალდება, თუნდაც სიკვდილის შემდეგ. ჩრდილოკავკასიელ ხალხებსაც მოუხსნეს ბრალდება სახელმწიფო ღალატში და მათ უკან დაბრუნების ნება დართეს. ქართველმა მოახალშენეებმა მაშინვე ჩააბარეს სახლები ძველ მფლობელებს და სამშობლოში დაბრუნდნენ. ქართველებისა და ჩრდილოკავკასიელების კონფლიქტი, საბედნიეროდ, არ მომხდარა.

საქართველოს სსრ-ის ტერიტორია აღდგა ომამდელ საზღვრებში, რაც თითქმის 70 ათას კვ. კმ-ს შეადგენდა. ისევ შემცირდა ყაზბეგის რაიონი.

ამავე დროს, ჩრდილოეთ კავკასიაში გაჩნდა ეთნიკური კონფლიქტების კერები. 1940-იანი წლების „ტერიტორიული ცვლილებების“ გამოძახილი იყო 1992 წელს მომხდარი სისხლიანი დაპირისპირება ინგუშებსა და ოსებს შორის. საქმე ისაა, რომ 1944 წელს ჩრდილოეთი ოსეთი გაფართოვდა ქ. ვლადიკავკაზის აღმოსავლეთით, პრიგოროდნი რაიონის ხარჯზე (დაახლოებით 1000 კვ. კმ ფართობით), სადაც ისტორიულად უმეტესად ინგუშები ცხოვრობდნენ. 1957 წელს ეს რაიონი ინგუშებს არ დაუბრუნდა და ის ოსებს დაუტოვეს, რაც ეთნოტერიტორიული კონფლიქტის წყაროდ იქცა.

1950-იან წლებში უკან დაბრუნების უფლება არ მიეცა ოთხ დეპორტირებულ ეთნიკურ ჯგუფს: ყირიმელ თათრებს, ვოლგისპირელ და კავკასიის გერმანელებს, კორეელებსა და მესხეთის მუსლიმებს.

მოგვიანებით ამ ხალხების პრობლემა ერთგვარად მოგვარდა:

- დამოუკიდებელმა უკრაინამ XX საუკუნის ბოლოს თათრებს ყირიმში დაბრუნების უფლება დართო. მაგრამ იქ მაშინვე გაჩნდა კონფლიქტი დაბრუნებულ თათრებსა და 1944 წლის შემდეგ იქ ჩასახლებულ რუსულ მოსახლეობას შორის.
- 1990 წლის შემდეგ რუსეთის გერმანელების საგრძნობი ნაწილი გაერთიანებულ გერმანიაში წავიდა, საიდანაც მათი წინაპრები რუსეთის იმპერიამ თავად მოიწვია XVIII-XIX საუკუნეებში. რუსეთის გერმანელებს, რომლებიც ფაქტობრივად რუსებთან გაითქვიფნენ, ძალიან გაუჭირდათ გერმანიაში ინტეგრაცია.
- კორეელებს, რომლებიც შორეული აღმოსავლეთიდან შუა აზიაში გადაასახლეს 1950 წელს, როდესაც დაიწყო „კორეის ომი“ (ეს იყო კომუნისტური ჩრდილოეთ კორეის თავდასხმა სამხრეთ კორეაზე, რასაც მოჰყვა აშშ-ს, ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის სამხედრო ჩარევა), 1980-იან წლებში მისცეს უფლება წასულიყვნენ კორეის რესპუბლიკაში (სამხრეთ კორეაში). ინტეგრაცია მათაც გაუჭირდათ, რადგან უმეტესობა რუსულ ენაზე გადავიდა და მშობლიური ენა დაკარგა.

რატომ მოხდა მესხეთის მუსლიმების დეპორტაცია?

მესხეთის მუსლიმები საბჭოთა გეოპოლიტიკის მსხვერპლი აღმოჩნდნენ. საბჭოთა კავშირი უკვე 1945 წელს გეგმავდა თურქეთში შეჭრას და არ უნდოდა, რომ მოიერიშე არმიის ზურგში მტრულად განწყობილი ეთნიკური ელემენტი ჰყოლოდა. საბაბად, რომ ისინი არასაიმედოდ მიეჩნიათ, როგორც ჩანს, გამოიყენეს არც თუ შორეული წარსულის ისტორიული ინფორმაცია:

- ახალშექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918 წლის 4 ივნისის ბათუმის ხელშეკრულების თანახმად იძულებული გახდა ოსმალეთის იმპერიისათვის დაეთმო ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ტერიტორია. იქ შესულ ოსმალეთის არმიის ნაწილებს ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობა სიხარულით შეხვდა. ერთდროულად, ადგილობრივმა მუსლიმებმა ძალიან მძაფრი მტრობა გამოამჟღავნეს მეზობელი ქრისტიანული (ქართული და სომხური) მოსახლეობის მიმართ.
- 1919 წელს ამავე რეგიონში იყო გამოსვლები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, რასაც თურქეთის აგენტურა მართავდა. 1921 წლის მარტის დამდეგს თურქების (ქემალისტების) არმიამ უკანონოდ დაიკავა აღნიშნული მაზრების ტერიტორია, ისარგებლა რა იმით, რომ თბილისში აღარ იყო კანონიერი ხელისუფლება, რადგან საქართველო ახალგასაბჭოებული იყო. მესხეთის მუსლიმი მოსახლეობა თურქულ სამხედრო ნაწილებს კვლავ გულითადად შეეგება. რადგანაც

რსფსრ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა ამ ტერიტორიის თურქეთისათვის გადაცემას და ის რჩებოდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში, თურქ ასკერებს სამ კვირაში მოუწიათ იქიდან გასვლა, ხოლო ადგილობრივი მუსლიმების უარყოფითი რეაქცია მათ წასვლაზე შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

1944 წლის ბოლოს თურქეთის საზღვრისპირა ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის რაიონებიდან და აჭარის ასსრ-იდან შუა აზიაში გადაასახლეს ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობა, 19 818 კომლი (სულადობრივად ამას სხვადასხვა წყაროები ანგარიშობენ 70 ათასიდან 89 ათას ადამიანამდე). იმავე დროს 7-8 ათასამდე თურქი გადაასახლეს სომხეთის სსრ-ის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე ღუკასიანის რაიონიდანაც. რასაკვირველია, ეს დეპორტაცია ადამიანის უფლებების დარღვევა იყო, მაგრამ საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებებს საერთოდ არ იცავდნენ.

ოფიციალური მონაცემებით მესხეთ-ჯავახეთიდან გასახლებულთა 70%-მა თავი „თურქად“ მიიჩნია, 16%-მა – „აზერბაიჯანელად“, 5% პროცენტმა – „ქურთად“, დანარჩენმა – „თათრებად“ ან „იეზიდებად“ (ეს უკანასკნელები მუსლიმები არ არიან); აჭარიდან გასახლებულთა შორის 45% „ქურთად“ აღირიცხა, 38 % – „თურქად“, 17% – „ჰემშინად“ (ამ უკანასკნელთ ასევე მოიხსენიებენ „ხემშინებად“ ან „ამშენებად“: ისინი არიან გამუსლიმებული სომხები, რომელთა ნაწილი იმ დროს ორენოვანი იყო – თურქულ-სომხური).

მესხეთის მუსლიმ მოსახლეობას სხვადასხვა კრებით სახელს უწოდებდნენ: იმპერიის პერიოდში ყველას იცნობდნენ „თათრებად“, გასაბჭოების შემდეგ ოფიციალურად უწოდებდნენ „თურქებს“ (турки), 1936 წლიდან კი – „აზერბაიჯანელებს“. გასახლების შემდეგ მათ უწოდეს „მესხეთის თიურქები“ (месхетинские тюрки), ან „თურქი-მესხები“ (турки-месхетинцы). თურქეთში მათ სახელად იყენებენ „ახალციხელ თურქებს“ (Ahıska Türkler).

რეალურად, ეს იყო ეთნიკური ჯგუფების კონგლომერატი, რომელთაც აერთიანებდა მხოლოდ რელიგია – სუნიტური მიმართულების ისლამი. ამიტომაც სწორი იქნებოდა მათთვის „მესხეთის მუსლიმები“ გვეწოდებინა. მესხეთიდან გასახლებულთა შორის ერთი ნაწილი განეკუთვნებოდა ქართველების გამუსლიმებულ და, ფაქტობრივად, გათურქებულ სუბეთნოსს – **მესხებს,** რომელთა შორის მცირე ნაწილს შენარჩუნებული ჰქონდა ქართული გვარები და ზოგი ორენოვანიც იყო, ანუ მეტყველებდა თურქულად და ქართულად.

მესხეთის მუსლიმები გადაასახლეს შუა აზიაში, სადაც მათ დახვდათ თითქმის მსგავსი კულტურული გარემო: იქაური მოსახლეობაც სუნიტური ისლამის მიმდევარია და მონათესავე თიურქულ ენებზე (უზბეკურად და ყირგიზულად) მოლაპარაკე. მაგრამ მსგავსება ზედაპირული აღმოჩნდა. გადასახლებულთა შერწყმა იქაურ მოსახლეობასთან არ მოხდა.

მუსლიმებისგან დაცარიელებულ მესხეთის სოფლებში 1945 წელს ჩაასახლეს ქართველი გლეხები, ძირითადად დასავლეთ საქართველოდან. ეს ისეთივე იძულებით მოხდა, როგორც „თათრების“ დეპორტაცია: უცნობ გარემოში ნებაყოფლობით წასვლა არც ქართველ გლეხებს უნდოდათ. ჯავახეთის „თათრების“ ნასოფლარები სომხებმა აითვისეს.

მუსლიმი მოსახლეობის გასახლების შემდეგ სამხრეთ საქართველოს სასაზღვრო ზონა 1945 წლიდან ჩაიკეტა. სპეციალური ნებართვის გარეშე იქ არც გარეშე პირს შეეძლო შესვლა და არც ახალჩასახლებულს – იქიდან გამოსვლა. მაგალითად, მესხეთში მდებარე ვარძიაში ექსკურსიაზე წასასვლელად საგანგებო ნებართვა იყო საჭირო და ბორჯომ-ახალციხის გზაზე განლაგებულ საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე სიაში ჩაწერილი ექსკურსანტების პასპორტებს გულდასმით ამოწმებდნენ. ასე გრძელდებოდა 40-იოდე წლის განმავლობაში.

სამხრეთ საქართველოდან მესხეთელი მუსლიმების დეპორტაციის ბრძანება 1944 წლის 31 ივლისს კრემლში გაიცა, როდესაც საბჭოთა კავშირს მართავდა ომის პირობებში უმაღლესი სახელმწიფო ორგანო – *თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი.* 1991 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრედ თავი გამოაცხადა რუსეთის ფედერაციამ, რომელმაც საბჭოთა საგარეო ვალებთან ერთად დაიტოვა ბევრად უფრო დიდი აქტივები საზღვარგარეთ, მათ შორის ყველა საბჭოთა საელჩოს შენობა, მუდმივი წევრის ადგილი გაეროს უშიშროების საბჭოში და საბჭოთა კავშირის ბირთვული არსენალი.

თანამედროვე საქართველო ოფიციალურად არ არის საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე. ამდენად, საქართველო არ უნდა აგებდეს პასუხს სხვა ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებულ ქმედებაზე, მათ შორის არც სხვა ქვეყნის მიერ ჩადენილ დანაშაულზე – უკანონო დეპორტაციაზე.

მიუხედავად ამისა, *ევროპის საბჭოში* მიღებისას, 1999 წელს, საქართველოს დაადებინეს პირობა, რომ ის სამართლიანად გადაწყვეტდა მესხეთელი მუსლიმების რეპატრიაციის საკითხს. მათი ნაწილი საქართველოში დაბრუნდა კიდეც. მაგრამ მასობრივი რეპატრიაცია უსამართლობა იქნებოდა იმავე რაიონებში მცხოვრები უკვე მესამე-მეოთხე თაობის ქართული მოსახლეობისათვის. ამას ეწინააღმდეგება ადგილობრივი სომეხი მოსახლეობაც. ამავე დროს, მესხეთის მუსლიმების დაბრუნებას განსახლების ძველ ადგილზე მხარს უჭერს თურქეთი. იქ ყოველწლიურად ატარებენ „ახალციხელი თურქების დღეს“, როდესაც მოითხოვენ ამ ხალხის დაბრუნებას სამხრეთ საქართველოში.

რეალურად მესხეთის მუსლიმთა თემი თითქმის დაშლილია: მათი ნაწილი ამერიკამ მიიღო, ნაწილი – თურქეთმა, ნაწილი აზერბაიჯანსა და რუსეთში დასახლდა. მაგრამ საქართველოსათვის პრობლემა საბოლოოდ მოგვარებული არაა.

როგორი იყო საბჭოთა-თურქული და საბჭოთა-ირანული ურთიერთობები II მსოფლიო ომის მომდევნო პერიოდში?

მესხეთის მუსლიმთა დეპორტაცია უკავშირდება საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობას.

თურქეთის რესპუბლიკის დიპლომატიამ II მსოფლიო ომის მთელი ექვსი წლის განმავლობაში მოახერხა ოსტატური ლავირება მეომარ მხარეებს შორის და ფაქტობრივი ნეიტრალიტეტის შენარჩუნება დიდ ბრიტანეთთან – „მოკავშირეობისა“ და გერმანიასთან – „მეგობრობის“ პირობებში: ორივე ქვეყანასთან, შესაბამისად, 1939 წელს და 1941 წელს, თურქეთმა დადო ასეთი ხელშეკრულებები.

ომისდროინდელი თურქეთის საგარეო პოლიტიკა პრაგმატულობის ნიმუშია. ანკარაში ესმოდათ, რომ მსოფლიო ომში ჩართვა მათთვის საბედისწერო შეიძლებოდა გამომდგარიყო: იქ კარგად ახსოვდათ I მსოფლიო ომის საავალალო შედეგები ოსმალეთის იმპერიისათვის.

ამავე დროს, II მსოფლიო ომის განმავლობაში თურქეთის არმია მობილიზებული იყო და მისი საგრძნობი ნაწილი კავკასიის სიახლოვეს იდგა. კრემლს, რომლის არმიაც 1941-1942 წლებში მარცხს განიცდიდა ვერმახტთან ბრძოლაში, შეიძლებოდა ჰქონოდა ეჭვი, რომ თურქეთი გერმანიის მხარეს აპირებდა ომში ჩაბმას.

მაგრამ ანკარამ დაიცვა ნეიტრალიტეტი. 1944 წლიდან კი, როდესაც ნათელი გახდა, რომ გერმანიის მარცხი გარდაუვალია, თურქეთის საგარეო პოლიტიკა იმდენად გადაიხარა „ანტინაცისტური კოალიციის“ მხარეს, რომ ნაცისტურმა გერმანიამ თურქეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა.

მსოფლიო ომის საბრძოლო მოქმედებებში თურქეთს მონაწილეობა არ მიუღია. ის ნაციზმის წინააღმდეგ ომში ფორმალურად ჩაება 1945 წლის 23 თებერვალს, როდესაც ომი გამოუცხადა კრახის წინაშე მდგომ ბერლინს. რეალურად, თურქ ჯარისკაცებს ერთი ტყვიაც არ გაუსვრიათ! ნაციზმზე გამარჯვებული ქვეყნის სტატუსით კი თურქეთი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი სახელმწიფო გახდა.

ომის შემდეგ თურქეთმა ამერიკისაგან მიიღო „მარშალის გეგმით“ გათვალისწინებული დიდი ეკონომიკური დახმარება და, რაც მთავარია, ამერიკის პოლიტიკური მხარდაჭერა, რითაც მან თავი გადაირჩინა საბჭოთა კავშირის თითქმის გარდაუვალი სამხედრო შეტევისაგან.

ამავე დროს, დადასტურებული ფაქტია, რომ 1940 წლის 25 ნოემბერს, როდესაც ნაცისტური გერმანია და საბჭოთა კავშირი მშვიდობიანად თანამშრომლობდნენ, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვიაჩესლავ მოლოტოვი მოსკოვში გერმანიის ელჩის მეშვეობით გადასცემდა გერმანულ მხარეს, რომ

„საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია საბჭოთა სახმელეთო და სამხედრო--საზღვაო ძალებისათვის ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების რაიონში ბაზის მშენებლობა ხანგრძლივვადიანი იჯარის საფუძველზე“.

ნათელი იყო, რომ ასეთი სამხედრო ბაზა გახდებოდა თურქეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში საბჭოთა დომინაციის საფუძველი. არსებითად, ეს რუსეთის იმპერიის პოლიტიკის გაგრძელება იყო. სხვათა შორის, მოლოტოვის შეტყობინებამ ძალიან შეაშფოთა ჰიტლერი და დააჩქარა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ვერმახტის შეტევის გეგმის მომზადება.

II მსოფლიო ომის ბოლო, 1945, წელს საბჭოთა პოლიტიკა თურქეთის მიმართ მკვეთრად აგრესიული გახდა. ამაზე მიუთითებს კრემლის ეკონომიკური და პოლიტიკური ნაბიჯები:

- 1944 წელს საბჭოთა კავშირმა მიიყვანა რკინიგზის ხაზი ახალციხის რაიონის სოფელ ვალემდე, თურქეთის საზღვართან. თვალის ახვევა იყო რკინიგზის გაყვანის ეკონომიკური დასაბუთება – ვალეს მიდამოებში მურა ნახშირის საბადოს დამუშავება! სინამდვილეში, ამ რკინიგზით წაიყვანეს შუა აზიაში გასახლებული მესხეთის მუსლიმები და იმავე რკინიგზით მიიყვანდნენ საბჭოთა არმიას ზედ თურქეთის საზღვართან;
- 1945 წლის 19 მარტს კრემლმა აღარ გააგრძელა 1925 წლის 17 დეკემბრის „თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ საბჭოთა-თურქული ხელშეკრულება“, რომელიც იქამდე ავტომატურად გრძელდებოდა ყოველი ხუთი წლის გასვლის შემდეგ. ამ ხელშეკრულების დენონსაცია 1945 წელს მოხდა კრემლის ინიციატივით. ანკარაში ამან ძალიან დიდი შეშფოთება გამოიწვია.

1945 წლის თებერვალში სამხრეთ ყირიმის საკურორტო ქალაქ **იალტაში იოსებ სტალინმა უმასპინძლა მოკავშირე სახელმწიფოების ლიდერებს, აშშ პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტსა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ უინსტონ ჩერჩილს.** იქ სამი ლიდერი შეთანხმდა ომისშემდგომი ევროპის მოწყობაზე, მათ შორის პოლონეთის ახალ საზღვრებზე, გერმანიის დაყოფაზე საოკუპაციო ზონებად, აღმოსავლეთ პრუსიის ნაწილის საბჭოთა კავშირისათვის გადაცემის შესახებ.

თურქეთის შესახებ კი მსჯელობა სტალინს იალტაში არ დაუწყია. მაგრამ 1945 წლის 7 ივნისს, როდესაც ევროპაში ომი სულ ერთი თვის დამთავრებული იყო, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოლოტოვმა მძაფრად დააყენა 1921 წლის მოსკოვის შეთანხმებით თურქეთისათვის „დათმობილი“ (თურქეთის პოზიციიდან – „დაბრუნებული“) ტერიტორიების – ყარსის, ართვინის, არტაანის ოლქების – საბჭოთა კავშირისათვის გადაცემის, ანუ რუსეთის იმპერიის 1914 წლის საზღვრის აღდგენისა და, დამატებით, ბოსფორისა და

დარდანელის სრუტეებში საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზების შექმნის საკითხი.

როდესაც მოლოტოვი (ბუნებრივია, სტალინის დავალებით) აყენებდა საკითხს აღმოსავლეთ ანატოლიისა და კავკასიის საზღვრების შეცვლის შესახებ, კრემლში კიაფობდა იმედი, რომ ამერიკის ახალი პრეზიდენტი **ჰარი ტრუმენი** (პრეზიდენტი რუზველტი 1945 წლის აპრილში გარდაიცვალა) მხარს დაუჭერდა თავისი შორეული წინამორბედის, პრეზიდენტ **ვუდრო უილსონის** გეგმას – სომხეთის საზღვრების გაფართოებას 1920 წლის „სევრის ხელშეკრულების" თანახმად.

1945 წლის ივლისში გერმანიის ქალაქ პოტსდამში გამართულ კონფერენციაზე სტალინმა ვერ მიიღო თავისი ანგლო-ამერიკელი მოკავშირეების თანხმობა თურქეთში შეჭრაზე. ვაშინგტონისა და ლონდონისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა თურქეთის მიმართ მოსკოვის პრეტენზიები.

იმავე პოტსდამის კონფერენციის მსვლელობისას ამერიკელებმა უსიამოვნო სიურპრიზი მოუმზადეს სტალინს, როდესაც 16 ივლისს ალამოგორდოში, ნიუ-მექსიკოს შტატში, გამოსცადეს ზეიარაღი – ატომური ბომბი. პრეზიდენტმა ტრუმენმა ამით აგრძნობინა სტალინს, რომ მსოფლიო რუკის შემდგომი გადანაწილების განზრახვას ამერიკა დაუპირისპირებდა ძალიან დიდ ძალას. სულ სამი კვირის შემდეგ ამერიკელებმა ეს ძალა რეალურ ომში აჩვენეს, როდესაც თითო ატომური ბომბით მოსპეს იაპონიის ორი ქალაქი – ჰიროშიმა და ნაგასაკი. შეიძლება ითქვას, რომ ვაშინგტონმა მსოფლიოს, უპირველესად კი „მოკავშირე-მეტოქეს", ანუ კრემლს, დაანახა თავისი სამხედრო სიძლიერე და „ატომური დიპლომატიის" შესაძლებლობა.

სტალინმა იცოდა, რომ ამერიკელები ამზადებდნენ ბირთვულ იარაღს და აჩქარებდა თავის მეცნიერებსა და ტექნიკოსებს, რომ მათაც შეექმნათ საბჭოთა ატომური ბომბი. **საბჭოთა „ატომურ პროექტს" 1944 წელს მან სათავეში ჩაუყენა ლავრენტი ბერია,** რომელმაც ეფექტიანად იმუშავა, გამოიყენა გერმანელი მეცნიერების შრომაც და 1949 წლის 29 აგვისტოს საბჭოთა კავშირს უკვე ჰქონდა ბირთვული იარაღი.

მაგრამ 1945 წელს ამერიკა მსოფლიოს ერთადერთი ბირთვული სახელმწიფო იყო. ამერიკის რიდით, კრემლი ვერ წამოიწყებდა სამხედრო აქციას თურქეთის წინააღმდეგ, რომელმაც დახმარებისათვის მიმართა ლონდონსა და ვაშინგტონს. ყოყმანის შემდეგ თეთრმა სახლმა გადაწყვიტა მხარი დაეჭირა ანკარისათვის.

1947 წლის 12 მარტს აშშ-ის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა გამოაქვეყნა **„ტრუმენის დოქტრინა",** რომლის ძალითაც ამერიკის სრულ პოლიტიკურ და სამხედრო დახმარებას ჰპირდებოდა თურქეთისა და საბერძნეთის მთავრობებს: საბერძნეთში იმ დროს სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა და პრო-

საბჭოთა კომუნისტების ხელში მისი გადასვლა საკმაოდ რეალური პერსპექ-ტივა იყო.

კრემლის მუქარის საპირისპიროდ, „ტრუმენის დოქტრინის“ შესაბამისად ამერიკამ დაიწყო მნიშვნელოვანი სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური დახმარების გაწევა თურქეთისა და საბერძნეთის მთავრობებისათვის. ეს „დოქტრინა“ ეყრდნობოდა ამ ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის ურყე-ვობის პრინციპს. ამერიკული დახმარება გავრცელდა ირანზეც, რომელსაც ასევე ჰქონდა თავისი ჩრდილოელი მეზობლის – საბჭოთა კავშირის – შიშის საფუძველი. 1945 წელს საბჭოთა სპეცსამსახურებმა ირანში დააარსეს „აზერბაიჯანული ავტონომია“ და ქალაქ თაბრიზში დასვეს მარიონეტული პროსაბჭოთა მთავრობა, ხოლო ქ მეჰაბადში შექმნეს „მეჰაბადის [ქურთული] რესპუბლიკა“. ორივე ნაბიჯი ირანის დანაწევრებისაკენ იყო მიმართული.

1946 წელს საბჭოთა კავშირმა შეიძინა ამერიკელების უკომპრომისობის გამოცდილება, როდესაც ვაშინგტონმა აიძულა ის გასულიყო ჩრდილოეთ ირანიდან, სადაც ორი საბჭოთა არმია 1941 წლის სექტემბრიდან იდგა. და-სავლეთელ მოკავშირეებთან შეთანხმებით მათი ჯარები უნდა გასულიყვნენ ირანიდან ევროპაში ომის დამთავრებიდან სამი თვის შემდეგ, ანუ 1945 წლის აგვისტოში. ბრიტანული და ამერიკული სამხედრო ნაწილები დროულად გა-ვიდნენ, ხოლო საბჭოთა ჯარები დარჩნენ კიდევ 7-8 თვის განმავლობაში, იქამდე, სანამ ვაშინგტონმა კატეგორიულად მოსთხოვა მათ ირანის დაცლა.

შესაძლოა, სტალინი ცოტა გამოაფხიზლა ვაშინგტონის ხისტმა ნაბიჯებ-მა თურქეთის, საბერძნეთის, ირანის არსებული მთავრობების დასაცავად. ძნელია იმის მტკიცება, რომ ეს მთავრობები იდეალური იყო თავიანთი ხალ-ხებისათვის, მაგრამ გარედან ჩარევით მათი დამხობა რომ უარეს შედეგს მო-უტანდა იმავე ხალხებს, ესეც ნათელია.

კრემლის უხეშ ზეწოლას შედეგად მოჰყვა თურქეთის გეოპოლიტიკური ვექტორის მკვეთრი შებრუნება ახალი ოკეანისგაღმელი მოკავშირისაკენ.

1952 წელს თურქეთი და საბერძნეთი ნატო-ს წევრებად მიიღეს და ამ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის სამხრეთი ფლანგი უშუალოდ მიებჯინა საბჭოთა კავშირის საზღვარს სამხრეთ კავკასიაში. თურქეთის ტერიტორია-ზე შეიქმნა ამერიკული სამხედრო ბაზები, სადაც 1952-1963 წლებში ინახებო-და ბირთვული იარაღი და საბჭოთა, მათ შორის კავკასიაში მდებარე, სამხედ-რო ობიექტები და ქალაქები ამ იარაღის სამიზნე იყო.

რა შედეგი მოჰყვა კრემლის გეოპოლიტიკაში სამხრეთ კავკასიის ხალხების ჩათრევის მცდელობას?

თურქეთის მიმართ თავისი მოთხოვნების გასამყარებლად კრემლმა პროპაგანდისტული მომზადებაც დაიწყო, უპირველესად, სამხრეთ კავკასიაში. 1945 წლის მეორე ნახევრიდან საბჭოთა პროპაგანდა სომხებსა და ქართველებს კვებავდა ისტორიული მიწების დაბრუნების ფუჭი ოცნებებით.

ის, რომ ეს ოცნებები ფუჭი იქნებოდა, კრემლში უკვე 1945 წლის აგვისტოში უნდა ყოფილიყო ნათელი, როდესაც ამერიკამ თავისი ბირთვული იარაღის საშინელი დემონსტრაცია მოაწყო იაპონიაში.

მიუხედავად ამისა, იმავე 1945 წელს საქართველოსა და სომხეთის კომუნისტური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს დაევალათ უზრუნველეყოთ „მხურვალე სახალხო მხარდაჭერა საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარე და სამართლიანი საგარეო პოლიტიკისათვის“, რომელიც გულისხმობდა თურქეთისაგან ტერიტორიულ დათმობებს.

ასეთი მხარდაჭერის კამპანია საქართველოსა და სომხეთში რამდენიმე წელს გაგრძელდა.

იმავე 1945 წელს აზერბაიჯანის კომუნისტურ პარტიას დაევალა „საერთო-სახალხო მხარდაჭერის გამოხატვა“ ირანის აზერბაიჯანში საბჭოთა კავშირის ზეწოლით შექმნილი ავტონომიური მთავრობისათვის. ბაქოში შეიქმნა ილუზია, რომ მოხდება „ორი აზერბაიჯანის“ გაერთიანება საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

ცნობილი ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მეცნიერებისა თუ პოეტების მგზნებარე გამოსვლები აშკარად კრემლის მიერ იყო ანგაჟირებული. იმდროინდელ ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს ადვილად მოახვიეს თავს საკუთარი რესპუბლიკების ტერიტორიული გაფართოების ილუზია.

ამავე დროს, თურქეთშიც იყვნენ (და, ალბათ, ახლაც არიან) ადამიანები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ვინაიდან მათი სახელმწიფოს წინამორბედი – ოსმალეთის იმპერია – შუა საუკუნეების სხვადასხვა პერიოდში ფლობდა თბილისს, სოხუმს, ერევანს, ბაქოს, თაბრიზს, ყაზვინს და ა.შ., ეს ქალაქები, მიმდებარე მიწებითურთ, მათ ისტორიულად ეკუთვნით.

ირანში კი ზოგიერთი ნაციონალისტი იმას იხსენებდა (და, ალბათ, ახლაც იხსენებს), რომ ერევნის, ბაქოს, ყარაბაღის და სხვა სახანოები, ქართლი და კახეთი საუკუნეების განმავლობაში ხარკს უხდიდნენ სპარსეთის შაჰებს.

ერთია პოეტური ოცნება და მეორე – გეოპოლიტიკური რეალობა.

უბრალო ადამიანებს, რომლებიც 1940-იანი წლების საბჭოთა პროპაგანდამ დემაგოგიურ-პატრიოტული ლოზუნგებით გაიტაცა, არ ესმოდათ თუ რა სახიფათო გეოპოლიტიკურ თამაშში ითრევდა მათ კრემლი.

კრემლი თამაშობდა ბაქოს აზერბაიჯანული ელიტის ეროვნულ გრძნობებზე და ახალისებდა ირედენტიზმს, როდესაც ჰპირდებოდა მას ირანის [სამხრეთ] აზერბაიჯანის შემოერთებას. მაგრამ 1946 წლის აპრილში, როგორც კი საბჭოთა ჯარები იძულებული გახდნენ ირანიდან გამოსულიყვნენ, კრემლმა უბრძანა ბაქოს მხარდაჭერის კამპანიის შეწყვეტა.

კრემლის პროვოკაციას აყოლილი ირანის მოქალაქეები კი გაუბედურდნენ. ბევრი უდანაშაულო ეთნიკური აზერბაიჯანელი და ქურთი ემსხვერპლა თეირანის უმკაცრეს სადამსჯელო აქციას.

1953 წლის მაისში, სტალინის გარდაცვალებიდან სულ ორი თვის შემდეგ, საბჭოთა მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა უარი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში სამხედრო ბაზების შექმნისა და სრუტეების რეჟიმის გადასინჯვის მოთხოვნებზე და მოხსნა ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ.

ნათელი გახდა, რომ საბჭოთა ულტიმატუმი იყო ბლეფი, მაგრამ საშიში ეფექტის მქონე. მან დარაზმა თურქეთის საზოგადოება ანტისაბჭოთა, ანტისომხურ და ანტიქართულ ნაციონალისტურ საფუძველზე. მომდევნო ათწლეულებში თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ვილაიეთები დიდი ხნით დაიხურა უცხოელებისათვის, იქ შენელდა ეკონომიკური განვითარება. სანაცვლოდ, იქ მოხდა დიდი სამხედრო ნაწილების თავმოყრა.

კრემლის მიერ აღტკინებული სამხრეთ კავკასიის ხალხების ემოციებზე თამაში არ აღმოჩნდა საკმარისი წარმატებული საგარეო პოლიტიკის საწარმოებლად, მაგრამ საკმარისზე მეტი – საერთაშორისო ვითარების მკვეთრად დასაძაბავად.

კითხვები ლექცია 8-ის თემაზე:

1. რა გეოპოლიტიკური შედეგები მოჰყვა II მსოფლიო ომს?
2. რა იყო ხალხთა დეპორტაციის მიზეზები საბჭოთა კავშირში?
3. როგორ შეიცვალა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური გეოგრაფია მოსახლეობის დეპორტაციების შედეგად?
4. რატომ მოხდა მესხეთის მუსლიმების დეპორტაცია?
5. როგორი იყო საბჭოთა-თურქული ურთიერთობები II მსოფლიო ომის მომდევნო წლებში?
6. როგორი იყო საბჭოთა-ირანული ურთიერთობები II მსოფლიო ომის მომდევნო წლებში?
7. რა შედეგი მოჰყვა კრემლის გეოპოლიტიკაში სამხრეთ კავკასიის ხალხების ჩათრევის მცდელობას?

ლექცია 9

მრავალეროვანი კავშირის გამოწვევები

რა იყო საბჭოთა კავშირის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტრუქტურის ჩამოყალიბების მიზეზები და თავისებურებები?

პოლიტიკურად ცენტრალიზებულ სახელმწიფოს – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტრუქტურა, განსხვავებით მისი წინამორბედი რუსეთის იმპერიისაგან, ეყრდნობოდა ეთნიკურ პრინციპს.

ეთნიკურობაზე დაფუძნებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტრუქტურის პრინციპი ბოლშევიკური რევოლუციის გარიჟრაჟზე ჩაისახა, თუმცა სახელმწიფოს ასეთი მოწყობა ბოლშევიკების საბოლოო მიზანი არ ყოფილა. ვლადიმირ ლენინი და მისი თანამოაზრეები თავიდან გეგმავდნენ მსოფლიო მასშტაბის „ერთიანი კომუნისტური სახელმწიფოს“ შექმნას. მათ უმეტესობას დოგმატურად სჯეროდა მარქსის და ენგელსის მიერ ოდესღაც გამოთქმული მოსაზრებისა, რომ დედამიწაზე იარსებებს „უკლასო, უსახელმწიფო, უეროვნებო კომუნისტური საზოგადოება“, რომელსაც ექნება საკუთრების ერთადერთი ფორმა – კოლექტიური.

ამ აზრის უტოპიურობა თავიდანვე ნათელი იყო, მაგრამ ის ერთხანს იყო საბჭოთა საგარეო, და ნაწილობრივ, საშინაო პოლიტიკის საფუძველი. პოლიტიკურ-გეოგრაფიული რეალობა კი სხვაგვარი იყო.

I მსოფლიო ომის ბოლო წელს, 1918 წლის 3 მარტს „ბრესტის ზავის“ დადების დროისათვის უკვე არსებობდა დამოუკიდებელი უკრაინა და ბელორუსია. მათ შექმნას შეუწყო ხელი აღმოსავლეთის ფრონტზე იმ დროისათვის გამარჯვებულის როლში მყოფმა გერმანიის იმპერიამ. მისივე ხელშეწყობით 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა საქართველომ. იმავე წლის 28 მაისს მას მიჰბაძეს აზერბაიჯანმა და სომხეთმა. ოსმალეთის იმპერიამ და გერმანიამ ხუთივე ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობა აღიარეს.

როდესაც საბჭოთა რუსეთი შეუდგა ყოფილი იმპერიის ტერიტორიის მეთოდურ აღდგენას, ახალშექმნილი რესპუბლიკების სახით მას დახვდა პოლიტიკურ-გეოგრაფიული რეალობა, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელი იყო.

ლენინმა და მისმა გუნდმა მიიჩნიეს, რომ შეუძლიათ შექმნილი რეალობა პრაქტიკაში გამოიყენონ. მაგალითად, „უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ არსებობა კარგ მაგალითად შეიძლებოდა გამომდგარიყო პოლონეთის, გერმანიის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების პროლეტარიატისათ-

ვის, რათა მათ „რევოლუციის გზით დაემხოთ ბურჟუაზიის ბატონობა თავის ქვეყანაში და შეეყვანათ ის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ერთიან კავშირში“?

1918-1919 წლებში მართლაც იყო „პროლეტარული რევოლუციებისა“ და „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების“ შექმნის წარუმატებელი მცდელობები ფინეთში, უნგრეთში, ბავარიაში (გერმანია), ბალტიის ქვეყნებში.

როდესაც 1922 წლის ბოლოს დაარსდა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი“, მის სახელწოდებაში შეგნებულად არ შეიტანეს გეოგრაფიული მახასიათებელი: თეორიულად ის ღია იყო მსოფლიოს ნებისმიერი „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის“!

მაგრამ, საბოლოოდ, საბჭოთა კავშირი ჩამოყალიბდა, როგორც რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფი „მოკავშირე რესპუბლიკების“ გაერთიანება, რომლებიც იმართებოდა ერთი ცენტრიდან და ერთი პარტიის მიერ.

თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირი იყო რუსეთის იმპერიის რეინკარნაცია (გარდასახვა ხელახალი დაბადებით), ის მაინც წარმოადგენდა სხვა პოლიტიკური სისტემას.

საბჭოთა კავშირის ადმინისტრაცულ-ტერიტორიული ერთეულების სახელების შესახებ

მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური ერთეულების სახელები ეთნიკურ საფუძველს ემყარებოდა. გამონაკლისს წარმოადგენდა გეოგრაფიული სახელის მქონე მხოლოდ რამდენიმე ავტონომია – აჭარა, ნახჭევანი, დაღესტანი, მთიანი ყარაბაღი, მთიანი ბადახშანი. არ არსებობს **„აჭარელი“, „ნახჭევნელი“, „დაღესტნელი“, „ბადახშანელი“, „ყარაბაღელი“** ერები: აჭარლები ქართველი ერის სუბეთნოსია; ნახჭევნის ავტონომიურ რესპუბლიკაში (ის აზერბაიჯანის ექსკლავია) აზერბაიჯანელები ცხოვრობენ; მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი შედიოდა აზერბაიჯანის სსრ-ში და 2023 წლამდე იქ ძირითადად სომხები ცხოვრობდნენ; რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალ დაღესტნის ავტონომურ რესპუბლიკაში ათზე მეტ ენაზე მეტყველებდნენ; ანალოგიური ვითარება იყო ტაჯიკეთის სსრ-ის შემადგენლობაში მყოფ მთიან ბადახშანის ავტონომიურ ოლქში, სადაც რამდენიმე ხალხი არატაჯიკურ ენებზე ლაპარაკობს.

რა იყო საბჭოეთის პოლიტიკური განვითარების „პარადოქსი“?

საბჭოთა კავშირი საკმაოდ უცნაურ იმპერიად ჩამოყალიბდა. ყველაზე მრავალრიცხოვანი, ფაქტობრივად იმპერიული, რუსული ნაცია ოფიციალურად სხვა ნაციებზე მეტ უფლებებს არ ფლობდა. რუსი ისტორიკოსები იმასაც კი ამტკიცებენ, თითქოს რსფსრ საბჭოთა კავშირში ყველაზე „დაჩაგრული რეპუბლიკა“ იყო: ის „აჭმევდა მთელ კავშირს“ და, ამასთან, სხვა მო-

კავშირე რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, მას არ გააჩნდა სახელმწიფოებრიობის ფორმალური ატრიბუტები – სახელმწიფო მართვის დამოუკიდებელი ინსტიტუტები, სამინისტროების უმეტესობა, არ არსებობდა რუსეთის კომპარტია.

სინამდვილეში კი საბჭოთა კავშირი იგივე რუსეთი იყო: საზღვარგარეთ მას ტრადიციულად „რუსეთს“ უწოდებდნენ.

რუსეთის სახელმწიფო ინსტიტუტების როლს ასრულებდნენ საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტები, საკავშირო სამინისტროები, ხოლო რუსეთის კომპარტიის როლს – ქვეყნის ერთადერთი „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია“. ყველა რესპუბლიკის კომუნისტური პარტია წარმოადგენდა სკკპ-ის რეგიონულ ორგანიზაციას. ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის სათავო ორგანიზაცია, მათ შორის უმთავრესი – სკკპ ცენტრალური კომიტეტი და მისი პოლიტბიურო, მდებარეობდა რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში. რუსული ენა რეალურად სახელმწიფო ენა იყო (ფორმალურად მას „ერთაშორისი ურთიერთობის ენა“ ერქვა). საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელები, თუნდაც სხვა ეთნოსების წარმომადგენლები, ატარებდნენ რუსულ ეროვნულ პოლიტიკას.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა 2007 წლის 1 თებერვალს განაცხადა, რომ *„საბჭოთა კავშირი იყო სუპერცენტრალიზებული, უნიტარული სახელმწიფო“*. ამ შემთხვევაში ის სიმართლეს ამბობდა.

რსფსრ-საც რომ ჰქონოდა ისეთივე „სახელმწიფოებრიობის ატრიბუტები“, რაც არა-რუსულ რესპუბლიკებს ჰქონდათ, საბჭოთა კავშირი მართლაც თანასწორთა კავშირი იქნებოდა.

საბჭოთა კავშირში რუსი ერის რაღაც „დაჩაგრულობაზე“ ლაპარაკი ლოგიკას მოკლებულია.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები და ოკრუგები თავდაპირველად შეიქმნა პროპაგანდისტული მიზნით: რუსეთის კომუნისტურ პარტიას და პირადად ლენინს „ნაციონალური საკითხის“ მოგვარების საბჭოური მეთოდის დემონსტრაცია სურდათ, რათა კომუნისტების მიმართ პოზიტიურად განეწყოთ სხვა ქვეყნების მოსახლეობა.

როდესაც „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ იმედი გადაიწურა, საბჭოთა კავშირის ეროვნულ-ტერიტორიულმა დაყოფამ ინერციით განაგრძო არსებობა. რესპუბლიკების უფლებები ისედაც შეზღუდული იყო, ხოლო ჩეკა/კაგებეს ევალებოდა ძირშივე აღეკვეთა ყოველგვარი „ნაციონალისტური გადახრა“.

II მსოფლიო ომის დროს და, განსაკუთრებით, 1945 წლის შემდეგ სტალინმა აშკარად დაიწყო რუსული ნაციონალიზმის წახალისება.

ამასთან, არასლავური პერიფერიის შემომტკიცება მართლაც მოითხოვდა ბუნებრივი რესურსებით მდიდარი რსფსრ-ის მხრიდან ამ რესპუბლიკებისათვის უხვი დოტაციების გამოყოფას. ადგილობრივი ნაციონალური პოლი-

ტიკური ელიტები ამ დოტაციების მეშვეობით პირად ავტორიტეტს ზრდიდნენ („ხალხზე ვზრუნავთ“!) და პირად კეთილდღეობასაც იუმჯობესებდნენ.

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს ხელისუფალს, ადგილობრივი (მაგ. საქართველოს, უზბეკეთის, ესტონეთის და ა.შ.) კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს უნდა ეზრუნა თავის კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიაზე და მის მოსახლეობაზე. სხვათა შორის, ყველა რესპუბლიკაში ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი მოსკოვიდან იყო მოვლინებული და ის, ჩვეულებრივ, ეთნიკური რუსი იყო: მას ევალებოდა კონტროლი იმაზე, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას არ გადაეხვია „ნაციონალიზმისაკენ“!

კომუნისტი ლიდერები ზრუნავდნენ ისეთი ეროვნული კადრების მომზადებაზე, რომლებიც თითქოს „კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის“ იყვნენ საჭირო. სინამდვილეში კი ეს იწვევდა „სატიტულო ერისადმი“ კუთვნილი ხელმძღვანელი კადრების კვლავწარმოებას.

თითქმის ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში, როგორც მოკავშირე, ისე ავტონომიურში, და ზოგიერთ ავტონომიურ ოლქშიც კი, ყალიბდებოდა რაღაც „ეროვნული პროტო-სახელმწიფო“.

საბჭოთა კავშირის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტრუქტურა თავის თავში შეიცავდა ფორმალურად „ფედერაციული“ სახელმწიფოს დაშლის შესაძლებლობას. პრაქტიკულად ეს შეუძლებელი იყო იქამდე, სანამ საბჭოთა კავშირს სრულ კონტროლს უწევდა ერთადერთი პარტია – კომუნისტური.

არსებობდა თუ არა არა-რუსი ერების ნაციონალიზმი საბჭოთა კავშირში?

კომუნისტური პარტია საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ახალისებდა **კულტურულ ნაციონალიზმს,** როდესაც ხაზს უსვამდა, რომ თითოეული „საბჭოთა ხალხის“ კულტურა უნდა ყოფილიყო „**შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური“**. არსებობდა ამ ფორმულის რაღაც პროპაგანდისტული განმარტება, მაგრამ „სოციალისტური შინაარსის“ ნათლად ახსნა ვერ ხერხდებოდა: ის იყო ბუნდოვანი და ცვალებადი კატეგორია, მაშინ როცა „ნაციონალური ფორმა“ ნაკლებ ბუნდოვანი და მუდმივი კატეგორია იყო.

კომუნისტური პარტია ასევე ძალაუნებურად ახალისებდა **ეთნიკურ ნაციონალიზმს,** როდესაც ხელს უწყობდა ერების კონსოლიდაციას მოკავშირე რესპუბლიკებში ან ავტონომიურ ერთეულებში.

ასე, მაგალითად,

- პრაქტიკულად ნულიდან იქმნებოდა ბელორუსი ერი (ცნობილია საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს

მიერ 1926 წელს მიღებული დოკუმენტი **„ბელორუსული ენის შექმნის შესახებ“);**

- ხდებოდა **უკრაინელი** ერის კრისტალიზაცია და მისი გამოყოფა იმ საერთო-რუსული ერთობიდან, რომელიც არსებობდა რუსეთის იმპერიის დროს, როდესაც იყენებდნენ ტერმინებს Великая Русь (დიდი რუსეთი), Малая Русь/Малороссия (მცირე რუსეთი, ანუ უკრაინა) და Белая Русь (თეთრი რუსეთი). უკრაინელების ნაწილს უკვე XIX საუკუნეში უყალიბდებოდა ეროვნული იდენტობა, მაგრამ მათი გამოყოფა რუსებისაგან დაჩქარდა მას შემდეგ, რაც სტალინმა უკრაინის სსრ-ს 1939 წელს შეუერთა პოლონეთისაგან ჩამორთმეული **გალიცია და დასავლეთი ვოლინი,** დასახლებული ძლიერი უკრაინული თვითშეგნების მქონე მოსახლეობით. 1918-1939 წლებში დასავლეთ-უკრაინელების ეროვნული კონსოლიდაციისათვის მნიშვნელოვან „მტრის ხატს“ ქმნიდნენ პოლონელები, 1939-1941 წლებში და, ხელახლა, 1944 წლიდან კი „მტრის ხატად“ რუსები იქცნენ (1941-1944 წლებში ეს ტერიტორია გერმანული ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა);
- ცენტრალურ აზიაში სხვადასხვა მონათესავე თიურქული ტომებისაგან შექმნეს **უზბეკი, თურქმენი, ყირგიზი, ყაზახი** ერები. ამავე დროს, სტალინს ეყო წინდახედულება არ შეექმნა ერთიანი „თიურქი ერი“;
- შუა აზიის ირანულენოვანმა **ტაჯიკებმა** საბჭოთა პერიოდში შეიგნეს, რომ ისინი მხოლოდ მუსლიმები კი არ არიან, არამედ ცალკე ერია;
- ჩამოყალიბდა **აზერბაიჯანელი ერი**. ეს ეთნონიმი მათ კრემლმა ოფიციალურად დაუმტკიცა 1936 წელს. იქამდე ისინი თავს უწოდებდნენ „მუსლიმებს“ (müslüman); 1936 წლამდე საბჭოთა სტატისტიკა კი მათ ოფიციალურად აღრიცხავდა, როგორც „თიურქებს“ [тюрки];
- კრემლმა ნაწილობრივ მოახერხა **მოლდაველების** მოწყვეტა რუმინელებისაგან, რომლებიც ერთ ენაზე მეტყველებენ, და მათგან „მოლდაველი ერის“ შექმნა. მოლდაველების ანბანი სლავურ გრაფიკაზე გადაიყვანეს, მაშინ როცა რუმინული ენა ლათინურ გრაფიკას იყენებს;
- ბევრ ავტონომიაში (თუმცა ყველგან არა) დაჩქარდა ტომების შეკავშირება ერებად.

ამავე დროს, კომუნისტური პარტია ავითარებდა აზრს, თითქოს ყალიბდება „ახალი სოციალურ-პოლიტიკური ერთობა – საბჭოთა ხალხი“, რაც შორს იყო სინამდვილისგან.

მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთიანობა ნარჩუნდებოდა **ერთიანი საბჭოთა მოქალაქეობის** მეშვეობით. „მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეობა“ (რომელიც არ არსებობდა!) საბჭოთა კავშირის ერთიანობას დიდ საფრთხეს შეუქმნიდა.

რა ეთნონაციონალური პროცესები მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირში?

რუსეთის იმპერია ეთნონაციონალურ პროცესებს თავისებურად მართავდა. ყველა ეთნიკური ჯგუფის არისტოკრატიული ელიტის ერთგულებას ის „ყიდულობდა“ პრივილეგიებით – მამულებით, ჯამაგირით, ტიტულებით, ორდენებით. ასეთი ელიტების მეშვეობით იმპერია აკონტროლებდა ეთნიკურ უმცირესობებს. მათ შიდა სოციალურ ორგანიზაციაში იმპერია ნაკლებად ერეოდა: ეს განსაკუთრებით ეხებოდა იმპერიის მუსლიმ ქვეშევრდომებს. კავკასიელი მთიელები, სამხედრო გზით „ჩაწყნარების“ შემდეგ, აგრეთვე თიურქულენოვანი მომთაბარეები ცხოვრობდნენ ისე, როგორც შუა საუკუნეებში. თუკი არ იყო ბუნტი, „ტუზემცების“ შიდა საზოგადოებრივი ცხოვრება იმპერიას ნაკლებად აინტერესებდა.

მაგრამ ეთნიკური ნაციონალიზმი უკვე რუსეთის იმპერიის დროს იდგამდა ფეხს, განსაკუთრებით მის პერიფერიაზე.

სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სახელით მოხდა, სინამდვილეში ნაციონალიზმის ამოხეთქვას შეუწყო ხელი. თავიდანვე ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ ფუჭი ქადაგება ვერ გააქრობდა ეთნიკურ ნაციონალიზმს.

ეს, როგორც ჩანს, თავიდანვე ნათელი გახდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის (რსფსრ) **ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარ იოსებ სტალინისათვის.** 1921 წლის ივნისში ის საინსპექციო მიზნით ჩავიდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში გასაბჭოებულ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში.

როგორც კავკასიაში დაბადებულ და გორში, თბილისში, ბაქოსა და ბათუმში ნაცხოვრებ ადამიანს, იოსებ ჯუღაშვილს, იმ დროისათვის – სტალინს, 1921 წელს ეგონა, რომ კარგად იცნობს რეგიონს. მაგრამ სამხრეთ კავკასიაში ის არ ყოფილა 1907 წლის შემდეგ. ამ დროის განმავლობაში კი რეგიონი შეიცვალა: მან გადაიტანა მსოფლიო ომი, მოსახლეობის მიგრაციები, მრავალი შინაომი ეთნიკურ ნიადაგზე, შეიძინა დამოუკიდებლობის ხანმოკლე გამოცდილება. რეგიონში ჩამოყალიბებულ ნაციებს განსხვავებული ეროვნული ინტერესები გაუჩნდა.

სტალინი დიდი ორატორი არასოდეს ყოფილა. თბილისელი მუშების წინაშე რუსულ ენაზე დაწყებული უფერული გამოსვლისას სტალინს დაუსტვინეს კიდეც და იძულებული გახადეს ქართულად ელაპარაკა.

მოსკოვში 1923 წელს გამართულ საკავშირო კომპარტიის XIII ყრილობაზე თავის გამოსვლაში სტალინმა გამოხატა აღშფოთება იმის გამო, რომ

> „ამიერკავკასიის სხვადასხვა ერების მუშებს შორის აღარ არის ძველი სოლიდარობა. მუშათა და გლეხთა შორის განვითარდა ნაციონალიზმი, გაძ-

ლიერდა უნდობლობის გრძნობა სხვა ეროვნების ამხანაგების მიმართ... ძმური ნდობის ძველი კავშირები დარღვეულია, ან ყოველ შემთხვევაში, ძალიან შესუსტებულია. როგორც ჩანს, სამი წლის განმავლობაში ნაციონალისტური სახელმწიფოების არსებობას საქართველოსა, აზერბაიჯანსა და სომხეთში უქმად არ ჩაუვლია“.

კავკასიის ერების ნაციონალიზმმა უკვე რუსეთის იმპერიის წიაღში აიდგა ფეხი. ის არ უნდა გავიგოთ აუცილებლად იმ ნეგატიური აზრით, რომელსაც მას სტალინი აძლევდა. სხვადასხვა ეროვნების თბილისელი მუშები, რომლებიც ქალაქის იმდროინდელი მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენდნენ, სტალინს ახსოვდა „ინტერნაციონალისტებად“. მაგრამ იმავე მუშებს, რუსეთის იმპერიაში ჰყავდათ საერთო მტერი იმპერიული ბიუროკრატიის სახით. „ბიზნესმენი-ექსპლუატატორი“ მათთვის ყოველთვის არ იყო მტერი – ის მათ პურის ფულს უხდიდა, თუმცა ბოლშევიკები (და მენშევიკებიც!) მტრად სწორედ ამ დამქირავებლებს სახავდნენ. როდესაც იმპერია დაიშალა და ცოტა ხნით გაჩნდა ნაციონალური (და არა „ნაციონალისტური“, როგორც მათ სტალინი უწოდებდა) სახელმწიფოები, მუშებზეც იმოქმედა იმდროინდელმა მედიამ (გაზეთებმა), რომლებიც საზოგადოებრივ აზრს საკუთარი ნაციის სასარგებლოდ აყალიბებდნენ. საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის ნაციონალური სახელმწიფოების თუნდაც ხანმოკლე არსებობამ წარუშლელი ნაკვალევი დატოვა შესაბამისი ნაციების სოციალურ ფსიქოლოგიაში. ყველამ – სომხებმა, ქართველებმა, აზერბაიჯანელებმა, ოსებმა, აფხაზებმა – თავი ცალკე ერად (ნაციად) იგრძნო.

ჯინი ბოთლიდან გამოვიდა და მისი უკან შებრუნება შეუძლებელი გახდა!

ხდებოდა თუ არა ეთნიკური ასიმილაცია საბჭოთა კავშირში?

საბჭოთა რესპუბლიკებში მიმდინარეობდა ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესები. 1930-იანი წლებიდან კრემლი ამ პროცესს ფაქტობრივად ახალისებდა, განსაკუთრებით, თუკი ის ეხებოდა „არასატიტულო ეროვნებებს“, ანუ ისეთებს, რომელთაც არ ჰქონდათ მათი ეთნიკური სახელის მატარებელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული. ზოგიერ შემთხვევაში ამას პრაქტიკულად ნებაყოფლობითი ასიმილაციის სახე ჰქონდა.

ასე მაგალითად, აზერბაიჯანში ისლამის მიმდევარი რამდენიმე, რიცხობრივად შედარებით მცირე ეთნოსი, რომელთაც არ გააჩნდათ ტერიტორიული ავტონომია, ითქვიფებოდნენ აზერბაიჯანელებში: ესენი იყვნენ **ირანულენოვანი თალიშები, ქურთები და თათები, ქართულენოვანი მუსლიმი ინგილოები, ნაწილობრივ – დაღესტნურ ენებზე მოლაპარაკე ლეზგები და ავარლები.** ამ ადამიანების უმეტესობას ერჩივნა გამხდარიყვნენ „აზერბაიჯანელები“ და ესარგებლათ სატიტულო ერის ყველა პრივილეგიით.

საქართველოში ქართველ ერს დიდი ხანია შეერწყნენ ბაცბურ ენაზე (ის ჩეჩნურის მონათესავეა) მოლაპარაკე მცირერიცხოვანი წოვა-თუშები და ერთ-ერთ „ალბანურ“ ენაზე მოლაპარაკე უდები. ქართულ ენობრივ გარემოში მცხოვრები ზოგიერთი ოსი, სომეხი და სხვა ეთნოსის წარმომადგენელი თავისთვის და თავისი შთამომავლობისთვის უკეთესად მიიჩნევდა, თუ ქართველად ჩაითვლებოდა.

აფხაზეთის ასსრ-ში ანალოგიური პროცესი იყო, განსაკუთრებით 1920-30-იან წლებში, როდესაც მოქმედებდა „კორენიზაციის პოლიტიკა“: იქ ზოგიერთი დასავლეთ-ქართული სუბეთნოსის წარმომადგენელი ამჯობინებდა „აფხაზად“ ჩაწერილიყო.

რუსეთის ჩრდილოეთში მცხოვრები ფინურენოვანი კარელები, კომი, იჟორა, ისევე, როგორც ვოლგისპირეთის ფინურენოვანი ეთნოსები – მორდველები, მარიელები, უდმურტები, რაოდენობრივად მცირდებოდნენ, რადგან ისინი რუს ერს ერწყმოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი ცნობდა „ბელორუსული ნაციის“ არსებობას, ბელორუსები პრაქტიკულად რუსულ ენაზე გადავიდნენ: სკოლებშიც კი სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

მაგრამ ხალხმრავალი არასლავი ერების რუსიფიკაცია საბჭოთა კავშირში ვერ მოხერხდებოდა.

მართალია, ცენტრალური აზიის, აზერბაიჯანის, სხვა რესპუბლიკების ადგილობრივი ელიტების – პარტიული და საბჭოთა ნომენკლატურის – შვილები რუსულ ენაზე სწავლობდნენ და პრაქტიკულად კარგავდნენ კონტაქტის საშუალებას მხოლოდ მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე სოფლის მოსახლეობასთან, მაგრამ ამ რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ აღმოჩნდა, რომ იგივე ელიტები მშვენივრად მოერგნენ ახალ ვითარებას – უცხო ენის ცოდნა გამოადგათ კიდეც!

რაც შეეხება ქართველებს, საქართველოს სსრ-ში მათი რუსიფიკაცია პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ეს ვერ მოხერხდა XIX საუკუნეშიც კი, რუსეთის იმპერიის დროს.

1950-80-იან წლებში საქართველოს სსრ-ში ეთნიკური ქართველი მოწაფეების 93-96 პროცენტი ქართულ საშუალო სკოლაში სწავლობდა. ეს ახალ თაობებს ქართულ ეროვნულ იდენტობას განუმტკიცებდა, თუნდაც ამ სკოლების უმეტესობაში დისციპლინა და სწავლების ხარისხი მაღალი არ ყოფილიყო. საქართველოს რუსულ სკოლებში კი, სადაც დისციპლინა და მომთხოვნელობა უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ქართულ სკოლებში, მოსწავლეების საგრძნობ ნაწილს სულ სხვა – „საბჭოთა“ – სულისკვეთება უყალიბდებოდა.

1980-იანი წლების მონაცემებით სასკოლო ასაკის ქართველი ბავშვების შედარებით დიდი ნაწილი სწავლობდა რუსულ სკოლებში მხოლოდ აფხაზეთის ასსრ-ს რაიონებში (20-30 პროცენტი), სენაკის, წალენჯიხის, ხობის რაი-

ონებში და ქ. ზუგდიდში (10-20 პროცენტი). ამას „კრემლის ხრიკებს“ ვერ დავაბრალებთ: როგორც ჩანს, მშობლები თავიანთ შვილებს თავიდანვე ამზადებდნენ „საკავშირო სარბიელისათვის“ და გეგმავდნენ მათ შეყვანას რსფსრ-ის უმაღლეს სასწავლებლებში.

რა ეთნიკური კონფლიქტები არსებობდა საბჭოთა კავშირში?

ეთნიკური კონფლიქტები ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით საბჭოთა კავშირში ზედაპირზე არ ჩანდა, მაგრამ ლატენტური (ფარული) ფორმით ისინი არსებობდა.

საბჭოთა კავშირში საკმაოდ სერიოზული კონფლიქტები ვლინდებოდა ეთნიკური ჯგუფების გარკვეულ დაპირისპირებაში. ზოგან ეს ჩანდა მეცნიერთა, განსაკუთრებით ჰუმანიტარული დარგების წარმომადგენელთა, დისკუსიებში.

ნაციონალური ინტელიგენციის როლი საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვაში მართლაც სერიოზული გახდა.

პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსების არარსებობის პირობებში ინტელიგენციის წარმომადგენლებმა არაფორმალური ეროვნული ლიდერის როლი იკისრეს. ამ ფონზე ნაციონალური ინტელიგენცია საზოგადოებრივი აზრის მაფორმირებელ ძალად იქცა.

ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი პარტიული ლიდერები ფარულ მხარდაჭერას უწევდნენ ნაციონალურ ინტელიგენციას, თუმცა, ხანდახან, მისი დაშოშმინება უხდებოდათ.

საჩივრები მეზობელი ერის ისტორიკოსებისა და მწერლების „უმსგავსო მოქმედების“ შესახებ „უზენაეს არბიტრთან“, ანუ კრემლის პოლიტბიუროში იგზავნებოდა. აფხაზი ისტორიკოსები ქართველ ისტორიკოსებს უჩიოდნენ, ქართველები – სომხებს, სომხები – აზერბაიჯანელებს, ან პირიქით. მათი კამათი და საჩივრები ჭორის სახით სწრაფად ჟონავდა ფართო საზოგადოებაში, რომელიც „მეზობელი ხალხის უტიფრობას“ ტელევიზიით კი არ ეცნობოდა, არამედ მითქმა-მოთქმის გზით, რაც, სხვათა შორის, უფრო ღრმა და ხანგრძლივ შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე სატელევიზიო სიუჟეტი.

იყო სხვა სახის დაპირისპირებაც, რომელიც „ეთნოტერიტორიული კონფლიქტის“ წინამორბედად შეიძლება მივიჩნიოთ. თავიდან ის უფრო მეტად ვლინდებოდა ჩრდილოეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. მაგალითად, 1944 წელს შუა აზიაში გასახლებული და 1957 წელს უკან დაბრუნებულ ინგუშებს მათი ნასახლარების ნაწილზე (1000 კვ. კმ ფართობზე) ოსური მოსახლეობა დახვდათ, ხოლო ასევე დაბრუნებულ ჩეჩნებს – დაღესტნელი ავარები, რომლებიც მიწას უკან აღარ აბრუნებდნენ. უდაბნოებითა და მაღალი მთებით გარშემორტყმულ შუა აზიაში ხალხთა შერეული განსახლების არეალებში (მაგალითად, ფერგანის ველზე) დავა ჩნდებოდა სახნავ-სათესი მიწისა

და სარწყავი წყლის შესახებ: „ყირგიზები წყალს არ გვაძლევენ უზბეკებს?“ „უზბეკები სახლდებიან ჩვენს, ტაჯიკურ, მიწაზე“? და ა.შ.

კრემლი ცდილობდა, რაღაცნაირად მოეგვარებინა ასეთი დაპირისპირებები, მაგრამ ეს მცდელობა უკმაყოფილებას იწვევდა იმ ეთნოსში, რომელიც პოლიტბიუროს დადგენილების შემდეგ თავს უსამართლოდ დაჩაგრულად გრძნობდა.

ძირეული დაპირისპირება იყო ბალტიის ხალხებსა და რუსებს შორის. ლიეტუველებს, ლატვიელებს, ესტონელებს არ ავიწყდებოდათ, როგორ მოექცა მათ საბჭოთა რეპრესიული აპარატი 1940 წელს, როდესაც ეს რესპუბლიკები ძალით შეიყვანეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, და, ხელმეორედ, 1944 წლიდან, გერმანული ოკუპაციის შემდეგ: ახსოვდათ რეპრესიები, ძალადობრივი კოლექტივიზაცია, კერძო საკუთრების ნაციონალიზაცია, გადასახლება.

ბალტიელ ხალხებს აშფოთებდათ რუსული კოლონიზაცია: რუსები მასობრივად სახლდებოდნენ რიგასა თუ ტალინში, კლაიპედასა თუ იურმალაში. ბალტიელებისათვის „რუსები“ მოიცავდნენ ეთნიკურ რუსებსაც და სხვა რუსულენოვან ადამიანებსაც – უკრაინელებს, ბელორუსებს, რუს ებრაელებს და სხვებს, ვინც ბალტიელი არ იყო. საბჭოთა ხელისუფლების დასასრულისათვის ქ. რიგაში ლატვიელები უმცირესობად იქცნენ. ესტონელების ხვედრითი წილი რესპუბლიკის მთელ მოსახლეობაში 1940 წლის 90 პროცენტიდან 1989 წელს 60 პროცენტამდე შემცირდა.

ყველაფერი ზემოთქმული კარგი წინაპირობა აღმოჩნდა იმ რეალური ეთნიკური კონფლიქტებისათვის, რომლებმაც იფეთქა ჯერ კიდევ არსებულ საბჭოთა კავშირში 1980-იანი წლების მეორე ნახევარში და მძიმე ტვირთად გადმოჰყვა მის ადგილზე წარმოშობილ ეროვნულ სახელმწიფოებს.

კითხვები ლექცია 9-ის თემაზე:

1. რა იყო საბჭოთა კავშირის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტრუქტურის ჩამოყალიბების მიზეზები და თავისებურებები?
2. რა იყო საბჭოეთის პოლიტიკური განვითარების „პარადოქსი“?
3. როგორ ხდებოდა „წინასახელმწიფოებრივი ნაციონალიზმის“ განვითარება?
4. რა ეთნონაციონალური პროცესები მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირში?
5. ხდებოდა თუ არა ეთნიკური ასიმილაცია საბჭოთა კავშირში?
6. რა სახის ეთნიკური კონფლიქტები არსებობდა საბჭოთა კავშირში?

ლექცია 10

საბჭოთა კავშირის დაშლის პოლიტიკური გეოგრაფია

რა პოლიტიკური სტრუქტურით სცადეს საბჭოთა კავშირის შეცვლა?

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა (სსრკ) ოფიციალურად იარსება 1922 წლის 30 დეკემბრიდან 1991 წლის 21 დეკემბრამდე, როდესაც დიდი სახელმწიფოს ადგილზე შეიქმნა 12 დამოუკიდებელი სახელმწიფო (ბალტიის სამი რესპუბლიკა, კრემლის თანხმობით, კავშირიდან გავიდა 1991 წლის სექტემბერში: ამის მიზეზი ქვემოთაა ახსნილი). კავშირის დაშლა რეალურად უკავშირდებოდა იმ დროისათვის მოსკოვში წარმოქმნილ პოლიტიკურ კრიზისს და ბრძოლას ძალაუფლებისათვის, ხოლო ასეთი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცვლილების იურიდიულ საფუძველს ქმნიდა **სსრკ კონსტიტუციის მუხლი 72, რომლის მიხედვით „ყველა მოკავშირე რესპუბლიკა ინარჩუნებს სსრკ-დან თავისუფალი გასვლის უფლებას“.**

1991 წლის 21 დეკემბერს 11 მოკავშირე რესპუბლიკის მიერ ყაზახეთის სსრ დედაქალაქ ალმა-ათაში (მაშინ ასე ერქვა ამ ქალაქს) ხელმოწერილი დეკლარაციის თანახმად იქმნებოდა **„არასახელმწიფოებრივი და არაზესახელმწიფოებრივი „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა“ (დსთ)**, რომელიც ცნობდა მისი წევრი ქვეყნების **„ტერიტორიულ მთლიანობას და არსებული საზღვრების ურღვევობას“.**

ალმა-ათაში წარმოდგენილი არ იყო საქართველოს რესპუბლიკა. იმდროინდელი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია თავიდანვე აცხადებდა, რომ არ აპირებდა რაიმე ხელშეკრულების ხელმოწერას, რომელიც საქართველოს მიერ გამოცხადებულ დამოუკიდებლობას შეზღუდავდა. 21 დეკემბერს კი ის ვერც შეძლებდა გაფრენას ალმა-ათაში, რადგან თბილისში დაიწყო ამბოხება, რომელსაც მოჰყვა სამოქალაქო ომი და ხელისუფლების შეცვლა თბილისში. 1992-1993 წლებში გახანგრძივებულმა სამოქალაქო ომმა გავლენა მოახდინა საქართველოს ცუდად მართული შეიარაღებული ძალების დამარცხებაზე აფხაზეთის სეპარატისტებთან, რომელთა უკან აშკარად იდგა რუსეთის ფედერაცია. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა 1993 წლის ოქტომბერში შეერთებოდა დსთ-ს. ამ ნაბიჯს დიდხანს ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის პარლამენტში მყოფი პოპულისტური პარტიების უმრავლესობა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) იყო ერთგვარი „დამამშვიდებელი პრიზი“ რუსეთისათვის, რომელიც კავშირის დაშლით კარგავდა იურიდიულ უფლებას ტერიტორიის იმ საგრძნობ ნაწილზე, რომელიც

რუსეთის ცარებმა XVII-XIX საუკუნეებში დაიპყრეს, ხოლო 1920-1944 წლებში ხელახლა გააერთიანა რუსეთის კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ. 22 მილიონი კვ. კილომეტრიდან, რომელზეც საბჭოთა კავშირი იყო განლაგებული და 300 მილიონი მცხოვრებიდან, რომელიც იმართებოდა ერთი ცენტრიდან და ერთი პარტიის მიერ, რუსეთის ფედერაციას რჩებოდა 17 მილიონი კვ. კმ და 150 მილიონი მცხოვრები.

ამავე დროს, **რუს ეთნოსს კავშირის დაშლა შეეძლო მიეჩნია გარკვეულ შვებად:** 1989 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით საბჭოთა კავშირში ეთნიკური რუსები მოსახლეობის სულ ნახევარს შეადგენდნენ. დემოგრაფიული ტენდენცია აჩვენებდა, რომ მათი წილი სწრაფად მცირდებოდა, რადგან ე. წ. „მუსლიმ ხალხებს“ (ცენტრალური აზიის, აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობას) ბევრად უფრო სწრაფი რაოდენობრივი ზრდის ტენდენცია ჰქონდათ. ასეთი ვითარების საპირისპიროდ, ახალწარმოქმნილ რუსეთის ფედერაციაში ეთნიკურმა რუსებმა მოსახლეობის 80 პროცენტი შეადგინეს (თუმცა შემდგომში მათმა წილმა იქაც დაიკლო).

რუსეთის გეოპოლიტიკური ამბიციები ისევ იყო ბატონობა „პოსტ-საბჭოთა სივრცეში“. დსთ თითქოს აკმაყოფილებდა რუსეთის ამბიციას.

რეალობა კი ის აღმოჩნდა, რომ დსთ-მ ვერ შეინარჩუნა მშვიდობა თავის წევრებს შორის: ამის მაგალითებია სომხეთ-აზერბაიჯანის ომი, რომელიც მეოთხედი საუკუნე გაგრძელდა, და თვით რუსეთის აგრესიული მოქმედება მოლდოვის, საქართველოსა და უკრაინის მიმართ, სადაც მან წაახალისა სეპარატისტული მოძრაობები, ან მოახდინა პირდაპირი აგრესია. 2024 წელს დსთ-ის შემადგენლობაში რჩებოდა მხოლოდ რუსეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და, ნომინალურად, სომხეთი და მოლდოვა. დსთ პრაქტიკულად უმოქმედო ორგანიზაციაა.

რა ვითარება იყო საბჭოთა რესპუბლიკებში 1990-1991 წლებში?

1990-იანი წლების დამდეგს საბჭოთა კავშირის კულტურულ-გეოგრაფიულად განსხვავებულ და ეთნიკურად ჰეტეროგენული მოსახლეობის რიგით წევრებს აწუხებდათ პირადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება. ყველაფერი ძვირდებოდა იმ ფონზე, როდესაც ხელფასი სახელმწიფო საწარმოებსა და დაწესებულებებში არ იზრდებოდა. 1988 წელს კანონით დაშვებული კერძო კოოპერატივების დაარსება ხელს უწყობდა ქონებრივი უთანასწორობის ზრდას, მაშინ როდესაც იქამდე, 70 წლის განმავლობაში, ხალხს უნერგავდნენ საყოველთაო თანასწორობის იდეას.

1985 წელს კრემლის მიერ წამოწყებულმა „**პერესტროიკამ**“ (გარდაქმნა) და, განსაკუთრებით, 1987 წლიდან დაშვებულმა „**გლასნოსტმა**“ (საჯაროო-

ბა) ფაქტობრივად ხელი შეუწყო კომუნისტური ხელისუფლების მიმართ ოპოზიციური საზოგადოებრივი აზრის ზედაპირზე გამოსვლას. ეს იგრძნობოდა თითქმის მთელ საბჭოთა კავშირში, მაგრამ დიდი გეოგრაფიული განსხვავებებით:

- რსფსრ-ში ოპოზიციური განწყობა მმართველი რეჟიმის მიმართ ყველაზე მეტად **ჩანდა მოსკოვსა და ლენინგრადში** (ამჟამად – სანკტ-პეტერბურგი). იქაური ინტელექტუალური წრეების საკმაო ნაწილი იხრებოდა მეტი ლიბერალიზმისა და პოლიტიკური პლურალიზმის მიმართ, ოღონდ არსებული ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში. მართალია, მოსკოვშიც კი, განსაკუთრებით ეკონომისტთა წრეში, ისმოდა ხმა, რომ რუსეთი უკეთ იარსებებდა „მუქთამჭამელი“ მოკავშირე რესპუბლიკების გარეშე. მაგრამ ეთნიკური რუსების უმრავლესობა, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა „თავისი სახელმწიფოს“ დაშლის მომხრე. რსფსრ-ის ზოგიერთ ავტონომიაში, ზედაპირზე გამოდიოდა ეთნიკური ნაციონალიზმი და ზოგან (უპირველესად, თათრეთში, ჩეჩნეთსა და იაკუტიაში) დაიწყო მსჯელობა რუსეთისაგან გამოყოფაზეც კი;
- ბალტიის სამ რესპუბლიკაში – **ესტონეთში, ლატვიასა და ლიეტუვაში,** აგრეთვე **საქართველოში,** ნაწილობრივ **უკრაინაში** (კერძოდ, მის დასავლეთ ნაწილში) 1987 წლიდან სწრაფად ყალიბდებოდა ოპოზიციური ნაციონალისტური პარტიები, ხოლო ბალტიის ქვეყნებში იქმნებოდა საერთო-ეროვნული მოძრაობები, რომლებიც 1940 წელს წართმეული დამოუკიდებლობის აღდგენას მოითხოვდნენ;
- **მოლდოვაში** გარკვეული ძალები ოცნებობდნენ რუმინეთთან ხელახალ გაერთიანებაზე (1918-1940 წლებში მოლდოვის უდიდესი ნაწილი რუმინეთში შედიოდა: „მოლდავური ენა“ იგივე რუმინულია). არსებობდა გაერთიანების მიმართ საკმაოდ დიდი შიდა წინააღმდეგობაც, როგორც დედაქალაქ კიშინიოვში, ისე მოლდოვის ტერიტორიაზე აღმოცენებულ უკანონო ავტონომიებში (იხ. ქვემოთ);
- თავისებურად განვითარდა მძლავრი ეროვნული მოძრაობა **სომხეთში,** რომელსაც „ყარაბაღი“ დაერქვა. სომხების, არსებითად ერთადერთი, მოთხოვნა იყო აზერბაიჯანის შემადგენლობაში მყოფი მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სომხეთის სსრ-სათვის დაქვემდებარება.
- ზემოთქმულის საპირისპიროდ აღმოცენდა ეროვნული მოძრაობა **აზერბაიჯანში,** სადაც იქამდე საზოგადოებრივი აზრი მკაფიოდ არ იყო ჩამოყალიბებული. მთიანი ყარაბაღის დათმობაზე მსჯელობამაც კი სწრაფად გააღვივა ანტი-სომხური გრძნობები აზერბაიჯანელებს შორის. ამავე დროს, არც სომხეთში და არც აზერბაიჯანში საბჭოთა კავშირიდან გასვლა პრიორიტეტული მოთხოვნა ჯერ არ გამხდარიყო: ორივე საბჭოთა რესპუბლიკის კომუნისტური ხელმძღვანელობა და

ორივე, ერთმანეთთან დაპირისპირებული, ეროვნული მოძრაობა დიდი იმედით შეჰყურებდა კრემლს.

- **ბელარუსში,** განსაკუთრებით დედაქალაქ მინსკში და რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილში, იყვნენ პროევროპული ორიენტაციის ძალიან მცირე ჯგუფები. მაგრამ, საერთო ჯამში, ბელარუსი ყველაზე კონსერვატიულ, პროსაბჭოთა რესპუბლიკად რჩებოდა;
- **ცენტრალური აზიის რესპუბლიკების** მუსლიმი მოსახლეობის უმეტესობა ლოიალური იყო არსებული კომუნისტური ხელისუფლების მიმართ: იქ კრემლისათვის მისაღები გარეგნული სიმშვიდე სუფევდა.

ქვეყანაში შექმნილი კრიზისული ვითარების გათვალისწინებით კრემლში გადაწყვიტეს ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის რეორგანიზაცია, ე.წ. „განახლებული ფედერაციის“ შექმნა, რომელიც დააკნინებდა მოკავშირე რესპუბლიკების უფლებებს ავტონომიების ხარჯზე. ეს პროექტი ვერ განხორციელდა, მაგრამ საქართველოსათვის მან ძალიან ცუდი როლი შეასრულა.

საბჭოთა კავშირის პირველი (და უკანასკნელი!) პრეზიდენტის მიხაილ გორბაჩოვის ინიციატივით 1991 წლის 17 მარტს ჩატარდა **საკავშირო რეფერენდუმი „საბჭოთა კავშირის, როგორც განახლებული ფედერაციის შენარჩუნების“ თაობაზე.** ოფიციალურად გამოცხადდა, რომ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირში ხმის მიცემის უფლების მქონე პირთა 79,5 პროცენტმა, რომელთაგან სამმა მეოთხედმა მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას. ამ მონაცემების სიზუსტის გადამოწმება შეუძლებელი იყო.

„დიდი ენთუზიაზმით“, ლამის ერთსულოვნად (93-98 პროცენტი) საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას მხარი დაუჭირეს ყაზახეთში, უზბეკეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთსა და აზერბაიჯანში.

ბელარუსში მხარდამჭერი იყო 82 პროცენტი, რუსეთის ფედერაციაში 71 პროცენტი, ხოლო უკრაინაში – 70 პროცენტი. ამასთან, რუსეთის დიდ ქალაქებში – მოსკოვში, ლენინგრადსა და ეკატერინბურგში (სვერდლოვსკში) – ნახევარზე მეტმა უარყოფითი პასუხი გასცა რეფერენდუმის კითხვას.

რეფერენდუმს ბოიკოტი გამოუცხადეს ექვს მოკავშირე რესპუბლიკაში – ესტონეთში, ლატვიაში, ლიეტუვაში, მოლდოვაში, საქართველოსა და სომხეთში, სადაც დამოუკიდებლობა ან უკვე გამოცხადებული ჰქონდათ (ლიეტუვამ დამოუკიდებლობის აღდგენა 1990 წლის 11 მარტს გამოაცხადა) ან ამისათვის ემზადებოდნენ. მაგალითად, საქართველომ საკუთარი რეფერენდუმი დამოუკიდებლობის შესახებ ჩაატარა 1991 წლის 31 მარტს და უკვე 9 აპრილს გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა.

„ჯიუტი რესპუბლიკების“ წინააღმდეგ კრემლმა სცადა ჩვეული მეთოდის, „გაყავი და იბატონე“, გამოყენება, რაც ეთნიკურად განსხვავებული რეგიონების დაპირისპირებას გულისხმობდა. მაგალითად, მოლდოვაში რეფე-

რენდუმი ჩატარდა თვითნებურად გამოცხადებულ და საბჭოთა კონსტიტუციის უგულვებელყოფით შექმნილ, „დნესტრისპირეთის მოლდავეთის სსრ-ში“ და „გაგაუზიის რესპუბლიკაში“; ესტონეთში რეფერენდუმი ჩაატარეს რუსებით კომპაქტურად დასახლებულ ნაწილში (დედაქალაქ ტალინსა და ქალაქ ნარვაში). ყველა ასეთ რეგიონში საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას აბსოლუტური მხარდაჭერა ხვდა წილად.

საქართველოს წინააღმდეგ კრემლმა გამოიყენა აფხაზეთის ასსრ-ში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში უკვე გაღვივებული პოლიტიკური დაპირისპირება თბილისთან. აფხაზეთში გამოცხადდა, რომ საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ავტონომიური რესპუბლიკის ამომრჩეველთა 52 პროცენტმა (ანუ 166 ათასმა ადამიანმა) და მათი 98 პროცენტი საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას მიემხრო. იქ მცხოვრები ქართული მოსახლეობის მიერ რეფერენდუმის ბოიკოტირების პირობებში ხმის მიცემისა და ხმების დათვლის პროცედურის გაკონტროლება შეუძლებელი იყო და ეს მონაცემები სანდო ვერ იქნებოდა.

საკავშირო რეფერენდუმის შედეგები რეალურად ემსახურებოდა მხოლოდ კრემლის სათავისო მოლოდინის დაკმაყოფილებას. მისი შედეგების რეალიზაცია არ მომხდარა: სულ ცხრა თვის შემდეგ გამოცხადდა საბჭოთა კავშირის დაშლა. ისტორიის ჩარხის შემობრუნება უკვე შეუძლებელი იყო.

საბჭოთა კავშირის შენარჩუნებისა და მისგან გამოყოფის მსურველი რეგიონების მოსახლეობის პოლიტიკური ქცევის განსხვავებები სივრცით ხასიათს ატარებდა და აიხსნებოდა მოსახლეობის ეთნიკური და სოციალური სტრუქტურით, მისი ტრადიციებით, კულტურულ-საგანმანათლებლო დონით და ა.შ.

ქვემოთ განხილულია საბჭოთა კავშირის რამდენიმე მსხვილი რეგიონის დამოკიდებულება ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნებისა ან მისი დაშლის მიმართ.

რას წარმოადგენდა ბალტიური ერთსულოვნება?

საკუთრივ საბჭოთა კავშირის ნგრევის დრო რეალურად დადგა 1991 წელს. ეს, უპირველესად, დაიწყო „საბჭოთა ბალტიისპირეთში“ – ლიეტუვაში, ლატვიასა და ესტონეთში. მათთვის ძალიან დიდი პოზიტიური ფაქტორი იყო ერთსულოვნება, ანუ ის, რომ სამივე რესპუბლიკა საერთო მიზნისათვის ერთობლივად და შეთანხმებულად იბრძოდა.

ბალტიური ერთსულოვნება კრემლს ძალიან ურთულებდა საქმეს. ამ ერთსულოვნების ერთ-ერთი საფუძველი იყო მოსახლეობის თავისებური გეოგრაფია: არც ერთი რესპუბლიკის ეთნიკური სტრუქტურა არ ქმნიდა ერთმა-

ნეთთან ეთნიკური კონფლიქტის შექმნის საფრთხეს. ეს მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა სამხრეთ კავკასიის და შუა აზიის ვითარებასთან.



ნახ. 17.
ბალტიის ქვეყნები
(წყარო: ავტორისეული ნამუშევარი)

1920-30-იან წლებში ბალტიის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე სამი სახელმწიფოს (რომელთაც საბჭოთა კავშირი ცნობდა) ძირითადი ეთნოსი (ესტონელები, ლატვიელები, ლიტველები) კომპაქტურად ცხოვრობდა და ყველა სახელმწიფოში ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენდა არა რომელიმე მეზობელი ბალტიელი ეთნოსი, არამედ სხვა ეთნოსები (ლიეტუვაში – პოლონელები, ლატვიასა და ესტონეთში – გერმანელები, რუსები და ებრაელები).

გასაბჭოებულ ბალტიის რესპუბლიკებშიც არ არსებობდა რაიმე ტერიტორიული ურთიერთპრეტენზიის საფრთხე. ლიეტუვას არავითარი პრეტენზია არ ჰქონდა მეზობელი ლატვიის მიმართ, რომელსაც, თავის მხრივ, არაფერი აღმოაჩნდა სადავო მეზობელ ესტონეთთან, და პირიქით.

1920-იან-30-იან წლებში ლიეტუვას სერიოზული პრობლემა ჰქონდა სხვა მეზობელთან – პოლონეთთან, რომელმაც 1920 წელს შეიერთა ლიეტუვის ისტორიული დედაქალაქი ვილნიუსი (პოლონურად – ვილნო) და მისი რეგიონი იმ საბაბით, რომ ქალაქში პოლონური (და ებრაული) მოსახლეობა ლიეტუველებს ბევრად აჭარბებდა, თუმცა მიმდებარე სოფლებში ლიეტუველები ცხოვრობდნენ. ვილნიუსი მხოლოდ 1939 წლის სექტემბრის ბოლოს დაუბრუნდა ლიეტუვას: ეს განხორციელდა სტალინის გარიგებით ჰიტლერთან, როდესაც მათ შორის ხელახლა გაიმიჯნა დაპყრობილი პოლონეთის ტერიტორია და პოლონეთის ნაწილის ნაცისტური გერმანიისათვის დათმობის სანაცვლოდ საბჭოთა გავლენის სფეროში მოექცა ლიეტუვა. ვილნო და მისი რეგიონი ლიეტუვას გადაეცა, სადაც 1940 წლის ივლისში ფიქტიური არჩევნების შემდეგ მოსკოვმა შექმნა „ლიტვის სსრ“ და შეუერთა საბჭოთა კავშირს.

1980-იანი წლების მიწურულში კრემლი ამაოდ ცდილობდა დაერაზმა ლიეტუვის პოლონური უმცირესობა, რომელიც ქ. ვილნიუსში ცხოვრობდა, ადგილობრივი ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ. პარადოქსია, რომ ლიეტუვის პოლონურ უმცირესობაზე „ზრუნავდა“ არა ვარშავა, არამედ მოსკოვი: ვარშავაში მშვენივრად ხვდებოდნენ, რა იდგა ამ „ზრუნვის“ უკან!

1990 წლის აპრილში საბჭოთა კავშირის იმდროინდელმა ხელმძღვანელმა **მიხაილ გორბაჩოვმა** შესთავაზა ბალტიის ერთ-ერთ რესპუბლიკას, ლატვიის სსრ-ს, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩენა განსაკუთრებული, *კონფედერაციული,* სტატუსით. ლატვიელებთან გორბაჩოვის მოლაპარაკების წარმატება, ეჭვგარეშეა, მოდელად იქცეოდა ბალტიის დანარჩენი რესპუბლიკებისათვის.

ლატვიის სსრ-ის *კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ* (მართლაც ასე იყო!) გორბაჩოვის წინადადება უარყო და მოითხოვა ლატვიის სრული დამოუკიდებლობის აღდგენა. მოსკოვისა და რიგის გარიგება ვერ შედგა.

რატომ ავლენდა კრემლი ასეთი დათმობის ნებას ბალტიის რესპუბლიკების მიმართ?

გორბაჩოვმა მშვენივრად იცოდა, რომ 1940 წელს ეს ქვეყნები საბჭოთა კავშირმა შეიერთა სტალინსა და ჰიტლერს შორის 1939 წლის 23 აგვისტოს მიღწეული გარიგების, „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის“, საფუძველზე (1939 წლის სექტემბერში მოხდა გამიჯვნის ხაზების ერთგვარი შეცვლა). კრემლში ისიც იცოდნენ, რომ აშშ de jure არ აღიარებდა საბჭოთა კავშირის ნაწილად ბალტიის რესპუბლიკებს, თუმცა ურიგდებოდა მათ de facto ყოფნას საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

კრემლი თანახმა იყო სერიოზულ პოლიტიკურ დათმობებზე ბალტიის რესპუბლიკების მიმართ, ოღონდ რაიმე ფორმით მიეღო მათი ოფიციალური თანხმობა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩენის შესახებ.

კრემლის მცდელობა ამაო გამოდგა. ლატვიელებმა დაიცადეს წელიწადნახევარი და უსისხლოდ მიიღეს სასურველი შედეგი – დამოუკიდებლობა, თუმცა 1990 წლის აპრილში ძნელი იყო იმის გათვლა, რომ პოლიტიკური მოვლენები მათ სასარგებლოდ ასე კარგად განვითარდებოდა. 1991 წლის სექტემბერში კრემლი იძულებული გახდა ეცნო ბალტიის სამივე რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

მას შემდეგ განვლილი სამ ათწლეულზე მეტი დრო ბალტიის ქვეყნებისთვის ქმნის საბჭოთა წარსულისა და დამოუკიდებელი თანამედროვეობის გამმიჯნავ ისტორიულ უფსკრულს. 2004 წლის 29 მარტს ბალტიის სამივე ქვეყანა – ლატვია, ლიეტუვა და ესტონეთი – ნატო-ში მიიღეს, ხოლო იმავე წლის 1 მაისს ყველა მათგანი გახდა ევროპული კავშირის წევრი.

1990-1991 წლებში საქართველოშიც გაისმოდა სუსტი ხმები – „ჩვენ თანახმა ვართ კონფედერაციულ სტატუსზე“. კრემლმა ამ ხმას ყურიც არ ათხოვა. ლატვიის ანალოგიურ წინადადებას გორბაჩოვი არ მისცემდა არც საქართველოს და არც სხვა „არაბალტიურ“ რესპუბლიკებს: იმ დროს ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ ამერიკისა და დასავლეთ ევროპისათვის სასურველ პოლიტიკურ რუკაზე!

რას წარმოადგენდა „შუააზიური კონფორმიზმი“?

„მუსლიმურ რესპუბლიკებში“ (ტერმინი პირობითია: ოფიციალურად რელიგია გამოყოფილი იყო სახელმწიფოსაგან, მაგრამ ისლამი სერიოზულ გავლენას ახდენდა ამ რესპუბლიკების ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ ფსიქოლოგიაზე) – ყაზახეთში, უზბეკეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთში – საზოგადოებრივი აზრი, ტრადიციულად, კონფორმისტული იყო: ხალხის მასა ეთანხმებოდა ყველაფერს, რასაც ისმენდა არსებული ხელისუფლების, ანუ პარტიული ლიდერების, მხრიდან. საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ მთლიანობას იქ თითქოს არაფერი ემუქრებოდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს აჩვენა 1991 წლის 17 მარტის სრულიად საკავშირო რეფერენდუმმაც.

შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრები დადგინდა მოსკოვში 1920-იან -1930-იან წლებში და ისინი ნაკლებად ითვალისწინებდა ეთნიკურ გეოგრაფიას. მაგალითად, უზბეკეთის სსრ-ში შეიყვანეს ქქ. სამარყანდი და ბუხარა მიმდებარე რაიონებითურთ, სადაც იმ დროს ტაჯიკები რიცხობრივად სჭარბობდნენ უზბეკებს; ტაჯიკეთის სსრ-ში კი უზბეკური უმცირესობით დასახლებული რაიონები შეიყვანეს; ყაზახეთის სსრ-ის ჩრდილოეთი ნაწილი რუსებით იყო დასახლებული; ფერგანის ნაყოფიერ ველზე ყირგიზებით, ტაჯიკებით, უზბეკებით დასახლებული სოფლები ერთი-მეორის მეზობლად მდებარეობდა და რესპუბლიკათაშორისი საზღვრები ძალიან პირობითი იყო. ახლა კი ისინი სახელმწიფო საზღვრებია.

ნახ. 18.

ცენტრალური აზიის ქვეყნები

(საბჭოთა პერიოდში მათ ეწოდებოდათ „შუა აზია და ყაზახეთი“)

(წყარო: ავტორისეული ნამუშევარი)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტაჯიკების ენა სპარსულთან ძალიან ახლოსაა, ხოლო უზბეკების, ყირგიზების, ყაზახებისა და თურქმენების (ამ უკანასკნელთ დიდი უდაბნო არგუნეს წილად) ენები თიურქულ ენობრივ ჯგუფს მიეკუთვნება.

შუა აზიაში არც თუ იშვიათი ეთნოსთაშორისი კონფლიქტები არ გადაზრდილა ისეთ ომებში, რომლებიც არყევდა სამხრეთ კავკასიას. ამის ძირითადი მიზეზი ისევ არის ხალხის მორჩილება უფროსის (ხანის, ამირას, ცეკას პირველი მდივნის, პრეზიდენტის) ბრძანებისადმი. იქაც იყო ამბოხებები, სამხედრო ძალის გამოყენება და ადამიანთა სერიოზული მსხვერპლი (ტაჯიკეთში კლანთაშორისი სამოქალაქო ომი ექვსი წელი გრძელდებოდა), მაგრამ სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირება ომამდე არ მისულა.

აზერბაიჯანი, რომელიც შუა აზიას არ განეკუთვნება, თითქოს ჰგავდა ზემოხსენებულ რესპუბლიკებს, მაგრამ მას იმდენად სერიოზული კონფლიქტი გაუჩნდა მეზობელ სომხეთთან, რომ იქ საზოგადოების გარკვეული თვითორგანიზაცია დაიწყო.

კორუფციაში მხილებული ხელმძღვანელების ნაცვლად 1985-1990 წლებში გორბაჩოვის მიერ დანიშნულმა (ფორმალურად ისინი აირჩიეს) „კრისტალურად წმინდა კომუნისტებმა“ გაუძლეს დროით გამოცდას. ისინი სამუდამო მმართველებად იქცნენ, კორუმპირებულობით კი თავიანთ წინამორბედებს რამდენიმეჯერ გადააჭარბეს: კრემლის კონტროლი მათ აღარ აშინებდა!

1989 წელს გორბაჩოვმა ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ცეკა-ს პირველ მდივნად აარჩევინა ეთნიკური ყაზახი *ნურსულთან ნაზარბაევი.* მომდევნო წელს ამ უკანასკნელმა თავი აარჩევინა ყაზახეთის პრეზიდენტად. ის პრაგმატული მმართველი აღმოჩნდა: საჯარო გამოსვლებით ყველაზე პრორუსულად განწყობილი პოსტსაბჭოთა ლიდერის შთაბეჭდილებას ტოვებდა, სინამდვილეში კი განამტკიცებდა ყაზახეთის სუვერენიტეტს. რესპუბლიკის დედაქალაქი სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე *ალმათიდან* მან გადაიტანა ჩრდილოეთით მდებარე პატარა ქალაქში, რომელსაც **ასთანა** დაარქვა. დედაქალაქურმა ფუნქციამ მკვეთრად გაზარდა ეთნიკური ყაზახების ხვედრითი წილი ასთანასა და მის აგლომერაციაში, მაშინ როდესაც ადრე იქ აბსოლუტურად დომინირებდნენ ეთნიკური რუსები. თითქმის მესამედი საუკუნის განმავლობაში, 2019 წლამდე, ნაზარბაევი ედგა სათავეში სასარგებლო წიაღისეულით უაღრესად მდიდარ სახელმწიფოს, როგორც „სამუდამო პრეზიდენტი“. პრაქტიკულად მის დროს ჩამოყალიბდა ყაზახური ნაცია.

ასეთივე პრაგმატიკოსი, უზბეკეთის კომპარტიის ცეკას ყოფილი პირველი მდივანი *ისლამ ქარიმოვი,* უზბეკეთის რესპუბლიკის ავტოკრატიული პრეზიდენტი იყო 1990 წლიდან 2016 წლამდე, გარდაცვალებამდე. მისი მემკვიდრე საკუთარ „პიროვნების კულტს“ ქმნის.

თურქმენეთის კომპარტიის ცეკას პირველმა მდივანმა *საფარმურად ნიაზოვმა* თავი ჯერ პრეზიდენტად აარჩევინა, შემდეგ „თურქმენბაში“ („თურქმენთა მეთაური“) დაირქვა. დედაქალაქ *აშგაბათის* ცენტრში მან დადგა მზესთან ერთად მბრუნავი, ოქროსაგან დამზადებული საკუთარი ქანდაკება. ნიაზოვი დიქტატორული მეთოდებით მართავდა ამ, გაზით საოცრად მდიდარ, მაგრამ უდაბურ ქვეყანას. მისი გარდაცვალებისთანავე, 2006 წელს, ჯანდაცვის მინისტრმა *გურბანგული ბერდიმუხამედოვმა* ძალისმიერად დაიკავა პრეზიდენტის ვაკანტური პოსტი და მალე ისეთივე ავტოკრატი გახდა, როგორც თავისი წინამორბედი. 2022 წელს ბერდიმუხამედოვი გადადგა, მაგრამ წინდახედულად გადასცა პრეზიდენტის პოსტი საკუთარ 40 წლის ვაჟიშვილს: ფორმალურად, ის „აირჩიეს“.

ცენტრალური აზიის მოკავშირე რესპუბლიკებმა ისე მოიპოვეს დამოუკიდებლობა, რომ იქ არავითარი „ანტისაბჭოთა გამოსვლები“ არ ყოფილა.

„მუსლიმური რესპუბლიკების“ პრეზიდენტებად იქცნენ კომუნისტური პარტიების ყოფილი ხელმძღვანელები, იქ შენარჩუნდა ავტოკრატიული ხე-

ლისუფლება, საბჭოთა პერიოდის სახელმწიფო ინსტიტუტები. ახალმა პრეზიდენტებმა სახელი შეუცვალეს თავისი რესპუბლიკის კომუნისტურ პარტიას, დაარქვეს მას „დემოკრატიული“, „სახალხო“ და სხვ. მათი მემკვიდრეები (ხშირად – ვაჟიშვილები) იმავე პოლიტიკას აგრძელებენ. ამ ქვეყნებში სიტყვა „დემოკრატიას“ მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა აქვს.

საერთაშორისო პოლიტიკის პოზიციიდან ერთგვარი შეღავათია, რომ იმავე პრეზიდენტებმა მაქსიმალურად შეზღუდეს მათთვისვე საშიში ისლამიზმის (ეს არის პოლიტიკური ისლამი: არ აგვერიოს ისლამურ რელიგიაში!) გავრცელება თავიანთ ქვეყნებში, რაც საერთაშორისო ტერორიზმისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის ხოლმე.

რას წარმოადგენდა კავკასიური განხეთქილება?

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას შეეძლო დარწმუნებული ყოფილიყო, რომ განსხვავებით ბალტიის ქვეყნებისგან სამხრეთ კავკასიის სამი მოკავშირე რესპუბლიკა ვერ გამონახავდა საერთო ენას მის წინააღმდეგ. გარდა ამისა, კრემლს ადვილად შეეძლო მანიპულირება სამხრეთ კავკასიაში არსებული ავტონომიური წარმონაქმნებით.

უკვე 1988 წელს დაიწყო კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის „მთიან ყარაბაღთან“ დაკავშირებით. საბჭოთა კავშირისათვის ეს დიდი პრობლემა აღმოჩნდა, მაგრამ არც სომხეთი და არც აზერბაიჯანი კრემლს პირდაპირ არ უპირისპირდებოდა: ორივე დიდხანს ელოდა მისგან დახმარებას – რასაკვირველია, თავის სასარგებლოდ! რეალურად, ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიიღო კრემლის (ამ შემთხვევაში – გორბაჩოვის) უპირობო მხარდაჭერა. მთიანი ყარაბაღის გამო წარმოქმნილ სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტზე მე-15 ლექციისას ვისაუბრებთ.

საქართველოს ყველა ხელმძღვანელობა სომხურ-აზერბაიჯანულ დავაში ნეიტრალიტეტს იცავდა: მას საკუთარი ეთნოტერიტორიული კონფლიქტები შეექმნა.

განსხვავებით ბალტიის ქვეყნებისაგან სამხრეთ კავკასიის სამ რესპუბლიკას ჰქონდა (და დღემდე აქვს) განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ორიენტირები.

კრემლს სერიოზული პრობლემები სწორედ სამხრეთ კავკასიაში შეექმნა. საბჭოთა კავშირში შექმნილი საზოგადოებრივი აზრი ძალიან უარყოფითად უყურებდა საბჭოთა არმიის მოქმედებას 1989 წლის 9 აპრილს – თბილისში და 1990 წლის იანვარში – ბაქოში, რასაც სერიოზული მსხვერპლი მოჰყვა. ენაზე ბორკილახსნილმა ჟურნალისტებმა მოსკოვში, თბილისში, ბაქოში, ვილნიუსში და სხვაგან კარგად გამოიყენეს ზემოაღნიშნული ფაქტები კრემლის წინააღმდეგ. ამიტომაც კრემლს მორალურად გაუჭირდა სერიოზული სამხედრო ძა-

ლის გამოყენება საბჭოთა კავშირის ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად.

1990 წლის პირველი ათი თვე, 28 ოქტომბრის არჩევნებამდე, საქართველოში იყო „დემოკრატიის ნავარდის“ ყველაზე ხანგრძლივი ხანა: ყველას შეეძლო, რაც სურდა ის ეთქვა რადიოში და ტელევიზიით და ეწერა მომრავლებულ გაზეთებში. იქმნებოდა და იშლებოდა პარტიები და ბლოკები, რომლებიც ერთმანეთთან საქმის გარჩევით უფრო იყვნენ დაკავებული, ვიდრე დემოკრატიისათვის ბრძოლით.

საქართველოს კომპარტია, რომელიც 1990 წლის ბოლოს გამოეყო საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, თვითონ ცდილობდა „პატრიოტულ ძალად“ წარმოეჩინა თავი. ასე მაგალითად,

- 1990 წლის 9 მარტს კომუნისტებით დაკომპლექტებულმა საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“, სადაც ეწერა, რომ 1921 წლის თებერვალში საბჭოთა ჯარების შესვლა საქართველოში

  „სამართლებრივი თვალსაზრისით იყო სამხედრო ჩარევა (ინტერვენცია) და ოკუპაცია არსებული პოლიტიკური წყობის დასამხობად... ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით – ფაქტობრივი ანექსია“.

- 1989-1990 წლებში თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტში მოიხსნა კომუნისტი ლიდერების მონუმენტები, შეიცვალა მათი სახელობის ქუჩის სახელები, აღდგა ქალაქებისა და დაბების წინაკომუნისტური სახელები: რუკაზე დაბრუნდა ოზურგეთი, სენაკი, ახალგორი, მარტვილი, ხარაგაული, ხონი, ბაღდათი, რომელთაც ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ერქვათ კომუნისტური მოღვაწეებისა და ერთი რუსი პოეტის სახელები (მახარაძე, ცხაკაია, ლენინგორი, გეგეჭკორი, ორჯონიკიძე, წულუკიძე, მაიაკოვსკი).
- ზოგიერთ შემთხვევაში საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობის სუბიექტურად პატრიოტულმა მოქმედებამ ობიექტურად გააღვივა ერთაშორისი დაპირისპირება. მაგალითად, 1989 წლის 15 აგვისტოს გამოქვეყნდა „ქართული ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამა“. ამას ცხინვალში მოჰყვა იმავე წლის 4 სექტემბერს „ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ მიღება, ხოლო სოხუმში 10 ოქტომბერს – „აფხაზური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ მიღება. ცხინვალსა და სოხუმში მიღებული პროგრამები აბათილებდა თბილისში მიღებულ პროგრამას, რადგან შესაბამისი ავტონომიების ტერიტორიებზე ქართულზე მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, შესაბამისად, ოსურ და აფხაზურ ენებს. აჯობებდა, რომ თბილისს თავიდანვე

ეზრუნა სამივე – ქართული, აფხაზური და ოსური – ენის განვითარებაზე. მაგრამ საქართველოს იმდროინდელი კომუნისტური ხელმძღვანელობა, რომელიც ზურგსუკან გრძნობდა მოახლოებული მეტოქის – „ეროვნული მოძრაობის“ – სუნთქვას, ვერ გააკეთებდა ამას. „პატრიოტები“ ნებისმიერ ასეთ საქმეს „არაპატრიოტულ ქცევად“ და „სუკის აგენტობად“ ჩაუთვლიდნენ!

- საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ (რომელიც კომპარტიის ცეკას გარეშე ვერ იმოქმედებდა) 1989 წლის 14 მაისს მიიღო დადგენილება აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ქართული სექტორის გამოყოფისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალად მისი გარდაქმნის შესახებ. როგორც იმავე აფხაზეთის უნივერსიტეტის თანამშრომლები ყვებოდნენ, კონფლიქტის რეალური მიზეზი იყო ის, რომ, რექტორატისა და პროფესურის ნაწილმა მისაღებ გამოცდებზე ქრთამის სახით მისაღები შემოსავალი ვერ გაიყო (!). მერკანტილური დავა ეთნიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ორივე მხარის „პატრიოტებმა“ სოხუმში სისხლი დაღვარეს. ამის შემდეგ ვითარების შემობრუნება შეუძლებელი გახდა: არ შესრულებულა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 2 ნოემბრის ახალი დადგენილება აფხაზეთის უნივერსიტეტის ხელახალი გაერთიანების შესახებ.

„ავტონომიების სეპარატიზმის“ გეოგრაფიული ფაქტორები

მოკავშირე რესპუბლიკების მხრიდან სეპარატიზმად აღიქმებოდა ეთნიკური ავტონომიების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ ან მათი გადასვლა სხვა რესპუბლიკის დაქვემდებარებაში, რასაც პირობითად, „ავტონომიების სეპარატიზმი“ ვუწოდე. მასზე თავისებურად ზემოქმედებდა გეოგრაფიული ფაქტორები.

მაგალითად, რსფსრ-ის შემადგენლობაში მყოფ, მოსახლეობით დიდ და ეკონომიკურად განვითარებულ თათრეთის ასსრ-ში (ახლა „თათრეთის რესპუბლიკა“), დედაქალაქით ყაზანში, 1990-იანი წლების დასაწყისში საკმაოდ გაძლიერდა თათრული ეროვნული იდეა. მაგრამ თათრეთი მთლიანად შემოსაზღვრული იყო (დღემდე ასეა) საკუთრივ რუსეთის ტერიტორიით, ხოლო უახლოეს დიდ „ენობრივ ნათესავს“ – თურქეთის რესპუბლიკას, აშორებს ორი ათასზე მეტი კილომეტრი. თათრების ეროვნულმა იდეამ, რაც მოსკოვში სეპარატიზმად მიიჩნიეს, ვერ მიაღწია რუსეთიდან სეცესიას (გამოყოფას).

ამის საპირისპიროდ, იმავე რსფსრ-ის შემადგენლობაში მყოფ, ჩრდილო კავკასიაში მდებარე ჩეჩნეთის ასსრ-ის „ჩეჩნურმა ეროვნულმა იდეამ“ 1991 წელს ავტონომია მიიყვანა სეცესიის მცდელობამდე, რაც, საბოლოოდ, მოს-

კოვმა დიდი სისხლისღვრის ფასად ჩაახშო. **იჩქერიის** (ჩეჩნური სახელმწიფოს) არსებობა ხანმოკლე აღმოჩნდა, ის არც ერთ სახელმწიფოს არ უცვნია და, საბოლოოდ, ორი სისხლიანი ომის შედეგად, კრემლმა გაანადგურა იჩქერია. მაგრამ იჩქერიის, თუნდაც დროებითი, არსებობა შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ ის ესაზღვრებოდა 1991 წლის ბოლოდან დამოუკიდებელ საქართველოს. იჩქერიის საგარეო კავშირები, კანონიერი თუ უკანონო გზით, საქართველოს (ან აზერბაიჯანის) გავლით ხორციელდებოდა.

აფხაზური სეპარატიზმი გეოგრაფიას ეფუძნება. 1989 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის თანახმად აფხაზები 91 ათას ადამიანს შეადგენდნენ, რაც ბევრად ნაკლები იყო ვიდრე ანალოგიური ავტონომიის მქონე თათრებზე (6,2 მლნ), ჩუვაშებზე (1,8 მლნ), ბაშკირებზე (1,4 მლნ), ჩეჩნებზე (0,8 მლნ), ყაბარდოელებზე (322 ათასი) და ა.შ მაგრამ, განსხვავებით ყველა სხვა მცირე ეთნიკური ჯგუფისაგან, აფხაზები განსახლებული არიან ზღვის პირად, თანაც საკურორტო ზონაში, რომელიც მოსკოვის ელიტის საყვარელ დასასვენებელ ადგილს წარმოადგენდა. როდესაც 1980-იან წლების ბოლოს საბჭოთა კავშირის იმდროინდელი კანონების საწინააღმდეგოდ შეიქმნა „კავკასიის ხალხთა კონფედერაცია“ და მის „დედაქალაქად“ სოხუმი გამოცხადდა, კრემლმა თვალს დახუჭა ამ „ანტირუსული“ ორგანიზაციის არსებობაზე: კრემლისათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო „კონფედერაციის“ ანტიქართული ხასიათი. 1992-1993 წლებში აფხაზ სეპარატისტებს უადვილდებოდათ სამხედრო დახმარების მიღება უშუალოდ მოსაზღვრე რუსეთის ფედერაციიდან.

გეოგრაფიული ფაქტორი, ამ შემთხვევაში – კავკასიონის მთავარი ქედი, ზღუდავდა კავშირს ჩრდილოელ და სამხრეთელ ოსებს შორის. საბჭოთა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 1920-იან წლებში შექმნა „ორი ოსეთი“: ჩრდილოეთით – ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთით – ავტონომიური ოლქი. სამხრეთელ ოსებს შორის, რომლებმაც მშვენივრად იციან, რომ მათი ისტორიული სამშობლო ჩრდილოეთ კავკასიაშია, 1988 წლიდან ღიად გაჟღერდა ავტონომიური ოლქის ტერიტორიის რუსეთისათვის გადაქვემდებარების მოთხოვნა.

ეჭვგარეშეა, „სამხრეთ ოსეთში წარმოშობილი“ იდეა მოსკოვიდან იყო ინსპირირებული. 1971-1988 წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელა ძვირადღირებული ინფრასტრუქტურული პროექტი – გაიყვანა როკის გვირაბი კავკასიონის ქედის ქვეშ, რომელმაც დააკავშირა ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი. იქამდე სახმელეთო (საავტომობილო) კავშირი მათ შორის შესაძლებელი იყო საქართველოს სამხედრო გზის გავლით, ან ქვეითად თუ ცხენით – რთულ უღელტეხილებზე გავლით. როკის გვირაბის მცირე ეკონომიკურ მნიშვნელობაზე მეტად კრემლს უღირდა მისი გეოპოლიტიკური მნიშ-

ვნელობა – ეს იყო დამოუკიდებლობისაკენ საქართველოს პოტენციური სწრაფვის შეზღუდვა.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში და XXI საუკუნის დასაწყისში რუსეთის ფედერაციისათვის ადვილი აღმოჩნდა უშუალოდ მისი საზღვრის გადაღმა მდებარე საქართველოს ეთნიკური ავტონომიების გამოყენება საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნისათვის – შეენარჩუნებინა პლაცდარმი სამხრეთ კავკასიაში თავის მეტოქედ და მტრად შერაცხული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის – ნატო-ს – წინააღმდეგ.

კითხვები ლექცია 10-ის თემაზე:

1. რა პოლიტიკური სტრუქტურით სცადეს საბჭოთა კავშირის შეცვლა 1991 წლის მიწურულში? რამდენად წარმატებული აღმოჩნდა ის?
2. როგორი განსხვავდებოდა პოლიტიკური ვითარება საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებში 1990-1991 წლებში?
3. რას წარმოადგენდა ბალტიური ერთსულოვნება? შეადარეთ ის სამხრეთ კავკასიაში არსებულ ვითარებას
4. როგორ ვლინდებოდა „შუააზიური კონფორმიზმი“ საბჭოთა და მომდევნო პერიოდში?
5. რატომ და როგორ ართულებდა სამხრეთ კავკასიის რეგიონის პოლიტიკურ განვითარებას იქ არსებული განხეთქილება?
6. რა გეოგრაფიული ფაქტორები ზემოქმედებდნენ გვიანი საბჭოთა პერიოდის „ავტონომიების სეპარატიზმზე“?

ლექცია 11

სამხრეთ კავკასიის „წარმოსახვითი მეგარეგიონი“

რა არის „სამხრეთ კავკასიის „წარმოსახვითი მეგარეგიონი“?

„წარმოსახვითი მეგარეგიონი“ არსებობს ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკურ-გეოგრაფიული კონტექსტის სუბიექტურ აღქმაში. ჩვეულებრივ, ეს არის მეზობელი ქვეყნების ერთობლიობა, რომლებიც ხანდახან არც ქმნიან რაიმე ფორმალურ კავშირს. სხვადასხვა კუთხიდან დანახული ასეთი „მეგარეგიონები“ განსხვავებული შეიძლება იყოს. მაგალითად, დასავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყნისათვის ეს იქნება ევროპულ კავშირში შემავალი ქვეყნები, უფრო აღმოსავლეთით მდებარე ცენტრალური ევროპის ქვეყნის „წარმოსახვით მეგარეგიონში“ კი, შესაძლოა, აღმოსავლეთით მდებარე, არც თუ მეგობრულად განწყობილი რუსეთიც კი შედიოდეს.

თბილისიდან დანახული „სამხრეთ კავკასიის წარმოსახვითი მეგარეგიონი“ (მომდევნო ტექსტში შემოკლებით მოხსენიებული იქნება, როგორც „კავკასიის მეგარეგიონი“) არსებითად ქმნის საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიულ კონტექსტს. მასში საქართველოსთან ერთად ვგულისხმობ ხუთ მეზობელ სახელმწიფოს, მათ შორის სამი რეგიონული ზესახელმწიფოა – რუსეთი, თურქეთი და ირანი, რომლებიც ისტორიულ წარსულში სამხრეთ კავკასიაში ბატონობისთვის მეტოქეობდნენ (ირანს აღარ აქვს უშუალო საზღვარი საქართველოსთან, მაგრამ ის რჩება მის „გარე მეზობლად“).

სავსებით შესაძლებელია, რომ ბაქოდან და ერევნიდანაც დანახული მათი შესაბამისი „წარმოსახვითი მეგარეგიონი“ თბილისიდან დანახულის ანალოგიური შემადგენლობისა იყოს. ანკარის, თეირანისა და მოსკოვისათვის შესაბამისი „წარმოსახვითი მეგარეგიონი“ სულ სხვა კონფიგურაციისა უნდა იყოს. დიდი ქვეყნების (ამ შემთხვევაში რეგიონული ზესახელმწიფოების) გეოპოლიტიკური კოდებიც ბევრად უფრო ფართოა.

ისტორიული პოლიტიკური გეოგრაფიის პოზიციიდან კავკასიის მეგარეგიონი არის „აღმოსავლეთისა“ და „დასავლეთის“ შეხვედრისა და კონფრონტაციის მხარე: 25 საუკუნის წინ აქ ბატონობდა აქამანიანთა ირანი, 23 საუკუნის წინ დასავლეთიდან მოვიდა მისი დამაქცეველი ალექსანდრე მაკედონელი; აქ უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს რომი/ბიზანტია და პართია/სასანელთა ირანი; სეფიანთა ირანი და ოსმალეთის იმპერია. XIX საუკუნიდან „კავკასიის წარმოსახვით მეგარეგიონს“ შეუერთდა რუსეთის იმპერია (რომელიც პირობით „დასავლეთს“ წარმოადგენდა), დაიპყრო სამხრეთი კავკასია და დაუპირისპირდა ახლო აღმოსავლეთის ძველ მეტროპოლიებს.

ისტორიულად მეტოქე სამი ზესახელმწიფო – თურქეთი, ირანი და რუსეთი – და მათ შორის 1991 წლიდან ხელახლა აღმოცენებული (პირველად ეს

მოხდა 1918-1920/21 წლებში) კავკასიის სამი რესპუბლიკა – აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი, ჩვენთვის ქმნის „სამხრეთ კავკასიის წარმოსახვით მეგარეგიონს“.

რასაკვირველია, იმ დროს, როდესაც სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანა შედიოდა დიდი სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის, შემადგენლობაში, არავითარი „კავკასიის მეგარეგიონი“ არ არსებობდა. მასზე მსჯელობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა საერთაშორისო დონეზე იქნა აღიარებული (ეს 1991 წლის მიწურულში და 1992 წელს მოხდა) და მათ დაიწყეს საკუთარი საგარეო პოლიტიკის გატარება.

„კავკასიის მეგარეგიონი“ გადაჭიმულია წყნარი, ატლანტისა და ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანეებიდან, რომელთა ზღვებზეც გადის რუსეთი, ინდოეთის ოკეანემდე – რომელზეც გადის ირანი, და ატლანტის ოკეანის აუზის ხმელთაშუა ზღვამდე, რომელსაც თურქეთი ესაზღვრება. რეალურად, საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის „კავკასიის მეგარეგიონის“ ოკეანეებზე გასვლა გადამწყვეტი არ არის. ჩვენი ქვეყნისათვის უფრო მნიშვნელოვანია გეოგრაფიული სიახლოვის მომენტი.

გეოგრაფიული სიახლოვის პოზიტიური მხარე, ჩვეულებრივ, არის ხოლმე მეზობლებს შორის ეკონომიკური კავშირების გაცხოველების საშუალება (ამ მხრივ ბოლო დრომდე „კავკასიის მეგარეგიონში“ ნეგატიური გამონაკლისი იყო და ჯერჯერობით ისევ რჩება ერთმანეთის მეზობელი სომხეთი და აზერბაიჯანი, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებ). მაგალითად, დამოუკიდებელი საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორებია მეზობელი თურქეთი და რუსეთი, სომხეთისა – რუსეთი და ირანი. თურქეთისა და სომხეთის ბუნებრივი გაზით უმთავრესი მომმარაგებელი რუსეთია, საქართველოსი – აზერბაიჯანი და რუსეთი. თურქეთს და რუსეთს ინტენსიური ეკონომიკური ურთიერთობა აქვთ. საქართველოს ტერიტორია სატრანზიტოა მეზობელი სახელმწიფოების წყვილებისათვის, ცალკე აზერბაიჯანისა და თურქეთისათვის, ცალკე – სომხეთისა და რუსეთისათვის და ა.შ. ეკონომიკა (ძირითადად, ენერგეტიკა, მილსადენი და სახმელეთო ტრანსპორტი) ქმნის თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობის ეკონომიკურ ღერძს.

როგორია კულტურულ-რელიგიური და პოლიტიკური განსხვავებები „სამხრეთ კავკასიის წარმოსახვით მეგარეგიონში“?

„კავკასიის მეგარეგიონს“ არა აქვს რაიმე საერთო გამაერთიანებელი ლინგვისტური ან კულტურულ-რელიგიური მსგავსება, რაც, მაგალითად, მკაფიოდ ვლინდება დასავლეთ ევროპის, ლათინური ამერიკისა ან არაბული აღმოსავლეთის მეგარეგიონების შემთხვევაში.

განსხვავებით ზემოხსენებული მეგარეგიონებისაგან „კავკასიის მეგარეგიონს“ არ აერთიანებს არც საერთო კულტურული მემკვიდრეობა (როგორიც აქვთ, მაგალითად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, რაზეც გავლენა მოახდინა რომის იმპერიის პოლიტიკურ-სამართლებრივმა მემკვიდრეობამ და ქრისტიანობის დასავლურმა მიმართულებამ – კათოლიციზმმა), არც ლინგვისტური ან რელიგიური სიახლოვე (როგორიც აქვთ, მაგალითად, ესპანურ ან პორტუგალიურ ენებზე მეტყველ, უპირატესად კათოლიკურ ლათინური ამერიკის ქვეყნებს ან საერთო სალიტერატურო ენის მქონე და ისლამურ ტრადიციაზე აღმოცენებულ არაბულ აღმოსავლეთს).

„კავკასიის მეგარეგიონში“ ლინგვისტური გამაერთიანებელი აქვთ მხოლოდ თურქეთსა და აზერბაიჯანს, ხოლო კულტურულ-რელიგიური – ირანსა და აზერბაიჯანს და, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს ამჟამად – საქართველოსა და რუსეთს.

კულტურულ-რელიგიურ საკითხს XXI საუკუნეში ჩვენ მეგარეგიონში მეტი მნიშვნელობა მიენიჭა, თუმცა ერთი ქვეყნის (ირანის) გარდა ყველა დანარჩენი, ფორმალურად, სეკულარულია: სახელმწიფო და ეკლესია ყველა მათგანში ერთმანეთისაგან გამიჯნულია.

რუსეთის ფედერაციაში, რომლის წინამორბედს XX საუკუნის სამი მეოთხედის განმავლობაში „საბჭოთა კავშირის“ სახელით იცნობდნენ, წმინდა პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე სახელმწიფო მფარველობს მართლმადიდებლობას, მაგრამ ქვეყანაში მრავალიცხოვანი მუსლიმების არსებობის გამო, ერთგვარად ისლამის „მფარველობაც“ უწევს.

1928 წლიდან სეკულარულ თურქეთის რესპუბლიკაში XXI საუკუნის დასაწყისიდან ხელისუფლება შეგნებულად ზრდის სუნიტური მიმართულების ისლამის საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ამის დადასტურებაა, მაგალითად, სტამბოლის აია სოფიას მუზეუმისათვის მეჩეთის ფუნქციის დაბრუნება 2019 წელს (VI საუკუნის კონსტანტინოპოლში აშენებული წმ. სოფიოს ეკლესია 1456-1935 წლებში მეჩეთად იყო გადაკეთებული, 1935 წლიდან კი მუზეუმი იყო, რაც გაკეთდა სეკულარული ლიდერის, ქემალ ათათურქის, ინიციატივით).

ირანის ისლამური რესპუბლიკა, როგორც მისი სახელიც გვიჩვენებს, გამოკვეთილი თეოკრატიაა: ქვეყანას მართავს ისლამის შიიტური მიმართულების რელიგიური ხელმძღვანელობა.

სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოში 1990-იანი წლებიდან რელიგიის გავლენა საზოგადოების საკმაო ნაწილზე გაიზარდა, თუმცა საპირისპიროდ გააქტიურდა სეკულარული განწყობებიც.

საქართველოში წამყვანია ბერძნული ტიპის მართლმადიდებლობა, რომელიც ასევე დომინირებს რუსეთში, უკრაინაში, ბელარუსში, საბერძნეთში, კვიპროსის სამხრეთ ნაწილში, ბალკანეთში (რუმინეთი, ბულგარეთი, სერბეთი,

ჩრდილოეთი მაკედონია, ნაწილობრივ – ბოსნია-ჰერცეგოვინა და ალბანეთი) და სხვ.

სომხეთში დომინირებს სომხური სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც ეთნოცენტრულია: მისი მიმდევრები მხოლოდ სომხები არიან.

აზერბაიჯანში ძირითადად წარმოდგენილია შიიტური მიმართულების ისლამი, თუმცა არის სუნიტური მიმართულების გავრცელების არეალებიც.

სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის სულ სხვადასხვა ენობრივი ოჯახების (ინდოევროპული, ალთაური, ქართველური) ენებზე მეტყველი რიგითი მოქალაქეები სამხრეთ კავკასიის სხვა ერების წარმომადგენლებთან კომუნიკაციისათვის lingua franca-დ ჯერაც რუსულ ენას იყენებენ, როგორც ეს ხდებოდა რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის დროს, თუმცა რუსული ენის მცოდნეთა რიცხვი მცირდება. სახელისუფლებო დონეებზე საურთიერთო ენად სულ უფრო ხშირად გამოდის ინგლისური.

XX საუკუნეში სამივე ყოფილი იმპერია რესპუბლიკად გადაიქცა: რუსეთი –1917 წელს, თურქეთი – 1923 წელს, ირანი – 1979 წელს.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სამივე კავკასიურმა რესპუბლიკამ გამოაცხადა ერთგვარი დაინტერესება ევროპული ტიპის დემოკრატიის განვითარების მიმართ. საქართველო და სომხეთი, თავიდან საპრეზიდენტო რესპუბლიკები, ჩამოყალიბდნენ საპარლამენტო დემოკრატიებად, პირველი, ფაქტობრივად, 2013 წლიდან, მეორე – 2017 წლიდან.

აზერბაიჯანის საპრეზიდენტო რესპუბლიკაში, რეალურად, ავტოკრატიული მმართველობის სისტემა ჩამოყალიბდა.

როგორია „სამხრეთ კავკასიის წარმოსახვითი მეგარეგიონის“ დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური ინტერესები?

რუსეთის ფედერაციას არა აქვს საერთო სახმელეთო საზღვარი თურქეთთან და ირანთან, რომელიც 1801-1991 წლებში (ხანმოკლე გამონაკლისით 1918-1921 წლებში) ჰქონდათ მის წინამორბედებს – რუსეთის იმპერიას და საბჭოთა კავშირს.

დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის წინამორბედებმა - ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიებმა – XVII-XX საუკუნეებში სულ ცოტა 12 ომი გადაიხადეს და, მიუხედავად თანამშრომლობის ცალკეული შემთხვევებისა, „მეგობრებად“ ან „მოკავშირეებად“ მათ ვერ მივიჩნევთ!

1920-1921 წლებში ბოლშევიკური რუსეთი და ქემალისტური თურქეთი სამხრეთ კავკასიაში თანამშრომლობდნენ, 1921 წლის 16 მარტს „მეგობრობისა და ძმობის“ ხელშეკრულება დადეს, სამხრეთ კავკასიის და თურქე-

თის დღემდე არსებული საზღვრები ჩამოაყალიბეს და 1920-21 წლებში საბ-ჭოთა რუსეთმა სამხედრო-ეკონომიკური დახმარებაც კი აღმოუჩინა ქემა-ლისტურ თურქეთს, რომელიც იმ დროს ეომებოდა ანატოლიაში შეჭრილ სა-ბერძნეთის არმიას. მაგრამ სახელმწიფოების იგივე წყვილი 1945 წლიდან პრაქტიკულად „ცივი ომის“ დამთავრებამდე (1990) ისევ დაუბრუნდა კონ-ფრონტაციულ ურთიერთობას: 1945-1953 წლებში საბჭოთა კავშირს ტერი-ტორიული პრეტენზიები ჰქონდა თურქეთის მიმართ. 1952 წელს თურქეთი გახდა „კომუნისტურ ბლოკთან“ დაპირისპირებული ნატო-ს წევრი.

1992 წლიდან და, განსაკუთრებით, XXI საუკუნეში იმავე ქვეყნების წყვილს თანამშრომლობის პერიოდი დაუდგათ (თუმცა 2015-2016 წლების 7 თვის განმავლობაში ამ ქვეყნებს მკვეთრი დაპირისპირება ჰქონდათ სირიაში თურქული ავიაციის მიერ რუსული ავიაგამანადგურებლის ჩამოგდებისა და მისი ერთი მფრინავის მკვლელობის გამო). რუსეთმა ააშენა ატომური ელექ-ტროსადგური თურქეთში; მიჰყიდა მას უახლესი საზენიტო-სარაკეტო იარა-ღი S-400; რუსეთი არის თურქული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სამშენებლო ინდუსტრიის უმსხვილესი მომხმარებელი; თურქული საზღვაო კურორტები რუსი ტურისტების მომსახურებაზეა ორიენტირებული და სხვ.

მაგრამ, ერთდროულად, სირიისა და ლიბიის სამოქალაქო ომებში თურ-ქეთი და რუსეთი ურთიერთდაპირისპირებულ ძალებს უჭერენ მხარს!

ასევე წინააღმდეგობრივია „მეგობრობა-მტრობა“ თურქეთის რესპუბლი-კასა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის. მათი წინამორბედები – ოს-მალეთის იმპერია და სეფიანთა/ყაჯართა სპარსეთი – XVI-XIX საუკუნეებში იბრძოდნენ ახლო აღმოსავლეთში ჰეგემონობისთვის და ფლობდნენ ან აკონ-ტროლებდნენ სამხრეთ კავკასიის დიდ ნაწილებს. XIX საუკუნეში ორივე მათ-განს ცალ-ცალკე მოუხდა დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთისაკენ კავკა-სიის გზით მისწრაფებულ რუსეთის იმპერიასთან, რომელმაც მათთან მოგე-ბული ომების შემდეგ შეიერთა მთელი სამხრეთი კავკასია. XX-XXI საუკუნეებ-ში თურქეთსა და ირანს მშვიდობიანი ურთიერთობა აქვთ.

მაგრამ სირიის სამოქალაქო ომში თეირანი და ანკარა ურთიერთდაპი-რისპირებულ მხარეებს ეხმარებოდნენ!

რუსეთის იმპერიას და სპარსეთს ორი ომი ჰქონდათ XIX საუკუნის პირ-ველ ათწლეულებში (1804-1813 და 1826-1828 წწ.). ამ ომების შედეგად რუსეთ-მა დაიპყრო მდ. არაქსის ჩრდილოეთით მდებარე სახანოები (შირვანი, განჯა, ყარაბაღი, შექი, ყუბა, ბაქო, დერბენტი, თალიშის სახანოს ნაწილი, ერევანი, ნახჭევანი), რომელთა ტერიტორიაზეც 1918 წელს შეიქმნა აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები.

XX საუკუნეში საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობა, შესაძლოა, მთლად გულითადი არ იყო, მაგრამ ჯამში უფრო მშვიდობიანი და პოზიტიუ-რი, ვიდრე მათივე ურთიერთობა „კავკასიის მეგარეგიონის“ ზოგიერთ სხვა

სახელმწიფოსთან. XXI საუკუნეში რუსეთ-ირანის ურთიერთობა საკმაოდ ინტენსიური გახდა. რუსეთმა აუშენა ირანს ბუშეჰრის ატომური ელექტროსადგური, მიჰყიდა მას უახლესი ჰაერსაწინააღმდეგო იარაღი. ირანი, თავის მხრივ, სამხედრო თვალსაზრისით ეხმარება რუსეთს მის ომში უკრაინასთან, კერძოდ, აწვდის მას სამხედრო დრონებსა და, დაუდასტურებელი ინფორმაციით, რაკეტებსაც კი.

თანამედროვე რუსეთი, ირანი და თურქეთი ფაქტობრივად რეგიონულ ზესახელმწიფოებად იქცნენ. მათი გეოპოლიტიკური კოდები გაფართოვდა.

1991 წლიდან და XXI საუკუნეში **თურქეთის** საგარეო პოლიტიკური ინტერესები გასცდა მის უშუალო სამეზობლოს, კერძოდ, სამხრეთ კავკასიას, ბალკანეთსა და ახლომდებარე არაბულ ქვეყნებს, და უკვე ფიქსირდება აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ აფრიკაში, ცენტრალურ აზიაში, ინდოეთის ოკეანის აუზში. ანკარა აღარ თვლის თავს ვალდებულად საკუთარი საგარეო-პოლიტიკური კურსის არჩევისას შეათანხმოს ის ვაშინგტონთან ან, ზოგადად, ნატო-სთან, რაც „ცივი ომის“ დროს მისთვის იმპერატივს წარმოადგენდა (თურქეთის შესახებ მსჯელობა გვექნება ლექცია 13-ის დროს).

ირანის გეოპოლიტიკური კოდი გულისხმობს შიიტური ელემენტის მხარდაჭერას დასავლეთ აზიაში, კერძოდ, იემენში, ერაყში, ლიბანსა და სირიაში. ის სამხრეთ კავკასიაშიც სერიოზული გეოპოლიტიკური მოთამაშეა. განსხვავებით შაჰის დროინდელი ირანისაგან (1979 წლამდე) ირანის ისლამური რესპუბლიკა პალესტინელი არაბების მხარდამჭერის საბაბით მძაფრად დაუპირისპირდა ისრაელის სახელმწიფოს (თეირანის ტერმინოლოგიით, „სიონისტურ წარმონაქმს“). ისრაელისა და აშშ-ის სპეცსამსახურების თვალსაზრისით ირანის ბირთვული პროგრამის განხორციელებას მხოლოდ „მშვიდობიანი ატომის“ განვითარება არა აქვს მიზნად: მას სამხედრო შემადგენელიც შეიძლება ჰქონდეს. ამის გამო დაწესებული საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები ძალიან ზღუდავს ირანის საგარეო-პოლიტიკურ აქტიურობას.

რუსეთის ფედერაციას აქვს ამბიცია გახდეს მსოფლიო რანგის ზესახელმწიფო (Global superpower) გლობალური გეოპოლიტიკური კოდით, ისეთივეთი, როგორიც ჰქონდა მის წინამორბედს – საბჭოთა კავშირს. მაგრამ რუსეთის რეალური ეკონომიკური პოტენციალი ამის საშუალებას მას არ მისცემს. რუსეთის გეოპოლიტიკურ კოდში შედის საკუთარი გავლენის სფეროს შექმნა (მისი პოზიციიდან – „აღდგენა“), მთელ „პოსტ-საბჭოთა სივრცეში“, მათ შორის სამხრეთ კავკასიაშიც.

ერთადერთი, რაც რეგიონული ზესახელმწიფოების ამ სამეულს ამჟამად ერთმანეთს ამსგავსებს, არის მათი მმართველი ელიტებისა და მოქალაქეების საგრძნობი ნაწილის ანტიდასავლური განწყობა, თუმცა თურქეთი ნატო-

ს წევრი სახელმწიფოა და თეორიულად ესწრაფვის ევროკავშირის წევრობასაც კი.

ევროპული დემოკრატიის მოდელისგან რუსეთი და ირანი ძალიან შორსაა.

რუსეთში პრაქტიკულად ავტორიტარიზმი ჩამოყალიბდა, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფალი (პრეზიდენტი) სრულად ბატონობს საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებაზე. ერთი და იგივე პიროვნება მართავს სახელმწიფოს 24-ზე მეტი წლის განმავლობაში და კონსტიტუციაში პერიოდული ცვლილებებით იხანგრძლივებს ქვეყნის სათავეში ყოფნას.

ირანში კონსტიტუციით დაუშვებელია პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება. საყოველთაოდ არჩეულ პრეზიდენტზე მაღლა დგას სახალხოდ აურჩეველი „რაჰბარის“ (სულიერი ლიდერის) ძალაუფლება

ყველაზე ახლოს ევროპული დემოკრატიის მოდელთან თანდათან მივიდა თურქეთი. მაგრამ ბოლო ათწლეულში, განსაკუთრებით კი 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, მისი შიდაპოლიტიკური განვითარება დემოკრატიის მდგრადობას დიდ გამოცდას უტარებს.

როგორია „სამხრეთ კავკასიის წარმოსახვითი მეგარეგიონის“ პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური ინტერესები?

XX საუკუნის ბოლო დეკადაშივე, ანუ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, სამხრეთ კავკასიის სამ სახელმწიფოს ძალიან განსხვავებული გეოპოლიტიკური კოდები ჩამოუყალიბდათ. ორი მათგანის, სომხეთისა და აზერბაიჯანის, გეოპოლიტიკური კოდი მკვეთრად კონფრონტაციული იყო: მთიანი ყარაბაღის კუთვნილების საკითხზე მათ ზუსტად საპირისპირო თვალსაზრისი ჰქონდათ.

ეს ტერიტორია იმდენ ხანს იყო „განხეთქილების ვაშლი“ სამხრეთ კავკასიაში, რომ ვითარება მის ირგვლივ მოკლედ მაინც უნდა მიმოვიხილოთ.

სომხეთი. ასი წლის განმავლობაში, 1923-2023 წლებში, აზერბაიჯანის შემადგენლობაში ოფიციალურად არსებობდა სომხებით დასახლებული „მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი“, რომელიც XX საუკუნის ბოლოს აჯანყდა და სომხეთის სამხედრო ძალის დახმარებით შექმნა არაღიარებული „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა/არცახი“. 1994 წლიდან არსებობდა დროებითი დაზავება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის და, ცალკეული შეტაკებების მიუხედავად, რუსეთის ფედერაციის ძალისხმევით, დაზავება ნარჩუნდებოდა. კრემლს ერჩივნა კონფლიქტის კონსერვაცია: ფორმალურად ის არ ანი-

ჭებდა უპირატესობას ერთ-ერთ მეტოქე მხარეს, ორივე მათგანს აწვდიდა იარაღს. მაგრამ რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი იყო სომხეთის რესპუბლიკა, სადაც დღემდეა განლაგებული რუსული სამხედრო ბაზა.

2018 წელს სომხეთის რესპუბლიკაში მომხდარი სახალხო მღელვარების შედეგად ქვეყნის პირველი პირი გახდა **ნიკოლ ფაშინიანი,** წინამორბედებისგან საკმაოდ განსხვავებული პროგრამით. რუსეთთან ურთიერთობა მთლიანად არ შეცვლილა, მაგრამ დასავლეთთან ურთიერთობა გარეგნულად უფრო ინტენსიური გახდა. ამან მკვეთრად გააცივა მოსკოვისა და ერევნის ურთიერთობა. ამიტომაც იყო საკმაოდ თავშეკავებული კრემლის რეაქცია აზერბაიჯანის მხრიდან დაზავების დარღვევაზე 2020 წლის სექტემბერში. „ყარაბაღის მეორე ომის“ (იგივე „44-დღიანი ომის“) დროს აზერბაიჯანის არმიამ, თურქეთის ლოგისტიკური დახმარებით, გაათავისუფლა მთიანი ყარაბაღის ირგვლივ არსებული ტერიტორიები სომხური არმიისაგან. ომის 44-ე დღეს აზერბაიჯანულმა არმიამ აიღო ყარაბაღის ხანების ისტორიული სატახტო ქალაქი – შუშა, რამაც გადამწყვეტი გავლენა იქონია ომის შედეგზე. მთიანი ყარაბაღის ტერიტორიის ერთი მესამედი და მის გარშემო 1994 წლიდან ოკუპირებული შვიდი აზერბაიჯანული რაიონი დაბრუნდა ბაქოს მმართველობაში.

2023 წელს აზერბაიჯანის არმიამ ელვისებური, ერთდღიანი ოპერაციის, შემდეგ, რომელსაც რუსეთის მშვიდობისმყოფელები გულგრილად შეჰყურებდნენ, მთლიანად დაიპყრო ყოფილი „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა“, რომელმაც 2024 წლის 1 იანვიდან ოფიციალურად შეწყვიტა არსებობა. სომხეთი თანახმაა გარკვეული პირობებით დადოს სამშვიდობო ხელშეკრულება აზერბაიჯანთან.

დამოუკიდებელი სომხეთი კარგა ხანს ცდილობდა ე. წ. „კომპლემენტარიზმის“ პოლიტიკის, ანუ თეორიულად მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკის, გატარებას, თუმცა, რეალურად, რუსული გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ასე მაგალითად, 2013 წლამდე საქართველო და სომხეთი ერთად მიდიოდნენ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დადებისაკენ, თუმცა 2013 წლის სექტემბერში სომხეთის პრეზიდენტი დაიბარეს მოსკოვში და აიძულეს ევროკავშირთან ასოცირების ნაცვლად „აერჩია“ ევრაზიის ეკონომიკურ კავშირთან მიერთება, რომელსაც რუსეთის ფედერაცია უდგას სათავეში.

ერევანს უხდებოდა კრემლის პოლიტიკის ფარვატერში ყოფნა. სომხეთის „პრორუსული“ პოლიტიკური კურსი მნიშვნელოვანწილად აიხსნებოდა ჩაკეტილი ქვეყნის პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით, რომელიც საგარეო-პოლიტიკური ვექტორების დიდი არჩევანის საშუალებას არ იძლეოდა იმ პირობებში, როდესაც ის „ეპოტინებოდა“ ოფიციალურად აზერბაიჯანის

ტერიტორიაზე მდებარე მთიან ყარაბაღს. 2024 წლიდან ეს პრობლემა მას მოეხსნა.

იმ პირობებში, როდესაც რუსეთის ფედერაციამ, სომხეთის მთავრობის აზრით, არ გამოიჩინა სათანადო ყურადღება ყარაბაღელი სომხების ინტერესების დასაცავად, სომხების საკმაო ნაწილმა დაკარგა რწმენა „რუსეთის ძმობასა და მეგობრობაში“ (რაც ისედაც იყო ილუზია). 2023 წლიდან ერევანი თანდათან ამცირებს თავის მონაწილეობას რუსეთის მიერ მართულ „კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაციაში („კუხო“) და „ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში“. 2025 წელს სომხეთის ეროვნულმა კრებამ (პარლამენტმა) ოფიციალურად მიმართა ევროპულ კავშირს წევრად მიღების თხოვნით.

სომხეთის მთავრობამ გადაწყვიტა მიემართა კოლექტიური დასავლეთისათვის და მონახა „მეგობარი“ საფრანგეთის სახით, რომელიც აწვდის მას მცირეოდენ სამხედრო შეიარაღებას და მფარველობს მას საერთაშორისო არენაზე, რაც იწვევს აზერბაიჯანის საპირისპირო, მტრულ, რეაქციას საფრანგეთის მიმართ.

აზერბაიჯანი. აზერბაიჯანი მეზობლობს „კავკასიის მეგარეგიონის“ ხუთივე დანარჩენ ქვეყანასთან – საქართველოსთან, სომხეთთან, ირანთან, რუსეთის ფედერაციასთან, ხოლო ნახჭევნის ექსკლავის მეშვეობით, – თურქეთთანაც (17 კმ სიგრძის საზღვარი მდინარე არაქსზე). ვინაიდან აზერბაიჯანის სიმდიდრის წყაროა ჰიდროკარბონული რესურსები (ნავთობი და გაზი), ის ფინანსურად მყარად დგას და მისი საგარეო პოლიტიკა ნაკლებად არის დამოკიდებული „დასავლური“ ან „რუსული“ ვექტორის არჩევაზე. ბაქოს მთავარი პარტნიორი არის ანკარა. აზერბაიჯანის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა 2020 წლიდან თითქოს უმჯობესდება: 2020 წლის 10 ნოემბრის დოკუმენტი აძლევს მას თეორიულ შანსს სომხეთის სამხრეთი ნაწილის გავლით გახსნას სატრანსპორტო კავშირი ნახჭევანთან (ე.წ. „ზანგეზურის კორიდორი“) და, მისი მეშვეობით, თურქეთთან. 2023 წლის შემდეგ აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა აღდგა და მას გაუჩნდა პოლიტიკურ-გეოგრაფიული უპირატესობა სომხეთთან ურთიერთობაში.

საქართველო. საქართველოს გეოპოლიტიკურ კოდში შედის უარის თქმა რაიმე ტერიტორიულ პრეტენზიაზე მეზობლების მიმართ. ის საჭიროდ მიიჩნევს, მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას იმ საზღვრებში, რომლებიც აღიარა საერთაშორისო საზოგადოებამ 1992 წელს. საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ მდგრადობას ერთგვარ პრობლემას უქმნის მისი ეთნიკური უმცირესობების – სომხების და აზერბაიჯანელების განსახლების გეოგრაფია – კომპაქტური განსახლება, შესაბამისად, სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრების სიახლოვეს. მაგრამ ეს პრობლემა გონივრული საშინაო პოლიტიკის შემთხვევაში დაძლევადია.

საქართველოს ყველა ხელისუფლება XXI საუკუნეში აცხადებს განვითარების პროდასავლური ვექტორისადმი ერთგულებას. ევროპული კავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამა სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოზე ვრცელდება. ყველაზე ინტენსიურად მასში მონაწილეობდა საქართველო, სომხეთი – ნაწილობრივ, აზერბაიჯანი – მხოლოდ ფორმალურად. 2016 წლიდან ძალაში შევიდა ევროკავშირთან საქართველოს ასოცირებისა და მასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება. საქართველოს, სამხრეთ კავკასიის ერთადერთ ქვეყანას, 2017 წლიდან აქვს „შენგენის ზონის“ ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის უფლება. 2023 დეკემბერში ის გახდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა.

ვინ ვისთან მეგობრობს ან მტრობს „სამხრეთ კავკასიის წარმოსახვით მეგარეგიონში?

სახელმწიფოთა „მეგობრობა“ ან „მტრობა“ დროში ცვალებადია. პოლიტიკური ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის ყოველთვის განპირობებულია გეოპოლიტიკური მიზანშეწონილობით, სტრატეგიული გათვლებით და არა „სამარადისო ძმობით“ ან „სამარადისო მტრობით“, რომლებიც იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული კატეგორიებია.

პოლიტიკურად „კავკასიის მეგარეგიონის“ ექვსივე ქვეყანას ერთმანეთთან „ჯაჭვავს“ გეოგრაფიული სიახლოვით განპირობებული, ერთმანეთში ჩახლართული წინააღმდეგობრივი გეოპოლიტიკური ინტერესები, რომელთაც არსებობის ხანგრძლივი ისტორია აქვს.

„კავკასიის მეგარეგიონის“ სამ დიდ სახელმწიფოს – რუსეთს, თურქეთს და ირანს – ისტორიულად ჰქონდათ კონფრონტაციული ურთიერთობა ერთმანეთთან, რადგან ისინი ერთი და იმავე ტერიტორიის კონტროლზე აცხადებდნენ პრეტენზიას. იგივე ურთიერთობები სახეცვლილად და შერბილებულად დღემდე არსებობს.

სამ კავკასიურ რესპუბლიკას – აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს – ასევე არა აქვთ თანაბარი ურთიერთობა ერთმანეთთან, განსაკუთრებით სერიოზული რჩება დაპირისპირება აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის.

თუმცა იყო და დღემდე არის მცდელობა შეიქმნას რაღაც ერთიანი პლატფორმა „კავკასიის მეგარეგიონის“ ექვსეულის მონაწილეობით, სახელმწიფოთაშორისი წინააღმდეგობები იმდენად დიდია, რომ ასეთი „პლატფორმა“, ალბათ, ვერასოდეს შეიქმნება. „კავკასიის მეგარეგიონი“ რჩება პირობით სახელად და ამიტომაც მოითხოვს სიტყვას „*წარმოსახვითი*“!

ნახ. 19-ზე, რომელიც 2018 წელს გამოაქვეყნა ბრიტანული მაუწყებლის, BBC-ის, რუსულმა რედაქციამ, ასახულია „კავკასიის მეგარეგიონის“ შიგნით

არსებული პოლიტიკური ურთიერთობების გარკვეული მომენტი XXI საუკუნის პირველ ათწლეულებში. ნახაზის ორიგინალის სახელი მიმდინარე მომენტს ასახავს, რადგან არ არსებობს ქვეყნების მარადიული მტრობა და არც მარადიული მეგობრობა. ნახაზზე სქემატურად არის მოცემული ორმხრივი ურთიერთობები, რომელიც არსებობდა 2018 წელს. მას შემდეგ იყო ცვლილებები, კერძოდ, რუსეთ-სომხეთის ურთიერთობას 2020 წლის „ყარაბაღის მეორე ომის“ შემდეგ „მეგობრული“ აღარაა, მაგრამ „მტრობაზე“ გადასულადაც ვერ მივიჩნევთ. დანარჩენი, პრაქტიკულად უცვლელია.



ნახ. 19.
„ვის წინააღმდეგ ვმეგობრობთ? რუსეთი და კავკასია“
(წყარო: BBC-Russian, 2018)

საქართველოს და რუსეთს ნორმალური ურთიერთობა აქვთ დანარჩენ ოთხ სახელმწიფოსთან, მაგრამ ცუდი ურთიერთობა – ერთმანეთთან.

რუსეთ-საქართველოს ამჟამინდელი ურთიერთობის საფუძველი ცნობილია: 2008 წლიდან რუსეთის ფედერაციას სამხედრო ძალით აქვს ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიის მეხუთედი. საქართველოს ორი რეგიონი – აფხაზეთი და „ცხინვალის რეგიონი“ (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) მან „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებად ცნო. რეალურად, მათი ტერიტორია რუსეთს ეკონომიკურად ნაკლებად ესაჭიროება (განსაკუთრებით, რესურსებით ღარიბი, მთაგორიანი „ცხინვალის რეგიონი“), მაგრამ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს მათ, რათა კავკასიონის ქედის სამხრეთით იქონიოს თავისი სამხედრო ბაზები. რუსეთის მიზანია შეუძლებელი გახადოს საქართველოს ნატო-ში გაწევრება.

საქართველომ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან მაშინვე, როგორც კი კრემლმა 2008 წლის 26 აგვისტოს ცნო ამ ტერიტორიების „დამოუკიდებლობა“. ამ იმპულსური გადაწყვეტილების შეფასება არაერთგვაროვანი შეიძლება იყოს. რუსეთი საქართველოზე გაცილებით ძლიერია და გამარჯვებულის პოზიციაში იმყოფება. დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას მაშინ მოაქვს შედეგი, როდესაც მეორე მხარეს რაღაც დონით სჯი. საქართველომ კი რუსეთი ვერ დასაჯა. პირიქით, გაუადვილა კიდეც მას საქმე: რადგან დიპლომატიური ურთიერთობები თბილისის ინიციატივით გაწყდა, მოსკოვის აზრით, მანვე „უნდა დაიწყოს ზრუნვა“ მათი აღდგენის შესახებ, ოღონდ „ახალი პოლიტიკური რეალობების“ გათვალისწინებით, ანუ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის ცნობით! რუსეთში მშვენივრად იციან, რომ თბილისი ამაზე ვერ წავა.

ოთხივე უშუალო მეზობლის მიმართ საქართველოს პრაგმატული მიდგომა აქვს. მას არა აქვს რომელიმე მეზობლის მიმართ რაიმე ტერიტორიული პრეტენზია და მოითხოვს მხოლოდ საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობას (ამჟამად – მის აღდგენას). ის ამჯობინებს ყველასთან მშვიდობიან ურთიერთობას, რასაც ვერ მიაღწია მხოლოდ რუსეთთან, რომელიც, სხვათა შორის, მისთვის „ერთმორწმუნეა“.

რუსეთის პოლიტიკურ ქცევას განაპირობებს მისი გეოპოლიტიკური კოდი და არა ვინმესთან „ცივილიზაციური სიახლოვე“! მაგალითად, ურთულესი ურთიერთობა რუსეთს აქვს ლინგვისტურად და კულტურულად ყველაზე ახლო ქვეყანასთან – უკრაინასთან.

საქართველოს სრული სუვერენული უფლებაა იქონიოს საგარეო პოლიტიკური კურსი ევროკავშირში და ნატო-ში გაერთიანებაზე. სხვა საქმეა, რამდენად მალე შეიძლება ეს მოხდეს და რა პრაქტიკულ შედეგს მოუტანს საქართველოს, განსაკუთრებით ნატოს წევრობა, რომლის კარი ჩვენთვის თურმე „ღიაა“ 2008 წლიდან, მაგრამ რეალურად არ გაღებულა.

ორივე ორგანიზაციაში გაწევრების შეფერხების მიზეზი პოლიტიკურ-გეოგრაფიულიცაა, რადგან ის ეხება საზღვრებს. ორივე შემთხვევაში იგულისხმება, რომ პოტენციურ მომავალ წევრს აქვს ჩამოყალიბებული, აღიარებული და კარგად დაცული საზღვრები. სამწუხაროდ, საქართველოს ერთადერთი აღიარებული და დაცული საზღვარი აქვს მხოლოდ თურქეთთან. დანარჩენ სამ მეზობელთან საზღვრის სრული დელიმიტაცია და დემარკაცია ჯერაც არ მომხდარა, ხოლო რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთთან და „ცხინვალის რეგიონთან“ „სახელმწიფო საზღვრებს“ საქართველო არასოდეს ცნობს. წევრობის საკითხზე მოლაპარაკებისას ევროკავშირმა და ნატო-მ შეიძლება მოგვთხოვონ მკაფიო პასუხი: „სად გადის საქართველოს საზღვარი – ფსოუზე თუ ენგურზე?“

სომხეთს დღემდე არა აქვს დიპლომატიური ურთიერთობა თავის მეზობლებთან დასავლეთით – თურქეთთან და აღმოსავლეთით – აზერბაიჯანთან. დიდხანს მიზეზი იყო ზემოაღნიშნული კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის გამო. ახალშექმნილ ვითარებაში სომხეთის მთავრობა მზად იქნება წავიდეს აზერბაიჯანთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებაზე, თუმცა მას მოუხდება საზღვრების მკაფიო გამიჯვნა და გადაწყვეტილების მიღება ე.წ. „ზანგეზურის კორიდორის“ შესახებ (ამაზე მე-15 ლექციაში ვისაუბრებთ), რაც არაა მარტივი საქმე.

თურქეთთან სომხეთის ურთიერთობას დიდხანს აფერხებდა დიამეტრულად განსხვავებული თვალსაზრისი I მსოფლიო ომის დროს აღმოსავლეთ ანატოლიაში მომხდარ მოვლენებზე, რომელთა შედეგად ამ რეგიონში აღარ არსებობს სომხების განსახლება (იქამდე სომხების რიცხოვნობას რეგიონში 1,5 მილიონად აფასებდნენ, თუმცა ისინი ეთნიკურ უმრავლესობას მხოლოდ ცალკეულ მიკრორაიონში შეადგენდნენ). სომხური ტერმინოლოგიით აღმოსავლეთ ანატოლიაში განხორციელდა „სომხების გენოციდი“, თურქული ტერმინოლოგიით კი იქიდან მოხდა „მოსახლეობის დეპორტაცია ომის პირობებში“. ანკარა არ აღიარებს „სომხების გენოციდს“ და არც ტერიტორიულ და ფინანსურ კომპენსაციაზე დათანხმდება, რასაც მისგან მოითხოვს ზოგიერთი სომხური პოლიტიკური პარტია (მაგალითად, „დაშნაკცუთიუნი“). ტერიტორიული პრეტენზია თურქეთის მიმართ არაპირდაპირ ასახულია სომხეთის რესპუბლიკის „დამოუკიდებლობის დეკლარაციაში“ (1991 წ.), სადაც ნახსენებია „დასავლეთი სომხეთი“, რაც დღევანდელი თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილს ემთხვევა.

მიუხედავად ამისა, სომხეთსა და თურქეთს შორის შესაძლებელია დიპლომატიური ურთიერთობის ნორმალიზაცია: სომხეთის ამჟამინდელი მთავრობა ცდილობს მოიშოროს მისი შემაფერხებელი მომენტები.

აზერბაიჯანს განსხვავებული ურთიერთობა აქვს ირანთან და თურქეთთან. აზერბაიჯანის მიმართ თეირანის არც თუ გულითადი დამოკიდებულების მიზეზია ბაქოს გარკვეული წრეების განწყობა, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ ისმოდა 1992-1993 წლებში, პრეზიდენტ *ებულფაზ ელჩიბეის* დროს, როდესაც ბაქოში ხშირად ახსენებდნენ იდეას „სამხრეთ აზერბაიჯანთან გაერთიანების შესახებ“. ეს იდეა ხანდახან ისევ ჟღერს, რაც ირანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მიმართ ირედენტისტულ დამოკიდებულებად შეიძლება შეფასდეს.

ირანი და თურქეთი, ზედაპირული გულითადობის მიუხედავად, ახლო აღმოსავლეთში გეოპოლიტიკური მეტოქეები არიან.

ერთგვარი პარადოქსია, რომ შიიტურ ირანს უკეთესი ურთიერთობა აქვს „ქრისტიანულ“ ქვეყნებთან – რუსეთთან, სომხეთთან და საქართველოსთან, ვიდრე „ისლამურ“ ქვეყნებთან – თურქეთთან და აზერბაიჯანთან: ბრჭყალე-

ბი გამოყენებულია, რადგან ირანისაგან განსხვავებით, ჩვენი მეგარეგიონის ყველა დანარჩენი სახელმწიფო ოფიციალურად სეკულარულია.

ეს ამტკიცებს თეზისს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში მკვეთრად შემცირებულია ე. წ. „ცივილიზაციური სიახლოვის“ ფაქტორის მნიშვნელობა, ხოლო „ცივილიზაციათა შეხლის“ თეორია პრაქტიკაში არ მართლდება.

კითხვები ლექცია 11-ის თემაზე:

1. რა არის „სამხრეთ კავკასიის წარმოსახვითი მეგარეგიონი“?
2. როგორია კულტურულ-რელიგიური და პოლიტიკური განსხვავებები „სამხრეთ კავკასიის წარმოსახვით მეგარეგიონში“?
3. როგორ განსხვავდება „სამხრეთ კავკასიის წარმოსახვითი მეგარეგიონის“ დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური ინტერესები? (კონკრეტულად იმსჯელეთ რომელიმე ქვეყნის შესახებ)
4. როგორ განსხვავდება „სამხრეთ კავკასიის წარმოსახვითი მეგარეგიონის“ პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური ინტერესები? (კონკრეტულად იმსჯელეთ რომელიმე ქვეყნის შესახებ)
5. ვინ ვისთან „მეგობრობს“ ან „მტრობს“ „სამხრეთ კავკასიის წარმოსახვით მეგარეგიონში“?

ლექცია 12

საქართველოს უშუალო მეზობელი – რუსეთი

რა განსხვავებაა რუსეთსა და ევროპას შორის?

ევრაზიის კონტინენტის პირობითად ევროპისადმი მიკუთვნებულ ნაწილში მდებარეობს რუსეთის ისტორიული ბირთვი, მისი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული დასავლეთი მხარე.

მაგრამ რუსეთი არაა ტიპური ევროპული სახელმწიფო. მას არ გაუვლია, ან დროში დიდი ჩამორჩენით გაიარა სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ევოლუციის ის, ან მსგავსი, ეტაპები, რომლებიც ბოლო 5-6 საუკუნის განმავლობაში გაიარეს დასავლეთ (და, მოგვიანებით) ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებმა.

XV საუკუნიდან მოყოლებული ფეოდალიზმი და მასთან დაკავშირებული ბატონყმობა დასავლეთ ევროპაში თანდათან წარსულს ბარდებოდა, რუსეთის იმპერიაში კი ბატონყმობის უღელი XVIII საუკუნიდან სულ უფრო მძიმდებოდა.

რუსეთში ბატონყმობის გაუქმება დაიწყო 1861 წელს, მაგრამ პროცესი გაჭიანურდა: საქართველოში 1864-1871 წლამდე, იმპერიის ზოგიერთ სხვა გუბერნიაში – 1883 წლამდეც კი. არსებითად გლეხის დამოკიდებულება მიწათმფლობელზე მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში გაუქმდა. ბატონყმობის ფსიქოლოგიური გადმონაშთები ხელს უწყობდნენ, მაგალითად, კოლექტივიზაციას საბჭოთა კავშირში, რუსი ჯარისკაცის უსიტყვო მორჩილებას ოფიცრის ბრძანებისადმი და სხვ.

XIV საუკუნეში დასავლეთ ევროპაში კულტურული რენესანსი დაიწყო. XVI საუკუნეში იქ ჩატარდა რელიგიური რეფორმაცია, რომელიც კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ ირიბად ხელი შეუწყო თვით კათოლიკური ეკლესიის ერთგვარ მოდერნიზაციას. ევროპაში ყალიბდებოდა თითქმის საყოველთაო ფასეულობათა სისტემა, რომელშიც ერთ-ერთი მთავარია პიროვნული თავისუფლება.

რუსეთში კი ბატონობდა ბიზანტიის დონეზე გაყინული რელიგიური კულტურა, რომელიც ავტორიტარიზმის შენარჩუნებას უწყობდა ხელს.

დასავლეთ ევროპაში პარლამენტარიზმი ძლიერდებოდა: ინგლისში ის დაიწყო XIII საუკუნეში. XVII საუკუნის ბოლოდან არჩეულმა (თუნდაც არა საყოველთაო კენჭისყრით) პარლამენტმა შეზღუდა ინგლისის მონარქია; უფრო წინ წავიდნენ ინგლისის ყოფილი კოლონიები ჩრდილოეთ ამერიკაში, რომელთაც XVIII საუკუნის ბოლოს შეიმუშავეს მსოფლიოში პირველი კონსტიტუცია; XIX საუკუნეში პარლამენტარიზმი დაფუძნდა დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში.

რუსეთში კი XX საუკუნის დასაწყისშიც ბატონობდა აბსოლუტური მონარქია: პირველი პარლამენტის (Государственная Дума) მოწვევა რუსეთის მეფეს მოუხდა 1906 წელს. 1917 წლის ნოემბერში რუსეთის ხელისუფლებაში ძალადობრივად მოსულმა ბოლშევიკებმა 1918 წლის 19 იანვარს დაშალეს ქვეყნის ისტორიაში პირველად სახალხოდ არჩეული დამფუძნებელი კრება და მას შემდეგ, 1990 წლამდე, საბჭოთა კავშირში აღარ არსებობდა არჩევითი საკანონმდებლო ორგანო: კომუნისტების დროინდელი „საბჭოების“ წევრები *არჩეული* კი არ იყვნენ, არამედ *შერჩეული* კომპარტიის ფუნქციონერების მიერ: საარჩევნო ბიულეტენში მხოლოდ ერთი გვარი ეწერა! XXI საუკუნის პირველ ათწლეულებში არჩეული, თეორიულად მრავალპარტიული, რუსეთის „სახელმწიფო დუმა“ (პარლამენტის ქვედა პალატა) აღმასრულებელი ხელისუფლების (პრეზიდენტის) ნების უსიტყვო აღმასრულებელია.

ნახტომისებური გარეგნული ევროპეიზაცია, რაც რუსეთმა განიცადა XVIII საუკუნის დასაწყისში „პეტრე დიდის რეფორმების“ შედეგად, არ ცვლიდა ქვეყნის ევრაზიულ არსს. XIX საუკუნეში, მსოფლიო ზესახელმწიფოდ აღიარებულ რუსეთის იმპერიაში, ევროპულ კულტურას ეზიარა იმპერატორის ქვეშევრდომთა მხოლოდ თხელი ელიტური ფენა, რომლის საგრძნობი ნაწილი 1917 წლის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ფიზიკურად მოისპო ან ქვეყნიდან გაიქცა. რუსი ხალხის მასა კი (სულ ცოტა 9/10) ისევ „პირობით აზიაში“ დარჩა.

„აზიას“ რაიმე ნეგატიური მნიშვნელობა არ ეძლევა: ეს სიტყვა აქ, უბრალოდ, ნიშნავს, რომ რუსეთი არ არის მხოლოდ ევროპა. მისი არსი ევრაზიულია. დღევანდელ რუსეთშიც უყვართ ხაზის გასმა ქვეყნის ევრაზიული ხასიათისათვის. 2013 წელს რუსეთმა შექმნა „ევრაზიული ეკონომიკური კავშირი“ თავის თითქოს „მოკავშირე“ რამდენიმე პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოსთან ერთად.

რატომ იყო ტერიტორიული ექსპანსია რუსეთის გეოპოლიტიკური იმპერატივი?

განსხვავებას რუსეთსა და ევროპას შორის, რუსეთის „განსაკუთრებულობას“, უფრო სწორედ, ევროპისაგან განსხვავებულ ისტორიულ-კულტურულ განვითარებას, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს რუსეთის გეოგრაფიული სიდიდე.

XXI საუკუნის დამდეგიდან რუსეთის უცვლელმა პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ერთხელ საჯაროდ თქვა კიდეც (ხუმრობით?), რომ „რუსეთს საზღვრები არა აქვს“!

ჩრდილოეთ ევრაზიის უკიდეგანო სტეპები ყოველთვის წარმოადგენდა ხალხთა დიდი მასების მიგრაციის გზას. ჩვ. წ. I და II ათასწლეულებში (XV სა-

უკუნემდე) მიგრაციების ძირითადი მიმართულება იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. დღევანდელი რუსეთის ტერიტორია მიგრაციების „გამავალ დერეფანს“ წარმოადგენდა. ბევრი მომხდური ხალხი ამ ტერიტორიაზე დასახლდა კიდეც.

რუსული ნაციის ეთნოფსიქოლოგიასა და, ნაწილობრივ, გენეტურ ტიპშიც უზარმაზარი კვალი დატოვა XIII-XV საუკუნეებში აზიიდან მოსულ თათარ-მონღოლებთან ხანგრძლივმა ურთიერთობამ, რომელიც ხშირ შემთხვევაში კონფრონტაციული სულაც არ იყო.

რუსი ისტორიკოსი *გეორგი ფედოტოვის* (1886-1951) აზრით რუსეთში სწორედ იმ პერიოდში მოხდა ბიზანტიური „ტოტალიტარული კულტურისა“ და აღმოსავლური „პოლიტიკური დესპოტიის“ შერწყმა.

რუსი ხალხი ისე მიეჩვია ერთპიროვნულ მმართველზე დამოკიდებულებას, რომ XX და XXI საუკუნეებშიც კი მას სჭირდებოდა და დღემდე სჭირდება სხვადასხვა სახელის მქონე „პოლიტიკური დესპოტი“ – ცარი, ბელადი, პრეზიდენტი.

XV საუკუნის ბოლოდან, მონღოლთა იმპერიის ნარჩენის, „ოქროს ურდოს“, გადაგვარებისა და გაქრობის კვალდაკვალ, ვოლგისპირეთში და მის გადაღმა გაჩნდა პოლიტიკური ვაკუუმი, რომელიც სწრაფად შეავსეს მოსკოვის დიდმა მთავრებმა. მათ კარგად დაისწავლეს „ოქროს ურდოს“ ხანების მართვის მეთოდები. ისინი იპყრობდნენ და ხარკავდნენ მეზობლად მდებარე მიწების მოსახლეობას, რომელთაც სუსტი პატრონები აღმოაჩნდათ. რუსულმა მოსახლეობამ დაიწყო აღმოსავლეთისაკენ გავრცელება და ადგილობრივი მოსახლეობის მართლმადიდებლობაზე მოქცევით მათი ნაწილობრივი ასიმილაცია მოახდინა.

1547 წელს მოსკოვის დიდი სამთავროს (რომელიც „დიდი“ გახდა იმის მეოხებით, რომ მისი მთავრები „ოქროს ურდოსათვის“ კრეფდნენ ხარკს სხვა რუსულ სამთავროებში) დიდმა მთავარმა ივან IV-მ თავი გამოაცხადა რუსეთის მეფედ (Царь, რაც მოდის ლათინური Ceasar-იდან და იგივეა, რაც კეისარი/კაიზერი). 1721 წელს რუსეთის სამეფო რუსეთის იმპერიად იქცა.

განსხვავებით XV-XX საუკუნეების დასავლეთევროპული ზღვისგადაღმა კოლონიური იმპერიებისაგან (პორტუგალია, ესპანეთი, საფრანგეთი, ინგლისი, ჰოლანდია, ბელგია, გერმანია), რომელთაც სამფლობელოები ევროპის გარეთ ჰქონდათ, რუსეთი კონტინენტურ იმპერიად ჩამოყალიბდა, ისეთივედ, როგორიც იყო, მაგალითად, მონღოლთა იმპერია. რუსეთს დიდ გეოპოლიტიკურ უპირატესობას სძენდა მის ირგვლივ შედარებით სუსტი მეზობლების არსებობა.

XVI საუკუნიდან რუსეთი გეოგრაფიულად განსაკუთრებული ქვეყანა ხდება. ევროპის აღმოსავლეთი ნაწილიდან ის სწრაფად გავრცელდა აზიის ჩრდილოეთ ნაწილში, დაიკავა ევრაზიის გიგანტური კონტინენტის თითქმის ნახევარი და მიადგა წყნარ ოკეანეს.

ტერიტორიული ექსპანსია რუსეთის გეოპოლიტიკურ იმპერატივად გადაიქცა. მისი ისტორიის შესწავლა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს სივრცითი გაფართოება მისი განვითარების აუცილებელი ატრიბუტი იყო. როგორც ერთმა რუსმა ავტორმა თქვა „ექსპანსიის შეჩერება რუსეთისათვის ავადმყოფობას უდრის, დაპატარავების დაწყება – სასიკვდილო სენს მოასწავებს“.

უცხოელებმაც არ დააკლეს რუსეთის სივრცითი განსაკუთრებულობისათვის ხაზის გასმას. ცნობილმა ბრიტანელმა გეოგრაფმა *ჰელფორდ მაკინდერმა* (Sir Halford J. Mackinder) რუსეთის ტერიტორია ჯერ კიდევ 1904 წელს გამოაცხადა „*ჰართლენდად*“ (Heartland, დედამიწის შუაგული) და მსოფლიო „*ისტორიის გეოგრაფიულ ღერძად*“ (Geographical Pivot of History). მაკინდერი არ იყენებდა ტერმინს „გეოპოლიტიკა“, თუმცა ფაქტობრივად იყო მეცნიერების ამ მიმართულების ერთ-ერთი შემქმნელი. 1919 წელს გამოცემულ წიგნში მაკინდერმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი გეოპოლიტიკური იდეა:

> „ვინც მართავს აღმოსავლეთ ევროპას, ხელმძღვანელობს ჰართლენდს; ვინც მართავს ჰართლენდს, ხელმძღვანელობს მსოფლიო კუნძულს [ევრაზიის კონტინენტს: რ.გ.]; ვინც მართავს მსოფლიო კუნძულს, ხელმძღვანელობს მსოფლიოს“.

როგორ ფართოვდებოდა რუსეთი?

დასავლეთის მიმართულებით რუსეთის სამეფოს/იმპერიის ექსპანსიას წინაღუდგებოდა ევროპაში არსებული ძლიერი სახელმწიფოებრიობა. XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთმა მოახერხა ბალტიის ზღვის ნაპირზე გასვლა და იქ დამკვიდრება, იმავე საუკუნის ბოლო მეოთხედში – პოლონეთის გაყოფისას მისი დიდი ნაწილის მისაკუთრება, 1809 წელს შვედეთისათვის – ფინეთის, 1812 წელს ოსმალეთისათვის – ბესარაბიის (დღევანდელი მოლდოვა) ჩამორთმევა. მაგრამ უფრო დასავლეთით წაწევა რუსეთმა ვერ შეძლო, თუმცა II მსოფლიო ომში თავის დასავლეთელ მოკავშირეებთან ერთად გერმანიაზე გამარჯვებამ ის 45 წლით აქცია ცენტრალური ევროპის (ბერლინამდე!) გამგებლად.

სამხრეთის მიმართულებით რუსეთის იმპერიის ექსპანსიას და უახლოეს „თბილ ზღვაზე“ გასვლას წინ ეღობებოდა ოსმალეთის იმპერია. XVII საუკუნიდან XX საუკუნის მეორე ათწლეულამდე რუსეთმა და ოსმალეთმა 12 ომი გადაიხადეს, რომელთა უმრავლესობა რუსეთმა მოიგო, შავი ზღვის ნაპირზეც დამკვიდრდა და კავკასიის ქედის სამხრეთითაც გადავიდა. მაგრამ უფრო სამხრეთით მდებარე „თბილ ზღვაზე“ გასვლა რუსეთმა ვერ მოახერხა.

სამხრეთ კავკასიაზე ბატონობისათვის ბრძოლაში სპარსეთის წინააღმდეგობა რუსეთმა უფრო ადვილად გატეხა: საკმარისი აღმოჩნდა მხოლოდ ორ ომში (1804-1813 და 1826-1828) გამარჯვება, რომ სპარსეთი მდინარე

არაქსის სამხრეთით უკუგდებულიყო. სპარსეთისგან დაპყრობილ მიწებზე შემდგომში შეიქმნა აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკები.

XIX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ კავკასიაში (რუსეთის მხრიდან ეს იყო „Закавказье“, ანუ „იმიერკავკასია“) რუსეთის იმპერიის მისვლა და დამკვიდრება თავიდან უფრო სამხედრო-სტრატეგიულ ინტერესებს ემსახურებოდა, ვიდრე ეკონომიკურს (ბაქოს ნავთობის მნიშვნელობა გვიან გახდა ცნობილი): რუსეთი უფრო სამხრეთით გაფართოებას ცდილობდა. მით უმეტეს, არ მოსულა იგი „ქრისტიანი ხალხების, ქართველებისა და სომხების, გადარჩენის მიზნით“, რასაც ამტკიცებდა რუსული იმპერიული და საბჭოთა ისტორიოგრაფია.

1870-80-იან წლებში რუსეთი ცენტრალურ აზიაშიც გაფართოვდა და მიებჯინა ბრიტანულ ინტერესებს სამხრეთ აზიაში. 1907 წელს მან ბრიტანეთთან ერთად გაიყო გავლენის სფეროები ირანში და გამიჯნა თავისი პოლიტიკური საზღვარი ავღანეთთან.

აღმოსავლეთით მაქსიმალურ გაფართოებას რუსეთმა XIX საუკუნის შუაში მიაღწია. 1858 **წლის აიგუნის ხელშეკრულებით** მან შეიერთა იმ დროისათვის დაუძლურებული ჩინეთის კუთვნილი გარე მანჯურია, ანუ მდინარე ამურის მარცხენა ნაპირი (ესაა დღევანდელი რუსეთის ფედერაციის ხაბაროვისა და ამურის მხარეები და ებრაელთა ავტონომიური ოლქი) და ამურის შენაკადის, მდინარე უსურის, მარჯვენა ნაპირი (დღევანდელი პრიმორიეს მხარე), სადაც 1860 წელს დაარსდა ქალაქი ვლადივოსტოკი, რაც რუსულიდან ითარგმნება, როგორც „ფლობდე აღმოსავლეთს“. იმავე 1858 წელს ჩინეთმა რუსეთს დაუთმო კუნძულ სახალინის სამხრეთი ნაწილიც, რომლის ჩრდილოეთ ნაწილს რუსეთი 1853 წლიდან უკვე ფლობდა. პეკინში დღემდე მიიჩნევენ, რომ მათთვის თავსმოხვეული უთანასწორო ხელშეკრულებებიდან ერთ-ერთი პირველი დაიდო აიგუნში, რომელსაც, სხვათა შორის, ჩინეთის იმდროინდელმა იმპერატორმა ხელი არ მოაწერა. საუკუნენახევრის შემდეგაც ჩინეთში არ დავიწყებიათ ეს ტერიტორიული დანაკარგი, რომელზეც ჯერჯერობით მხოლოდ არაოფიციალურად განცხადებული პრეტენზია მომავალში სერიოზული პოლიტიკური გართულების მიზეზი შეიძლება გახდეს.

რუსეთის იმპერია არ მიიჩნევდა საბოლოოდ მდინარე ამურზე ჩინეთთან დადებულ საზღვარს: მას სურდა გაფართოება მდინარის სამხრეთით მდებარე ჩინეთის პროვინცია შიდა მანჯურიის ხარჯზე. ამ ტერიტორიაზე რუსეთის იმპერიამ გაიყვანა *„ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინიგზა“* (Китайско-Восточная железная дорога), რომელიც 1902 წელს ამოქმედდა. ტექნიკურად რკინიგზა მკვეთრად ამოკლებდა მანძილს ევროპული რუსეთიდან წყნარ ოკეანესთან მდებარე ქ. ვლადივოსტოკამდე, პოლიტიკურად კი ემსახურებოდა რუსული გავლენის ზრდას ჩინეთში. რკინიგზის დაცვის საბაბით შიდა მანჯურიაში შევიდა რუსული სამხედრო ნაწილები.

ლონდონსა და ტოკიოში, რომლებმაც 1902 წელს გააფორმეს სამოკავშირეო ხელშეკრულება, მიიჩნიეს, რომ ჩრდილოეთ ჩინეთში რუსული ექსპანსიის გაფართოება საფრთხეს უქმნიდა რეგიონს და, რაც მთავარია, მათ საკუთარ იმპერიალისტურ მიზნებსაც.

1903 წლის 31 დეკემბერს ტოკიომ პეტერბურგს წარუდგინა ულტიმატუმი – ჩინეთიდან არმიის გაყვანა ან ომი. რუსეთმა ქედმაღლურად უგულებელჰყო იაპონური ულტიმატუმი: პრესაში ისმოდა ტრაბახი „Япошек шапками закидаем!“ („იაპოშკებს ქუდების სროლით დავაფრთხობთ“).

1904 წლის 9 თებერვალს *პორტ-არტურის* (ამჟამად – ჩინეთის ქალაქი *ლიუშუნი)* კარგად გამაგრებულ რუსულ სამხედრო-საზღვაო ბაზაზე თავდასხმით იაპონიამ დაიწყო ომი. თერთმეტი თვის შემდეგ, 1905 წლის 2 იანვარს პორტ-არტური დაეცა. რუსებმა რამდენიმე სახმელეთო ბრძოლაც წააგეს.

გეოგრაფიული ფაქტორი, რომელიც რუსეთის სასარგებლოდ მუშაობდა ევროპის მხრიდან მოსული მტრის წინააღმდეგ (დიდი მანძილი, მკაცრი კლიმატი, უგზოობა) იაპონიასთან ომში რუსეთის წინააღმდეგ მუშაობდა (დიდი სიშორე ევროპული რუსეთის დემოგრაფიული და ეკონომიკური პოტენციალის გამოსაყენებლად, ერთადერთი სატრანსპორტო არტერია – რკინიგზა, რომლითაც დიდხანს მგზავრობა იყო საჭირო). იაპონია კი ბრძოლის ველთან ახლოს იმყოფებოდა.

იაპონიას აღმოაჩნდა სამხედრო-ტექნიკური უპირატესობა და უკეთესი სამხედრო ორგანიზაცია. პეტერბურგის დამცირების აპოთეოზად იქცა 1905 წლის 27 მაისს იაპონიასა და კორეას შორის მდებარე ცუშიმას სრუტეში რუსული სამხედრო-საზღვაო ფლოტის სრულად განადგურება და ჩაძირვა.

დამარცხებულმა პეტერბურგმა უარი თქვა თავის პრეტენზიებზე ჩინეთში, გადასცა ტოკიოს კ. სახალინის სამხრეთი ნაწილი და ცნო მისი ინტერესები კორეაში. იაპონია მსოფლიო რანგის სახელმწიფოდ იქცა.

რუსეთის ოპოზიციურმა ძალებმა ისარგებლეს ომში დამარცხებით. 1905-1907 წლებში იმპერიის ტერიტორიაზე არაერთი აჯანყება მოხდა, რასაც „რუსეთის რევოლუცია“ ეწოდა. იმ ჯერზე იმპერიამ გაუძლო.

მაგრამ რუსეთის იმპერიამ ვერ გაუძლო I მსოფლიო ომს (1914-1918), რომელშიც არა მარტო დამარცხდა, არამედ 1917 წელს მომხდარი ორი რევოლუციის შემდეგ დაიშალა კიდეც. 1918 წელს რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში აღმოცენდა ახალი ეროვნული სახელმწიფოები.

1917 წელს ხელისუფლებაში ძალადობრივად მოსულმა კომუნისტებმა, ჯერ ვლადიმირ ლენინის, შემდეგ იოსებ სტალინის ხელმძღვანელობით, უმკაცრესი მეთოდების გამოყენებით შეძლეს რუსეთის იმპერიის საზღვრებში საბჭოთა რუსეთის აშენება. 1919-1921 და 1939-1940 წლებში კომუნისტებმა თითქმის აღადგინეს რუსეთის იმპერიის საზღვრები.

რით განსხვავდებოდა საბჭოთა კავშირი რუსეთის იმპერიისგან?

საბჭოთა კავშირი არ წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის სრულ ასლს, თუმცა რუსეთის იმპერიაზე არანაკლებ ცენტრალიზებული სახელმწიფო იყო. საბჭოთა კავშირის მთავარი განსხვავება იმპერიისაგან ის იყო, რომ ამ უკანასკნელის ნანგრევებზე შეიქმნა „ფედერაციული სახელმწიფო“, ნომინალურად „სუვერენული“ გასაბჭოებული რესპუბლიკების კავშირი, მაშინ როდესაც რუსეთის იმპერიაში, მისი არსებობის ბოლო ეტაპზე, რეალური ავტონომია ჰქონდა მხოლოდ ფინეთს, ხოლო შუა აზიაში ფორმალურ ავტონომიას ინარჩუნებდნენ მხოლოდ ბუხარის საამირო და ხივის (ხორეზმის) სახანო.

როგორც მე-4 ლექციის დროს მოისმინეთ, 1917 წელს გამოქვეყნებული *„ხალხთა უფლებების დეკლარაცია“* პირფერობა გამოდგა: 1918-1921 წლებში ბოლშევიკურმა რუსეთმა ისევ შეიერთა უკრაინა, ბელორუსია, კავკასიის რესპუბლიკები, ცენტრალური აზია (თუმცა კბილები მოიმტვრია პოლონეთზე, რომელმაც მაშინ დაამარცხა წითელი არმია). 1939 წელს ჰიტლერთან დადებული საიდუმლო გარიგების შესაბამისად სტალინმა 1940 წელს მოახდინა ბალტიის სამი რესპუბლიკისა და მოლდოვის ანექსირება, ხოლო ფინეთთან ომის შემდეგ ჩამოაჭრა ამ უკანასკნელს ტერიტორიის მეათედი. ბალტიის ქვეყნები და მოლდოვა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდნენ „მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების“ სახით.

როგორც წინა ლექციებში აღინიშნა, ნაციონალურ რესპუბლიკებში ადგილობრივი პოლიტიკური და კულტურული ელიტების შექმნა და ეროვნული კულტურის განვითარება გარდაუვალად იწვევდა ერების ჩამოყალიბებას, რომლებიც ადრე თუ გვიან მომწიფდებოდნენ საკუთარი სახელმწიფოების შექმნისათვის.

უცვლელი სახით საბჭოთა კავშირის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა. 1980-იანი წლების ბოლოს მისი არსებობის სუსტ ლოგიკას ლიმიტი ამოეწურა. საბჭოთა გეგმურმა ეკონომიკურმა სისტემამ აბსოლუტურად მოჭამა დრო. დიდი ქვეყანა გაკოტრდა. პოლიტიკურად კი კავშირი დაშალა თავად რუსეთის ხელმძღვანელობამ, უკრაინისა და ბელორუსიის პირველ პირებთან ერთად.

2005 წელს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა გულისწუხილით განაცხადა, რომ „სსრკ-ის დაშლა საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო“.

ეს ისე ითქვა, თითქოს იმავე XX საუკუნის მეორე დეკადაში რამდენიმე ევროპული იმპერიის კრახმა ნაკლები გეოპოლიტიკური კატასტროფა წარმოქმნა. მაშინაც ხომ დაზარალდნენ არა მარტო იმპერიების მესვეურები, არამედ მათი მოსახლეობის დიდი ნაწილიც? განა 1918-1920 წლებში კომუ-

ნისტების გამოისობით მომხდარი სისხლიანი სამოქალაქო ომი რუსეთისათვის უფრო დიდი უბედურება არ იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირის უსისხლო დაშლა 1991 წელს?

როგორ განისაზღვრება რუსეთის ფედერაციის სამართალმემკვიდრეობა?

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირომ (Дума, პარლამენტის ქვედა პალატა) 1999 წლის ერთი დადგენილებით საერთაშორისო ურთიერთობების ერთსა და იმავე მონაწილედ, საერთაშორისო სამართლის ერთსა და იმავე სუბიექტად, რომელსაც არასოდეს შეუწყვეტია არსებობა, გამოაცხადა **რუსეთის სახელმწიფო, რუსეთის რესპუბლიკა, რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა (რსფსრ), საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ) და რუსეთის ფედერაცია.**

რუსეთის სახელმწიფოში იგულისხმება რუსეთის სამეფო (1721 წლამდე) და რუსეთის იმპერია (1721-1917). რუსეთის რესპუბლიკა არსებობდა 1917 წლის სამიოდე თვის განმავლობაში, რსფსრ – 1917-1922 წლებში, სსრკ (რომელშიც რსფსრ-ც შედიოდა) – 1922-1991 წლებში, რუსეთის ფედერაცია – 1991 წლიდან დღემდე.

ამრიგად, რუსეთის ფედერაცია აცხადებს თავს ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ბოლო ნახევარი ათასწლეულის განმავლობაში არსებული ყველა სახელმწიფოს სამართალმემკვიდრედ.

საინტერესოა, რომ რუსეთი თავის წინამორბედად არ მიიჩნევს XIII-XV საუკუნეებში თითქმის იმავე ტერიტორიის პატრონს – თათარ-მონღოლთა „ოქროს ურდოს“, იმის გამო, რომ ისტორიული სტერეოტიპები „ურდოს“ ნეგატიურ ფერებში ხატავს. სინამდვილეში კი სწორედ ურდოს ხანების მმართველობის წესები იყო რუსეთის სამეფოს ბირთვის – მოსკოვის დიდი სამთავროსათვის მისაბაძი წარმატებული მაგალითი. ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ „ოქროს ურდოს“ ტერიტორიული მემკვიდრეობა მთლიანად გადავიდა მოსკოვის დიდი მთავრების, მომავალი რუსეთის ცარების, ხელში.

1991 წლის დეკემბერში დაშლილი საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრედ მსოფლიომ ცნო რუსეთის ფედერაცია, რომელსაც დარჩა საბჭოთა კავშირის კუთვნილი მუდმივი წევრის ადგილი გაერო-ს უშიშროების საბჭოში, ქვეყნის ოქროს მარაგი, აქტივები საზღვარგარეთ, საბჭოთა საელჩოების შენობები, საბჭოთა არმიისა და ფლოტის შეიარაღებისა და ქონების უდიდესი ნაწილი. მხოლოდ რუსეთი იყენებს საბჭოთა კავშირის დროინდელ საკავშირო სტრუქტურებს. რაც მთავარია, რუსეთს დარჩა საბჭოთა ბირთვული არსენალი.

რუსეთი თავის ბირთვულ იარაღს აცხადებს სტრატეგიული შეკავების საშუალებად, მაგრამ საკუთარ სამხედრო დოქტრინაში მისი წინსწრებით გამოყენების უფლებაც ჩაწერა.

ზემოჩამოთვლილი დიდ უპირატესობას ანიჭებს რუსეთის ფედერაციას სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებით, რომელთაც ნულიდან შესაქმნელი გაუხდათ არმიაც, საელჩოებიც და სხვ.

1994 წლის „ბუდაპეშტის მემორანდუმით“ აშშ, დიდი ბრიტანეთი და რუსეთის ფედერაცია გარანტებად დაუდგნენ უკრაინის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს არსებულ საზღვრებში იმის სანაცვლოდ, რომ უკრაინა გადასცემდა თავის ტერიტორიაზე არსებულ ბირთვულ იარაღს რუსეთის ფედერაციას. ოცი წლის შემდეგ, 2014 წელს, როდესაც ერთ-ერთმა გარანტორმა, რუსეთმა მოახდინა უკრაინის შემადგენლობაში მყოფი ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსირება, აღმოჩნდა, რომ დანარჩენ გარანტორებს, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს, მხოლოდ შეშფოთების გამოთქმა შეუძლიათ.

თანამედროვე რუსეთის ფედერაცია ცდილობს თავისი სამართალმემკვიდრეობა წარმოაჩინოს სახელმწიფო სიმბოლიკაში, რომელშიც აისახება რუსეთის სამეფოს, რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობა:

- ორთავიანი არწივი გერბზე მოდის XV საუკუნეში დაღუპული ბიზანტიიდან. გერბი მიითვისა რუსეთის პირველმა მეფე ივან IV-მ (მრისხანემ);
- XVII საუკუნის ბოლოს მეფე პიოტრ (პეტრე) I-მა ჰოლანდიიდან ჩამოიტანა სამფეროვანი დროშა (ორ ფერს შეუნაცვლა ადგილი): ამ დროშას იყენებდა რუსეთის იმპერია;
- 2000 წელს რუსეთის ფედრაციამ დაიბრუნა 1943 წელს სტალინის მიერ შერჩეული საბჭოთა კავშირის ჰიმნის მუსიკა: ტექსტის სიტყვები ერთგვარად გადააკეთეს.

ეს იმპერიულ-საბჭოთა ნაზავი შემთხვევითი არაა – ის ტენდენციას აჩვენებს.

რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ- და ეკონომიკურ-გეოგრაფიული პრობლემები

საბჭოთა კავშირის დაშლამ რუსეთი „გადასწია“ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისაკენ. მან დაკარგა შავ და ბალტიის ზღვაზე გასასვლელის საგრძნობი ნაწილი, რაც მისმა ცარებმა დიდი ბრძოლის შედეგად დაიპყრეს XVIII საუკუნეში. 1991 წლის ბოლოს რუსეთი ნაწილობრივ დაუბრუნდა XVII საუკუნის საზღვრებს, ანუ იმ მდგომარეობას, სანამ იგი უკრაინას, ბალტიისპირეთს, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას შეიერთებდა.

საბჭოთა კავშირის ფართობიდან (22 მილიონი კვ. კილომეტრი – მსოფლიო ხმელეთის ერთი მეექვსედი) რუსეთის ფედერაციას (ყოფილ რსფსრ-ს)

დარჩა 17 მილიონი კვ. კილომეტრი. მაგრამ ამ ფართობით რუსეთი მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოა და ფლობს ბუნებრივი რესურსების უზარმაზარ მოცულობას. თუმცა ბალტიის ნავსადგურების დიდი ნაწილი ბალტიისპირეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკებს დარჩათ, რუსეთს მაინც აქვს გასასვლელი ბალტიის ზღვაზე: მას ეკუთვნის პეტერბურგისა და კალინინგრადის ნავსადგურები. ეს უკანასკნელი მდებარეობს რუსეთის ექსკლავში, კალინინგრადის ოლქში, ყოფილ აღმოსავლეთ პრუსიაში, რომელიც სტალინმა II მსოფლიო ომის შემდეგ რსფსრ-ს შეუერთა.

XVIII საუკუნის ბოლოს რუსეთის იმპერიის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულზე დაარსებული სევასტოპოლის ნავსადგური საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელ უკრაინაში აღმოჩნდა. ამ პოლიტიკურ რეალობას მოსკოვი 2014 წლამდე ცნობდა და სევასტოპოლის სამხედრო-საზღვაო ბაზა იჯარით ჰქონდა აღებული უკრაინისაგან. 2014 წელს კი რუსეთმა უკანონოდ დაიკავა ყირიმი და ფიქტიური რეფერენდუმის შემდეგ სევასტოპოლთან ერთად შეიერთა ის. 2022 წელს უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ რუსეთი თავის საკუთრებად აცხადებს უკრაინის კიდევ ოთხ ოლქს და დაეპატრონა აზოვის ზღვის მთელ აკვატორიას და მის ნავსადგურებს.

XXI საუკუნის დამდეგიდან რუსეთს ეკონომიკურად ძალიან გაუმართლა. 1990-იან წლებში ნავთობის მსოფლიო ფასი დაბალი იყო: 1998 წელს ერთი ბარელი ნავთობი საშუალოდ 13 აშშ დოლარი ღირდა. 2001 წლიდან კი ფასმა გასაოცარი ზრდა დაიწყო: 2004 წელს ბარელ ნავთობში საშუალოდ 28 დოლარს იძლეოდნენ, 2007 წელს – 72 დოლარს, 2012 წელს – 98 დოლარს! თანამედროვე ფასი 65-75 დოლარს შორის მერყეობს. პარალელურად გაიზარდა ბუნებრივი გაზის ფასიც, რომელიც კონტინენტურ ევროპაში ძირითადად ნავთობის ფასზეა მიბმული. რუსეთი, რომლის საექსპორტო შემოსავალს სწორედ ნავთობი და გაზი ქმნიდა, სწრაფად გამდიდრდა. მას საშუალება მიეცა გაეზარდა სახელმწიფო სამსახურში მყოფთა ხელფასები, პენსიები.

სახელმწიფო მონოპოლია „გაზპრომმა“ დაიწყო ევროპის ქვეყნების, როგორც გასაღების ბაზრის, ათვისება: რუსული გაზი გეოპოლიტიკის ფაქტორი ხდებოდა. რუსულ გაზზე დასავლეთ ევროპის, უპირველესად გერმანიის, დამოკიდებულება ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში გამოიკვეთა, რაც კრემლის დიდ კმაყოფილებას იწვევდა. ეს ეკონომიკური ბერკეტი განაპირობებდა იმასაც, რომ გერმანია ძალიან თავშეკავებული იყო „პოსტ-საბჭოთა სივრცეში“ რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შეფასებისას.

გაზრდილი სახელმწიფო ბიუჯეტი არმიის მოდერნიზაციას და უახლესი შეტევითი იარაღის შექმნასაც მოხმარდა. რუსეთის ფედერაციას, რომელსაც დიდ ქვეყნებს შორის მოკავშირე არ ჰყავდა და არც ჰყავს, შეეძლო გაეხსენებინა იმპერატორ *ალექსანდრ III*-ის (1881-1897) ცნობილი გამონათქვამი *„რუსეთის მოკავშირეები არიან მხოლოდ მისი არმია და ფლოტი“*. ამ სენტენციი-

სათვის ვლადიმირ პუტინს (პრეზიდენტი 2000 წლიდან დაუდგენელ დრომდე!) შეეძლო დაემატებინა: *„და ბირთვული იარაღი მათი მიტანის საშუალებებთან ერთად“.*

ამასთან ერთად, თანამედროვე ეკონომიკა ეფუძნება უფრო ინტელექტუალურ შრომას და არა პირველად მუშახელსა და ბუნებრივ რესურსებს. რუსეთმა დაკარგა ინტელექტუალური პოტენციალის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლის საწყის ეტაპზე. დანაკარგები გაიზარდა 2022 წლიდან, როდესაც ქვეყანა დატოვა ეკონომიკურად ძლიერმა, ინტელექტუალურად მომწიფებულმა, შრომისუნარიან ასაკში მყოფმა მრავალმა პირმა. ეკონომიკური სანქციები, რომლებიც რუსეთს დაუწესდა უკრაინაში შეჭრის შემდეგ, სერიოზულ გავლენას ახდენდა მის განვითარებაზე.

* * *

რუსეთის ყველაზე სერიოზული პრობლემა არის **დემოგრაფია.**

1930-იან წლეში მხეცურად ჩატარებულმა კოლექტივიზაციამ და, განსაკუთრებით, II მსოფლიო ომმა შეამცირა ეთნიკური რუსების ხვედრითი წილი საბჭოთა კავშირის მოსახლეობაში, თანაც უკრაინელები და ბელორუსები თავად მოსკოვმა აღიარა ცალკე ერებად. 1989 წელს ჩატარებულმა მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერამ აჩვენა, რომ ეთნიკური რუსების ხვედრითი წილი მთელი კავშირის მოსახლეობაში ნახევარს ოდნავ აჭარბებდა (50,8%). რუსების შობადობა დაეცა; მამაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა განუხრელად მცირდებოდა, ძირითადად ლოთობისა და ალკოჰოლიზმის გავლენით. ამავე დროს საბჭოთა კავშირში სწრაფად მატულობდა ე.წ. „მუსლიმი ხალხების“ (ოფიციალურად დათრგუნული რელიგია ყოფით დონეზე ისევ ქმედითი იყო) რიცხოვნობა: 1970-1989 წლების აღწერებს შორის მხოლოდ ცენტრალური აზიის რესპუბლიკების ძირითადი ეთნოსების (უზბეკები, ყაზახები, ტაჯიკები, თურქმენები, ყირგიზები) და აზერბაიჯანელთა ჯამური რაოდენობა საბჭოთა კავშირში 23,8 მილიონიდან 40 მილიონამდე გაიზარდა, ანუ 19 წლის განმავლობაში ლამის გაორმაგდა, მაშინ როდესაც ეთნიკური რუსების რაოდენობამ უმნიშვნელოდ მოიმატა.

საბჭოთა კავშირის მოსახლეობა 1989 წელს 289 მილიონი იყო, მეტი ვიდრე აშშ-სა და კანადის მოსახლეობა ერთად აღებული. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ რსფსრ-ში იმ წელს 147 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, უკრაინის სსრ-ში კი – 51,7 მილიონი.

2021 წლის მოსახლეობის აღწერამ რუსეთის ფედერაციაში 147,2 მილიონი მცხოვრები აჩვენა (უკრაინისგან მითვისებული ყირიმის ნახევარკუნძულის მოსახლეობასთან ერთად, სადაც 2,4 მილიონი ადამიანი აღრიცხეს). ამრიგად, მოსახლეობის 2021 წლის რაოდენობა ნაკლები იყო რსფსრ-ის ტერიტორიაზე (რო-

მელშიც ყირიმი არ შედიოდა) სამი ათეული წლით ადრე არსებულზე. თანამედროვე რუსეთში აღინიშნება მოსახლეობის აბსოლუტური კლება ეთნიკურ რუსებს შორის, რომლებიც 1989 წელს 119,8 მილიონს შეადგენდნენ, 2021 წელს კი 105,6 მილიონს, ანუ 13 პროცენტით ნაკლებს. ეთნიკური რუსების რიცხოვნობის შემცირების ფონზე, სახელმწიფო ახალისებს ასიმილაციას. მაგალითად, 2010 წლის მოსახლეობის აღწერის დროს 1,9 მილიონი რუსეთის მოქალაქე უკრაინელად აღირიცხა, 2021 წლის აღწერით კი (უკრაინასთან ომი ჯერ არ იყო დაწყებული) იქ სულ 884 ათასი უკრაინელი აღმოჩნდა.

სად წავიდა მილიონზე მეტი უკრაინელი? არსად! 2021 წლის აღწერის დროს ისინი რუსებად ჩაწერეს.

2021 წელს რუსეთის ფედერაციაში იყო 12 მილიონზე მეტი იმიგრანტი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან. მათი მცირე ნაწილის რუსიფიკაცია იქნებ მოხდეს კიდეც, მაგრამ იმიგრანტების უმეტესობა შუააზიელი მუსლიმია, რომელიც „რუსად“ ფორმალურად თუ ჩაეწერება, თორემ თავის რჯულს არ უღალატებს!

რთული დემოგრაფიული ვითარება დამოუკიდებელ რუსეთის ფედერაციაში ყველაზე მეტად აშფოთებს რუსეთის სამხედრო უწყებას, რომელსაც 2022 წლიდან „ნაწილობრივი მობილიზაციის“ დაწყება მოუწია და დიდ პრობლემებს წააწყდა: გასაწვევი ასაკის მამაკაცების რაოდენობა მკვეთრად შემცირებულია! ნიშანდობლივია, რომ უკრაინასთან 2022 წელს დაწყებული ომის დროს რუსეთს მოუხდა ციხეებსა და ბანაკებში მყოფი საშიში დამნაშავეების რეკრუტირება სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობისათვის: კრიმინალების საკმაო ნაწილმა წლობით ციხეში ჯდომას ბრძოლის ველი არჩია. 2024 წლიდან კი რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ ომში დაიწყო ჩრდილოეთ კორეის სამხედრო ნაწილების გამოყენება.

რუსეთისათვის პოტენციურად სახიფათოა, რომ მისი აზიური ნაწილი, სადაც მსოფლიოს უდიდესი ბუნებრივი რესურსებია თავმოყრილი, მოსახლეობისაგან იცლება: ურალის ქედის გადაღმა წყნარ ოკეანემდე უზარმაზარ ტერიტორიაზე სულ 15-16 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. 2022 წელს ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ორ – ჰეილუნძიანისა და ძილინის – პროვინციაში 55 მილიონზე მეტი მცხოვრები იყო, მაშინ როდესაც რუსეთის მხრიდან მათ მეზობლად მდებარე ხაბაროვისა და ამურის ოლქების, ებრაელთა ავტონომიური ოლქისა და პრიმორიეს მხარის ბევრად დიდ ტერიტორიაზე 2021 წლის მოსახლეობის აღწერამ 4 მილიონზე ნაკლები ადამიანი აღრიცხა.

როგორ განმტკიცდა ავტორიტარიზმი რუსეთში?

1999 წლის სექტემბრიდანვე, როგორც კი პრემიერ-მინისტრად დაინიშნა ვლადიმირ პუტინი, საბჭოთა საგარეო დაზვერვის ყოფილი ოფიცერი, რუ-

სეთმა ისევ გააააქტიურა თავისი კავკასიური პოლიტიკა. „ჩეჩნეთის მეორე ომის“ საბაბად გამოიყენეს იმავე წლის სექტემბერში დედაქალაქ მოსკოვის გარეუბანში და პროვინციულ ქალაქ ვოლგოდონსკში დღემდე დაუდგენელი პირების მიერ სამი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აფეთქება, რასაც ძალიან დიდი მსხვერპლი მოჰყვა. რუსეთის პროკურატურამ დაუყოვნებლივ დაადანაშაულა „ჩეჩენი ტერორისტები“ და მსოფლიოს მოსდო ეს ამბავი, თუმცა არავითარი მტკიცებულება არ წარმოდგენილა და არც არავინ გაუსამართლებიათ.

პოლიტიკური ტერორიზმის ყველა აქტს აქვს ხოლმე რაღაც მიზანი. საცხოვრებელი სახლების აფეთქებაზე კი არავის აუღია პასუხისმგებლობა და ამ ბოროტების მიზანი აუხსნელი დარჩა.

იმავე 1999 წელს რუსეთის ქალაქ რიაზანში მოსახლეობამ შეამჩნია, რომ ერთი სახლის სარდაფში დაუდგენელ პირებს შეაქვთ ისეთივე ტიპის ტომრები, როგორებშიც იდო მოსკოვისა და ვოლგოდონსკის სამი სახლის ასაფეთქებელი მასალა. ხალხის მიერ განგაშის ატეხვის გამო ტომრები უკან გაიტანეს. 2002 წელს რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ განაცხადა, რომ ეს „დაუდგენელი პირები“ მართლაც იყვნენ უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლები, მაგრამ „ტომრებში შაქარი ეყარა და არა ასაფეთქებელი მასალა-ო“. პროკურატურის განცხადებით უშიშროების სამსახური თითქოს ამოწმებდა ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების მზადყოფნას „ტერორიზმის შესაძლო აქტების წინასწარ აღმოსაფხვრელად“. ეს უსუსური ახსნა საფუძვლიან ეჭვს ბადებდა – ხომ არ იყო აფეთქებები რუსული სპეცსამსახურების მიერ მოწყობილი პროვოკაცია?

ბევრი რუსი პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ 1999 წლის სექტემბერში სახლების აფეთქება და ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყება უბრალოდ კი არ დაემთხვა „პუტინის ეპოქის“ დაწყებას, არამედ დიდწილად განაპირობა ამ ეპოქის სახე. რუსეთის საზოგადოებას გაუჩნდა „მტკიცე ლიდერის“ მოლოდინი, რომელიც კარს მომდგარი უბედურებისაგან დაიცავდა ადამიანებს.

1999 წლის სექტემბერშივე პრემიერ-მინისტრმა პუტინმა გასცა ბრძანება ჩეჩნეთის „ტერორისტთა ბუდის“ აღმოსაფხვრელად. ჩეჩნეთის დედაქალაქი გროზნი (ქართულში არასწორად გადმოტანილი, როგორც „გროზნო“!) მიწასთან გაასწორეს.

იარაღის გარდა კრემლმა ჩეჩნეთში სხვა იმპერიული ხრიკიც გამოიყენა. „მოუსვენარ ხალხს“ პრეზიდენტად აარჩევინა ადრე რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი მუფთი (რელიგიური მოღვაწე) აჰმათ კადიროვი, რომელიც 1999 წლის შემოდგომაზე რუსების მხარეს გადავიდა და თავის კლანთან ერთად დიდძალი ფინანსური დახმარება მიიღო ამისთვის.

ყოფილმა ჩეჩენმა თანამებრძოლებმა აჰმათ კადიროვს ღალატი არ აპატიეს და 2004 წლის 9 მაისს „დიდ სამამულო ომში გამარჯვების ზეიმის“ დროს სტადი-

ონზე ააფეთქეს ის. მოკლული აჰმათ კადიროვის ნაცვლად მოსკოვმა ფსონი დადო მის ვაჟიშვილ რამზან კადიროვზე, რომელიც 2007 წლიდან ოფიციალურად გახდა ჩეჩნეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელი. რამზანი ერთგულად ემსახურება მოსკოვს, ბუნებრივია, მანამ, სანამ დიდი ფინანსური ნაკადი იქიდან უწყვეტად მოდის. გროზნი პრაქტიკულად ხელახლა აშენდა, იქ აიგო გრანდიოზული მეჩეთი, დაიდგა აჰმათ კადიროვის 10-მეტრიანი ძეგლი, რომელიც ზურაბ წერეთელმა შექმნა. აღდგა ჩეჩნეთის ბევრი სხვა ქალაქი და სოფელიც.

კრემლი თვალს ხუჭავს ავტონომიის მმართველის ექსცენტრიულ და კანონსაწინააღმდეგო ქცევაზე: ჩეჩნეთში შემოღებულია შარიათის ისლამური კანონები, არსებობს კერძო არმია და ა.შ.

2000 წელს პუტინი რუსეთის პრეზიდენტად აირჩიეს. მან მშობლიური პეტერბურგიდან კრემლში მოიყვანა თავისი მეგობრები და კოლეგები სადაზვერვო სამსახურიდან.

მალევე შეიქმნა სახელისუფლებო პარტია „ერთიანი რუსეთი“ („Единая Россия“). განმტიცდა სახელმწიფო ინსტიტუტები. ჩეჩნეთის „ჩაწყნარების“ შემდეგ ცენტრიდანული ძალების მოქმედება რუსეთში შეჩერდა. პუტინმა სახელმწიფოს საკუთრებაში დააბრუნებინა ან „საიმედო ოლიგარქებს“ გადასცა ადრე პრივატიზებული ნავთობ- და გაზმომპოვებელი საბადოები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. სულ რამდენიმე წელიწადში რუსეთმა გაისტუმრა საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი დიდი საგარეო ვალი.

რუსეთის საზოგადოება შედარებით მარტივად შეეგუა მკაცრი პოლიტიკური რეჟიმის ჩამოყალიბებას.

როგორია თანამედროვე რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოს ურთიერთობა?

მსოფლიო ფონზე რუსეთის ფედერაცია რეგიონული დონის ზესახელმწიფოა. ამავე დროს, საბჭოთა კავშირისაგან მას მემკვიდრეობით შემორჩა მსოფლიოს უდიდესი ბირთვული არსენალი, რომლის შექმნაში წარმოშობით ქართველებსაც შეუტანიათ დიდი წვლილი: როგორც უკვე აღინიშნა, 1944-1953 წლებში სტალინის (ჯუღაშვილის) დავალებით ლავრენტი ბერიამ წარმატებით უხელმძღვანელა საბჭოთა „ბირთვულ პროექტს“.

რუსეთი ცდილობს საგარეო პოლიტიკა წარმართოს ნეოიმპერიალისტული პოზიციიდან. დიდ ქვეყნებთან, ან მათ ჯგუფებთან (მაგ., ევროპულ კავშირთან) თანამედროვე რუსეთის ასეთი პოლიტიკა უშედეგო იქნება, მაგრამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან იგივე პოლიტიკა შეიძლება უფრო ეფექტიანი იყოს.

რუსეთი სწრაფად დაუბრუნდა თავის ტრადიციულ, აგრესიულ პოლიტიკას იმ მეზობელი ქვეყნების მიმართ, რომლებიც ათიოდე წლით ადრე მისი წინამორბედის, საბჭოთა კავშირის, შემადგენლობაში შედიოდნენ.

კრემლის მიზანი გახდა რუსეთის დომინაციის აღდგენა ცენტრალურ ევროპაშიც. ამავე დროს, ამ მიზანს აქვს გეოპოლიტიკური შეზღუდვა: ყოფილი „სოციალისტური ბანაკი“ და ბალტიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები უკვე წავიდნენ დასავლეთისაკენ.

მოსკოვში ხშირად იხსენებენ, რომ 1994 წლის დამდეგს აშშ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს დაუდასტურა ამერიკის განზრახვა მომავალშიც განეხილა რუსეთის ფედერაცია, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე და სტაბილურობის გარანტი ყოფილი კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

ვლადიმირ პუტინი ხშირად იმეორებს იმასაც, რომ

> „დასავლეთმა მოატყუა რუსეთი, როდესაც 1990 წელს დაჰპირდა, რომ ნატო ერთი დუიმითაც არ გაფართოვდება გაერთიანებული გერმანიის აღმოსავლეთით“.

სავსებით შესაძლოა, რომ დაახლოებით ასეთი სიტყვები იმდროინდელმა აშშ სახელმწიფო მდივანმა *ჯეიმზ ბეიკერმა* ზეპირად უთხრა კიდეც საბჭოთა კავშირის (და არა რუსეთის!) პრეზიდენტ მიხაილ გორბაჩოვს.

რუსეთის ფედერაცია საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეა, მაგრამ ის არაა საბჭოთა კავშირი. რუსეთის პირველი პრეზიდენტი ბორის ელცინი ძირითადად ცნობდა იმ ლოგიკას, რომ საბჭოეთის ხელმძღვანელისათვის სავარაუდოდ მიცემული სიტყვიერი დაპირება ბათილი იყო. მაგრამ პუტინი, „შიდა მოხმარებისათვის“, ამ ლოგიკას არ ცნობს: უნდა, რომ დაანახოს რუსეთის რიგით მოქალაქეს „დასავლეთის პირისმტეხლობა და გაიძვერობა“!

თავის მხრივ, შეცვლილ გეოპოლიტიკას ითვალისწინებდნენ ნატო-ს დამფუძნებელი და შემდგომ შეძენილი წევრები, როდესაც დათანხმდნენ თავის შემადგენლობაში მიეღოთ ცენტრალური ევროპისა და ბალკანეთის ქვეყნები, ყოფილი „სოციალისტური სახელმწიფოები“, რომლებსაც უკვე XX საუკუნის ბოლოს აშინებდათ „მთვლემარე დათვის“ მოსალოდნელი გამოღვიძება. მათმა მოსახლეობამ რეფერენდუმებზე ცხადჰყო, რომ საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებისათვის არჩევს გაერთიანებას სანდო კავშირში. ნატო-ს კარზე არცთუ ხანგრძლივი კაკუნის შემდეგ 1999 წლის 12 მარტს ამ ორგანიზაციის წევრებად მიიღეს პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი, 2004 წლის 29 მარტს კი მათ შეუერთდნენ სლოვაკეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, სლოვენია, ბულგარეთი და რუმინეთი. იმავე 2004 წლის 1 მაისს ყველა ზემოხსენებული ქვეყანა ევროკავშირის წევრებადაც მიიღეს (გარდა ბულგარეთის და რუმინეთისა, რომლებიც ევროკავშირს შეუერთდნენ 2007 წლის 1 იანვრიდან). 2009 წელს ნატო-ს შეუერთდნენ ალბანეთი და ხორვატია, 2017 წელს – მონტენეგრო და ჩრდილო მაკედონია. 2023-2024 წლებში მასში შევიდნენ ადრე ნეიტრალური სახელმწიფოები ფინეთი და შვედეთი.

ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოების საფრთხეს რუსეთის ხელმძღვანელობა ქვეყნისათვის საბედისწეროდ მიიჩნევს და მაქსიმალურად ეწინააღმდეგება მას.

საქართველოში რუსეთის 2008 წელს შეჭრის გეოპოლიტიკური საფუძველი მოსკოვის სწორედ ასეთი შიში იყო. იმ წლის ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე უკრაინამ და საქართველომ მიიღეს ძალიან ბუნდოვანი დაპირება, რომ დაუდგენელ მომავალში ისინი ამ ორგანიზაციას შეუერთდებოდნენ. საპასუხოდ, რუსეთმა მოახდინა საქართველოს ნაწილების ოკუპაცია, რითაც არსებითად დაბლოკა ამ უკანასკნელის გაერთიანება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში: ნატო არ მიიღებს თავის წევრად ქვეყანას, რომელსაც ტერიტორიული პრობლემები აქვს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, რომელიც აღმოსავლეთ გერმანიას (გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას) თავის ნაწილად მიიჩნევდა, ანუ ჰქონდა „ტერიტორიული პრობლემა“, 1955 წელს ნატო-ს შემადგენლობაში მიღება იყო გამონაკლისი და არა პრეცედენტი. საქართველოს შემდეგ მოსკოვისათვის დადგა უკრაინის ჯერი. უკრაინა რუსეთისათვის ძალიან მნიშვნელოვანი მეზობელია ეკონომიკურად, დემოგრაფიულად, და რაც მთავარია, გეოპოლიტიკურად: ის მიჯნავს რუსეთს მტრად მიჩნეული ნატო-საგან.

კიევსა და ბრიუსელს შორის მრავალწლიანი მოლაპარაკების შემდეგ მომზადდა „შეთანხმება უკრაინისა და ევროპული კავშირის ასოცირების შესახებ“, რომლის მიზანი იყო უკრაინისა და ევროკავშირის ინტეგრაციის გაღრმავება პოლიტიკის, ვაჭრობის, კულტურის სფეროში და უსაფრთხოების განმტკიცება. 2013 წლის ნოემბერში იგეგმებოდა შეთანხმებაზე ხელის მოწერა. მაგრამ ხელმოწერის ცერემონიამდე რამდენიმე დღით ადრე უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა გადასდო ხელმოწერა. ის რუსეთის მხრიდან ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა: კრემლში მიიჩნიეს, რომ ევროკავშირთან უკრაინის ალიანსი იქნებოდა ნატო-ში მისი გაწევრების უვერტიურა. მოსკოვი აშანტაჟებდა კიევს იმპორტის შეზღუდვით და პირიქით, ჰპირდებოდა მას გარკვეულ პრეფერენციებს, კრედიტებს, პირდაპირ დახმარებას ჯამში 15 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით იმ შემთხვევაში, თუკი კიევი უარს იტყოდა ბრიუსელთან თანამშრომლობაზე. როგორც ჩანს, სწორედ ამ „ფინანსურმა ასპექტებმა“ უბიძგა იანუკოვიჩს შეეჩერებინა ხელმოწერა დოკუმენტზე ევროკავშირთან ასოცირების შესახებ.

გარდა ამისა, მოსკოვი კიევს დაჰპირდა რუსეთიდან იმპორტირებულ გაზზე ფასის დაკლებას, პრეზიდენტ იანუკოვიჩთან დაახლოებულ მსხვილ მეწარმეებს კი შესთავაზა „ძალიან მომგებიან პროექტებში“ მონაწილეობა, რასაც უნდა გამოეწვია მათი პირადი დაინტერესება არა ევროკავშირთან, არამედ რუსეთთან თანამშრომლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინაში იმ დროს (და შემდეგაც) ძალიან ფართოდ იყო ფეხმოკიდებული ელიტული კორუფცია, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

იანუკოვიჩის ზემოაღნიშნულ ნაბიჯს კიევში მოჰყვა მასობრივი პროტესტი (ე. წ. „მაიდანი“), რომელშიც ჩაერთვნენ როგორც პატრიოტული, ისე ექსტრემისტული ძალები. 2014 წლის თებერვალში უკრაინაში ხელისუფლება შეიცვალა. იანუკოვიჩი გაიქცა, ბუნებრივია, მოსკოვში.

მოსკოვმა ისარგებლა კიევში შექმნილი არეულობით და 2014 წლის თებერვალშივე მოახდინა ყირიმის ნახევარკუნძულის ოკუპაცია.

რუსეთი არ დაკმაყოფილდა ყირიმით და აღმოსავლეთ უკრაინის ინდუსტრიულ რეგიონებში, დონეცკისა და ლუჰანსკის ოლქების ტერიტორიის ნაწილებზე, ადგილობრივი სეპარატისტების პირით იმავე 2014 წლის აპრილში გამოაცხადა ორი „სახალხო რესპუბლიკის“ შექმნა. ფაქტობრივად, ეს „რესპუბლიკები“ იმყოფებოდნენ რუსეთის კონტროლქვეშ, ღებულობდნენ შეიარაღებას მოსკოვისგან. მათი „დამოუკიდებლობა“ რუსეთმა 2022 წლის 21 თებერვალს ცნო, რითაც სცადა „გაემართლებინა“ სამი დღის შემდეგ დაწყებული ინტერვენცია უკრაინაში: ის გამოვიდა თავისი „მოკავშირე სახელმწიფოების – დონეცკისა და ლუჰანსკის სახალხო რესპუბლიკების – დასაცავად“! იმავე წლის 23-27 სექტემბერს მოსკოვმა ჩაატარა „რეფერენდუმი“ ამ „რესპუბლიკებსა“ და რუსეთის არმიის მიერ ნაწილობრივ ოკუპირებული ხერსონისა და ზაპორიჟიას (ზაპოროჟიეს) ოლქებში და ყველანაირი საერთაშორისო კანონების უგულვებელყოფით გამოაცხადა მათი ტერიტორია „რუსეთის ფედერაციის განუყოფელ ნაწილებად“!

2022 წლის 24 თებერვალს დაწყებულ ომს უკრაინის წინააღდეგ მოსკოვმა დაარქვა „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“, რომლის მიზნად გამოცხადდა უკრაინის „დენაციფიკაცია და დემილიტარიზაცია“, რაც ნიშნავდა უკრაინის ხელისუფლების შეცვლას და ქვეყნის სრულ განიარაღებას.

2022 წლის თებერვალში რუსეთის ხელმძღვანელობა ელოდა, რომ სწრაფად აიღებდა კიევს, მაგრამ წააწყდა უკრაინელთა სერიოზულ წინააღმდეგობას. კიევის აღების თავდაპირველი მცდელობა რუსეთის არმიისათვის კატასტროფულად დასრულდა. მაგრამ ომი გახანგრძივდა. რუსეთის თავდასხმა უკრაინაზე იქცა II მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში ყველაზე ხანგრძლივ, სისხლიან და დამანგრეველ კონფლიქტად. სამი წლის საომარი მოქმედების შემდეგ თითოეული მხარის სამხედრო ძალის დანაკარგს სულ ცოტა ნახევარ მილიონ ადამიანად აფასებენ (თუმცა არც ერთი მხარე არ აცხადებს დაღუპულთა და დაჭრილთა ზუსტ რაოდენობას). დიდი იყო უკრაინის მშვიდობიანი მოქალაქეების მსხვერპლიც. რუსეთის არმია მეთოდურად ანადგურებდა უკრაინის ინფრასტრუქტურას – ელექტრომომარაგებას, წყალსადენებს, თბოელექტროსადგურებს, ხიდებს, რკინიგზას. იბომბებოდა ქარხნები და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტები – სკოლები, საავადმყოფოები, საკულტო ნაგებობები, საცხოვრებელი სახლები: შეფასებით დანგრეულია 330 ათასი საცხოვრებელი.

რუსეთის აგრესიული მოქმედების შემყურე ადრე ნეიტრალურმა შვედეთმა და ფინეთმა ნატო-ში გაერთიანება გადაწყვიტეს. ნატო-ს ქვეყნები და ევროპული კავშირი უკრაინის გვერდით დადგნენ, მიაწოდეს მას იარაღი, რომლის წყალობით უკრაინის არმია ახერხებდა წინააღმდეგობის გაწევას აგრესორისათვის. რუსეთს დაუწესდა ეკონომიკური სანქციები. იქიდან წავიდა ტრანსნაციონალური კომპანიების უმეტესობა. რუსეთს შეეზღუდა გაზისა და ნავთობის ექსპორტი ევროპაში.

ამავე დროს, მსოფლიოს ქვეყნების საგრძნობი ნაწილი, განსაკუთებით სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიაში, ლათინურ ამერიკაში, ახლო აღმოსავლეთში რუსეთისათვის დაწესებულ სანქციებს არ შეუერთდა. გასაგებია, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები და თურქეთი, რომლებიც რუსეთთან ეკონომიკურად მჭიდროდ არიან დაკავშირებული, სანქციებს ვერ შეუერთდებოდნენ, მაგრამ ევროკავშირშიც არ იყო სრული ერთიანობა რუსეთთან მიმართებაში.

რუსეთის ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ მისი „მეგობრები“ იყვნენ ჩინეთი და ინდოეთი, რომლებმაც არ დაგმეს მისი აგრესია უკრაინაში. სინამდვილეში, ეს ოპორტუნისტი ქვეყნები ღებულობდნენ მოგებას იმით, რომ რუსეთი დიდი ფასდაკლებით მათ აწვდიდა ნავთობს, რომელსაც ის ევროპაში ვეღარ ყიდდა. მაგალითად ინდოეთმა 2022 წელს 33-ჯერ (!) გაზარდა რუსული ნედლი ნავთობის იმპორტი, რადგან შეეძლო იაფად ეყიდა ის და დასავლეთში გაეყიდა „ინდოეთის ნავთობპროდუქტები“! ასეთ ქვეყნებს შეეძლოთ ესარგებლათ მათი ამერიკული და ევროპული კონკურენტი კომპანიების რუსეთიდან გასვლით. მაგალითად, რუსეთში მკვეთრად გაიზარდა ჩინური წარმოების ავტომობილების გაყიდვა.

მას შემდეგ, რაც 2024 წლის ნოემბერში აშშ 47-ე პრეზიდენტად აირჩიეს დონალდ ტრამპი, გაჩნდა ვარაუდი, რომ მან შეიძლება მიიღოს ზომები აღმოსავლეთ ევროპაში ომის შესაწყვეტად. ჯერჯერობით უცნობია თუ როგორ უნდა მოხდეს ეს.

როგორია რუსეთისა და საქართველოს თანამედროვე ურთიერთობა?

საქართველოს მეზობლად რუსეთის მდებარეობა XVIII საუკუნიდან არის კონსტანტა. XVIII საუკუნის ბოლო ათწლეულებში რუსეთის ფაქტორი საქართველოსათვის შედარებით პოზიტიური შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან მას შეეძლო დაებალანსებინა სამხრეთით მდებარე მუსლიმური ზესახელმწიფოების პოლიტიკა მის მიმართ. XIX საუკუნეში კი რუსეთის იმპერიამ მთლიანად შეიერთა საქართველო და ცდილობდა მის სრულ ასიმილაციას, რაც არ გამოუვიდა.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნა ძირითადად უარყოფითად უნდა შეფასდეს, თუმცა მას მოჰყვა ობიექტურად პოზიტიური შედეგებიც. მათ შორის უმთავრესი იყო ის, რომ ქართულმა მიწებმა ერთ სახელმწიფოში მოიყარა თავი. ამან, თავის მხრივ, დააჩქარა თანამედროვე ქართული ნაციის ფორმირება.

რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა ყოველთვის ეფუძნებოდა პრაგმატულ საფუძვლებს. რიტორიკა „ერთმორწმუნეობაზე", „სულიერ სიახლოვეზე", „მრავალსაუკუნოვან ისტორიულ კავშირებზე" და ა.შ. გათვლილია ორივე ქვეყნის ნაკლებად გაცნობიერებულ მოქალაქეზე.

სინამდვილეში, ვახტანგ VI-ს, ერეკლე II-ს, ნოე ჟორდანიას, ედუარდ შევარდნაძეს და ბევრ სხვა ქართველ ლიდერსაც სავსებით პრაგმატული მოტივაცია ჰქონდა რუსეთთან ურთიერთობისას: ან მისი დახმარება სჭირდებოდათ, ან მისგან მომდინარე საფრთხის თავიდან აცილება.

სხვა საქმეა, რომ სასიკეთო შედეგის მოლოდინი არც ერთ შემთხვევაში არ გამართლდა.

ქვეყნის სათავეში მყოფი პოლიტიკოსის ოსტატობაზეა დამოკიდებული სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში ნეგატიური ელემენტების განეიტრალება, ან მათთვის გვერდის ავლა. მაგრამ დამოუკიდებლობის დროინდელ ზოგიერთ ჩვენს ლიდერს ეს ოსტატობა არ აღმოაჩნდა, პირიქით, გაუაზრებელი სიტყვებითა და პოლიტიკით უფრო დაძაბა ორმხრივი ურთიერთობა რუსეთთან.

ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით, საბჭოთა პერიოდში, ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში რუსეთიდან შემოტანილ ბუნებრივ რესურსებს და კაპიტალდაბანდებებს დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. თავის მხრივ, მცირე ზომის მიუხედავად, საბჭოთა საქართველოსაც ჰქონდა საკმაო ეკონომიკური მნიშვნელობა რუსეთისათვის საკუთარი კლიმატური რესურსების შესაბამისი სპეციალიზაციის წყალობით (საკურორტო მეურნეობა, მეჩაიეობა, სუბტროპიკული მეხილეობა, მევენახეობა-მეღვინეობა).

ღია საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქართველოს მნიშვნელობა რუსეთისათვის დაიკარგა: საქართველოდან შესული საქონელი რუსეთის იმპორტის 0,2-0,3%-ს თუ შეადგენს. ამავე დროს, გასაღების რუსული ბაზარი საქართველოსათვის ძალიან მნიშვნელოვანია: ის ახლოსაა და ქართულ აგროპროდუქციას იქ იცნობენ. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია რუსული საქონლის (განსაკუთრებით ნავთოპროდუქტების, ფქვილის) იმპორტი. იქიდანვე შემოდის დიდი ტურისტული ნაკადი. რაიმე ტიპის სანქციებს საქართველო რუსეთს ვერ დაუწესებს: საქართველოსათვის მას „ეკონომიკური ბუმერანგის ეფექტი" ექნება!

ნებისმიერი ორი ქვეყნის ურთიერთობაში შეიძლება მოხდეს ეროვნული ინტერესების დროებითი, ნაწილობრივი დამთხვევა (სრული დამთხვევა შეუძლებელია), ან მათი დაპირისპირება. შესაბამისად ყალიბდება საგარეო პოლიტიკა.

ისტორიული განვითარება და რუკაზე დახედვა გვიჩვენებს, რომ პრობლე-

მების წარმოშობა ჩვენ შორის გარდაუვალი იყო, რადგან:

- რუსეთს გეოპოლიტიკურად ესაჭიროება მასზე დამოკიდებული საქართველო;
- საქართველოს ესაჭიროება რუსეთისგან დამოუკიდებლობა.

თბილისი, ბუნებრივია, ეძებდა და დღემდე ეძებს დასაყრდენს სხვა გეოპოლიტიკურ ძალაში, რაც მოსკოვის დიდ გაღიზიანებას იწვევდა და იწვევს.

1990-იან წლებში რუსეთის ფედერაცია, ბორის ელცინის პრეზიდენტობის დროს, სიტყვიერად ინარჩუნებდა კარგ ურთიერთობას საქართველოსთან, ზოგჯერ პროპაგანდისტული მიზნით დახმარებასაც კი უწევდა მას (მაგალითად, თბილისის სამოქალაქო ომის დროს დამწვარი თბილისის პირველი გიმნაზია მოსკოვის მერიამ თავისი ხარჯით აღადგინა). რეალურად კი კრემლი თბილისის წინააღმდეგ ამხედრებდა მისივე ავტონომიებს, რომელთაც განიხილავდა „ანკესის ჩანგლებად“ საქართველოს გეოპოლიტიკური ვექტორის დასავლეთის მიმართულებით გადახრის შესაკავებლად.

რუსეთისათვის მიუღებელი აღმოჩნდა საქართველოს როლი ენერგეტიკულ პოლიტიკაში, რომელიც მიზნად ისახავდა დაენგრია ენერგომატარებლების ტრანზიტის რუსული მონოპოლია. მოსკოვი მოითხოვდა საქართველოსგან, რომ მას უარი ეთქვა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტზე, რომელსაც საქართველოზე უნდა გაევლო, და მის ნაცვლად ბაქო-ნოვოროსიისკის პროექტისათვის დაეჭირა მხარი.

ედუარდ შევარდნაძემ 2000 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა:

> „სამწუხაროდ, რუსეთში ჯერაც ცოცხლობს იდეა, რომ ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა რატომღაც უპირატესობა უნდა მიანიჭონ რუსულ ინტერესებს და ხანდახან ისინი საკუთარ ინტერესებზე წინ დააყენონ“.

გეოპოლიტიკურ საკითხებში გარკვევისათვის მოვლენათა ქრონოლოგია-საც აქვს დიდი მნიშვნელობა.

როდესაც თბილისი არ დათანხმდა საკუთარი ინტერესების დათმობას, XXI საუკუნის დამდეგიდანვე რუსეთის ხელმძღვანელობამ, პრეზიდენტად ახალაჩეულმა ვ. პუტინმა, გადაწყვიტა, რომ საქართველოს „მოფერების“ თამაშს აზრი აღარა აქვს, საჭიროა მისი დამორჩილება ეკონომიკური გაღატაკების გზით.

2000 წელს მოსკოვმა შემოიღო სავიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებისათვის, 2006 წელს – ემბარგო ქართული პროდუქციის იმპორტზე. 2006 წელსვე შეწყდა საჰაერო მიმოსვლა ორ ქვეყანას შორის, (ფრენა აღდგა 2013-2019 წლებში; 2019 წელს რუსეთმა ისევ აკრძალა ფრენები და აღადგინა ისინი 2023 წელს).

2008 წელს რუსეთმა მოხერხებულად მოახდინა საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების პროვოცირება „პირველ გასროლაზე“, შეგზავნა თავისი არმია საქართველოში, ხუთ დღეში დაამარცხა ქართული ჯარი და საქართველოს ტერიტორიაზე დააარსა საკუთარი სამხედრო ფორპოსტები, რომელთაც სახე-

ლად დაირქვეს „აფხაზეთის რესპუბლიკა“ და „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“. საპასუხოდ საქართველომ 2008 წლის სექტემბერში დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა რუსეთთან, რომელიც დღემდე არაა აღდგენილი.

საქართველოსაგან მისი ავტონომიების მოწყვეტის შემდეგ კრემლს საერთოდ არ უნდოდა რაიმე სახის პოლიტიკური ურთიერთობა საქართველოს ხელისუფლებასთან: ის არ დახარჯავდა დროს და ნერვებს დისკუსიაში მეზობელი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ. ამ თვალსაზრისით, კრემლს ხელს აძლევდა საქართველოს სათავეში იმ პირის დარჩენა, ვისთანაც ურთიერთობაზე ის საჯაროდ აცხადებდა უარს.

ამავე დროს, საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტი სააკაშვილი ცდილობდა რუსეთისათვის „თავის მოქონვას“:

- 2011 წელს საქართველო, როგორც „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის“ (მსო) წევრი, დათანხმდა იმავე ორგანიზაციაში რუსეთის მიღებას;
- 2011 წელსვე საქართველომ ცალმხრივად გააუქმა სავიზო რეჟიმი რუსეთთან, ანუ რუსეთის მოქალაქეებს თავისუფლად შემოსვლისა და აქ 90 დღის განმავლობაში დარჩენის ნება დაერთო;
- მაშინვე საქართველომ ფართოდ გაუხსნა კარი რუსულ კაპიტალს, მაგალითად, სასათბურე პირობები შეუქმნა მობილური კავშირის რუსულ კომპანია „ბილაინს“, რომელსაც მისცა საშუალება დემპინგური ფასებით გადაებირებინა ქართველი მომხმარებელი;
- 2012 წლამდე რუსული კაპიტალი დაეუფლა საქართველოს ენერგეტიკულ სიმძლავრეებს; შემოვიდნენ მსხვილი რუსული ბანკი „ვითიბი“ (Внешторгбанк) და სანავთობო კომპანია „ლუკოილი“; რუსმა ბიზნესმენებმა შეიძინეს ძვირფასი ლითონების მომპოვებელი კომპანიები RMG Gold (ყოფილი „კვარციტი“) და RMG Copper (ყოფილი „მადნეული“); თბილისის, რუსთავის, მცხეთის რაიონის წყალმომარაგება რუსული კაპიტალის ხელში გადავიდა დ ა.შ.

2012 წლის შემდეგ რუსულმა კაპიტალმა საქართველოში ახალი ვერაფერი შეიძინა. იმ წლის შემოდგომაზე საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ გამოხატა რუსეთთან დიალოგის სურვილი, იმ დათქმით, რომ არ იქნებოდა გადალახული მისი „წითელი ხაზი“ – ტერიტორიული მთლიანობა. ეს წინადადება როგორც ჩანს, რუსეთისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა და ის მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ დათანხმდა საქართველოსთან „შეზღუდულ დიალოგზე“ წასვლაზე.

2013 წლიდან განახლდა ქართული ღვინის, მინერალური წყლების, სხვა აგროპროდუქციის ექსპორტი რუსეთში. ნაწილობრივ აღდგა კულტურული კონტაქტები. მკვეთრად გაიზარდა ტურისტების ნაკადი რუსეთიდან საქართველოში.

ამავე დროს, სწორედ 2013 წლიდან დაჩქარდა ე.წ. „ბორდერიზაცია“, ანუ ცხინვალის რეგიონის იქამდე მხოლოდ რუკაზე არსებული საზღვრის დემარკა-

ცია (ადგილზე მონიშვნა) რუსეთის სასაზღვრო ძალების მიერ: ხშირად ეს ხდება მიმდებარე ქართული სოფლების მიწის ხარჯზე.

არა რაღაც აბსტრაქტული „მეგობრობა და ერთმორწმუნეობა“, არამედ პრაგმატიზმი ედო და უდევს საფუძვლად რუსეთის ყველა უზენაესი მმართველის (მათ შორის ერთ-ერთი ქართული წარმოშობისა იყო!) დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ: გეოპოლიტიკური კუთხიდან რუსეთის მმართველებს სურდათ და დღემდე სურთ საქართველოს ტერიტორიის გამოყენება სხვა ზესახელმწიფოებისაგან მომდინარე სამხედრო, ეკონომიკური თუ სხვა საფრთხის თავიდან ასაცილებლად და, პირიქით, საქართველოს ტერიტორიიდან სხვა სახელმწიფოებისათვის საფრთხის შექმნა.

ორივე მხარის პოლიტიკური „წითელი ხაზი“ ერთმანეთს ეჯახება.

- რუსეთს არ შეუძლია დათმოს თავისი „ახალი რეალობა კაკასიაში“, ანუ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ მის მიერვე აღიარებული „დამოუკიდებლობა“. ეს რომ გააკეთოს, მოსკოვს გაუნაწყენდებიან ოსები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, ადიღეელები. კრემლი, რასაკვირველია, ამით არ დაკარგავს ჩრდილო კავკასიას, მაგრამ დაკარგავს სახეს. რას მიიღებს სანაცვლოდ?
- რუსეთს არ უნდა თავის სამხრეთ საზღვართან ნატო-ს წევრი სახელმწიფო ჰყავდეს (თუმცა ნათელია, რომ ის ვერ შეუქმნის რუსეთს რეალურ საფრთხეს).
- საქართველოს ვერც ერთი ხელისუფლება ვერ შეძლებს უარი თქვას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე.
- საქართველოს თავისი მომავლისათვის მნიშვნელოვნად მიაჩნია ევროატლანტიკურ სივრცეში დამკვიდრება (თუმცა ნათელია, რომ ნატო არ გაუწევს დახმარებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში).

საერთო ჯამში, XXI საუკუნეში რუსეთის ფაქტორი დამოუკიდებელი საქართველოსთვის უფრო ნეგატიურად უნდა შეფასდეს: ის საფრთხეა!

კითხვები ლექცია 12-ის თემაზე:

1. რა განსხვავებაა რუსეთსა და ევროპას შორის?
2. რატომ იყო ტერიტორიული ექსპანსია რუსეთის გეოპოლიტიკური იმპერატივი?
3. როგორ ფართოვდებოდა რუსეთი?
4. რით განსხვავდებოდა საბჭოთა კავშირი რუსეთის იმპერიისგან?
5. როგორ განისაზღვრება რუსეთის სამართალმემკვიდრეობა?
6. როგორ განმტკიცდა ავტორიტარიზმი რუსეთში?
7. როგორია თანამედროვე რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოს ურთიერთობა?
8. როგორია რუსეთისა და თანამედროვე საქართველოს ურთიერთობა?

ლექცია 13

საქართველოს მეზობელი თურქეთი

როგორ გადაიქცა ოსმალეთის იმპერია თურქეთის რესპუბლიკად?

1914 წელს დაწყებულ მსოფლიო ომში გერმანიას ორი ფრონტი შეექმნა (დასავლეთით – ანგლო-ფრანგულ ძალებთან და აღმოსავლეთით – რუსეთის იმპერიასთან). ბერლინმა ძალიან მოინდომა ომში ჩაეთრია ოსმალეთის იმპერია, რომელიც დამატებით ფრონტს შეუქმნიდა რუსეთს კავკასიაში, ჩაუკეტავდა რუსეთს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს, ხოლო დიდ ბრიტანეთს – პრობლემას შეუქმნიდა სუეცის არხის ზონაში. ოსმალეთის იმპერიის მესვეურებს არ სურდათ ომში ჩართვა, რადგან იცოდნენ საკუთარი სისუსტე, მაგრამ სტამბოლის მთავრობაში მყოფი ავანტურისტების მეშვეობით ბერლინის გეგმა მაინც განხორციელდა. 1914 წლის ნოემბერში რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს და მომდევნო წლიდან უკვე აღმოსავლეთ ანატოლიაში იბრძოდა. მსოფლიო ომის დროს, 1915 წლიდან, აღმოსავლეთ ანატოლიაში მოხდა იქ შეჭრილი რუსული არმიის მიმართ კეთილგანწყობილი ადგილობრივი სომხური მოსახლეობის ძალადობრივი დეპორტაცია სირიის მიმართულებით, რომელიც მაშინ ოსმალეთის იმპერიაში შედიოდა: სომხეთში და მის დიასპორაში ამას „გენოციდს“ უწოდებენ. ანატოლიიდან განიდევნენ არ მარტო სომხები, არამედ აგრეთვე ქრისტიანი ასირიელები (აისორები), საკუთარი რელიგიის მქონე ქურთულენოვანი იეზიდები და, მოგვიანებით – ბერძნები.

მსოფლიო ომში ოსმალეთი დამარცხდა. გამარჯვებულმა მხარემ, „ანტანტამ“, 1920 წლის აგვისტოში დადებული „სევრის ხელშეკრულებით“ დაადგინა ოსმალეთის იმპერიის დანაწევრება და მისი გადაქცევა საშუალოზე მცირე სახელმწიფოდ (ამ თემაზე ვისაუბრეთ მე-5 ლექციის დროს).

რეალურად, „სევრის ხელშეკრულება“ არ შესრულებულა, რადგან მას სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს ოსმალეთის დაშლილი არმიის ოფიცრებმა **მუსტაფა ქემალ ფაშას** მეთაურობით. ცენტრალური ანატოლიის პატარა ქალაქ ანკარაში შეკრებილმა „თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ“ 1920 წლის 23 აპრილს შექმნა სტამბოლში დარჩენილი, პრაქტიკულად უმოქმედო, ოსმალეთის იმპერიული მთავრობის ალტერნატივა – თურქეთის მთავრობა, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს მუსტაფა ქემალი. *ქემალისტებმა* შექმნეს ბრძოლისუნარიანი არმია, დაამარცხეს სომხეთისა და საბერძნეთის არმიები, ფრანგული გარნიზონები სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში და დადეს სამშვიდობო ხელშეკრულება რსფსრ-სთან, რომლის „წითელმა არმიამ“ 1920-1921 წლებში დაიკავა სამხრეთი კავკასია და იქ არსებულ რესპუბლიკებში კომუნისტური მთავრობები დასვა. დადგინდა თურქეთის საზღვარი კავკასიასთან.

1923 წლის 30 იანვარს შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში საბერძნეთისა და თურქეთის მთავრობებს შორის გაფორმდა „კონვენცია ბერძნული და თურქული მოსახლეობის გაცვლის შესახებ“, რომლის ძალითაც მცირე აზიისა და ევროპული თურქეთის 1,221 მილიონი ბერძენი და საბერძნეთის 350-400 ათასი თურქი ერთმანეთში „გაცვალეს“. მოსახლეობის იძულებითი გაცვლა ხდებოდა არა ენობრივი, არამედ რელიგიური კუთვნილების საფუძველზე, რადგან ბევრი მართლმადიდებელი „რუმი“ (ანატოლიელი ბერძენი) მშობლიურ ენად თურქულს მიიჩნევდა, ხოლო საბერძნეთის ბევრი მუსლიმი (განსაკუთრებით კ. კრეტაზე) – ბერძნულენოვანი იყო.

1923 წლის 24 ივლისს იმავე ქ. ლოზანაში გაფორმდა საერთაშორისო ხელშეკრულება თურქეთსა და მსოფლიო ომში გამარჯვებულ ქვეყნებს შორის. იქ საბოლოოდ დადგინდა თურქეთის თანამედროვე საზღვრების კონფიგურაცია, რომელიც შეიცვალა მხოლოდ 1939 წელს: საფრანგეთთან გარიგების შედეგად, რომელსაც მართვის მანდატი ჰქონდა სირიაზე, თურქეთის რესპუბლიკამ შეიერთა 5542 კვ. კმ ფართობის მქონე ალექსანდრეტას სანჯაყი, რომელიც იქამდე სირიაში შედიოდა. 1940-იანი წლებიდან დამოუკიდებელი სირია ბათილად ცნობდა თურქეთის მიერ ამ ტერიტორიის (თურქეთში მას **ჰათაის ილი** ეწოდა) ანექსირებას, მაგრამ შექმნილი პოლიტიკურ-გეოგრაფიული რეალობის შეცვლა შეუძლებელი აღმოჩნდა.

„ლოზანის ხელშეკრულების“ VIII დამატების თანახმად, იმუნიტეტი მიენიჭა ყველა პირს, რომელსაც ჩადენილი ჰქონდა „დანაშაული დაკავშირებული პოლიტიკურ მოვლენებთან 1914-1922 წლებში“. „ამნისტიის დეკლარაცია“ ბოლოს უღებდა სამხედრო დანაშაულისათვის სამართლებრივი დევნის შესაძლებლობას ოსმალეთის იმპერიის დროინდელი იმ სახელმწიფო მოხელეებისა, რომლებიც იმხილებოდნენ სომხების, ბერძნების, ასირიელებისა და იეზიდების დეპორტაციასა ან განადგურებაში.

1921 წელს „თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ“ (პარლამენტმა) შეიმუშავა პირველი ისეთი კონსტიტუცია (სულ 23 მუხლი), სადაც ნახსენები იყო სიტყვა **Türkiye** (თურქეთი). რესპუბლიკის ნამდვილი კონსტიტუცია 1924 წელს მიიღეს და მან 1961 წლამდე იმოქმედა. 1923 წელს ქვეყნის ოფიციალური სახელი გახდა „თურქეთის რესპუბლიკა“ და მის დედაქალაქად ოფიციალურად დადგინდა ქ. ანკარა. განისაზღვრა ხელისუფლების შტოების დამოუკიდებლობა. ქვეყანა საპარლამენტო რესპუბლიკა გახდა, 1928 წლიდან ის სეკულარულია. პარლამენტმა მუსტაფა ქემალ ფაშა აირჩია რესპუბლიკის პრეზიდენტად და მან ამ პოსტზე დაჰყო გარდაცვალებამდე, 1938 წელს. 1934 წელს იგი გახდა **ქემალ ათათურქი,** რაც „თურქთა მამას“ ნიშნავს. 1935 წელს თურქეთში დაკანონდა გვარი: ოსმალეთში ადამიანს ჰქონდა მხოლოდ სახელი, რასაც ზოგჯერ უმატებდნენ მეტსახელს, სადაურობის ან პროფესიის აღმნიშვნელ სახელს.

თურქეთში ჩამოყალიბდა იდეოლოგია, რომელსაც „ქემალიზმად“ იცნობენ. მისი ძირითადი პოსტულატი იყო **ვესტერნიზაციის** („გადასავლეთების“) საფუძველზე ქვეყნის მოდერნიზაცია. 1920-იან წლებში ითარგმნა შვეიცარიული სამოქალაქო კოდექსი, იტალიური სისხლის სამართლის კოდექსი, გერმანული კომერციული კოდექსი: მათი დამკვიდრების გზით მოხდა სასამართლო სისტემის რეფორმირება.

ქემალიზმი გულისხმობდა **სეკულარიზაციას,** ანუ საზოგადოების განვითარებაზე რელიგიის უპირატეს გავლენაზე უარის თქმას. შეწყდა რელიგიური განათლება, მოლების მომზადება და მეჩეთების მშენებლობა. VI საუკუნის ბიზანტიაში აგებული წმ. სოფიოს ეკლესია („აია სოფია“), რომელიც 1453 წლიდან მეჩეთად გამოიყენებოდა, 1935 წელს მუზეუმად იქცა. საერო განათლება საყოველთაო გახდა, მათ შორის გოგონებისათვის. აიკრძალა აღმოსავლური ტიპის ტანსაცმლის ტარება, მათ შორის ჰიჯაბი (ქალის მიერ თავშალით შებურვა). თურქული ენისათვის ძალიან მოუხერხებელი, არაბულ გრაფიკაზე დაფუძნებული, დამწერლობა 1929 წელს შეიცვალა ლათინურ გრაფიკაზე აგებული ანბანით. ოსმალურ ენას თანამედროვე თურქული საკმაოდ დაშორდა, რადგან რესპუბლიკურ პერიოდში ხდებოდა ადრე ძალიან უხვად წარმოდგენილი არაბული და სპარსული ლექსიკის ნაწილობრივი ჩანაცვლება თურქული ნეოლოგიზმებით. სეკულარიზმის დაცვის გარანტად იქცა თურქეთის არმია, რომლის ოფიცრობა და გენერალიტეტი განუხრელად იცავდა ამ წესს XX საუკუნის განმავლობაში.

განსხვავებით მრავალეროვნული და მრავალკონფესიური ოსმალეთის იმპერიისაგან თურქეთი ეროვნული სახელმწიფოა, რომელიც მიისწრაფის ერთიანი ერის ფორმირებისაკენ. ამასთან, ქვეყანაში არსებობს დიდი ეთნიკური უმცირესობა – ქურთები, მოსახლეობის 15-17 პროცენტი, რომლის სრული შერწყმა თურქულ ნაციასთან ვერ მოხდა.

ოსმალეთის იმპერიის ხანის ეკონომიკაში წამყვან როლს თამაშობდა ბერძნებისა და სომხების კერძო კაპიტალი. რადგან ამ ეთნოსების წარმომადგენლები თურქეთის რესპუბლიკაში თითქმის აღარ დარჩნენ, 1920-იანი წლებიდან იქ დაიწყეს „ეტატიზმის“ (სახელმწიფო კაპიტალიზმი) პოლიტიკის გატარება. 1980-იან წლებამდე თურქეთის ეკონომიკაში ბატონობდა სახელმწიფო სექტორი, ანუ დიდი საწარმოების უმრავლესობას ქმნიდა და მართავდა სახელმწიფო. ერთდროულად, არ იზღუდებოდა არც კერძო სექტორი, რაც ხელს უწყობდა კერძო კაპიტალის დაგროვებას. 1980-იან წლებში მოხდა სახელმწიფო საწარმოების დიდი ნაწილის პრივატიზება. თანდათან ჩამოყალიბდა თურქული სამრეწველო და ფინანსური ბურჟუაზია, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთავარი წარმმართველი ძალა გახდა.

1963 წლიდან დაიწყო თურქების შრომითი მიგრაცია ევროპაში და ბევრი თურქი დარჩა კიდეც იქ: გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში ისინი საკმა-

ოდ საგრძნობ ეთნო-რელიგიურ უმცირესობას ქმნიან. ამავე დროს, მილიონობით თურქმა იმუშავა ევროპულ ქვეყნებში, გაიარა იქ პრაქტიკული წვრთნა, ბევრმა მიიღო ევროპული უმაღლესი განათლება და დაბრუნდა თავის ქვეყანაში ევროპიდან წამოღებული ცოდნითა და გამოცდილებით. ამ ადამიანებმა შეუწყეს ხელი იმას, რომ ამჟამინდელი თურქეთი მსოფლიოს ინდუსტრიული ქვეყნების პირველ ოცეულშია.

ხმელეთის ფართობით (780 ათასი კვ.კმ) ახლო აღმოსავლეთში თურქეთი მე-4 სახელმწიფოა, ევროპაში კი – პირველი (თუ არ ჩავთვლით რუსეთს). 2024 წელს მისი მოსახლეობის რიცხოვნობა 87,5 მლნ იყო: ამ მხრივაც თურქეთი ევროპაში პირველ ადგილზეა. მოსახლეობის ზრდის დინამიკა კლებულობს, მაგრამ ქვეყნის მოსახლეობა მაინც მატულობს.

ბოლო ათწლეულებში თურქეთი ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადაიქცა. მშპ-ის მოცულობით ის მსოფლიოს ქვეყნების მე-18-მე-19 ადგილზეა (ევროპაში – მე-6). მისი ექსპორტი მიდის ძირითადად ევროკავშირის ქვეყნებში.

როგორია თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემა?

2014 წლამდე, თურქეთის ყველა კონსტიტუციის (1924, 1961, 1982 წლების ვერსიები) თანახმად, პრეზიდენტს ყოველთვის ირჩევდა ქვეყნის პარლამენტი. 1961 წლიდან მას არსებითად ცერემონიული ფუნქცია ეკისრებოდა, აღმასრულებელ ხელისუფლებას კი უძღვებოდა პრემიერ-მინისტრი, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერი.

საპრეზიდენტო არჩევნები საყოველთაო კენჭისყრით თურქეთში პირველად ჩატარდა 2014 წლის აგვისტოში. გაიმარჯვა **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა,** რომელიც იქამდე, 2003-2014 წლებში, იყო პრემიერ-მინისტრი, ლიდერი ქვეყნის მმართველი „სამართლიანობისა და განვითარების პარტიისა“ (თურქულად Adalet ve Kalkınma PartIsI, შემოკლებით **AKP**).

2016 წელს თურქეთში იყო სამხედრო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობა, რომლის შემდეგ ქვეყანაში დაიწყო სერიოზული რეპრესიები ოპოზიციურ განწყობაში ეჭვმიტანილი პირების მიმართ. 100 ათასზე მეტი ადამიანი (მათ შორის პოლიციელები, სამხედროები, პროფესურა, ჟურნალისტები, სამოქალაქო მოსამსახურეები) სამსახურიდან გაათავისუფლეს ან დააპატიმრეს კიდეც. 2016 წელი ერთგვარად გარდამტეხი აღმოჩნდა თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ეტაპის დასაწყებად.

ერდოღანმა პირადი ავტორიტეტით გაზარდა პრეზიდენტის თანამდებობის მნიშვნელობა. ის ჩაერთო ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც პრემიერ-მინისტრის კომპეტენციაში შედიოდა. უფრო მტკიცე ხელისუფლების შექმნის მოტივით ერდოღანმა მოისურვა ქვეყნის საპრეზიდენტო რესპუბლიკად გადაქცევა. 2017 წლის 16 აპრილის რეფერენდუმმა მისცა მას უფ-

ლება შეეცვალა კონსტიტუციის ნორმა, თუმცა ელექტორატი თითქმის თანაბრად გაიყო: 51,2 პროცენტმა მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო ცვლილებას, ხოლო 48,8 პროცენტი წინააღმდეგი წავიდა.

2018 წლის 24 ივნისს საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა საგანგებო მდგომარეობისა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა შეზღუდვის პირობებში. ერდოღანმა გაიმარჯვა. ის მომდევნო არჩევნებშიც (2023 წ.) გამარჯვებული გამოვიდა. მოქმედი კონსტიტუციით ეს მისთვის ბოლო არჩევნები უნდა იყოს, თუმცა თურქეთს აქვს კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის ტრადიცია!

თანამედროვე თურქეთი საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია და მთავრობასაც ხელმძღვანელობს. ის ამზადებს ბიუჯეტს, გამოსცემს კანონებს ბრძანებულებების სახით; მხოლოდ მას შეუძლია გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა და დაითხოვოს პარლამენტი; პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა ძალიან გართულებულია და ა.შ.

ამავე დროს, თურქეთში არსებობს დემოკრატია. **„სამართლიანობისა და განვითარების პარტიას“**, რომელიც ქვეყანას მართავს 2002 წლიდან, ევროპელი და ამერიკელი პოლიტოლოგები ახასიათებენ, როგორც მემარჯვენეს, ზომიერად ისლამისტურს, იდეოლოგიაში კი ხედავენ შემდეგ ნიშნებს – ნაციონალურ და სოციალურ კონსერვატიზმს, მემარჯვენე პოპულიზმს, ხოლო საგარეო პოლიტიკაში – ნეო-ოსმანიზმსა (იხ. ქვემოთ) და ევროსკეპტიციზმს. არსებობს AKP-ზე უფრო მემარჯვენე **ნაციონალისტური მოძრაობის პარტია,** რომელიც 2018 წლიდან საპარლამენტო კოალიციას ქმნის AKP-სთან.

ოპოზიციურ სპექტრში გამოირჩევა ჯერ კიდევ ქემალ ათათურქის დროს შექმნილი **სახალხო-რესპუბლიკური პარტია,** რომელიც სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაზე გადავიდა და თანდათან იკრებს მეტ მომხრეს. 2012 წელს შეიქმნა **მწვანეთა მემარცხენე პარტია.** არის სხვა პარტიებიც, მათ შორის ქურთების, ძირითადი ეთნიკური უმცირესობის, უფლებების დაცვის პროგრამით.

2024 წლის ადგილობრივ არჩევნებში თურქეთის უდიდესი ქალაქების – სტამბოლის, ანკარის, იზმირის – მოსახლეობამ **სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას** დაუჭირა მხარი.

როგორია თანამედროვე თურქეთის შიდა პოლიტიკურ-გეოგრაფიული თავისებურებები?

განსხვავებით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დიდი უმრავლესობისაგან თურქეთს ოფიციალურად არა აქვს სახელმწიფო რელიგია. მაგრამ თურქეთის რესპუბლიკა არ გამოსულა და ვერც გამოვა ისლამის გავლენის სფეროდან. მოსახლეობა, განსაკუთრებით სოფლად და პროვინციულ ქალაქებ-

ში, დღემდე მისდევს ისლამის წესებს. XXI საუკუნის დასაწყისიდან კი ქვეყანას პრო-ისლამური პარტია მართავს კიდეც.

ერთმა თურქმა ინტელექტუალმა, ადრე მარქსისტმა, შემდგომში კი – ისლამისტმა, *ისმეთ იოზელმა,* 21-ე საუკუნის დასაწყისში მოსწრებულად თქვა:

> „თურქეთში სოციალიზმი, როგორც პოლიტიკური სისტემა, შესაძლებელია, თურქიზმი [ეთნიკური ნაციონალიზმი] – მოსალოდნელია, ისლამი – უეჭველია“.

რელიგიის მიმართ დამოკიდებულება დიდ როლს თამაშობს თურქეთის საშინაო პოლიტიკაში და ეს პოლიტიკურ გეოგრაფიაშიც აისახება. მოსახლეობის ნახევარზე ცოტა მეტისათვის – უპირატესად ცენტრალური და აღმოსავლეთი ანატოლიის, შავიზღვისპირეთის ქალაქისა თუ სოფლის მცხოვრებთა უმეტესობისათვის ცხოვრების წესს განსაზღვრავს ისლამი. ეს ხალხი ქემალისტურ სეკულარიზმს ადრეც ალმაცერად უყურებდა, თუმცა არც ისლამურ ფუნდამენტალიზმს უჭერდა მხარს. ეს არის რელიგიურ-კონსერვატიული ელემენტი, რომლისთვისაც „ქრისტიანული ევროპა“ იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც ის მდიდარია, აძლევს თურქ შრომით მიგრანტებს დასაქმებისა და მატერიალური კეთილდღეობის შექმნის საშუალებას. მაგრამ ევროპა მათთვის მაინც „სხვაა“.

მოსახლეობის ეს ნაწილი უზრუნველყოფს იმას, რომ 2002 წლიდან ქვეყანას უცვლელად უდგას სათავეში „სამართლიანობისა და განვითარების პარტია“, რომელიც მოსახლეობის ზემოხსენებული ნაწილის მხარდაჭერით პირველ ადგილზე გადიოდა 2003, 2007, 2011 წლების, 2015 წელს ორჯერ ჩატარებულ, 2018 და 2023 წლის საპარლამენტო არჩევნებში. პირადად ერდოღანმა ამ ელექტორატზე დაყრდნობით მოიგო 2014, 2018 და 2023 წლების საპრეზიდენტო არჩევნები

მეორე მხრივ, დასავლეთ და სამხრეთ ანატოლიის, ევროპული თურქეთის, უდიდესი ქალაქების – სტამბოლის, ანკარისა და იზმირის – მცხოვრებთა უმეტესობა, ჯამში კი თურქეთის მოსახლეობის ნახევარზე ოდნავ ნაკლები, რესპუბლიკის დამაარსებლის – ქემალ ათათურქის – სეკულარული იდეოლოგიის მომხრეა. ასეთ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ მათ ქვეყანაში ხდება სეკულარიზმის ეროზია. მათ არ მოსწონთ თურქეთის საშუალო სკოლების სულ უფრო მზარდი რაოდენობის გადაქცევა Imam Hatlb LIsesI-დ, ანუ რელიგიური გაკვეთილების მქონე სკოლა-ლიცეუმებად, სადაც ყურანს ასწავლის იმამი (მუსლიმი მოძღვარი).

მოსახლეობის ამ ნაწილს შედარებით ლიბერალური, თუმცა, ამავე დროს, ნაციონალ-პატრიოტული პოლიტიკური შეხედულებები აქვს. თუ ცივილიზაციურად არა, კულტურულად მაინც, ის უფრო ევროპისაკენ იხრება და ამყარებს (ან, ბოლო დრომდე ამყარებდა) იმედს, რომ თურქეთი ევროპული კავშირის წევრი გახდება. რესპუბლიკის დამაარსებლის, ქემალ ათათურ-

ქის 1920-იანი წლების ლოზუნგი „Garba doğru!“ („დასავლეთისაკენ“: იგულისხმებოდა ევროპისაკენ კულტურული შებრუნება), შეიძლება მოძველებულად ჩანდეს, მაგრამ თურქების ამ ნაწილისათვის მას აზრი ჯერაც არ დაუკარგავს.

ნახ. 20-ზე მოტანილია 2023 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული *რეჯეფ თაიფ ერდოღანის* (ყვითელი ფერი) და მისი მეტოქე, გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატის *ქემალ კილიჩდაროღლუს* (წითელი ფერი) შედეგები. მკაფიოდ მოჩანს, რომ სანაპირო რაიონები (შავიზღვისპირეთის გარდა) და დედაქალაქ ანკარის აგლომერაცია მხარს უჭერდა ოპოზიციის კანდიდატს. ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილიც, სადაც მოსახლეობის უმეტესობა ქურთია, მის მხარეს გამოვიდა. მაგრამ კონსერვატიულად განწყობილი პროვინციული და სასოფლო თურქეთი ისევ ერდოღანის დასაყრდენია.



ნახ. 20.

თურქეთის რესპუბლიკის 2023 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გეოგრაფიული განაწილება ილების (გუბერნიების) მიხედვით [წყარო: WIkIpedIa)

თურქეთის რესპუბლიკის დაარსების დროიდან (1923 წ.) XXI საუკუნის დამდეგამდე მისი არც ერთი მთავრობა არ ცნობდა ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობების არსებობას. მართალია, ძირითადად სტამბოლში მცხოვრებ რელიგიურ უმცირესობებს – მართლმადიდებლებს (ფაქტობრივად, ბერძნებს), „გრიგორიანებს“ (სომხებს) და იუდეველს (ებრაელებს) – მთავრობა ცნობდა და მათ საკუთარი რელიგიური დაწესებულებები შეეძლოთ ჰქონოდათ ამ ქა-

ლაქში (თუმცა საეკლესიო ზარების რეკვა აკრძალულია). სტამბოლის უბან ფანარში (თურქული გამოთქმით Fener) დღემდე ზის *კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი,* მართლმადიდებელი სამყაროს უპირველესი რელიგიური იერარქი. მაგრამ რეალურად ბერძნული თემი თურქეთში თითქმის აღარ დარჩა, ებრაული თემიც მკვეთრად შემცირდა. სომხური თემიც მცირდებოდა, თუმცა ბოლო ათწლეულებში მას დაემატა სომხეთის რესპუბლიკიდან თურქეთში სამუშაოდ წასულთა და იქ ხანგრძლივად დარჩენილ პირთა საგრძნობი რაოდენობა.

თურქეთის სხვა ეთნიკური უმცირესობების უმეტესობა გაფანტულად ცხოვრობს და თავს „თურქად“ მიიჩნევს, თუნდაც ახსოვდეს თავისი წარმოშობა და, ნაწილობრივ, მშობლიური ენაც კი. ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს უპირატესად სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში კომპაქტურად განსახლებული, ინდოევროპული ენობრივი ოჯახის ქურთული ენის დიალექტებზე მეტყველი მრავალრიცხოვანი მოსახლეობა – ქურთები.

როგორია თანამედროვე თურქეთის საგარეო პოლიტიკა?

თურქეთს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა აქვს ევროპასა და აზიაში. მისი ტერიტორიის 3 პროცენტი (23 ათასი კვ. კმ) მდებარეობს ევროპაში და, ზოგიერთი (მაგალითად, სპორტული) კრიტერიუმით, მას „ევროპულ ქვეყნად“ განიხილავენ. მაგრამ მისი აზიური ნაწილის (მცირე აზიის ნახევარკუნძული, რომელსაც „ანატოლიას“ უწოდებენ) სიდიდე და, რაც მთავარია, რელიგიურ-კულტურული ფასეულობები მას ახლო აღმოსავლეთის ნაწილად აქცევს.

თურქეთის არმია სიდიდით მეორეა ნატო-ს ქვეყნებს შორის, აშშ-ის არმიის შემდეგ.

ბუნებრივია, რომ დიდ ქვეყანას აქტიური საგარეო პოლიტიკაც აქვს. საზღვარგარეთის ქვეყნებში განლაგებული დიპლომატიური წარმომადგენლობათა რიცხვით თურქეთი მხოლოდ ჩინეთსა და აშშ-ს ჩამორჩება.

XX-XXI საუკუნეებში თურქეთის საგარეო პოლიტიკას რამდენიმე ცვალებადი ფაქტორი განაპირობებდა.

„ცივი ომის“ პერიოდში (1946-1990) არსებული რეალობა აიძულებდა თურქეთს თავის მოკავშირედ აერჩია მხოლოდ ერთი მხარე – ან „კრემლი“, ან „თეთრი სახლი“. რადგან საფრთხეს მას საბჭოთა კავშირი უქმნიდა, თურქეთისათვის ეს „ერთი მხარე“ იყო აშშ და დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი: 1952 წელს თურქეთი ნატო-ს შემადგენლობაში მიიღეს.

„ცივი ომის“ დამთავრების და საბჭოთა კავშირის დაშლის (1991) შემდეგ, თურქეთის რესპუბლიკამ აღმოაჩინა, რომ მას შეუძლია დამოუკიდებლად აირჩიოს საგარეო-პოლიტიკური ვექტორი. დასავლეთთან თურქეთის ურთიერ-

თობა თანდათანობით თანასწორუფლებიანი გახდა. საბჭოთა კავშირთან სამხედრო კონფრონტაციის საფრთხის მოხსნამ კი დაუყოვნებელი ეფექტი მოიტანა თურქეთის ურთიერთობაზე „პოსტ-საბჭოთა სივრცეში“ წარმოქმნილ ახალ სახელმწიფოებთან, რომლების დამოუკიდებლობა ანკარამ 1991 წლის ბოლოსვე აღიარა.

თურქეთი თვითონ გახდა ლიდერი იქ, სადაც იქამდე მას ჰქონდა არავითარი, ან უმნიშვნელო როლი. თურქეთის საგარეო პოლიტიკა „პოსტ-საბჭოთა სივრცეში“ მკვეთრად გააქტიურდა. ამას ხელი შეუწყო ამ „სივრცეში“ დაწყებულმა ძალიან მტკივნეულმა გადასვლამ გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე, აგრეთვე სურსათისა და სამომხმარებლო საქონლის დეფიციტმა. ამის წყალობით თურქეთის მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, სამშენებლო კომპანიებს დიდი სტიმული მიეცათ ახალი ბაზრების ასათვისებლად რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაში, ცენტრალურ აზიაში, აზერბაიჯანში, საქართველოში.

1990-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში და დასავლეთის სხვა ქვეყნებში სეკულარულ, დემოკრატიულ და, ამავე დროს, მუსლიმურ თურქეთს მიიჩნევდნენ მისაბაძ მოდელად საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ცენტრალურ აზიაში წარმოშობილი რესპუბლიკებისათვის და აზერბაიჯანისათვის, სადაც ხალხის მასებზე ზემოქმედ მძლავრ ფაქტორად რჩება რელიგია. რეალობა ნაკლებ დამაიმედებელი აღმოჩნდა. ზემოხსენებულ პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკებში თავიდანვე ჩამოყალიბდა ავტორიტარული რეჟიმები, სადაც სიტყვა „დემოკრატიას“ მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა მიენიჭა: არავითარი „თურქული დემოკრატიის მოდელი“ მათ არ აინტერესებთ!

XXI საუკუნის დასაწყისში თურქეთმა სცადა თავისი საგარეო პოლიტიკის გადახალისება და მიზნად დაისახა თავისი საზღვრების პერიმეტრზე „მეგობრული სახელმწიფოების რკალის“ შექმნა.

ლოზუნგი – „ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან“ – ეკუთვნის პროფესორ *აჰმეთ დავუთოღლუს,* რომელიც 2003-2009 წლებში იყო თურქეთის პრემიერ-მინისტრის მრჩეველი, 2009-2014 წლებში – საგარეო საქმეთა მინისტრი, ხოლო 2014-2016 წლებში – პრემიერ-მინისტრი.

XXI საუკუნის პირველ ათწლეულში თურქეთი მართლაც ცდილობდა გაეუმჯობესებინა ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან – ბულგარეთთან, საბერძნეთთან, ირანთან, საქართველოსთან, სირიასთან, ერაყთან და ზოგადად არაბულ სამყაროსთან, აგრეთვე ისრაელთან და რუსეთთან. ბევრ შემთხვევაში, მაგალითად, საქართველოსთან, სირიასთან, ისრაელთან, ირანთან მაშინ თვალსაჩინო შედეგებიც იქნა მიღწეული.

2001 წელს გამოქვეყნებულ თავის წიგნში „სტრატეგიული სიღრმე“ დავუთოთლუმ ჩამოაყალიბა გეოპოლიტიკური თეორია, რომელიც მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს: ნაცვლად იმისა, რომ იყოს ნატო-ს აღმოსავლეთი

ფლანგი, თურქეთი უნდა გახდეს „ცენტრალური ქვეყანა“ ძალაუფლების კონცენტრიულ წრეებში. ამ „კონცენტრიულ წრეებში“ შედის ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი აფრიკა, ბალკანეთი, კავკასია, ცენტრალური აზია. ისინი ქმნიან „სტრატეგიულ სიღრმეს“ თურქეთისათვის. ამ იდეებს, ერთგვარი გაზვიადებით, მიეწება „ნეო-ოსმანიზმის“ („Neo-Ottomanism“) კლიშე: თითქოს თურქეთი ცდილობს თავისი გავლენის აღდგენას იმ გეოპოლიტიკურ სივრცეში, სადაც ოდესღაც ბატონობდა ოსმალეთის იმპერია (იმპერიის სახელი მოდის დინასტიის დამაარსებლის – ოსმანის – სახელიდან).

„სტრატეგიული სიღრმის“ იდეა არ გულისხმობდა თურქეთის ტერიტორიულ ექსპანსიას, არამედ მისი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მკვეთრ გაზრდას არა მარტო „პოსტ-ოსმალურ სივრცეში“, არამედ უფრო ფართოდაც კი, მაგალითად, ინდოეთის ოკეანის აუზში.

გეოპოლიტიკურმა რეალობამ კი „მეზობლებთან ნულოვანი პრობლემების“ ნაცვლად მრავალი პრობლემა წარმოშვა.

მაგალითად, სირიის მძაფრ შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებაში, რომელიც 2011-2024 წლების სამოქალაქო ომში გადაიზარდა, ანკარა დაუპირისპირდა დამასკოს იმდროინდელ ხელისუფლებას და ახლაც კი მისი სამხედრო ნაწილები აკონტროლებენ სირიის ტერიტორიის ნაწილს. ისრაელთან, რომელთანაც თურქეთს ძალიან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, მას ძალიან დაეძაბა ურთიერთობა 2010-იანი წლებიდან, რადგან ანკარა პალესტინელების უფლებათა დაცვის მომხრეა.

2020 წლის შემოდგომაზე „მთიანი ყარაბაღის ომში“ თურქეთის მიერ აზერბაიჯანისათვის გაწეულმა სამხედრო-ლოგისტიკურმა დახმარებამ (პირდაპირი სამხედრო ჩარევის გარეშე) განაპირობა აზერბაიჯანის არმიის წარმატება.

სერიოზულ გეოპოლიტიკურ პრობლემას ქმნის ნატო-ს წევრი ქვეყნების – თურქეთისა და საბერძნეთის – დავა საზღვაო აკვატორიასთან დაკავშირებით. 1923 წლის „ლოზანის ხელშეკრულებამ“ დაადასტურა ეგეოსის ზღვაში მდებარე თითქმის ყველა კუნძულის (ორის გარდა) საბერძნეთისადმი კუთვნილება. II მსოფლიო ომის შემდეგ საბერძნეთს გადაეცა ხმელთაშუა ზღვაში მდებარე კ. როდოსი და დოდეკანესის კუნძულები, რომელთაც იქამდე იტალია ფლობდა. ეს კუნძულებიც თურქეთის ანატოლიის ნაპირთან ახლოსაა განლაგებული. საზღვაო სამართლის წესების შესაბამისად ეგეოსის ზღვაში თურქეთის ტერიტორიული წყლის ფართობი მცირეა. იქამდე, სანამ გაჩნდებოდა სერიოზული ვარაუდი ზღვის ფსკერქვეშ გაზისა და ნავთობის მარაგის არსებობაზე, თურქეთს ეს ვითარება ნაკლებად აწუხებდა, მაგრამ შემდგომში დავა გამძაფრდა.

1974 წლის ზაფხულში დამოუკიდებელ კვიპროსის რესპუბლიკაში ბერძენმა სამხედრო პირებმა მოაწყეს გადატრიალება მთელი კუნძულის საბერ-

ძნეთთან შეერთების მიზნით საპასუხოდ, კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში გადაჯდა თურქეთის არმია და იქ შეიქმნა მხოლოდ ანკარის მიერ აღიარებული **„ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა“,** რომელსაც საერთაშორისო საზოგადოება არ ცნობს. თურქეთი წინააღმდეგია, რომ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის ფსკერქვეშ აღმოჩენილი ჰიდროკარბონული რესურსების (გაზი, ნავთობი) განაწილებაში მონაწილეობდეს მხოლოდ [სამხრეთ] კვიპროსის რესპუბლიკა, რომელსაც საბერძნეთი უჭერს მხარს, „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის“ გარეშე. საერთაშორისო ვითარება ამ რეგიონში პერიოდულად ძალიან მწვავდება.

როგორია თურქეთ-ამერიკის ურთიერთობა?

უკვე XXI საუკუნის დასაწყისში ნათელი გახდა, რომ ურთიერთობას აშშ-სა და თურქეთს შორის შემოაკლდა „ძველი გულითადობა“. სოციოლოგიური კვლევები აჩვენებდა, რომ თურქების სულ 10-15 პროცენტი თუ იყო პოზიტიურად განწყობილი ამერიკის მიმართ. ანკარამ მიიჩნია, რომ შეუძლია გაატაროს საკუთარი საგარეო პოლიტიკა და ნაკლები ანგარიში გაუწიოს თავის სტრატეგიულ მოკავშირეს.

ანკარას სერიოზულად აშფოთებს ამერიკის დაუფარავი დახმარება სირიელი ქურთებისათვის. თურქეთი მოითხოვს, რომ ამერიკამ შეუწყვიტოს მფარველობა და შეიარაღების მიწოდება სირიის ქურთებს.

გამაღიზიანებელი ფაქტორი ორი ქვეყნის ურთიერთობაში დიდხანს იყო ამერიკის გავლენიანი სომხური ლობის მრავალწლიანი დაჟინებული მცდელობა, რათა აშშ-ის კონგრესს მიეღო რეზოლუცია 1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში მომხდარი მოვლენების „სომეხთა გენოციდად“ აღიარების შესახებ.

განსხვავებულია ამერიკისა და თურქეთის მიდგომები ისრაელ-პალესტინის კონფლიქტისადმი. ანკარა მხარს უჭერს პალესტინელთა ეროვნულ-გამანთავისუფლებელ ბრძოლას საკუთარი სახელმწიფოს შექმნისათვის და მძაფრად აკრიტიკებს ისრაელის ხელისუფლებას, მაშინ როდესაც ვაშინგტონი ყოველთვის ამ უკანასკნელის მიმართ დაყვავებისა და დათმობის პოზიციაზე დგას და დიდ სამხედრო დახმარებას უწევს მას.

2018 წელს ვაშინგტონსა და ანკარას მკვეთრად დაეძაბათ ურთიერთობა. ამერიკისათვის მიუღებელი აღმოჩნდა თურქეთის მიერ რუსული საზენიტო--სარაკეტი სისტემა S-400-ის შეძენაზე 2017 წელს დადებული ხელშეკრულება. სანქციის სახით კონგრესმა შეაჩერა თურქეთისათვის უახლესი, Stealth-ის ტექნოლოგიით შექმნილი, საბრძოლო თვითმფრინავების Lockheed MartIn F-35-ის გადაცემა, რისთვისაც თურქეთს 900 მილიონი დოლარი ჰქონდა გადახდილი და მფრინავებიც კი მოამზადა. ქვეყნებმა ერთიმეორისათვის ეკონომი-

კური სანქციების შემოღებაც კი დაიწყეს, რამაც უფრო მეტად თურქეთი დაა-ზიანა.

თურქეთმა მაინც შეიძინა რუსული სამხედრო ტექნიკა, მაგრამ სრული განხეთქილება ნატო-ს წევრებს შორის არ მომხდარა და, საბოლოოდ, სანქციებიც გაუქმდა.

ანკარას ესაჭიროება ძლიერი მოკავშირე: მიუხედავად შთამბეჭდავი სამხედრო ძალისა, სრული უშიშროება მას გარანტირებული არა აქვს. პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო თურქეთს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ამერიკისათვის: თურქეთში დღემდე განლაგებულია ამერიკული სამხედრო ბაზები. გეოპოლიტიკური იმპერატივი საბოლოოდ მაინც აიძულებს ორივე მხარეს გამონახოს თანამშრომლობის ფორმულა.

როგორია თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა?

XVII საუკუნიდან XX საუკუნის მეორე ათწლეულამდე რუსეთი და ოსმალეთი თითქმის ყოველთვის მტრად განიხილავდნენ ერთიმეორეს და ხშირად ომობდნენ. მაგრამ საუკუნეზე მეტია, რაც საბჭოთა კავშირს/რუსეთს და თურქეთს შორის მშვიდობიანი ურთიერთობაა.

„მშვიდობიანი ურთიერთობა“ ნიშნავს, რომ ქვეყნებს „ცხელი ომი“ არ ჰქონდათ, თორემ ორივე მხარე „ცივ ომში“ ერთი-მეორის წინააღმდეგ მონაწილეობდა. ურთიერთობათა ისტორიაში არსებობს 1945-1953 წლების ეპიზოდიც, როდესაც საბჭოთა კავშირს ჰქონდა მცდელობა (მხოლოდ დიპლომატიურ დონეზე, სამხედრო კონფლიქტამდე საქმე არ მისულა) ტერიტორიულად შეევიწროებინა თურქეთი, რაც უკვე განვიხილეთ მე-8 ლექციაში.

1991 წლიდან, პირველად თითქმის ორი საუკუნის მანძილზე, რუსეთსა და თურქეთს არა აქვთ საერთო სახმელეთო საზღვარი, რომლის არსებობაც უფრო თურქეთისათვის იყო საფრთხე. ახლა მათ შორის მდებარეობს დამოუკიდებელი საქართველო.

XXI საუკუნეში თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა პრაგმატულ ხასიათს ატარებს. თურქეთის მხარე ტერმინ „სტრატეგიულ პარტნიორობასაც“ კი იყენებს.

თურქეთსა და რუსეთს მრავალმხრივი ეკონომიკური ურთიერთობა აქვთ:

- თურქეთში მოხმარებული გაზის ნახევარზე მეტი რუსეთიდან შედის, მათ შორის შავი ზღვის ფსკერზე რუსეთის ნოვოროსიისკიდან თურქეთის სამსუნამდე 2002 წელს გაყვანილი მილსადენით, რომელსაც „ცისფერი ნაკადი“ ეწოდა. 2019 წლიდან მწყობრში ჩადგა მეორე წყალქვეშა გაზსადენი, სახელად „თურქეთის ნაკადი“;

- რუსეთი თურქეთისათვის არის სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო-სამრეწველო პროდუქციის გასაღების მეორე უმსხვილესი ბაზარი, ევროკავშირის შემდეგ;
- თურქული სამშენებლო კომპანიები ძალიან აქტიურობენ რუსეთში;
- რუსეთმა თურქეთის Akkuyu-ში ააშენა ატომური ელექტროსადგური:
- თურქეთის ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების კურორტების ფინანსური კეთილდღეობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია რუსი ტურისტების ჩასვლაზე და ა.შ.

ის, რაც ამსგავსებს თურქეთსა და რუსეთს, ეს არის ორივე მათგანის აღქმა, რომ გარშემორტყმულია მტრული სახელმწიფოებით: ორივეს აქვს „ალყაშემორტყმული ციხე-სიმაგრის“ შეგრძნება. ერთგვარი მსგავსებაა იმაშიც, რომ ერთი მათგანი თითქოს მისტირის „პოსტ-ოსმალურ სივრცეს“, მეორე კი – „პოსტ-საბჭოთა სივრცეს“.

ზემოხსენებული სისტემური მსგავსება არ ნიშნავს, რომ ქვეყნებს საზიარო პრობლემები აქვთ. უფრო პირიქით. თურქეთ-რუსეთის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობაც კი საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე აზრის ერთგვაროვნების გარანტია არ არის. ასე მაგალითად,

- თურქეთი არ ცნობს 2014 წელს ანექსირებულ ყირიმს რუსეთის ნაწილად; 2022 წელს რუსეთის შეჭრას უკრაინაში თურქეთი ნეგატიურად შეხვდა, მაგრამ არ შეუერთდა დასავლეთის ქვეყნების მიერ რუსეთისათვის დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს: ის განაგრძობს რუსეთთან ვაჭრობას და ხანდახან შუამავლობს კიდეც უკრაინასა და რუსეთს შორის;
- თურქეთი ეჭვის თვალით უყურებდა რუსეთის 2015 წლიდან სამხედრო აქტიობას სირიაში და მოუთმენლად ელოდებოდა მის გასვლას იქიდან (რაც 2025 წელს შეიძლება მოხდეს).

  მეორე მხრივ,
- რუსეთს, თუნდაც სამხედრო თვალსაზრისით უფრო ძლიერს, არ შეიძლება არ აწუხებდეს თავის თიურქულენოვან ან მუსლიმებით დასახლებულ ავტონომიებში და ახლო მდებარე თიურქულ რესპუბლიკებში (აზერბაიჯანი, ცენტრალური აზია) თურქეთის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური გავლენის ზრდა.
- სამხრეთ კავკასიაში არსებობს თურქეთ-რუსეთის, გარეშე თვალისათვის შეუმჩნეველი, მაგრამ რეალური მეტოქეობა. ეს ეხება არა მხოლოდ აზრთა სხვადასხვაობას კასპიის ზღვისპირეთიდან ნავთობ- და გაზსადენების გაყვანის მიმართულებასთან დაკავშირებით, არამედ პოლიტიკური გავლენების გეოგრაფიასაც.

როგორია ევროპულ კავშირში თურქეთის გაერთიანების პერსპექტივა?

საკმაოდ დიდხანს თურქეთში არსებობდა იმედი, რომ ის შევიდოდა ევროპულ კავშირში. 1963 წელს თურქეთი გახდა „ევროპის ეკონომიკური გაერთიანების“ („ევროპული კავშირის“ წინამორბედის) ასოცირებული წევრი, 1996 წლიდან ის საბაჟო კავშირშია ევროკავშირთან, ხოლო 1987 წლიდან შეტანილი აქვს განაცხადი ევროკავშირის სრულ წევრობაზე, მაგრამ ჯერაც ვერ ეღირსა ამას და საეჭვოა თვალმისაწვდომ მომავალში მიაღწიოს წევრობას. თურქეთის მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს აღარც აქვს ამის იმედი და ბევრს ევროპულ კავშირში შესვლის სურვილიც კი გაუქრა.

ბრიუსელის, სადაც ევროპული კავშირის შტაბ-ბინაა განლაგებული, ოფიციალური აზრით, თურქეთი ვერ აკმაყოფილებს ევროკავშირის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი მოთხოვნების (ე. წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმების“) საგრძნობ ნაწილს.

თურქეთში კი ბევრი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის მეტისმეტად მომთხოვნი მიდგომა მათი ქვეყნის მიმართ მიკერძოებულია და განპირობებულია უფრო კულტურული განსხვავებებით („ევროკავშირი ქრისტიანული კლუბია!“), ვიდრე სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნების საჭიროებით.

ევროპას მართლაც აშინებს თურქეთის დიდი დემოგრაფიული პოტენციალი და მოსახლეობის მაღალი ბუნებრივი მატება, მაშინ როცა ევროპის ქვეყნების საგრძნობ ნაწილს მოსახლეობის დაბერება და დეპოპულაცია ახასიათებს.

საფრანგეთის ექსპრეზიდენტმა **ვალერი ჟისკარ დ’ესტენმა** ჯერ კიდევ XXI საუკუნის დასაწყისში მკაფიოდ გამოხატა ბევრი სკეპტიკოსის აზრი, როდესაც თქვა,

> „თურქეთი ეკუთვნის დიდ, მაგრამ სხვა ცივილიზაციას. ის არ განეკუთვნება ევროპას... თუკი თურქეთს მივიღებთ ევროკავშირში, მას შეიძლება მოჰყვნენ მაროკო და სხვა არაევროპული ქვეყნებიც, ისეთები, როგორიცაა ლიბანი ან ისრაელი. შედეგი კი იქნება ევროპული კავშირის აღსასრული“.

საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერები სთავაზობენ თურქეთს „პრივილეგირებულ პარტნიორობას ევროკავშირთან“, ნაცვლად სრული წევრობისა. ანკარისათვის კი ასეთი შეთავაზება მიუღებელია.

როგორია საქართველო-თურქეთის ურთიერთობები?

1991 წლის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მეზობელი სამხრეთ-დასავლეთით აღმოჩნდა თურქეთის რესპუბლიკა. ეს არ იყო ახალი ამბავი. ისტორიულად ქართული სახელმწიფოები ემეზობლებოდნენ

ოსმალეთის იმპერიას, რომელსაც ხანდახან მოიხსენიებდნენ, როგორც „თურქეთს“ (თუმცა ეს არასოდეს ყოფილა ამ იმპერიის თვითსახელი). 1918 წელს დამოუკიდებელ საქართველოს საქმე ჰქონდა ისევ ოსმალეთის იმპერიასთან, მაგრამ 1920 წლიდან – უკვე „თურქეთთან“, რომლის დედაქალაქმაც ფაქტობრივად გადაინაცვლა სტამბოლიდან ანკარაში. 1921 წლის 16 მარტს რსფსრ-სა და ქემალისტურ თურქეთს შორის მოსკოვში გაფორმდა „ხელშეკრულება მეგობრობისა და ძმობის შესახებ“, რომლითაც დადგინდა საქართველოს საზღვარი თურქეთთან. მოლაპარაკებაში ახალგასაბჭოებული საქართველოს მთავრობის (კომუნისტური „რევკომის“), მონაწილეობის წინააღმდეგ წავიდა თურქული მხარე. სწორედ მაშინ, მოსკოვში გადაწყდა, რომ ბათუმი და მიმდებარე ოლქი (აჭარა) გახდებოდა ავტონომიური ერთეული საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში. 1921 წლის 13 ოქტომბერს მოსკოვის ხელშეკრულება დუბლირებული იქნა „ყარსის ხელშეკრულებით“, რომელსაც ხელს აწერდნენ სამხრეთ კავკასიის სამივე საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლები.

1930-იანი წლების დამდეგიდან საზღვარი თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, რომელიც კარგად იყო დემარკირებული, საბჭოთა მხარის ინიციატივით ჩაიკეტა. ეკონომიკური კავშირები და ადამიანთა მიმოსვლა ორ ქვეყანას შორის პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. 1945 წელს საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ, რომელშიც კრემლმა აქტიურად ჩართო ქართული და სომხური სამეცნიერო წრეები, სამხრეთ კავკასიის ორივე საბჭოთა რესპუბლიკის საზოგადოებას მტრად წარმოუდგენდა თურქეთს. რაც შეეხება სომხეთს, მისი ხალხი ისედაც ანტი--თურქულად იყო განწყობილი, რადგან მისი საგრძნობი ნაწილი წარმოადგენდა 1915-1918 წლებში აღმოსავლეთ ანატოლიიდან ლტოლვილებს, ან მათ უშუალო შთამომავლობას. საქართველოში ანალოგიური ლტოლვილები თურქეთიდან არ ყოფილა, მაგრამ 1945-1953 წლების საბჭოეთის ანტი-თურქულმა პროპაგანდამ აქაც შექმნა გარკვეული ირედენტისტული ატმოსფერო.

1992 წლის 30 ივლისს გაფორმდა „ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკას და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ“, რომლის თანახმადაც დადასტურდა 1921 წელს დადგენილი საზღვრის ურღვევობა. ხელშეკრულების მე-14 მუხლის თანახმად, ის

> „დადებულია ათი წლის ვადით. იგი ავტომატურად გაგრძელდება შემდგომი ხუთი წლის ვადით, თუ რომელიმე მხარე აღნიშნული ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე წინასწარ წერილობით არ მიმართავს მეორე მხარეს თავის გადაწყვეტილების თაობაზე ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ“.

საქართველო-თურქეთის საზღვრის საბოლოოდ ცნობა საქართველოსათვის დადებითად უნდა შეფასდეს. მას მხოლოდ თურქეთთან აქვს დელიმიტირებული და დემარკირებული სახელმწიფო საზღვარი, ყველა სხვა მეზობელ ქვეყანასთან კი საზღვარი საბოლოოდ განსაზღვრული არ არის.

1992 წლიდანვე თურქეთმა დაიწყო თავისი სამომხმარებლო საქონლითა და სურსათით სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიის, რუსეთისა და უკრაინის იმ დროისათვის დაცარიელებული ბაზრების ათვისება. ამის შედეგად, მაგალითად, განვითარდა საქართველოს მიმდებარე, თურქეთის ადრე ყველაზე ჩაკეტილი, მიყრუებული, ეკონომიკურად ჩამორჩენილი მხარეები – ჩრდილოაღმოსავლეთი ანატოლია და აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი. ისინი ერთგვარად გამოაცოცხლა სატრანზიტო ფუნქციამ, რადგან სწორედ ამ პროვინციებზე და საქართველოზე გავლით თურქეთი უკავშირდება თავის მოკავშირე აზერბაიჯანს, აგრეთვე ცენტრალური აზიის ქვეყნებს და სომხეთსაც კი, რომელთანაც დიპლომატიური ურთიერთობა ჯერჯერობით არა აქვს. საქართველოს ტერიტორიის გავლით გადის აზერბაიჯანიდან თურქეთში მიმავალი მნიშვნელოვანი ნავთობ- და გაზსადენები. საქართველოზე გადის ბაქო-თბილისი-ახალაქალაქი-ყარსის რკინიგზაც. საქართველოსათვის თურქეთი ერთერთი უმთავრესი ეკონომიკური პარტნიორი გახდა.

თურქეთი მხარს უჭერს საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებას. თურქეთი ოფიციალურად არ ცნობს საქართველოს ნაწილების – აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ რუსეთის მიერ აღიარებულ „დამოუკიდებლობას“. ამავე დროს, თურქული კერძო კომპანიები ვაჭრობენ სეპარატისტულ აფხაზეთთან.

ერთდროულად, დამოუკიდებელი საქართველო მთლიანად და, განსაკუთრებით, მისი ნაწილები – აჭარა და მესხეთი – გახდა თურქეთის ინტერესების საგანი, როგორც პოტენციური გავლენის სფერო. თურქეთი საქართველოში ახორციელებს პრაგმატულ პოლიტიკას თავისი „რბილი ძალის“ მეშვეობით. ეს თავს იჩენს როგორც გაუთავებელი თურქული ტელესერიალების ტრიალში თითქმის ყველა ქართულ ტელეარხზე, ისე ისლამის აღორძინებისა და გავრცელებისათვის აქტიურ მხარდაჭერაში აჭარაში და მუსლიმთა განსახლების სხვა ადგილებში; მეჩეთების მშენებლობის დაფინანსებაში; ქ. ბათუმში თურქი მოსახლეობის უპრეცედენტო მომრავლებაში; მესხეთელი მუსლიმების (თურქეთში მათ „ახალციხელ თურქებს“ უწოდებენ) თურქეთის მოსაზღვრე მესხეთ-ჯავახეთში უპირობო დაბრუნებისათვის ხელის შეწყობაში; ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში განათლების თურქული ინსტიტუტების გაჩენაში და ა.შ.

კითხვები ლექცია 13-ის თემაზე:

1. როგორ გადაიქცა ოსმალეთის იმპერია თურქეთის რესპუბლიკად?
2. როგორ შეიქმნა საქართველო-თურქეთის საზღვარი?
3. რა როლს თამაშობს დამოკიდებულება რელიგიის მიმართ თურქეთის საშინაო პოლიტიკაში?
4. როგორია თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემა?
5. როგორია თანამედროვე თურქეთის საგარეო პოლიტიკა?
6. როგორია თურქეთ-ამერიკის ურთიერთობა?
7. როგორია თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა?
8. როგორია ევროპულ კავშირში თურქეთის გაერთიანების პერსპექტივა?
9. როგორია თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები?

ლექცია 14

საქართველოს მეზობელი სომხეთი

რა როლს თამაშობდა ქრისტიანობა სომხეთის ისტორიაში?

ძვ. წ. I ათასწლეულის მოყოლებული ისტორიული ქართლის სამხრეთით ცხოვრობდნენ „ჰაიები“, რომლებსაც ქართლში „სომხებს“ უწოდებდნენ. მათი განსახლების ტერიტორიას სხვა ხალხები „არმინა/არმენიას“ სახელით იცნობდნენ. სომხებმა რამდენიმე სახელმწიფო შექმნეს, რომელიც ძვ.წ. I საუკუნეში ერთიან, თუმცა არა ხანმედეგ სამეფოდ გაერთიანდა. მისი ტერიტორია წარმოადგენდა ბრძოლის ველს რომსა და არშაკიანთა პართიას შორის. სომხეთის ტერიტორიისათვის ბრძოლა გაგრძელდა ჩვ. წ. I ათასწლეულში რომსა („ბიზანტიას“) და სასანიანთა ირანს შორისაც, იქამდე, სანამ VII საუკუნეში მოვიდოდნენ არაბები და დაიპყრობდნენ ყველაფერს.

გადმოცემის თანახმად, ქრისტიანობის მქადაგებელმა **გრიგორ პართევმა** („პართიელმა“) ქრისტეს რჯულზე მოაქცია სომხეთის მეფე **თრდატი,** რომელმაც ბრძანა ამ სარწმუნოებაზე თავისი ქვეშევრდომების გადასვლა. ტრადიციულად მიჩნეულია, რომ სომხეთის გაქრისტიანება 301 წელს მოხდა. მაგრამ აღნიშნული თარიღი სერიოზულ სომეხ მეცნიერებში ეჭვს ბადებს, რადგან იმდროინდელი სომხეთის მეფე იყო რომის იმპერიის ვასალი, სადაც 305 წლამდე იმპერატორი იყო **დიოკლეტიანე,** ქრისტიანობის დაუძინებელი მტერი. თვით რომში ქრისტიანობა ერთ-ერთი ნებადართულ რელიგიად გამოცხადდა მხოლოდ 313 წელს, „მილანის ედიქტის“ გამოცემის შემდეგ. ამიტომაც მიიჩნევენ, რომ სომხეთის მეფე ვერ გამოაცხადებდა ქრისტიანობას სახელმწიფო რელიგიად 314 წლამდე.

ფაქტია, რომ გაქრისტიანებამ ხელი შეუწყო ერთიანი სომეხი ერის ფორმირებას. ამ მხრივ, დამატებითი პოზიტიური როლი შეასრულა V საუკუნეში სომხური ანბანის შექმნამ და სომხურ ენაზე წმინდა წერილის თარგმნის დაწყებამ.

451 წელს *ქალკედონში* (დღევანდელი *უსქიუდარი,* სტამბოლის აგლომერაციის აზიურ ნაწილში) ჩატარებულმა საეკლესიო კრებამ ქრისტიანული სამყაროს გაერთიანების ნაცვლად ხელი შეუწყო მის გახლეჩას. ქალკედონის კრებაზე შეკრებილმა, უმეტესად ბერძენმა, იერარქებმა დაადგინეს, რომ იესო ქრისტეს ჰქონდა ორი ბუნება, ბერძნულად dIo physIs (აქედან „დიოფიზიტობა“), და ეს დოგმად გამოაცხადეს. კრებას არ დაესწრნენ და ეს დოგმა არ მიიღეს აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიების იერარქებმა, მათ შორის სომხეთიდან, ეგვიპტიდან, ეთიოპიიდან, აგრეთვე ქართლიდან და ე.წ. „კავკასიის ალბანეთიდან“. ამ ეკლესიებს მიეწება ტერმინი „მონოფიზიტური“ („ერთბუნებიანი“).

„გრიგორიანობის“ შესახებ

„გრიგორიანობა“ არ არის ქრისტიანობის ამ მიმართულების თვითსახელი. ეს სახელი დაამკვიდრა რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ასე უწოდა „სომხური სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის“ მიმდევრებს **გრიგორ პართევის** (სომხების განმანათლებლის) სახელის მიხედვით. „გრიგორიანები“ თავს „მართლმადიდებლებად“ მიიჩნევენ და რათა განასხვავონ თავი „დიოფიზიტი მართლმადიდებლებისგან“ (მათ შორის ქართველებისგან) ამ უკანასკნელთ მოიხსენიებენ „ქალკედონიტებად“: ეს სახელი უკავშირდება 451 წლის ქალკედონის საეკლესიო კრებას, როდესაც წარმოიშვა „დიოფიზიტობა“.

VI საუკუნის ბოლოს ან VII საუკუნის დამდეგს ქართლის ეკლესიამ ქრისტეს ორი ბუნება აღიარა და ისიც „დიოფიზიტური“ გახდა.

სომხების ქრისტიანობა ექსკლუზიურია, ანუ ამ ეკლესიის მრევლის ყველა წევრი არის სომეხი **(ჰაი).**

ჩვ. წ. I ათასწლეულში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ძირითადად დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ ეთნიკური ჯგუფები, რომელთაც ქართველები უწოდებდნენ „რანს“, ხოლო სომხები – „აღვანქს“, რაც ბერძნულ ენაში გადავიდა, როგორც „ალვან/ალბან“. აქედან გაჩნდა სახელი „ალბანელები“, რასაც აზუსტებენ ასე – „კავკასიის ალბანელები“, რათა განასხვაონ ისინი ბალკანეთის ალბანელებისგან. სხვადასხვა ენებზე მეტყველი ჯგუფების (სტრაბონი წერდა, რომ *„ალბანელები“ 26 ენაზე მეტყველებენ*-ო) კონსოლიდაცია ვერ მოხდა.

თუმცა V საუკუნეში შეიქმნა ალბანური ანბანი, ამ ენაზე დაწერილი ცოტა რამ შემორჩა. რადგან რანის („ალბანელების“) ქრისტიანული ეკლესია იმავე მონოფიზიტურ დოგმებს ეყრდნობოდა, რაც სომხური ეკლესია, მათი საგრძნობი ნაწილი, საბოლოოდ, შეერწყა სომხებს. VII საუკუნეში არაბების შემოსვლის შემდეგ რანის მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი ისლამზე გადავიდა და საბოლოოდ შეერია ამ ტერიტორიაზე XI საუკუნეში მოსულ, ასევე მუსლიმ, თიურქებს, მომავალ აზერბაიჯანელებს.

როგორ ყალიბდებოდა სომხეთის ისტორიული ეთნიკური გეოგრაფია?

ეჭვგარეშეა, რომ სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორია სომხების ისტორიული განსახლების არეალია. სხვა ეთნიკური ჯგუფები, მათ შორის თიურქები, იქ არ მკვიდრობდა ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულამდე. მაგრამ ასევე ეჭვგარეშეა, რომ დაახლოებით XV-XVI საუკუნეებიდან XIX საუ-

კუნის თითქმის ბოლომდე, იმავე ტერიტორიაზე რიცხობრივად დომინირებდა თიურქული ეთნიკური ელემენტი.

თემურ-ლენგის ლაშქრობებმა და XV საუკუნეში რეგიონში მოთარეშე თურქმანულმა ტომებმა ძალიან შეამცირა სომხური ქრისტიანული მოსახლეობა აღმოსავლეთ ანატოლიასა და სამხრეთ კავკასიაში. სომხების განსახლების არეალი XVI საუკუნეში იქცა ბრძოლის ველად ახალწარმოქმნილ სეფიანთა ირანისა და აღმოსავლეთისაკენ მისწრაფებულ ოსმალეთს შორის. 1555 წლის შემდეგ ამ ტერიტორიის ნაწილი სეფიანებს დარჩათ, რომელთაც იქ დააარსეს ერევნისა და ნახჭევნის სახანოები. ირანელებმა ააშენეს **ერევნის** მძლავრი ციხე-სიმაგრე მდ. ზანგუს (სომხურად – *ჰრაზდან)* ჩრდილოეთ ნაპირზე.

როგორც მოისმინეთ მე-4 ლექციის დროს, ირანის შაჰ-აბას I-მა XVII საუკუნის პირველ ათწლეულებში არაქსის ხეობიდან წაყვანილ სომხებს საკუთარი დედაქალაქის, ისფაჰანის, გვერდით მიუჩინა ადგილი. სომხები სპარსეთის სხვა ქალაქებშიც განსახლდნენ, სადაც ვაჭრობა-ხელოსნობას მიჰყვეს ხელი.

დღევანდელი სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე სომხების ძველი განსახლების დაცარიელებული არეალი კი შეავსეს ისლამის შიიტური მიმართულების მიმდევარმა თიურქულენოვანმა ტომებმა (ახლა მათ აზერბაიჯანელებად ვიცნობთ). თავიდან მომთაბარე მეცხოველეობის მიმდევარი მოსახლეობა თანდათან ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდა. თიურქული სახელები დაერქვა მთებს, ქედებს, ხევებს, ძველ ნასახლარებს, ისე, რომ ახალმოსული ხალხი არც შეხვედრია იქ ადრე ნაცხოვრებ სომხებს.

XIX საუკუნის პირველ ათწლეულებში რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების შემდეგ სამხრეთ კავკასიაში (ძირითადად ერევნის გუბერნიაში) რუსეთის იმპერიის შემწეობით გადმოსახლებულმა სომხებმა მკვეთრად შეცვალეს სამხრეთ კავკასიის ეთნო-დემოგრაფიული სტრუქტურა. მაგრამ თითქმის მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ერევნის გუბერნიაში სომხები უმცირესობას შეადგენდნენ: მათ სჭარბობდნენ შიიტი მუსლიმები. მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს გადააჭარბეს რიცხოვნობით ამ გუბერნიის სომხებმა მუსლიმ მოსახლეობას. ამას ხელი შეუწყო ოსმალეთიდან ლტოლვილ სომეხთა შემოდინებამ.

რუსეთის იმპერიაში შემავალ სამხრეთ კავკასიაში თავიდან შეიქმნა ერთგვარი „ეკონომიკური სიმბიოზი“: ვაჭრობა-ხელოსნობაში ჩართული სომხების (თუმცა მათი საგრძნობი ნაწილი მაინც გლეხობა იყო) თანაცხოვრება თითქმის მთლიანად სოფლის მეურნეობით დაკავებულ ქრისტიან ქართველებთან და ადგილობრივ მუსლიმებთან.

მკვეთრი ცვლილება ერევნის გუბერნიის ეთნოდემოგრაფიულ სტრუქტურაში დაიწყო 1915 წლიდან, როდესაც ოსმალეთის იმპერიიდან ლტოლვილი სომხების დიდი ტალღა მოვიდა სამხრეთ კავკასიაში. 1918 წელს სომეხ

ლტოლვილთა რაოდენობამ უფრო მოიმატა. ერევნის გუბერნიაში მცხოვრებ მუსლიმებს კი ამ ტერიტორიის დატოვება მოუხდათ.

1918-1920 წლებში სომხეთის რესპუბლიკას გაუთავებელი ომი ჰქონდა აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან მთიანი ყარაბაღის გამო. ბრძოლა იყო ზანგეზურისა და ნახჭევნის მაზრებშიც, რასაც თან სდევდა მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება: ერევნის გუბერნიის აზერბაიჯანელები გარბოდნენ აზერბაიჯანის არმიის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, სომხები კი სომხეთის არმიის მფარველობას ეძებდნენ. ამ პროცესის რეალური შედეგი სომხეთის რესპუბლიკისათვის აღმოჩნდა მისი „არმენიზაცია“, სომხური მოსახლეობის რიცხობრივი დომინირება.

სომხეთის პირველი რესპუბლიკის (1918-1920 წწ.) პერიოდში ეთნიკური ჰომოგენურობის მიღწევა შეგნებული პროცესი იყო.

აი, როგორ აფასებდა ამ მოვლენას 1928 წელს ქ. ათენში გამოცემულ წიგნში სომხური დიასპორის თვალსაჩინო მოღვაწე, მწერალი **შაგან ნათალი** (ჰაკოფ ტერ-ჰაკოფიანის ფსევდონიმი). სომხეთის მომავლის პერსპექტივის გათვალისწინებით იგი ამართლებდა ეთნიკურ წმენდას:

> „... ნაციის შექმნის ნამდვილი იარაღი იყო სომხეთის გაწმენდა მის საზღვრებს შიგნით, რაც, ვინც რაც უნდა თქვას, მოხდა სომხეთის რესპუბლიკის დროს; მხოლოდ ამ ქმედების წყალობით ქმნიან დღეს სომხები უმრავლესობას მიწაზე, რომელიც, თუნდაც ბოლშევიკური, მაინც სომხეთია და სომხები იქ – ნაციაა. პოლიტიკური თვალსაზრისით ნაცია და სამშობლო ნიშნავს მოსახლეობის ერთგვაროვან უმრავლესობას გარკვეულ ტერიტორიაზე... სწორედ ამიტომ, ჩვენი აზრით, სომხეთის არმენიზაციას მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სომხეთის სახელმწიფოებრიობის გამოცხადებას“.

არმენიზაციის პროცესი გაგრძელდა სომხეთის გასაბჭოების შემდეგაც. 1920-იან წლებში თბილისიდან ერევანში გადასახლდა სომხური ინტელიგენციის საკმაოდ ბევრი წარმომადგენელი. 1926 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მონაცემებით სომხეთის სსრ-ში „სატიტულო ნაციამ“, ანუ ეთნიკურმა სომხებმა 84,4% შეადგინეს, რაც საბჭოთა რესპუბლიკებში მონოეთნიკურობის უმაღლესი მაჩვენებელი იყო.

სომხეთის სსრ-ში უმსხვილესი ეთნიკური უმცირესობა იყვნენ აზერბაიჯანელები. 1979 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის თანახმად 161 ათასი აზერბაიჯანელი სომხეთის სსრ-ის მოსახლეობის 5,3 პროცენტს შეადგენდა. 1988 წლიდან მთიანი ყარაბაღის გამო დაწყებულმა კონფლიქტმა მკვეთრად დაძაბა ერთაშორისი ურთიერთობა და სომხეთის აზერბაიჯანელები აიძულა თავშესაფარი ეძებნათ მეზობელ რესპუბლიკაში. 1990 წლიდან აზერბაიჯანელები სომხეთში აღარ ცხოვრობენ.

მომდევნო წლებში, ეკონომიკური პრობლემების გამო საზღვარგარეთ, ძირითადად რუსეთსა და უკრაინაში, წავიდა სომხეთის თითქმის მთელი

სლავური მოსახლეობა. XIX საუკუნიდან ჩრდილოეთ სომხეთში არსებული რუსი რელიგიური სექტანტების, დუხობორების და მოლოკნების, საკმაოდ დიდი სოფლები დაიცალა.

ამ მიგრაციების შედეგად თანამედროვე სომხეთის რესპუბლიკა მონოეთნიკური სახელმწიფო გახდა: ამჟამინდელი მოსახლეობის (დაახლოებით 2,9 მილიონი) 97% სომეხია.

მონოეთნიკურობის შეფასების საინტერესო მაგალითია მართვის საკითხებში სომეხი ექსპერტის, *ჰარუთიუნ მესროობიანის,* თვალსაზრისი, რომელიც, იქნებ, სომხეთის საზოგადოებრივ აზრსაც ასახავს. 2008 წელს, თავისი ქვეყნის შესახებ მსჯელობისას, ექსპერტმა ასეთი დასკვნა გამოიტანა

> „უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს მონოეთნიკურობას სერიოზული უპირატესობა აქვს. ეთნიკური თვალსაზრისით ჩვენ არა გვყავს მეხუთე კოლონა“.

პოლიტიკურად ეს საშიში დასკვნაა, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუკი ვინმე სხვაც მოინდომებს მის გადაქცევას პოლიტიკის წარმმართველ იარაღად, მაგალითად, ასე: „მოდით მივბაძოთ სომხებს და მონოეთნიკურობას მივაღწიოთ, რათა ეთნიკური თვალსაზრისით მეხუთე კოლონა არ გვყავდეს“!

თვითონ სომხები ყველაზე მეტად დაზარალდნენ იმის გამო, რომ მათი ეთნოსი „მეხუთე კოლონად“ მიიჩნიეს ოსმალეთის იმპერიაში 1915-1918 წლებში და აზერბაიჯანის სსრ-ში – 1988-1991 წლებში.

როგორ აღმოჩნდა გეოპოლიტიკურ ჩიხში სომხეთის რესპუბლიკა?

სომეხი მწერლები, პოეტები, ისტორიკოსები, რეჟისორები, ანუ ისინი, ვისაც საბჭოთა კავშირში „ჰუმანიტარულ ინტელიგენციას“ უწოდებდნენ, არ ივიწყებდნენ ძველ მტრობას „თათრებსა“ (აზერბაიჯანელებსა) და სომხებს შორის. სომხური ინტელიგენცია არ ივიწყებდა თავისი ხალხის არც თურქეთში 1915 წელს მომხდარ *„მეწ ეღერნ“*-ს (სომხურად „დიდი ჟლეტა“), არც 1905 და 1918-1920 წლების სისხლიან შეტაკებებს „თათრებთან“. სომხური საბჭოთა ინტელიგენციას საჭიროდ მიაჩნდა დროულად ეზრუნა სომხეთის ტერიტორიის გაფართოებაზე, რადგან ელოდა მრავალრიცხოვანი სომხური დიასპორის ჩამოსახლებას სამხრეთ კავკასიაში, რომელსაც „სომხეთის სსრ-ის მცირე ტერიტორია არ ეყოფოდა“-ო. ამაზევე ზრუნავდა სომხური ეკლესიაც (იხ. ჩანართი).

ყოველთა სომეხთა კათოლიკოს ვაზგენ I-ის 1956 წლის წერილი სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნიკოლაი ბულგანინის სახელზე (ნაწყვეტი) (წყარო: გაზეთი „Голос Армении“, 24 ივნისი, 2008)

„...საზღვარგარეთ [სომხურ დიასპორაში: რ.გ.] ბევრი გვეკითხებოდა – ხომ არ დადგა დრო სამართლიანად გადაწყდეს საკითხი მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის, ნახჭევანის ასსრ-სა და ახალქალაქის რაიონის შესახებ, რომლებიც ძირითადად დასახლებულია სომხებით, მაგრამ ისინი განაგრძობენ ყოფნას საბჭოთა სომხეთის საზღვრებს გარეთ.

ამრიგად, საზღვარგარეთელი სომხები იმედს გამოთქვამენ, რომ კეთილგანწყობილი საბჭოთა მთავრობა შექმნის სათანადო პირობებს ტერიტორიული, ეკონომიკური და საბინაო თვალსაზრისით სამშობლოში მათ დასაბრუნებლად, რათა ისინი შეუერთდნენ თავიანთ ღვიძლ ძმებს მშობლიურ მიწაზე...“

პოეტები, ისტორიკოსები და სულიერი მოძღვრები ხშირად არ ითვალისწინებენ თავისი პატრიოტული ძალისხმევის შესაძლო პოლიტიკურ შედეგებს, არ ფიქრობენ იმაზე, რომ როდესაც ისინი მოითხოვენ „თავისი მიწის“ გაფართოებას სხვისი კონტროლის ქვეშ მყოფი მიწის ხარჯზე, ამას კატეგორიულად არ დაეთანხმება „სხვა მხარე“.

სომხეთის სსრ კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ არაერთგზის მიმართა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელობას, მათ შორის, სტალინსაც, თხოვნით გადაექვემდებარებინა აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობაში მყოფი მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ტერიტორია სომხეთის სსრ-სათვის (კონფლიქტი ამ ტერიტორიის ირგვლივ განიხილება მე-15 ლექციის დროს). კრემლი არ თანხმდებოდა, რადგან ერიდებოდა აზერბაიჯანის სსრ-ის ხელმძღვანელობისა და ხალხის გაღიზიანებას. კრემლს არ უნდოდა დაეშვა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრების ეთნიკური ნიშნით ცვლილების პრეცედენტი, რადგან ეს გახსნიდა „პანდორას ყუთს“ მრავალეთნიკურ საბჭოთა კავშირში:

„მთიანი ყარაბაღის“ გამო კონფლიქტის სამხედრო ფაზა დაიწყო 1988 წელს და დასრულდა დროებითი დაზავებით 1994 წელს.

ამას მოჰყვა სომხეთისათვის სერიოზული გეოპოლიტიკური გართულებები.

სომხეთი გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ ჩიხში აღმოჩნდა:

- აღმოსავლეთით მას აღარ ჰქონდა არავითარი ეკონომიკური კავშირი აზერბაიჯანთან ან მისი გავლით რუსეთთან: ჩაიკეტა საბჭოთა პერიოდში მთავარი სარკინიგზო-სატვირთო მაგისტრალი ერევნიდან მოსკოვამდე, რომელიც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადიოდა;
- მთიანი ყარაბაღის ირგვლივ სამხედრო მოქმედებების გამო 1993 წელს თურქეთმა ჩაკეტა იქამდე ორიოდე წლის განმავლობაში გახსნილი საზღვარი სომხეთთან. ამასთან არაოფიციალური ეკონომიკური კონტაქტები საქართველოს გავლით ნარჩუნდებოდა: სომხეთში შედიოდა თურქეთში წარმოებული სამრეწველო და სასურსათო პროდუქცია, ხო-

ლო თურქეთში სამუშაოდ გასული იყო 40-50 ათასი სომხეთის მოქალაქე, რომელიც შინ საკმაო თანხას აგზავნიდა;

- სამხრეთით, ირანთან, სომხეთს გაუჩნდა ეკონომიკური კავშირების გაფართოების საშუალება: მდ. არაქსზე 1994 წელს სასწრაფოდ აშენდა ხიდი, მაგრამ ირანის ტერიტორიის გავლით შემოსული ან გასული ტვირთი სომხეთის საგარეო-სავაჭრო ბრუნვის მეხუთედზე ნაკლებს შეადგენდა. „კოლექტიური დასავლეთის“ ქრონიკული ეკონომიკური სანქციების ქვეშ მყოფი ირანი სომხეთისათვის ვერ იქნებოდა „ფანჯარა მსოფლიოში“;
- ირანთან დასაკავშირებლად გაყვანილმა რთული პროფილის საავტომობილო გზამ და ხიდმა მცირეოდენი ეკონომიკური შვება მისცა სომხეთს, თუმცა გეოპოლიტიკური ჩიხიდან ის ვერ გამოიყვანა. 2007 წელს აშენდა ირან-სომხეთის გაზსადენი, მაგრამ რუსული მონოპოლია „Газпром“-ის ზეწოლით გაზსადენი დაგეგმილზე ორჯერ მცირე დიამეტრის (750 მმ) მილით გაიყვანეს. ირანული გაზი ხმარდება მხოლოდ ელექტროენერგიის გენერაციას სომხეთის თბოელსადგურებში, რომლის დიდი ნაწილი ისევ ირანში მიდის გაზის საფასურის სახით. ირანული გაზი ვერ უწევს კონკურენციას რუსეთიდან სომხეთში იმავე „Газпром“-ის მიერ საბჭოთა პერიოდში საქართველოს გავლით გაყვანილი მილსადენით შემოტანილ გაზს;
- 1994 წელს მიღწეული დაზავების რეჟიმი ორ კავკასიურ რესპუბლიკას შორის მომგებიანი აღმოჩნდა კრემლისათვის, რომელიც გაყინულ კონფლიქტს ორივე მხარეზე ზემოქმედების საშუალებად იყენებდა. რუსეთი აზერბაიჯანში ყიდდა თავის სამხედრო პროდუქციას და იგივე ტიპის იარაღს უფრო შეღავათიან ფასად აწვდიდა სომხეთს, როგორც რუსეთის მიერვე მართული „კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაციის“ (კუხო) წევრს.

სომხეთი იძულებული გახდა დაყრდნობოდა რუსეთის ფედერაციის მოკავშირეობას. 1995 წლიდან (2010 წელს გაგრძელებული შეთანხმებით – 2044 წლამდე) სომხეთის ქალაქ გიუმრიში განლაგებულია მძლავრი რუსული სამხედრო ბაზა, რომლის მიწის იჯარას რუსეთი სომხეთს არ უხდის, რადგან სამხედრო ხელშეკრულების თანახმად რუსეთი უსაფრთხოების გარანტად ევლინება სომხეთის რესპუბლიკას.

2020-იან წლებში სომხეთს გაუჩნდა საბაბი ეჭვი გამოეთქვა ამ გარანტიისა და, ზოგადად, კუხო-ს საიმედოობაში.

მთიანი ყარაბაღისათვის ომმა სამხრეთ კავკასიის რეგიონის მილიტარიზაციას შეუწყო ხელი. ჩვენი ორი მეზობელი ქვეყნის არმიები შეიარაღებითა და პირადი შემადგენლობის რიცხოვნობით საქართველოს ჯარს რამდენჯერ-

მე აღემატებიან. 2010-იანი წლებიდან განსაკუთრებით გაძლიერდა აზერბაიჯანის არმია.

კოლექტიური დასავლეთის როლი კონფლიქტის მოგვარებაში ვლინდებოდა მხოლოდ მშვიდობისმოყვარულ რიტორიკასა და ფუჭ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში.

ომი ორ ქვეყანას შორის განახლდა 2020 წელს და საბოლოოდ დასრულდა 2023 წელს (ამ თემას ლექციის მეორე ნაწილში დავუბრუნდებით).

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამო სამხრეთი კავკასია დღემდე ვერ გამოდის, როგორც ერთიანი რეგიონი მსოფლიოს წინაშე.

რა როლს ასრულებს სომხეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მისი დიასპორა?

სომხეთის რესპუბლიკის ერთ-ერთ სოციალ-ეკონომიკური დასაყრდენად მიჩნეულია მისი დიასპორა (სომხურად „*სფიურქ*“).

„ძველი სფიურქი“ ესაა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიიდან XX საუკუნის პირველ მეოთხედში ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, საფრანგეთში, არაბულ ქვეყნებში წასული სომხები. აშშ-ში ისინი საკმაოდ მძლავრ პოლიტიკურ ლობის ქმნიან, რომელიც ძირითადად აქტიურობს იმ მიმართულებით, რათა ვაშინგტონმა ზემოქმედება მოახდინოს თურქეთის რესპუბლიკის მიერ „სომხების გენოციდის“ აღიარებაზე.

„ახალი სფიურქი“ – საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში სომხეთის რესპუბლიკიდან ძირითადად რუსეთში, უკრაინაში, დსთ-ის და ევროპის ქვეყნებში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში წასული ადამიანები – შინ დარჩენილ ოჯახის წევრებს დიდძალ ფულს უგზავნის. მაგალითად, 2020 წელს საზღვარგარეთიდან (უპირველესად – რუსეთის ფედერაციიდან) გადარიცხულმა თანხამ 1,327 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც სომხეთის მშპ-ის 10,5%-ის ეკვივალენტი იყო.

„ძველი სფიურქის“ ეკონომიკური დახმარება *„ახალი სფიურქის“* გადარიცხვებთან შედარებით ნაკლებია და უპირატესად ხმარდება ინფრასტრუქტურულ პროექტებს სომხეთსა და „მთიან ყარაბაღში“ (2020 წლამდე). *„ძველი სფიურქი“* თითქოს ეხმარება სომხეთის რესპუბლიკას საგარეო პოლიტიკის გატარებაში, როდესაც ახდენს „სომხების გენოციდის“ თემის წინ წამოწევას. პრაქტიკულად კი ასეთი დახმარება ხშირად ხელს უშლიდა სომხეთის მთავრობას თვალი გაესწორებინა გეოპოლიტიკური რეალობებისადმი.

ეს განსაკუთრებით გამოჩნდა XXI საუკუნის დასაწყისში, როდესაც გაჩნდა სომხეთ-თურქეთის პრობლემების დარეგულირების იმედი. 2009 წელს აშშ-ის, ევროკავშირის, რუსეთის საგარეო უწყებათა ხელშეწყობით და მათ ხელმძღვანელთა თანდასწრებით შვეიცარიის ქ. ციურიხში ხელი მოეწერა სომხეთსა და

თურქეთს შორის ურთიერთობათა დარეგულირების ორ პროტოკოლს. მათი რატიფიკაციის შემთხვევაში აღდგებოდა დიპლომატიური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის და გაიხსნებოდა თურქეთის მიერ სომხეთთან 1993 წელს ჩაკეტილი საზღვარი.

მაგრამ ამ შემთხვევაში მოხდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის, სომხების „ძველი სფიურქისა“ და რუსეთის ფედერაციის ინტერესების დამთხვევა:

- აზერბაიჯანი შეაშფოთა თურქეთთან სომხეთის დაახლოებამ იმ პირობებში, როდესაც მთიანი ყარაბაღის პრობლემა მოუგვარებელი რჩებოდა. ოფიციალურმა ბაქომ დიდი ზეწოლა განახორციელა თურქეთის ხელისუფლებაზე, რათა მას არ მოეხდინა შეთანხმების რატიფიკაცია;
- დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა, ბუნებრივია, გულისხმობდა არსებული საზღვრების ცნობას (ეს მკაფიოდ განაცხადა სომხეთის იმდროინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ ნალბანდიანმა); „პროტოკოლები“ ასევე ითვალისწინებდა მეცნიერთა ერთობლივი კომისიის ჩამოყალიბებას 1915 წლის მოვლენების შესასწავლად. ეს ორი პირობა „ძველმა სფიურქმა“ და სომხეთის ნაციონალისტურმა ძალებმა აღიქვეს, როგორც სომხეთის მხრიდან თურქეთისადმი ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარის თქმა და „გენოციდის“ ფაქტის ეჭვქვეშ დაყენება. ამიტომაც „სფიურქმა“ დიდი ზეწოლა მოახდინა სომხეთის ხელისუფლებაზე შეთანხმების რატიფიკაციისათვის ხელის შესაშლელად;
- რუსეთის ფედერაცია სულაც არ იყო დაინტერესებული, რომ თურქეთსა და სომხეთს შორის მომხდარიყო ურთიერთობათა ნორმალიზაცია, რადგან ამ შემთხვევაში სომხეთში შეიძლებოდა გაძლიერებულიყო პროდასავლური საგარეოპოლიტიკური ვექტორი, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა სომხეთის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზის საჭიროებასაც კი. რუსეთს არ მოუხდენია განსაკუთრებული ზეწოლა რომელიმე მხარეზე: მან უბრალოდ არაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მომხდარიყო შეთანხმების რატიფიკაცია. მოსკოვის უმოქმედობა ზეწოლის ტოლფასი აღმოჩნდა.

„პროტოკოლების“ შესრულება ჩაიშალა.

როგორი იყო პოლიტიკური ცხოვრება დამოუკიდებელ სომხეთში და რატომ გადაიქცა ის საპარლამენტო რესპუბლიკად?

დამოუკიდებელი სომხეთის რესპუბლიკის შიდაპოლიტიკური ცხოვრება ფათერაკებით აღსავსე გამოდგა.1997 წელს გადადგა სომხეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი *ლევონ ტერ-პეტროსიანი,* რაც მას კატეგორიულად მოსთხოვა თავდაცვის იმდროინდელმა მინისტრმა *ვაზგენ სარგსიანმა:*

სხვა ნაციონალ-პატრიოტებთან ერთად მან ეროვნული ინტერესების ღალატად მიიჩნია ტერ-პეტროსიანის სავსებით ლოგიკური გეგმა წასულიყო გარკვეულ დათმობებზე მთიანი ყარაბაღის საკითხში და მოეგვარებინა ურთიერთობა აზერბაიჯანთან იმ დროს, როდესაც სომხეთი გამარჯვებულის პოზიციაში იმყოფებოდა. ტერ-პეტროსიანი ამტკიცებდა, რომ

> „სწორედ ასეთ ვითარებაში [გამარჯვებულის პოზიციაში ყოფნისას] შეიძლება რაღაცის მიღწევა მთიანი ყარაბაღის საკითხში. მაშინ როდესაც, რამდენიმე წლის შემდეგ დამარცხებულის პოზიციაში შეიძლება აღმოვჩნდეთ და ვერავითარ დათმობას ვერ ვეღირსოთ“.

ისტორიამ აჩვენა, რომ ტერ-პეტროსიანი სწორად მსჯელობდა.

1998 წელს სომხეთის რესპუბლიკის მეორე პრეზიდენტად აირჩიეს *რობერტ ქოჩარიანი,* რომელიც წარმოშობით მთიანი ყარაბაღიდან იყო.

1999 წლის 27 ოქტომბერს სომხეთის ეროვნულ კრებაში (პარლამენტში) გაუგონარი რამ მოხდა: დაუბრკოლებლად შესულმა ავტომატებით შეიარაღებულმა ადგილობრივმა ტერორისტებმა სატელევიზიო კამერების წინაშე დახოცეს იმ დროისათვის უკვე პრემიერ-მინისტრი *ვაზგენ სარგსიანი,* პარლამენტის თავმჯდომარე *კარენ დემირჭიანი* და მისი მოადგილეები. გამოძიებამ ტერორისტების პირად ანტიპათიაზე გაამახვილა ყურადღება, თუმცა სომხეთში ბევრს ღრღნიდა ეჭვი, რომ სროლის მოტივი უფრო პოლიტიკურ საკითხებს უკავშირდებოდა.

ამ ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ სომხეთში მმართველი „რესპუბლიკური პარტია“ პრაქტიკულად ერთპიროვნულ ძალად იქცა. რობერტ ქოჩარიანს, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა ჩამოუყალიბდა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან, კრემლის მხარდაჭერის დიდი იმედი ჰქონდა.

პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის ორი ხუთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ 2008 წელს ქოჩარიანი შეცვალა მის მიერვე სომხეთის „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარედ და პრემიერ-მინისტრად დანიშნულმა ასევე ყარაბაღელმა *სერჟ სარგსიანმა.* ამ უკანასკნელის ასარჩევად პრეზიდენტი ქოჩარიანი წავიდა სერიოზულ დარღვევებზე, ხოლო არჩევნების მომდევნო დღეებში, საპროტესტო აქციებისათვის ჭარბი ძალით პასუხის გაცემა ბრძანა, რასაც ათი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. სომხეთის საზოგადოებამ ქოჩარიანს ეს არ აპატია.

იქნებ ქოჩარიანს სურდა სომხეთში ისეთივე „პოლიტიკური როქის“ გაკეთება, როგორიც რუსეთში იმავე წელს მოახდინა პუტინმა? ამ უკანასკნელის წარდგენით რუსეთის პრეზიდენტად 2008 წელს აირჩიეს დმიტრი მედვედევი, რომელმაც პუტინი პრემიერ-მინისტრად დანიშნა, 2012 წელს კი მათ ადგილები შეცვალეს: პუტინი ისევ პრეზიდენტი გახდა, ხოლო მედვედევი – პრემიერ-მინისტრი. დემოკრატიულ ქვეყანაში ასეთი პოლიტიკური გარიგება წარმოუდგენელი რამ იქნებოდა!

სარგსიანი კი არ აღმოჩნდა „მედვედევი“: მან ქოჩარიანი პოლიტიკურ ასპარეზს საერთოდ ჩამოაშორა, რაც სომხეთში ბევრმა მზაკვრობად მიიჩნია.

2013 წელს სარგსიანი ხელმეორედ, ხუთი წლის ვადით, აირჩიეს პრეზიდენტად. ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით მან განიზრახა კონსტიტუციის შეცვლა და სომხეთის გადაქცევა საპარლამენტო რესპუბლიკად. ბევრი ხვდებოდა, რომ პრეზიდენტი სარგსიანი ამას აკეთებდა იმისათვის, რათა დაეკავებინა პრემიერ-მინისტრის პოსტი (რომელსაც ვადით შეზღუდვა არა აქვს), თუმცა ის საჯაროდ დებდა პირობას, რომ ასეთი მიზანი არა აქვს.

სარგსიანმა სათანადოდ არ გაითვალისწინა მეზობელ საქართველოში პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ 2010 წელს განხორციელებული ანალოგიური საკონსტიტუციო რეფორმის გამოცდილება, როდესაც საპრეზიდენტო რესპუბლიკა საპარლამენტოდ გადაიქცა, მაგრამ ყოფილი პრეზიდენტი ვერ გახდა პრემიერ-მინისტრი.

2017 წლის 2 აპრილს სომხეთში ჩატარდა ეროვნული კრების (პარლამენტის) არჩევნები და სარგსიანის „რესპუბლიკურმა პარტიამ“ თავის მუდმივ კოალიციურ პარტნიორ პარტია „დაშნაკცუთიუნთან“ ერთად მიიღო უმრავლესობა – 58 სადეპუტატო მანდატი 101-დან. ეროვნულმა კრებამ უბრალო უმრავლესობით (რაც სომხეთის კონსტიტუციით დასაშვებია) გააუქმა პრეზიდენტის საყოველთაო კენჭისყრით არჩევის წესი და თავის სხდომაზე, 2018 წლის 2 მარტს, სომხეთის მეოთხე პრეზიდენტად აირჩია სარგსიანის მიერვე შერჩეული კანდიდატი. მხოლოდ ამ საკანონმდებლო პროცედურების შემდეგ, იმავე 2018 წლის 17 აპრილს, აირჩია ეროვნულმა კრებამ პრემიერ-მინისტრის პოსტზე სერჟ სარგსიანი.

მაგრამ სარგსიანის მიერ ადრე გაცემული პირობის დარღვევას სომხეთის მოსახლეობის აბობოქრება მოჰყვა. სახალხო პროტესტი იმდენად დიდი გამოდგა, რომ პრემიერ-მინისტრად არჩევიდან ექვსი დღის შემდეგ სარგსიანი იძულებული გახდა გადამდგარიყო. 8 მაისს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად იმავე ეროვნულმა კრებამ აირჩია ელიტარული კორუფციის მამხილებელი დეპუტატი და ამის გამო ადრე არაერთხელ დაპატიმრებული ჟურნალისტი *ნიკოლ ფაშინიანი.*

2018 წლის დეკემბერში ჩატარებულ ეროვნული კრების ხელახალ არჩევნებში სომხეთის „რესპუბლიკური პარტია“ სასტიკად დამარცხდა. შეიქმნა სამთავრობო კოალიცია, რომელმაც **პრემიერ-მინისტრად აირჩია ნიკოლ ფაშინიანი,** რომელიც ოპოზიციაში ყოფნისას პროდასავლური საგარეო პოლიტიკის მომხრედ გვევლინებოდა. ის აკრიტიკებდა სომხეთის მეტისმეტად მჭიდრო თანამშრომლობას რუსეთთან.

ერთია ოპოზიციაში ყოფნა, როდესაც პასუხისმგებლობა მინიმალურია და ადვილია პოპულისტური ლოზუნგების სროლა, და მეორეა ხელისუფლებაში ყოფნა, როდესაც პასუხისმგებლობა მაქსიმალურია. პრემიერ-მინისტრ

ფაშინიანისა და მისი მომხრეების რიტორიკა დასავლეთთან ურთიერთობის შესახებ ნაწილობრივ შეიცვალა. მაგრამ 2018 წელს სომხეთის სათავეში მოსულმა პოპულისტურმა ძალებმა მაინც გააცივეს მოსკოვისა და ერევნის ურთიერთობა. სომხეთისათვის კი „ყარაბაღის კონფლიქტში“ რუსეთის ფაქტორი გულისხმობდა მოწინააღმდეგის, ანუ აზერბაიჯანის, შეჩერებას.

ფორმალურად, რუსეთი არ ანიჭებდა უპირატესობას არც სომხეთს და არც აზერბაიჯანს და იარაღით ორივე მხარეს ამარაგებდა. მაგრამ რუსეთსა და სომხეთს აერთიანებთ სამხედრო ხელშეკრულება, რომელიც დღემდე მოქმედებს. ხაზგასასმელია, რომ რუსული სამხედრო გარანტიები ეხებოდა საკუთრივ სომხეთის რესპუბლიკას და არა თვითგამოცხადებულ „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკას“.

კრემლის დაუფარავ გაღიზიანებას იწვევდა სომხეთის ახალი ხელმძღვანელობის შიდაპოლიტიკური ნაბიჯები: მაგალითად, კორუფციაში ჩაფლული იმ პირების გამოვლენა, რომელთა ინტერესები რუსეთთან იყო დაკავშირებული, ერევნის მთავრობის თუნდაც მორიდებული საგარეოპოლიტიკური სვლა დასავლეთის მიმართულებით.

ზემოაღნიშნულიც უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ აზერბაიჯანის მიერ მთიანი ყარაბაღის განთავისუფლებისათვის დაწყებულ ომზე კრემლს ძალიან თავშეკავებული რეაქცია ჰქონდა.

რა გავლენა მოახდინა 2020 და 2023 წლის ომებმა სომხეთის შიდა და საგარეო პოლიტიკაზე?

2020 წლის 30 სექტემბერს აზერბაიჯანმა დაიწყო „ყარაბაღის მეორე ომი“. მისმა არმიამ, ძირითადად ისრაელსა და თურქეთში შეძენილი უახლესი სამხედრო ტექნიკის გამოყენებით, და, როგორც ჩანს, თურქეთის არმიის ლოგისტიკური დახმარებით, მალე გაათავისუფლა მთიანი ყარაბაღის ირგვლივ არსებული ტერიტორიების ნაწილი სომხური არმიისაგან. 9 ნოემბერს აზერბაიჯანულმა არმიამ აიღო ქალაქი შუშა, რამაც გადამწყვეტი გავლენა იქონია ომის შედეგზე.

არმიის სრული განადგურების საფრთხის წინაშე მდგომი სომხეთის მთავრობა ომის 44-ე დღეს დათანხმდა რუსეთის ფედერაციის შუამდგომლობას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. ამას დაეთანხმა აზერბაიჯანის მთავრობაც. 2020 წლის 9 ნოემბრის შუაღამეს აზერბაიჯანის, სომხეთის და რუსეთის პირველი პირების მიერ ხელმოწერილი დეკლარაციის ძალით, აზერბაიჯანმა დაიბრუნა ქ. შუშა, საკუთრივ მთიანი ყარაბაღის ტერიტორიის თითქმის მეოთხედი და შვიდივე ადმინისტრაციული რაიონი მთიანი ყარაბაღის ირგვლივ, რომლებიც სომხურ არმიას თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში ჰქონდა ოკუპირებული.



ნახ. 21.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებული სივრცე, 1991 წლის საზღვრების მითითებით და 2020 წლის „44-დღიანი ომის" მომდევნო „ტერიტორიული მოწესრიგების" მცდელობა (წყარო: ავტორისეული ნამუშევარი)

მთიანი ყარაბაღის ტერიტორიის დაახლოებით სამ მეოთხედზე, სადაც სომხური მოსახლეობა რჩებოდა, უშიშროების გარანტად გამოცხადდა რუსეთის ფედერაცია, რომლის ორი ათასამდე ჯარისკაცი განლაგდა ამ ტერიტორიის პერიმეტრზე (იხ. ნახ. 21).

მაშინ როდესაც აზერბაიჯანში გამარჯვების ეიფორია სუფევდა, სომხეთის რესპუბლიკაში საზოგადოებრივი აზრი ვერ ეგუებოდა ახალ პოლიტიკურ-გეოგრაფიულ რეალობას, რომელიც ისედაც დროებითი აღმოჩნდა. ერევანში პერმანენტული ანტისამთავრებო აქციები იმართებოდა.

2023 წელს აზერბაიჯანის მხარემ ისარგებლა სომხური არმიის მოუმზადებლობით და საკუთრივ სომხეთში არსებული შიდაპოლიტიკური დაპირისპირებით და ერთდღიანი შეტევის შედეგად დაიკავა მთიანი ყარაბაღის დარჩენილი ნაწილი. რუსეთის მშვიდობისმყოფელებმა არავითარი ზომა არ მიიღეს ამ თავდასხმის აღსაკვეთად. მეორე დღესვე „მთიანი ყარაბაღის" ე.წ. პრეზიდენტი იძულებული გახდა გამოეცხადებინა, რომ მისი „რესპუბლიკა" წყვეტს არსებობას 2024 წლის 1 იანვრიდან. სომხურმა მოსახლეობამ 2-3 დღეში დატოვა „მთიანი ყარაბაღის" ტერიტორია, რომელიც მთლიანად გადავიდა აზერბაიჯანის დაქვემდებარებაში. ყოფილი „მთიანი ყარაბაღის" სომხურმა მოსახლეობამ ძირითადად სომხეთის რესპუბლიკას შეაფარა თავი.

კონფლიქტი ფიზიკურად დასრულებულია. მართალია, სომხეთში ჯერაც არის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი, რომელიც მოითხოვს რევანშს. მაგრამ ხელისუფლებისა და მოსახლეობის უმრავლესობისათვის ნათელია, რომ „მთიანი ყარაბაღის პრობლემა“ ისტორიის კუთვნილება გახდა.

შექმნილმა ვითარებამ გამოიწვია გარკვეული ძვრები ერევნის საგარეო პოლიტიკაში. გაფერმკრთალდა რუსეთის, როგორც „სომხეთის ერთადერთი მხსნელისა და მარადიული მეგობრის“ ხატი. ეს აისახა როგორც საზოგადოებრივ აზრზე, ისე ხელისუფლების ნაბიჯებში.

მაგალითად, 2024 წლის 1 თებერვალს სომხეთში ძალაში შევიდა „რომის სტატუტი“, რაც ნიშნავს, რომ ეს ქვეყანა ოფიციალურად შეურთდა ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, რომელმაც ერთი წლით ადრე გამოსცა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის დაპატიმრების ორდერი უკრაინაში გაჩაღებული ომის დროს ჩადენილი დანაშაულისათვის. თეორიულად, ერევანში ჩასვლისთანავე პუტინი უნდა დააპატიმრონ და გაგზავნონ ჰააგაში! ბუნებრივია, ერევნის ნაბიჯი „რომის სტატუტის“ გასააქტიურებლად მოსკოვში „არამეგობრულად“ შეაფასეს.

სომხეთმა გაზარდა კონტაქტები ევროკავშირთან და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან. საფრანგეთიდან მან მიიღო სამხედრო დახმარება, რომელიც თავისი მოცულობით სიმბოლურ ხასიათს უფრო ატარებს, მაგრამ გამოიწვია მწვავე რეაქცია ბაქოში. ერევანი უარს აცხადებს *კუხო-ს* ფარგლებში განხორციელებულ წვრთნებში მონაწილეობაზე, თუმცა ამ ორგანიზაციიდან ჯერ არ გასულა.

იქნებ, საქმე გვაქვს უფრო „გაბუტვასთან“, ვიდრე სრულ გეოპოლიტიკურ ბრუნზე?

სომხეთის გეოგრაფია არ იძლევა საშუალებას გაწყდეს მისი ყველანაირი კავშირი რუსეთთან. ეკონომიკურად სომხეთი კვლავაც მიბმულია რუსეთზე: იქ მიდის მისი ექსპორტის დიდი ნაწილი; იქიდან მოდის ბუნებრივი გაზი. მაგრამ სომხეთმა უკვე დადო ხელშეკრულება აშშ-სთან სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ და მიმართა ევროპულ კავშირს, რათა ის კანდიდატ ქვეყნად განიხილონ. პოლიტიკურ-გეოგრაფიული გამოწვევა დაკავშირებულია სომხეთ-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დადგენასთან. საბჭოთა პერიოდში მოკავშირე რესპუბლიკების საზღვრების დემარკაცია არ ხდებოდა, ან ხდებოდა მხოლოდ ალაგ-ალაგ, ისიც არაფორმალურად. სხვადასხვა მასშტაბის საბჭოთა რუკები მცირედ, მაგრამ მაინც განსხვავებულად აჩვენებდნენ მოკავშირე რესპუბლიკების საზღვრებს. „მცირე სხვაობა რუკაზე“ კი ზედაპირზე შეიძლება ნიშნავდეს ასობით მეტრს ან კილომეტრსაც კი ამჟამად სახელმწიფო საზღვრებად ქცეული ძველი ადმინისტრაციული ხაზებისათვის.

დელიმიტაციისათვის აუცილებელია, რომ მხარეებმა იხელმძღვანელონ რომელიმე ერთ რუკაზე დატანილი საზღვრებით. ეს ძნელად მისაღწევი ამოცანაა, თუმცა 2024 წლიდან გამოჩნდა ნიშნები, რომ სომხეთის მხარე პასუხისმგებლო-

ბით ეკიდება საზღვრის დადგენის საკითხს და, მიუხედავად ადგილობრივი მოსახლეობის მძაფრი პროტესტისა, დაუბრუნა აზერბაიჯანს ჩრდილოეთ სომხეთში 1990-ან წლებში ანექსირებული ანკლავების ტერიტორია.

სომხეთს მეოთხედ საუკუნეზე მეტ ხანს ჰქონდა ოკუპირებული აზერბაიჯანის ტერიტორიის ნაწილი და იქ ინფრასტრუქტურის განლაგებას საკუთარ პრეროგატივად მიიჩნევდა. ომის დამთავრებისთანავე, 2020 წლის ნოემბერში, აღმოჩნდა, რომ სამხრეთ სომხეთში XXI საუკუნის დასაწყისში ირანის საზღვრამდე გაყვანილი საავტომობილო გზის ცალკეული მონაკვეთები მდებარეობს იმ ტერიტორიაზე, რომელიც ადრე აზერბაიჯანის სსრ-ს ეკუთვნოდა.

ეკონომიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, არსებობს იდეა, რომ აღდგეს საბჭოთა პერიოდში ირანის საზღვრის პარალელურად ჯულფადან (ნახჭევნის ავტონომია) ბაქომდე გაყვანილი რკინიგზის ხაზი, რომელიც უმოქმედოა 1990 წ. ნოემბრიდან. მას პარალელურად მიჰყვებოდა საავტომობილო გზა, რომლის 40-მდე კმ სომხეთის ტერიტორიაზე გადის (იხ. ნახ. 22).

ამ გზების გამოყენება შესაძლებელი იქნება საერთაშორისო მიმოსვლისათვის, კერძოდ, აზერბაიჯანისა და თურქეთის ურთიერთდასაკავშირებლად.



ნახ. 22.

საავტომობილო გზა სამხრეთ სომხეთში
(სომხურად – სიუნიქი, აზერბაიჯანულად – ზანგეზური).
მარცხნივ: საბჭოთა პერიოდის რკინიგზა (ამჟამად ლიანდაგი აყრილია); მარჯვნივ – საბჭოთა კავშირის დროინდელი, დღემდე გამოყენებული სასაზღვრო ნაგებობა, რომლის გადაღმა არის მდ. არაქსი და ირანის ტერიტორია (წყარო: ავტორის ფოტო)

გეოპოლიტიკური პრობლემაა იმის გადაწყვეტა, თუ ვის კონტროლს დაექვემდებარება ამ საგზაო დერეფნის ის მონაკვეთი, რომელიც სამხრეთ სომხეთში გადის. აზერბაიჯანი წინააღმდეგია, რომ ამ „დერეფანს“ („ზანგეზურის კორიდორს“) აკონტროლებდეს სომხეთი (ამ ტერიტორიის სახელი XVI-XX საუკუნეებში მართლაც იყო „ზანგეზური“; 1918 წლამდე ზანგეზურის მაზრა ელისავეტპოლის გუბერნიაში შედიოდა და არა ერევნისაში; საბჭოთა სომხეთში ამ ტერიტორიას აღუდგინეს უფრო ძველი სახელი – „სიუნიქი“).

მეზობელ ირანსაც არ სურს დაკარგოს უშუალო მეზობლობა სომხეთთან, რადგან აზერბაიჯანის გაძლიერება ირანის ინტერესებში არ შედის.

რაც შეეხება სომხეთ-საქართველოს თანამედროვე ურთიერთობებს, რომელსაც 2023 წლიდან ორივე მხარემ მიანიჭა „სტრატეგიული პარტნიორობის“ დონე, ის საკმაოდ სპეციფიკურია: დამოუკიდებელი სომხეთისათვის საქართველო ძალიან მნიშვნელოვანი მეზობელია, რადგან ამ უკანასკნელის სახმელეთო და საჰაერო გზებით და მისი ნავსადგურების გამოყენებით ხორციელდება სომხეთის საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების უდიდესი ნაწილი.

საქართველოსათვის სომხეთი ეკონომიკური თვალსაზრისით ნაკლებ მნიშვნელოვანია სხვა მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, მაგრამ მასთან მშვიდობიანი ურთიერთობა – ძალიან მნიშვნელოვანი. საქმე ისაა, რომ XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოს ტერიტორიაზე, ჯავახეთში განსახლებულ სომხური მოსახლეობის ნაწილს რუსეთის ფედერაციის აგენტურა იყენებდა ორმხრივი ურთიერთობების დასაძაბავად. სომხეთის ხელმძღვანელობა არ აჰყოლია პროვოკაციებს, რადგან საქართველოს დესტაბილიზაცია მისთვისაც პრობლემა იქნებოდა. სახელმწიფოების მშვიდობიან ურთიერთობას ასეთი პროვოკაციების შესაძლებლობა მინიმუმამდე დაჰყავს.

მართალია, საქართველოსთვის სომხეთი არაა ძირითადი ეკონომიკური პარტნიორი, მაგრამ სომეხი ტურისტები საგრძნობ თანხას ხარჯავენ საქართველოს საზღვაო კურორტებზე.

საქართველოს ყველა მთავრობა მაქსიმალურად ნეიტრალურ პოზიციას იკავებს მისი მეზობელი ქვეყნების მწვავე კონფლიქტში და მიესალმება მშვიდობის დამყარებას რეგიონში. რასაკვირველია, თბილისისათვის უმჯობესია, რომ ერევანსა და ბაქოს ერთმანეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდეთ.

კითხვები ლექცია 14-ის თემაზე:

1. რა როლს თამაშობდა ქრისტიანობა სომხეთის ისტორიაში?
2. როგორ ყალიბდებოდა სომხეთის ისტორიული ეთნოგეოგრაფია?
3. როგორ აღმოჩნდა გეოპოლიტიკურ ჩიხში სომხეთის რესპუბლიკა?
4. რა როლს ასრულებს სომხეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მისი დიასპორა?
5. როგორი იყო პოლიტიკური ცხოვრება დამოუკიდებელ სომხეთში და როგორ გადაიქცა ის საპარლამენტო რესპუბლიკად?
6. რა გავლენა მოახდინა 2020 და 2023 წლის ომებმა სომხეთის შიდა და საგარეო პოლიტიკაზე?

ლექცია 15

ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი

ხორონიმი და ეთნონიმი: რომელია პირველადი?

ქვეყნის სახელი (ხორონიმი), ჩვეულებრივ, იწარმოება იქ მცხოვრები ძირითადი ეთნოსის სახელიდან (ეთნონიმიდან) და არა პირიქით, ანუ, ჩვეულებრივ, ჯერ ჩნდება ეთნონიმი და მისგან – ხორონიმი. ყოველ შემთხვევაში, ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში ეს იყო ნორმა: მაგალითად, უნგრეთი (თვითსახელი Magyaország) შეიქმნა იქ მცხოვრები უნგრული ეთნოსის სახელიდან (თვითსახელი Maguar). საბჭოთა რესპუბლიკების სახელები, მაგალითად, „უზბეკეთი“ ან „თურქმენეთი“ შეიქმნა ე. წ. „სატიტულო ერების“ სახელებიდან (თუნდაც ეს ახალგამოგონებული სახელი ყოფილიყო, როგორც მაგალითად „უზბეკი“). იყო მცირეოდენი გამონაკლისიც.

ასეთ გამონაკლისებს შორის აღმოჩნდა ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანელი ერი, რომელიც ამ სახელით არსებობს არასრული საუკუნეა.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ეს ხალხი იქ ადრე არ ცხოვრობდა. თანამედროვე აზერბაიჯანელები ცხოვრობენ იმავე ტერიტორიაზე, სადაც უხსოვარი დროიდან სხვა სახელებით ცხოვრობდნენ მათი გენეტური წინაპრები. დნმ-ის კვლევები აჩვენებს, რომ თანამედროვე აზერბაიჯანელებს ცენტრალური აზიიდან XI საუკუნეში მოსული ოღუზთა ტომობრივი გაერთიანებაში შემავალი თიურქების გენები მეხუთედზე ნაკლები აქვთ. დანარჩენი გენებით კი ისინი კავკასიის მკვიდრნი არიან.

შუააზიელი დამპყრობლები, ოღუზი თიურქები, რიცხობრივად მცირე იყვნენ, მაგრამ მათ ჰქონდათ უპირატესი სამხედრო ძალა, რომლის მეშვეობით დაიპყრეს საგრძნობი ვაკე ტერიტორია მდ. არაქსის სამხრეთით და ჩრდილოეთით: მათი ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა მეცხვარეობა იყო. თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იმ დროს მცხოვრები „კავკასიის ალბანელების“, დაღესტნური და ირანულენოვანი ტომების დიდი ნაწილის ისლამიზაცია მათ არც დასჭირდებოდათ, რადგან ისინი ჯერ კიდევ არაბმა დამპყრობლებმა მოაქციეს ისლამზე.

ადგილობრივი მოსახლეობა თანდათან გადადიოდა გაბატონებული ჯგუფის თიურქულ ენაზე. ზოგადად, თიურქული ენები ლოგიკურ პრინციპზეა აგებული, მინიმალური გრამატიკული გამონაკლისები ახასიათებთ და შესასწავლად შედარებით მარტივია. მაგალითად, მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ერთგვარი lingua franca (ენა შუამავალი) იყო „თათრული“, არსებითად – აზერბაიჯანული: მისი „საყველპურო“ ვარიანტი ახლომახლო ვინმემ მაინც იცოდა.

მაგრამ XX საუკუნემდე მდ. არაქსის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანას „აზერბაიჯანი“ არ ერქვა და არც იქაურ მოსახლეობას უწოდებდნენ „აზერბაიჯანელებს“.

ისტორიულად „აზერბაიჯანი“ (სხვა გამოთქმებით „ადარბადაგანი“, „ატურპატაკანი“ და სხვ.) იყო მდ. არაქსის სამხრეთით მდებარე ირანის ერთ-ერთი პროვინციის სახელი, რომელსაც ის ორ ათასწლეულზე მეტ ხანს ატარებს, ანუ თიურქების გამოჩენამდეც კი ასე ერქვა. მდ. არაქსის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას XX საუკუნემდე არავინ უწოდებდა „აზერბაიჯანს“. მართალია, ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიების ტერიტორიას, რუსეთის იმპერიის არმიის სამხედრო შტაბებში XIX საუკუნის ბოლო წლებიდან ხანდახან მოიხსენიებდნენ „ჩრდილოეთ აზერბაიჯანად“; 1917 წლის რუსეთის რევოლუციამდე ზოგიერთი ბაქოელი ნაციონალისტი თავს უკვე უწოდებდა „აზერბაიჯანელს“, მაგრამ იმდროინდელ (არასამხედრო) რუკებზე ეს ტერიტორია „აზერბაიჯანის“ სახელით არ მოიხსენიებოდა.

ქრისტიანი მეზობლები სამხრეთ კავკასიაში რუსეთის იმპერიის მოსვლამდე და იმპერიის დროსაც მეზობლად მცხოვრებ თიურქულენოვან მუსლიმებს „თათრებად“ იცნობდნენ, რასაც სულაც არ ენიჭებოდა კნინობითი მნიშვნელობა. რუსულადაც კი მათი სახელი იყო ჯერ татары, XIX საუკუნის ბოლოდან კი – Закавказские/Адербейжанские татары (ამიერკავკასიელი/აზერბაიჯანელი თათრები) იმისათვის, რომ ისინი განესხვავებინათ იმპერიაში მცხოვრები ყირიმელი თუ ვოლგისპირელი თათრებისგან.

სამხრეთ კავკასიის „თათრებს“ აერთიანებდა ძირითადად შიიტური მიმართულების ისლამი, თუმცა მოსახლეობის ნაწილი სუნიტიც იყო. მათ ჰქონდათ საერთო ენა, ბუნებრივია, დიალექტური სხვაობებით. საერთო თვითსახელად ისინი იყენებდნენ ტერმინს „მუსლიმი“. ამ, უპირატესად, სასოფლო მოსახლეობის თვითიდენტობა ჯერაც იყო კუთხურ-რეგიონული (მაგალითად, განჯელი, შექელი, ყარაბაღელი, შირვანელი და სხვ.) ან ტომობრივი (მაგალითად, ავშარი, ყარაფაფახი, ყაჯარი, ჯევანშირი, ქებირლი, აირუმი, ბორჩალუ და სხვ.).

ბოლშევიკურ რუსეთს კავკასიაში ყველაზე მეტად სჭირდებოდა ბაქო მისი ნავთობსარეწებით და 1920 წლის 28 აპრილს „წითელი არმიის“ ჯავშანმატარებლები პირდაპირ ამ ქალაქს მიადგნენ. წითელმა არმიამ უბრძოლველად აიღო ბაქო და გამოაცხადა აზერბაიჯანის სსრ-ის შექმნა.

აზერბაიჯანის ძირითადი მოსახლეობის განსასხვავებლად ანატოლიელი თურქებისაგან, რომელთაც რუსულად турки-ს უწოდებენ, აზერბაიჯანის მკვიდრ მოსახლეობას ოფიციალურ სახელად კრემლმა დაუწესა тюрки („თიურქები“). ქართულად კი, სადაც დიფთონგები არა გვაქვს, ისევ „თურქი“ გამოგვდიოდა, რაც იწვევდა აღრევას თურქეთის (1923 წლიდან – რესპუბლიკის) მოქალაქეებთან. სხვათა შორის, ამ გაუგებრობისათვის თავის დაღწევის

მცდელობის საინტერესო მაგალითია ის, რომ 1926 წლის მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის ქართულ და რუსულ ენებზე თბილისში გამოცემულ კრებულში „თურქეთის თურქებს“ რუსულ ენაზე სახელად მითითებული აქვთ **турки**, ქართულად კი – „**ოსმალო**“, თუმცა ასეთი თვითსახელის მქონე ხალხი აღარ არსებობდა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ერთიანობის ძლიერი ფაქტორები აღმოჩნდა პრაქტიკულად საერთო ენა და შიიტური მიმართულების ისლამი (სუნიტები უმცირესობას შეადგენდნენ). ევროპული ტიპის განათლების მქონე აზერბაიჯანული ელიტა თავიდან მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ მისი რიცხოვნობა სწრაფად მატულობდა.

ეთნოსის სახელი შეიცვალა 1936 წელს. 1937 წლის იანვარში იგეგმებოდა მოსახლეობის მორიგი სრულიად-საკავშირო აღწერა. აღწერის მიზნებისათვის 1936 წელს მოსკოვში მომზადდა „ეროვნებათა ლექსიკონი“. იქ შეტანილი აღმოჩნდა თითქმის მსგავსი ეთნონიმები татары (крымские), татары (казанские), турки, тюрки (азербайджанские), тюрки (ферганские). აღრევის თავიდან ასაცილებლად კრემლში 1936 წელს დაადგინეს, რომ აზერბაიჯანის სსრ-ის სატიტულო ერის ოფიციალური სახელი ამიერიდან იქნებოდა „აზერბაიჯანელები“.

ეს სახელი გავრცელდა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებში, საქართველოსა და სომხეთში, მცხოვრებ თიურქულენოვან მოსახლეობაზეც: სეკულარული საბჭოთა ხელისუფლებისათვის არაფერს ნიშნავდა ის, რომ ისინი სუნიტები იყვნენ. ამიტომაც, მესხეთ-ჯავახეთის მთელი სუნიტი მუსლიმი მოსახლეობა 1939 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებში „აზერბაიჯანელებად“ ჩაწერეს და საქართველოში „აზერბაიჯანელების“ რიცხოვნობა 1939 წელს, 1926 წლის მონაცემებთან შედარებით თითქმის გაორმაგდა.

როგორ ხდებოდა აზერბაიჯანული ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბება?

1920-30-იანი წლების საბჭოთა აზერბაიჯანის შესახებ, როდესაც კომუნისტური პარტია ქმნიდა „საბჭოთა ნაციებს“, რუსი ისტორიკოსი დმიტრი ფურმანი 1990-იან წლებში ასე წერდა:

> „აზერბაიჯანული ნაციონალიზმის კონსტრუირება ადვილი საქმე არ იყო, თუ გავიხსენებთ ხალხში ნაციონალური თვითშეგნების სრულ არარსებობას და აზერბაიჯანული კულტურის რთულ ხასიათს. ეს იყო სწორედ რომ კონსტრუირება, არსებითად იდეოლოგიური მცდელობა განესაზღვრათ ნაცია და მისი თავისებურებები“.

აზერბაიჯანელების ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბებას ძალიან შეუწყო ხელი „მტრის ხატის“ წარმოქმნამ, რომლის როლსაც XX საუკუნის პირველ ათწლეულებიდან, სამწუხაროდ, ასრულებდნენ სომხები.

1918 წელს შექმნილი სომხეთის რესპუბლიკა იმავე წელს შექმნილ აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკას ედავებოდა ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნიის შუშისა და ზანგეზურის მაზრების ტერიტორიებს. ამას ყველგან მოჰყვა სისხლიანი შეხლა ეთნიკურ ნიადაგზე.

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულამდე ასეთი ტიპის და ასე გამწვავებული კონფრონტაცია არ არსებობდა. ქრისტიან სომეხსა და მუსლიმს („თათარს“) შორის შესაძლებელია ყოფილიყო პიროვნული დავა, მაგრამ ეს არ იყო დაპირისპირება ეთნორელიგიურ დონეზე. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დამდეგს კი ასეთი დაპირისპირება გაჩნდა, თავიდან – ოსმალეთის იმპერიაში. ამის მიზეზად მიიჩნევენ ევროპიდან შემოსულ ნაციონალიზმის იდეებს, რომლებიც უპირველესად ვრცელდებოდა კულტურულად ევროპასთან უფრო დაკავშირებულ ოსმალეთის სომხებს შორის. ოსმალეთში 1894-1896 წლებში პირველად მოხდა მძიმე დაპირისპირება ეთნიკურ ნიადაგზე, რომელსაც მრავალი სომხისა და, აგრეთვე, ქრისტიანი ასირიელის სიცოცხლე შეეწირა. ბევრი იყო დახოცილი მუსლიმთა მხარესაც.

ეთნიკური კონფლიქტი გავრცელდა დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც. 1905-1906 წლებში ქალაქებში ბაქოში, ელისავეტპოლში (განჯა), შუშაში, ნახჭევნის მაზრაში ადგილი ჰქონდა შეტაკებებს, თანამდევი დიდძალი მსხვერპლით, რომელსაც იმდროინდელი რუსული პრესა „армяно-татарская резня“-დ (სომხურ-თათრულ ხოცვა-ჟლეტად) მოიხსენიებდა.

1917 წელს რუსეთის იმპერიის ჩამოშლისა და სამხრეთ კავკასიიდან რუსული არმიის გასვლის შემდეგ ეთნიკურმა კონფლიქტმა ეთნოტერიტორიული სახე მიიღო, რადგან რეგიონის ძირითადი ეთნიკური ჯგუფების ლიდერებმა დაიწყეს თავიანთი ეროვნული სახელმწიფოებისათვის ტერიტორიების შემოხაზვა.

სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოებრიობის ფორმირებისას გამოიყენებოდა ძალადობრივი მეთოდები. 1920 წლის ეთნიკური ურთიერთწმენდის ფაქტებს იხსენებდა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) გენერალური მდივანი იოსებ სტალინი 1923 წლის აპრილში პარტიის XIII ყრილობაზე ერთ-ერთი გამოსვლისას:

> „მე შემიძლია დაგისახელოთ რაიონების მთელი რიგი, სადაც სომხების უმრავლესობამ ამოწყვიტა მთელი დანარჩენი მოსახლეობა, რომელიც თათრებისაგან შედგებოდა, – მაგალითად, ზანგეზური. შემიძლია მიგითითოთ სხვა პროვინციაზე – ნახჭევანზე. იქ თათრები იყვნენ უმრავლესობა და მათ ყველა სომეხი ამოწყვიტეს“.

1918-1920 წლებში სამხრეთ კავკასიაში საზღვრების საკითხზე ურთიერთშეთანხმება ვერ მოხერხდა და გაჩნდა სადავო ტერიტორიები.

1921 წელს ახალმა დომინანტმა ძალამ, რსფსრ-მ, საკუთარი გეოპოლიტიკური მოსაზრებებით მოხაზა საზღვრები ამიერკავკასიის ახალ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის. ვინაიდან კრემლს არ უნდოდა, რომ აზერბაიჯანსა და თურქეთს ჰქონოდათ საერთო საზღვარი, ამიტომ ზანგეზურის მაზრის დასავლეთი ნაწილი (სიუნიქი) სომხეთის სსრ-ს დარჩა, მიუხედავად აზერბაჯანის სსრ-ის კომუნისტური ხელმძღვანელობის დაჟინებული თხოვნისა მისთვის გადაეცათ ეს ტერიტორია.

ადრეული საბჭოთა პერიოდის „კორენიზაციის“ პოლიტიკამ ხელი შეუწყო „სატიტული ერის“, ანუ აზერბაიჯანელების, კულტურული და პარტიულ-ბიუროკრატიული ელიტის ფორმირებას და საერთო-აზერბაიჯანული ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბებას. ერთდროულად ხდებოდა იმ ეთნიკური უმცირესობების ასიმილაცია, რომლებიც იზრდებოდნენ ისლამურ ტრადიციაზე, თუნდაც სეკულარულ საბჭოთა კავშირში.

1926 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერამ აჩვენა, რომ აზერბაიჯანის სსრ-ში აზერბაიჯანელები (იმ დროს ჯერ კიდევ „თიურქებად“ წოდებულნი) 62,1% შეადგენდნენ. რესპუბლიკის მოსახლეობაში დიდი იყო სომხებისა (12,2%) და რუსების (9,5%) წილი, რომელთაც ჩამოყალიბებული ეთნიკური იდენტობები ჰქონდათ და მათი ასიმილაცია „სატიტულო ნაციის“ მიერ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მაგრამ იყვნენ მცირე ეთნოსებიც, მაგალითად, რელიგიურად შიიტი, ერთ-ერთ ირანულ (ანუ აზერბაიჯანულისგან სრულებით განსხვავებულ) ენაზე მეტყველი, საკუთარი დამწერლობის არმქონე **თალიშები,** რომლებიც ირანის საზღვართან, კასპიის ზღვის ნაპირთან ახლოს ცხოვრობენ.

1897 წლის აღწერით რუსეთის იმპერიაში 35 ათასი თალიში აღირიცხა, 1926 წლის პირველი საბჭოთა აღწერით კი ორჯერ მეტი – 77 ათასი (აზერბაიჯანის სსრ-ის მოსახლეობის 3,3%). სხვათა შორის, მათი რიცხვი აღემატებოდა იმავე წელს მეზობელ საქართველოს სსრ-ში ეთნიკური აფხაზების რიცხოვნობას და მათ ხვედრით წონას რესპუბლიკის მოსახლეობაში (შესაბამისად, 56,1 ათასი და 2,1%), თუმცა თალიშებისათვის ნაციონალური ავტონომიის შექმნა საბჭოთა ხელისუფლებამ საჭიროდ არ მიიჩნია. ამაზე ზეგავლენა იქონია, როგორც ადგილობრივი, გაუნათლებელი, მოსახლეობის პასიურობამ, ისე რეგიონის გეოგრაფიულმა მდებარეობამ: თალიშის მხარე ესაზღვრება ირანს და არა რუსეთს. ამიტომაც თალიშების გამოყენება კრემლის პოლიტიკისათვის ძნელი იქნებოდა (განსხვავებით, აფხაზებისა და სამხრეთელი ოსებისაგან, რომლებიც საქართველოში სახლობენ, მაგრამ – რუსეთის მეზობლად). საბჭოთა პერიოდში შეიქმნა თალიშური დამწერლობა. რადგანაც თალიშებს არ ჰქონდათ ადმინისტრაციული ავტონომია, ისინი „ერად“

(нация) კი არ იწოდებოდნენ, არამედ „ეროვნებად“ (национальность): საბჭოეთში არსებობდა ასეთი ტერმინები.

არასრული საუკუნის შემდეგ, 2019 წელს დამოუკიდებელ აზერბაიჯანში ჩატარებულმა უკანასკნელმა აღწერამ აჩვენა, რომ აზერბაიჯანში 88 ათასი თალიში იყო იყო (2009 წლის აღწერით კი 112 ათასი).

სად წავიდნენ თალიშები? მათი ემიგრაციისა ან მათი განსახლების არეალში გამანადგურებელი ეპიდემიის შესახებ არაფერი გვსმენია! უბრალოდ, ისინი აზერბაიჯანელებად ჩაეწერნენ, ბავშვები აზერბაიჯანულ სკოლებში შეიყვანეს, გვარითაც ვერ განარჩევდით აზერბაიჯანელისგან: ყველა მამედოვი, ალიევი, ისმაილოვი, აჰმედოვი თუ ჰუსეინოვი იქნებოდა!

თალიშების ასიმილაცია ძალადობრივი არ ყოფილა. მცირე ეთნოსის წევრებს, მითუმეტეს, იმავე სარწმუნოებისას (როგორც აზერბაიჯანელები, თალიშებიც შიიტი მუსლიმები არიან) ურჩევნიათ კიდეც თავიანთი შვილები მმართველ ერს, აზერბაიჯანელებს, შეურთდნენ და ბაქოში წარმატებას მიაღწიონ.

ანალოგიურად მიმდინარეობდა აზერბაიჯანში მცხოვრები ირანულენოვანი ქურთებისა და თათების, დაღესტნურენოვანი ზოგიერთი თემის, ქართულენოვანი მუსლიმი ინგილოების ასიმილაცია.

უკვე 1990-იანი წლების დასაწყისში აზერბაიჯანიდან წავიდნენ სომხები, მკვეთრად, 0,7%-მდე, შემცირდა რუსების წილი. რესპუბლიკამ თითქმის სრულ ეთნიკურ ჰომეგენურობას მიაღწია: 2019 წლის აღწერამ მთელი მოსახლეობის 94,8% ეთნიკურ აზერბაიჯანელად აღნუსხა.

რატომ არსებობდა კონფლიქტი „მთიანი ყარაბაღის“ გამო?

ამჟამად დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, აზერბაიჯანსა და სომხეთს, პოლიტიკურ-გეოგრაფიულად ერთმანეთთან ნეგატიურად აკავშირებდა „მთიანი ყარაბაღის“ ირგვლივ 1988 წელს განახლებული კონფლიქტი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ კონფლიქტს სამხედრო ფაზა 1918-1920 წლებშიც ჰქონდა.

უნდა ითქვას, რომ ყარაბაღის მოვლენებმა 1980-იანი წლების ბოლოს არაპირდაპირი გავლენა მოახდინა სეპარატისტულ გამოსვლებზე საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში მყოფ აფხაზეთის ასსრ-სა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

2024 წლის დამდეგიდან კონფლიქტი „მთიანი ყარაბაღის“ გამო პრაქტიკულად ამოწურულია: „მთიანი ყარაბაღი“, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, გაუქმდა, სომხური მოსახლეობა იქიდან წავიდა. მაგრამ პრობლემა ყურადღებას მაინც იმსახურებს, რადგან საუკუნეზე მეტხანს ის განსაზღვრავდა ურთიერთობებს მეზობელ ქვეყნებს შორის.

1918-1920 წლებში ამ კონფლიქტის სათავესთან იდგა სომხეთის რესპუბ-ლიკა და 1988 წლიდანაც მისი განახლების ინიციატორი სომხური მხარე იყო. კონფლიქტი კი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე განვითარდა და მას ამ ლექციაზე განვიხილავთ.

„ყარაბაღი“ თიურქულ-სპარსული კომპოზიტია და „შავ ვენახს/ბაღს“ აღ-ნიშნავს. ერთდროულად, ის ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინია: ყარაბა-ღის სახანო, რომლის ცენტრი იყო მძლავრი ციხე-სიმაგრე *შუშა,* არსებობდა XVIII საუკუნიდან.

რუსეთის იმპერიის გენერალმა პაველ ციციანოვმა 1805 წელს რუსეთის იმპერიის პროტექტორატად აქცია ყარაბაღი, რომელიც მდ. არაქსის ჩრდი-ლოეთით მდებარე სხვა სახანოებთან ერთად 1813 წლის ირან-რუსეთის ომის შემდეგ ხელმოწერილი „გულისტანის ხელშეკრულების“ თანახმად რუსეთის იმპერიის სამფლობელო გახდა. სახანო ოფიციალურად გაუქმდა 1822 წელს.

ბატონიშვილ ვახუშტის მიხედვით, ყარაბაღის ტერიტორიას ადრე „რანი“ ერქვა (ეს არის ე.წ. „კავკასიის ალბანეთი“). სომხური ისტორიული წყაროე-ბის ინტერპრეტაციით კი, დაახლოებით იქ, სადაც საბჭოთა პერიოდში დაარსდა „მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი“, მრავალი საუკუნის წინათ უარსებია ისტორიულ სომხურ პროვინცია „არცახს“. ამ ტერმინის გა-მოყენება სომხებმა ხელახლა დაიწყეს XX საუკუნის ბოლოს. ამ ტერიტორია-ზე სომხები ადრეულ ხანაშიც ცხოვრობდნენ. მათი რიცხოვნობა გაიზარდა მას შემდეგ, რაც იქ რუსეთის იმპერია მივიდა.

„მთიანი ყარაბაღი“ ფიზიკურ-გეოგრაფიული ტერმინია: ის ტერიტორიას რელიეფის შესაბამისად ახასიათებს, მაგრამ მან პოლიტიკურ-გეოგრაფიული მნიშვნელობა შეიძინა.

ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაიწყო მას შემდეგ, რაც 1918 წელს წარმოიშვა აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკები, რომელთაც განსხვავებული მიდგომა ჰქონდათ ტერიტორიის გაყოფის მიმართ. 1918-1920 წლებში მათ შორის პერ-მანენტული ომი მიმდინარეობდა, სანამ ის არ შეწყვიტა რსფსრ-ის „წითელი არმიის“ შესვლამ და ორივე რესპუბლიკის გასაბჭოებამ.

პოლიტიკური კონფლიქტი 1921 წლიდან გაგრძელდა, ახლა უკვე ორი ქვეყნის კომუნისტურ მთავრობებს შორის. კრემლმა მოახერხა ორივე მხარი-სათვის თავს მოეხვია პრობლემის კომპრომისული გადაწყვეტა: 1923 წლის 7 ივლისს შეიქმნა „მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი“ (ფართობი 4161 კვ. კმ, აზერბაიჯანის ტერიტორიის 4,8 პროცენტი).

ავტონომიური ოლქის შექმნა მოჩვენებითი კომპრომისების შედეგი იყო.

ერთი მხრივ, თითქოს საბჭოთა აზერბაიჯანის ინტერესების გათვალის-წინებით:

- მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობაში დატოვეს. კრემლის ამ გადაწყვეტილების რეალური მოტივაცია იყო ის, რომ ბაქოს ნავთობს რუსეთისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთანავე, აზერბაიჯანისადმი ერთგვარი დათმობით კრემლი ახდენდა თავისი კეთილგანწყობის დემონსტრაციას იმ პერიოდში მისთვის მნიშვნელოვნად მიჩნეული „მუსლიმური აღმოსავლეთისა“ და, კერძოდ, ქემალისტური თურქეთის მიმართ;
- ოლქის სახელში ეთნიკური ნიშანი შეგნებულად არ ჩაიდო: ეს გაკეთდა აზერბაიჯანის კომუნისტური ხელმძღვანელობის დასამშვიდებლად;
- მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის საზღვრები ისე შემოიხაზა, რომ მათ არ ჰქონოდათ უშუალო შეხება სომხეთის სსრ-სთან (იხ. ნახ. 21);

მეორე მხრივ, თითქოს სომხების ინტერესების გათვალისწინებით:

- ავტონომიური ოლქის ტერიტორია შემოიხაზა ეთნიკური პრინციპით – ძირითადად სომხების განსახლების არეალის მიხედვით;
- ოლქის ცენტრად გამოცხადდა მაშინ აზერბაიჯანელებით დასახლებული *ხანკენდი* (აზერბაიჯანულად „ხანის ქალაქი)“, რომელსაც სახელი გამოეცვალა და ბოლშევიკ სტეფან შაუმიანის პატივსაცემად *სტეფანაკერტი* ეწოდა. ის სომხურ ქალაქად იქცა. ისტორიული სახელი მას აღუდგა 2023 წლის ბოლოს.
- ოლქის შემადგენლობაში შეიყვანეს ისტორიული ქალაქი შუშა მიმდებარე სასოფლო რაიონითურთ. ეს თითქოს ტერიტორიულად ზრდიდა ოლქს, მაგრამ ეთნიკურად შერეულს ხდიდა მას: ამ ქალაქში და მის რაიონშიც იმ დროს აზერბაიჯანელები ჭარბობდნენ.

მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში 1926 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მიხედვით სომხები 89 პროცენტს შეადგენდნენ (112 ათასი). 1979 წლის აღწერით კი სომხებმა 76 პროცენტი (123 ათასი) შეადგინეს. 1926-1979 წლებში ოლქში მცხოვრები აზერბაიჯანელების რიცხოვნობა 14 ათასიდან 37 ათასამდე გაიზარდა (მთელი მოსახლეობის 11%-დან 24%-მდე). სომხურმა ინტელიგენციამ, უპირველესად – ერევანში, ეთნიკური პროპორციის ასეთი ცვლილება საგანგაშოდ მიიჩნია.

ოლქის მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურის ცვლილება უკავშირდებოდა არა აზერბაიჯანელების „შეგნებულ ჩასახლებას“, არამედ განსხვავებულ კულტურულ მოთხოვნილებებს. სომხურ ოჯახებში ცდილობდნენ შვილებისათვის კარგი განათლება მიეცათ: ბავშვებს რუსულ სკოლაში აგზავნიდნენ, რათა მათ საუნივერსიტეტო განათლების მიღება შეძლებოდათ რუსულენოვან უნივერსიტეტებში (მთიან ყარაბაღში უნივერსიტეტი არ იყო). რუსეთში, ან თუნდაც ერევანში სასწავლად წასული ყარაბაღელი სომეხი ახალგაზრდობის საკმაო ნაწილი უკან აღარ ბრუნდებოდა. ბუნებრივია, სო-

მეხი ახალგაზრდობის ემიგრაცია ზემოქმედებდა მათი ეთნოსის რიცხოვნობაზე და შობადობის მაჩვენებელზე. ადგილობრივი აზერბაიჯანელები კი ძირითადად სოფლის მცხოვრებნი იყვნენ, ტრადიციული, მრავალშვილიანი ოჯახებით.

სომხეთის საბჭოთა ხელისუფლების არაერთი მცდელობა, როგორმე შეეცვალათ ავტონომიური ოლქის დაქვემდებარება, წარუმატებელი გამოდგა. გორბაჩოვისეული „პერესტროიკის“ პერიოდში (განსაკუთრებით 1987 წლიდან) სომხეთის არაფორმალურმა ძალებმა ისევ გააქტიურეს ეს მცდელობა.

იმ დროს მოქმედი **საბჭოთა კონსტიტუციის 86-ე მუხლის თანახმად, ავტონომიური ოლქი შედიოდა მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობაში და არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა საკუთარი სტატუსის/დაქვემდებარების შეცვლის შესახებ:** ამ მიზნით ის უნდა შესულიყო წინადადებით მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში. ამავე დროს, ორი მოკავშირე რესპუბლიკის საზღვრის შესაცვლელად კონსტიტუციის 78-ე მუხლი მოითხოვდა ორივე მხარის თანხმობას.

1988 წლის დასაწყისში ქ. სტეფანაკერტში შეკრებილმა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ძირითადად ეთნიკური სომხებით დაკომპლექტებული სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭო შევიდა წინადადებით აზერბაიჯანის სსრ უმაღლეს საბჭოში და სომხეთის სსრ უმაღლეს საბჭოში და ითხოვა დაემტკიცებინათ წინადადება აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობიდან მთიანი ყარაბაღის სომხეთის სსრ-სათვის გადაცემის შესახებ.

სომხეთის სსრ უმაღლესმა საბჭომ ეს თხოვნა შეიწყნარა, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესმა საბჭომ კი ამაზე უარი განაცხადა. რადგანაც ორი მოკავშირე რესპუბლიკის თანხმობა საზღვრების შეცვლაზე მიღწეული ვერ იქნა, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის თანახმად მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის შემადგენლობაში რჩებოდა და საბჭოთა კავშირის მთავრობას უნდა უზრუნველეყო ამ სტატუსის შენარჩუნება.

სტიქიურმა პოლიტიკამ კი საქმე სხვაგვარად წაიყვანა.

იმავე წელს მთიანი ყარაბაღის ქალაქ *ასკერანში* გამართულ ჩხუბში ორი აზერბაიჯანელის მოკვლას ისეთი მძაფრი რეზონანსი მოჰყვა, რომ გამძვინვარებულმა ბრბომ აზერბაიჯანის ქალაქ *სუმგაითში* მხეცურად დახოცა 30-მდე სომეხი. ამას მოჰყვა გაუგონარი ძალადობა ორივე მხრიდან. დაიწყო „შიდა-საბჭოთა სამოქალაქო ომი“. უშედეგო გამოდგა კრემლის მცდელობა ჩაექრო ეს კონფლიქტი.

ამასობაში საბჭოთა კავშირი დაიშალა და რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ გათვლა სომხეთზე გააკეთა. 1993 წლის ბოლოს ერევნისათვის მოსკოვის მხარდაჭერა დაუფარავი გახდა და ომის იქამდე გაურკვეველი შედეგი გაირკვა: სომხეთმა გაიმარჯვა.

ამასთან, სომხურმა ძალებმა მხოლოდ მთიანი ყარაბაღი კი არ „გაანთავისუფლეს აზერბაიჯანული უღლისაგან“, არამედ დაიპყრეს მის ირგვლივ შვიდი სხვა რაიონიც, საერთო ფართობით 7633 კვ. კმ და მთლიანად გაწმინდეს ის აზერბაიჯანელებისაგან: იქიდან და მთიანი ყარაბაღიდან 650 ათასზე მეტი ადამიანი განიდევნა, რასაც უნდა დაემატოს 160 ათასამდე ლტოლვილი აზერბაიჯანელი საკუთრივ სომხეთიდან. როდესაც ბაქო აცხადებდა „მილიონი აზერბაიჯანელი ლტოლვილის“ შესახებ, ეს არცთუ შორს იყო რეალური რიცხვისაგან. ეს ბაქოსათვის ძალიან სერიოზული პრობლემა გახდა და კიდევ უფრო გაამწვავა ერთაშორისი ურთიერთობას.

„მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკამ“ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მართალია, მას არავინ ცნობდა, სომხეთის რესპუბლიკაც კი, მაგრამ ამ უკანასკნელის მხრიდან ეს ტაქტიკური ნაბიჯი იყო: ერევანი ელოდებოდა მოვლენათა მის სასარგებლოდ განვითარებას, რაც არ მოხდა.

მთიან ყარაბაღში, სადაც 2020 წლის დასაწყისში, შეფასებით 120 ათასზე ცოტა მეტი მცხოვრები იყო (ყველა – ეთნიკური სომეხი), მოქმედებდა სომხეთის რესპუბლიკის ვალუტა; ადგილობრივ ბიუროკრატიას სომხეთის რესპუბლიკის ბიუჯეტი ინახავდა; სომხეთის რესპუბლიკის მეორე და მესამე პრეზიდენტები წარმოშობით მთიანი ყარაბაღიდან იყვნენ.

2020 წელს აზერბაიჯანმა წამოიწყო ე.წ. „მთიანი ყარაბაღის მეორე ომი“ და 44 დღის შემდეგ მოიგო ის.

2023 წელს აზერბაიჯანმა პრაქტიკულად უსისხლოდ შეძლო გაეუქმებინა ეს კვაზი-პოლიტიკური წარმონაქმნი. ყველა სომეხმა დატოვა ყოფილი „მთიანი ყარაბაღის“ ტერიტორია.

აზერბაიჯანის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა 2020 და 2023 წლის ომების შემდეგ გაუმჯობესდა. მას აქვს თეორიული შანსი სომხეთის სამხრეთი ნაწილის (სომხეთის სიუნიქის მარზის, აზერბაიჯანულად – ზანგეზურის) გავლით გახსნას სატრანსპორტო კავშირი ნახჭევანთან და, მისი მეშვეობით, თურქეთთან.

ნავთობი და პოლიტიკა: საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა პერიოდები

1901 წელს რუსეთის იმპერიაში მოიპოვეს 11,4 მლნ ტონა ნავთობი, მეტი – ვიდრე აშშ-ში. „რუსული ნავთობი“ თითქმის მთლიანად ბაქოში იქნა მოპოვებული!

საბჭოთა პერიოდშიც აზერბაიჯანი დიდხანს იყო ნავთობით მთელი კავშირის მომმარაგებელი. II მსოფლიო ომის შემდეგ კი რსფსრ-ის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ნავთობის დიდი ბუდობები და აზერბაიჯანის მნიშვნელობა შემცირდა: ადვილად მოსაპოვებელი ნავთობი გათავდა, ხოლო უფრო ღრმა

ფენებისა და კასპიის ზღვის ფსკერქვეშ მყოფი ნედლეულის მოპოვება სერიოზულ კაპიტალდაბანდებას მოითხოვდა, რაც კრემლმა საჭიროდ არ მიიჩნია. მაგრამ ქ. ბაქოში დარჩა დიდი ნავთობგადამამუშავებელი სიმძლავრეები. საერთოდაც, მსოფლიოში პირველი ასეთი ქარხნები ბაქოში აშენდა, ბუნებრივია, ევროპელი კაპიტალისტების მიერ.

ციმბირის ნედლი ნავთობის ბაქოში გადასამუშავებლად საბჭოთა პერიოდში ახალი მილსადენი გაიყვანეს შავი ზღვის რუსულ ნავსადგურ ნოვოროსიისკის ახლომდებარე კვანძიდან. ნოვოროსიისკი ციმბირიდან გამოყვანილი მილსადენების მთავარი ტერმინალია.

1960-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირის შრომის დანაწილებაში აზერბაიჯანს მიენიჭა ბამბის, ყურძნის, ხილ-ბოსტნეულის ერთ-ერთი მთავარი მწარმოებლის ფუნქცია. ნავთობი კი შედარებით მეორე პლანზე გადავიდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გენერალურმა მდივანმა **ლეონიდ ბრეჟნევმა** განიზრახა „კორუფციასთან ბრძოლა და დისციპლინის განმტკიცება“ მოკავშირე რესპუბლიკებში და 1970 წელს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ასარჩევად წარადგინა **ჰეიდარ ალიევი,** იქამდე რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის („კაგებე“-ს) თავმჯდომარე. მას დაევალა კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერება, რაც ალიევმა მარჯვედ დაიწყო კიდეც. მომდევნო 12 წელი ის რკინის ხელით მართავდა რესპუბლიკას. მისი შიში და რიდი რესპუბლიკაში ყველას ჰქონდა.

1982 წელს სკკპ პოლიტბიუროს გენერალურ მდივნად ახალარჩეულმა **იური ანდროპოვმა** ალიევი მოსკოვში გაიწვია, შეიყვანა ის მმართველი პოლიტბიუროს შემადგენლობაში და დანიშნა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, რაც ძალიან მაღალი თანამდებობა იყო. მაგრამ როდესაც 1985 წელს კომუნისტურ პარტიას სათავეში ჩაუდგა **მიხაილ გორბაჩოვი,** მან ალიევი პენსიაზე გაუშვა.

1991 წლის 8 სექტემბერს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **აიაზ მუთალიბოვი.**

იმ დროისათვის მთიანი ყარაბაღის გამო აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის უკვე სერიოზული სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა. აზერბაიჯანი ომს აგებდა, რაც რასაკვირველია, პრეზიდენტ მუთალიბოვს დაბრალდა. 1992 წლის მაისში ოპოზიციურმა „აზერბაიჯანის სახალხო ფრონტმა“ დაამხო მუთალიბოვი. მის ნაცვლად მეორე პრეზიდენტად აირჩიეს პოლიტიკაში გამოუცდელი ფილოლოგი, ნაციონალისტი და პანთიურქისტი **ებულფაზ ელჩიბეი.** მაგრამ ფრონტზე მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.

1991 წელს ჰეიდარ ალიევი მოსკოვიდან მშობლიურ ნახჭევანში წავიდა და სათავეში ჩაუდგა ამ ავტონომიურ რესპუბლიკას. ნახჭევნის ავტონომია აღ-

მოჩნდა აზერბაიჯანის ერთადერთი მხარე, სადაც სომხეთთან ომი ნაკლებად იგრძნობოდა და ეკონომიკური მდგომარეობაც შედარებით უკეთესი იყო. ეს თურქეთის რესპუბლიკის დამსახურება იყო, რომელიც 1921 წლის „მოსკოვის ხელშეკრულების“ თანახმად ამ ტერიტორიის აზერბაიჯანის შემადგენლობაში ყოფნის გარანტად გამოდიოდა. სომხებმა ვერ გაბედეს ნახჭევანთან ურთიერთობის სამხედრო კონფლიქტამდე მიყვანა. ამას მათ არც კრემლი ურჩევდა.

„ნახჭევანში მშვიდობის შენარჩუნება“ ალიევს მიეწერა. ამიტომაც უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ბაქოშიც ის მხსნელად მიიჩნიეს.

1993 წლის ივნისში აზერბაიჯანში მორიგი სამხედრო პუტჩი მოხდა, რომლის შემდეგ რესპუბლიკის მესამე პრეზიდენტად აირჩიეს **ჰეიდარ ალიევი.** მას ჰქონდა დიდი პოლიტიკური გამოცდილება და ავტორიტეტი და თითქმის არავის გაუპროტესტებია, როდესაც 1994 წელს ის დათანხმდა სომხეთთან დაზავებაზე („ბიშკეკის პროტოკოლი“). ეს მოხდა იმ პირობებში, როდესაც ყარაბაღის სახანოს ძველი დედაქალაქი შუშა უკვე სომხებს ჰქონდათ ხელში და მთიანი ყარაბაღის ირგვლივ მდებარე რაიონებიდან ასობით ათასი ლტოლვილი გამოქცეული იყო ან მორბოდა აზერბაიჯანის აღმოსავლეთი რაიონებისაკენ.

ჰეიდარ ალიევმა ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყო ქვეყნის გამოყვანა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან: ის ნამდვილად არის „ახალი აზერბაიჯანის მამა-დამაარსებელი“.

ამავე დროს, აზერბაიჯანის პოლიტიკაში ისევ შევიდა ნავთობის თემა!

ჰეიდარ ალიევმა ოსტატურად გამოიყენა დასავლური ტრანსნაციონალური კომპანიების ინტერესი ბაქოს ნავთობის მიმართ. კომპანიების კონსორციუმს გააჩნდა შესაბამისი ტექნოლოგია, რომ კასპიის ზღვის ფსკერქვეშ არსებული ნავთობისა და გაზის უდიდესი მარაგი აეთვისებინა. ალიევმა დაძლია დავა კასპიის ზღვის გადაღმა მდებარე თურქმენეთთან ზღვის ფსკერქვეშ მდებარე დიდ ნავთობ- და გაზ-მომცემ საბადოებზე.

ბაქოსაკენ დასავლური ინვესტიციების მდინარე წარიმართა. ამან მმართველი რეჟიმიც წელში გამართა და ძალიან მდიდარი ელიტის წარმოქმნა განაპირობა. ეკონომიკურად აზერბაიჯანი სწრაფად განვითარდა. მისმა დედაქალაქმა ბაქომ სახე იცვალა და დამშვენდა.

30 წელიწადზე მეტია ქვეყანას მართავს ერთი და იგივე ოჯახი. პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 2003 წელს, პრეზიდენტის პოსტზე იგი ჩაანაცვლა მისმა ვაჟიშვილმა **ილხამმა,** რომელსაც 20 წელზე მეტია უკავია ეს თანამდებობა. 2009 წლის რეფერენდუმის შემდეგ ქვეყნის კონსტიტუციაში არ არსებობს საპრეზიდენტო ვადის შეზღუდვა. აზერბაიჯანის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა უჭირავს ილჰამ ალიევის მეუღლეს. ყველანაირი არჩევნების ჩატარება ინიშნება პრეზიდენტის პირადი გადაწყვეტილებით და ტარდება იმ პირობებში, როდესაც პრაქტიკულად არ არსებობს, ან თითქმის უუფლებოა ოპოზიციური პარტიები და მედია.

რა ურთიერთობა არსებობს აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის?

როგორც ჩვენი კურსის პირველ ლექციაზე მოისმინეთ, გადაწყდა, რომ ნავთობის და გაზის ტრანსპორტირება აზერბაიჯანიდან თურქეთის და ხმელთაშუა ზღვის მიმართულებით მოხდებოდა საქართველოს ტერიტორიის გავლით. საქართველოს იმდროინდელმა პრეზიდენტმა **ედუარდ შევარდნაძემ** და **ჰეიდარ ალიევმა** გამონახეს საერთო ენა. შევარდნაძემ გამოიყენა თავისი საერთაშორისო ავტორიტეტი და მიაღწია დასავლეთის ქვეყნების ლიდერების მხარდაჭერას ამ პროექტის მიმართ.

საქართველოს გავლით ჯერ აშენდა ადრეული ნავთობის მილსადენი *ბაქო-სუფსა* (1999 წ.), ხოლო 2006 წელს მწყობრში ჩადგა *ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი* და მის პარალელურად გაყვანილი *ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენი.*

საქართველომ იმდენად მატერიალური მოგება არ მიიღო მილსადენებიდან, რამდენადაც შეიძინა გეოპოლიტიკური მნიშვნელობა მსოფლიოსათვის.

აზერბაიჯანისათვისაც ხელსაყრელი აღმოჩნდა თავისი ნავთობისა და გაზის ექსპორტი საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენების მეშვეობით. გარდა ამისა, ის იყენებს საქართველოს ნავსადგურებს, საავტომობილო გზებსა და რკინიგზას. 2017 წელს ოფიციალურად გაიხსნა (თუმცა ჯერაც არ ამოქმედებულა) ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზა, რომელიც აზერბაიჯანსა და კასპიისგაღმა მდებარე ცენტრალურ აზიას დააკავშირებს თურქეთთან და ევროპასთან.

სატრანსპორტო კავშირებმა საქართველო და აზერბაიჯანი ეკონომიკურად და, ნაწილობრივ, პოლიტიკურად დააახლოვა და ისინი სტრატეგიულ პარტნიორებად აქცია. ტერმინს „სტრატეგიული პარტნიორობა“ იმდენად ხშირად და ფუჭად იყენებენ, რომ მისი მნიშვნელობის დევალვაცია მოხდა. მაგრამ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ის თავის ძირითად მნიშვნელობას ინარჩუნებს.

რა ურთიერთობა არსებობს აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის?

ლინგვისტურ საფუძველზე **თურქეთი** აზერბაიჯანის მოძმე ქვეყანაა: თურქული და აზერბაიჯანული ენები ახლო მონათესავეა, ორივე თიურქული ენების ოღუზურ ქვეჯგუფს განეკუთვნება და პრაქტიკულად ურთიერთგასაგებია. ორივე ქვეყანაში ისლამია გავრცელებული, თუნდაც სხვადასხვა მიმართულებისა: აზერბაიჯანში – შიიტური, თურქეთში – სუნიტური. ასეთ განსხვავებას ბაქო და ანკარა მნიშვნელობას აღარ ანიჭებენ, რადგან კონსტიტუციურად ორივე ქვეყანა სეკულარულია.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის პირველ ეტაპზე მისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო თურქეთის რესპუბლიკის მიერ მისთვის გაწეული მრავალმხრივი ჰუმანიტარული და დიპლომატიური, შემდგომში კი – სამხედრო-ლოგისტიკური დახმარება.

თურქი ოფიცრები ეხმარებოდნენ აზერბაიჯანს მისი არმიის გაწვრთნაში. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დროს მიმდინარე სამხედრო მოქმედებებში თურქეთის არმია არ ჩარეულა, რაც სწორი გადაწყვეტილება იყო: წინააღმდეგ შემთხვევაში რეგიონში სხვა ძალების სამხედრო გააქტიურებაც შეიძლებოდა დაწყებულიყო.

2021 წლის 15 ივნისს, აზერბაიჯანის „კულტურულ დედაქალაქ“ შუშაში პრეზიდენტებმა *ალიევმა* და *ერდოღანმა* ხელი მოაწერეს *„აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის სამოკავშირეო ურთიერთობების შუშის დეკლარაციას“*. მისი ერთ-ერთი მუხლის შესაბამისად

> „მესამე სახელმწიფოს ან სახელმწიფოების მხრიდან დეკლარაციის ხელმომწერი ერთი ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და საზღვრების უსაფრთოებისათვის შექმნილი საშიშროების შემთხვევაში მხარეები აღმოუჩენენ ერთმანეთს აუცილებელ დახმარებას გაერო-ს წესდების შესაბამისად“.

სხვა სიტყვებით, აზერბაიჯანს შეუძლია დაეყრდნოს თურქეთის რესპუბლიკის გაცილებით დიდ სამხედრო ძალას. დეკლარაცია ორივე მხარის მიერ არის რატიფიცირებული და ის ძალაშია შესული.

როგორც წინა ლექციებში აღინიშნა, ასიოდე წლის წინ აზერბაიჯანს და თურქეთს გაუჩნდათ საერთო საზღვარი. ეს არის 17 კილომეტრის სიგრძის საზღვარი მდინარე არაქსის გასწვრივ, რომელიც შეიქმნა მას შემდეგ, რაც 1932 წელს თურქეთის რესპუბლიკის ინიციატივით მოხდა მოსაზღვრე მონაკვეთების გაცვლა ირანთან. ამის გამო თურქეთს შეექმნა მახვილი სამკუთხედის ფორმის ტერიტორიული მონაკვეთი, რომელიც მიებჯინა მდინარე არაქსს და მის გადაღმა მდებარე აზერბაიჯანის ექსკლავს – ნახჭევნის ავტონომიას (ეს ნაჩვენებია ნახ. 21-ზე და კიდევ უკეთესად ჩანს ნახ. 14-ზე).

დამოუკიდებელი აზერბაიჯანისათვის ზემოხსენებულ საზღვარს განსაკუთრებული აქტუალობა მიენიჭა მას შემდეგ, რაც 1990-იან წლების დასაწყისში მდ. არაქსზე აშენდა საავტომობილო ხიდი და ერთმანეთთან დააკავშირა თურქეთი და აზერბაიჯანის ეს ექსკლავი. 2020 წლის შემდეგ არის მსჯელობა, რომ საზღვრის იმავე მონაკვეთში შეიძლება გაიაროს თურქეთის მიერ დაანონსებულმა ახალმა რკინიგზამ ჯერ ნახჭევნისა და, იქიდან – ბაქოს მიმართულებით.

რა ურთიერთობა არსებობს რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის?

მაშინ როდესაც ანკარასა და ბაქოს შორის გულითადობის ატმოსფერო სუფევს, **რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობა** უფრო პრაგმატულ ხასიათს ატარებს. უკანასკნელი რუსული სამხედრო ბაზა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე – გაბალას რადიოლოკაციური სადგური – 2013 წელს დაიხურა.

2022 წლის 22 თებერვალს, რუსეთის უკრაინაში შეჭრამდე ორი დღით ადრე აზერბაიჯანის რესპუბლიკამ და რუსეთის ფედერაციამ მოსკოვში ხელი მოაწერეს დეკლარაციას სამოკავშირეო ურთიერთქმედების შესახებ. მისი მე-17 მუხლით:

> „მხარეები თავს იკავებენ ნებისმიერი მოქმედებისაგან, მათ შორის მესამე სახელმწიფოს მეშვეობით, რომელიც ერთიმეორის წინააღმდეგაა მიმართული“.

მოსკოვმა წინსწრებით დაადებინა ბაქოს პირობა, რომ ის არ შეუერთდებოდა გარდაუვალ სანქციებს, რომელიც რუსეთს ელოდა უკრაინაში ომის დაწყებისთანავე. რუსეთმა ომი დაიწყო და ორი-სამი დღის შემდეგ სანქციების პირველი პაკეტი რუსეთს მართლაც დაუწესდა.

აზერბაიჯანი არ შეუერთდა ამ სანქციებს, მაგრამ, ერთდროულად, ის უკრაინას უწევს ჰუმანიტარულ დახმარებას.

2024 დეკემბერში ორ ქვეყანას შორის მოხდა ერთგვარი კონფლიქტი: რუსეთის საჰაერო სივრცეში აზერბაიჯანის სამგზავრო თვითმფრინავი დაზიანდა რუსული ჰაერსაწინააღმდეგი რაკეტით, რომელიც უკრაინული დრონის წინააღმდეგ იყო გამიზნული. თვითმფრინავმა მიაღწია ყაზახეთის ტერიტორიამდე და იქ განიცადა კატასტროფა. მგზავრებისა და ეკიპაჟის დიდი ნაწილი დაიღუპა. რუსეთის მხარის მოუხეშავმა მცდელობამ თავიდან აეცილებინა პასუხისმგებლობა მძლავრი პროტესტი გამოიწვია აზერბაიჯანში.

ამასთან, ამ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა სრული გაწყვეტა ნაკლებ მოსალოდნელია.

რა ურთიერთობა აქვს აზერბაიჯანს საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებთან?

ნავთობისა და გაზის ექსპორტის ხარჯზე გამდიდრებამ საშუალება მისცა აზერბაიჯანს მკვეთრად გაეზარდა თავისი სამხედრო ბიუჯეტი, რომელიც კარგა ხანია, რაც აღემატება სომხეთის მთელ სახელმწიფო ბიუჯეტს. ბაქომ შექმნა საკუთარი სამხედრო მრეწველობა და გაზარდა მაღალტექნოლოგიური იარაღის იმპორტი თურქეთიდან და ისრაელიდან.

რუსული და თურქული წარმოების იარაღის გარდა ბაქო იძენდა და იძენს **ისრაელის** სამხედრო აღჭურვილობას, განსაკუთრებით – საბრძოლო დრონებსა და რაკეტებს.

ისრაელი წავიდა აზერბაიჯანთან ასეთ სამხედრო თანამშრომლობაზე პრაგმატულობის თვალსაზრისით: ბაქო გადახდისუნარიანია და, თანაც, საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა აქვს ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან, რომელსაც ისრაელი თავის უმთავრეს მოწინააღმდეგედ მიიჩნევს.

მნიშვნელოვანწილად თურქული და ისრაელური მაღალტექნოლოგიური იარაღის მეშვეობით მოიგო აზერბაიჯანმა 2020 წლის „ყარაბაღის მეორე ომი“.

ირანისათვის აზერბაიჯანის რესპუბლიკა „უხერხული“ მეზობელია, მიუხედავად რელიგიურ-კულტურული სიახლოვისა (როგორც ზემოთ ითქვა, აზერბაიჯანში ძირითადად შიიტური მიმართულების ისლამია გავრცელებული, ისევე როგორც ირანში). დიდხანს ვერ ხერხდებოდა კასპიის ზღვის ფსკერის გაყოფა: ნავთობისა და გაზის საბადოები აზერბაიჯანის სექტორში მდებარეობს, მეზობელი ირანის სექტორში კი ასეთი წიაღისეული ჯერ არ აღმოუჩენიათ.

თეირანს უფრო მეტად აწუხებს, რომ ბაქოს არაოფიციალურ წრეებში (ხანდახან – ოფიციალურშიც) ტრიალებს ირედენტისტული იდეები მდ. არაქსის სამხრეთით მდებარე ირანის აზერბაიჯანის მიმართ, სადაც ათობით მილიონი აზერბაიჯანელი ცხოვრობს. ბაქოში ხანდახან ჟღერს ხოლმე იდეა „ორი აზერბაიჯანის გაერთიანების“ შესახებ. ფაქტია, რომ თეირანი არ ენდობა ბაქოს და პერიოდულად აკეთებს დიპლომატიურ დემარშებს. სამაგიეროდ, იგივე თეირანი უფრო თბილადაა განწყობილი ერევნის მიმართ.

აზერბაიჯანის მდიდარმა ენერგეტიკულმა რესურსებმა მის მიმართ ტრანსნაციონალური კორპორაციების დიდი ინტერესი გააღვივა და თითქმის დაამუნჯა **ევროპული კავშირის** და მასში შემავალი ქვეყნების მთავრობების ჩვეულებრივ დიდი მომთხოვნელობა დემოკრატიის ნორმების დაცვისადმი.

ასე მაგალითად, 2022 წლის 18 ივლისს ბაქოში იმყოფებოდა ევროპული კომისიის თავმჯდომარე *ურსულა ფონ დერ ლიაიენი.* ვიზიტის მთავარი თემა იყო ევროკავშირში ენერგომატარებლების იმპორტის დივერსიფიკაციის საკითხი. ქ-ნმა ფონ დერ ლიაიენმა გამოხატა მადლიერება აზერბაიჯანის პრეზიდენტისადმი ენერგეტიკული პარტნიორობისათვის და განაცხადა, რომ ევროკავშირი აზერბაიჯანს მიიჩნევს რუსეთზე უფრო სანდო და საიმედო პარტნიორად.

ერთმა რუსმა ექსპერტმა, რომელიც ზემოაღნიშნულ ვიზიტს აანალიზებდა, იქილიკა იმაზე, რომ მაღალი რანგის ევროპელ სტუმარს „დაავიწყდა ფასეულობითი განზომილება“:

„მაშინ როდესაც ბრიუსელი ესოდენ მკაცრი და მომთხოვნია საქართველოს მიმართ, ის მზად არის დახუჭოს თვალი საშინაო ვითარებაზე აზერბაიჯანში და წინა პლანზე აყენებს მისი, როგორც ენერგოპარტნიორის საიმედოობას“.

თუ გამოვრიცხავთ საქართველოსათვის დაღვრილ ნიანგის ცრემლებს, დანარჩენში, სამწუხაროდ, რუსი ექსპერტი სწორი გამოდის!

კითხვები ლექცია 15-ის თემაზე:

1. როგორ შეიქმნა სახელები „აზერბაიჯანი“ და „აზერბაიჯანელი“?
2. რა ფაქტორებმა იმოქმედეს აზერბაიჯანული ეთნიკური იდენტობის შექმნაზე?
3. რატომ და როგორ შეიქმნა „მთიანი ყარაბაღის“ ავტონომიური ოლქი?
4. რატომ იქცა „მთიანი ყარაბაღი“ განხეთქილების მიზეზად აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის?
5. რა ურთიერთობა აქვს აზერბაიჯანს თურქეთან?
6. რა კავშირები არსებობს აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის?

დამატებით რეკომენდებული ლიტერატურა:

რეკომენდებულია ავტორის სხვა წიგნები (მათ ტექსტებს გარკვეული ზომით ეყრდობა წინამდებარე სახელმძღვანელო), რომლებშიც სტუდენტებმა შეიძლება ნახონ ციტატების წყაროები, რაც ამ სახელმძღვანელოში მითითებული არაა: ქვემოთ მითითებულ წიგნებს ახლავს უხვი ბიბლიოგრაფია.

გაჩეჩილაძე, რ. (2023). *საქართველო რეგიონულ კონტექსტში.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა. (325 გვ.)

გაჩეჩილაძე რ. (2017). *საქართველო მსოფლიო კონტექსტში: მე-20 და 21-ე საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები.* მეორე განახლებული გამოცემა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა (702 გვ.)

დამატებითი ინფორმაცია სტუდენტმა შეიძლება ნახოს ინგლისურენოვან პუბლიკაციებშიც:

1. Aydin, Mustafa, Kornely Kakachia, et al. (eds.) (2023). Changing Geopolitics of the South Caucasus after the Second Karabakh War. Prospect for Regional Cooperation and/or Rivalry. CMI Report N4
2. Gachechiladze, Revaz (1997). National idea, state-building and boundaries in the post-Soviet space (the case of Georgia). GeoJournal , Vol. 43, September
3. Gachechiladze, Revaz (2001). Geopolitics in the South Caucasus: Local and External Players. *Geopolitics* [UK], Vol. 7, No 1, Summer 2002 (25 pp.)
4 . Emin Arif Shikhaliyev (2021). Geopolitical rivalry in South Caucasus amid emergence of New World Order. *Part-II // Irs, Heritage.* Moskva: 2021, №50, pp. 14-23.
5. Cornell, Svante E. (2001). *Small Nations and Great Powers: a Study of Ethnopolitical Conflicts in the Caucasus.* Richmond: Curzon *Caucasus World (460 pp.)*
6. Gafarlđ Orhan, Arevik Anapiosyan, Mehmet Fatih Öztarsu, Khatuna Chapichadze (2016). The role of Global and Regional Actors in the South Caucasus. *Journal of Conflict Transformation – Caucasus Edition*

წიგნზე მუშაობდნენ:

ხათუთა ბადრიძე, მარიამ ებრალიძე,

თინათინ ჩირინაშვილი, ნათია დვალი

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
https://www.tsu.ge/ka/publishing-house

რევაზ გაჩეჩილაძე (დაბ. 1943) არის გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი. ის არის 200-ამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის, წიგნებისა: „დიდი ბრიტანეთი“ (1973, 1984), „ახლო აღმოსავლეთი“ (1977, 2003, 2008, 2011, 2018-19 წწ. გამოცემები), „Некоторые вопросы географии преступности» (1982), «Турция» (1983), “The New Georgia: Space, Society, Politics” (London, 1995), „ჩემი მეოცე საუკუნე“ (2 ტომად: 2008, 2011), „გაერთიანებული სამეფო“ (2016), „საქართველო მსოფლიო კონტექსტში“ (2013, 2017), „საქართველო რეგიონულ კონტექსტში“ (2023) და სხვ.

ის მუშაობდა საქართველოს ელჩად ისრაელში, სომხეთში, დიდ ბრიტანეთსა და სლოვაკეთში. მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგი. მიღებული აქვს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემია (2002) და ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის აკადემიური პრემია გეოგრაფიის დარგში (2010).